

ISSN 0235-8417

6

2014

par al el i

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი

parallel



6

2014

UDC-უაკ
001.92

მთავარი რედაქტორი: **revaz mi Svelaze**

სარედაქციო კოლეგია: მერაბ ახოზაძე
გიორგი გაჩეჩილაძე
ჯემალ გახოვიძე
ბორის გითოლენდია
ვახტანგ დავითაია
ივანე თვალავაძე
იგორ კვესელავა
ჰენრი კუპრაშვილი
შალვა ნაჭყებია
ვაჟა პაპასკირი
გიორგი სალუქვაძე

სოსო სიგუა

(რედაქტორის მოადგილე)

არჩილ ფრანგიშვილი
ქეთევან ქოქრაშვილი
რუსუდან ქუთათელაძე

ბადრი ცხადაძე

(პასუხისმგებელი მდივანი)

თემურ ჯაგოდნიშვილი
მეუფე ანანია ჯაფარიძე

ყდის დიზაინერი **ვახტანგ დავითაია**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნონა ცაბაძე**

მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, VI კორპუსი, VI სართული, ოთახი 603ა
ტელ.: 577 42 54 72; 597 09 21 48;
ვებ-გვერდი: www.jurnali-paraleli.gtu.ge
ISSN 0235-8417; E-mail: jurnali-paraleli@mail.ru

გთავაზობთ:

Wabua ami rej i bi _ beri davi Ti 5

poezi a

ოთარ სოხადე	9
ირმა კეცხოველი	11
ნინო მორჩილაძე	14
თემურ ჭახნაკია	16
ნინო ხოსროშვილი	21
ნესტორ რეხვიაშვილი	22
მარი ლონდარიძე	24

proza

მედეა შუბლაძე	28
ელენე დემეტრაძე	34

dramat urgi a

ვალერიან მამუკელაშვილი	51
------------------------------	----

weri l ebi

იგორ კვესელავა _ ევროპული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი და ქართულ-რუსული კონტექსტი	71
რევაზ მიშველაძე _ კულტურული მემკვიდრეობა და საზოგადოება	75
თეიმურაზ ფანჯიკიძე _ იუდას სახარება	85
როზა გაფრინდაშვილი _ აგრესიის ამოქმედების ბიო-სოციალური მექანიზმები (პორნოგრაფია და სექსუალური ძალადობა, მასკულტურის გავლენა აგრესიაზე, ჯგუფური გავლენა და „გაფანტული პასუხისმგებლობა“)	90
ციალა ხინთიბიძე _ კულტურათა დიალოგი, როგორც ახალი პარადიგმა	101
ეკა ცხადაძე _ პოეზიის ცხრაფრთიანი ანგელოზი	104
მურად შონია _ ენა, როგორც ვერბალური კომუნიკაციის საფუძველი	109
ავთანდილ დიასამიძე _ გრიგოლ გურიელი, როგორც ფოლკლორისტი	118
ალექსანდრე მღებრიშვილი _ ქართულ-ოსური ურთიერთობები XX საუკუნის პირველ ათწლეულებში	125

ნუგზარ (ზაზა) იაშვილი _ საჭიროა თუ არა ფსევდონიმი?	131
გოჩა გვასალია _ შეიხის შევარდნის იგავი	148
ნინო ჩუხრუკიძე _ გეოსაინფორმაციო შემადგენელი პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების სისტემაში	156
ბადრი ცხადაძე, ევა ცხადაძე _ ხარის კულტი და გლეხ, უღელ, ურემ, ხარ // ხან, ანვა (//>ხვნა), ხარება ლექსემების წარმომავლობისა და ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში	160
ნინო გომართელი, მარიამ გაბუნია _ ბაირონის ცხოვრების თანამგზავრი ქალბატონები	183
გიული მურადაშვილი _ გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის დიალექტიკის კანონის ინტერპრეტაცია კოტე ბაქრაძის შემოქმედებაში	193
ნაზი ხანიაშვილი _ ქართველები _ შუმერთა წინაპრები	197
მერაბ ცომია _ საქართველოს საგარეო პოლიტიკა XX საუკუნის ბოლოს.	204
მურმან თავდიშვილი _ ღვინო, ვენახი, ვაზი (სიტყვათა ეტიმოლოგიური და კულტუროლოგიური ასპექტები)	208

Targmani

ნანა ბახსოლიანი _ კაპადოკია	218
--	------------

ეჭო

რევაზ ხვედელიძე _ ძვირფასი წიგნი შემადრწუნებელი ფაქტებით	224
ბადრი ცხადაძე _ გვარი გვართაგანი (ემდვნება პროფესორ ევგენი ბარათაშვილის მეუღლის ირინე ბაგრატიონის ნათელ ხსოვნას)	250

mi l ocva

ჯუმბერ ლეჟავა	256
----------------------------	------------



Wabua amirej ibi _ beri daviTi



2013 წლის 13 დეკემბერს გარდაიცვალა დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე, XX საუკუნის ქართული პროზის კლასიკოსი **Wabua (mzeWabuk) irakl is Ze amirej ibi _ beri daviTi**.

ზეციური საქართველოს ბინადარი გახდა სამშოვლო ქვეყნის ჭემმარიტი მოზარე და ჭირისუფალი.

ჭაბუა ამირეჯიბის ცხოვრება სამშობლოს უებრო მსახურების ერთი უბადლო მაგალითია, სამშობლოსი, რომელსაც შესწირა ყველაფერი _ საკუთარი ახალგაზრდობა, ოცნებები და ზმანებანი, დაუფიქრებლად შესწირა გმირი ვაჟიშვილი, რადგანაც იცოდა: ერთადერთი ჭემმარიტება სამშობლოა _ სულზე უტკბესი და უნეტარესი ჭემმარიტება და მხოლოდ მისთვის ღირს სიცოცხლეცა და სიკვდილიც.

ბატონი ჭაბუა ჭემმარიტად ამართლებდა ამირეჯიბთა საგვარეულო გერბზე გამოსახულ გოლგოთაზე აღმართულ ჯვარს _ სიმბოლოს რომ წარმოადგენს სამშობლოსათვის, სარწმუნოებისათვის მოწამებრივი თავგანწირვისა...

ამ თავგანწირვის საუცხოო ნიმუშია ჭაბუა ამირეჯიბის სწორუპოვარი პროზა, რომელსაც მკითხველს მასშტაბურობითა და, შეიძლება ითქვას, ბიბლიური სიბრძნით ხიბლავს...

ჭაბუა ამირეჯიბი დაიბადა 1921 წლის 18 ნოემბერს თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ამიერკავკასიის ელექტროტექნიკუმის რადიოფაკულტეტზე და მიიღო სამხედრო რადიოტექნიკოსის წოდება.

1938 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად. 1941 წლი 23 ივნისს ჭაბუა ამირეჯიბი მობილიზაციით გაიწვიეს არმიის რიგებში. 1942 წელს დაბრუნდა სამშობლოში და განაგრძო სწავლა. ამ მდროისათვის შეიქმნა არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელიც ბატონი ჭაბუა იყო. 1943 წელს იგი დააპატიმრეს შეიარაღებული აჯანყების მზადების ბრალდებით და მიუსაჯეს 25 წლით პატიმრობა. სასჯელი რამდენჯერმე შეუცვალეს, ორჯერ დახვრეტაც კი ჰქონდა მისჯილი. საერთო ჯამში მისმა სასჯელმა 83 წელი შეადგინა. პატიმრობის დროს მონაწილეობდა ყარაგანდისა და ტაიმირის პოლიტპატიმართა აჯანყებაში. თითქმის ორი ათეული წელი გაატარა ყარაგანდის, კოლიმის, მოლდოვეთის, ტაიმირის ნახევარკუნძულის, აღმოსავლეთ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ბანაკებში. იყო ტყის მჭრელი, ჩრდილოეთ ოსეთის სატყეო კომბინატის დამაარსებელი და დირექტორი, ბელორუსიის სატყეო მრეწველობის სამინისტროს ტყის გადამამუშავებელი კომბინატის დამაარსებელი და დირექტორი...

ჭაბუა ამირეჯიბი გადასახლებიდან 1959 წელს დაბრუნდა სამშობლოში და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. სხვადასხვა დროს იგი იყო საქართველოს-აშშ ერთობლივი საწარმოს „ამსაქფილმის“ დამაარსებელი და დირექტორი, აღმანა „კინოს“ დამაარსებელი და დირექტორი, საქართველოს სახკინოს სარეკლამო საინფორმაციო ბიუროს დამაარსებელი და დირექტორი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მეორე გაერთიანების დირექტორი, კინოსტუდია „მემატიანეს“ დირექტორი, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს, შემდეგ კი პარლამენტის წევრი, საქართველოს თავდაცვის ფონდის თავმჯდომარე, ქართულ სულიერ ფასეულობათა დაცვის ასოციაცია „ივერიის“ და გაზეთ „ახალი ივერიის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე, ქართული პენ-ცენტრის პრეზიდენტი...

სადაც კი იმუშავა ამ დიდმა მწერალმა და ერისკაცმა, ყველგან ღრმა კვალი გაავლო, ყველაფერს თავისი ტვიფარი დაამჩნია პროფესიონალიზმისა, სისპექტაკისა, კეთილშობილებისა და სათნოებისა...

ჭაბუა ამირეჯიბის სამწერლო დებიუტი 1960 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობა „რატომ არ დამაცადე“. ასე დაიწყო დიდი შემოქმედის ლიტერატურული ცხოვრება, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტი გასტანა და მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ შეახსენა ქართული გენის ნიჭიერებისა და უკვდავების შესახებ.

ჭაბუა ამირეჯიბმა არა მარტო გაამდიდრა ქართული მწერლობა, არამედ განვითარების ახალ საფეხურზეც აიყვანა. სწორედ ამის დასტურია მარადიული წიგნი-რომანი „დათა თუთაშხია“, საყოველთაო-სახალხო სიყვარული რომ ხვდა წილად. „დათა თუთაშხია“ საგაა ქართველი კაცის ვაჟკაცობის, ჭირთა თმენის ნიჭზე, საქართველოს უკვდავებაზე. ამ მრავალპლანიან, კომპოზიციურად მართლაც რომ დიდოსტატურად შეკრულ რომანში ურთულესი ზნეობრივ-ეთიკური პრობლემატიკაა განხილული. დათა, რომანის მთავარი გმირი, სიკეთისა და სამართლიანობის მარადმღვიძარე რაინდი საკუთარი სულიერი, ზნეობრივი მოთხოვნილებების ხორცშესხმად მიიჩნევს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში.

დიდი მოწონება ხვდა წილად მწერლის მეორე რომან „გორა მზორგალს“, უაღრესად რთულსა და ტევად ნაწარმოებს, რომელიც საბრალდებო დასკვნას წარმოადგენს ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ქვეყანაში არსებული ტოტალიტარული რეჟიმებისა. ამ რომანში მწერალმა დიდოსტატურად გვიჩვენა საბჭოთა იმპერიის შემზარავი არსი, გააშიშვლა მისი ნამდვილი სახე...

„დათა თუთაშხია“ და „გორა მზორგალი“ ქართველი ხალხის ზნეკეთილობის, მისი სულიერი სიმტკიცის სიმბოლოდ იქცა და ასე შემოაბიჯა XXI საუკუნეში. დათა და გორა საოცარი ძალით ავსებენ ერთმანეთს და ქართველ ერს სულიერების პრიმატის ქადაგებისკენ მოუწოდებენ. ზლიერი სული, ძლიერი ადამიანები, ძლიერი ერი ქვეყნის განუყოფლობის, მისი ერთობის, გონიერებისა და ქედუხრელობის საფუძველია. ეს ის ტრიადაა, რომელიც ქვეტექსტურად გასდევს ბატონი ჭაბუას მთელ შემოქმედებას.

ბეწვის ხიდზე მავალ სამშობლოს ამ დიდმა შემოქმედმა რომანი „გიორგი ბრწყინვალე“ უძღვნა და მსუყე საღებავებით დაგვიხატა უბრძნესი მეფის მონოლითური სახე, მეფისა, რომლის გამჭრიახობა, ჭკუამ და მოქნილობამ თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში ამოსუნთქვის საშუალება მისცა ქართველობას...

ჭაბუა ამირეჯიბის ცხოვრება ერთი გაბმული მარტვილობაა და, ალბათ, ამიტომაც სიცოცხლის ბოლო წლებში ბერად აღიკვეცა ქართული პროზის დიდოსტატი და მამა დავითად ქცეული გულმდუღარედ ავედრებდა არსთაგამრიგეს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას.

სამშობლომ საკადრისი პატივი მიაგო თავის დიდ შვილსა და ერისკაცს. ქართული მწერლობის კლასიკოსი დაჯილდოვებული იყო ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით, ღირსების ორდენით, არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად და თბილისის საპატიო მოქალაქედ, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო, საქართველოს სახელმწიფო (2), სსრკ სახელმწიფო ილია ჭავჭავა-

მისა და საბას, საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიები, ქართული პროზის რაინდისა და საქართველოს სახალხო მწერლის წოდებები. მისი ბიოგრაფია შეტანილია კებრიჯისა და აშშ-ის ბიოგრაფიულ ცნობარებში.

მნელია, ძალზე რთულია და მტკივნეული ამ დონის შემოქმედთან, ამ დონის მოაზროვნესთან და ერისკაცთან გამოთხოვება და მასზე წარსულ დროში საუბარი. ისღა გვანუგეშებს, რომ ჩვენ მისი თანამედროვენი ვიყავით და მასთან ურთიერთობის ბედნიერება გვქონდა. და, რაც მთავარია: იმ მცირედთა შორის, ვისი სახელებითაც შეგვეძლება ასწლეულების შემდეგ თავის მოწონება, უდავოდ საპატიო ადგილს დაიკავებს ჭაბუა ამირეჯიბი და მისი უბადლო შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

გიორგი მარგველაშვილი; ირაკლი ღარიბაშვილი; დავით უსუფაშვილი; ბიძინა ივანიშვილი; ივანე კიდეურაძე; გიორგი კვეციტაძე; გურამ ოდიშარია; მანანა ბერიკაშვილი; მაყვალა გონაშვილი; რევაზ მიშველაძე; ჯანსუღ ჩარკვიანი; ლაშა თაბუკაშვილი; ბადათერ არაბული; თამაზ ჭილაძე; გურამ დოჩანაშვილი; მამუკა ქაცარავა; დავით მალრაძე; მერაბ ბერძენიშვილი; გურამ გოგიაშვილი, ვაჟა აზარაშვილი, გივი თოიძე, გიგა ბათიაშვილი; დავით თედორაძე; თეიმურაზ ლანჩავა; ჯემალ ინჯია; რეზო ჭეიშვილი; გურამ ბათიაშვილი; ბაჩანა ბრეგვაძე; სოსო სიგუა; ზაალ ბოტკოველი; ვახტანგ ჯავახიძე; რეზო ამაშუკელი; ბესიკ ხარანაული; ლია სტურუა; რეზო ჩხეიძე; ელდარ შენგელაია; ზურაბ ნიჟარაძე; თენგიზ არჩვაძე; გოგი ქავთარაძე; დალი ფანჯიკიძე; პაატა ბურჭულაძე; დავით შემოქმედელი; გივი ბერიკაშვილი; კახი კავსაძე; მერაბ კოკოჩაშვილი; ლანა ლოდობერიძე; გიორგი შენგელაია; ტარიელ ჭანტურია; ბადრი ქუთათელაძე; ზურაბ ნიჟარაძე; კახა ცაბაძე; ვახტანგ დავითაია; მარიკა ლორთქიფანიძე; რობერტ სტურუა; თემურ ჩხეიძე; გურამ ბარნოვი.

oTar soxaze

ramac kargad Semaswavi a
ufli is aTi cneba

ვის მოვუხმო, ვის ვაუწყო, რომელს ბრძენს, თუ მწერალს
 თუ საიტკენ მიმაქანებს, ჩემი ბედისწერა!?.
 სიჭაბუკე უკან დამრჩა, ოცნებათა წყარო
 და ვიქნები ქვეყნად კიდეც, _ თუკი ბედი მწყალობს.
 მართალ სიტყვას ვიტყვი კვლავაც, ჩემეული გზნებით,
 რომ მოვქარგო დარჩენილი წუთისოფლის წლები.
 სიყვარული იყო მუდამ, ჩემი გზა და ხიდი,
 ამ ცხოვრების თანამგზავრი და მიზანი დიდი.
 დღესაც დამრჩა, მუდამ მქონდა მე მამულის ვალი
 და მიმზერდა მზის დისკოდან, მაცხოვარის თვალი!
 იყო, მიზანს ვერ ვაღწევი, არ მწყალობდა ბედი,
 თუმც არასდროს მომიხრია არავისთვის ქედი.
 არც არასდროს არ ვყოფილვარ ცხოვრებაში უქმად,
 არასოდეს მიჭამია სხვისი მწარე ლუკმა.
 სიმღერა და ლექსი იყო _ ჩემი სისხლთაგანი,
 ამიტომაც არ დავკარგე ჭეშმარიტი კვალი!..
 სიკვდილს ვგრძნობდი, მაგრამ მხდალი, _ არ ვყოფილვარ, _ არა.
 ამიტომაც მან სიცოცხლე უფრო შემაყვარა!
 მეც ფიცვერცხლით სავსე შევსვი მეგობრობის თასი,
 რამაც კარგად დამანახვა სიყვარულის ფასი.
 სიყვარულის გულისთქმა და კეთილი ნება,
 რამაც სრულად შემასწავლა უფლის ათი მცნება!..

... roca CemSi xar ...

გული გიბოძე თაიგულად, მოგართვი კდემით,
უშენოდ ცუდად ვარ, უშენოდ ავად ვარ, უშენოდ ვკვდები!
არ დაივიწყო, გენაცვალე, რაც იყო წინათ,
დარჩენილ სიცოცხლეს, მცირე წლებით უსიტყვოდ გწირავ!
არ მინავლულან, არ დამცხრალან, განცდები ჯერაც
მე შენ გენდობი, შენ მიყვარხარ, მე შენი მჯერა!..
შენს სილამაზეს, კდემას შენსას, შეჰნატრის ბევრი,
შენი სხეული, _ გენიოსი მხატვრის შედეგრი!..
ო, რომ იცოდე, რომ იცოდე, _ რარიგად გშვენის,
ბაგეთა ვარდი, _ მომნუსხავი ღიმილი შენი!..
წლები გადიან, შემოდგომა, _ სულს რომ ანაზებს,
რასაც ვერ შეცვლის ვერაფერი, ამ ქვეყანაზე?!
არამქვენიურ სამყაროდან, მოსული სულად,
როცა ჩემში ხარ, _ არ მაშინებს სიკვდილი სულაც!
დადგება ჟამი, უღმობელი, _ მე ჩემ გზით წავალ,
და ამ ცხოვრებით კმაყოფილი, საფლავში ჩავალ!..

პაპ

irma kecxovel i

გამეორებული გაკვეთილი?

სწავლაო სიბერემდის, გავლაო ორმოც წლამდე,
 შთაგონებული დედით და მამით, პაპა და ბებო
 ყოველთვის გვახსოვს,
 და მართლაც წლები და ბევრი წლები
 ისე გვაშორებს იმ გაკვეთილებს.
 ვიმეორებდით სონეტის ფრაგმენტს, როცა წააგავს ჩამოქნილ სიმებს,
 და კიდევ იმ დროს, როცა ვსწავლობდით
 ჩვენს გაკვეთილებს.
 გულში კი ვამბობთ, იმ გაკვეთილებს?
 ცხოვრებისეულს?
 ხშირად რომ ვახსენებთ?
 ალბათ შენც გიჭირს გულისტკივილით,
 როს გაიხსენებ იმ გაკვეთილებს.
 დედა და მამა, პაპა და ბებო – გაკვეთილები არის სათუო,
 და იცით რატომ, თაობის ცვლაში ის გაკვეთილი არ მეორდება.

რალაც-რალაცები

შემეკითხეთ, მტკივა? _ გიპასუხებთ კი,
 შემეკითხეთ, მცივა? _ გიპასუხებთ კი,
 შემეკითხეთ თბილა? _ გიპასუხებთ კი,
 შემეკითხეთ გრილა? _ გიპასუხებთ კი.
 რად მაწუხებთ კითხვით,
 როცა მტკივა _ მე,
 რად მაწუხებთ რისხვით,
 როცა მცივა _ მე,
 რად მაწვალებთ შიშით,
 როცა მიყვარს _ მე,
 რად მაშინებთ თალხით,
 როცა მზარავს _ მე.

როგორც გენებოთ

როგორც გენებოთ, ასე რად ისმის,
როგორც გენებოთ, ასე რად არის,
როგორც გენებოთ, ისე მწარეა
როგორც გენებოთ, ასე არ მინდა.
როგორც გენებოთ, ისევ ის მინდა,
როგორც გენებოთ, ისევ ის მესმის?
როგორც გენებოთ, ისევ მანდა ხართ?
როგორც გენებოთ, თქვენით ვიყავი.
როგორც მე მნებავს, ისე არა ვარ,
როგორც მე მნებავს, ისევ მახსოვხართ,
როგორც მე მნებავს, ისევ ის მოჩანს,
როგორც მე მნებავს, ისევ აქა ვარ.
როგორც მე მნებავს, ჩვენ გვიხაროდეს,
როგორც მე მნებავს გაგვაგებინეთ,
როგორც მე მნებავს, ყველა სულისთქმა,
როგორც მე მნებავს? მინდა მიყვარდეთ.

თანამედროვე ოროველა

ოროველა შემოსძახე, ბიჭო გვაგვიანდება,
ჭერი თავზე არ დაგვენგრეს,
ნუთუ არ გედარდება?
ოროველა შემოსძახე, ბიჭო გვაგვიანდება,
თოკი შენსკენ რომ მოსწიე
ნეტავ ღონე გეყოფა?
ოროველა შემოსძახე, ბიჭო გვაგვიანდება;
სხვები წყალსაც წაუღია,
ჭერი თავზე გვენგრევა;
ოროველა შემოსძახე, ბიჭო გვაგვიანდება,
შენი ვარ და, არა სხვისა,
ნუთუ არ გედარდება?
მოდით ახლოს, ნუ გარბიხარ,
თორემ გვაგვიანდება,
ბიჭავ, მოდი, ბიჭავ, ჩქარა, ყველგან გვაგვიანდება;
რალაც მოჩანს, რალაც ფრინავს,
გვიანდება,
ღამდება.

ჯერ ზამთარი არ დამდგარა

ფიფქებო და ფანტელებო, ხომ შემპირდით მაშინ,
რომ დაიცვათ სიცივისგან ჩემი თეთრი სახე.
ის ისეთი მიმნდობია, თქვენ ხომ მაინც იცით,
ფიფქებო და ფანტელებო, ნუ დამიჰკნობთ სახეს.
ალამაზებთ ჩემს სამყოფელს, ხომ გამიღებთ სარკმელს,
ისე ნაზად ეგუებით გარემოს და სახლებს,
ფანტელებს და ციციქნა ფიფქებს ზეცა უხვად აკმევს,
მენანებით, რომ დადნებით, თქვენც ხომ სითბოს აბნევთ!
ფანტელს მუდამ ფიფქი მოსდევს, ესალმება გზაში,
ცდილობს, გვერდი აუაროს, ეხმარება სვლაში,
ხანდახან კი ეჯიბრება ელვარების ცდაში,
ყველამ ვიცით, თავის დრო აქვს სილამაზეს ცვლაში.
დრო ხომ დადგა, სიცივისგან თავს ვეღარ დავიცავ,
მხოლოდ ვუმზერ თქვენს სითეთრეს, სილამაზეს ვფიცავ.
ხანდახან კი მეცოდებით, ისე უცებ ქრებით,
მეც მომეცით დრო და სითბო, მეც ხომ უცებ ვდნები.
ფიფქებო და ფანტელებო, ხომ შემპირდით მაშინ
ნუთუ მოხვალთ, რომ დაინდოთ ჩემი თეთრი სახე,
ისევ თქვენი იმედი მაქვს, მოციმციმე ზამთრის,
ფიფქებო და ფანტელებო, ნუ დამიჰკნობთ სახეს!

ღაღ

nino morci! aze

რომ ვიცოდე, რომ ...

რომ ვიცოდე, რომ მაქვს ერთი კვირა,
 სანამ სიკვდილი ჩამჭიდებს ხელებს,
 სანამ იმ ქვეყნის შავი პალიტრა
 ამგლოვიარებს ტრაურულ ფერებს –
 მოვეფერები ქვეყნიურ მზეს და
 მივცემდი ნებას ბოლომდე დაწვის
 გავუღელავდი იმ წვიმას გულ-მკერდს
 ზეციდან ბოლოჯერ რომ დამაწვიმს!
 ფეხით მოვივლი სამშობლოს კერებს,
 ვეამბორები დავითის საფლავს,
 ბოლოჯერ ვნახავ სვანეთის კოშკებს,
 ნგრევის პირას მდგარს, სულს ძლივს რომ დაფავს...
 პიტალო კლდეზე ოთხით ავძვრები,
 მიწას დავკოცნი, სურნელს შევიგრძნობ მშობლიურ მიწის...
 ასე მგონია,
 მარადისობას მაშინ შევიცნობ!
 როგორ წავიდე ქვეყნიდან ისე
 „დედასწართმეულ შვილის“ გარეშე... –
 აფხაზეთს ვნახავ, სოხუმს, გაგრას და
 ფიქრში ავლაგმავ მტერთა თარეშებს.
 შემდეგ წამოვალ ისევ თბილისში,
 შევიგრძნობ სუნთქვას ძველი ქალაქის,
 დავკოცნი კედლებს, ისეთ ადგილებს,
 სადაც ცხოვრებაც არ სურს არავის...
 გავივლი ლაღად მე ჩემს ქუჩებში,
 ვნახავ გამოწვდილ პატარა ხელებს,
 ამ ხელებს მაგრად ჩავჭიდებ, ვეტყვი:
 „მე აგაშორებ შენ ქუჩის მკვლელებს“
 და რას ვიზამდი? სამი დღე დამრჩა
 დავივლი ყველა ახლობლის კარებს
 მოვეფერები, გულს გადავუშლი

და სინანულის ჩამოვკრავ ზარებს...
პატიებას ვთხოვ, რაც კი მითქვია
რაც არ მითქვია, ან რაც ვყოფილვარ
„თუ გაწყენინეთ რამე _ შემინდეთ
უცოდველი ხომ არვინ ყოფილა...“
თუ ღმერთი მომცემს მე ამის უნარს,
ყველას დაგიწერთ ცალ-ცალკე ლექსებს,
იმ გრძნობის ძალის მონაგლეჯს დავტევ,
რასაც ეს გული წლებია იტევს!
გრძნობა, მოპყრობა, სითბო, ალერსი
რა შემოდლია, სხვა შევთავაზო
სიკვდილს დარჩენილ სულის ნაწილი
ქვეყანაზე ხომ სულ მეტად ფასობს
და სიკვდილამდე ერთი დღით ადრე
მე მივიდოდი უფლის ტაძარში,
ვეზიარები... მოვინანიებ ცხოვრებას
სულ ორიოდ ფრაზაში...
სალამოს სახლში მისული, სევდა
გარემომიცავს არსებას ურჩი,
ვინატრებ კიდევ რამდენიმე დღეს
თუ ამ განსაცდელს მე გადავურჩი.
ჩემი ოცნება ხომ სახელია
გმირობა, რითაც სული ცხოვდება.
ისე არ მინდა სიკვდილი, თუკი
ეს სურვილები დარჩა ოცნებად...
ვინატრებ: ხვალე, ნეტა, უფალმა
გამომიგზავნოს მე ხსნის მესია...
რომ ავასრულო მე ჩემი ვალი
და მოვკვდე ისე, როგორც წესია.
მაშინ ნაკლებად დამწყდება გული,
მხოლოდ ტკივილი ჩუმი იელვებს,
სიკვდილის ავი თვალების პირას,
როცა სიჩუმე სულს შეიერთებს...

ბაგ

 *Temur Waxnakia*

მე მონატრების სიომ დამქროლა

შენზე ფიქრებმა ისევ დამამხო
ვეღარ გიგზავნი რჩეულის ამბორს,
მე შენი ლანდი ეხლა სად ვნახო
ვეღარ გავუძლებ ჩემს სულში ამბოხს.

ჩემი თითები სითბოშიც თრთოდა,
იქ როიალი ჩუმად მღეროდა,
და სულში მხოლოდ ცრემლები თოვდა
მე სიმარტოვე შენგან მელოდა.

და წამი ჩვენში უცებ გაჩერდა
ეს მონატრება გრძნობიდან დამცლის,
თითქოს საათმა ჩვენთვის გაჭედა
და დავინახე სიმხდალე ამ წლის.

წამი გაჩერდა დრო კი გვაბერებს
ეხლა ვინატრე ვიყო რობოტი,
მახსოვს, გიშვებდი ჩემგან ნაფერებს
და გამალებით უკან მორბოდი.

ეხლა მე ვგავარ დამხრჩვალ მეგობრებს
ზღვის ტალღები რომ საბნად ეხურა,
გულს გადავუშლი ისევ მეგობრებს
დავიწყებ წრიალს როგორც ბელურა.

ოცნება, ალბათ, ფიქრებად დამშლის
სევდამ შემიპყრო ისევ მახოხა,
ხვალ ანგელოზი თავის ფრთებს გაშლის
შენ კი უჩემოდ ისევ მარტო ხარ.

ოცნება

მე რომ შემემლოს ცხოვრება ყველგან
მე ავირჩევდი ისეთ სამოთხეს,
სადაც ფიქრებში ვიყავი წელან
და ამ ფიქრებში ჩირქი არ მომცხეს.

მე ვიცხოვრებდი ედემის ბაღში
ფერად-ფერადი ყვავილთა ცქერით,
როგორც სიწმინდე პატარა ბაღში
მეც მექნებოდა ოცნების ფრენით.

რომ ვიპოვიდი სადმე მინდორს ყვავილით მორთულს,
სადაც გაისმის ანგელოზთა ნაზი სიმღერა...
და ამ მინდორში წყარო ანკარა ჩუმად რომ მოჰქუხს
იქვე ზამზახმაც კისერი, რომ წყალს მოუღერა.

და მაშინ ვიტყვი, რა ლამაზია ოცნების ფრთები
წამში, რომ გაშლის სიჩუმესი დიად მწვერვალებს,
ეს ჩემს ფიქრებში აგებული სამოთხის მთები
უმაღლესი, რომ აქცევს ბრწყინვალეზად ამღვრეულ თვალებს.

სწორედ იმ თვალებს, რომელთა მზერაც ცას გადასწვდება
და ცის ზემოთაც იპოვის ადგილს, სადმე მხრიარულს,
მაგრამ, როდესაც რაღაცაზე გული დასწყდება
მეც დამიჯერეთ, ისიც შეწყვეტს უმაღლეს სიარულს.

ისევ და ისევ

ისევ დაიწყებს ზღვა ჩუმად ღელვას
და გავუყვები ნაპირს ფეხებით,
დრო წამებს აქრობს გიჟურად, წელავს
ჩვენ კი ერთმანეთს ვეღარ ვეხებით.

ისევ აცხუნებს მზე ციდან სხივებს,
დრო კვლავ ილევა ჩუმი დღეებით
მე შენ მოგართმევ ლურჯ და თეთრ იებს,
მაგრამ ერთმანეთს ველარ ვეხებით.

ისევ დაიწყებს ღრუბლები ფანტვას
ცა დაიქუხებს ელვა-მეხებით,
მე შენ გასწავლი სილაში ხატვას,
მაგრამ ერთმანეთს ველარ ვეხებით.

ისევ ფიქრებში აჩენილ ვნებას
სიშორის მწარე ავი წნეხებით
ჩვენ სიმარტოვე ერთად კი გვნებავს,
მაგრამ ერთმანეთს ველარ ვეხებით.

ისევ ანგრევენ ქვიშას ტალღები,
ტყე კი ქარს ებრძვის წიფლის ხეებით,
ტირილს დავიწყებთ, როგორც ბაღლები,
მაგრამ ერთმანეთს ველარ ვეხებით.

ისევ თრთის შენი ბაგე-ტუჩები,
სახე სველდება ცრემლის წვეთებით,
მე ამ ტკივილებს გადავურჩები
და ჩვენ ერთმანეთს კვლავ შევეხებით.

ძნელია

ძნელია, ერთხელ დახუჭვა თვალის
როცა იცი რომ ველარ გაახელ,
ძნელია, ერთხელ გადახდა ვალის
როცა შენ ცოდვებს სხვებთან გაამხელ.

ძნელია, გულში სიყვარულს კლავდე
მერე ჩააქრო ოცნებაც ლურჯი,
ძნელია, მე რომ გრძნობა გადავდე
და შევიქენი ყველასთვის მუნჯი.

ძნელია, დარდებს მიეცე ხშირად
ჩააქრო გულში სანთელი შენით,
ძნელია, გახდე მგოსანი გმირად,
უნდა დაწერო ვაჟკაცის ენით.

ნეტავ, ოცნება ხდებოდეს ცხადში
სახის ხელებში ჩამალვით მხოლოდ,
მე ვწერდი ამ ლექსს დეკემბრის ათში,
მე ოცნებებით ვსუნთქავ და ვცოცხლობ.

მაგრამ ოცნება ზოგჯერ ფარსია,
ზოგჯერ დუმილი ცოდვას რომ ახლავს,
და ცხოვრებაა ცოდვის კაკალი,
რომელშიც მე ვარ ჩაფლული ახლა.

მ ე ლ ა ნ ქ ო ლ ი ა

ცა მოიღრუბლა, აქუხდა ზეცა,
ნისლი ეწვია დაჭყეტილ თვალებს.
მგონი ღრუბლები თავზე დამექცა
ჯანდი მოეკრათ სოფლებში თავლებს.

ისევ აღიმრა მოგონებები,
ისევ დამთოვა ყველგან თოვლია,
სულს მიხუთავენ შენზე ვნებები,
მხოლოდ შემომრჩა მელანქოლია.

მე და მზე უხმოდ ზეცაში ვიწვით
და ზღვის ნაპირზე მდერის თოლია,
ეხლა სახეზე ოფლი მდის სიმწრის,
ისევ მაწამებს მელანქოლია.

გავალ ქუჩებში, დავიწყებ წრიალს,
შემის ნამწვავის შავი ბოლია,

სუსხი კლავს სითბოს, ზეცაში მიაქვს,
მე მრჩება მხოლოდ მელანქოლია.

გზა გავიარე, ქალი დგას ვიღაც
არ ვიცნობ, ალბათ, ვინმეს ცოლია,
მიმზერს თვალებში შემლილს რომ მიგავს
და შიგ კითხულობს მელანქოლიას.

ო, ცხოვრებაში აქ მონატრების
და დარდის მეტი მე რა მქონია?!
ისევ მეცემა ციდან ფანტელი,
ისევ მიღიმის მელანქოლია.

ღაღ

nino xosroSvil i

...da vswavl obT mraval s...
(vuZRvni prof. al . siWinavas)

დაჟინებული ვესწრაფვით ცოდნას,
ვისრუტავთ ცნობებს კარგად თუ ავად,
ვიღრმავებთ ნასწავლს _ ცნებათა მარაგს,
ვალრმავებთ თემას, რომელსაც გვაწვდის
ქართველთა ზედით გულანთებული
ლექტორი ჩვენი ალ. სიჭინავა.
ავგისხნის ბაზარ-მარკეტის მართვას _
_ ვინ როგორია მმართველი კარგი,
რათა გავიგოთ მართლა და მართლა
ინვესტიციის ცოდვა და მაღლი _
_ განვითარებას რა უშლის ახლა...
_ ეკონომიკის რა დანაკარგით
ვმართავთ ამ ქვეყნად, ამჯერად, თავად,
ჩვენი უნარით, შესაძლებლობით,
რით დავამარცხოთ ქართველთა თვალში
ძირ-ფესვ-გამჯდარი მანკი და სენი
ზარ-მა-ცო-ბა... და... თავს ვერ ვცნობთ, მახლას!
_ ვინ არის მტერი _ ჩვენ თუ ესენი...
_ თუ შეიძლება, გთხოვთ, განგვიმართოთ
_ ჩვენო ლექტორო, კიდევ ახსენით...
და, აი, ისიც მხნედ გვიხსნის თავად...
რომ გაგვინათლოს გონი და ერი...
მოგვნატრებია ლექტორად ბევრი,
როგორიცაა გვყავს ალ. სიჭინავა.
ლექციას მოსდევს სემინარები,
თემებს _ თემები, და... ვსწავლობთ მრავალს...
რაც გუშინ ვიყავთ, დღეს მას არ ვგავართ...
შესვენებაა. ლექტორი აქ გვყავს,
აგრძელებს დისკუტს, შესვენებაზე გარეთ არ გავა,
ეკონომიკის ხვეულებს ვჩარხავთ
ჩვენ და ლექტორი ალ. სიჭინავა.

აკადემიკოს ლორიკ მარშანიას
ნათელ ხსოვნას

„ათასად გვარი ფასდება
ათიათასად ზრდილობა“,
ორივეს ფლობდი სრულყოფით
ამას არ უნდა ცილობა.
შენ გამშვენებდა ვაჟკაცის
მრავლად მრავალი ღირსება,
შენს სიკვდილს, ბატონო ლორიკ
ეს სული ვერ ეთვისება.
მე უსინათლო მოხუცი
ყურმილით დაგიკავშირდი.
შენთან საამო საუბრით
ვტკბებოდი თითქოს ფრთებს ვშლიდი.
სტუმრობას შენსას ჩემს სახლში
ვნატრობდი, გელოდებოდი,
ვერ ვიფიქრებდი ცუდ ამბის
თუ მოწმე შევიქნებოდი.
შენმა მეუღლემ იმ ქვეყნად
დიდხანს ვერ გასძლო უშენოდ
თავისთან გიხმო რომ იქაც
მხარი კვლავ თქვენ დაუმშვენოთ.
ახლა კი ორივე ზეცაში
დიდ წინაპართა შორის ხართ.
აქ კი ოჯახს და ქვეყანას
ნამდვილად დიდად აკლიხართ.
ღმერთსა ვთხოვ ხორცი შეესხას,

რაც იყო შენი ოცნება,
მალე ჩვენს ხალხებს აეწყოს
კვლავ ერთად ტკბილი ცხოვრება.
სიტყვებს დავემებ შესაფერს
დატვირთულს შენზე ფიქრებით.
აქ თუ ვერ შევხვდით ერთმანეთს
მანდ ხომ სულ ერთად ვიქნებით.
მშვიდობით ლორიკ ბატონო,
მსუბუქი იყოს თქვენთვის ეს მიწა,
რომელზეც მიწვა ბევრი აფხაზი,
რომელზეც ბევრი ქართველი მიწვა.

ღაღ

mari / ondarize

* * *

მუხლებზე მიდევს შენი სურათი
 ფოთოლოვანა _
 აბასთუმანი...
 ვიღაცა ცეკვავს დარდის უბანში,
 სუსტი ხველაა _
 აბასთუმანი...
 მუხლებზე მიდევს შენი სურათი...
 შემოდგომაა თავისთავად
 აბასთუმანი.
 ისევ აცეკვდა დარდის უბანი,
 რა ბილწი დღეა...
 აყვირდა ოცხე.
 ვიღაც გასმახის
 მშვიდ მეუზოვეს: ამირა, ფორცხე!
 მუხლებზე მიდევს შენი სურათი,
 ფოთოლოვანა _
 აბასთუმანი.

* * *

ზაფხულის ხვატით
 დაალხული მწიფე თავთავი
 გულის სიღრმეში შემოვსულვარ
 განთიადივით...
 მომალამუნე ეგ ოცნება
 გამოტილ სხივით,
 ნიავეპარივით მიმაწვინე
 ვაჟკაცის მკერდზე.
 პეპელასავით გავიქროლებ
 შენს ვარდისფერში,
 შეგიკრავ სუნთქვას
 გავიტაცებ მზერას დაღალულს...

ისევ მომიხმობ, გამომიხმობ
საოცრებიდან...
ფერთა სილაღე აცეკვდება
შენს ბაგეებზე,
დაფრთხება სევდა,
იზეიმებს გულის სიშიშვლე...
ოლონდაც ისევ...
ზაფხულის ხვატით
დაალხული მწიფე თავთავი
ნიაქპარივით მიმაწვინე
ვაჟკაცის მკერდზე.

* * *

ბავშვის სიცილი მესმის,
სივრცეს მოაპობს ხმა.
ცხოვრების მტანჯველ წესით
ესეც წარმავალს ჰგავს.
გულს შემოდგომა ძარცვავს
როგორც ქარდაკრულ ხეს,
ბნელით ავსებულ საფლავს
შიშის ბურუსში ხვევს.
ბოლო ეცლება სიცილს,
ღამე ეშვება კვლავ,
მხოლოდ ხვალის მზემ იცის,
თუ რა მოხდება ხვალ.

* * *

შენაც გაწუხებს
ჩემეული სიცარიელე...
თითქოს ჩამოკრა მარტოობის
დიდმა სიბერემ,
თვალეებს ჭერი და...
საწოლიღა შემორჩენია,
მზე გაიყინა, ჩვეულ რიტმში
ველარ ვიმღერებთ...
მტრედის ღულუნით გათენდება
ხვალინდელი დღე,
მტრედის ღულუნით დაღამდება
ისევ თვალეებში,

მიგვეძინება ყველასაგან
მიტოვებულებს,
უკვე ზედმეტებს, იაფიან
წამლით გაღეშილთ...
ჩავეჭიდებით განწირულნი
საწოლის კიდეს,
მომავლის თვალი არ დაგვინდობს,
თავისკენ მიგვწევს...
თუმცა ჯობია, ადგილიდან
გადავინაცვლოთ...
ვიდრე უსასოდ ამ საწოლში
პირადმა ვიწვეთ.

* * *

ახლა ცეცხლია
შენს გარშემო იწვის მიდამო...
შენთან მოსვლისას
ყვავილებთან უნდა ვიდაო...
ახლოს მოვალ და...
უსიცოცხლო მხედება სხეული
მოფერებას და ქალურ სითბოს გადაჩვეული.

* * *

იწვიმე, წვიმავ,
გამითბე გული
შენი სიცივით...
მივყვები ქუჩას,
გავმხიარულდი...
ბაგეზე მითრთის
შენი სიცილი...
შემოვალ შენში,
ღამეა ისევ,
შენი ფარული ფიქრები მშველის,
მოვდივარ თრთოლვით,
მოდინარ ჩემში,
ბაგეზე მითრთის შენი სიცილი.
იწვიმე, წვიმავ!
იწვიმე, წვიმავ!
გამითბე გული
შენი სიცივით.

* * *

ზღვას გადაკვროდა
მუქი ზოლები,
ზღვა ნამთვრალევი
ნაპირს კოცნიდა,
მზე გადავიდა
მთისკენ ზმორებით,
როცა ქალწული
ნაპირს მოცილდა...

* * *

ათასი ცივინათელა
შეკრებილიყო ერთად,
თვალეზს ნაბავდა სიცოცხლე
მიმქრალეზულის ფერთან.
თმეზი ეყარა გიშერის
ბრილიანტების თვლეზთან,
ბუხართან დიდხანს მოხუცი
ფიქრით დაღლილი თვლეზდა.

* * *

დადგა ზამთარი
სული, გონების...
ჩაბნელებულა სვენა...
არის თალხი და
არის გოდება
ფიქრი...
ფიფქების ცვენა...
მიძინებულა სულიც
მზესავით,
მხოლოდ სხეულით დავალ...
მიყუჩებული სადღაც ბნელეთში
ო, მეც არ ვიცი, რა ვარ!
ჩაფერფლილი მაქვს
სხივი თვალეზის,
გული უგულოდ დამაქვს.
სურვილი იყოს?!
შევებრძოლები
მთიდან მოხეთქილ არავცს!

* * *

ო, უღმობელმა ქუხილმა
ზაფხული ზათქით გააპო,
ალარ მსურს შენი ფოთლები,
ცივი ნამცვრევით დამალბო.

თალხი ფოთლების ამარას
გული ვერ მომეხალისა,
სევდამ ნაოჭით დამალა
სახე ლამაზი ქალისა.

გაფანტეთ ყველა ფოთოლი –
დარდი ყვითელი ფერისა!
რად მინდა ეს სილამაზე
ღიმილი თუ არ მეღირსა?!



☞ *medea Subl aze*

onavaras Canaxa tebi

ს ა ჩ უ ქ ა რ ი

ჩემს დაიკო თეკლას ხვალ 4 წელი უსრულდება. დაბადების დღე აქვს... და ძალიანაც უხარია. წინასწარ ადგენს საჩუქრების ჩამონათვალს---იცის დედა რასაც ყიდულობს, ბებო რას გამოუცხობს, ბაბუა სად გაასეირნებს, მამიკო რასაც შეჰპირდა-- აუცილებლად შეუსრულებს, მხოლოდ ჩემგან რას მიიღებს საჩუქრად---ეს არ იცის!

20-20 თეთრობით შევაგროვე 3 ლარი და აქვე ჩვენს ჯიხურში გოგონების თმის სამაგრი მაქვს შერჩეული, რომელიც 2 ლარი და 60 თეთრი ღირს. 15 ცალი ოცთეთრიანის თრევა ადვილი ხომ არ გგონიათ, ჯიბე ისე მაქვს დამძიმებული და ისე--ჩხრიალ-ჩხრიალით დავდივარ-- რომ მნახოთ გაგიკვირდებოდათ, მაგრამ არაუშავს, დღეს გაკვეთილების შემდეგ, სკოლიდან რომ წამოვალ, გავივლი ჯიხურთან, ვიყიდი საჩუქარს და გავახარებ ჩემს დაიკოს!

აი, ბოლო გაკვეთილიდან გამოსასვლელი ზარის ხმაც გაისმა. ოთახიდან ყველას გამოვასწარი და ჩხრიალ-ჩხრიალით გამოვიქეცი ჯიხურისაკენ! დავაკვირდი, სადაც მეგულებოდა შერჩეული საჩუქარი....იქ აღარ იდო!

უკვე გაიყიდა? ისე დამწუხრებულმა შევეყვირე გამყიდველს, რომ გაკვირვებით შემომხედა. ლულ-ლულით ავუხსენი მას ჩემი გასაჭირი.

---იმაზე უკეთესია ეს სამაგრი-- მითხრა მან და მართლაც ლამაზი თმისსამაგრი მომაწოდა. საქმე ის იყო, რომ ფასი ჰქონდა--3,2 ლარი.

---მე სამი ლარის მეტი არ მაქვს, --ვუთხარი გამყიდველს და ჩემი 15-ვე 20-თეთრიანი დავუყარე დახლზე!

--შენ გაიხარე ბიჭუნო, სწორედ რომ ხურდები მჭირდებოდა, ---წაიღე ეს ნივთი და არ იდარდო არაფერზეო--მითხრა გამყიდველმა. ხომ ხვდებით რა დამემართებოდა....

ხვალ დილით ვაჩუქებ ამას თეკლას, აუ...რა გაუხარდება!

ჭ ა დ რ ა კ ი

სალამურზე დაკვრის გარდა, ბაბუა მე ჭადრაკის თამაშსაც მასწავლის. თეკლასაც ასწავლის, მაგრამ მას სრულიად არ აინტერესებს ჭადრაკის თამაში--იმას ფიგურების ჩხრიალი უფრო იტაცებს. დაფაზე რომ ფიგურებს განვალაგებთ --თეკლა პროტესტს გამოთქვამს---მე მინდა.... 2 ფიგურა მაინც დამიტოვეთო და მერე დიდი მონდომებით ელოდება როდის მომიკლავს ბაბუა რაიმე ფიგურას, ბაბუაც ცდილობს თეკლას გახარებას --და მიკლავს და მიკლავს ზედიზედ ..., თუ გავაპროტესტე ასე მეუბნება---შენ მაძლევ და მე არ ავილოო?დაკვირვებულად ითამაშე და არ დაკარგავ ამდენ ფიგურასო!

ერთხელ ბაბუა ჭადრაკს მეთამაშებოდა და თან ტელევიზორს უყურებდა--რადაც ძალზე საინტერესო გადაცემა იყო. მე ისე მქონდა საქმე --- ორ სვლაში ეტლითა და ლაზიერით - შამათი მელოდა. თეკლა იქვე იჯდა ბაბუას სავარძელთან ნოხზე და ჭადრაკის ფიგურებს აჭახუნებდა. ბაბუა დიდი ყურადღებით უსმენდა დიქტორს---მე მოვიფიქრე ეშმაკობა--თეკლას წაფურჩულე.

ბაბუას ეტლი წინ წააჩოჩე ერთი უჯრით-მეთქი, ამით ჩემი მეფე გასასვლელს მიიღებდა და შამათს აიცილებდა თავიდან! თეკლა მიმიხვდა რასაც ვთხოვდი, არ დაიხია უკან და გასწია ბაბუას ეტლი ერთი კი არა ორი უჯრით, ამით მან უფრო ცუდ დღეში ჩააგდო ჩემი მეფე!---

--გოგო რას შვრები-რას!--წავუთაქე თეკლას, --შენ არ მითხარი ეტლი გააჩოჩეო? ატირდა თეკლა. კიდევ კარგი, რომ საქმის გარჩევა არ მომხდარა--თორემ მე მაგრად მომხვდებოდა!

პ ი ნ გ - პ ო ნ გ ი

ჩემი მეზობლის ბიჭი ლუკა --ჩემზე უფროსია, მეოთხე კლასშია, მაგრამ სიმალლით ტოლები ვართ. მას აქვს პინგ-პონგის სათამაშოდ ყველანაირი მოწყობილობა და ჩვენ ხშირად ვთამაშობთ ერთად პინგ-პონგს. რა თქმა უნდა --თეკლაც იქვეა ჩვენთან--უმისოდ როგორ შეიძლება!-- ხანდახან თეკლა ხელს ისე გვიშლის, ფეხებში ისე გვედება, რომ გვამწარებს-- ზედ ხომ არ გადავუვლით ბავშვს, არადა პასი გვაქვს ასალები--სირბილი და სისწრაფვა საჭირო! თუ ვერ მოვზომეთ და მას ოდნავ შევხეთ ---ისე ხმამაღალ ყვირილს ატეხავს, ისე ხმამაღლა, რომ დედამ გაიგონოს და დამსაჯოს, ეზოდან სახლში ამიყვანოს. ვეხვეწებით ხოლმე, მე და ლუკა --ვეფერებით კიდევაც--იქით გადი, გოგო, იქით ---ჩვენგან მოშორებით ითამაშე-თქო, მაგრამ ჯიუტობს ერთ მეტრზედაც

კი არ გადის არაფრით. ან თუ კარგ ხასიათზეა და გავიდა - წავა სათამაშო მაგიდიდან ისე შორს, რომ ყურადღება სულ იმისკენ უნდა მქონდეს-- რაიმე არ დაიზიანოს, რაიმე არ იტკინოს.

იმ დღეს, შუადღეზე ტანის დაბანის შემდეგ, ლოგინში რომ ჩააწვინა, ბებიამ თეკლას კარგი ზღაპარი უამბო და ტკბილად დააძინა. მაშინ კი ვიხელთე დრო! გავიქეცი ლუკასთან, ავიღეთ კვერცხის ტოლა ბურთი, ჩოგნებიც, და გულდაჯერებულად შევუდექით პინგ-პონგის თამაშს. ერთი საათი ისე გავიდა არ დავლილვართ, რისი დაღლა---ხელს რომ არაფერი გვიშლიდა და „ჩოგანი არ მოხვდეს ბავშვსო“ იმაზე ფიქრი რომ არ გვაწუხებდა--ის რად ღირდა--- იცოცხლე მოვიძღეთ გული!

თ ე კ ლ ა ს თ ო ჯ ი ნ ა

თეკლას ერთი სასაცილო თოჯინა აქვს. ზიზის ეძახის მას. --ერთი მკლავი აქვს ისეთი ჩამოგდებული, რომ ---ვერაფრით ვასწორებთ - არადა მიმაგრებულია ტანზე ისე მჭიდროდ, რომ ჩამოგდებულს ვერ იტყვი. სხვამხრივ რა უჭირს--არაფერი--ყველანაირად გამართული თოჯინაა, მაგრამ შეხედავ თუ არა, მაშინათვე თვალში მოგხვდება მისი არაპროპორციული მკლავები!

--აქედან მოაშორე, გოგო, ეს მახინჯი თოჯინა, --არ დამანახოო---ეუბნება თეკლას ბებიაც და ბაბუაც, მაგრამ თეკლას ლიზი ეცოდება გადასაგდებად.

ერთხელ კარზე ზარის ხმა გაისმა. მე და თეკლა გავიქეცი კარის გასაღებად, რადგან დედას ველოდით---იგი მარწყვის საყიდლად იყო ჩასული და ჩვენ ერთმანეთს ვეჯიბრებოდით --არა მე მოვასწრებ მარწყვის აღებას და არა მეო!

გავაღეთ კარი, მაგრამ შევეცბუნდით: კართან იდგა ხნიერი ქალი და პატარა მოთხუპნული გოგო, რომელიც თოჯინა ლიზის დანახვაზე გაშემდა, გაწითლდა და შურიან თვალს არ აშორებდა მას..

ბებო მიხვდა, რომ რაღაცა ისე არ იყო და დერეფანში გამოვიდა. ქალი ფულის სათხოვნელად ყოფილა მოსული. ბებო შებრუნდა, ლარიანი და ახალგამომცხვარი ნამცხვარი გამოუტანა და მიაწოდა მას. ქალი გაბრუნდა, მადლობა თქვა და წასასვლელად მოემზადა, ხოლო ბავშვს ფეხი არ მოუცვლია--ისევ თოჯინას მისჩერებოდა. თეკლა მიხვდა, რომ გოგონას მისი ლიზი მოეწონა, არც კი დაფიქრებულა ისე გაუწოდა ბავშვს თოჯინა და უთხრა---წაიყვანე, ამას ლიზი ქვიაო. პატარა გოგომ ისე სწრაფად დასტაცა ხელი თეკლას თოჯინას და გულში ჩაიკრა --თითქოს შეემინდა ბებიამისმა არ წამართვასო!

ს ა ქ ა ნ ე ლ ა

სოფელში წასვლა ძალიან მეჩქარება. იქ ვაშლის ხეზე ჩამომიბავენ, ხოლმე, საქანელასაც და ჰამაკსაც. ჩემი ვაშლის ხე დაბალია---მძლავრი ტოტები აქეთ-იქეთ ისე აქვს გადაშლილი, მასზე ასვლა, გადამრომ-გადმოდრომა ძალიან ადვილია. კატასავით სწრაფად ავძვრები ხოლმე ხის კენწერომდე და იქედან ხელს ვუქნევ თეკლას, რომელსაც ორ ტოტზე მეტად მაღლა არ შეუძლია ამოსვლა, ამომცქერის გულდაწყვეტილი და მეხვეწება---მე ვერ ამოვდივარ, ცოდვა ვარ, შენ ჩამოდი და აქ ვითამაშოთო! მე არ ვუჯერებ, ვწყვეტ მკვახე ვაშლს, ვუმიზნებ მის ცხვირს და ვისვრი, ხანდახან მოვარტყავ მიზანში და მაშინ უნდა ნახოთ მისი მოთქმა--ამ დროს ჩვენებიც ძალიან მიბრაზდებიან, მაგრამ რას მომწვდებიან! რომელია ხეზე ამომსვლელი! თეკლა ტირილს რომ მორჩება და ისევ თამაშს შემომთავაზებს, დიდებს კი გაბრაზება გადაუვლით--მაშინ ვინებებ, ხოლმე, ხიდან ჩამობრძანებას და ჰამაკში ნებივრობას. თეკლა კვლავ ხვეწნას დამიწყებს საქანელაზე დამსვი და გამაქანეო. შარშან უფრო პატარა იყო თეკლა და სულ მე უნდა დამეჯინა საქანელაზე---ვერ წვდებოდა და იმიტომ ---თუ დავაჯენდი---მერეც მე უნდა მექანავებინა, რადგან ფეხებით მიწას ვერ წვდებოდა. წელს უკვე დიდი გოგოა, გაიზარდა სიმაღლეშიც და უფრო მოკკვიანდა. ისე ძალიან აღარ მალიზიანებს. ალბათ წელს მისით დაჯდება საქანელაზეც და თავის თავს თვითონ მოემსახურება, მე კი შევეცდები დავაკვირდე თოკი არ გაუწყდეს და არ ჩამოვარდეს, თუმცა მიწიდან არც ისე მაღლა იქნება საქანელა ჩამოკიდებული.

კ ო ნ კ უ რ ს ი

მე მეხუთე კლასის მოსწავლე ვარ. პირდაპირ მიკვირს რამდენი თემა მაქვს დასაწერი: ქართულის მასწავლებელი ხომ თემების დაწერას ითხოვს და -ითხოვს, რა გინდა სულო დაგულო რა სათაურებს არ შემოგთავაზებს---ეს წიქარაზეო, ეს კაკო ყაჩაღზეო, ეს აბესალომ და ეთერზეო, ეს კიდევ --როგორ ჩაატარე ექსკუესია მამადავითზეო---მოკლედ არ აქვს დასასრული. ახლა რუსულის მასწავლებელმაც თემის დაწერა არ მოგვთხოვა! რა ვიცი მე იმდენი რუსული, რომ თემა დავწერო? არადა დაგიწერს ორიანს და მიდი მერე სახლში და თამამად თხოვე მამიკოს დაპირებულ კალათბურთზე ტარება!

ჩემს დღეში ბევრი ბავშვი რომ იქნება ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, მაგრამ რა-მერე--- რას მიშველის მე სხვების ყურება? თუ რუსულის დავალემა

არ შევასრულე და თემა არ დავწერე---მშვიდობით ჩემო ამდენი ხნის ოცნებავ!-
--კალათბურთო!

რა ძნელი დასაწერია ეს ოხერი თემა „ბურთზე“. რა დავწერო არ ვიცი. ქართულად მაინც იყოს, რამეს მოვიფიქრებდი! ჩავრთავ კომპიუტერს იქნებ და რამეს წავაწყდე. კალათბურთი რომ მიყვარს იქაც ბურთი არ არის? მოდი დავწერ კალათბურთზე, აღვწერ წესებს, ვიხმარ სპეციალურად ძნელ სიტყვებს, ამ ჩემს წიგნში რომ წერია. ეს წიგნი რუსულ ენაზეა, მამიკომ მაჩუქა---ამით ისწავლი კალათბურთის ენასო. ამოვიწერე იქედან რაღაც-რაღაცეები, სიტყვები როგორც მესმოდა ისე შევეერთე, ჩავასწორ-ჩამოვასწორე და მგონი კარგი გამოვიდა.

რუსულის მასწავლებელმა კონკურსი გამოაცხადა, საუკეთესო თემა ვისაც გექნებათ გაიმარჯვებთო. წარმოადგინეს ბავშვებმა დედ-მამისა თუ ბებია--ბაბუების მიერ დაწერილი თემები, ვითომ იმათი დაწერილი იყო, მაგრამ---შენ მოატყუებ ჩემს მასწავლებელს? -- ასე კარგად შენ ვერ დაწერდიო ეუბნებოდა მათ და შემდეგ ნაშრომზე გადადიოდა. ჩემი რიგი რომ მოვიდა გავედი, არაფრის იმედი არ მქონდა --- ჩემი ნაშრომით მასწავლებელი დაინტერესდა, ბევრი რამ შემისწორა---მასე კი არა-ასეა სწორიო და ბოლოს ჩემი ნაწვალეები თემა მოიწონა,---კონკურსში გამარჯვებულად მე გამომაცხადა - გული სიხარულით ამევსო ---კალათბურთზე მამიკო აუცილებლად მიმიყვანს!!

ვ ა ნ ო

ვანო ჩემს სკოლაში სწავლობს, პარალელურ კლასშია და დიდი მეგობრები ვართ. დასვენებებზე ერთმანეთს მოვძებნით, ხოლმე და ბუფეტში ან დერეფანში, ან სკოლის ეზოში სულ ერთად დავდივართ. ყველამ იცის ჩვენი მეგობრობის შესახებ და როცა რაიმე სიცუღლუტის გამო, მას მშობელს დაუბარებენ---მე მავალეებენ ხოლმე უთხარი მაგის მშობელსო, რადგან არ ენდობიან-- იციან მისი სიცუღლუტისა და ეშმაკობის ამბავი--არ ეტყვის უფროსებს, ან მასწავლებლებს მოატყუებს---დედა ქალაქიდანაა გასული სკოლაში ვერ მოვაო.

ერთხელ ვანოს გაკვეთილზე ხმამაღლა გაუცინია და გარეთ გამოაგდეს. ჩამოიარა ჩემი საკლასო ოთახის წინ--შემოიჭყიტა და მანიშნა --შენც გამოაგდე-ბინე მასწავლებელს თავიო. ბევრი ვეცადე, მაგრამ არაფერი არ გამომივიდა!

ზარი რომ დაირეკა, ყველაზე ადრე გამოვარდი დერეფანში, მაგრამ ვანო ვერსად ვნახე. მეორე გაკვეთილზე საკონტროლო წერა გვქონდა--იმას ვერ გავაცდენდი- იმის მერე კიდევ ვეძებე, მაგრამ უშედეგოდ. გულდაწყვეტილი წამოვედი სახლში. მისი ნახვა ძალიან მინდოდა. მერე გავიგე თურმე ვანო

დირექტორს შეუნიშნავს--საკლასო ოთახის ფანჯრებში რომ იჭყიტებოდა --აქ რას აკეთებ, წამოდი ჩემთანო და ჩაუყვანია კაბინეტში.

---ისე შემეშინდა - დირექტორმა თავის კაბინეტში რომ შემიყვანა---ტირი-ლი მოვცხე--ვერაფრით ვერ გამაჩერა --- მეფერა, კი არ გამჯავრებია, მაგრამ რაღაცნაირად გული ამომიჯდა, ვერ ვმშვიდდებოდიო---მომიყვა ვანო.- ამის შემდეგ ვანო რომ ცოტა, დამშვიდებულა, --დირექტორს მანქანა დაუქოქავს და თავისი „ოპელით“ ვანო სახლში _ დედასთან მიუყვანია.

ი კ უ ნ ა

მოფერებით ი ა-გოგოს იკუნას ემახიან. იგი 2 წლისაა--ფრთხილად დააბი-ჯებს, მაგრამ მაინც ხშირად ეცემა--მუხლები სულ დაწითლებული აქვს, ცოტა რომ მოუშუშდება--მერე ისევ დაეცემა და გადაიტყავებს ხოლმე. ბებიამისი ექიმია და ნატკენზე მწვანე სითხეს უსვამს, იკუნა კივის არ ასმევინებს სითხეს, მაგრამ იმდენი ძალა სად აქვს! - ყოველივე ამის გამო, იკუნას მუხლები უმე-ტესად მწვანედაა შეღებილი.

ერთხელ დედას მეგობართან უნდოდა წასვლა, იკუნას წაყვანაც გადაწყვი-ტა, მაგრამ ფეხები ისე ჰქონდა მწვანედ დასვრილი, რომ ასე წასვლა სირცხ-ვილი იყო.

---თეთრ რეიტუსს ჩავაცმევ---მუხლები არ გამოუჩნდება და ისე წავიყვა-ნო-გადაწყვიტა დედამ.

იმ სიცხეში რეიტუსი ჩააცვს, სანდლები გადაუკრეს, თხელი შიფონის ლამაზი კაბა ჩააცვს და ისე წაიყვანეს ჩვენი იკუნა! ავტობუსის მოლოდინში, იამ კატა დაინახა -- გადადგა ნაბიჯი იმისკენ, რაღაცას ფეხი წამოსდო და ... დაეხეთქა ასფალტზე. უმაღლესი მიცვივდნენ, ატირებული გოგონა დედამ გულში ჩაიხუტა, მოეფერა, მაგრამ ბავშვი არ მშვიდდებოდა. როცა მუხლებზე რეიტუ-სი გაუწითლდა--ყველა მიხვდა, იკუნას ასეთი ძლიერი ტირილის მიზეზს. რა თქმა უნდა, ისინი სახლში დაბრუნდნენ რა დროს სტუმრად წასვლა იყო!

ბ ა ც

el ene demetraze

„ნიკოლა, ანუ
არარსებობის სიხარული“ (მინირომანი)

„Nicholas
or The Pleasure of Eternity“ (Mini Novell)

„Николя,
или Радость Небытия“ (Мини –роман)

*„თუკი ვინმეს სურს, რომ შეიგნოს სიცოცხლის არსი,
თავდაპირველად უნდა იგივე სიცოცხლე მოსპოს!“*

გოეთე.

1

დაზამთრებულ ქალაქში გადაუღებლად წვიმდა. მხოლოდ ორიოდე წუთით წყდებოდა წვიმა, მერე კვლავ თქეშად მოდიოდა. ზამთრისთვის ამ მეტად უჩვეულო ამინდში ქალაქი ნამალადევად პირდაბანილს ჰგავდა. დილიდან გამოსულიყვნენ სახლებიდან განუყრელი ძმაკაცები ნიკო და ლევანი, სამსახურში აღარც შეუვლიათ, ტალახიან ქუჩაზე მდებარე მუსიე საგუას ტრაქტორში ისხდნენ, სიგარას აბოლებდნენ და იქამდე არ ამდგარან, სანამ მზემ არ შემოაჭყიტა. ტრაქტორის „La Crete d`Or“-ი ერქვა და წინიდან ფერად შუშებში იყო ჩასმული. ოღონდ სამიოდე საფეხურით მიწის პირიდან დაბლა იყო ჩასასვლელი და ამის გამო მზის სინათლის შემოსვლა გვიანდებოდა.

-ჰო, აი ახლა კი არის ჩემი აქედან გასვლის დრო,-- უთხრა ნიკომ მეგობარს, თან ქვევიდან ამოხედა, თითქოს მის დასტურსაც ელოდა. ლევანი უხასიათოდ მიირთმედა ყავას. სასმელი დალიეს და ნიკომ ინანა, იქ რომ არ ჰყავდათ სირაჩხანელი სონა მკითხავი. სონა ყავის ჭიქაში იხედებოდა და უცნაურ ფიგურებს ამჩნევდა. მომავალს წინასწარმეტყველებდა და ამ საქმიანობაში ძლიერიც იყო. ვილას აღარ მარჩიელობდა ცნობილი სონა მკითხავი.....

მეგობრები ზღაზვნით წამოდგნენ, თუმცა ცოტა დრო კიდევ ჰქონდათ დარჩენილი სამსჯელოდ და საფიქრალად. ორივემ იცოდა, ნიკო ერიდებოდა იმ დროს სახლში ყოფნას, როცა მამამისი მელიტონი იქ იყო. თავადი მელიტონი საერთოდ, სახლიდან ძალიან გვიან გადიოდა, რათა მისი ნაბახუსევი იერი თვალშისაცემი არ ყოფილიყო. ჰოდა, ნიკომ სწორად გათვალა, უკვე ორი

საათი იწყებოდა და დედამისიც შესაბრალისი იქნებოდა, თუ აღმოაჩენდა, რომ ვაჟიშვილი მთელ დღეს თავს არიდებდა შინ ყოფნას და სადილადაც კი არ შეივლიდა. ჩემი თვალისჩინი ნიკო სახლში მოდისო, ასე ამბობდა ეფემია და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გამორჩეულად მგრძნობიარე და ხაზგასმით თავმოყვარე ვაჟიშვილს, მოსამსახურეებთან თავის გატოლება რომ არ უყვარდა და ყოველთვის ცივი ურთიერთობით შემოიფარგლებოდა მათთან. თავის ფასი იცის და იმიტომ-იტყოდა ფეფო, გრიგოლსაც, თავის ძმას, ასე აუხსნიდა ხოლმე ნიკოს ხაზგასმულად თავშეკავებულ საქციელს. ეფემია ასე ფიქრობდა, ნიკო დღეს თუ არა, ხვალ მაინც დაწინაურდებოდა, სამსახურში კარგი მდგომარეობა შეექმნებოდა, სახლშიც დოვლათის შემქმნელი იქნებოდა. დროდადრო ქმარს და ძმასაც სთხოვდა ხოლმე, შეეწუხებინათ კარგი სამსახურის თხოვნით მთავარმართებელი ბარონი როზენი. ის და მისი მოსამსახურე დარო დილით ხელს არ აკლებდნენ, დილის ლოცვებში ღვთისმშობლისათვის შემწეობა ეთხოვათ. ეფემია მხოლოდ ორმოცი წლის იყო. თვალებში სევდა-ჩამდგარს მხრები ჩამოშვებოდა. მძიმე ცხოვრებას, მართალია, თავისი გაეტანა, მაგრამ თავადიშვილური სილამაზის კვალი მაინც შერჩენოდა მის ნაზ სახესა და თითებს. ეფემია ხარობდა, თუკი ვინმე ნიკოს ნიჭს შეაქებდა, ოღონდ მალევე შეიცვლიდა მომღიმარ სახეს. ასეთ დროს იგი უხერხულობას გრძნობდა, შეიძლება იმიტომ, რომ საკუთარ თავთან არ იყო მართალი. ქმართან ერთად ისიც აქტიურად უჭერდა მხარს ნიკოს საჯარო სამსახურში შესვლას. ეფემია მეუღლის იდეების ფარული თანამონაწილე გამხდარიყო. და ეს მაშინ, როცა ახალგაზრდა ნიკო მხოლოდ უნივერსიტეტზე ოცნებობდა. დედის ასეთი საქციელი ნიკოს საშინლად აღიზიანებდა, რადგან მისი სურვილი სწავლულად ყოფნა იყო და არა სახელმწიფო სამსახურში ჩადგომა....ახლაც, მაგიდიდან წამოდგა თუ არა ლევანთან ერთად დუქანი დატოვა, წინააღმდეგ გაუხსენა მეგობარს, დედა მაწუხებსო, არც კი მეკითხება, სწავლის გაგრძელება მინდა თუ არაო, ყველა მე შემომყურებს ხელშიო და მამაჩემს კი არაფერს ეუბნებიან, მომავალს რომ მისპობსო! აქ შეჩერდა უცბად, არ უყვარდა წუწუნი და რომ არ გაეგრძელებინა, სიგარა ამოიღო და ნერვულად მოუკიდა...ლევანმაც აღარ დააყოვნა (პანსიონიდან ერთად იზრდებოდნენ და ერთმანეთში დაფარულიც არაფერი ჰქონდათ), ხელი გადაჰხვია და აღუთქვა, რომ რითიც შეეძლო, დაეხმარებოდა. ჯერ კიდევ სიყმაწვილისდროინდელი მღელვარების საგანი იყო მათთვის ნიკოს ლექსები. ბარათაშვილი უნიჭიერესი რომ იყო - მთელი არსებით გრძნობდა ლევანი ამას, ღამეებშიც კი გაუთენებიათ ტაციტუსის, ეზოპეს კითხვაში. მერე ეს ყველაფერი ნიკოს ისე იტაცებდა, გადმოაქართულებდა ხოლმე, სამეგობრო წრეშიც ერთად წერდნენ თხზულებებს. ჰოდა, ახლა, ქუჩაში გამოსულმა ლევანმა გადაწყვეტილება მიიღო, დროებით კვლავ გადაედო საცოლესთან ჯვრისწერა, საამისოდ გადადებული ოთხმოცი თუმანი მეგობრისთვის მიეცა და უნივერსიტეტში შესვლაში დახმარებოდა. სთხოვა, მთელს იმპერიაში საუკეთესო პეტერბურგის ან დერპტის უნივერსიტეტში გაგიშვებ და იქ დაიჭირე ეგზამენებიო. იმან ჯერ კი იუარა, მაგრამ ორიოდ წუთში სიხარულმა მთლიანად მოიცვა. სწორედ ასეთს იცნობდა ლევანი მას. სულ ცოტა ყოფნიდა ხოლმე სიხარულისთვის, ერთ უბრალო გასეირნებას ყვავილე-

ბით სავსე ბაღში, მამადავითზე ასვლას და ჭიქა ყავას შეეძლო მთლად შეეცვალა ნიკოს ხასიათი. დაღვრემილი ხასიათი გამოუსწორდებოდა, სიცილისა და ხუმრობის ხასიათზე დგებოდა. ენერგია ისე მოუზღვავდებოდა, ზოგჯერ კიდევ გაუნაწყენდებოდნენ. მაგრამ ამასთანავე ნიკოს ჰქონდა სრული უსაქმურობის მოკლე პერიოდები, როცა არაფერს ქმნიდა. თვით ხასიათიც ზოგჯერ ისეთი ბავშვური და მიამიტი გაუხდებოდა ხოლმე, რომ სრულიად ადვილად მოატყუებდა კაცი, მაგრამ უკვე გაცურებული სასტიკი და დაუნდობელი ხდებოდა. მუზა როდესაც ეწვეოდა, შედეგებს თვალდათვალ ქმნიდა. იმ ლექსებს იწერდნენ მისი მეგობრები, თანატოლები. ქალაქის სხვადასხვა უბნებში ვრცელდებოდა ბარათაშვილის ხელნაწერები, როგორც ნამდვილი ფოლიანტები.



აი, ახლაც, ერთგული მეგობრის შემწეობით თავი უკვე სტუდენტად წარმოიდგინა და ისიც გაიფიქრა, რომ მისთვის ცოტაოდენი დახმარება მია გრიგოლსაც შეეძლო. აკი, ცოტა ხნის წინ მეორე ბიძის - ზაქარიასთვის მიეწერა, ფულს მივაწოდებ და თუგინდ დერპტში გავგზავნოთო! ჰოდა, რა იქნებოდა, რომ ასე საგულდაგულოდ შეგროვილი თანხით ესწავლა. ოცდამეერთე წელში გადამდგარი ნიკო დაბადებულის იყო უნივერსიტეტისთვის. მისმა ბავშვობის-

დროინდელმა მეგობარმა ლუკამ, რომელიც არც მტრობას რომ არ უშლიდა და არც მოყვრობას, ნიკოს დაჟინებული სურვილი რომ შეიტყო, „მეგობრულად“ ურჩია თავი შეიკავო. „აი, ხომ ხედავ, მე სახელმწიფო სამსახურში ჩავდექი და შენც ამასვე გირჩევ“ – ურჩევდა ის და იქვე დასძენდა – ფული ბლომად გექნება, არ დაიკარგები და ოჯახსაც მიხედავ, საჯარო სამსახურში შესვლაში კი მე დაგეხმარებიო!”

ხომ ვითომ მისაღები იყო ეს წინადადებაც არცთუ უნიჭო ისარლიშვილისგან, მაგრამ ნიკო არ დათანხმებულა. იცოდა, ლუკას ბავშვობიდან გაბოროტებული ხასიათი მოსდგამდა. ბარათაშვილი უკვე დიდი ხანია ხვდებოდა, რომ შურს ისარლიშვილი თავის კლანჭებში მოექცია: ის წლების მანძილზე ხან ნამუშევრებს ჰპარავდა, ხანაც ცდებისთვის საჭირო ხელსაწყოებს აცლიდა მაგიდიდან. მერე ამას არც მალავდა და საჯაროდ აცხადებდა კიდეც კლასის წინაშე. ლუკას მიზანი იყო, რომ ნიკოს საფუძვლიანი განათლების მიღებისა და შემდგომი სრულყოფისათვის ხელი ჯერ შეეშალა, ბოლოს კი თავი გაეტოლებინა მისთვის

როდესაც მეგობრები არქიერის მოედანზე აღმოჩნდნენ, მაშინლა გამოფხიზლდა ნიკო. ლევანი უმეორებდა ხმამაღლა - ადამიანო, რა ქენი, რა გადაწყვიტეო, აი უკვე მოვედით და შენი ეხოს ბჭისკართან ვდგავართო!

...ორივე სულმთლად სველი იყო. ნიკოს მაუდის პალტო მაინც წვიმისგან სულ დამბალიყო, მაგრამ ამას არაფრად აგდებდა, ისე მისცემოდა ფიქრებს... თვითონ ლევანს წყალი წურწურით ჩამოსდიოდა მხრებიდან და შლაპიდან, თავი და მხრები მძლავრად შეარხია და ისევ ამ მოძრაობამ გამოარკვია ნიკო ბურუსიდან. მან მადლობა გადაუხადა მეგობარს დახმარებისათვის და მოფიქრებისთვის ორიოდ დღე მაინც სთხოვა, კარგად გავანალიზებო. ლევანს ჩაეღიმა, იცოდა თავმოყვარე ნიკო ფიქრს გადაჰყვებოდა. ისიც იგრძნო, რომ ფულს ხელსაც არ მოკიდებდა და დიდხანსაც იყოყმანებდა. მისი ეს თვისება კარგად შეესწავლა, მაგრამ რას იზამდა.

– კარგიო, – შეჰპირდა, – ხვალაც გამოგივლიო, ნება შენია და მოიფიქრეო.

მერე მოტრიალდა და ქუჩას გაუყვა ანჩისხატის ეკლესიის გასწვრივ. მოსამსახურე და რომ მეორე სართულის აივნიდან დაინახა თუ არა მიმავალი ლევანი, თავის გამოდებით სადილად პატიჟი დაუწყო. ძალიან კარგად იცოდა, რომ ვერაფრით გაუმასპინძლებოდა, მაგრამ... ეს მოჩვენებითად, ზრდილობისათვის გააკეთა. თანაც შიშობდა, რომ ამით ნიკოსაც გაანაწყენებდა, მაგრამ ბარათაშვილს ახლა დაროს საქციელი ყველაზე ნაკლებად ადარდებდა.

მას ჯოჯოხეთი გამოევლო სახლში, იქ თავის მუზას გასაქანს ვერ აძლევდა, ბოლო ხანს ლექსებს სულ გარეთ, მდინარის სანაპიროზე სეირნობისას, მამადავითზე ან გარეთუბანში მარტო ხეტიალისას ქმნიდა. იქ, ტყით დაბურულ ფერდობებზე ეძალებოდა ფანტაზია და ოცნებასაც იქ იხდენდა. ტოლ-მეგობრებთან მთვარიან ღამეებში სიარულის დროს ის წარმოიდგენდა ხოლმე მომავალ ცხოვრებას. მოშორებით, ვერის უბნიდან გაზაფხულობით აკაცის ისეთი სურნელი მოდიოდა, კაცს ეგონებოდა, აკაცის ქარიშხალი ტრიალებსო. მდინარის ტალღების ხმაურით ისედაც თავბრუდახვეული ნიკო ეიფორიაში ვარდებოდა. ეგონა, თუ არ დაწერდა, დანაშაულს ჩაიდენდა. ხშირად ჩაფიქ-

რებული მტკვრის ნაპირზე წერდა, ჯერ შავად, გაკვრიტ... მერე ლევანთან ადიოდა და იქ ათეთრებდა რვეულში ან სულაც იქვე ტოვებდა შავ ნაწერებს. საკუთარ სახლში კი არავის აკითხებდა, მას დასცინოდნენ ოჯახის წევრები (გარდა კატოსი), ებრძოდა მამა, რომელსაც არ სურდა, რომ შვილს „ეჯღაბნა“ და მისივე სიტყვებით, დრო „უქმად ეფლანგა“! შემადრწუნებელი მელიტონის შვილობა გულს უკლავდა ნიკოს და ცდილობდა, თავისი სამყარო შეექმნა, რათა რაც შეიძლება შორს ყოფილიყო მისგან!



2

ქვედა სართულზე გაიხადა და იქვე დატოვა წვიმისგან მთლად დამბალი მაუდის პალტო, ქუდი დაროს მიაწოდა, წყლისგან დამიწრიტეო, სთხოვა, მერე დედის ოთახში, მეორე სართულზე ავიდა. ფეფო ქისას უქსოვდა ბიჭს, უკანასკნელი მუქი მწვანე ჯვარი გამოსახა, ფეხზე წამოდგა და ნიკოს შეეგება, კარგ დროს მოხვედი, მამაშენი ნახევარ საათის წასულია და გელოდებოდიო!

– როგორ არის შენი საქმეები, წვრილად მითხარი, შვილო, რამე უკეთესი შეგთავაზეს ამ დღეებში? – ჰკითხა ეფემიამ და დასძინა, – გრიგოლმა მომწერა

შენზე, როგორც შემოდლიან, ისე დავებმარებიო. მერმე ლევანმაც მითხრა, ეს ფული, სულ ერთია, ჯვრისწერისა და ქორწილის გადასახდელად მაინც არ მეყოფა, ჩემს ტატიკოს კი გამოადგებაო... მოიფიქრე, გენაცვალე, მეც ხელს შეგიწყობ!...

ახლა კი დაკარგა წონასწორობა ნიკომ, გაფითრდა, საყვედურით უთხრა დედას:

– შენ არ იყავი განა, წინააღმდეგობას რომ მიწევდი, მელიტონს მხარს უზამდი შენაც. რაღა ახლა მოიფიქრე ჩემი უნივერსიტეტში გაგზავნა მაინცდამაინც? შესამოსავნი ხართ შენა, კატუა და ნინოცა! რით ენახვებით სტუმრებს, მე მიხარია განა ასე გადატაკებულებს რომ გხედავთ, გული მტკიოვა, სულიც მეწვის, მამას კი არა აძლობს და არც ადარდებს რამე ამ ქვეყნად. მან დაგვაქცია, ბატონო დედა, სიცოცხლე ჯოჯოხეთად გვიქცია, მე მაგას მარტო ლუკმის საშოვნელ მანქანად ვუნდივარ, არა, ეს ხომ შეგნებული მაქვს დიდიხანია, მაგრამ უფრო გულზე ცეცხლი მეკიდება, რომ არც შენზედ ფიქრობს, არც ჩემი დების გათხოვებაზედ ზრუნავს! კატუა და ნინა როგორ გავამზითვოთ, არცა კითხულობს თავადი მამა! ხომ იცი, ბატონო დედა, ჩემს სწავლას პირველ ყოვლისა, მამა არ დაგანებებს, ჯოჯოხეთს დაგვანახებს!.

ნიკო განერვიულდა, ხელში სიგარას დაუწყო სრესა და სარკმელთან მივიდა... უცებ მეხსიერებაში რატომღაც პირველი სიგარა ამოუტივტივდა, ჯერ კიდევ თოთხმეტი წლის ასაკში რომ მოსწია გენერალ ჭავჭავაძის სახლში. ის და მამა მაშინ ჭავჭავაძეებს ეწვივნენ. გენერალი ოჯახობით უკვე სოლოლაკიდან მჭედლების მოედანზე გადასულიყო და დეპნერის სახლში იდგა. სანამ უფროსები ჭადრაკს თამაშობდნენ და წინანდლის ღვინოს შეექცეოდნენ, მან და ალექსანდრეს შუათანა ქალიშვილმა საოჯახო ალბომები დაათვალიერეს, ერთმანეთის პორტრეტები დახატეს. ბოლოს ცელქმა კატენკამ იმდენი ქნა, მეგობარი სიგარის დასაჭამნიკებლად აიყოლია! მაშინ ნიკო უძალიანდებოდა გენერლის ასულს, ორივეს თავიანთი მამების ეშინოდათ, მაგრამ კატენკამ მაინც თავისი გაიტანა და ბაღში გაიტყუა თანატოლი... ახლა ნიკოს წამიერად გაელიმა, როცა დეპნერების სახლის უკანა, დაბურული მხარე გაიხსენა. მან და კატენკამ მალულად შეაბიჯეს ბაღში და ჩუმად გააბოლეს, მერე კატენკას სასტიკი ხველა აუტყდა და ნიკომ ისიც მოიგონა, რამდენჯერმე ეზოს ფანტანიდან რომ მოუტანა პეშვით წყალი. გეგმა ჩაეფუშათ, სიგარის გემო მაინც ვერ გაიგეს, მაგრამ გასახსენებლად ახლა მაინც ტკბილი იყო... „ტკბილია ბავშვობის დღეები, სანამ ცხოვრება შეგახებს თავის სასტიკ ბრჭყალებს“ – ჩუმად ჩაილაპარაკა თავისთვის, სარკმელი გამოაღო და გააბოლა... (კიდევ კარგი, სიგარის ყიდვა მაინც შეეძლო) მეგობრებიც ყიდულობდნენ ასეთ სიგარას მისთვის). კვირაში ერთხელ, შაბათობით მკითხავი სონა დაიუშჩაიაც უეჭველად ვაჭრობდა მეიდანზე, 2 გროშად ჰყიდდა ამერიკული სიგარის კოლოფს, კოლოფში 20 სიგარა იყო). რამდენჯერმე მტერ-მოყვარე ისარლოვმა ნამდვილი ამერიკული „Dutch Masters“-ის დიდი ოდენობით სიგარა გამოიწერა პეტერბურგიდან და მასაც არგუნა წილი (და რა წილი-მთელი ყუთი!)

ნიკოს ამ ამბების გახსენებაზე გაელიმა. მერე ისევ თვალწინ ცხადად წარმოუდგა ანჩხლი მელიტონი და კვლავ ცუდ გუნებაზე დადგა.

- უხ, ეგ მამიჩემი კი არა...მამაძალი ეგა! - ბაგეში გამოსცრა, მოტრიალდა და აქ სიტყვა გაუწყდა, ეფემიას დატანჯულ სახეს რომ შეხედა. შერცხვა. დედას მიუახლოვდა, იგი ჩუმად ტიროდა. უფრო სწორად, უცრემლოდ კვნესოდა. მოეხვია. გულადუღებულები და მელიტონისგან მრავალჯერ შევიწროებული ქალი მაინც ცდილობდა, არ გაემწვაებინა მამა-შვილის ისედაც დაძაბული ურთიერთობა. როგორ არ გრმნობდა საწყალი ქალი ტატოს ძლიერებას, მარგალიტი მყავს მისი სახითო-გაიძახდა, მაგრამ ეფემია მელიტონის რისხვას რომც გადარჩენოდა, ოჯახის დანგრევასაც ვერ აიტანდა. მეუღლედ ღრჯუ კაცი ჰყავდა, თავმოძვონე, საკმაოდ განათლებულიც, მაგრამ სხვისი აზრის არშემსმენი. ამპარტავან თავად მელიტონს რომ შეძლებოდა, ცოლ-შვილსაც გაყიდდა, უკანასკნელი ფულით კი ქალაქის დიდგვაროვნებს დაპატიჟებდა პოლის სახელგანთქმულ რესტორანში, სადაც დიდ ქეიფს გააჩაღებდა! ეგ იყო, სხვადასხვა ხელისშემწელები გარემოებათა გამო ვერ აკეთებდა ამას, თორემ ვინ შეაჩერებდა! ერთხელ კი მეტისმეტი მოუვიდა, მთელი დღის ნაქეიფარმა საღამოს ქალაქში ეტლით გავლა მოიწადინა, მთელი ორი საათი ისეირნა, თავი სახლში მიაყვანინა მეეტლე გრიგორის და როცა ამ უკანასკნელმა მოწიწებით სთხოვა, მგზავრობის საფასური გადამიხადეო, მაშინ მელიტონმა უშვერი სიტყვებით აიკლო „მათხოვარი გრიგორა“ და ადგილის დროზე დატოვება უბრძანა. ნიკო ხმაურზე გამოვარდა, ერჩია მიწა გახეთქოდა და მამის ასეთი სიმდაბლის მოწმე არ გამხდარიყო. ახალგაზრდა კაცს მთელი ღამის მანძილზე თვალი არ მოუხუჭავს. იმისი ეშინოდა, რომ ჭორებს დაუყრიდნენ, მელიტონს ეტლით მგზავრობის ფული არ აქვსო... თავი მოეჭრებოდა, ქალაქში აღარ გაესვლებოდა!

ესღა აკლდა სრული ბედნიერების მისაღწევად, უკვე ახალგაზრდა კეთილშობილი გოგონების ოჯახები ისედაც ჭორობდნენ მასზე, სწორედ ამავე მიზეზით სულ ცოტა ხნის წინათ ორბელიანის ქალიშვილმა მასთან ურთიერთობა გაწყვიტა (გაწყვიტაო, ამბობდნენ, თორემ ისე ქალს ძველებურად უყვარდა), თავი შორს დაიჭირა (იქნებ შეხვედრასაც ერიდებოდა). ჭორი დადიოდა, ვითომ ნინო ორბელიანი ვიღაც რუს გენერალზე დაუნიშნავთო და როცა ბოლოჯერ ნიკო იმათ სახლში მივიდა ნინიკოს დაბადების დღეზე (ხელდამშვენებული, სხვათაშორის), მოსამსახურემ კარი არ გაუღო, შინ არ გახლავანო! (ბოლოს ისე გამოვიდა, რომ ეს „შინ არ გახლავან“ სამუდამო ფრაზად აედევნა ცხოვრებაში). არადა, მთელი საღამო ნიკო ბინოკლით სპეციალურად უჭვრეტდა ორბელიანთა კუნძულზე მდებარე კოტეს სახლს, თანაც საიდან, იქვე მტკვარზე გაშენებული ხიდის მოაჯირიდან, „გრანდ-ოტელს“ რომ ემიჯნებოდა. იქიდან კარგად გაარჩია ფანჯრის სიღრმეში მოცეკვავე სილუეტები, ნინო და მისი დედინაცვალი თითქმის შეუსვენებლად ეცეკვებოდნენ უცხო მამაკაცებს (ნიკოსთვის უცნობებს), სინათლე გვიანობამდე არ ჩამქრალა. ნიკო ღრმად შეურაცხყოფილი იყო, უკვე ეგემნა ცხოვრების სუსხი.

ორბელიანის ასული, ჰმ, საკუთარი დაბადების დღეს შინ არ არის!! აი მაშინ აუტყდა სიცილი, მაგრამ ეს სიხარულით კი არა, სიმწრის სიცილი იყო...მას მერე რამდენიმე კვირა გავიდა, ენატრებოდა ნინო, ორი ლექსიც მიუძღვნა, თუმცა...



ახლა თავის უცნაურ მშობელს აცქერდებოდა, ფეფო სწორედ იმ დღეს რა-
ღაც გამორჩეულად უცნაურად იქცეოდა, სწავლის გაგრძელებაზე უგდებდა
სიტყვას!

ასე გამწარებულ ფიქრებს ეხრევიანებოდა ნიკო, არ იყო მისთვის მოსვენება
არცა სახლში, არცა ღამით, არც სადმე გასვლისა და დასვენების საშუალება
ჰქონდა! მერე ასე დაღონებული მიწვა ჭრა ჭუნა რიკულებიან საწოლზე, თხელი
პლედი გადაიფარა და მყისიერად ჩაეძინა (განა იშრომა, არც სამსახურში შეი-
რა და არც საქმეებზე, უბრალოდ საოცარ დადლილობას გრძნობდა, რომელსაც
სახაზინო რუსი ექიმი პრიბილი სინდრომ ნერвного истощения-ს უწოდებდა).
ჩაეძინა უსულოდ, ეს ძილიც არ იყო... ეს რაღაც გონწართმეულ ლეთარგიულ
მდგომარეობას დაარქმევდა კაცი იმას, რა დღეშიც ახლა ნიკო იმყოფებოდა.
ეფემია გამტერებით მიაჩერდა შვილს, ასეთი რამე მას არც ენახა, ნიკოს ასეთი
საქციელი სულ უფრო და უფრო აფიქრებდა, მიხვდა შვილი ავად იყო ამ
აუტანელი ოჯახური სიტუაციის და უსახსრობის გამო. მორალურად განადგუ-

რებულს ხომ ახლა თავისი თავი დედ-მამა და სამი დაიკო ჰყავდა სარჩენი და რითი, თავისი მცირე ხელფასით, რომელიც მხოლოდ 5 მანეთს შეადგენდა!

- „დედა შემოგველოს!“ - ჩურჩულით პირჯვარს სახავდა ვაჟს ეფემია და უკანსვლით გადიოდა ოთახიდან, როდესაც ქვედა სართულიდან ნაბიჯების ხმა მოესმა, უცბად გაირინდა, შეშინდა, ეგონა მელიტონი დაბრუნდა, მაგრამ ...არა, პატარა მთავრინები კატო და ნინო დაბრუნდნენ ანჩისხატიდან, სადაც მათ ეს ესაა ოჯახის კეთილდღეობის პარაკლისი გადაეხადათ! ქალმა ნიკოს კარები გამოუხურა, ნელ-ნელა ჩამოვიდა დაბლა გაემართა თავისი ქალიშვილებთან შესახვედრად. „დედა, სადაა ნიკო?“ დაბალ ხმაზე ჰკითხა კატომ. „ზევითაა, სძინავს, კატუა, ნუ გააღვიძებ, გენაცვალე, გადაქანცულია“. ეფემიას თავისივე ხმა ეუცნაურებოდა, იმდენად განეცადა ტატოს ეს უეცარი ჩაძინება - „მხოლოდ ავალ, დავხედავ!“ - თქვა კატომ, ნიკოს უსაყვარლესმა, ცოცხალთვალე დაიკომ. თვალის დახამხამებაში აირბინა ოცამდე საფეხური და ნიკოს ოთახის კარი შეაღო: ძმას გულადმა ეძინა, ღრმად და მძიმედ სუნთქავდა, ახლა კატომ მოსასხამი ააცალა და სანაცვლოდ სქელი პლედი დააფარა. მიიხედ-მიიხედა - ხომ არავინ მიყურებსო და ძმას გამლილ ხელში პაწაწინა ოთხკუთხედად დაკეცილი ბარათი ჩაუდო. მერე ასევე სწრაფი მოძრაობით ბალიში გაუსწორა, და უკანვე უჩუმრად, ფეხაკრეფით გაბრუნდა.

3. სიზმარი

მწარე ფიქრებით ჩაძინებულ ახალგაზრდა კაცს ესიზმრა, თითქოს ის და ნინო მტკვარზე ტივზე ისხდნენ. საღამო ხანი იდგა, ქალს ყვითელი, გრძელი კაბა ეცვა. მხოლოდ გრძელ ჩალისფერ თმაში იონჯისფერი ყვავილები ჩაეწნა. გაჯერებული იყო ტივიც იონჯის სურნელით. უცნაური ის იყო, რომ სიზმარში ნიკო იონჯას ყვავილების სურნელს მძაფრად გრძნობდა. გრძნობდა ნინოს გახურებულ სუნთქვასაც, რის დამალვასაც ცდილობდა ქალი და არაფერი გამოსდიოდა. იმიტომ არ გამოსდიოდა, რომ ნიკო საკუთარი თავივით იცნობდა მის ბუნებას, ფიქრებსაც კი. თავადის ასული გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო. შეყვარებულს ვერაფერს გამოაპარებდა, უმნიშვნელო წვრილმანებსაც კი... ბარათაშვილი გრძნობდა, რომ ქალი საოცრად გამოცვლილიყო, ვიღაცას მასზე ძლიერი გავლენა მოეხდინა და...თითქოს წინასწარ შეემზადებინა თავი რაღაც უსიამოვნო სიახლისთვის! საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ ნინომ თქვა, თითქოს აღარ შეეძლო მასთან შეხვედრა, რომ მას ცხოვრებას გაუმწარებდნენ, რომ ძალით ათხოვებდნენ რუს გენერალზე. თავად გენერალი კი ძალიან ცუდი იყო, პიროვნულად! ნინოს მუქი ყავისფერი თვალები უფრო მეტად ჩამუქებოდა. ტატოს დაუსრულებლად უმეორებდა იმას, რომ იმ რუსის გენერალს ცუდი თვისებები ჰქონდა და რომ ეს ქორწინება სულ არ ხდებოდა თავადის ასულის სურვილით. კიდევ ნინომ ის თქვა, რომ მას არ უნდოდა, ჰქონოდა ამ საძულველი გენერლის ცუდი გვარი! აღლევებულმა ბარათაშვილმა ნინოს ხელი ხელისგულში მოიქცია, თავისკენ მიიზიდა. იგრძნო, თუ როგორ კანკალებდა ახალგაზრდა ქალს. მერე შუბლზე ხელი მიადო და შეწუხდა,

ნინო მაღალი სიცხისგან იწვოდა. ნიკომ დააიმედა, ოღონდა არ ენერვიულო და გამოსავალს ერთად მოვძებნითო... იგი დაიხარა, რომ პეშვით მდინარის წყალი მიეწოდებინა ნინოსთვის, მაგრამ... მან ერთი ამოიოხრა, სხეული უეცრად მთელი ძალით უკან გადაზნიქა და მდინარეში ჩავარდა! თავადის ასული წყალმა ჩაითრია, თუმცა ბარათაშვილი არ ფიქრობდა, რომ წყალი შეიძლება ღრმა ყოფილიყო იმ ალაგას. მას პალტო არც კი გაუხდია, მოსამებნად წყალში გადაეშვა, ცოტათი გაცურა, მორიგე მაშველებიც ჩართო საქმეში. დიდხანს ყვიროდნენ, ალიაქოთიც ატყდა... მაგრამ თავადის ქალი ვერაფრით იპოვნეს. ეგ იყო მხოლოდ, ტივზე პატარა ბარათი იყო დაგდებული. სასოწარკვეთილმა ნიკომ აიღო სველი წერილი და ისე, რომ არც წაუკითხავს, ნაპირზე გამოვიდა!

ამ დროს უეცრად გამოფხიზლდა ძილისგან. გამოეღვიძა, საათს დახედა და მიხვდა, მხოლოდ ერთი საათი გასულიყო. არეული გონება ჰქონდა, ნანახი სიზმარი სულს უხუთავდა. ძირსაც დაიხედა და იქ ნამდვილი ბარათი დახვდა. გაცოცხდა, გულმა რეჩხი უყო. მიხვდა, რომ რაღაც ძალამ წინდაწინ ამოუხსნა მას საიდუმლო. სწრაფად დასწვდა ძირს დაგდებულ დაჭმუჭუნულ ბარათს და კითხვა დაიწყო: „ძვირფასო, გულში ლანძღვა-გინებას ნუ ამიტევხ. მე ეს არ დამიმსახურებია, მე სულით შენთან ვიქნები, შენ სიახლოვეს ვიტრიალებ მხოლოდ.. ვიცი, 43 წლის კაცის საბედოდ არ გავჩენილვარ. მე არ ვარ ბედი გენერალ დურნოვისათვის, ვისზედაც ჩემი გათხოვება გადაუწყვეტიათ. ნიკო, ძვირფასო, მართლა აღარ შემრჩა ძალა – ვებრძოლო ახლობლებს, ყოველივე ეს დიდი უაზრობაა. მხოლოდ ერთი რამ ვიცი, რომ დღეიდან ფიტული ვარ, უბრალო ფიტული რომელიღაც ტყის ცხოველის...! დურნოვმა, ჩათვალე, იყიდა შენი ნინა, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ. მან მამაჩემი ქონებით და მდგომარეობით მოხიბლა... მაპატიე და... მომწერე, თუ შეძლებ... ჩემი ცხოვრება შენს გარეშე შეგიძლია დასრულებულად ჩათვალო! ნინო ორბელიანი"დურნოვი, ბატონი დურნოვი! აი, ვისზე ამბობდა სიზმარში ნინო, ცუდიაო. პირდაპირ დაესიზმრა ეს ნიკოს და ეს უკვე ახდენილი სიზმარი იყო! ისე სულ პირდაპირ უხდებოდა სიზმრები, ისე, როგორი პირდაპირობიც თავად იყო. ხელში უეცრად ჩადებული ბარათის არც გაკვირვებია, რადგან ასეთი კონსპირაცია ნინოს ახასიათებდა და შესაშური ოპერატიულობა კი კატოს. სიახლე მაინც ვერ შეიტყო ნაწერიდან, მაგრამ მეტოქის გვარი მაინც გაიგო და ის გვარი სიზმრად ნანახივით ჟღერდა!

პირველად რომ ჩაფიქრდა ნიკო, ერთ უგრძობ და უხიაკ ვინმედ წარმოიდგინა ბარათის შემდგენელი, ნირწამხდარმა ისიც კი დაუშვა, იქნებ ვინმემ ხელნაწერი ნინოსას ძალით მიამგვანაო...

მეორე მხრივ, ხვდებოდა, ბარათის გამოგზავნის მიზეზი უდაოდ სასოწარკვეთილება, გამოუვალი მდგომარეობა იქნებოდა, აქამდე უჩვეულო ნინიკოს ცხოვრებაში. ნიკო ძალიან ცუდ გუნებაზე ადგა... ბუნებით მებრძოლმა ერთი წუთით გუნებაში მაინც ნინიკოს უბრალო დრამა სჭირდებოდა, ისე... დასატრიალებლად. ნიკო იცნობდა ქალების ბუნებას და ივარაუდა ამგვარი... ქალებმა ხომ იციან თავიანთი ოცნებებისა და ფანტასტიკური წარმოსახვების რეალობად გაცხადება. ისიც იციან თუ როგორ გამოიგონონ ხელოვნურად თავყვანისმცემელი, დამაბონ სიტუაცია, მიაღწევიონ კულმინაციურ წერტილს! მაგრამ

რომ აანალიზებდა, ნიკოს მაინც ვერ წარმოედგინა, ქალს ასე მოქცევა როგორ შეეძლო... ნინოსთვის განხეთქილების საბაზი მას პირადად არასდროს მიუცია, მაგრამ ბოლო დროს მაინც მრავალი ცვლილება შეამჩნია მას. მერე ამ ცვლილებათა სიმრავლეში მაინც კოტეს ზრახვები ამოიცნო ბარათაშვილმა. მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი რამ არ იცოდა, კერძოდ ის, რომ ნინოზე მამამისს საიდუმლო თვალთვალი დაეწესებინა, სასწრაფოდ მოენახა საქმროდ რუსი გენერალი და თავისი ასულის ჯვრისწერის საკითხი სარფიანად გადაეწყვიტა, როგორც კი შობის მარხვა დასრულდებოდა.

იმ უცნაურ დღესაც ისე ექცეოდა ბარათაშვილს ნინო, თითქოს უცნობ წერას ჰყავდა აყვანილი და ახლა ამ სიზმარმა ხომ სულ მთლად მოუცარა ხელი მის ოცნებას. – „ყველაფერი დღესავით ნათელია, ურთიერთობა დამთავრებულია! ან რაღა უნდა იყოს აქ გაუგებარი და დამალული?“ – ფიქრობდა იგი.

სევდიანი ამბები, მუდმივი უიღბლობა და ხელმოცარვა თოვლის ფანტელებივით ედებოდა ერთიმეორეს... და ისევე უსასრულო ჩანდა მის ცხოვრებაში, როგორც ცივი და ხანგრძლივი ზამთარი.



4. (და-ძმა კატო და ნიკო)

კატო კი იყო მათი გამორჩეული ურთიერთობების დასაწყისის მოწმე. თავისთავად, ნიკოს დას, მასზე ოთხი წლით უმცროსს, არც შეიძლებოდა ნიკოს ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა არ მიეღო, მითუმეტეს, როცა საქმე შეყვარებულ ნიკოს ეხებოდა. ახლა კატოს სულ იმაზე ოცნებობდა, რომ უფროსი ძმა ისეთ ცოლს შეირთავდა, როგორც მათ მაღალ, ბაგრატიონთა შთამომავლობას შეეფერებოდა; თუმცადა კატო გამჭირახი ბავშვი იყო, საყვარელი ძმის შესაძლებლობები იცოდა. ისიც იცოდა, რომ გაჭირვება უკვე დიდი ხანია ოჯახს წელში ტეხდა, მაგრამ კატო თავგამოდებით ცდილობდა ოჯახის ღირსება დაეცვა თანამიმდევრულად და თვალს ადევნებდა უფროს ძმას (აქაც თავისებურად, კონსპირაციულად), რათა ნიკოს ვინმე მდაბიოთაგანი არ აჰკიდებოდა, რამდენჯერმე მოხდა კიდევ ერთმა-ორმა თბილისელმა გრიხეტმა ნიკოს თავბრუ დაახვია, ამას კი კატო გაგებით ვერაფრით აიტანდა! როცა ორიოდ წლის წინ თავადმა კოტე ორბელიანმა როზენის ბაღზე ნიკო იხილა, თავის ულამაზეს ქერთიან ქალიშვილს თვითონვე მიაქცევინა ყურადღება. ნიკო მარტო უნიჭიერესი თანამედროვე პოეტი და მწერალი კი არ გახლდათ, არამედ, როგორც მაშინ მიიჩნევდნენ – დიდად სასურველი სასიძოც. ხალხისთვის მაინც მთავარ როლს მისი წარმომავლობა, ერეკლე მეფის შვილთაშვილობა თამაშობდა. მერე მისი ჯენტლმენური, თავდაჭერა, ქალებთან მოქცევის განსაკუთრებული მანერები! მეჯლისზე ბარათაშვილი ვალსირებსო! – ასეთი ჩურჩული გადაურბენდა ხოლმე საზოგადოებას, ახალგაზრდა ბანოვნები იძაბებოდნენ, წითლდებოდნენ, ყელს იღერებდნენ მასთან ცეკვის მოლოდინში. თვითონ ნიკოს ასეთი ყურადღება ახარებდა, გულში ზეიმობდა, მაგრამ არ შეიმჩნევდა ხოლმე. ხალხში ამბობდნენ, რომ ნამდვილი გენიოსია და თანამედროვე პოეზიის მეფე არისო, ზოგიერთს მიაჩნდა, რომ მეფისნაცვლისა და რუსთ იმპერატორის განსაკუთრებული ყურადღებით იყო განებივრებული და მაღალ ჩინზეც იყო წარდგენილი. ამბობდნენ, თურმე მთავარმართებელი მარტო მას კი არა, მამამისსაც მფარველობსო. თბილისის მაზრის უფროსად მესამედ მაგიტომაც აირჩიესო. უფრო ბოროტნი კი ჭორებს ავრცელებდნენ, ბარათაშვილი გამორჩეულ ახალგაზრდა ქალებს თავს შეაყვარებს და მერმე უეცრად ტოვებსო...

სინამდვილეში კი ასეთი მსჯელობა მხოლოდ ზედაპირული დაკვირვების ნაყოფი იყო. მისი ძნელად ესმოდათ. სალონებში სტუმრად მყოფი და საინტერესო საუბარში გართული ნიკო უცბად უმიზეზოდ მოიწყენდა ხოლმე, მოიღუშებოდა. ...ეს ყველას უკვირდა. როცა ტოლ-მეგობრებში ერთობოდა, მაინც უცნაურ სიმარტოვეს გრძნობდა. სწრაფი სიარულის დროს ცოტა კოჭლობდა და მარჯვენა ფეხს ებჯინებოდა, ოღონდ ყოველთვის არა. მარტო მაშინ ემართებოდა ასე, თუ ძალიან დაიღლებოდა. ზოგადად იგი იყო მომადლო, ძალიან ლამაზი ტანადობის. ნიკოს დაკვირვებული, ჭკვიანი, თუმცადა ცოტათი გამქირდავი მზერა ჰქონდა. მას შეიძლება არც კი გაეელო გულში რომელიმე ბანოვანთან უწყინარი ფლირტი, მაგრამ მასთან ყაბახზე გავლილი ან უბრალოდ მოკველუცე ყველა ახალგაზრდა ქალი ირწმუნებოდა, რომ ნიკოს სიყვარულის

საგანს სწორედ ის წარმოადგენდა. ქალებს დავა და ცილობა ჰქონდათ მისთვის. ნიკოს ისეთივე ლამაზი მოყვანილობის თავი ჰქონდა, როგორც კატოს. დასავით ოდნავ აპრეხილი თხელი, მონღოლური ცხვირი მას ცოტათი უკარგავდა ქართულ იერს, პირისპირ შეხვედრისას კი მისი მზერა და საუბრის დინჯი მანერა სწორედ კეთილშობილ ქართველობას უსვამდა ხაზს. ნიკოს ცხვირთან ოდნავ დახრილი თვალების ჭრილი და ცოტათი გამოწეული ყვრიმალეები ოდნავ აზიური შესახედაობის იყო. მაგრამ ჰქონდა ძლიერი, მასიური მოყვანილობის ქვედა ყბა და ოდნავ შესამჩნევად გაყოფილი ნიკაპი. ეს ხაზგასმით წარმოაჩენდა მის მამაკაცურ, ნერვულ, მაგრამ დამცინავ და მონადირულ ბუნებას. მასზე ჰკუას კარგავდნენ და ირეოდნენ ქალები. ყველას სურდა, ბარათაშვილთან ეცეკვა. საზოგადოებაში მის გვერდზე გამოჩენა პატივად ითვლებოდა. ამასთანავე ნიკოს სახის ნაკვეთები იყო ძალიან პროპორციული, ჰარმონიულად შერწყმული, ისევე როგორც კატოსი. ყველა ცდილობდა, თავი მასთან ისე დაეჭირა, რომ ნიკოს მათთვის ლექსი ჩაეწერა ალბომში. მავანი მის ტალანტს აფასებდა ჭეშმარიტად, ზოგიერთები ასე მოდის გულისთვის იქცეოდნენ, ზოგიც პოეზიის მოყვარულის რეპუტაციას იძენდა. უმეტესად კი მათი ქმედება სნობიზმი იყო. ამპარტავანი თავადი მელიტონ ბარათაშვილი ხომ ხმას ავრცელებდა, თითქოსდა მის ოჯახს თვით როზენი უწევდა მფარველობას. ჰოდა, კატოსაც უნდოდა, ასეთი მდგომარეობა საზოგადოებაში ხაზგასმით შეენარჩუნებინა, თავის დროზე ერთგულად ჩადგა ნიკოსა და მის შეყვარებულს შორის და მათი პირადი მიმოწერის კურიერობაც იტვირთა. თავიდან რა იცოდა, რომ იმედს გაუცრუებდა ნინო, ისინი ხომ თითქმის მომავალ ნათესავეებად მოიაზრებოდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში ორბელიანებს რაღაც უცნაურად გაეზარდათ მოთხოვნილებები მომავალი სასიძოს მიმართ. სწორედ მაშინ აიძვრა წყალი (უფრო კატო ფიქრობდა ასე, ძმასაც ასე ჩააგონა. და მართალიც იყო), როდესაც მელიტონის გაბმული დროსტარებისა და ფლანგვის, უწმაწური გინების და გაღატაკების ამბებმა კოტე ორბელიანის სახლობამდე მიდინება დაიწყო.

5. ნინოს და კატოს ურთიერთობები

იმთავითვე ძალიან რბილი და თვინიერი ხასიათი ჰქონდა ახალგაზრდა ნინოს. მის სილამაზეს, რაც უფრო დააცქერდებოდა კაცი, მით მეტ უცნაურობას შენიშნავდა. პირველივე შეხედვისთანავე ყურადღებას იპყრობდა მისი თმისა და თვალების ერთი შეხედვით განსხვავებული, მაგრამ იმავდროულად, მაინც ჰარმონიული ფერი. თავადის ასულის სქელ, გრძელსა და მეტად მძიმე ჩალისფერ თმას, ამასთან ოდნავ ჭაობისფერი გადაკრავდა. თავადის ასულის დიდრონი, მუქი თაფლისფერი თვალები ენერგიითა და ხალისით ავსებულნი ყვნენ. ნინო საინტერესო მოსაუბრე იყო და მუდამ რაღაცას წერდა. წერდა, მაგრამ თითქმის არავის აკითხებდა (თუმცა ნიკო არ მოიაზრებოდა იმათში). ბარათაშვილს ძალიან სჯეროდა ნინოს ნიჭისა და ხშირად პარალელურად ავლებდა მათ საზოგადოებასა და პერსი ბიში შელის, მერი შელისაც და ბაირონის

საზოგადოებას შორის! ნიკო ფიქრობდა, რომ ერთ დღესაც ის და ნინო მერისა და შელის მსგავსად გაიქცეოდნენ შორს და დასახლდებოდნენ განმარტოებით. მერე გასაოცარ ნაწარმოებს ერთად შექმნიდნენ, კომპანიას დააარსებდნენ მდიდარი მესამე, დაახლოებით ბაირონის მსგავსი მეგობრის დახმარებით და თვითონაც ძალიან მდიდრები გახდებოდნენ! ნინოც ასე ფიქრობდა, ხანდახან სულ მთლად აიწყვეტდა მისი ფანტაზია და წერითს პროცესს ორგანულად ერწყმოდა. თავადის ქალი ოცნებობდა და მერე ამ ყველაფერს ნაწერებისა და ოცნებების დიდ ყუთში ათავსებდა, ყუთს საძინებელ ოთახში თავისი საწოლის ქვეშ ამოდებდა და ტკბილად (ხანდახან კი შფოთიანად, მაგრამ მაინც) იძინებდა. შეყვარებულებს შორის იშვიათი ურთიერთგაგება და თანაგრძნობა სუფევდა. წლის თბილ დროს კი ისინი ყაბახზე ხვდებოდნენ ერთმანეთს. თუკი რამე პრობლემა წარმოიშობოდა, კატო ოპერატიულად გაჩნდებოდა დაროსთან ერთად ან მის გარეშე და ყველაფერს აგვარებდა, გარკვეულ დრომდე სიტუაციასაც ერთად აკონტროლებდნენ თავადის ასულები. კატო განიცდიდა საყვარელი ძმის უიღბლობას, გული ეკუმშებოდა, ხანდახან ჩუმად წამოიტირებდა ხოლმე. კატო ძალიან ჩამოჰგავდა უფროს ძმას, ოღონდ ხასიათი უფრო ცხოვრებასთან მორგებული და პრაქტიკული ჰქონდა. ძმასავით მიმზიდველი იყო. მისი მოხდენილი პატარა თავი გრაციოზულად მოძრაობდა მხრებზე. კატოს ხორბლისფერი კანი ფერმკრთალად გამოიყურებოდა. მუქი ნაცრისფერი, შუაზე გაყოფილ თმას, რომელსაც ბავშვობაში კეფაზე ლამაზად შემოგრაგულ წნულად ატარებდა, ბოლო დროს ძირითადად იშლიდა. ზოგჯერ შლაპის ქვეშ იკეცავდა მარჯვედ, ნატიფი ხელის უსწრაფესი მოძრაობით. სიცილი და-ძმისა ერთნაირი იყო, ბავშვური. კატო მოულოდნელად გადაიკისკისებდა ხოლმე. ვერცხლის ზანზალაკივით წკრიალა ხმა ჰქონდა. მართალია, სიღარიბე ახსენებდა თავს, მაგრამ ფაქიზად და გემოვნებთანადა იცმევდა. ძმის სამოსზეც სულ თვითონ ზრუნავდა. მან ბოლო თვეებში თავადის ასულისათვის ცოტა სათაკილო და უცნაური საქმიანობა წამოიწყო, მეიდანზე კატო და დარო ერთად ყიდულობდნენ ქსოვილებს, მერე თავადის ქალი ჩუმად სახლში საუკეთესო სამოსს იკერავდა ძმის პალტოც ასე შეეკერა! თუმცაღა, ამისი რცხვენოდა, და არავისთან ამხელდა, სამოსს რომ თავად ქმნიდა... და თუ ვინმე მის ტანსაცმელს მეტისმეტი ყურადღებით ახლოდან დააკვირდებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთიდან ან პარიზიდან გამოწერილს ნამდვილად არ ჰგავდა. ასეთ შემთხვევებში ახალგაზრდა ქალი თავისთავს აღარ ჰგავდა. ნერვიულობისგან ცახცახებდა, და ცდილობდა, სიტუაციას დროულად გასცლოდა. კატომ უამრავი საჭირო წვრილმანი იცოდა კიდევ. ის ყოველთვის გეგმავდა – რა უნდა გაეკეთებინა, ძალიან პრაქტიკულად, ჩუმად, ამასთანავე მადლიანად....

ახალგაღვიძებული ნიკო ცუდ გუნებაზე ადგა... ის საერთოდ, ბუნებით დიდი მებრძოლი იყო. პირველად ისიც კი გაიფიქრა, რომ ნინოს უბრალო დრამა სჭირდებოდა, ისე... დასატრიალებლად, ყურადღების მისაქცევად. ნიკო

იცნობდა ქალების ბუნებას. ქალებმა ხომ იციან თავიანთი ოცნებებისა და ფანტასტიკური წარმოსახვების რეალობად გაცხადება, ისიც ხომ იციან, თუ როგორ გამოიგონონ წარმოსახვითი თავყვანისმცემელი, დამაბონ სიტუაცია, მიღწევინონ კულმინაციურ წერტილს! მაგრამ მეორე მხრივ, ნიკოს მაინც ვერ გაეგო, რად იქცეოდა ქალი ასე. არც ახსენებოდა, რომ ოდესმე ნინოსთვის გახეთქილების საბაზი მიეცა. ბოლო დროს მაინც მრავალი უცნაურობა შეამჩნია ნინოს. ამ უცნაურობათა სიმრავლეში მან მაინც კოტეს ზრახვები ამოიცნო. მაგრამ ერთი რამ არ იცოდა, კერძოდ ის, რომ ნინოზე მამამისს უსიამო თვალთვალი დაეწესებინა, სასწრაფოდ მოენახა რუსი გენერალი და სარფიანად გადაეწვიტა ნინოს ჯვრისწერის საკითხი, როგორც კი შობის მარხვა დასრულდებოდა.



7. პოლიციის სამსახური

ძალიან ხშირად ხდებოდა, რომ ქორწინებაზე ქალს (მაღალი წრისაც რომ ყოფილიყო) ნაკლებად ან ხშირ შემთხვევაში არც ეკითხებოდნენ აზრს, მშობლებისა და საქმროს ერთობლივი გადაწყვეტილებით საქმე გვირგვინდებოდა.

ნიკომ ასევე არ იცოდა, რომ ის კაცი, რომელსაც ნინოს თვალთვალი ჰქონდა დავალებული, თავადის ასულის გარეთ გამოსვლის შემთხვევაში (ნინო მოახლე თეოსთან ერთად გამოდიოდა, რომელიც მას მუდამ თავს ევლებოდა), მას ედევნებოდა ჩუმად, წიგნაკს ჩანაწერებით ავსებდა. წიგნაკი გრაფებად იყო დაყოფილი: სულ წინ თარიღი, დღე იყო დასმული, შემდეგ მოდიოდა საათების გრაფა. ბოლოს კი გვხვდებოდა ისეთი სიტყვები, როგორცაა – направление, поведение, встречи, общие сведения. куда заходил наблюдаемый, сколько там пробыл, в котором часу вышел... მოყურადე გახლდათ მაღალი, აწოწილი და ტიპური სლავური გარეგნობის ქერაწარბებიანი და წყლისფერ-თვალეზა ახალგაზრდა – საშა ეისმონტი, თუმცა მის გარეგნობას მაინცდამაინც ვერავინ იმახსოვრებდა ზუსტად, რადგან ცვალებადი მიმიკა ჰქონდა და ყველას შეეძლო, ის სხვადასხვაგვარად აღეწერა. საოცრება ის იყო, რომ წყლისფერი თვალების შიგნით ჩასმული შავი გუგები თვით ყველაზე მძაფრი სულიერი მღელვარების დროსაც არ უფართოვდებოდა. ამიტომ აფიქრებიანებდა ეს ნებისმიერს, რომ საშას აღელვება არ შეეძლო.

სახელმწიფო სადაზვერვო ბიუროდან აეყვანა საშა თავად კოტეს. ყმაწვილკაცი ცნობილი სამხედროს შვილი იყო, ეისმონტები წარმოშობით უკრაინიდან, ქალაქ ოდესასთან მიმდებარე დასახლებიდან-გრიბოვკიდან იყვნენ (სადაც საშას დიდ ბაბუას რამდენიმე მამული ჰქონდა.) მამამისი დიდი ხნის გარუსებული გერმანელი იყო, რომელმაც რუსეთ-საფრანგეთის ომში თავი გამოიჩინა. სახელი გაითქვა, თუმცა მალევე დაიღუპა მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლაში, მეფის მესვეურებმა რომლებმაც ოჯახისთვის სიკეთე ისურვეს, საშას ლამაზი რუსი დედა ერთ შემდეგულ მოსკოველ აზნაურს მიათხოვეს, და ბავშვიც ერთ-ერთ სათავადაზნაურო პანსიონში მიაბარეს აღსაზრდელად. შემდეგ ჯარში გაიწვიეს პეტერბურგში, სადაც სპეციალურ სადაზვერვო ნაწილში თავი გამოიჩინა. თავისი ჭისა და გულმოდგინების წყალობით 1833 წლისთვის მას უკვე ე.წ. „რაზიეზდნოი ფილერის“ ფიცი დადება მოესწრო, ოფიცრის ჩინის მიღებაც და იმ პერიოდიდან მოყოლებული კავკასიის მეფისნაცვლის პატრონაჟის ქვეშ მოქმედი პოლიციის სამსახურში ირიცხებოდა. ეს სამსახური მეტების ციხესთან განეთავსებინათ, მაგრამ ქვედა უბნებში ფილიალებიც ჰქონდათ გახსნილი. მისი უშუალო უფროსი იმ პერიოდში და ზოგადად მთავარი პოლიცემისტერი სამოცდახუთი წლის პოლკოვნიკი გრიგორი მოისევეიჩ პერევერზიევი გახლდათ. თავის მხრივ, პერევერზიევის სამსახურს რამდენიმე განყოფილება ჰქონდა. იქ მომუშავე ჟანდარმერია ასე იყო დაყოფილი: **1/ოხრანკის თანამშრომლები, 2/ყველა ჩინის ადგილობრივი და ე.წ. რაზიეზდნოი ფილერები, 3/საიდუმლო დაზვერვისა და თვალთვალის ბიუროს ხალხი და 4/საგანგებო საქმეთა შემსრულებლების რაზმი.** საზოგადოდ, როგორც ხდებოდა ხოლმე, სახელმწიფო სტრუქტურის თანამშრომლებს ეკრძალებოდათ მუშაობის პერიოდში დაქირავებულ მეთვალყურედ მუშაობა, მაგრამ ეისმონტი ნოემბრის ბოლოდან შვებულებაში გასულად ითვლებოდა და ერთი თვე მისთვის ხელისშემშლელი არ იყო. თანაც, თავადი კოტე ქალიშვილის თვალთვალისთვის კარგ გასამრჯელოს პირდებოდა.

ნიკო კარგა ხანს გეგმავდა, რა მოემოქმედა, თუმც კი იცოდა-უაზრობა იქნებოდა ახლა რამე გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა. მას, მატერიალურად წელგაუმართავს ამ ეტაპზე ხელი სულ არ ეწყობოდა და ნინოს ვერაფერს შესთავაზებდა... ბარათაშვილმა ბარათი დატოვა დედასთან, რომ ღამეს ლევანის სახლში გაათევდა. დასძინა, ხუთშაბათამდე შეიძლება, არც კი გამოვჩნდე არქიერის მოედანზეო. ადგა, მშრალი სამოსი ჩაიცვა, დარდიანმა გამოიხურა სახლის კარი და მძიმე ნაბიჯებით ქუჩას გაუყვა... ანჩისხატს რომ მიუახლოვდა. პირჯვარი გადაიწერა და მცირე ხნით შეჩერდა. მერე მარჯვენა ხელი მაღლა შემართა და სახლს ხმამაღლა დამცინავად შესძახა:

- ახ, რა შორს შავიქმნები შენგან ძალადპერეგოდჩიკო მელიტონ! ტფილისის მაზრის თეთრო მარშალოო!

აივნიდან გადმომდგარმა მეზობელმა ყაფლანმა უჯერო ხარხარი ატეხა, უფრო წინ მეფეთა გასასვლელის თალიდან უბანში შემოსულმა მრეცხავმა ქალებმა დასტა-დასტად დაიწყეს დენა, ზოგიერთებმა ქვემ-ქვეშად ამოხედეს და ტუჩებზე თავმალპირაკრულებმა ზურგსუკან ჩუმად გაჭორეს(თითქოს თვითონ რაღაც განსაკუთრებულად მარჯვედ მორგებოდნენ წუთისოფელს).

ბაზ

val erian mamukel aSvil i

samoTxis gvritebi

პიესა

მოქმედი პირნი

1. გოგია _ ხელოსანი
2. ცეტი ნიკო _ ბაზრის კონტროლიორი
3. თინა _ გოგიას შეყვარებული
4. დურმიშხანი _ ცეტი ნიკოს მეგობარი
5. ხუტა _ ჯანმრთელი ავადმყოფი
6. ქალაქის მერი
7. ლადო ექიმი
8. მედოლე
9. მეგარმონე
10. პარტია „პატიოსნები“ ლიდერი
11. უსაქმურები
12. ფსიქიატრიული დისპანსერის ავადმყოფები

I მოქმედება

I სურათი

ბაზრის კუთხეში სანტექნიკის სახელოსნოა, რომელშიც წყობისად ალაგია შესაკეთებელი ელექტროუთოები, სარეცხი მანქანები, გაზგამათბობლები და სხვა ნივთები. კუთხეში კარადაა, რომლის კარზე მიკრულია მოხუცებული კაცის ფოტოსურათი, ცენტრშია ფიცრის გრძელი სკამი.

სახელოსნოში მუშაობს ახალგაზრდა ხელოსანი, რომელსაც თავზე ხილა-ბანდი აქვს წაკრული. შემოდის გემოვნებით ჩაცმული გოგონა:

თინა: _ გამარჯობა გოგი!

გოგია: _ გაუმარჯოს...

თინა: _ როგორ ხარ?

გოგია: _ თავი მტკივა, ღამე ვერ ვიძინებ.

თინა: _ ვიცი, ვიცი, ეგ ხომ გუშინაც მითხარი, ექიმთან უნდა მიხვიდე, წამალს გამოგიწერს.

გოგია: _ წამალი ძვირი ღირს. ლადო ექიმმა მითხრა, წყნარად იმუშავე, ხმაურს მოერიდეო.

თინა: _ შენც მოერიდე.

გოგია: _ ხელოსანი და სიწყნარე, ეს უსაქმური ბიჭებიც არ მასვენებენ.

თინა: _ ნუ ნერვიულობ, მაგათ მე მოგაშორებ. მამაჩემის გარდაცვალებიდან დღეს ერთი წელი შესრულდა, გახსოვს?

გოგია: _ რა დამავიწყებს...

თინა: _ თავის დღეში ავად არ გამხდარა და ერთ საათში დალია სული. ექიმებმა გვითხრეს, ინფარქტით გაუსკდა გულიო. (ტირის) შენ ძალიან უყვარდი, სულ იმას ამბობდა, „ობოლია, არ უნდა დაიჩაგროსო“.

გოგია: _ ათი წლისა ვიყავი, დედა რომ გარდამეცვალა, ობოლი დავრჩი, უპატრონო, მოვიდა სოფელში და წამომიყვანა...

თინა: _ ნათქვამია „სჯობს ღარიბობა ობლობას, ობლობა მეტად ძნელიაო“

გოგია: _ იმის სიკვდილის შემდეგ დამჩემდა თავის ტკივილი.

თინა: _ დღეს წლისთავი უნდა აღვუნიშნო, წავალ გოგი და მალე დავბრუნდები (გადის).

გოგია: _ შენს კაიკაცობას და ხსოვნას გაუმარჯოს, ძია მიტო.
(მივა ფოტოსურათთან და პირჯვარს გადაიწერს, შემოდიან უსაქმური თინეიჯერები).

I უსაქმური: _ ახალი გაზეთები წაიკითხეთ?

II უსაქმური: _ არა, რაო, რა მოხდაო?

I უსაქმური: _ რადა, სახელოსნოები უნდა დაიკეტოსო.

III უსაქმური: _ რას ამბობ, ვითომ რატომაო?

I უსაქმური: _ სირცხვილიაო, რუსთავში ისეთი მეტალურგიული გიგანტი ავაშენეთ და ეს ხიბაკ-ხუბაკები რაღა საჭიროაო...

III უსაქმური: _ რა თქმა უნდა (გოგია ყურადღებას არ აქცევს, განაგრძობს მუშაობას)

I უსაქმური: _ ასე გამოდის, რომ გოგიამ სპეციალობა უნდა შეიცვალოს და სხვა სამუშაო მოძებნოს.

III უსაქმური: _ აუცილებლად.

II უსაქმური: _ თქვენ როგორ გგონიათ, სად შეიძლება მისი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება.

I უსაქმური: _ აი, თუნდაც შავი მეტალურგიის მინისტრად, რას იტყვით?

III უსაქმური: _ კარგია, ეგ ჩვენც გამოგვადგება.

II უსაქმური: _ ჩვენ რატომ?

I უსაქმური: _ რას ამბობ, სადმე კარგ ადგილზე დაგვნიშნავს და გაკვეთდებით შავი დედლებივით.

- III უსაქმური:** _ სწორი ხარ, ეგ ვეღარ მოვიფიქრე, დამავიწყდა, რომ დიდ თანამდებობაზე დანიშნულები თავის გარშემო ნათესავებს, ნაცნობ-მეგობრებს და ახლობლებს შემოკრებენ ხოლმე...
- II უსაქმური:** _ მაშ, როგორ გინდა, ტაშის დამკვრელნი, მაქებარნი, მხარის დამჭერნი და ზურგის გამამაგრებელნი ხომ სჭირდებათ.
- I უსაქმური:** _ წყალი სადა გაქვს, გოგი, წყურვილით ვკვდები (გოგია აწვდის დოქით წყალს), წყალში გაგიმარჯოს!
- III უსაქმური:** _ დიდ თანამდებობას კი ვამბობთ, მაგრამ შეძლებს გოგია ნომენ-კლატურული საქმის გაძლოლას?
- II უსაქმური:** _ შეძლებსო?! შენც იტყვი ხოლმე რაა, სამი აკადემიის საპატიო წევრია, მთელ მსოფლიოში აქვს სახელი განთქმული.
- I უსაქმური:** _ აქეთ გამოიწიე ჩუხჩუხ, მაგ ნაპერწკლებმა ცეცხლი არ წაგიკიდოს.
- I უსაქმური:** _ გოგიას რომ არ ეკიდება?
- III უსაქმური:** _ გოგია ცეცხლის რაშზეა გამობრძმედილი, გახსოვთ ლექსის სტრიქონები?
- I უსაქმური:** _ „ვზივარ რაშზე, ცეცხლის რაშზე მიჰქრის რაში ცეცხლის რაში...“
- II უსაქმური:** _ კი, მაგრამ ტრაკი არ ეწვის?
- III უსაქმური:** _ ეხ, სულ არ გაგაჩნია პოეტური ფანტაზია. თავით გონებითა ზის, დუნდულებით კი არა.
- I უსაქმური:** _ ახლა რომ დიდ თანამდებობას ამბობდით დათანხმება მერე გოგია?
- II უსაქმური:** _ რატომ არ უნდა დათანხმდეს, პერსონალური მანქანა, ათჯერ დიდი ხელფასი, ყოველმხრივი პატივისცემა, კეთილი ცხოვრება.
- III უსაქმური:** _ ამ ინსტრუმენტებს რას უზამს?
- II უსაქმური:** _ თან წაიღებს, ყმაწვილობისა და ჭაბუკობის მოსაგონებლად.
- I უსაქმური:** _ შეიძლება აქ მემორიალური დაფაც ჩამოკიდონ: აქ ამა და ამ წელს მუშაობდა მსოფლიოს უდიდესი მეწარმე გოგია ღელეღუტა-შვილი.
- II უსაქმური:** _ ალბათ, მუზეუმსაც გაუხსნიან.
- III უსაქმური:** _ მეწარმეს ასეთი პატივი?
- I უსაქმური:** _ ედისონი მეწარმე არ იყო, ვისზე რა ნაკლები დაფასება ჰქონდა.
- II უსაქმური:** _ ეს რაღაა თოკზე ბაირადივით რომ არის ჩამოკიდებული? (ჩამოხსნის და ათვალერებს).
- III უსაქმური:** _ ნამდვილად დროშა უნდა იყოს, როგორც ემახიან, სლოგანი.
- I უსაქმური:** _ რა გაგიკვირდა მეტალურგიულ გიგანტებს თავისი დროშა ჰქონდათ.
- II უსაქმური:** _ (ახლოს მიდის და ათვალერებს) _ დროშა კი არა გოგიას ფოხანი ყოფილა!
- ცეტი ნიკო:** _ გაიგე, გოგი შეიძლება სახელოსნო დაგიკეტონო!
- გოგია:** _ ვერ დაკეტავენ...
- III უსაქმური:** _ რატომ?

გოგია: _ ამ ღვთისნიერი კაცის ხსოვნას ვერ შეზღაპრავ (ხელს ფოტოსურათისკენ გაიშვერს).

ცეტი ნიკო: _ მიტუა რა, ლენინი იყო?

გოგია: _ ლენინზე მეტიც...

III უსაქმური: _ მართალია, ობოლი, უპატრონო შეგიფარა, გაგზარდა, კაცად გაქცია, მაგრამ ლენინზე მეტი? არ ვიცი. თქვენ რას იტყვით, ბიჭებო?

სამივე ერთად: _ არა, არა! ლენინი ჯიგარი იყო.

გოგია: _ წადით, მომშორდით, თქვენ რა იცით მიტუას ფასი (თავზე ხელს მოიდებს).

ცეტი ნიკო: _ კარგი, კარგი, დამშვიდდი, მის გარდაცვალებამდე რა წყნარი, მშვიდი იყავი, ახლა რა ღმერთი გაგიწყრა?

I უსაქმური: _ აი, ასეა, ყოველდღე გვიყვირის, გვაწიოკებს, თავმოყვარეობას გვილახავს (თვალეზე ხელს მიიფარებს, ვითომ ტირის, სლუკუნებს, ცვირსახოცს შუბლზე მიიდებს).

II უსაქმური: _ ასე არ შეიძლება გოგი, ჩვენც ხომ ადამიანები ვართ და ჯიგარი გვაქვს, როდემდე უნდა ავიტანოთ ამდენი უსამართლო დამცირება.

ცეტი ნიკო: _ ერთმანეთს უნდა მოვესიყვარულოთ, მოვეფეროთ, ბოლოსდაბოლოს ერთუბნელები ვართ...

III უსაქმური: _ არა ეგ შვინდიანში კვალაანთ უბანშია გაზრდილი, იქიდან მოიყვანა მიტუამ ჩვენდა სატანჯად და საჯიჯგნად.

I უსაქმური: _ რატომ არ დაიქცა ის დღე.

II უსაქმური: _ რა უნდა ჩვენგან, რას გვერჩის? რას გადაგვეკიდა?

III უსაქმური: _ ღმერთმა ხომ იცის, ძმასავით გვიყვარს და უამისოდ ვერ გაგვიძლია.

ცეტი ნიკო: _ ასე მართლაც არ ვარგა, გოგი, ამ ბიჭებს უშენოდ ვერ გაუძლიათ და შენ კი... (უეცრად დაიქუხებს).

I უსაქმური: _ აი, ბუნებამაც გაიზიარა ჩვენი მწუხარება.

II უსაქმური: _ ელვამაც გაკვესა (პირჯვარს გადაიწერს).

III უსაქმური: _ გოგია გაგვებუტება თუ არა, წვიმას იწყებს.

I უსაქმური: _ რა მაგ სიტყვის პასუხია და, გოგი, როდისაა შენი დაბადების დღე?

II უსაქმური: _ კარგი რაა, შენც იტყვი ხოლმე, ასეთი უაზრო შეკითხვებით რატომ აცდენს ამ მშრომელ კაცს, გოგიას დაბადების დღეს წინასწარ გაცნობებს, პრესა, რადიო, ტელევიზია, უცხო ქვეყნების დელეგაციები ჩამოვლენ.

I უსაქმური: _ სწორი ხარ, შევცდი და ბოდის ვიხდი, გოგი, რა ღირს უთოს შეკეთება?

გოგია: _ ორი ლარი.

II უსაქმური: _ რატომაა ასე ძვირი, რა ამზავია?

გოგია: _ იცი, რას გეტყვით, ამ უთოს შეკეთებისათვის საჭირო მასალისა და ჩემი შრომის ფასი ადევს, არც მეტი და არც ნაკლები.

I უსაქმური: _ ხელოსანი კი არა, ჩარჩი-ვაჭარი ყოფილხარ, ღმერთი არა გწამს, ხალხს ტყავს აძრობ, ნამუსი დაკარგე?

III უსაქმური: _ დაიცა, დაიცა შუშუნ, ეს კაცი, ეტყობა, შეკეთებულ უთოს ორ ლარად ყიდის და ამიტომ დაადო ასეთი ფასი.

გოგია: _ უთოს კი არ ვყიდი, შეკეთებას ვაფასებ ორ მანეთად.

II უსაქმური: _ ბიჭებო! გოგიას ამას წინათ უთო შევაკეთებინე, სახლში მივიტანე ჩავრთე და აფეთქდა.

გოგია: _ რას ამბობ, კაცო, შენ ჩემთან არაფერი არ მოგიტანია, ამ მარჯვენამ ღალატი არ იცის, არა.

I უსაქმური: _ რა ვიცი, ეგრე კი იყო და...

გოგია: _ ტყუილს ამბობ, უსინდისოვ, თაღლითო, როგორ არ გრცხვენია!

I უსაქმური: _ არა გჯერა? მაშ, აი, ნიკოს ვკითხოთ, ამან ხომ ტყუილი არ იცის.

ცეტი ნიკო: _ რაა, უთო არაა? როგორ არა, გუშინ მაჩვენა, შუაზე იყო გაგლეჯილი.

გოგია: _ სხვასთან მიიტანდი, ამ მარჯვენამ ღალატი არ იცის-მეთქი, თქვი რომ სტყუიხარ, თქვი!

II უსაქმური: _ მე გოგია კარგი ხელოსანი მეგონა, მაგრამ...

გოგია: _ ტყუის, ტყუის, არ დაუჯეროთ (ყვირის). ცილსა მწამებს, სახელს მიტეხავს... (მივარდება, ხან ერთთან და ხან მეორესთან). ყვირის: „მომშორდით ჯალათებო“, „სისხლის მსმელებო“. „წურბელებო“, „მტანჯველებო“...)

ცეტი ნიკო: _ შენ შეიძლება ისიც თქვა, რომ შავი ხალათი გაცვია.

გოგია: _ შავია, მაშ რა არის?!

ცეტი ნიკო: _ შავი კი არა თეთრია.

III უსაქმური: _ ნამდვილად თეთრია. (უსაქმურები ყველა ერთად ყვირიან: „თეთრია, თეთრი“, „წუნის მკეთებელო“, „მატყუარავ“, „თაღლითო“, „ყალთაბანდო“. განერვიულებული გოგია დარბის, ხელებს იქნევს, ძალა ელევა, გრდემლის გვერდით კედელს მიეყუდება, უსაქმურები თავზე ადგანან და დაჰყვირიან. ძალაგამოლეული გოგია ძლივსძლივობით ამოიძახებს „თეთრია თეთრი“).

I უსაქმური: _ ბიჭებო, გუშინწინ, აი, აქ, ამ ადგილზე გოგია სურათს ხატავდა, დამინახა თუ არა, ჩარჩოს ხელი დაავლო, ოთახში შევარდა, ჩაიკეტა და კარგა ხანი აღარ გამოსულა.

III უსაქმური: _ რას უნდა ხატავდეს, საინტერესოა. გოგია, რა არის, რას ხატავ, გვაჩვენე, განა იმის ღირსნი არა ვართ შენი მ ეგობრები, რომ გვაჩვენო და დაგვატკბო შენი შემოქმედებით.

გოგია: _ არაფერსაც არ ვხატავ...

II უსაქმური: _ როგორ არა, აი, შადრევანამ თვალი შეგასწრო, როცა ხატავდი, გვაჩვენე, რა მოხდება?!

გოგია: _ გითხარით და გავათავე, არაფერს არ ვხატავ.

I უსაქმური: _ აბა, მაშ, შევალ სენ საბრძანებელში და ვნახავ.

გოგია: _ არა-მეთქი...

ცეტი ნიკო: _ ოო... აქ საქმე უფრო სერიოზულად ყოფილა, რაკი ოთახში არ გვიშვებ, იმის მაჩვენებელია, რომ რაღაცას მალავ.

გოგია: _ არაფერსაც არ ვმალავ, გამანებეთ თავი, რას გადამეკიდეთ!

ცეტი ნიკო: _ აბა, ბიჭებო, მოდით, მომეხმარეთ ეს მესაიდუმლე დაიჭირეთ და მე თვითონ ვნახავ! (გოგია ხელებს გაშლის, ყვირის).

გოგია: _ მომშორდით, შიგ არ შეგიშვებთ, არა! (შემორბის თინა, ხელში ფუთა უჭირავს).

თინა: _ უსაქმურებო, შარახვეტიებო, ისევ არა ხართ? აბა, ახლავე მოშორდით აქაურობას. ჩქარა-მეთქი! (ხან ერთს მივარდება, ხან _ მეორეს). გამოგელიათ სალაყბო, სალაქლაქო არაა? (მივარდება I უსაქმურთან).

I უსაქმური: _ ჩემგან რა გინდა, მე ხმა არ ამომიღია... (ახლა II უსაქმურთან)

II უსაქმური: _ მე რას მომვარდი, მნახე რა დაბალი ღობე?

ცეტი ნიკო: _ დაიწყე არაა, შენებურად, კარგი, კარგი მოვრჩეთ ბიჭებო, წავედით.

III უსაქმური: _ მტერი ჩავარდა ამის ყბაში...

თინა: (მიმართავს ცეტ ნიკოს) _ სულ შენი ბრალია, შენა ხარ ამათი წინამძღოლი, ნახეთ არაა უპატრონო და მიუსაფარი? გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ, ამის მფარველი ახლა მე ვარ და ვაი იმას, ვინც დაჩაგვრას მოინდომებს, აბა, ახლა გადით აქედან? (გაყრის ყველას სცენიდან). დამშვიდდი, ჩემო გოგი, ნუ კანკალები, დაწყნარდი, დაჯექი, ნუ გეშინია, შენს გვერდით ვარ, რა იყო, რას გაძალებდნენ ის უსაქმურები, რა გვაჩვენეო?

გოგია: _ ჯერ ამას ვერავის ვაჩვენებ.

თინა: _ რა არის, კიდევ რაიმე დახატე?

გოგია: _ ვერ ვიტყვი-მეთქი...

თინა: _ არც მე მაჩვენებ?

გოგია: _ შეენ?

თინა: _ ჰო, მე.

გოგია: _ მხოლოდ შენ და სხვას არავის.

თინა: _ აბა, სად არის?

გოგია: (გააღებს კლიტით დაკეტილ კარადას და ფერწერულ სურათს გამოიღებს).

თინა: _ დედა რა კარგია, რა მშვენიერია, ვინ არის ეს მოხუცი? საიდანღაც მეცნობა, სად მინახავს, სად...

გოგია: _ ეს სიკეთეა...

თინა: _ სიკეთე?

გოგია: _ სიკეთე ტკბილია...

თინა: _ მართალი ხარ, სიკეთეზე ტკბილი არ დაბადებულა ქვეყნად არაფერი, მე, მაგალითად, სიკეთეს ძეგლს ავუგებდი.

გოგია: _ სიკეთე კარგია, თაფლია...

თინა: _ დაიხა, დაიცა ეს ხომ მიტუაა, მამაჩემი... მისი იერი, მისი ღიმღილი.

გოგია: _ ჰო, მიტუაა.

თინა: _ ყოჩად გოგი, ნამდვილად ნიჭიერი ხარ (გადაეხვევა და გადაკოცნის).

II სურათი

- ქალაქის მერი:** _ სანამ ძირითად საქმეზე გადავიდოდეთ, მითხარი როგორ არის ხელოსანი გოგია?
- ექიმი:** _ როგორ გითხრათ, ამ ბოლო დროს უსაქმურებმა ცეტი ნიკოს მეთაურობით ძალიან გაურთულეს ავადმყოფობა, განუვითარდა დეპრესია, აპათია, აღენიშნება მეხსიერების ფუნქციების მკვეთრი დაქვეითება, ცნობიერების მოშლა, აღარც მოედნის უსაქმურებს ეპასუხება და არც ნაცნობებს, თუმცა სალაშზე საღმით პასუხობს, გაღიმებული.
- ქალაქი მერი:** _ საცოდავი... რა ხელოსანს ვკარგავთ...
- ექიმი:** _ აღარ მუშაობს, დადის მშიერ-მწყურვალი, ისევ პატარკაციშვილი თინა პატრონობს...
- ქალაქის მერი:** _ ეგ რომელი?
- ექიმი:** _ ბიბლიოთეკაში რომ მუშაობს, ხელოსან მიტოს ქალიშვილი.
- ქალაქის მერი:** _ ჰო, ვიცი, ვიცი...
- ექიმი:** _ ხელფასი ასი ლარი აქვს, ამ თანხით დედაც უნდა შეინახოს და გოგაც.
- ქალაქის მერი:** _ თქვენ რა ზომებს იღებთ?
- ექიმი:** _ აღრიცხვაზე გვყავს აყვანილი. ჩვენ საავადმყოფოში ფსიქონერვიული განყოფილება არა გვაქვს, თბილისში ვაგზავნით ასეთ ავადმყოფებს. ისე კი მჭედელი გოგია მღელვარე აღარ არის, არავის ერჩის...
- ქალაქის მერი:** _ არავის ერჩის არაა? აბა ეს წაიკითხე! (აწვდის გაზეთს).
- ექიმი:** (კითხულობს) _ „აფრიკაში“ აბუდაბაში წყნრამა სულით ავადმყოფმა ამოწყვიტა მთელი ოჯახი.
- ქალაქის მერი:** _ გესმით, ექიმო, რა უბედურებაში შეიძლება ჩავვარდეთ? ამიტომაც საბუტები გაამზადეთ, თბილისში უნდა გავგზავნოთ.
- ექიმი:** _ კი ბატონო (ისმის ტელეფონის ზარის ხმა, ექიმი გადის).
- ქალაქის მერი:** _ ვინა? შემოუშვი, შემოუშვი! (შემოდის ცეტი ნიკო).
- ცეტი ნიკო:** _ შეიძლება?
- ქალაქის მერი:** _ დაჯექი. შენ ხელოსან გოგიას თუ იცნობ?
- ცეტი ნიკო:** _ ეგ რომელს, ჭკუაარეულს?
- ქალაქის მერი:** _ სწორედ იმას, მაგრამ სანამ აერეოდა, დაწყობილი ჰქონდა, შესანიშნავი ხელოსანი იყო, ჭკუა-გონება შენ და შენისთანებმა აურიეთ.
- ცეტი ნიკო:** _ არა, პატივცემულო, ჩვენ რა შუაში ვართ...
- ქალაქის მერი:** _ შუაში ხართ თუ ნაპირზე კარგად ვიცი. ისევ ბაზარში მუშაობ?
- ცეტი ნიკო:** _ დიახ, პატივცემულო.
- ქალაქის მერი:** _ როგორც ვიცი, ცუდად არა ხარ, ცხოვრებას არ ემდური, არაა? (ცეტი ნიკო მხრებს იჩეჩავს) თუ გინდა, რომ კეთილად გაგრძელდეს შენი ყოფა-ცხოვრება, ერთი დავალება უნდა შეგვისრულო.
- ცეტი ნიკო:** _ კი, ბატონო, ბრძანეთ.
- ქალაქის მერი:** _ გოგია უნდა ჩაიყვანო თბილისში, ფსიქონერვიულ საავადმყოფოში.

ცეტი ნიკო: _ აუ, მაგას ნუ დამავალბთ პატივცემულო...
ქალაქის მერი: _ არაა? როგორც გინდა, ყველაფერი გასაგებია. შეგიძლია წახვიდე.
ცეტი ნიკო: _ არა, სხვანაირად ნუ გამიგებთ, საწყენად არ მითქვამს.
ქალაქის მერი: _ როგორც თქვი, ისე გავიგე.
ცეტი ნიკო: _ უფროსო, მე თქვენს დავალებას როგორ არ შევასრულებ, მაგრამ...
ქალაქის მერი: _ რა მაგრამ?
ცეტი ნიკო: _ გიჟი არასოდეს წამიყვანია...
ქალაქის მერი: _ უკვე გითხარი, ის გიჟი არ არის, ქვას არ ისვრის და როგორიც არის, ისიც თქვენგანაა და ამიტომაც...
ცეტი ნიკო: _ როდის უნდა წავიყვანო?
ქალაქის მერი: _ ხვალ.
ცეტი ნიკო: _ საბუთები არ დასჭირდება?
ქალაქის მერი: _ საბუთებს პოლიკლინიკაში ლადო ექიმი მოგცემს, ჩამოხვალ და ისევ ჩემთან მოხვალ, გასაგებია? ფრთხილად, გზაში არ გაგეპაროს. ჩვენი ჩვენია, აქ ყველანაირად მოვუვლით, მაგრამ სხვა რაიონში ღმერთმა დაგვიფაროს, იქ ვერც ხელს დავაფარებთ და ვერც ვერავის გაუკერავ პირს.
ცეტი ნიკო: _ ყველაფერს ფრიადზე შევასრულებ, კარგად ბრძანდებოდეთ (გადის).

(ფარდა)

III სურათი

მატარებლის კუპე, საწოლზე წევს გოგია, სძინავს, პირზე ღიმილი დასთამაშებს, ფეხებთან ჩამომჯდარი ცეტი ნიკო დაჰყურებს.

ცეტი ნიკო: _ მაშ, ამას გიჟი უნდა ერქვას და წინაკაანთ ბესუას ჭკვიანი, ერთ ჭიქა ღვინოს დალევს თუ არა, დასაბმელი ხდება, რომ ვუთხარი, თბილისში უნდა წავიყვანო-მეთქი, ისე გამიღიმა, თითქოს ქალის გასასინჯად მიმყავდეს, დაგეშილი მემებარივით გამომიძღვა წინ და ნაბოლარა ცოლის მმასავით თვალს არ მაშორებს, საჭმელსიც რა გემრიელად მიირთვა, არც ცივი ხაშლამა დაუწუნია და არც ხმიადივით ყველი (ისმის მეზობელი კუპედან დოლ-გარმოისა და სიმღერის ხმა), ნერავ ვინ არიამ. პირველი ხმა მეცნობა, მაგრამ ვე ვიგონებ? ერთი თვალით რომ დამახედა... მაგრამ არა შვილოსა, ვაი თუ, გაიღვიძოს, დაკრას ფეხი და გაიქცეს, მერე მშვიდობით ნიკოს მომავალო, წყალში ჩამეყრება „ხაზეინის“ ნდობა... იჯექი, იჯექი წყნარად და დავალებული საქმე პირნათლად შეასრულე, ქეიფი და დროსტარება არც წინათ გაკლდა და არც მერე მოგაკლდება (კარი იღება, ვიდაც შემოიხედავს).

ღურმიშხანი: _ ვახ... ამას ვის ვხედავ, როგორა ხარ ძმაო (კუპეში შემოვარდება კარგა შექეიფიანებული ახალგაზრდა და ცეტ ნიკოს გადაეხვევა).

ცეტი ნიკო: _ დარიანს გაუმარჯოს!

დურმიშხანი: _ დარიშხანს კი არა დურმიშხანს.

ცეტი ნიკო: _ რა მნიშვნელობა აქვს, ყველა დარიშხანს გემახის, ქეიფობთ?!

დურმიშხანი: _ მერე რა მოხდა, მე როგორც წარმატებულმა ბიზნესმენმა კვირაში ერთხელ რომ წავიქეიფო, ძმაკაცები მოვინახულო, ხომ შეიძლება? აბა, წავიდეთ, ისეთი ახაშური გვაქვს, მამა უფალს ჩამოიყვანს ზეციდან.

ცეტი ნიკო: _ საკვირველია, ღმერთმანი, წინათ სპეკულიანტებს გემახოდნენ და ახლა ბიზნესმენი რატომ შეგარქვეს, ვერ გამიგია...

დურმიშხანი: _ ეგ არ არის შენი საქმე, წავედით!

ცეტი ნიკო: _ ვერა, ძმაო, ვერ წამოვალ, მარტო არა ვარ.

დურმიშხანი: _ რას მიქვია ვერ წამოხვა, ის კარგი იყო, ამას წინათ თელიანიდან გატრეტილი მთვრალეები ოთხფეხზე დაჩოქილები რომ გამოგვიშვი?! ვინცა გყავს წამოიყვანე.

ცეტი ნიკო: _ არ გამოვა, აგერ სძინავს.

დურმიშხანი: _ გააღვიძე, მაგის ჭოჭინაც (მძინარე გოგიას ხელს დაავლებს და აჭანჭყარებს).

ცეტი ნიკო: (მივარდება და ხელიდან გააგდებინებს) _ თუ ძმა ხარ, გაუშვი, გეხვეწები, არ გააღვიძო, ახალი ჩამინებულია!

დურმიშხანი: _ ვახ, უფლისწულია თუ მზეჭაბუკი?

ცეტი ნიკო: _ არც ერთი და არც მეორე, გიჟია, თბილისში მიმყავს, უნდა ჩავაბარო.

დურმიშხანი: _ ჩააბარო რა მსხვილფეხა ცხოველია?! გაწყდა ჭკვიანი კაცი თელიანში, რომ გიჟს არ აჰკიდებოდეი, ჰა, შენხ ხომ არ გადაგდო?

ცეტი ნიკო: _ რას იზამ დურმიშხან, დავალება დავალებაა, უფროსები რომ გეტყვიან, უნდა შეასრულო.

დურმიშხანი: _ მოეშვი ზედმეტ ლაპარაკს, ახლა მე არ გამაგიჟო, წავიდეთ!

ცეტი ნიკო: _ ვერა-მეთქი, გაიგე და შეისმინე.

დურმიშხანი: _ მაშინ თქვენთან გადმოვალთ და აქ შევუბეროთ.

ცეტი ნიკო: _ არა, ხმაურზე შეიძლება გაიღვიძოს.

დურმიშხანი: _ იავნანათი გყავს დამინებული?

ცეტი ნიკო: _ არა, ვარდონანათი.

დურმიშხანი: _ მოკლედ არ გვკადრულობ და ეგ არის, იცოდე, ამას განანებ (გადის).

ცეტი ნიკო: _ ვახ, კაცო, კინალამ არ შემაცდინა (უეცრად დურმიშხანი დოღარმონთან ერთად შემოგლეჯავს კარს და მღერის).

ჩემი გიჟი გიწოდე,

ხელი გამოგიწოდე,

დაჭკვიანდი, იცოდე,

ჩემო ვაჟკაცო.

დურმიშხანი: _ მასპინძლებს გაუმარჯოთ! აბა, ეს ყანწი გამოცალე, თორემ თავზე დაგასხავ, ჰა, გაუბედე, გაუბედე. გახსოვს ერთი ლიტრა თავზე რომ დამაქივლე.

ცეტი ნიკო: _ ასე არა... ყველა გიჟს გაუმარჯოს შენი ჩათვლით (ყანწს გამოართმევს და სვამს).

დურმიშანი: _ ვაიმე, ამას რას ვხედავ (თავლებზე ხელს იფარებს), არ დამანახოთ, არ დამანახოთ!

ცეტი ნიკო: _ რა არის, რამ დაგზაფრა დურმიშანი?!

დურმიშანი: _ რადა უღმერთოება, ურჯულოება, არა, ძმაო, ასე წესრიგს ქვეყანაზე ვერ დავამყარებთ!

ცეტი ნიკო: _ რაზე ამბობ, რა მოგელანდა?

დურმიშანი: _ ყველა ქრისტიანს ძილის დროს თავი დასავლეთისკენ უნდა ჰქონდეს, ფეხები აღმოსავლეთისკენ, ამას კი...

ცეტი ნიკო: _ კარგი ერთი, თუ ძმა ხარ...

დურმიშანი: _ ვერ მოვისვენებ, სანამ არ გავასწორებ, აბა ბიჭებო, მომეხმარეთ! (გოგიას ასწევინ და ასოთხმოცი გრადუსით შემოატრიალებენ).

ვეტი ნიკო: _ აჰა, ბატონო ეს თუ უშველის ქვეყანას, ჰქონდეს ფეხები აღმოსავლეთისკენ.

დურმიშანი: (ხელადას გოგიას თავთან გააქან-გამოაქანებს და პირჯვარს გადასწერს) _ ნებითა მამისათა სულისათა, წმინდისათა, შეუნდე, მამა-ზეციერო, შვილსა შენსა, სახელი რა ჰქვია?!

ცეტი ნიკო: _ გოგია.

დურმიშანი: _ მონა ღვთისასა გოგიასა, რამეთუ ტვინი აერია, ვითარცა დომხალი და არ იცის, რასა იქმს, რა მისი ბრალია, თუ თავლი წინაკად ეჩვენება და ანგელოზის ბემურაზად. მხევალი თუ ჰყავს?

ცეტი ნიკო: _ მხევალი რა არის?

დურმიშანი: _ ნაყიდი, უმზითვო ქალი.

ცეტი ნიკო: _ როგორ არა, ლილოს ბაზრობაზე იყიდა ერთი ქალშავა 70 ლარად.

დურმიშანი: _ ძვირად უყიდა, ცირკთან უფრო იაფად იშოვიდა. შეიწირე ცოდვილი ესე მხევალთან ერთად აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე, განწმინდე და ცოდნა მისი დაშრიტე გონებისგანა მისთა, მარხვას თუ ინახავს?

ცეტი ნიკო: _ როგორ არა...

დურმიშანი: _ მსუბუქს თუ მძიმეს?

ცეტი ნიკო: _ მსუბუქს ინახავდა, მაგრამ რაკი მისი ორგანიზმი მიჩვეული იყო შავ ხიზილალას, ირმის მცვრიან მწვადებს, ხაშლამას, ცივად მოხარშულ დედალს და შავ ღვინოს, კუჭის შეკრულობა ანუ იგივე ყაბაზობა განუვითარდა, რის გამოც მისმა პერსონალურმა ექიმმა, ცნობილმა დიეტოლოგმა ფრიად პატივცემულმა იპოკრატე კუჭიაშვილმა მკაცრზე გადაიყვამა, ბატონო დარიშანი!

დურმიშანი: _ ეგ ვერ უშველის, საჭიროა ქოჩორი ღვინით დავუნამოთ და რაკი სძინავს და ყლაპვას ვერ ახერხებს, ვასუნთქებინოთ, რათა ღვთიური სითხის, ანუ იგივე ბულბულის ცრემლების გემო არ დაივიწყოს, მერე კი სამჯერ გარშემო შემოვუაროთ (ქოჩორს ღვინით უსველებენ და სამჯერ გარშემო შემოუვლიან).

ცეტი ნიკო: _ კიდევ თუ ეყოფა?

დურმიშანი: _ ეყოფა, ახლა კი ქეფი, ლხინი, სიმღერა (მღერიან „ქეფს ვიწყებ დილიდან...“) ახლა ცეკვა, რა უფრო ემარჯვებოდა შენს ავადმყოფს?
ცეტი ნიკო: _ სამხრეთამერიკულზე გიჟდებოდა, ვალსზე, ბოსტონზე, ფოქსტროტზე, როკენროლზე, ტანგოზე, სამბოზე ხომმ ჭკუა ეკეტებოდა.
დურმიშანი: _ ქართულიდან?
ცეტი ნიკო: _ ფარცა კუკუ, ფერხული...
დურმიშანი: _ ფერხული კარგია, მაგრამ ამ გალიაში როგორ ვიცეცეკვებ?
ცეტი ნიკო: _ დაუკარით, ცალ ფეხზე დავტრიალდები.

(ფარდა)

IV სურათი

ფსიქიატრიული საავადმყოფოს მიმღები, კარების იქით პალატა მოჩანს, სადაც ავადმყოფები ირევიან, სკამზე ჩამომჯდარი ცეტი ნიკო და გოგია ელოდებიან ექიმის მოსვლას. მთელი ღამის უძილობით და ბახუსით გაბრუებულ ცეტ ნიკოს ჩაეძინება, ხვრინავს, ექიმ ლადოსაგან გამოტანებული საბუთები მოზომებული თითებიდან ჩაუვარდება და იატაკზე გაიფანტება, გოგია მოკრებს, წყებისად დაალაგებს და ხელში უჭირავს, მიმღებში შემოსული ექიმი საწერ მაგიდას მიუჯდება და მხვრინავ ცეტ ნიკოს ეჭვიანად გადახედავს.

ექიმი: _ საიდან ჩამოხვედით?

გოგია: _ თელიანიდან.

ექიმი: _ მომეცით ეგ საბუთები (გოგიას ხელიდან გამოგლეჯს და ისევ სკამზე ჯდება, საბუთებს ათვალიერებს) დაა, სერიოზულად ყოფილა საქმე, კეთილი, თქვენ თავისუფალი ხართ, კარგი იქნება თუ ხშირად მოაკითხავთ (გოგია გადის), სანიტრებო, ავადმყოფს მიხედეთ!

სანიტარი: _ აბა გაიღვიძე! (ცეტ ნიკოს მხარზე ხელს ადებს).

ცეტი ნიკო: (შეხტება) _ ჰო, რაშია საქმე?!

სანიტარი: _ ჩვენთან უნდა წამოხვიდე ძვირფასო, ჩვენთან!

ცეტი ნიკო: _ თქვენთან რა მინდა, გიჟი ხომ არ გგონივართ? რა იქნა ის ჭკაარეული, სად წაიყვანეთ, დამალეთ არაა?!

უფ. სანიტარი: _ ადექი, ადექი! (ილღიაში მისწვდება)

ცეტი ნიკო: _ უჰ, თქვენი, აბა, ერთი ხელი მახელით!

სანიტარი: _ ამას დედიკოსთან ჰგონია ისევ თავი. ალუ... ალუ!

უფ. სანიტარი: _ აბა, ეხლა ჩაიცივი ეს ხალათი, არ გაცივდე! (ძალით აცმევენ). რა ვირის ჯანისა ყოფილა ეს ღმერთგამწყრალი! (შემოდის ექიმი).

ექიმი: _ რა არის, აქამდე ვერ წაიყვანეთ?!

უფ. სანიტარი: _ არ გვემორჩილება, ბატონო ექიმო, „გიჟი არა ვარო“!

ექიმი: _ ჰოო, გასაგებია, მეთოთხმეტეში კი არა აქვე მღელვარეში შეიყვანეთ (გადის).

ცეტი ნიკო: _ ექიმო! ექიმო! უფ, თქვენი დედაც, ყველასი!

სანიტარი: _ აბა, აბა, ჭვიანივით ნუ იგინები.

I ავადმყოფი: (მიდის ექიმთან) _ ექიმო, მე ფეხმძიმედ ვარ!

ექიმი: _ როგორ შეიტყვეთ?

I ავადმყოფი: _ ამ დილას მუცლიდან ბავშვის ტირილის ხმა შემომესმა.

ექიმი: _ გასაგებია. გუშინ შუადღისას რა ჭამეთ?

I ავადმყოფი: _ ლობიო

ექიმი: _ წუხელის?

I ავადმყოფი: _ ლობიო.

ექიმი: _ გასაგებია, სასტიკად დაესჯით მზარეულს თქვენი დაფხმძიმებისთვის.

III ავადმყოფი: (ხელში სარკე უჭირავს და დასდევს სხვა ავადმყოფებს) _ ჩაიხედეთ, ჩაიხედეთ! (ახლა სხვას გამოეკიდება).

II ავადმყოფი: (ფანჯარასთან დგას შუახანს მიტანებული ავადმყოფი, მუსტევეს იქნევს და ყვირის) _ „გაუმარჯოს ერთობას, ტრაკი უჩანს გლეხობას“, „კვანტი კვანტური ამ თეორიის უარყოფელებს“, „დიდი განსხვავება არ არის ლადასა და ლადავს შორის“ ასე თქვა ციცერონმა.

I ავადმყოფი: _ ციცერონს არ უთქვამს...

II ავადმყოფი: _ როგორ არ უთქვამს, გვერდით ვედექი, როცა თქვა.

I ავადმყოფი: _ არ უთქვამს, არ უთქვამს, არ უთქვამს!

III ავადმყოფი: _ თქვა, თქვა, თქვა!

(ავადმყოფები ორ ჯგუფად გაიყოფიან და დაერევიან ერთმანეთს, ისმის გინება, უწმაწური სიტყვები, შემოდიან სანიტრები, შემოჰყავთ გიჟის ხალათით შეკრული ცეტი ნიკო, სანიტრები მივარდებიან მოჩხუბრებს და აშველებენ _ ცეტი ნიკო დროს იხელთებს, გარბის, მაგრამ სანიტრები გამოუდგებიან და კარებთან დაიჭერენ).

(ერთ წვეროსანს მარცხენა ხელი ლაჯებში აქვს ამოდებული, მარჯვენას მათრახივით იქნევს და „მწუ“, „მწუს“ იძახის, დაინახავს ცეტ ნიკოს და მივარდება).

I ავადმყოფი: _ თქვენ საიდანღაც მეცნობით!

ცეტი ნიკო: _ არ ვიცი, მე არ მახსოვხართ...

I ავადმყოფი: _ გამოიბი ასი თვალი პირზე, ტრაკზე, ჭიპზე, კინკრიხოზე და დამაკვირდი!

ცეტი ნიკო: (აკვირდება) _ ვერა, ვერ გცნობთ.

I ავადმყოფი: _ კარგად დამაკვირდით, კარგად! აი, გავიღიმებ და მასინ აუცილებლად გაგახსენდება.

ცეტი ნიკო: _ ვერა-მეთქი...

I ავადმყოფი: _ ტყუილხარ!

ცეტი ნიკო: _ მე და ტყუილი?

I ავადმყოფი: _ იპოდრომზე ათასცხრაას ოთხმოც წელში თქვენ დიდი პრიზი მოიგეთ.

ცეტი ნიკო: _ იპოდრომზე ჩემ სიცოცხლეში არა ვყოფილვარ.

I ავადმყოფი: _ ეტყობა, დაგავიწყდათ, თქვენ მაშინ წმინდა სისხლის „კარმენს“ აჯობეთ.

ცეტი ნიკო: (თავისთვის) _ გიჟზე გიჟია ეს ვირიშვილი ცხენზე მხოლოდ ერთ-ხელ ვიჯექი, ისიც მხოლოდ ხისგან გამოჩორკნილზე, როცა ბებიაჩემმა ძველ ბაღში სურათი გადააღებინა რუბენა ფოტოგრაფს. თქვენ ვიღაცაში გეშლებით!

I ავადმყოფი: _ აბა, ახლა ზურგიდან შეგხედო, შეტრიალდი, შეტრიალდი! (ცეტი ნიკო შეტრიალდება) წაიკუხეთ, წაიკუხეთ და ყური მათხოვეთ, ჩუმად, საიდუმლოდ გეტყვით და გაგახსენდებით (ცეტი ნიკო წაიკუხებს, I ავადმყოფი ზურგზე შეახტება) წინ, წინ, ჩემო მერანო..!

ცეტი ნიკო: _ ჩამოდი, ახლავე ჩამოდი!

I ავადმყოფი: _ არ ჩამოვალ!

ცეტი ნიკო: _ მე შენ გეუბნები, ჩამოდი-მეთქი! (ცეტი ნიკო გარბის კარების მიმართულებით, ფეხზე ფეხს წამოიდებს და იატაკზე გაიშხლართება, წაქცეულებს გარეშემო შემოეხვევიან ავადმყოფები, მათ შორისაა გოლიათი მოყვანილობის ავადმყოფი).

II ავადმყოფი: _ რა მოხდა მეზობელო?

I ავადმყოფი: _ ნახე, ბოლო გარბენაზე როგორ მიღალატა ამ ულაცმა?

II ავადმყოფი: _ ვერაფერიც ვერ ვნახე, აქ ცხენს სადა ხედავ?

I ავადმყოფი: _ აი, მერანი სამარცხვინოდ მიწაზე გართხმული.

II ავადმყოფი: _ ეგ ცხენი კი არა, მაკე თხაა, რომელმაც თიკნები უნდა შობოს.

I ავადმყოფი: _ არა მერანია...

II ავადმყოფი: _ თხა არის-მეთქი! (გოლიათი მივა ცეტ ნიკოსთან და ყურს უწევს) აბა, წვერცანცარავ, დაიკვირე! (ტკივილით შეწუხებული ცეტი ნიკო კიკინებს).

II ავადმყოფი: _ აი, ხომ გითხარი, თხა არის-მეთქი.

III ავადმყოფი: (მივარდება ცეტ ნიკოსთან) _ აი, ცილა, ჩემი ლამაზი მეუღლე მოვიდა, მეგობრებო, როგორ მომენატრე, ჩემო საყვარელო, მოდი გულში ჩაგიკრა, რა ხანის სექსი არ გექონია, კაბა გაიხადე, კაბა (მივარდება და წაქცეულ ცეტ ნიკოს საჯდომზე დაუწყებს ხელების ტყაპატყუპს, ცეტი ნიკო ცდილობს გაიქცეს) _ აა, სხვაზე ხომ არ გამცვალე, შე კახპავ!

ცეტი ნიკო: _ რას ამბობ, ხომ არ გაგიჟდი, ამას მე მეუბნები ქალების მუსუსს, მე და მაგისტანები?

III ავადმყოფი: _ ჩემს არყოფნაში, ალბათ, ვიღაც გაიჩინე, არაა?! მე შენ გაჩვენებ, ბოზო!

ცეტი ნიკო: _ ვაიმე! ვაიმე! მიშველეთ, მიშველეთ! (შემორბიან სანიტრები და განმუხტავენ სიტუაციას. მოდის ერთი ავადმყოფი, ცეტ ნიკოს დაუდგება წინ)

ხუტა: _ აქ მოდი, მეგობარო! საიდანღაც მეცნობი?

ცეტი ნიკო: _ ჰო, მეც სადღაც მინახიხარ.

ხუტა: _ რა გვარი ხარ?

ცეტი ნიკო: _ ქიზიყურაშვილი

ხუტა: _ გიორგი ქიზიყურაშვილი ვინ არის შენი?

ცეტი ნიკო: _ ბიძაა, საიდან იცნობ?

ხუტა: _ კარის მეზობელია, ჰო, ჰო, იმასთა მინახიხარ.

ცეტი ნიკო: _ ბიჭიკის მამა ხარ?

ხუტა: _ კი, შემოგიყვანეს თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ გიჟი არ იყავი.

ცეტი ნიკო: _ არც თქვენა ჰგავხართ ტვინარეულას

ხუტა: _ მართალი ხარ, მე ჩემი ნებით შემოვედი ამ სამოთხეში!

ცეტი ნიკო: _ თავისი ნებით?!

ხუტა: _ ჰო, უკვე ხუთი წელია (პირზე ხელს აფარებს), ჩუმად არავინ გაიგოს!
(კიდევე უფრო მოშორებით გაიყვანს).

ცეტი ნიკო: _ რატომ?

ხუტა: _ საიდუმლოს შენახვა იცი?

ცეტი ნიკო: _ მაშ როგორ? ჩემგან სიტყვა არ გავა, სამარე ვარ...

ხუტა: _ მე საპენსიოს უფროსად ვმუშაობდი...

ცეტი ნიკო: _ არ გამაგიჟო, სოციოლურუნველეყოფის გამგედ?

ხუტა: _ კი, ხუთი წელი ვიპარავდი, მკვდარ სულელებზე პენსიას ვაფორმებდი და ფული უფროსებთან მიმქონდა.

ცეტი ნიკო: _ მერე?

ხუტა: _ საგადასახადო ინსპექციამ შემამოწმა, დაჭერას მიპირებდნენ, მაგრამ ვერ მივართვი, გიჟობა მოვიგონე.

ცეტი ნიკო: _ რაღა გასაცოდავებულ ხალხსა ჰპარავდი, შე კაი კაცო, ცოტაა მდიდარი, შემღებული ქვეყანაზე?

ხუტა: _ რას ამბობ, რას? მდიდარი ფულს მოგაპარინებს? კრუხივით აზის თავის მილიონებს.

ცეტი ნიკო: _ მგონი მართალს ამბობ...

ხუტა: _ შენ გგონია, მართო მე ვპარავდი? როგორ გეკადრება, პენსიონერს პარავს, ვისაც არ ეზარება: გაზის, ელექტრობის, კომუნალური მომსახურების ფასები ისეა გაზრდილი, სულს ვერ მოითქვამ, ამიტომაც ის, ვინც ფასებს აძვირებს ერთი წელი ვირის აბანოში უნდა შეაძწევდით, რომ ის მადა დაეკარგოს, რომელიც ყოველდღე აწუხებს და მოსვენებას არ აძლევს (უეცრად აყვირდება). მზეს „შოჩიკი“ უნდა დავეუყნოთ ხალხნო, თორემ ნამდვილად გვატყუებს, იმდენ სითბოს აღარ გვაწვდის, რამდენიც გვეკუთვნის. (ისმის შემახილები „სწორეა, სწორეა“) _ ვინ წავა მზეზე?!

III ავადმყოფი: _ მე წავალ, მე!

ხუტა: _ აი, მზეზე წამსვლელივ გამოჩნდა.

II ავადმყოფი: _ ეგ არ გამოდგება.

ხუტა: _ რატომ?

II ავადმყოფი: _ მზეზე ცხელა და მაგან ოფლი იცის.

ცეტი ნიკო: _ ეგ რაღა იყო?!

ხუტა: _ იმისათვის, რომ ჯანმრთელი არ ვეგონოთ, საჭიროა ხანდახან თავი მოვიგიჟიანოთ. ხო, იმას გეუბნებოდი, უნდოდათ დავეჭირე, მაგრამ ვერ მივართვი, თავი მოვიგიჟიანე. საკვირველი ის იყო, რომ ჩემს წინააღმდეგ ყველაზე უფრო ის აყვირდა, ვისაც ყველაზე მეტ ფულს ვაძლევდი...

ცეტი ნიკო: _ ჰო, ასეა ხოლმე, თავი ტყავის გადასარჩენად შენ კი არა ცოლ-შვილს არ დაინდობენ.

ხუტა: _ დროზე ავუღე ალღო და მაშინვე აქ შემოვვარდი, როგორც იტყვიან მშრალზე დავტოვე, სამი თითის კომბინაციით დავაჯილდოვე (თითები თან ანიშნებს), ისეთ აზდაუბდას ვლავარაკობდი, რომ მარტო ამათ კი არა, ჩემ თანამშრომლებსაც კი შეეპარათ ეჭვი. დაიხსომე, მდიდარი თუ ხარ, ღატაკის ნიღაბი უნდა აიფარო, ხოლო თუ ჭკვიანი ხარ _ გიჟისა.

ცეტი ნიკო: _ შესამოწმებლად კომისიაზე არ გაგაგზავნენ?

ხუტა: _ როგორ არა, მაგრამ იმათ მოქრთამვას რა უნდა, დამშეულ კაცზე ადვილი მოსაქრთამი არავინაა, ადამიანს კი არა, ვეფხვებს და ლომებს ათვინიერებენ. ვარ ახლა აქ და არც გამომძიებელი მაწუხებს, არც პროკურორი, არც მოსამართლე, ნამდვილი სამოთხეა.

ცეტი ნიკო: _ ასე გამოდის, ჩვენც სამოთხეში ვყოფილვართ.

ხუტა: _ ნამდვილად, სამოთხის გვრიტები ვართ. საჭმელიც მოაქვთ და სასმელიც, სასჯელს ხომ ვერავინ შემკადრებს სულით ავადმყოფის ცნობა მიდევს ჯიბეში.

ცეტი ნიკო: _ ამაზე დიდი სასჯელი რაღა გინდა, ყოველდღ გიჟებთან გიხდება ყოფნა.

ხუტა: _ ბანდიტებთან და კაცის მკვლელებთან ხომ არა. გინდა დამიჯერე და გინდა არა, აქ ნამდვილად დავისვენე, ტვინს აღარ მიხვრიტავს ტელეფონის ზარი და ძახილი „მალე მოდი და მოგვიტანეო“. ნეტავი გენახა როგორ დააცხრებოდნენ ხოლმე, ჩემგან მირთმეულ გფულს, ისე როგორც სვავების გუნდი ლეშს.

ცეტი ნიკო: _ ან და მგელი ცხვარს ან ბატკანს, არაა?

ხუტა: _ მართალია, არც მე ვარ მამა აბრამის ბატკანი, მაგრამ მათთან შედარებით ფრთაფარფატა ანგელოზი გახლავართ.

ცეტი ნიკო: _ კი, მაგრამ როდემდე აპირებ აქ დარჩენას?

ხუტა: _ სანამ ქვეყანა არ დაწყენარდება.

ცეტი ნიკო: _ ის ვიღაა წელან პოლიტიკოსებზე რომ მეკითხებოდა?

ხუტა: _ ოო, ეგ სხვებისგან გამორჩეული ბახალაა, ყოფილი დეპუტატი, იჯდა სხდომებზე და ეძინა, გადაირჩიეს, გაგიჟდა. კარიერის ჭია ჰყავს შემჯდარი, აქაცა სძინავს, მაგრამ რომ გამოიღვიძებს დასაბმელი ხდება.

ცეტი ნიკო: _ აგერ ის, წვერი რომ აქვს ხახამივით მოშვეებული?

ხუტა: _ ეგ გიჟ-პოეტაა, ლექსებსა წერდა, დაჰქონდა რედაქციებში, მაგრამ არავინ უბეჭდავდა, ამიტომაც ყვიროდა „არ მაფასებენ, არ მაფასებენო“. უკან დასდევდნენ უბნის ბიჭები და უყვიროდნენ „უჰონორაროვ, უჰონორაროვ!“ ჟურნალმა „სიცილმა“ დაუბეჭდა ერთი ლექსი და სიხარულით გაგიჟდა, აქაც თავისი ლექსების თქმით ათენ-ალამებს, ერთი სტროფი მეც დავიხსომე: „ჩემშია ყველა პოეტის ნაკვთი,
რადგანაც ვიცი საჯდომის ფართი,
სად ნახავთ ჩემებრ მწერალს და მგოსანს,
მიტომაც ვერვინ მიწოდებს რქოსანს“.

ერთი სიტყვით, პოეზიის შეუბუმლავი გვრიტია.

ცეტი ნიკო: _ შეუბუმბლავი თუ არის, მაშინ ახლად გამოჩევილი ბლარტი ყოფილა.

ხუტა: _ ხო, ნამდვილად ბლარტია, ეს ცხოვრება ხომ, ზოგჯერ საგიჟეთს ჰგავს, აქაც ისეთივე განუკითხაობაა, როგორც იქ, ისევე ყვირიან, იჭაჭებიან, უწმაწურად იგინებიან, ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე ისე დაეჯახება ხოლმე მოწინააღმდეგეს, როგორც აქ საგიჟეთში, ისევე ბლარტუნაობენ, მიძგილაობენ, პირიდან დაუფიქრებლად ისვრიან იმ სიტყვებს, რაც უცბად ენაზე მოადგებათ. ზოგიერთი პარტიის ლიდერი ისევე იფხორება, როგორც მამალი ინდაური ონავარი ბიჭების დასტვენაზე.

ცეტი ნიკო: _ ზოგიერთი ინდაური დაუსტვენლადაც იფხორება (უსტვენს).

ხუტა: _ მსოფლიოს ისტორიას შუქურ ვარსკვლავებით შემორჩნენ ისინი, ვისი სახელებიც მიუხედავად საუკუნეების გადარბენისა, რელიქვიებად შემორჩნენ კაცობრიობის მეხსიერებას, მათი სურათები სათუთადაა ჩამოკიდებული უნივერსიტეტების, ინსტიტუტების, ლაბორატორიების, ნომენკლატურული თანამდებობის პირთა კაბინეტებში, ნუ გაგვიკვირდება, თუ მათ მოსახლეებს ცოცხლად ნახავთ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში. არ გჯერა? ახლავე დაგიმტკიცებ, ლაუაზიე!

ხმა კულისებიდან: _ აქა ვარ!

ხუტა: _ ადოლოფ ჰიტლერი!

ხმა კულისებიდან: _ გალხავართ!

ხუტა: _ სანიტარო მარგო გაიტანეთ ჰიტლერის დამის ჭურჭელი! ჩაფსმული ლეობიც გამოიცვალეთ. მაკედონელო!

ხმა კულისებიდან: _ რა გენბავთ?

ხუტა: _ ზოგს ორი სახელი აქვს. ნიუტონ!

ხმა კულისებიდან: _ გისმენთ!

ხუტა: _ აინშტეინ!

ხმა კულისებიდან: _ დიას!

ხუტა: _ ლენინი!

ხმა კულისებიდან: _ Я здесь!

ხუტა: _ ყველა ამათ ვერაფრით ვერ დააჯერებ, რომ მეფე, მთავარსარდალი, მეცნიერი, გამომგონებელი, პოლიტიკოსი კი არა, ჩვეულებრივი ავადმყოფია, რას ვიზამთ, ასეა წუთისოფლის ნაირფერობა, ისეა გადაბრუნებული მათი გონება, რომ მწელად თუ ამოაბრუნებ კარგ პირზე.

II ავადმყოფი: _ მე ვეშაპი ვარ, გინახავთ ვეშაპი?

I ავადმყოფი: _ როგორ არა, არაგვი ვნახე.

II ავადმყოფი: _ სმენა! მახრუშჩოვი ვარ, ადგილზე ნაბიჯით იარ. ერთი, ორი, ერთი, ორი, ათეულო სდექ! სიმღერაა საჭირო, რატომ არ მღერით, მოემზადეთ, დაიწყეთ!

I ავადმყოფი: _ დიდია ჩვენი ქვეყანა,
მაგრამ საჭმელი არ არის,
ჯამაგირებზე გვეტყობა
ხრუშჩოვის ნაამაგარი.
ნაამაგარი!

უფრო მაღალი ხმით!..
დიდება ხრუმჩოვს, ჩვენს ბელადს,
ჩვენს ხელმძღვანელს და მესაჭეს,
ხალხის ქონებას სხვებს აჭმევს
და თავის ხალხს კი ქერს აჭმევს.
კარგის, თავისუფლად.

ცეტი ნიკო: _ ის ვილაა ლიდერი ვარო, რომ ყვიროდა?

ხუტა: _ ანგელოზია, სახლში თურმე ბოდინის მოუხდელად ქათამს არ კლავდა, მერე პოლიტიკურ საქმიანობაში გადაერთო, მაგრამ მაგის პარტიას კაციშვილი არ ეკარებოდა, ერთ დღესაც მივიდა ვიღაც დევივით კაცი „პარტია პატიოსნების ოფისიაო“, იკითხა. „დიახო“, უთქვამს მაგასაც „ლიდერი შენ ხარო“. „ნამდვილადო“ უთქვამს მაგ საცოდავს. „მერე და შენ რა საქმე გამოგელიაო, სადღა არიან დღეს პატიოსნებიო, თივაში ნემსს რატომ ეძებო“, ამაზე შეკამათებულან, „მე ვარ პატიოსანიო“, ამას უთქვამს, ამტყდარა ლანძღვა-გინება, რომელიც ჩხუბში გადაზრდილა. ის უფრო ღონიერი აღმოჩენილა, იმდენი ურტყამს ამ უბედურებისათვის თავში (თავზე ხელს იდებს), რომ აქ რაღაც გადაბრუნებია და...

ცეტი ნიკო: _ რა ხანია რაც აქ არის?

ხუტა: _ ერთი წელია, მოიყვანეს თუ არა, დაიწყო ხალხმა დინება, ეხვეწებიან მიგვიღე პატიოსნების პარტიაშიო.

ცეტი ნიკო: _ ეს რას ეუბნება?

ხუტა: _ უარით არავის ისტუმრებს. ეს რამდენიმე დღეა მღელვარე აღარ არის (უეცრად გამოვარდება ყვირილის ხმა. „მოდით ხალხნო სოფელს მოხედეთ, ილუპება ქვეყნის დედა მარჩენალი“, ილუპება...)

ცეტი ნიკო: _ ვინ არის ასე განწირული ხმით რომ ყვირის?

ხუტა: _ ჰოო, ეგ მთის სოფელ ქორბუდას უკანასკნელი მაცხოვრებელია, მაგის სოფელი დაცლილა, ყველა ქალაქში გადმოხვეწილა, მარტო ეგ და მაგის მეუღლე დარჩენილან, ქალიშვილი საბერძნეთში წასულა, ცოლიც მოკვდომია და დარჩენილა მარტოდმარტო ეულად, ამის გამო გაგიჟებულა, დადიოდა თურმე დაცარიელებულ ეზოებში, ორღობებში და როგორც ახლა მთელი დღე ასე გაჰყვიროდა და თავის სოფლელებს უხმობდა. ქაიხოსრო ჰქვია სახელად...

ქაიხოსრო: _ სოფელი ქვეყნის მარჩენალია ხალხნო, გველუპება ქალაქის მკვებავი, მასაზრდოებელი. ყველამ ხელი გამოვიდოთ, მიწას ჯაგნარი მოედო, გაველურდა, აღარავინ უვლის, მოვხნათ, დავთესოთ, მოსავალი მოვიყვანოთ, ქვეყანა გამოვკვებოთ.

ხუტა: _ ასე ყვიროდა თურმე გავერანებულ სოფელში, ერთხელაც გზად, რაიკომის მდივანს გამოუვლია, მანქანაში ჩაუსვამს და აქ მოუყვანია.

ქაიხოსრო: _ სოფლის გახრიოკებულ მინდვრებს დავუბრუნდეთ, ცოდოა ხალხი მიწას შამბნარი მოედო...

ხუტა: _ აი, ასე ყვირის ყოველდღე, საწყალი.

ცეტი ნიკო: _ აგერ, ის მოხუცებული მიმღებში ცენტრალური გათბობის რადიატორთან რომაა მიმჯდარი ავადმყოფია?

ხუტა: _ არა, ჩვენი მთავარი ექიმის შორეული ნათესავია, უპატრონოდ დარჩენილ პენსიონერს ელექტროდენის და გაზის გადასახადი ვერ გადაუხდია, ამიტომაც გამოუთიშიათ ორივე, აქ მოდის, თბება, საღამოს წავა სახლში, ჩაწვება ლოგინში და ხვალ დილას ისევ აქ გაჩნდება.

ცეტი ნიკო: _ ის ვილაა, თავს რომ იქნევს ატმის ტოტივით?

ხუტა: _ ჰოო, ეგ ის პარტია „პატიოსნების“ ლიდერია, სულ სხვა ჯიშისა და ჩვევის გვრიტია.

ცეტი ნიკო: _ მაგანაც დაუსტვინა?

ხუტა: _ მერე როგორ, მთელი დღე ვილაც-ვილაცეები ურეკავენ, აგერ ახლაც მობილური უჭირავს ხელში, მივიდეთ, მოვისმინოთ, საინტერესოა ვის გაახსენდა.

ლიდერი: _ ალო, გისმენთ, გისმენთ! (ყურმილიდან ისმის ხმა).

კითხვა: _ პარტია „პატიოსნება“?

პასუხი: _ დიაც, დიახ!

კითხვა: _ მე და ჩემს მეგობრებს გვინდა თქვენს პარტიაში გავწევრიანდეთ.

პასუხი: _ კი, ბატონო, მიგიღებთ...

კითხვა: _ რა საბუთები დაგვჭირდება?

პასუხი: _ განცხადება და დახასიათება.

კითხვა: _ მეტი არაფერი?

პასუხი: _ არაფერი.

კითხვა: _ დახასიათება უფროსებისა უნდა იყოს?

პასუხი: _ რა თქმა უნდა...

პასუხი: _ ეგ ნამდვილად გაგვიძნელებს (ისმის სიცილ-ხარხარის ხმა).

კითხვა: _ რატომ?

პასუხი: _ ციხეში ვზივარ... (სიცილის ხმა).

კითხვა: _ სადა?

პასუხი: _ ციხეში...

კითხვა: _ რატომ?

პასუხი: _ ქურდობისათვის... (ისმის სიცილ-ხალხარის ხმა, ხანგრძლივი პაუზა).

კითხვა: _ რამდენი გაქვთ მისჯილი?

პასუხი: _ ათი წელი

კითხვა: _ არა უშავს, გამოხვალთ და მიგიღებთ.

ხუტა: _ აი, ასეა ყოველდღე. ვინც მოცლილია და შაყირის ხასიათზეა, რეკავენ და მხიარულობენ.

V სურათი

(ცეტ ნიკოსთან მოვარდება ხუტა და ყურში ჩასჩურჩულებს)

ხუტა: _ ცუდად არის საქმე, ძალიან ცუდად...

ცეტი ნიკო: _ რატომ? რასია საქმე?

ხუტა: _ წელან მთავარი ექიმი მოვარდა შემფოთეფული, ჩვენი პალატის ეიმი გვერდით გაიხმო, მეც გავყევი, იქვე ახლოს გავჩერდი და ყური დავუგდე...

ცეტი ნიკო: _ მერე, მერე რა უთხრა?

ხუტა: _ ეს შენობა იყიდებაო.

ცეტი ნიკო: (გახარებული ტაშს შემოკრავს) _ აგაშენა ღმერთმა.

ხუტა: _ რა არის, რამ გაგახარა?

ცეტი ნიკო: _ ბოლო მოედება ჩემს ტანჯვა-წამებას, კომისიას გამოყოფენ და როგორც ჯანმრთელს გამიშვებენ. რაკი აქამდე არ ჩავედი თელიანში ჩემთან სახლში ალბათ, ჰგონიათ აქედან ბათუმში წავედი, ჩემ დასთან, ამიტომაც არ მაკითხებენ (გადაეხვევა).

ხუტა: _ დავილუპე, აქედან გადავლენ თუ არა, ციხეში შემაყულებენ.

ცეტი ნიკო: _ რატომ?

ხუტა: _ ახალი კომისია შემამოწმებს, მიხედებიან, რომ თალლითური გზით ვარ აქ შემომძვრალი და მაშინვე გუდა-ნაზადს ამიკრავენ.

ცეტი ნიკო: _ იმათთანაც შენებურად (თითებით ანიშნებს) დაატრიალე...

ხუტა: _ სადღა მაქვს?

ცეტი ნიკო: _ გულს ნუ გაიტეხ, ოჯახი მოგეხმარება.

ხუტა: _ რომ ალაც იმათა აქვთ, როგორ მომეხმარებიან?

ცეტი ნიკო: _ მე კი მეშველა (ცეკვავს, ხელს ჩავლევს II ავადმყოფს, მასთან ერთად წრეს უვლის), შენ თუ იცი, რა არის ყიდვა, გაყიდვა?

II ავადმყოფი: _ გაყიდვა, გაყიდვა, არ მინდა, არ მინდა (მუშტებს იქნევს, გარბის).

ცეტი ნიკო: _ რა ბზიკმა უბინა ამ საცოდავს?

ხუტა: _ ეგ მაღაზიის დირექტორად მუშაობდა, კონტროლის პალატამ შეამოწმა და სხვადასხვა დარღვევებისათვის გარიგებით 25 000 ლარი შეაწერეს, ამის გამო აერია ჭკუა-გონება.

ცეტი ნიკო: _ მაშ, ეს შენობა უნდა გაიყიდოს?

ხუტა: _ ნამდვილად, ქალაქის ცენტრშია და კარგ ფასად გაყიდვან.

ცეტი ნიკო: _ არ ვარგა, შეცდომაა, უდიდესი შეცდომა.

ხუტა: _ რა შეცდომა?

ცეტი ნიკო: _ უაზრობა უზარმაზარი...

ხუტა: _ რა შეცდომა, აღარ იტყვი?

ცეტი ნიკო: _ შენობა უნდა შეეღებათ. ასე ჩაბინძურებულს ვინ იყიდის?

ხუტა: _ იყიდვან ნუ გეშინია.

ცეტი ნიკო: _ მართალი ხარ, ფასს დიდს დაადებენ, კი მაგრამ ამდენ ავადმყოფს რას უზამენ?

ხუტა: _ სხვაგან, რომელიმე საავადმყოფოში შერეკავენ ან და პატრონებს ჩააბარებენ. „ყველას თავისი პატრონი ჰყავს და იმათ მიხედონო“, ყველამ თავის მამიდას მოუაროსო, ასე თქვეს (ისმის მობილური ტელეფონის ზარის ხმა, ხუტა ჯიბიდან ამოიღებს), დაიცადე, სახლიდან მირეკავენ, ჰო, გისმენთ.

ხმა ტელეფონიდან: _ როგორა ხარ?

ხუტა: _ ცუდად, ძალიან ცუდად. ჩვენ შენობას ყიდიან.

ხმა ტელეფონიდან: _ უჰ, ეს რა მითხარი, რამდენად ყიდიან?

ხუტა: _ არ ვიცი.

ხმა ტელეფონიდან: _ ფული თქვენ ავადმყოფებმა რომ შეაგროვოთ და იყიდოთ?

ხუტა: _ რას ამბობ ქალო, რას, მე ვარ საგიჟეთში თუ შენა? საერთო ლხინი ან პიკნიკი კი არ არის, არიფანა მოვაწყოთ. მილიონები ღირს, მილიონები. კარგი, კარგი დამანებე თავი (ავადმყოფებისკენ მიტრიალდება, თითოეულს დაჟინებით უყურებს თვალებში და უეცრად მთელი ხმით გასძახებს). ყველამ, ყველამ. ყველამ ყური მიგდოს. ეს შენობა იყიდება, რას იტყვით, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, რა გვეშველება?! (ავადმყოფები ისევ ისე განაგრძობენ მოძრაობებს: ზოგიერთი ყვირის, ზოგი იცინის, ზოგიც ხელებს იქნევს, ხუტა უეცრად იატაკზე მიჭედოილ სკამზე შეხტება და ყვირის) თქვენ გესმით ხალხო, ეს შენობა იყიდება, რას იტყვით, რას?! (ცეტი ნიკო წაავლებს ხელს და უნდა ჩამოაგდოს, ხუტა წაიქცევა, ცეტი ნიკო სკამზე თვითონ ახტება) _ ყურს ნუ უგდებთ ამ გიჟს. სწორი გადაწყვეტილებაა, დიახაც, უნდა გაიყიდოს, მაშ, როგორ? ვაჭრობა საქმეში სიახლის შემტანია, გამახალისებელი. ამას ყური არ დაუგდოთ, მიერ-მოედება რაღაცას, მთავრობას ასე უნდა და ასე იქნება (ავადმყოფები მაინც ადგილზე დგანან და ყურადღებას არ აქცევენ). გესმით, ამხანაგებო! (ხელს წინ გაიშვერს). მე ლენინი ვარ, ლენინი! მე გიშველით, მე გადაგარჩენთ (ავადმყოფები შემოეხვევიან, ისმის ყვირილი, შეძახილები). მომყევით, მომყევით! (გარბის და ხუტას გარდა ყველანი უკან მიჰყვებიან.

(ფარდა)

ბაზ



igor kvesel ava

ევროპული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი და ქართულ-რუსული კონტექსტი

XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის მიერ გამოკვეთილმა კავკასიურმა პოლიტიკამ ცხადყო, რომ რუსეთისათვის კავკასიის დაუფლება გარდაუვალი აუცილებლობით იყო გამოწვეული. მით უმეტეს, ეს რეგიონი მოიცავდა შავ და კასპიის ზღვებს, უმნიშვნელოვანეს სავაჭრო და სატრანსპორტო გზებს მსოფლიოში გასასვლელად.

უდავოა, რუსეთის კავკასიაში გაბატონებას მსოფლიო არენაზე მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა და მხარდამჭერებიც. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის ბურჟუაზია, რომელიც დიდ მოგებას იღებდა რუსეთთან ვაჭრობით, მიესალმებოდა რუსეთის კავკასიაში დამკვიდრებას.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის დასავლელი ავტორები ხაზგასმით აღიარებდნენ რუსეთის პოზიტიურ როლს კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში. ინგლისელი მოგზაური რობერტ კერ პორტერი ფიქრობდა, რომ „საქართველოს ხალხმა თავი დააღწია ყოველმხრივ დეგრადაციას და სრულ სასოწარკვეთას, სპარსელთა

და თურქთა გამანადგურებელ ლაშქრობებს, ლეკთა თარეშს, გამუდმებულ ფეოდალურ შუღლს და გაჩნდა შესაძლებლობა მეურნეობის განვითარებისათვის“.

პორტერი ირწმუნებოდა, რომ რუსეთი მონდომებით ცდილობდა კანონიერება ქართული ყოფიერების გათვალისწინებით დაემყარებინა, რაც საზოგადოების კეთილგანწყობის საფუძველს წარმოადგენდა, გრძნობდა რა თავს ნამდვილი სახელმწიფოს დაცვისა და მმართველობის ქვეშ. ცხადია, ავტორი აქ მეტიმეტად აჭარბებდა და დამპყრობელი რუსეთი ლამის საქართველოს ერთადერთ მხსნელად გამოჰყავდა.

საქართველოში რუსეთის პოლიტიკის სიკეთეზე, მის მთელ ტერიტორიაზე პიროვნებისა და საკუთრების „თითქმის მთლიანი უსაფრთხოების“ უზრუნველყოფაზე აკეთებდა აქცენტს ინგლისელი ავტორი ლ. ოლიფანტი.

საქართველოს „გონივრული და ენერგიული“ მართვისათვის რუსეთს აქებდნენ ჯ. ჯონსონი, ტ. არმსტრონგი, ჯ. მაკკალოკი და სხვები. რუ-

სეთის მმართველობის და საქართველოს რუსეთთან ეკონომიკური შერწყმის შედეგებზე ამახვილებდა ყურადღებას საფრანგეთის კონსული შვეალიე გამბაც. თუმცა მისი ფრაზა იმის შესახებ, რომ „ახალი რუსული სამფლობელოები“ (საქართველოს სამეფო-სამთავროები – ი.კ.) გადაიქცა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო არტერიად, აშკარად მიანიშნებდა საქართველოში რუსეთის კოლონიურ სულისკვეთებაზე.

შ. გამბას ჩანაწერებში ჩანს სინა-ული იმის გამო, რომ საქართველო არ იყო საფრანგეთის კოლონია. კონსული შენიშნავდა, რომ რუსეთის იმპერიაში საქართველოს შესვლის დროიდან ქვეყნის დამოუკიდებლობა დამთავრდა და ის არ წარმოადგენდა ისტორიის ობიექტს.

ზოგიერთი უცხოელი ავტორი ხაზს უსვამს რუსეთის მცდელობას ცივილიზებული გაეხადა კავკასია. ამერიკელი მოგზაური გ. დიტსონი დიდად აფასებდა რუსეთის ძალისხმევას კავკასიის ცივილიზაციისა და გაქრისტიანებისათვის და ამის გამო ამართლებდა რუსეთის დესპოტიზმსა და სისასტიკეს კავკასიაში. თუმცა გ. დიტსონი ვერ აცნობიერებდა, რომ ქართველები რუსებზე რამდენიმე საუკუნით ადრე გაქრისტიანდნენ, ხოლო კავკასიური ცივილიზაცია, მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო.

ამასთან დიტსონი ვერ აცდა ურთიერთგამომრიცხავ დასკვნებსაც. ერთის მხრივ, ის ფიქრობდა, რომ კავკასიელი მთიელები განვითარების ბარბაროსულ სტადიაში იმყოფებოდნენ, მეორეს მხრივ კი აღფრთოვანებული იყო მათი შინაგანი ტაქტით,

სიკეთითა და სტუმართმოყვარეობით, რაც ხშირ შემთხვევაში დამახასიათებელი არ იყო ე.წ. ცივილიზებული ევროპელებისა და ამერიკელებისათვის. ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკური კლასისათვის მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთის იმპერიული ამბიციები, რაც საფრთხეს უქმნიდა დიდი ბრიტანეთის მზარდ ინტერესებს შუა აზიასა და ინდოეთში. სწორედ რუსეთის ამ იმპერიული ამბიციების შეჩერებას ისახავდა მიზნად ყირიმის ომიც, თუმცა ამ შემთხვევაში რუსეთის იმპერიულობას უნდა ჩანაცვლებოდა უფრო ნაკლები იმპერიულობის სხვა ფორმა და შინაარსი.

ყირიმის ომმა გამოავლინა რუსეთის სამხედრო-ეკონომიკური ჩამორჩენილობა და იმპერიულობის მაღალი ხარისხი, მაგრამ ვერც ევროპამ შეძლო იმედების ეიფორიიდან გამოსვლა. მართალია, არსებობდა საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო მაგისტრალად გადაქცევის ევროპული იდეა, რომელიც გზას გაუხსნიდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკონომიკური და პოლიტიკურ ურთიერთობებს, მაგრამ აქედან მეტი ეკონომიკური სარგებელი ევროპას უნდა მიეღო, ვიდრე რუსეთს. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნებოდა დადებითად აღქმული რუსეთის დამწყობლური პოლიტიკა საქართველოს მიმართ, სხვა შემთხვევაში ევროპისათვის რუსეთი მოძალადე და დამპყრობ ქვეყნად რჩებოდა.

სამხედრო ექსპერტები პ. კამერონი, ფ. ზოჟური, ტ. დემარინი, რატიე და სხვები ამ თვალსაზრისით განიხილავდნენ ევროპულ-რუსულ კავკასიურ პოლიტიკას.

იმდროინდელი ევროპული საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრისათვის, უცხო არ ყოფილა კითხვა: სჭირდებოდა რუსეთს საქართველო? 1829 წელს, ფრანგი სამხედრო ანალიტიკოსის ფ. ბოჟურის მტკიცებით, ერთადერთი, რაშიც რუსეთს საქართველო გამოადგებოდა, იყო ის, რომ საქართველო შეიძლებოდა გამხდარიყო ის საყრდენი, საიდანაც რუსეთი აღმოსავლეთში გააძლიერებდა თავისი ცივილიზაციის გავლენას. თუმცა, ის ხაზს უსვამდა იმასაც, რომ ამ ამოცანას რუსეთზე უკეთ დასავლური იმპერიები შეძლებდნენ.

ამდენად, XIX საუკუნის დასავლური საუკუნის დასავლური საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი, მნიშვნელოვანი იყო, იმდენად, რამდენადაც მას ქმნიდნენ ამ პრობლემით ღრმად დაინტერესებული ადამიანები, რომლებიც პრაგმატულობით უყურებდნენ რუსეთ-ევროპის და კავკასიის ურთიერთობების პარადიგმულ თუ დილემურ პრობლემებს. ერთიც და მეორეც, საინტერესო იყო ისტორიული სამართლიანობის დადგენის თვალსაზრისით.

რუსეთი აგრესორად ევლინებოდა თავის მეზობლებს, ხოლო ევროპა, გეოპოლიტიკური და სხვა მოტივებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობდა თავისთვის მომგებიანი გადაწყვეტილებები მიეღო.

ევროპული პოლიტიკისათვის უცნობი არ იყო ის, რომ რუსეთი საუკუნეების განმავლობაში საფრთხეს უქმნიდა ევროპულ სივრცეს და ცდილობდა ჩაეკეტა ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე და მთლიანად გაეკონტროლებინა მოცემული არეალი. საერთაშორისო პოლიტიკური ისტორიის მკვლევრის თენგიზ გრიგოლი-

ას განმარტებით: „**რუსული დიპლომატიის წინაშე ყოველთვის პირველ ამოცანად იდგა ევროპიდან აზიისკენ მიმავალი გზის ევროპისათვის დახურვა და მისი გაკონტროლება, რასაც შეეძლო მძიმე დარტყმა მიეყენებინა ევროპის ეკონომიკისათვის**“.

როდესაც ვსაუბრობთ რუსეთის მიერ განვლილ ისტორიულ გზაზე, ამოტივტივებს იწყებს თეორია, რომლის თანახმად დასაღუპავად განწირული ან დასუსტებული რუსეთი განსაცდელიდან ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა და უფრო მეტად ამბიციური და აგრესიული ხდებოდა. მეცნიერებს ამ თეორიის დამადასტურებელი ოთხი ისტორიული ფაქტი მოჰყავთ:

1. რიურისების დინასტიის შეწყვეტის შემდეგ ქაოსში მოქცეულ რუსეთს მხსნელად პეტრე პირველი მოევიწყა, რაც ევროპისაკენ კარის გაჭრით, აღმოსავლეთში გაძლიერებით და იმპერიის გამოცხადებით დამთავრდა;

2. რუსეთ-საფრანგეთის ომში სისხლისაგან დაცლილმა რუსეთმა რამდენიმე წელიწადში შეძლო დიდი ძალა მოეკრიბა და მალე ევროპის ჟანდარმი გახდა;

3. 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, სამოქალაქო ომის პერიოდში გახვეული რუსეთი საბჭოთა კავშირად გადაიქცა, პოლიტიკური, სამხედრო და იდეოლოგიური ომი მოუგო ფაშისტურ გერმანიას, მოახდინა ევროპისა და აზიის დიდი ნაწილის გასაბჭოება და სათავეში ჩაუდგა მსოფლიო სოციალისტურ სისტემას“.

4. 1953 წელს რუსული სოციალიზმის მამამთავრის, მსოფლიოს

ყველა დროის უდიდესი დიქტატორის ი. სტალინის (ი. ჯუღაშვილი) გარდაცვალების შემდეგ დაიწყო მსოფლიო და საბჭოთა კავშირის სოციალისტური სისტემის რღვევა, რასაც მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლა და რუსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. 1991-2001 წლებში რუსეთი ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა მოიცვა, თუმცა შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოსულმა პოლიტიკურმა ძალამ პრეზიდენტ ვ. პუტინის დიდი ძალისხმევით შეძლო ეკონომიკურად დაქვეითებული და პოლიტიკურად სუსტი რუსეთის კრიზისიდან გამოყვანა და ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკურ-დიპლომატიური მიმართულებით გაძლიერება.

ჯერ კიდევ 1993 წლის სექტემბერში და შემდეგ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ცბიერი იმპერიული პოლიტიკის განხორციელების და ქართული ხელისუფლების მიერ დაშვებული უმძიმესი შეცდომების შედეგად საქართველომ გაურკვეველი დროით დაკარგა ძირძველი ტერიტორიები და აფხაზეთი და ე.წ. სამხ-

რეთ ოსეთი რუსეთის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იქნა აღიარებული.

1993 წელს ე. შევარდნაძემ ვერ გამოიცილა რუსეთის განზრახვა სამხედრო გზით ჩამოეცილებინა აფხაზეთი საქართველოდან და ხელი შეუწყო ამ ვერაგული გეგმის განხორციელებას.

2008 წლის აგვისტოში იმავე რუსეთმა შეძლო გაეცურებინა მ. სააკაშვილი სამხრეთ ოსეთის პრობლემასთან დაკავშირებით, დააშვებინა გამოუსწორებელი, საშშობლოს ღალატის ტოლფასი შეცდომა, რამაც ხელფები გაუხსნა რუსეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ელიარებინა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.

ასეთ ვითარებაში უბრალოდ გაუაზრებლად გვეჩვენება პროფ. გიორგი გაჩეჩილაძის მოსაზრება მ. სააკაშვილის მოქმედების აბსოლუტური გამართლების შესახებ. საბოლოოდ ორივე შემთხვევაში ევროდასავლურმა სამყარომ კვლავ ორმაგი სტანდარტის პოლიტიკურ-დიპლომატიური ქცევა გამოავლინა, რაც ახლაც გრძელდება.





კულტურული მემკვიდრეობა და საზოგადოება

ასზე მეტი წლის განმავლობაში „კვებავდა“ კაცობრიობის დიდ ნაწილს მარქსიზმი თავისი აფორიზმ-მომსგავსებული მეცნიერული დოგმებით, რომელთაგან უმთავრესი იყო: „ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას“.

არაერთ მეცნიერს ეს აზრი დღესაც ურყევ ჭეშმარიტებად მიაჩნია.

მარქსიზმის „განმავითარებლემმა“ უფრო შორს გაიწიეს; თითქმის ყოველი მოვლენა, რაც სახელმწიფოში ხდება, ეკონომიკითააო ნასაზრდოები და საზოგადოებრივ დაკვეთას მიაწერეს.

ადამიანის შემეცნებითი აზროვნება მომწიფდა იმ აზრამდე, რომ ეტლი ვეღარ აუდიოდა საზოგადოების გაზრდილ მოთხოვნილებას და საჭირო იყო ავტომანქანის ან მატარებლის გამოგონება.

ასე განსაზღვრაო, ყოფიერებამ ცნობიერება.

მაგრამ მსოფლიო ხომ არ არის ერთსახოვანი. რატომ მაინცდამაინც ერთ რომელიმე ქვეყანაში უნდა შექმნილიყო ორთქლის ძრავა? განა სხვა ქვეყანას არ აწუხებდა ტრანსპორტის პრობლემა?

მარქსისტებს ამაზეც ჰქონდათ პასუხი:

ტექნიკური პროგრესი მხოლოდ ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყანაშიაო შესაძლებელი.

ამ შემთხვევაში როგორ დავამტკიცოთ საყოველთაოა იმ დებულებისა, რომ „ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას?“

ცნობიერება აზროვნების სფეროა.

ამ თვალსაზრისით იგი წინ მიუძღვის და თავისი აღმოჩენებით სახეს უცვლის ყოფიერებას. ჯერ ადამიანის გონებაში გაჩნდება იდეა თვითმფრინავის შესახებ, ადამიანივე აკეთებს თვითმფრინავის ერთგვარ მოდელს და ბოლოს ხორცი ესხმება იდეას, ანუ კეთდება თვითმფრინავი.

ასე რომ, უფრო ადვილად მტკიცდება შებრუნებული ჰიპოთეზა შესახებ იმისა, რომ ცნობიერება განსაზღვრავს ყოფიერებას, ვიდრე პირიკუთმართული მარქსისტული ვარიანტი.

თუ შემეცნებითი აზროვნების ანუ მეცნიერულ-ტექნიკური აზრის განვითარების შემთხვევაში ყოფიერების და ცნობიერების ურთიერთდამოკიდებულების ფორმულა ასე თუ ისე საკამათობის ჩარჩოებში მაინც თავსდება და იგი შეიძლება დისპუტში მონაწილეობა ორივე მხარეს თუნდაც მცირე ალიბს მაინც ამლევდეს, სამაგიეროდ, ყოფიერების

მიერ ცნობიერების განსაზღვრის დოქტრინა სრულ აბსურდამდე მიდის, როგორც კი ამ ფორმულას მხატვრული აზროვნების შედეგს, ანუ კულტურას მივუსადაგებთ.

რაში სჭირდებოდათ მარქსისტებს ყოფიერების მიერ ცნობიერების განსაზღვრის დოგმა?

იქნებ იმის დასამტკიცებლად, რომ ცნობიერებას მხოლოდ საზოგადოების სამრეწველო-ეკონომიკური დონე განსაზღვრავს და ცნობიერებაზე გავლენას არ ახდენენ სხვა ფაქტორები.

რა არის ეს სხვა ფაქტორები? მშობლიური ენა, ტერიტორიული მთლიანობა, ეროვნული ფენომენი ერის ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებანი, ერის გენეტიკურ-ანატომიური თავისებურებანი და ა.შ.

მარქსიზმი ხომ ძირითადად უსამშობლოობას ქადაგებდა, მისი მიზანი ხომ ეროვნული თვისებებისგან დაცლილი სახელმწიფოს შექმნა იყო და თუ ცნობიერებაზე ეროვნულობის „ჭირვეულ“ ზემოქმედებას დაუშვებდა, როგორღა იქნებოდა ჭეშმარიტი ლუკმა-პურის მოპოვების ერთსახოვანი თეორიის, ყველა მუშისა და გლეხისათვის ერთნაირი სააზროვნო მოდელის აღიარება? შემოვაცალოთ ადამიანს ეროვნულობის შუასაუკუნური ქერქი, ჩვენ გვჭირდება ერთსახოვანი მასა, რომლის მართვაც იოლზე იოლია ინტერნაციონალურად დაუთოვებულ ზესახელმწიფოში – ასეთი იყო მარქსიზმის ჯიუტი თვალსაზრისი.

სოციალურად შეცვლილ საზოგადოებაში, როცა ერთის მხრივ ევროპისა და ამერიკის დიდ ქალაქებში დაზვასთან დადგა ეროვნებადაკარგული მუშა და მეორეს მხრივ ყანაში

გავიდა ფეოდალურ გალავნებს ნებით გამორიდებული გლეხი, საყოველთაო ერთსახოვნებამ ცხოვრების პირობებისა დაბადა მარქსიზმი – ერთადერთი ჭეშმარიტი ფილოსოფია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა. ასე რომ, მძიმე ყოფიერებამ განსაზღვრა მარქსისტული ცნობიერება და თავს ნუ გაიწვალებთ ახალი იდეებით კაცობრიობის ხსნის შესახებ. ერთადერთი სწორი, ყოფიერების მიერ განსაზღვრული და ბეჭედ-დასმული თეორია მარქსიზმია! ურცხვად ქადაგებდნენ მარქსისტები და ცდილობდნენ ყველა ორიგინალურად მოაზროვნის ჩაქოლვას, აბრალებდნენ რა მას მუშათა და გლეხთა ინტერესების საწინააღმდეგოდ სვლას.

თურმე, როცა სახელმწიფო თავისი ჰარმონიული განვითარების უმაღლეს მწვერვალებს მიუახლოვდება, სწორედ მაშინ არ დააგვიანებს საზოგადოებრივი მოთხოვნა, ანუ სოციალური დაკვეთა და მოვა ფირდოუსი, ჰომეროსი, შოთა რუსთაველი...

„ვეფხისტყაოსნის“ შექმნას შოთა რუსთაველზე დაწერილ წიგნებში არაერთი „რუსთველოლოგი“ მეტორმეტე საუკუნის საქართველოს ოქროს ხანას უკავშირდება. თურმე ნუ იტყვით, სახელმწიფოებრივი აყვავება რომ არ დამდგარიყო, რუსთაველი არ დაიბადებოდა. დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქამ სწორედ რუსთაველი დაისაჭიროვა, საზოგადოებაში გაჩნდა აზრისა და სიტყვის დიდებული შერწყმა-შეთანხმების მოთხოვნილება და რუსთაველიც მოვიდა.

ამ ლოგიკით შემდგომ საუკუნეებში, საქართველოს სახელმწიფოებრივი რღვევისა და გარეშე თუ შინაურ მტერთა მოძალების ვითარებაში,

საქართველოში აღარ იყო გენიოსის გამოჩენის სოციალური დაკვეთა და რუსთაველის ერი ისეთი შედარებით მოკრძალებული მწერლებით დაკმაყოფილდა, როგორებიც იყვნენ სულხან-საბა ორბელიანი ან არჩილი და დავით გურამიშვილი.

რასაკვირველია, საზღვარი არა აქვს ამ მოსაზრების აბსურდულობას და გულუბრყვილობას.

თუ ასეა, რატომ გაჩნდა საკმაოდ ღარიბ, კარჩაკეტილ შუასაუკუნურ ინგლისში შექსპირი, კლასიციზმისგან დაკბენილ საფრანგეთში ჰიუგო, გაღლეტილ რუსეთში ტოლსტოი და დოსტოევსკი, ან რუსეთის მიერ დაპყრობილ, დაჩოქებულ საქართველოში ილია ჭავჭავაძე?

მართლა სოციალურმა დაკვეთამ, ერში გემოვნების დონის არნახულმა ამადლებამ „წარმოშვა“ შოთა რუსთაველი?

როცა რუსთაველი თავის უკვდავ პოემას წერდა, საქართველოში წერაკითხვა მხოლოდ მოსახლეობის ერთ-მა პროცენტმა თუ იცოდა. „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობა მხოლოდ გადამწერთა ძალაუნებურ ზოზონზე ან ტექსტის ზეპირ კითხვაზე იყო დამყარებული. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ბეჭდვის არარსებობის ვითარებაში, გენიალური ნაწარმოების ხალხში გავრცელების პრობლემა საეჭვო საყრდენებზე იდგა. მოკლედ რომ ვთქვათ, იმ დროის საქართველოში შოთა რუსთაველს მკითხველი თითქმის არ ჰყავდა. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი იმითაც ბედნიერი იქნებოდა, თუ მის ხელისხელსაგომანებელ კმნილებას ყურადღებით თვით ადრესატები და წერაკითხვის-მცოდნე დიდებულები ან მღვდელმთავრები წაიკითხავდნენ.

ასე რომ, დროა ჩამოვაცილოთ კულტურაში მაინც, დიდ ისტორიულ კატაკლიზმებს ყოფიერებით განპირობების ბადა; გენიოსთა გამოჩენა არავითარ ისტორიულ კანონზომიერებებს, არავითარ სოციალურ დაკვეთებს არ ემორჩილება.

კომუნისტებს ოქროს ხანაზე და ოქროს ხანის გავლენით რუსთაველის გამოჩენაზე მითითება იმიტომ აძლევდათ ხელს, რომ „დაემტკიცებინათ“, აი, მეოცე საუკუნეში ისევ „არნახულად“ აყვავდა კულტურა და ეკონომიკა, საზოგადოებრივი გემოვნების დონემ არნახულად აიწია და სწორედ ამან გამოიწვია გალაკტიონ ტაბიძის და კონსტანტინე გამსახურდიას გამოჩენა.

მართალია, ყოფიერების როლი კულტურის კორიფეთა მოვლინებაში ნულის ტოლია, მართალია გოეთეს გამოჩენისთვის არავითარი სოციალური პირობების შემზადება არ არის საჭირო, მაგრამ კულტურის მონაპოვრებს უდიდესი როლის შესრულება შეუძლიათ ადამიანთა მორალურ-პოლიტიკურ აღზრდაში და საერთოდ, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში.

ამ ბერკეტს ყველა ხელისუფლებამასებზე ზემოქმედებისათვის ოსტატურად იყენებდა. ძლიერთა ამა ქვეყნისათა იცოდნენ, რომ დიდი ხელოვნების მიერ თუნდაც მინიშნებით ირონიით ნათქვამ სიტყვას ყუმბარისებური ძალა ჰქონდა და ცდილობდნენ, ან საერთო სამეგობრო ენა გამოეძებნათ ტალანტთან, ან იმდენი ჭკუა ეხმარათ, რომ იგი მტრად არ მოეკიდებინათ.

თვით მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლშიც კი, როცა ზარბაზნები მქუხარებენ და ანდაზის მიხედვით

მუზეები უნდა სდუმდნენ, სტალინმა იცოდა, რომ ხელიდან არ უნდა გაეშვა მასებზე ზემოქმედების ისეთი მძლავრი იარაღი, როგორც იყო კულტურა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბრძოლაში გასამხნეველად თუ ზურგში პატრიოტული სულისკვეთების გასაძლიერებლად, ფასდაუდებელი იყო შოსტაკოვიჩის მუსიკის, კინოფილმ „გიორგი სააკაძის“, სიმონოვის, ტიხონოვის, გალაკტიონის, გიორგი ლეონიძის თუ სხვათა პოეტური სტრიქონების როლი.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ოცდამეერთე საუკუნის საქართველოში?

რა დასამალია და ჩვენს ეპოქაში მასებზე ჭეშმარიტი კულტურის გავლენა საგრძნობლად შემცირდა. ამ გარემოებას ესთეტიკის მკვლევრები სხვადასხვა მიზეზით ხსნიან. ზოგნი თანამედროვე ადამიანის ემოციურ-ფსიქოლოგიური სამყაროს მეტამორფოზით, ზოგნი პიროვნების ინტერესთა გაძლიერებით საარსებო კალათის მიმართ და მაღალ მატერიებზე ფიქრისათვის მოუცვლელობით, ზოგნი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციით და ა.შ. და ა.შ. თუმცა აქვე უნდა დავძინო, რომ კულტურისადმი ინტერესის შესუსტების მეცნიერული ახსნა (დამაჯერებელი, დასაბუთებული, რ. მ.) ჯერჯერობით მსოფლიო მეცნიერის მაგიდაზე არ დევს.

აქედან გამომდინარე, კულტურაზე საზოგადოებრივი მოთხოვნა ანუ სოციალური დაკვეთა პოლიტიზებული-მილიტარისტულ და საბაზრო ეკონომიკის საუკუნეში ან საერთოდ არ ჩანს, ან მორცხვად შეგვახსენებს თავს მხოლოდ მაშინ, როცა სიტყვა მასკულტურაზე, სექსუალურ, გასართობ ხელოვნებაზე, ან ფეხისგულეებ-

ზე მოსაფხან ძილისპირულ შოუ-კულტურაზე ჩამოვარდება.

რაკი ხელისუფლებამ მცდარად მიიჩნია, რომ ეროვნულ კულტურაზე საზოგადოებრივი მოთხოვნა დიდი არ არის, თითქმის იგნორირებულ-ჰყო, ხოლო ზოგ შემთხვევაში აბუჩად აიგდო იგი.

ჩაპაევების და ბუდიონების ეპოქაში, ან თუ გნებავთ იმ, საქართველოსთვის საბედისწერო, დღეებში, როცა კიროვი და ორჯონიკიძე დამპყრობელ წითელ ჯარს თბილისისკენ მოუძღოდნენ, მოქალაქენი არ დაიჯერებდნენ, რომ ოდესმე საქართველო დამოუკიდებლობას რომ მოიპოვებდა, არ დაისაჭიროვებდა კულტურას და მეცნიერებას.

აგერ ა, ჩვენს თვალწინ 2007 წლის 21 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით შუალამისას პოლიციის სპეცრაზმი თავს დაესხა საქართველოს მწერალთა კავშირს, ოკუპირებული ჰყო მწერალთა სასახლე და ქუჩაში გადმოყარა გალაკტიონის, გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, გიორგი ლეონიძის, ლადო ასათიანისა და სხვათა პირადი ნივთები. ექვსი წელია მწერლებს მწერალთა სასახლეში არ უშვებენ და, სამწუხაროდ, არც სააკაშვილის შემდეგ მოსულმა მთავრობამ დააყენა ამ საქმეს საშველი.

2006 წელს სააკაშვილისვე განკარგულებით ხელისუფლებამ უმოწყალოდ დაარბია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. შენობიდან გამოაძევეს 236 ეროვნულად მოაზროვნე პროფესორი და გააუქმეს შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ-

ნის და კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტები. ყოველგვარი მეცნიერული დასაბუთების გარეშე გააუქმეს ან „გამსხვილეს“ ფუნდამენტური ფაკულტეტები, რითაც სახელოვან უნივერსიტეტს მეცნიერული თავი წარკვეთეს და საქართველოს ეროვნული კადრების სამჭედლო თითქმის კოლეჯად გადააკეთეს. უნივერსიტეტის ახალი ხელმძღვანელობა ცდილობს სააკაშვილის მიერ ჩადენილი ამ საშინელი დანაშაულის გამოსწორებას, მაგრამ წინ უამრავი ბარიერი ელოდება.

იგივე ბედი ეწია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასაც. საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტებწარმეული „აკადემია“ სულისშეხუთვამდე კასტრირებულ დაწესებულებას დაემსგავსა. სამწუხაროდ, ქართველ სწავლულთა ეს მეცნიერული შტაბი ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს საქართველოს დახეობრებულ მეცნიერულ ცხოვრებაზე.

ქართული ფენომენის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენს დღეებამდე გრძელდება. ქართულ სახელოვნო წისქვილებზე სააკაშვილის მეკობრული თავდასხმების შედეგად დაფინანსება 95 პროცენტით შეუმცირეს კინოსტუდიას, კომპოზიტორებს თითქმის მოუსპეს თავიანთი ახალი ნაწარმოებების ორკესტრირების საშუალება და ყაჩაღურად, უკანონოდ წაართვეს ბორჯომის დასასვენებელი ე.წ. „კომპოზიტორთა სახლი“, ფაქტიურად აღარ ფუნქციონირებს საქართველოს თეატრების უმეტესობა, სავალალო მდგომარეობაშია ჯერ კიდევ მფეთქავი სახელოვანი პანტომიმის თეატრი, ახალდაბომილს ჰგავს ამ თეატრის შენობის ინტერიერი... რომელი ერთი ჩამოვთვალო.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს პრეზიდენტი თავისი პრეზიდენტობის 10 წლის მანძილზე საქართველოს არცერთ თეატრში არ შესულა. უფრო მეტიც, ამ ათი წლის მანძილზე საქართველოს კულტურის მინისტრიც კი არ დასწრებია არცერთ თეატრში არცერთ სპექტაკლს.

საქართველოში თითქმის აღარ იმართება გამოჩენილ პიროვნებათა საიუბილეო საღამოები. უფრო მეტიც, ისტორიულ გმირთა სახელების საზოგადოებისთვის შეხსენების ღონისძიებათა წახალისება ხელისუფლების მხრიდან ნულის ტოლია.

რაკიღა ეროვნული კულტურა საბოლოოდ შეიძულა, და იგი გლობალიზაციის საცრის ავბედითი დგანდგარისთვის გასწირა, სააკაშვილმა დაიწყო უცხოეთში კარგა ხნის წინათ ჩამოწერილი შანსონე მომღერლების მრავალმილიონად ღირებული კონცერტების გამართვა. თითქოსდა „წინწყაროს“, „კახური მრავალჟამიერის“ და ზაქარია ფალიაშვილის ქვეყანა იმდენად პაპუასურ დონეზე იყო, რომ იგი მუსიკალურად კულტურის მოყირჭებულ სიმღერებს უნდა აღეზარდა.

თითქოსდა პირი შეჰკრესო, საქართველოს არცერთი სატელევიზიო არხი არ ცდილობს მაყურებელს გააცნოს ეროვნული კულტურა. ეკრანზე არ ჩანს ქართველი მწერალი. როგორც ჩანს, ცუდ ტონად უთვლიან ტელეჟურნალისტებს მათი გლობალისტი პატრონები ქართული კულტურის ორიგინალურობაზე, „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობაზე, ქართული კინოსა და თეატრის ეროვნულ ტრადიციებზე საუბარს. ერთადერთხელ აღიმაღლა ხმა საქართველოს

პარლამენტმა ქართული ენის დამახინჯების წინააღმდეგ და წარმოადგინა დადგენილების ნედლი პროექტი, რომელშიც ჯარიმები იყო ჩამოთვლილი ენის შემრყველთა მიმართ და უნდა გენახათ, რა კრიახი ატეხა ჟურნალისტიკამ. ესაო, დისკრიმინაციული კანონიაო. როგორ შეიძლება, ენის დამახინჯების გამო მოქალაქეთა დაჯარიმებაო. ვისაც ჩვენი ქართული არ მოსწონს ნუ მოგვისმენსო... პარლამენტი მიჩუმდა და ისევ დაიწყეს ჟურნალისტებმა ქართული ენის გამდიდრება თავიანთი „დიჯეებით“, „შოპინგებით“, „ისტებლიშმენტებით“, „მენეჯერებით“, „მენეჯმენტებით“, „მესიჯებით“, „ჯეოსტარებით“, „ჯეობარებით“ და „კემპინგებით“.

ახლა, როცა ეს სტრიქონები იწერება, რამდენიც უნდა უკაკუნოთ სატელევიზიო პულტს, თქვენ ვერსად წააწყდებით ქართულ კინოფილმს, ჩვენი ა.წ. გარდასული კინოსტუდიის ნახელავს – სულს რომ აგიფორიაქებს და კიდევ ერთხელ რომ მოგგვრის სიამაყეს იმის შეგნება, რომ ქართველად დაიბადე. ჩამოვთვალო? „ჯარისკაცის მამა“, „მაგდანას ლურჯა“, „ქეთო და კოტე“, „დაკარგული სამოთხე“, „არსენა“, „გიორგი სააკაძე“, „რაც გინახავს, ვედარ ნახავ“, „ჩვენი ეზო“, „შერევილები“, „ცისფერი მთები ანუ ტიან-შანი“, „დარიკო“, „ნატვრის ხე“ და ა.შ.

სამაგიეროდ, ჩართეთ ნებისმიერი სატელევიზიო არხი და ინებეთ, ჩვენი ტელევიზიის მეცენატების მიერ შემოთავაზებული მორიგი „მშენიერება“ – ყველა არხზე თურქული, მაინცდამაინც თურქული მრავალსერიიანი ფილმები. ძლივს გადავურჩით სამხრეთამერიკული სერიალე-

ბის ეპიდემიას და ახლა მეორე უკიდურესობაში გადავვარდით; ლამის წაგვლეკოს თურქულმა სერიალებმა. საქართველო თურქეთის ფილიალს ემსგავსება. ტელევიზორს რომ გამორთავ და ქუჩაში გამოხვალ, იქაც არ გასვენებს თურქული ჰანგი. თუ ღია ფანჯარასთან ჩაივლი, თურქული „შიქასტა“ იღვრება ფანჯრებიდან. მოძმე თურქეთის კინოხელოვნების გაცნობის საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს, თუ ამას ეპიზოდური ხასიათი ექნება, მაგრამ ასე ერთად? ასე ერთბაშად და თანაც ყველა არხზე?

შთაბეჭდილება ისეთი იქმნება, რომ თითქოსდა, კატეგორიულად აუკრძალა ვიღაცამ ქართულ ტელესტუდიებს ქართული ფილმების ჩვენება. „ცისფერი მთების“ ნაცვლად პიტნასავით გჩრიან ცხვირში თურქულ მრავალსერიალს „დიდებული საუკუნე“. თითქოსდა ქართველი მაყურებელი სულს ლევდეს იმის გასაგებად, თუ რა ურთიერთობაში იყვნენ ერთმანეთთან XVI საუკუნის თურქეთის სულთანი სულეიმანი და მისი უკრაინელი საყვარელი – ჰოლმეტი. მე ჩემი გასაჭირი და ჩემი ეროვნული სატკივარი მაქვს თურქეთის კინოს ფარავნად ქცეული, ბატონო კინომენეჯერო. ვერ გავიგე, რატომ არ გინდა, მარტო დამტოვო ჩემს სევდასთან, ჩემს გოლგოთასთან. ვინ დაგავალა, ქართველი კაცი თავის მთავარ საფიქრალს ჩამოაშორე და მისი ყურადღება თურქულ „პრობლემებზე“ გადართეო.

განა არ შეიძლება, ის ფული, რომელიც ჩამოწერილი უცხოელი მომღერლების კონცერტებისათვის ან თურქული მრავალსერიიანი ფილმების დაქირავებისთვის იხარჯება, ქარ-

თულ თეატრს და კინოს მოვახმაროთ, მაგრამ როცა ქართული ხელოვნების განვითარების პოლიტიკური ნება არ არსებობს, იქ ყველაფერი დასაშვებია. უნდა დაუმტკიცო ამერიკას და ევროპას, რომ დასავლეთს მარტო პოლიტიკურად კი არ ემორჩილები, არამედ შენი ეროვნული კულტურაც ფეხქვეშ უნდა გაუფინო.

რატომ?

უნდა „დაუმტკიცო“ დაუპატიჟებელ სტუმრებს, რომ არა მარტო ეკონომიკურად ხარ „განვითარებადი“, არამედ შენი კულტურაც ჩანასახოვან მდგომარეობაშია.

და საქართველოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომზე ქართველი მსახიობების და რეჟისორების გვერდის ავლით პრეზიდენტი ფილმის გადაღებას მრავალმილიონიანი დაფინანსებით უკვეთავს ამერიკელ რეჟისორს, რომელიც აცხადებს, რომ აქამდე საქართველო არც გაეგონა და არც რუსეთ-საქართველოს ომზე იცოდა რამე. სრულიად ბუნებრივია, რომ „სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირის“ პრინციპით ამერიკელმა „ვესტერნი“ გადაიღო და ფილმში საქართველოს ეროვნული ტკივილი კი არა, საომარი მალაყ-ჟონგლიორობაა ნაჩვენები. რატომ იგნორირებულყო ხელისუფლებამ ქართველი ხელოვანნი? განა ქართველმა მსახიობმა და რეჟისორმა უკეთ არ იცის, რა გეჭირს და ვისგან? ეს იმ დროს ხდება, როცა ჩვენი კინოს მოღვაწენი უსახსრობის გამო უსაქმოდ სხედან და ლამის შიმშილობენ.

საერთოდ სავალალოა მსახიობის ბედი საქართველოში;

რაკილა პერიფერიის თეატრების თითქმის უმეტესობა გამოკეტილია და ლამურების თავშესაფრადაა ქცეუ-

ლი, ხოლო დედაქალაქის ორი-სამი ჯერ კიდევ მფეთქავი თეატრი წელიწადში თითო პრემიერით კმაყოფილდება, მსახიობები ვერ ახერხებენ თავიანთი ნიჭის რეალიზებას. ისე დაბერდება ნიჭიერი აქტიორი, რომ მისი მსახიობური ოსტატობა მხოლოდ თითო-ოროლა როლითა დაამახსოვრდება მაყურებელს. ნიჭის რომელ რეალიზებაზეა ლაპარაკი, როცა სცენის კაცისთვის მთავარი ლუკმა-პურის შოვნა გამხდარა და აწყდებიან ნიჭიერი მსახიობები ტელესტუდიებს, იქნებ „კლიპის“ ან რეკლამის გადაღებაში მაინც დაასაქმონ. ერთი ნაწილი საზღვარგარეთ გარბის და იქ ბროდვეიზე თუ სოხოს მოედანზე ბულვარული თეატრების პანტომიმტიორად გარდაიქმნება. ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ ენობრივი ბარიერი უშლის ხელს და რომელ შემოქმედებით ზრდაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა სამეტყველო თეატრისთვის დაბადებული მსახიობი საზღვარგარეთ საარსებო პურის მოპოვებისთვის „მუხჯ როლებში დაკავებული“ სცენაზე მი და მო დახტუნაობს. არა და, წლები გადის, მსახიობი „ფორმას კარგავს“, ბერდება და მისი დაუხარჯავი ნიჭი დღეს თუ ხვალ ბრალდებად წაეყენება იმას, ვინც იგი ასეთ დღეში ჩააგდო.

ცალკე უნდა გამოვეყო პანტომიმის სახელმწიფო თეატრის საკითხი. ამირან შალიკაშვილის მიერ ამ ორმოცი წლის წინათ დაარსებულმა პანტომიმის თეატრმა კარგახანია საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. თეატრის არც თუ ხანგრძლივ ისტორიას არაერთი „გრანპრი“ და ოქროს მედალი აშშ-ს მიეძღვნება, მაგრამ ჩვენში ხომ შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს და საქართველოში თითზე ჩამოსათვ-

ლელ თეატრთაგან ამ ერთ-ერთ ცოცხალ თეატრს ათეული წლების განმავლობაში მოუშორებელ ჭირად თან სდევს გულგრილობა. რეპეტიციები გაყინულ დარბაზში ტარდება. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შენობის ინტერიერი თითქმის დანგრეულია და მაყურებელი ელემენტარულ სანტექნიკურ კომფორტსაც მოკლებულია. შემადრწუნებელი ის არის, რომ სააკაშვილმა თეატრის შენობა ერთ ლარად გაყიდა და ახლა თეატრის თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკი-დია გამოსახლების საფრთხე. საზოგადოება არც ამ ფაქტს აღუშფოთებია. თუმცა ქალაქის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამსახური ყურადღებას არ აკლებს პანტომიმის თეატრს და რომ არა ეს გულისხმიერება, თეატრი არსებობას შეწყვეტდა.

როცა კულტურულ მემკვიდრეობაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილ ჩვენს ისტორიულ ძეგლებს. უმადურმა სტუმრებმა რუსი ოკუპანტების დახმარებით შერყვნეს ქართული სიწმინდეები. სავალალო მდგომარეობაშია ე.წ. აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოში ბედიის, მოქვის, ბიჭვინთის და ილორის ტაძრები. ვანდალებმა ქართული ფრესკები და წარწერები მთლიანად გაანადგურეს ამ ათასწლოვანი ტაძრების კედლებზე. აქაოდა ვარემონტებთო, ფრესკები გაჯით შელესეს. კულტურის ძეგლთა მიმართ ამ ბარბაროსული დანაშაულის გამო „იუნესკომ“ ერთი ამოიკნავლა და მიჩუმდა. საერთაშორისო ინსტიტუტებმა ერთი აღშფოთების ნოტაც არ გაუგზავნეს თავგასულ რუსეთს.

უარეს დღეშია შიდა ქართლის ეკლესია-მონასტრები. ქართველთა კვალის წასაშლელად ჩვენი „მომეოსები“ ყოველდღიურად ენერგიულად იღწვიან. ქართულ ეკლესიებში ყველგან შეწყვეტილია წირვა-ლოცვა. საყდრებს კარები ჩამოხსნეს და ზოგი თავგასული მწყემსი ღვთის სახლებს გომურად იყენებს. ასეთი რამ საქართველოში ჩვენს „ნაცად“ დამპყრობლებს – არაბებსა, სპარსელებს და მონღოლებსაც არ ჩაუდენიათ.

დღესაც, როცა თითქოსდა შექმნილია მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის შესახებ და ხელმოწერილია სარკოზ-მედევედე-საკაშვილის 2008 წლის დოკუმენტი, რუსი უტიფრად განაგრძობს ჩვენი ტერიტორიის მითვისებას. მან ე.წ. „მშვიდობიანი დაპყრობის გზა“ – მცოცავი ანექსია წამოიწყო, ქართულ მიწაზე მავთულხლართების გადმოწევით ყოველდღიურად ფასკუნჯივით ყლაპავს ქართულ მიწებს და გამკითხავი არავინ არის. „რუსეთის საზღვარში უკვე მოექცა რამდენიმე ქართული საყდარი, სასაფლაო და საცხოვრებელი სახლი. ნაძირალა ოკუპანტებმა აიძულეს არაერთი მშვიდობიანი მცხოვრები საკუთარი სახლი თავისივე ხელით დაენგრია და მავთულხლართებს აქეთ გადმოეტანა. და ეს ხდება იმ მსოფლიოს თვალწინ, რომელსაც თითქოსდა არაერთი საერთაშორისო უწყება (გაერო, ევროკავშირი, ევროპარლამენტი, საერთაშორისო სასამართლო...) გააჩნია უმწეო პატარა სახელმწიფოების დასაცავად, მაგრამ რად გინდა. შეაყარე კედელს ცერცვი. ჩვენთვის ყველა საერთაშორისო-დიპლომატიური ინს-

ტიტუტი (და თვით „ნატოც“) ურგები.

ტრაგიკულია ისტორიულ ტაოკლარჯეთში ქართული სამონასტრო ძეგლების ბედი. გარდა იმისა, რომ თანამედროვე სომეხ ისტორიკოსთა ნაჯღაბნებში ეს ეკლესია-მონასტრები სომხურადაა მიჩნეული (და იუნესკოს სამეცნიერო ცენტრებში ერთი ჭკუადაძვადარი უცხოელი მკვლევარიც არ გამოჩნდა, რომელიც ამ მონასტერთა უეჭველ ქართულობას დაამტკიცებდა და ჭირვეულ სომეხებს მათი „მიტაცების“ მადას საბოლოოდ დაუკარგავდა), ძეგლებს სხვა უბედურებაც სჭირს: ჩვენი უძვირფასესი მატერიალური კულტურის ძეგლები თურქეთში ღვთის ანაბარაა მიტოვებული. მიუსაფრობა აწვიმს და ათოვს შატბერდს, ბანას, დოლისყანას, ხანძთას, ოშკს, იშხანს... ამ უკანასკნელის სახელდახელო, მოჩვენებითი რემონტი დაიწყო ახლახან თურქებმა და სანაცვლოდ ბათუმში გრანდიოზული მეჩეთის აშენების ნებართვა მოგვთხოვეს. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ათასწლოვანი იშხანს როგორც ჩვეულებრივ თურქულ საცხოვრისს ისე რომ არემონტებენ და რესტავრაცია-გამაგრებაზე რომ ლაპარაკიც არ არის? ჩავიდა ორიოდე კვირის წინ „მშენებარე“ იშხანის მოსანახულებლად საქართველოს კულტურის სამინისტროს დელეგაცია. ახედ-დახედეს, აათვალიერ-ჩათვალიერეს, „ოჰ, ოჰ, ოჰ, ოჰ“ ჩაილაპარაკეს და უკან წამოვიდნენ. აბა მასპინძელ თურქებს ხომ ვერ შეკადრებდნენ შენიშვნებს. იშხანი იშხანად, მაგრამ სხვა გაუბედურებული ძეგლების ბედით რატომ არ დაინტერესდა ჩვენი კულტურის სამინისტრო? რატომ კითხვით მაინც არ იკითხეს; რატომ გადააკე-

თეს თურქებმა მეჩეთად ხახულის მონასტერი, სადაც 900 წელი „ხახულის ღვთისმშობელი“ ბრძანდებოდა? რატომ ისმის მოლას გალობა 1000 წლის ქრისტიანულ ტაძარში – პარხალში? რატომ არ მოისაკლისა ჩვენმა დელეგაციამ ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ორი დიდებული ნიმუში – ტბეთი და ოპიზა? კიდევ კარგი ტბეთი და ოპიზა არ გახსენებიათ, თორემ დელეგაციის წევრთა თვალზე ცრემლი მაშინ უნდა გენახათ. აღარ არსებობს ტბეთი, მიწასთანაა გასწორებული ოპიზა. ამ ორ მონასტერს თურქებმა გზები დაუმიზნეს და გზის მშენებლობის მოტივით იავარყვეს ქართული მონასტრები. ეს რომ სხვაგან მომხდარიყო, „იუნესკო“ მსოფლიოს გასაგონად ზარებს დაარისხებდა, მაგრამ საქართველო ხომ ბედშავი საქართველოა, ყველასგან დაბრიყვებული და დაჩოქებული, პატივყრილი და უპატრონო.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, იქნებ შემორჩენილ ტერიტორიაზე (სადაც ჩვენი იურისდიქცია ვრცელდება) არსებული ძეგლები მაინცაა სახელმწიფოს ყურადღებით გარემოცული? ნგრევისპირასაა კვეტარა, სულს დაფავს ჯრუჭის მონასტერი, ბებრის ღოჯეზივით დგას გეგუთი და სადაცაა ჩამოიშლება... მილიონებს ეხარჯავთ გასართობ შოუ-სისულელებში და ჩვენი სიმდიდრისთვის ვერ მოგვივლია.

უპატრონობით იძარცვება და ექსპონანტები დღითიდღე აკლდება კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, ნატო ვაჩნაძის, სერგო ზაქარიაძის, ნიკო ლორთქიფანიძის, ტერენტი გრანელის სახლ-მუზეუმებს. ბარბარ-ოსებმა შეურაცხყვეს ვანო მაჩაბლის სახლ-მუზეუმი.

რომელი ერთი ჩამოვთვალო.

შთაბეჭდილება ისეთი რჩება, რომ ხელისუფლება არც თვითონ აფინანსებს დიდი ტრადიციების მქონე ჩვენს ლიტერატურულ ორგანოებს და ბიზნესმენებსაც აუკრძალეს, რომ სამწერლო ჟურნალ-გაზეთები დააფინანსონ.

მიტოვებულ ეკლესიას ჰგავს საქართველოს მწერალთა კავშირი. მწერლებს ჯიუტად არ უბრუნებენ კუთვნილ შენობას. ერთადერთხელ თბილისის მერიამ გაიბრძოლა ჩვენთვის სასახლე დაებრუნებინა, მაგრამ ისეთ წინააღმდეგობას წააწყდა, რომ მერე ამ საკითხზე კრინტიც არ დაუძრავს. რა ხდება? ხელისუფალნი მიდიან და მოდიან, პრეზიდენტები იცვლებიან, მაგრამ მწერლებისადმი გულგრილი დამოკიდებულების ყრუ კედელი უცვლელი რჩება.

რა მდგომარეობაა სხვაგან?

მსოფლიოში არ ყოფილა სხვა შემთხვევა, რომ ხელისუფლებას მწერალთა სასახლე დაერბიოს და მწერლები თავიანთი ისტორიულ-მემორიალური ნივთებიანად ქუჩაში გამოეყაროს.

ამასწინათ მწერალთა კავშირში სტუმრად გვყავდა სლოვაკიის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე. სხვათა შორის მწერალთა სოციალურ მდგომარეობაზეც ვკითხეთ.

წელიწადში ერთხელ ყოველ მწერალს ეძლევა ხუთთვიანი სამწერლო მივლინება თვეში 1000 ევროთი და ნებისმიერ კურორტზე უფასო მომსახურებით. გარდა ამისა, მწერალთა კავშირის წევრი სიცოცხლის მანძილზე სრული უფასო სამედიცინო მომსახურების პაკეტით სარგებლობსო...

აგერ ა, აზერბაიჯანში მწერალთა კავშირის წევრს თვეში 500 დოლარი აქვს და სომხეთის მწერალთა კავშირის წევრს 200 დოლარი; წახკამორის მწერალთა სახლში უფასო მომსახურებით.

ჩვენ რა დაგვემართა?

ილია ჭავჭავაძის სამშობლოში რატომ გაუუცხოვდნენ მავანნი და მავანნი ეროვნულ კულტურას?

ამ გულგრილობის ბრალი ხომ არ არის, რომ ახალგაზრდების შემოქმედებაში ნელ-ნელა მკვიდრდება ნიჰილიზმი საქართველოს ეროვნული ბედისადმი, ქართული ფენომენისადმი?

ახლახან კულტურულ მემკვიდრეობაზე მზრუნველებმა კიდევ ერთი „მშვენიერება“ შემოგვთავაზეს: პარლამენტში შევიდა კანონი, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოებრივი საჭიროების გამო ნებისმიერი ისტორიული შენობისათვის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის ჩამორთმევას.

თუ ეს კანონი ძალაში შევა, იგი ხომ ხელს გაუხსნის მავანთ ნებისმიერ ისტორიულ ძეგლს ხელადებით ჩამოაჭრან ტიტული და გაასხვისონ. ვერ უვლი? არც რესტავრაციის თავი გაქვს? ადექი და გაყიდე...

ამაზე კულტურის სამინისტროს განგაში უნდა აეტეხა. ჩვენმა კულტურულ მემკვიდრეობაზე „გულატკივებულმა მინისტრმა კი მორცხვად ჩაილაპარაკა: „ოქროს შუალედზე შევჯერდეთ“.

ასეთი ჭკვიანური „შეჯერების“ შედეგად შეინარჩუნა მან კულტურის მინისტრის პოსტი, აბა, რა.

სანამ გვიან არ არის, გამოვიფხიკოთ ყური, ქართველებო!



Teimuraz fanj ikiZe

იუდას სახარება

ქრისტესა და იუდას, უფლისა და უღირსი ადამიანის, მასწავლებლის და მოლაღატე მოწაფის, მსხვერპლისა და მისი დამბეზღებლის ტრაგიკული ამბავი, რომელიც სახარებებშია აღწერილი და რომელიც ქრისტეს ჯვარცმით და იუდას თვითმკვლელობით დასრულდა, ყოველთვის დიდ ემოციას და აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა არა მარტო ღვთისმეტყველებსა და მორწმუნეებს შორის, არამედ თვით სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანებს შორის, რომლებიც გაოგნებულნი იყვნენ ამ სიუჟეტის დრამატიზმითა და სიმწვავეთ.

სულ ჩნდება კითხვები – ვინ იყო იუდა? როგორ მოხდა ღვთის მიერ არჩეულ თორმეტ მოციქულს შორის? ნუთუ იესო შეცდა, როცა მოწაფეებს არჩევდა ან თვით იუდამ რატომ უღალატა მასწავლებელს? თავისუფალი იყო კი თავის გადაწყვეტილებაში, თუ მის ქმედებას რაღაც სხვა ძალა განაგებდა? თუ ქრისტეს გაცემა და მისი მტრებისათვის ხელში ჩაგდება მისი უშუალო სურვილი იყო, რატომ დააბრუნა მან ღალატში აღებული ფული და რატომღა ჩამოიხრჩო თავი? ყველამ იცის, რომ თავისი ქმედებით კმაყოფილი ადამიანები თავს არ იკლავენ. ეგებ სხვა რამეშია სიმართლე დამარხული?

მართალია, მაცხოვრის თითქმის ყველა მოწაფემ საშინელი სიკვდილით დაამთავრა სიცოცხლე, ზოგი ჯვარს აცვეს ქრისტესავით, მაგრამ თავით პირქვე, ზოგს თავი მოჰკვეთეს, ზოგს ტყავი გააძვრეს, მაგრამ იუდასაგან განსხვავებით, მათი სიკვდილი გმირული და მოწამეობრივი იყო. ისინი ისტორიას შემორჩნენ როგორც ახალი, ჭეშმარიტი რწმენის მღალადებლები, ღვთის ერთგული ჯარისკაცები, რომლებიც ღვთის განგებით დიდი რელიგიის გავრცელების სათავეში იდგნენ. განუზომელია მათი ღვაწლი. შესაბამისად, ხსოვნა და დიდება თან ახლავს მათ ხსენებას, მათ სახელზე იწერება ხატები, იგება უზარმაზარი ეკლესიები, მათ სიტყვებს ციტირებენ, ზამავენ ცხოვრების წესში. ყველანი მოწამეობრივი გვირგვინით არიან შემკულნი. ერთადერთი გამონაკლისი მხოლოდ იუდაა, ყველასაგან დაწყევლილი და შეჩვენებული, მოლაღატისა და გამტეხის სახელით ცნობილი, ბოროტების სიმბოლოდ ქცეული.

რატომ მოხდა ასე, შეცდომა იყო ეს თუ კანონზომიერება? კითხვა – ნუთუ იესო ქრისტე მოტყუვდა მოწაფეების შერჩევისას, უადგილოდ და უმართებულოდ გვეჩვენება, რადგან მან მშვენივრად იცოდა თუ ვის ირჩე-

ვდა, ვინ იყო ძე-შეცთომილი თორმეტ მოციქულს შორის. ამის შესახებ იესომ მიაწინა საიდუმლო სერობის დროს, მან ისიც იწინაწარმეტყველა თუ როგორ მოიქცეოდნენ ძნელბედობის ჟამს მისი ყველაზე ერთგული მოწაფეები (იგულისხმება მოციქულ პეტრეს მიერ უფლის 3-ჯერ უარყოფა).

მაშ, რაღა რჩება, რა აზრი იკვეთება ამ სიუჟეტიდან, რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება? მნიშვნელოვნად გვეჩვენება ის მოსაზრება, რომ თუკი ძე ღვთისა ჩამოვიდა დედამიწაზე ადამიანთა ხსნისათვის, იმისათვის, რომ თავის თავზე აეღო ადამიანთა ცოდვები, თუკი იგი ასეთი ტანჯვით უნდა აღსრულებულიყო ჯვარზე, მას ამისათვის სჭირდებოდა ადამიანი, რომელიც თავისი უარყოფითი ქმედებით კიდევ უფრო თვალსაჩინოდ და შთამბეჭდავად წარმოაჩენდა უფლის მსხვერპლს.

არის სხვა მოსაზრებებიც. ერთ-ერთი მათგანია ერთგვარი შინაგანი კონფლიქტი იესოსა და იუდას შორის ებრაელი ხალხის ხსნის თაობაზე. ამ ვერსიით, იუდა ისკარიოტელი ხალხის ხსნის საკითხში იფარგლებოდა ვიწრო ეროვნული, მხოლოდ ებრაელი ხალხის ხსნის პრობლემით და არ ამართლებდა იესოს ქადაგებას, რომელიც მთელი კაცობრიობისადმი იყო მიმართული. იესოს ქმედებაში იუდა ისკარიოტელი ხედავდა საფრთხეს ებრაელი ხალხის იდენტობის დაკარგვისა, რადგან იმ უზარმაზარ და ჭრელ იმპერიაში, როგორც რომის იმპერია იყო, ძალზე იოლი იყო უფოუკვლოდ ჩაკარგულიყო მცირერიცხოვანი ებრაელი ხალხი.

სხვათა აზრით, იუდა ისკარიოტელი უფრო მნიშვნელოვანი ფიგურაა, ვიდრე სხვა მოციქულები, რად-

გან სხვებთან შედარებით მას უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. იუდას უფრო კარგად ესმოდა იესოს მისიის არსი და ამიტომ შეიქმნა მისი თანამზრახველი კაცობრიობის ხსნის საქმეში. მან უფრო ღრმად ჩაიხედა ქრისტეს საიდუმლო სწავლებაში და შეძლო ჩაწვდომოდა ღვთის ჭეშმარიტებას.

ტრადიციულისაგან განსხვავებული აზრი იუდას შესახებ, რომ იგი გამცემი და მოღალატე კი არა, არამედ ქრისტესთან ყველაზე დაახლოებული მოწაფე იყო. რომელსაც სხვებისაგან განსხვავებით უკეთ ესმოდა ქრისტეს მისია ამქვეყნად, ჯერ კიდევ შორეულ წარსულში წარმოიქმნა.

ამის შესახებ ვვამცნობს ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში მცხოვრები მწერალი **ირინეოსი**, რომელიც თავის სახელგანთქმულ ნაშრომში „**ერესების წინააღმდეგ**“ მოიხსენიებდა ამ ამბავს და წერდა ერთი ერეტიკული ჯგუფის შესახებ, რომელიც ამ აზრს ანვითარებდა. მისი თქმით: „...მოღალატე იუდა ბოლომდე ერკვეოდა ამაში და რომ მხოლოდ მან შეძლო ჭეშმარიტების შეცნობა და სხვამ ვერავინ: მხოლოდ ის ჩასწვდა გაცემის საიდუმლოს. მისით აირია ყოველი, მიწიერი და ზეციური. მან შექმნა ამგვარი ყალბი ისტორია და „იუდას სახარება“ უწოდა“.

ეკლესიის ისტორიკოსთა თქმით, ასეთი სახარების გაჩენა დაკავშირებული იყო **გნოსტიკოსთა** სწავლებასთან, იმ ქრისტიანების მიერ, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ფლობდნენ განსაკუთრებულ ცოდნას. მკვლევარები ასახელებენ მათ მრავალრიცხოვან ნაშრომებს. ცნობილია ე.წ. გნოსტიკური სახარებები, რომელთა რიცხვი 30 უდრიდა.

ეს სახარებები იმათ სახელს ატარებდნენ, ვინც ირწმუნებოდა, რომ უკეთ ესმოდა იესოს სწავლებები. ასეთად ასახელებენ „**თომას სახარებას**“, „**მარიამ მაგდალინელის სახარებას**“ და ა.შ. ვარაუდით, ასე უნდა შექმნილიყო „**იუდას სახარება**“, რომელიც იწყებდა შემდეგი სიტყვებით: „წმინდა სიტყვები, რომლებსაც იესო საიდუმლოდ გადასცემდა იუდას ისკარიოტელს რვა დღის განმავლობაში, პასექის დღესასწაულამდე სამი დღით ადრე“.

ირინეოსის გადმოცემით „იუდას სახარებაში“ იესო იცინის, როცა მოწაფეების უმცირესს ხედავს, რადგან ისინი ვერ სწვდებიან მაცხოვრის მოძღვრების სიღრმეს. ამ სახარების მიხედვით კი იუდა ერთადერთია, ვინც ბოლომდე გააცნობიერა და გაიზიარა „სამეფო საიდუმლოებები“.

და აი, მეოცე საუკუნის ბოლოს და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში გავრცელდა სენსაციური ამბავი, რომ იპოვნეს „იუდას სახარების“ ტექსტი. თუ უფრო ზუსტად ვიტყვით, 1978 წელს ეგვიპტეში ერთ-ერთ გამოქვაბულში იპოვეს კოპტურ (ძველ ეგვიპტურ) ენაზე შესრულებული კოდექსი, რომლის 4 ტექსტიდან ერთ-ერთი იყო „იუდას სახარება“. დიდი თავგადასავლების შემდეგ ეს ხელნაწერი გადაეცა ექსპერტთა ჯგუფს, რომელსაც უნდა აღედგინა, ეთარგმნა და აეხსნა ტექსტი. მისი დათარიღებისათვის გამოიყენეს რადიოკარბონული მეთოდი, რომლის მიხედვითაც, დადგინდა, რომ იგი მესამე-მეოთხე საუკუნეში უნდა იყოს თარგმნილი ბერძნული ორიგინალიდან, რომელიც ცოტა ხნით ადრე დაიწერა.

მკვლევართა ამოცანა იყო ნაპოვნის იდენტიფიცირება, ირინეოსის მიერ დასახელებულ „იუდას სახარებასთან“, რაზედაც მომუშავე ჯგუფმა თავდაპირველად განაცხადა, რომ „ირინეოსის „მოკლე აღწერილობა“ შეესაბამება „იუდას სახარებას“ სახელით ცნობილ კოპტურ ტექსტს“.

ტექსტის მთარგმნელთა პირველი კომენტარების მიხედვით, ისევე როგორც ირინეოსთან აღწერილ „იუდას სახარებაში“, კოპტურ ტექსტში იუდა დადებითად არის დახასიათებული. იგი იესოს კეთილგანწყობას იმსახურებს, რადგან ხვდება საიდუმლოებებს და იმკვიდრებს „სამეფოს“. მართალია, შეცდომაში შეყვანილმა მოციქულებმა იუდას ნაცვლად მათათა აირჩიეს, მაგრამ იუდა გახდა მათზე (მოციქულებზე) აღმატებული მეცამეტე სული, რადგან იესო ამბობს: „შენ გასცემ ადამიანს, რომელშიც მე განვსხეულდი“.

ეს იყო პირველი კომენტარები, მაგრამ შემდეგ ეჭვი გამოითქვა თარგმნილი ტექსტის სიზუსტის მიმართ და მთელმა რიგმა სწავლულებმა განაცხადეს, რომ იქარეს მისი გამოქვეყნება და რომ ამ ტექსტს არ გაუვლია სრული და ზუსტი შემოწმების და ანალიზის პროცედურა.

ტექსტის დაზუსტებისას აღმოჩნდა, რომ „მეცამეტე სული“ უნდა თარგმნილიყო როგორც მეცამეტე დემონი. გარდა ამისა, იესო იუდას არაორაზროვნად ეუბნება, რომ ის ვერ დაიმკვიდრებს სამეფოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იესომ იუდა სხვებზე მაღლა კი არ დააყენა, არამედ უთხრა: „შენ ყველა ამათგანზე უარეს რაიმეს ჩაიდენ. შენ გასცემ კაცს, რომელშიც მე განვსხეულდი“. აქედან გამომდინარე, იუდა სულაც არ გამო-

დის აქ გმირად. მაშ, რა აზრი ჰქონდა ამ სახარების წერას. ზოგი ფიქრობს, რომ ეს არის უძველესი გნოსტიკური პაროდია, რომელშიც გაქილიკებუ-ლია ყველა მოციქული.

სპეციალისტები, მიუხედავად აზრთა სხვაობისა იუდა მათთვის გმირია თუ დემონი, თანხმდებიან იმაზე, რომ ეს სახარება იუდას და-წერილი არ არის, იგი არც იმას და-უწერია, ვინც იუდას იცნობდა, შესა-ბამისად, მისი მოწოდებული ინფორ-მაცია სანდო არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ტექსტთან დაკავშირებით ყველაფე-რი ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ მიმდინარეობს დავა იმის შესახებ, ეს სახარება მსგავსია თუ არა იმ სახა-რებისა, რომელიც ირინეოსს ჰქონდა მხედველობაში, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ჩნდება მთელი რიგი კითხვები, მკვლევარები თანხმდები-ან იმაზე, რომ ამ ტექსტის დაწერა „...უკავშირდება იმ პერიოდს, როცა ცრუ ქრისტიანობამ იჩინა თავი და გავრცელა ცრუ სწავლებები, რამაც გამოიწვია ქრისტიანობის დაყოფა სხვადასხვა სექტებად. „იუდას სახა-რებამ“ ვერ შეძლო შეებღალა და ძირი გამოეთხარა ბიბლიისათვის. სინამდ-ვილეში ყველაფერი პირიქით მოხდა; მან დაამტკიცა საქმეების 20:29.30-ში ჩაწერილი მოციქულ პავლეს სიტყვე-ბის სიმართლე: „ვიცი ჩემი წასვლის შემდეგ... თქვენს შორისაც გამოჩნდე-ბიან ისეთები, რომლებიც უკულმარ-თად ილაპარაკონ, რათა თან გაიყო-ლონ მოწაფეები“.¹

* * *

ჩვენი დასკვნითაც ეს სახარება იუდას დაწერილი არ უნდა იყოს, საერთოდ შეუძლებელია ნამდვილი და არა ნაყალბევი ასეთი ტექსტი არსებობდეს, რადგან ასეთი სახარება მთლიანად დაანგრევდა ერთიან ბიბ-ლიურ კონცეფციას, მთლიანად და-ირღვეოდა ის კონსტრუქცია, რომელ-ზედაც სახარებები არის აგებული. აღარ იქნებოდა ბოროტი ძალის სახე გამცემი იუდას სახით, რომლის გა-რეშე ქრისტეს სიკვდილი დაკარგავ-და სიდიადეს და სიმძაფრეს. დაირღ-ვეოდა სამი ძირითადი დოგმატის: პირველქმნილი ცოდვის, მონანიების და გამოსყიდვის ძირითადი დოგმა-ტების გამაერთიანებელი ქმედებები.

ჯერჯერობით კი ყველაფერი ძვე-ლებურად რჩება. გვყავს ერთი უფა-ლი, ხალხის ხსენისათვის, მათი ცოდ-ვების გამოსყიდვისათვის ჯვარცმუ-ლი იესო ქრისტე და მისი გამცემი, ვერაგობის, დალატის, სიმუხთლის სიმბოლოდ ქცეული იუდა ისკარიო-ტელი, რომელიც საუკუნოდ არის დასჯილი და შეჩვენებული. ერთი პარადოქსი კია: ორივენი მსხვერპლ-ნი იყვნენ იმ დიდი საქმისა, რასაც კაცობრიობის ცოდვისაგან გათავი-სუფლება და ხსნა ჰქვია.

¹ რას ვსწავლობთ მოსესაგან? საგუშაგო კოშკი, 1, II, 2013, გვ. 13-15.

TEIMURAZ PANJIKIDZE

JUDE'S GOSPEL

Summary

The article discusses a code, manuscript which was found by the end of the 20th century in Egypt and consisted of 4 texts written in the Coptic (ancient Egyptian) language. One of these texts is "Jude's Gospel" which, in contrast to the canonic new testament gospels, justifies Jude's behaviour and gives a different version of betraying and crucifying Christ.

The author of the article agrees with the opinions expressed by experts according to whom this gospel is not written by Jude himself and belongs to certain agnostic authors who always tried to deride Christ's apostles and mock at them.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიბლია.
2. თეიმურაზ ფანჯიკიძე, ბიბლია გუშინ, დღეს... თბ., 1996.
3. რას ვსწავლობთ მოსესაგან? საგუმაგო კოშკი, 1, II, 2013.





roza gafrindaSvil i

აგრესიის ამოქმედების ბიო-სოციალური მექანიზმები

(პორნოგრაფია და სექსუალური ძალადობა,
მასკულტურის გავლენა აგრესიაზე,
ჯგუფური გავლენა და „გაფანტული პასუხისმგებლობა“)

1. აგრესიის ამოქმედების ბიო- სოციალური მექანიზმები

რა პირობებში და როდის
ვლინდება აგრესია?

არსებობს ფაქტორები, რაც აგრესიის ამოქმედების მექანიზმის ამუშავებას იწვევს; ესენია: **ავერსიული შემთხვევები, აღზნება-აღძვრა, მასკულტურა, უსამართლობა და ჯგუფური ზემოქმედების ფაქტორი.**

ავერსიულ შემთხვევებში ტკივილის მიყენება იგულისხმება; ესაა აგრესიის გარეგანი ფაქტორებიდან ყველაზე უფრო ტიპური და გავრცელებული მექანიზმი. ამის დამტკიცებანებისმიერ ცხოველზე შეიძლება; თუ ძალს (რომელიც უკვე სასოწარკვეთილი არაა) ჯოხით ან ქვით ტკივილს მიაყენებ, ის ჯოხს (ან ქვას) მყისვე ეცემა და კბენას დაუწყებს, თუმცა ჯოხი ან ქვა არაფერ შუაშია, „დამნაშავე“ ისაა, ვინც ჯოხი მოუქნია ან ქვა ესროლა.

ტკივილი, ადამიანს აგრესიას უძლიერებს, რაც სოციალ-ფსიქოლოგებმა ექსპერიმენტებით დაადასტუ-

რეს. მათი აზრით **მტრულ აგრესიას** ავერსიული (ტკივილის მიმყენებელი) სტიმული უფრო იწვევს, ვიდრე ფრუსტრაცია (მიზნის მიღწევის ბლოკირება), თუმცა ფრუსტრაციაც უსიამო შეგრძნებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა; ავერსიულმა მოვლენამ (ტკივილის მიმყენებელმა) კი პირადი შეურაცხოვა იქნება ის თუ ფიზიკური ტკივილი, შეიძლება ემოციური აფეთქება გამოიწვიოს, თვით დეპრესიულ მდგომარეობაშიც კი.

ხვატი, პაპანაქება სიციხე აგრესიის გამოვლენის ერთ-ერთ მექანიზმად მიიჩნევა. ქცევა-მოქმედებაზე კლიმატის გავლენა ადამიანებს უხსოვარი დროიდან აინტერესებდა. ჯერ კიდევ ჰიპოკრატე (ჩვ.წ.აღ-მდე IV-III სს) ბერძნული ცივილიზაციის და იმდროინდელი ევროპის სხვადასხვა ხალხების ზნეს ერთმანეთს ადარებდა. ის დარწმუნებული იყო, რომ მათ შორის განსხვავებების მიზეზი კლიმატი იყო. მაგრამ ხშირად სხვადასხვა ქვეყნის კულტურა კლიმატის სტაბილურობისასაც კი სხვა და ხვანაირია; ამიტომ კლიმატის რო-

ლი კულტურების ცვლილებების მიზეზებში, მეცნიერებამ არ გაიზიარა, თუმცა ის ადამიანის ქცევაზე მაინც დიდ გავლენას ახდენს.

თამბაქოს ბოლი, დაბინძურებული ჰაერი და ცუდი სუნიც შეიძლება გახდეს აგრესიული ქცევის მიზეზი, ისე რომ ადამიანმა ამის შესახებ არაფერი იცოდეს; ამგვარი გამლიზიანებლებიდან, ყვალაზე მეტად ხვატი – პაპანაქებს სიცხეა შესწავლილი.

- უილიამ გრიფიტს აღმოუჩენია: სტუდენტების ერთი ჯგუფი, კითხვარს ნორმალური ტემპერატურის პირობებში ავსებდა; მეორე ჯგუფი, იგივე კითხვარს, 32 გრადუს ცელსიუსზე, ანუ უფრო მეტი ტემპერატურის დროს; მეორე ჯგუფის წევრები, მუშაობის დროს გარეშეთა გამოჩენაზე უფრო მტრულად რეაგირებდნენ და დადლილობაც უფრო მკვეთრად გამოხატეს, ვიდრე პირველი ჯგუფის წევრებმა, რომლებიც კითხვარს ნორმალური ტემპერატურის დროს ავსებდნენ.

შემდგომმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ხვატი (პაპანაქება სიცხე) შურისძიების გრძნობის გამოვლენის პროვოცირებასაც ახდენს.

იმის საილუსტრაციოდ, ამლიერებს თუ არა პაპანაქება სიცხე აგრესიულობას არაექსპერიმენტულ პირობებში, ისე როგორც ექსპერიმენტულში, სოციალ-ფსიქოლოგებს შემდეგი დოკუმენტური მასალა მოაქვს:

- გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, აშშ-ში, მასობრივ არეულობას პაპანაქება სიცხეების დროს უფრო ჰქონდა ადგილი, ვიდრე ცივ დღეებში;
- იგივე დაფიქსირდა ცხელ დღეებში ძალადობრივ დანაშაუ-

ლობებთან დაკავშირებით ტენასის, აიოვას, ინდიანაპოლისის შტატებშიც 80-90-იან წლებში;

- ძალადობასთან დაკავშირებული დანაშაულობების რიცხვი არა მარტო პაპანაქება სიცხეების დღეებში იზრდება, არამედ წლის დროსთან დაკავშირებითაც, განსაკუთრებით მაშინ, როცა გვალვიანი დღეებია;
- 1986-1988 წლებში, ბეისბოლის უმაღლესი ლიგის შეჯიბრებისას 2-3-ჯერ მეტი ბურთის უიღბლო ტყორცნა იმ თამაშებში აღირიცხა, რომლებიც 32 გრადუს-ცელსიუსზე მეტი ტემპერატურის დროს ჩატარდა, 20 გრადუს ცელსიუსზე ნაკლები ტემპერატურის დროს ჩატარებულთან შედარებით.

ამდენი ექსპერიმენტის ჩატარება არც კი ჭირდება იმაზე დაკვირვებას, რომ, როცა ადამიანს რაიმე აწუხებს – ფიზიკური ტკივილი, შიმშილი, მუქარა, სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა, სიცხე, ცუდი სუნი თუ უჰაერობა, ის უფრო აგრესიულია; როგორც ხალხურ სიტყვიერებაშია – **აშარებულა!**

განსაკუთრებულად ცხელ დღეებში გამოვლენილი აგრესიის ახსნისას, სოციალ-ფსიქოლოგები იმასაც ითვალისწინებენ, რომ ასეთ დღეებში ადამიანებს, საღამოობით ქუჩა იზიდავთ, სადაც **ჯგუფური ზემოქმედების ეფექტი** გავლენას თითოეულ ადამიანზე ახდენს. ანუ აგრესიას, როგორც პაპანაქება სიცხე, ჯგუფური ქცევებიც ასტიმულირებს.

აგრესიის განსაკუთრებით ძლიერ აღმძვრელ მექანიზმად ტკივილის ან შეურაცხოვის მიყენების შეგნებუ-

ლი მცდელობაა მიჩნეული; ექსპერიმენტულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ასეთი ქცევა **შურისძიების სურვილს** აჩენს.

- ერთ-ერთ ექსპერიმენტში ცდის პირები ერთმანეთს რეაქციის სისწრაფეში ეჯიბრებოდნენ; ექსპერიმენტის ყოველი სერიის ბოლოს გამარჯვებული დამარცხებულის დასჯისთვის ელექტროდენის მუხტის ოდენობას თავად ირჩევდა; შემდეგ სერიაში, ექსპერიმენტატორის შეუმჩნეველი ჩარევით როლები იცვლებოდა _ ყოფილი „გამარჯვებული-დამსჯელი“ მარცხდებოდა და ყოფილი „დასჯილი“ თავად ხდებოდა „დამსჯელი“.
- ექსპერიმენტის მიზანი იყო გაერკვია _ გამოიჩინა თუ არა გულმოდგინებას ყოფილი დასჯილი, რაკი მას „დასჯის უსიამოვნება“ გამოცდილი ჰქონდა. აღმოჩნდა, რომ არავითარ გულმოდგინებას ადგილი არ ჰქონია“ _ წერენ ექსპერიმენტის ავტორები (სტიუარტ ტეილორი, ტოსიხირო კამბარა და სხვები, 1985); უფრო ხშირად, ექსპერიმენტი მთავრდებოდა პრინციპით _ „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“! აგრესიის გამომწვევ სტრესოგენურ ფაქტორებს მიეკუთვნება აგრეთვე _ **სივრცის ნაკლებობა**; ის შეიძლება ადამიანმა განიცადოს გადატვირთულ ტრანსპორტში, მანქანით „საცობში“ მოხვედრისას, ნივთებით გადავსებულ საძინებელ ოთახში და ყველგან, სადაც სივრცის ნაკლებობა შეიგრძნობა.

სივიწროვე აგრესიას და სტრესულ შეგრძნებებს ცხოველებშიც იწ-

ვევს, როცა ისინი ჩაკეტილ სივრცეში ბევრნი აღმოჩნდებიან; მაგალითად ვირთხები _ გალიაში, შვლები _ ვოლიერში, ადამიანები _ დიდ ქალაქებში და ა.შ. ფაქტია, რომ კომპაქტურად დასახლებულ დიდ ქალაქებში უფრო მეტი დანაშაულობები ხდება და ადამიანები უფრო დიდ ემოციურ სტრესსაც განიცდიან. მჭიდროდ დასახლებული ქალაქის მცხოვრებლები, მცირედ დასახლებულ ქალაქებთან შედარებით, უფრო დიდ შიშებს განიცდიან, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მათთან დანაშაულობათა მაღალი დონე.

ექსპერიმენტებით დაადგინეს, რომ აგრესიულობას ადამიანის **ადგუნებულ-ადელვებული** მდგომარეობაც იწვევს რაც უნივერსიტეტის სტუდენტების სისხლში ადრენელინის შეყვანის შედეგად გამოწვეული აგრესიის გამოვლენით დაამტკიცეს.

2. პორნოგრაფია და სქესობრივი ძალადობა

სოციალ-ფსიქოლოგებმა კითხვა დასვეს _ **მასობრივი კულტურა** ხომ არაა აგრესიისა და ძალადობის მასტიმულირებელი? იქნებ მოსახლეობის რიცხვის ზრდა, ინდივიდუალიზმისა და მატერიალური ფასეულობების გაფეტიშება ან მდიდრებსა და ღარიბებს შორის ქონებრივი და უფლებრივი უფსკრული იწვევს აგრესიას?

ეს კითხვები მას შემდეგ გაჩნდა, რაც ფიზიკური და სულიერი ძალადობის აფეთქება დროში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გახშირებულ სისხლიან და აშკარად უხამს სიუჟეტებს დაემთხვა.

სტატისტიკამ აჩვენა, რომ აგრესიის ობიექტი ძირითადად ქალბატონ-

ნები არიან; „პორნოგრაფია – ესაა თეორია, ხოლო სექსუალური ძალადობა პორნოგრაფიის პრაქტიკა“ – უთქვამს რობინ მორგანს (1980). საქმე იმაშია, რომ პორნოგრაფიულ პროდუქციას „სურვილის აღმძვრელი კადრები“ ახლავს რაც მაყურებელში (მკითხველში) მოთხოვნილებებს აღძრავს; დაუკმაყოფილებლობა – დამაბულობას იწვევს და ის, მეტ წილად, „უმიზეზო დანაშაულობების“ საბაზი ხდება.

მაიერსის მტკიცებით, იმის მრავალი სამხილი არსებობს, პორნოგრაფიამ რომ მამაკაცის ქალისადმი აგრესიული ქცევის პროვოცირება მოახდინა (ჯონ კურტი, 1984). კორელაციურმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ მთელ მსოფლიოში პორნოგრაფიის ფართოდ გავრცელებისას, 1960-70-იან წლებში, გაუპატიურების რიცხვმა კატასტროფულად მოიმატა იმ რეგიონებთან შედარებით, სადაც პორნოგრაფია კონტროლს დაუქვემდებარეს.

- გამონაკლისად იაპონია სახელდება, სადაც 90-იანი წლების მონაცემებით პორნოგრაფია არ იკრძალება, მაგრამ გაუპატიურების შემთხვევები დიდი არაა; ეს ნიშნავს, რომ პორნოგრაფიის გარდა სექსობრივი ძალადობის სხვა ფაქტორებიც არსებობს.
- ჰავანაში, 1960-74 წლებში, როცა პორნოგრაფია კონტროლს დაუქვემდებარეს, გაუპატიურების რიცხვმა იკლო; ამ შეზღუდვების გაუქმების შემდეგ კი ისევ გაიზარდა.

სხვა კორელაციურმა გამოკვლევებმა კანადასა და ამერიკაში აჩვენა, რომ 50 შტატში სექსუალური შინაარსის ჟურნალების გაყიდვა-გაუპა-

ტიურებების სტატისტიკასთანაა კორელაციაში.

- თითოეულ შტატში ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობის მიხედვით კორელაციურმა გამოკვლევამაც იგივე დაადასტურა: ალასკამ პირველი ადგილი დაიკავა სექსუალური ჟურნალების გაყიდვის და გაუპატიურების შემთხვევების მიხედვით, ხოლო ნევადამ, ორივე ამ პარამეტრის მიხედვით – მეორე ადგილი.

სექსუალურ ძალადობაში დამნაშავეები კანადიდან და ამერიკიდან, აღიარებენ, რომ ისინი პორნოგრაფიის მომხმარებლები არიან. უილიამ მარშალის (1989) მიერ მოწოდებული ცნობების მიხედვით, სექსუალურად მოძალადე და ზავშვების გარყვნის ბრალდებისთვის გასამართლებული დამნაშავეები და სერიული მკვლელებიც პორნოგრაფიის აქტიური მომხმარებლები ყოფილან. ამ კვლევების ავტორები აღნიშნავენ, რომ, მიუხედავად ამისა, ეს მონაცემები ჯერ კიდევ არ ნიშნავს, დანაშაულობების მიზეზი რომ პორნოგრაფიული პროდუქციაა. მათი აზრით ისიც შესაძლებელია, რომ სექსობრივი ძალადობები მხოლოდ სიმპტომებია და არა მიზეზები.

- სოციალურ მეცნიერებათა წამყვანი წარმომადგენლების მიერ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესწავლის მიზნით ლაბორატორიულ პირობებში ექსპერიმენტები ჩატარდა; მათ ვისკონსის შტატის 120 სტუდენტი ვაჟი ორ ჯგუფად გაყვეს. ერთს – ეროტიკული და ძალადობის ამსახველი ფილმები აჩვენეს, მეორეს – ნეიტრალური

შინაარსის; შემდეგ ამ ცდისპირებმა სხვა ექსპერიმენტში მიიღეს მონაწილეობა; ვითომ იქ, მათ, მოხალისე ცდისპირებისთვის უაზრო სიტყვები უნდა ესწავლებინათ; მათი „ცოდნის“ შემოწმებისას, პირველ ექსპერიმენტში მონაწილეები, „მოსწავლეებს“, შეცდომებისთვის ელექტროდენით სჯიდნენ (ცხადია, სადენში დენი არ გადიოდა, რაც ნამდვილმა ცდისპირებმა არ იცოდნენ); ელდენის ძალას თავად „ვითომ მასწავლებლები“ ირჩევდნენ.

აღმოჩნდა, რომ ის ვაჟები, ვინც სექსუალურ-ეროტიკულ ფილმებს უყურებდნენ „მსხვერპლს“ უფრო ძლიერი ელექტროდენით სჯიდნენ, ვიდრე ნეიტრალური შინაარსის ფილმების მაყურებლები. პირველები ქალი „დამნაშავეების“ მიმართ გაცილებით უფრო მკაცრები იყვნენ.

3. მასკულტურის გავლენა აგრესიაზე

მასკულტურას სოციალ-ფსიქოლოგები ბრალს ფაქტების დამახინჯებაშიც სდებენ. ფილმებში ხშირად ისეთ სცენებს უჩვენებენ, სადაც, თითქოს სექსუალური ძალადობისას ქალბატონები სიამოვნებას განიცდიან; მკვლევარები იმედოვნებენ, რომ დრამატურგები, რეჟისორები, პროდიუსერები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმძღვანელები, ბოლოს და ბოლოს შეიგნებენ, აზროვნებისა და ქცევის მსგავსი ნიმუშების გავრცელებისას ცუდად რომ იქცევიან.

- გასული საუკუნის 60-70-იან წლებში გავრცელებული შეხე-

დულების მიხედვით ნარკოტიკები თითქოს უვნებელი რამ იყო; მაგრამ ეს მითი პრაქტიკამ უარყო, რაკი დადასტურდა, რომ ის მავნებელია; ამის შემდეგ უფრისკლასელთა შორის მარიხუანას მიხმარება 37%-დან 16%-მდე შემცირდა (ჯონსტონი, 1994).

ტელევიზია: ზემოთ ჩვენ ვნახეთ რომ ქცევის აგრესიულ მოდელს აგრესიის პროვოცირება და საზოგადოებისთვის მისი გამოვლენის ახალი საშუალებების სწავლება შეუძლია; ალბათ იმაშიც დავრწმუნდით, სექსუალურ ძალადობაზე გადაღებული კადრების ჩვენება მამაკაცების აგზნება-გახელებას და ქალზე ძალადობის შემთხვევების გახშირებას რომ იწვევს.

მსგავს გავლენას ადამიანზე ტელევიზია ნამდვილად ახდენს?

1945 წელს გელაპის გამოკითხვაში რესპოდენტებს ეკითხებოდნენ – „იცით რა არის ტელევიზია?"; დღეს კი მთელს ინდუსტრიულ სამყაროში, ტელევიზიით, ოჯახების 98% სარგებლობს; საშუალო ფენის ოჯახები, დღეში მას დაახლოებით 7-საათის განმავლობაში უყურებენ. ტელევიზორთან უფრო დიდ დროს ატარებენ სკოლამდელი ასაკის ბავშვები. ამ მონაცემების გათვალისწინებით სოციალ-ფსიქოლოგებს აინტერესებთ სოციალური ქცევების როგორი ტიპები უფრო მოდელირებენ ყველაზე უფრო პოპულარული გადაცემების მაყურებლებში.

ჯორჯ გერბნერმა და მისმა თანამშრომლებმა პენსილვანიის უნივერსიტეტიდან, პრაიმტიმის მაუწყებლობის რეჟიმი და შაბათის დილის გასართობი პროგრამები განიხი-

ლეს. აღმოაჩინეს, რომ ყოველი სამი-დან ორი სიუჟეტი ძალადობას ეძღვნებოდა. გამოირკვა, რომ საშუალო სკოლის დამთავრებისას მოზარდს 8000-მდე მკვლელობის და 100 000-მდე სხვადასხვა ძალადობის ამსახველი კადრი აქვს ნანახი. თავისი გათვლების განალიზების საფუძველზე გერბნერი იმის გამო წუხს, რომ კაცობრიობას სისხლიანი ეპოქებიც ახსოვს, მაგრამ ძალადობის ნიმუშებით არც ერთი არ ყოფილა ისეთი ხარისხით გაჯერებული, როგორც ჩვენია; არავინ იცის რას მოგვითქვას შემზარავი ძალადობის ეს უზარმაზარი ნაკადი.

აქვს თუ არა საფუძველი მომავლისადმი ამ დაეჭვებას? უბიძგებს თუ არა საზოგადოებას პრაიმიტივის მიერ ტელევიზიით ნაჩვენები კრიმინალური სიუჟეტები იქ ნანახი ქცევის მოდელების გადაღებისკენ? იქნებ აგრესიული მოქმედებების ჩვენებებში ვიზუალური ჩანაცვლება ხდება და მაყურებელს ის აგრესიული ენერჯისგან ათავისუფლებს, როგორც ამას ზოგი სოციალ-ფსიქოლოგი ვარაუდობს?

ეს მოსაზრება **კათარზისის ჰიპოთეზიდან** გამომდინარეობს, რომლის მიხედვითაც ძალადობის შინაარსის შემცველი დრამის ყურება ცნობიერებიდან განდევნილ და ქვეცნობიერში ჩაგუბებულ ენერჯიას ათავისუფლებს; ამ თეორიას მასკულტურის დამცველები ხშირად იმოწმებენ და შეგვახსენებენ, რომ აგრესია გაცილებით იმაზე უფრო ადრე გამოვლინდა, სანამ ტელევიზია გაჩნდებოდა; ტელევიზიას ხომ არავითარი წვლილი არ მიუძღვის ებრაელთა ან ამერიკელ აბორიგენტთა განადგურების ღონისძიებებში! ტელევიზია, ჩვენს გემოვ-

ნებასა და სურვილებს მხოლოდ ასახავს!

ოპონენტების აზრით ის შეხედულება, რომ, თითქოს პოპკულტურა მხოლოდ პასიურად ასახავს ადამიანთა გემოვნებას და არავითარ გავლენას არ ახდენს საზოგადოების ცნობიერებაზე – მცდარია. ძალადობის ეპიდემია მრავალი ფაქტორის შედეგია.

ზოგი სოციალ-ფსიქოლოგი იმასაც აღნიშნავს, რომ ტელევიზია კიდევ ამცირებს დანაშაულობებს, რაკი ადამიანები ქუჩიდან შინ გადაინაცვლებენ და შესაძლებლობა ეძლევათ თავის აგრესიას გასაქანი ისე მისცენ, ირგვლივყოფებს რომ ვნება არ მიაყენონ.

მეცნიერთა შორის დავა კვლავ გრძელდება. ისინი კითხვას სვამენ – რა გავლენას ახდენს ტელეხედვა მაყურებელთა ქცევებზე და როგორ ზემოქმედებს ის მათ აზროვნებაზე?

- **ამის შესასწავლად** გამოკითხვა 208 პატიმართან ჩატარეს; გამოირკვა, რომ ათიდან ცხრა მათგანის აღიარებით ტელეპროგრამები ადამიანებს დანაშაულობების ახალ-ახალ ტრიუკებს ასწავლის; ყოველი ათი გამოკითხულიდან ოთხი ამბობდა, რომ მკვლელობისას ისინი ტელევიზიით ნანახი ტრიუკების გამოყენებას ცდილობდნენ.

ამ საკითხის მეცნიერულად შესწავლის მიზნით მკვლევარებმა კორელაციური და ექსპერიმენტული მეთოდები გამოიყენეს; ერთ-ერთი მეთოდი, რასაც ფსიქოლოგები სკოლის მოსწავლეების კვლევისას იყენებდნენ, იმის გარკვევას ცდილობდა, არის თუ არა მათი აგრესიულობა

ტელეგადაცემებით განსაზღვრული. შეგვიძლია თუ არა დავასკვნათ რომ, რაც მეტი ძალადობაა გადაცემაში მით უფრო აგრესიულია ბავშვი? იქნებ აგრესიულ პროგრამებს ის ბავშვები ირჩევენ, ვინც უკვე აგრესიულია? იქნებ რაღაც მესამე ფაქტორი არსებობს? მაგალითად დაბალი ინტელექტი უბიძგებთ აგრესიული პროგრამების ცქერისა და აგრესიული ქცევებისკენ?

ამ ალტერნატივების ახსნისას მეცნიერები „მესამე ფარული ფაქტორის“ გავლენას იკვლევენ; ამ მიზნით ინგლისელმა მეცნიერმა უილიამ ბელსონმა (1978) და მისმა კოლეგებმა 1 565 ლონდონელი ბიჭი შეისწავლეს; ისინი ორ ჯგუფად დაყვეს, ერთი – სისასტიკის შემცველ უმნიშვნელო რაოდენობის ტელეგადაცემებს უყურებდა, მეორე – დიდი რაოდენობით.

ექვსი თვის განმავლობაში ამ მეორეებმა ნახევარჯერ მეტი უმნიშვნელო, მაგრამ მაინც დანაშაულობები ჩაიდინეს (როგორცაა ჯიხურში ტელეფონის აპარატის გატეხვა), ვიდრე მათ, ვინც ნაკლებ აგრესიულ ტელეპროგრამებს უყურებდნენ.

მსგავს მონაცემებზე დაყრდნობით დაასკვნეს, რომ აგრესიული მიდრეკილებები ტელევიზიის გავლენით იქმნება.

ლოგიკურ დასკვნამდე მივიდნენ ლეონარდ ირონი და როუელ ჰიუსმანი (1980-1985); მათ აღმოაჩინეს, რომ 875 რვა წლის ბიჭის აგრესიულობა ძალადობის ამსახველი ფილმების ყურებასთან იყო კორელაციაში (დაკავშირებული); როცა მათ სხვა ბიჭები გამოიკვლიეს, აღმოჩნდა, რომ მათი აგრესიულობა ტელევიზიებით გატაცებაში არ გამოიხატებოდა; ეს ნიშნავს, რომ აგრესიული მიდრე-

კილება კი არ უბიძგებთ სისასტიკის ამსახველი ფილმების საყურებლად, არამედ პირიქით – სისასტიკის ამსახველი ფილმები უბიძგებენ ძალადობრივი დანაშაულობებისაკენ.

- იგივე დასკვნები გაკეთდა ჩიკაგოში – 758, ფინეთში – 2 208 მოზარდზე დაკვირვებისას; ირონი ჰიუსმანმა (1984) დაადგინა, რომ ვინც რვა წლის ასაკში სისასტიკის ამსახველ კადრებს უყურებდა, მათ 30 წლის ასაკში უკვე სერიოზული დანაშაულობები ჰქონდა ჩადენილი.

მაგრამ ეს ყველაფერი არაა; დევიდ მაიერსის მონაცემებით, ყოველთვის, ყველგან, სადაც ტელევიდეა გაჩნდა, მკვლელობათა რიცხვი სწრაფად გაიზარდა. კანადასა და შვედეთებულ შტატებში 1957-1974 წლებს შორის, ტელევიზიის გავრცელებასთან ერთად მკვლელობათა რიცხვი ორჯერ გაიზარდა; იმ რეგიონებში, სადაც ტელევიზია გვიან შევიდა, მკვლელობათა მაჩვენებელმაც საგრძნობლად მოიმატა; სამხრეთ აფრიკაში, სადაც ტელევიზია 1975 წლამდე არ იცოდნენ, მკვლელობათა რიცხვიც დაბალი იყო, ხოლო 1975 წლის შემდეგ იგი სწრაფად გაიზარდა.

ლეონარდ ბერკოვიცმა და რასელ ჯინმა (1966) აღმოაჩინეს, რომ სტუდენტები, რომლებმაც სასტიკი ფილმებს უყურეს, უფრო გარესიულად იქცეოდნენ, ვიდრე ისინი, ვინც არააგრესიულ ფილმებს უყურებდა.

ამ კვლევებმა დაადასტურა, ძალადობაზე გადაღებული ფილმების ჩვენება აგრესიას რომ აძლიერებს.

- კრის ბოიაცისმა და მისმა კოლეგებმა დაწყებითი სკოლის მოსწავლეების ერთ ჯგუფს ძალადობის ეპიზოდების შემცვე-

ლი ტელეპროგრამა – „დიდი რეინჯერი“ უჩვენეს, რაც ბავშვებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა; მეორე, საკონტროლო ჯგუფს – ნეიტრალური შინაარსის ფილმი. მათ, ვინც „დიდ რეინჯერს“ უყურებდა, ფილმის ნახვის შემდეგ ორი წუთის განმავლობაში 7-ჯერ უფრო მეტი აგრესიული მოქმედება ჩაიდინა, ვიდრე მეორე, საკონტროლო ჯგუფის წევრებმა. ექსპერიმენტში მონაწილე ბიჭები, ვინც აგრესიულ ეპიზოდებს უყურებდა იმ მოქმედებებს იმიორებდა, რასაც ფილმში უყურეს – კარატის ნახტომებს, წიხლის კვრის ილეთს და ა.შ.

- ასევე ნორვეგიაში, 1994 წელს, ხუთი წლის გოგონას, მისმა მეგობრებმა, თამაშისას ტელევიზორში ნანახი სიუჟეტის მიხედვით ქვები დაუშინეს, წიხლებით სცემეს, თოვლში მიატოვეს და გასაყინად გაიმეტეს.

ამგვარად, მრავალი ფაქტისა და ექსპერიმენტის შედეგად სოციალ-ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ ასოციალური შინაარსის ფილმების ყურება ასოციალურ ქცევებთან მჭიდროდაა დაკავშირებული;

თუმცა, არსებობს გამონაკლისებიც.

მთავარი დასკვნა, რაც ამ გამოკვლევების საფუძველზე გაკეთდა ისაა, რომ ტელევიზია და პორნოგრაფია სოციალური ძალადობის ერთ-ერთი მიზეზია და არა ერთადერთი. სოციალ-ფსიქოლოგები კომერციულ კინონინდუსტრიას ამ საკითხზე დისკუსიის გამართვას ურჩევენ, რაკი ის, ნებით თუ უნებლიეთ, აგრესიული ქცე-

ვა-მოქმედებების მოდელირება-რეკლამირებას ეწევა.

ტელეკრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ „ტელეპროდუქციაში ძალადობის ამსახველი კადრები ოთხჯერ უფრო მეტია, ვიდრე სილამაზისა და სიყვარულის გამოვლენის კადრები; ტელეგადაცემებში პოლიციელები, თითქმის ყველა ეპიზოდში ცეცხლსასროლი იარაღიდან ისვრიან, სინამდვილეში კი ისინი პირადი იარაღიდან, საშუალოდ 27 წელიწადში ერთხელ ისვრიან“.

როცა სიყვარულზე ვლაპარაკობთ, ცხადია სექსი არ იგულისხმება, რადგან ცნობილია, რომ სექსის სცენების ცქერა აგზნებას იწვევს, ხოლო როცა მისი დაკმაყოფილება არ ხდება, როგორც წესი, მას აგრესია და სექსუალური ძალადობა ახლავს.

მას შემდეგ რაც ვნახეთ ტელევიზია რომ ადამიანების ქცევებზე ახდენს გავლენას, სოციალ-ფსიქოლოგებს აინტერესებთ – ახდენს თუ არა ძალადობის სცენები გავლენას ადამიანის შემეცნებით (კოგნიტურ) პროცესებზე, **მცირდება თუ არა ჩვენი მგრძობელობა სისასტიკეზე ხანგრძლივი დაკვირვებისას?** ხომ არ ამახინჯებს ის რეალობის აღქმის ჩვენი უნარს?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ასეთი დაკვირვების ჩატარებას გვთავაზობენ – ხშირად გავიმეორეთ რომელიმე უცნაურო (ტაბუირებული) სიტყვა. რა მოხდება? ელემენტარული ფსიქოლოგიის კურსიდან ცნობილია, რომ მსგავს შემთხვევებში ემოციური რეაქცია ქრება! ანუ, იმის სრული საფუძველი არსებობს, რომ სისასტიკის ათასი აქტის ნახვა იგივე ემოციურ რეაქციას – ურეაქციობას გამოიწვევს. დგება დრო, როცა ყო-

ველდლიურ ცხოვრებაში ამგვარი „შეგუება“ გამოიხატება დამოკიდებულებით – ეს მე არ მადლევენ! ანუ „სხვისი ჭირი...“ ადამიანებს აღარ შეაწყუბებთ!

სახელდობრ ასეთი რეაქცია აღწერა ვიქტორ კლაივმა და მისმა კოლეგებმა (1973), როცა 121 ვაჟის ფიზიოლოგიური აგზნების დონეს ზომავდნენ, ტელევიზიით ბოქსში სასტიკი შეტაკების ყურებისას. ის ვაჟები უფრო გულგრილები (ნაკლებ აღელვებულები) იყვნენ მათთან შედარებით, ვინც ტელეეკრანებთან მცირე დრო გაატარა.

- ეს ვაჟები ერთმანეთისგან არა მარტო ეკრანთან გატარებული დროის მიხედვით, არამედ სისასტიკისადმი ემოციური დამოკიდებულებითაც განსხვავდებოდნენ; პირველები – გულგრილები და ნაკლებ აღელვებულები იყვნენ, ვიდრე მეორეები.

მაყურებლებზე სექსუალური ძალადობის ექსპერიმენტებშიც, ცდისპირებში მგრძნობელობის დაკარგვის მსგავსი შემთხვევები დაფიქსირდა; იმ ახალგაზრდებში, ვინც უფრო აგრესიულ ფილმებს უყურებდა ერთგვარი ფსიქოლოგიური ინდიფერენტობი შეინიშნებოდა.

- რონალდ დრემენისა და მარგარეტ ტომასის ექსპერიმენტებში (1974, 1975, 1976) დადასტურდა, რომ სასტიკი და უხეში ფილმების ჩვენებამ მობეზრების, მოყირჭების რეაქციები გამოიწვია.

ჯორჯ გერბნერი და მისი კოლეგები პენსილვანიის უნივერსიტეტიდან გვარწმუნებენ, რომ ტელეხედვა მეტად მძლავრი ზეგავლენით ხასი-

ათდება; მათ მიერ მოზარდებს შორის ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ის, ვინც ტელევიზორში ძალადობებს დღეში ოთხი და მეტი საათის განმავლობაში უყურებენ ძალადობებს უფრო დიდ საფრთხედ მიიჩნევენ, ვიდრე ისინი, ვინც ორ საათზე ნაკლები დროის განმავლობაში უყურებდა. ვაჟები აღიარებდნენ, რომ შიშებს განიცდიდნენ, რადგან ფიქრობდნენ, „ვიღაცას მათ სახლში შეჭრა და დაყაჩაღება შეეძლო“ ან „ქუჩაში გამოსულს, შეიძლება ვინმე თავს დასხმოდეთ“ (1981).

ტელევიზიის გავლენას „სხვა“ თვალთაც აფასებენ. ის წლითიწლობით ადამიანთა ცხოვრებიდან ათასობით საათს შეიწირავს, რაც შეიძლებოდა უფრო ნაყოფიერად გამოეყენებინათ. „დაფიქრდით, როგორ გამოიყენებდით ტელევიზორთან გატარებულ დროს, თუ თქვენ ის არ გექნებოდათ?“ – სვამენ კითხვას სოციალ-ფსიქოლოგები.

ამგვარად, კორელაციურმა ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ტელევიზიის საშუალებით აგრესიულ ქცევებზე დაკვირვებას შეუძლია:

- აგრესიული ქცევების გაძლიერება;
- მაყურებელთა აგრესიისადმი მგრძნობელობის უნარის დაქვეითება და რეალობის შესახებ წარმოდგენის დამახინჯება;
- მამაკაცები უფრო აგრესიულები გახადონ;
- დაამახინჯონ პორნოგრაფიისა და ძალადობის სცენების ჩვენებით მათი შეხედულებები სექსუალური ძალადობის შესახებ;
- მოახდინონ ჯგუფის პროვოცირება ცალკეული ინდივი-

დუმების მაპროვოცირებელი გარემოების ჩვენებით;

- ინდივიდთა მოქმედებების პოლარიზება, ჯგუფურ სიტუაციებში აგრესიული ქცევები „გაფანტული პასუხისმგებლობით“ გააძლიერონ.

8. ჯგუფური გავლენა და „გაფანტული პასუხისმგებლობა“

მრავალმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ მასობრივი უწესრიგობები (არეულობები) და აგრესიული მოქმედებები სწრაფად მას შემდეგ ვრცელდება, როცა ერთ-ერთი ამხედრებული „მარჯვე რევოლუციონერი“, რომელსაც „ჯგუფის გამანთავისუფლებელს“ უწოდებენ „თავს აიწყვეტს“; მას კანონმორჩილთა აყოლიება ადვილად შეუძლია; ასეთ დროს, როგორც წესი, მასობრივი არეულობები იწყება.

- მრავალ ჩვენგანს შეუმჩნევია – როცა ხელმძღვანელის უსაფუძვლო ბრალდებების გამო თავის მართლებას და შეპასუხებას დაქვემდებარებული პირები ვერ ბედავენ, საკმარისია ვინმე გაბედულმა ეს მოახერხოს, რომ მას მთელი დარბაზი აჰყვება და ყველა ერთხმად აყაყანდება.

აგრესიულ რეაქციათა ამპლიტუდას ე.წ. „გაფანტული პასუხისმგებლობაც“ ზრდის; არეულობების (ომის) დროს, გადაწყვეტილებებს, ჩვეულებრივ, სტრატეგები იღებენ, რომლებიც „ზურგში“ იმყოფებიან; მათ ე.წ. „ბუფერები“, დისტანცია აქვთ, რაც მათ ძალადობისგან ფიზიკურად განაცალკევებთ; ისინი ბრძანებებს, მხოლოდ იძლევიან, შესრუ-

ლებით კი სხვები ასრულებენ. მნიშვნელობს თუ არა ეს ფაქტორი აგრესიული გადაწყვეტილებების ადვილად მიღებაზე?

- ამის გასარკვევად ჟაკლინ აბელაინმა და ენტონი მენდერსმა (1978) ეს სიტუაცია ლაბორატორიულ პირობებში აღადგინეს. ისინი უნივერსიტეტის სტუდენტებს (რეციპიენტებს) სთავაზობდნენ, რომ „მტრისთვის“ ელექტროდენით დარტყმას თავად მიეყენებინათ ან რეკომენდაცია გაეცათ, თუ რა ძალის ელექტროდენით უნდა დაესაჯათ „მტერი“ (ნამდვილი ცდისპირები რეციპიენტები იყვნენ). როცა „რეციპიენტი“ „ფრონტის“ ხაზზე მყოფს (დავალების შემსრულებელს) სხვისი დასჯის მითითების გაცემისთვის აქეზებდა, „ზურგში“ მყოფი „მრჩეველები“, „სასჯელად“, ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად, ძლიერი მუხტის დენით დარტყმას ირჩევდნენ; მაგრამ როცა რეციპიენტი არანაირ პროვოცირებას არ მიმართავდა, მაშინ „მებრძოლები“, „მტერს“, ნაკლები მუხტით „სჯიდნენ“.

ანუ, როცა „შტაბისტები“ მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობას არ გრძნობდნენ და შედეგებზე პასუხს ბრძანების გამცემები აგებდნენ, ისინი აგრესიულ ბრძანებებს „კეთილსინდისიერად“ ასრულებდნენ; ანუ, აგრესიულ გადაწყვეტილებებს დისტანციასთან ერთად „პასუხისმგებლობის გაფანტულობაც“ ხელს უწყობს, „დინდივიდუალიზაციის“ ფსიქოლოგიური მექანიზმის ამოქმედებით.

- ბრაიენ მილენმა (1986) ლინჩის წესით დასჯის 60 შემთხვევა გაანალიზა; აღმოჩნდა რომ, რაც უფრო მეტი ადამიანისგან შედგებოდა დამკვირვებელთა ბრბო, დამნაშავეთა წამება და მკვლელობები მით უფრო საშინელი იყო.

მამასადამე, აგრესიულობის გამოვლენის ხარისხზე „ჯგუფური ზემოქმედებებიც“ დიდ გავლენას ახდენს „გადადების ეფექტის“ გამო, რასაც სოციალ-ფსიქოლოგები „აგრესიის ვირუსს“ უწოდებენ. ესაა ჯგუფის მიერ აგრესიული ტენდენციების გაძლერებულად გამოვლენა, რაკი ჯგუფში კონფორმულობა და დენიდივიდუალიზაცია იზრდება. ჯგუფთან იდენტობა „პასუხისმგებლობიდან გაქცევის“ ნაცადი საშუალებაა.

ამის მაგალითად მოზარდთა ბანდების, ჯარისკაცი-მაროდორების და ქალაქში მასობრივი არეულობების შემთხვევებს იმოწმებენ, რასაც სკანდინავიის ქვეყნებში „მოზინგი“ ქვია (ინგისურად „მოზ“ – ბრბოს თავდასხმას ნიშნავს). მოზინგი არის სპეციფიკური ჯგუფური მოქმედება; მაგალითად, სკოლის გარემოში „დაუცველი, სუსტი თანაკლასელების დაცინვა“; „ხშირად ის, რასაც ცალკე ყველაზე უფრო აგრესიული და მოჩხუბარი ვაჟიც კი ვერ გაბედავს, ჯგუფთან ერთად მშიშარა და ნაკლებ აგრესიულისთვისაც ადვილად შე-

სასრულელებელია“, წერენ ფსიქოლოგები.

ჯგუფს რომ აგრესიული ტენდენციების გაზრდა შეუძლია, სოციალ-ფსიქოლოგების _ იორამ ჯაფეს და იოელ ჯაინონის გამოკვლევებმაც დაადასტურა (1983).

- ერთ-ერთ ექსპერიმენტში ვაჟ სტუდენტებს „დამნაშავე“ გარკვეული მუხტის მქონე ელექტროდენის დარტყმით უნდა დაესაჯათ; როცა ექსპერიმენტის მონაწილეები ცალ-ცალკე მოქმედებდნენ, „სასჯელად“ ნაკლები ძალის მქონე მუხტს იყენებდნენ; როცა მათ ჯგუფი შეადგინეს, დენის ძალა გაცილებით უფრო დიდი იყო.

ამგვარად, როცა გარემოება ინდივიდუალური აგრესიის მაპროვოცირებელია, ჯგუფური ურთიერთქმედება მას ხშირად აძლიერებს.

მამასადამე, ავერსიული გამოცდილება არა მარტო ფრუსტრაციას მოიცავს, არამედ დისკომფორტს, ტკივილს, ფიზიკურ და სიტყვიერ (ვერბალურ) შეურაცხოვას, უსამართლობას; ფაქტიურად ყველანაირი აგზნება (აღელვება), თვით ფიზიკური ვარჯიშიც ან სექსუალური სტიმულაციაც კი, შეიძლება გარემოსადმი აგრესიული მიმართების მიზეზი გახდეს.





cial a xinTibize

კულტურათა დიალოგი, როგორც ახალი პარადიგმა

ალბერ კამიუს ეკუთვნის შემდეგი სიტყვები „მონოლოგი როგორც სცენაზე, ასევე ცხოვრებაში სიკვდილის მომასწავებელია“. ეს ფრაზა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩვენს დროში, რომელიც შესაძლოა, ყველაზე კრიზისულიც კი იყოს კაცობრიობის ისტორიაში. მონოლოგურობა საშიშროებას წარმოადგენს როგორც ცალკეული ინდივიდებისათვის, ასევე მთლიანად კაცობრიობისთვისაც. ამდენად, განსხვავებულ კულტურათა შორის ურთიერთობის გაღრმავება და მათ შორის დიალოგი მეტად აქტუალურია დღევანდელ მსოფლიოში. დიალოგი კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის ერთადერთი საშუალებაა; იგი დროის ობიექტური მოთხოვნაა, რომელიც ხელს უწყობს მოინახოს გზები თანამედროვეობის გლობალური პრობლემების მოგვარებაში ერთიანი, ურთიერთდაკავშირებული გარემოს შესაქმნელად.

დღეს არსებული კონვენციონალური მიკრო და მაკრო სისტემები ვეღარ არეგულირებენ ცალკეულ ადამიანთა თუ სოციალურ ჯგუფთა კულტურულ ურთიერთობებს. იზოლაციონიზმის ტენდენციების გადალახვა, ტოლერანტული სულის განმტკიცება და ა.შ. ხელს შეუწყობს განსხვავებულ მსოფლმხედველობა-

ზე დაფუძნებულ კულტურული ტრადიციების გარებასა და გაზიარებას.

პლენარული ცივილიზაცია უნიფიცირებული გახდა. ჩვენ გლობალური ერთობის წევრები გავხდით, რომელიც გადაუდებლად გვკარნახობს კოლექტიური ცნობიერების ფორმირებასა და „კოლექტიური პასუხისმგებლობის“ საკითხის გადაწყვეტას; უნივერსალურად მნიშვნელოვანი ეთიკის ახალი შინაარსით შევსებას, რომელიც აღიარებდა და დაიცავდა კულტურულ პლურალიზმს. ამით აიხსნება სწრაფვა მოინახოს დიალოგის ადგილი კულტურაში, აღწერილი იქნას კულტურის დიალოგურობა.

დიალოგი მრავალგვარია. კულტურული დიალოგი როგორც დიალოგის ერთ-ერთი ფორმა გულისხმობს მხარეთა შორის ინფორმაციულ და ეგზისტენციალურ ინტერაქციულობას, რომლის საშუალებითაც ხდება კულტურათა შორის გაგება – ფენომენოლოგიური დიალოგი. ეს არის უშუალო გაცვლა და ასე ვთქვათ, „თარგმანი“ პერსონალურ მთლიანობებსა თუ კულტურათა სამყაროს შორის თავიანთი წილხვედრი თვისებების შენარჩუნებით. მოცემული ტიპის დიალოგში გაგების სავსეობა მხოლოდ და მხოლოდ „სხვისი“ ენის განცდით შეუძლება იყოს

გარანტირებული. ამ შემთხვევაში ენაში იგულისხმება საკუთრივ კულტურული ენა, რომლის ათვისება კი ვერბალური ენის დაუფლებზე გაცილებით რთული პროცესია.

კულტურა, როგორც ასეთი, მნიშვნელობს იქ, სადაც სულ ცოტა ორი კულტურაა წარმოდგენილი. შეიძლება ითქვას, რომ დიალოგი კულტურის თვითრეფლექსიაა, რომლითაც ის აცნობიერებს საკუთარ თავს როგორც თვითმყოფად კულტურას.

კულტურა, როგორც ასეთი, მნიშვნელობს იქ, სადაც სულ ცოტა ორი კულტურაა წარმოდგენილი. შეიძლება ითქვას, რომ დიალოგი კულტურის თვითრეფლექსიაა, რომლითაც ის აცნობიერებს საკუთარ თავს როგორც თვითმყოფად კულტურას.

კულტურა მრავალმნიშვნელოვანი და მრავალწახნაგოვანი ფენომენია. იგი ყოველივე იმის ერთიანობაა, რაშიც განხორციელებულია, რეალიზებულია ღირებულებები. მხოლოდ ღირებულებათა სფეროშია შესაძლებელი ურთიერთგაგება. ღირებულება ადამიანური გონითი არსობრივი ძალაა, რომელშიც იგი ავლენს თავის შინაგან ტენდენციებსა და შესაძლებლობებს და რომლის რეალიზაციის საფუძველზე იქმნება კულტურა. სწორედ ამიტომ, ამოსავალ პრინციპად კულტურათა ურთიერთობაში, ადამიანი უნდა იყოს მიჩნეული.

ადამიანი ის „მიკროკოსმოსია“, თავისუფალი არსებაა, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბოს საკუთარი თავი პიროვნებად, საკუთარი რაობისა და ვინაობის დამდგენ არსებად; ადამიანის შესაფერისი ყოფიერების წესის – კულტურის – შემომქმედად. ადამიანი თავის სოციალურ არსებობას მხო-

ლოდ ურთიერთობებში ამტკიცებს. სწორედ ურთიერთობებია ადამიანის ადამიანად გახდომის, მისი ჰუმანურობის მაჩვენებელი; მაჩვენებელი იმისა, თუ რამდენად გადაიქცა მეორე ადამიანი მის შინაგან მოთხოვნილებად. ამდენად, შეიძლება ვთქვათ, რომ ადამიანური ინტერაქციულობა და მათი დიალოგურობა ადამიანის ადამიანად გახდომის გარანტიაა.

თუ კულტურას ადამიანი ჰუმანიზაციის საზომად განვიხილავთ, მაშინ კულტურული დიალოგი არა მარტო საშუალება იქნება ადამიანთა და განსხვავებულ კულტურათა ურთიერთობებში, არამედ კულტურის არსებად წამოგვიდგება. თავისუფალი, ინდივიდუალური ადამიანის აზრმა შეიძლება შეიძინოს ერთიანი გონითი სისტემა, სადაც საკუთარი მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია შენარჩუნებული და გარკვეულ ფუნქციას ასრულებს ერთიან კულტურათა სისტემაში. ამგვარი მეთოდოლოგია ხელს უწყობს კულტურის კომუნიკაციურ ხასიათს და ამტკიცებს დიალოგს, როგორც გარკვეულ ნორმას, თანამედროვე კულტურულ პროცესებში.

სხვადასხვა ქვეყნების წინსვლა, კულტურათა შორის ურთიერთობების დიალოგურობის გაღრმავებითა და განვითარებითაა შესაძლებელი. ერი – სოციალური ორგანიზაცია, რომელიც პიროვნებისეული, პერსონისეული რეალობაა. ერებიცა და ხალხებიც ინდივიდებისაგან შედგება და გასაგებია მათი სწრაფვა დიალოგის საშუალებით მონახონ თავისი ადგილი მსოფლიო კულტურათა სისტემაში.

ერსაც, ისევე როგორც ადამიანს, ევალება იყოს საკუთარი ვინაობისა

და რაობის დამდგენი; თავისი ისტორიული ცხოვრების დამდგენი, საკუთარი სულის შესაფერისი – კულტურის – შემოქმედი.

ერებს მეტი შესაძლებლობა და ძალა აქვთ გადაარჩინონ საკუთარი არსება. ეს კი, პირველ რიგში, საკუთარი ღირებულებების გაცოცხლებით, გათავისებით, მისი ხელახალი გააზრებით, თვითრეფლექსიითაა შესაძლებელი. ეს სრულებით არ ნიშნავს სხვა კულტურების ღირებულებათა უგულვებელყოფას. უფრო მეტიც, ღირებულებათა გადააზრება, პირველ რიგში, სხვა კულტურების ღირებულებებთან უნდა იყოს დაკავშირებული. განსხვავებულ კულტურათა ღირებულებებში წვდომით, შესაძლოა, საერთო საზიარო ნიშნების დანახვა. დიალოგის მნიშვნელობა არა მარტო ის იქნება, რომ იგი კულტურათა ურთიერთქმედების საშუალებას მოგვცემს, არამედ კულტურათა დიალოგურ მზაობასაც დაადასტურებს. ეს, რაღა თქმა უნდა, უნდა მოხდეს ეროვნული კულტურების შინაგანი პროცესების განვითარებით, მათი უნიკალობისა და ორიგინალურობის შენარჩუნებით.

სხვათა კულტურების უნიკალობის შემფასებელი, უფრო „მაღალგანვითარებული“ კულტურის წარმომადგენელი ქედმაღლურად არ მოექცევა ნაკლებადგანვითარებულ კულტურას, არამედ წარმოუდგენს განვითარების მიმართულებას. ამით იგი აძლევს მას თავისი კულტურის განვითარების მიმართულებას. ასეთ ვითარებაში გამჟღავნებულია მცდელობა ჩასწვდეს სხვა კულტურების თავი-

სებურებებს, პატივისცემით განიმსჯელოს მისდამი, როგორც თავისუფალი არსებისადმი, გახსნა და შეადარო მას საკუთარი თავი მისსავე თვალწინ. ყველაფერი ეს ურთიერთობათა მაღალ დონეს წარმოადგენს. იმისათვის, რომ კულტურათა შორის დიალოგი შესაძლებელი იყოს, თავად კულტურები უნდა იყვნენ დიალოგურნი, ანუ აკმაყოფილებდნენ კულტურათა ტოლერანტულობის მოთხოვნებს.

კაცობრიობა თავისი გლობალური პრობლემებით, ეთნოკრიზისებით, რელიგიური დაპირისპირებულობებით და ა.შ. თვითგანადგურების წინაშე დგას, მისი გადარჩენის ალტერნატივა არის ერ-სახელმწიფოთა კულტურებს შორის ახალი აზროვნების დამკვიდრება – კულტურათა დიალოგის გაღრმავება. კულტურათა მრავალგვარობა და კულტურული პლურალიზმი ახალი პარადიგმაა. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ კულტურათა თვითმყოფადობასა და მრავალფეროვნებას.

კაცობრიობა ერთ მთლიან მოზაიკურ პანოდ უნდა წარმოდგინებოდეს, სადაც თითოეულ გარკვეულ ნაწილს თავისი დამახასიათებელი, განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩენილი და მიუხედავად ამ ნაწილების განსხვავებულობებისა, ის მაინც ერთიან ჰარმონიულ სურათს ქმნის. ეს კი კულტურათა დიალოგის გაღრმავებით, მისი ახალ განზომილებაში გადაყვანით, დიდი ძალისხმევითაა საშუალებითაა მიღწევადი. ამგვარი დიალოგები გაგვიხსნიან გზას ჭეშმარიტად კულტურულ სამყაროში.





პოეზიის ცხრაფრთიანი ანგელოზი

უახლესი ქართული რეალობა სასტიკი და მძიმე აღმოჩნდა პოეტური მუზის მსახურებისთვის. არავის განუცდია „ქართლის ცხოვრება“ ისე მძაფრად, როგორც ლირიკული ტალანტის მქონეთ და ბედისწერაც იმავდროულად არასოდეს ყოფილა მათ მიმართ ასე უღმობელი. ამჯერად პოეტებს მარტო „მუსიკალური ჟღერადობის“ გაფერმკრთალება და ლექსის წერის ტექნიკა კი არ აღეგვებთ, არამედ მიწიერი თემატიკა და ისეთი პროზაულ-პრაგმატული საკითხებიც, როგორიცაა საერთაშორისო ურთიერთობები, ყოველდღიურობასთან გამკლავება და სამომავლო თვითგადარჩენის სატკივარი.

პოლიტიკა და სოციალური საკითხები ღრმად შეიჭრა პოეზიის სავანეში და თავად ყველაზე ფაქიზ პოეტურ აღმადგენაშიც. ქართული ხასიათის უძლეველობის მთავარი მახასიათებელია ის ფაქტიც, პოეტური მუზა ერისათვის ყველაზე მძიმე დროშიც რომ არ ტოვებს ადამიანს და მისი სულიერი მხნეობის მახასიათებელი ხდება. ამის დასტურად დავით გაბუნიას ლირიკა გვესახება, იმ პოეტის შემოქმედება, რომელმაც ბოლო ორი ათეული წელი მთლიანადგაითავისა ქართული ეთნოსის აღმადგენა და სასოწარკვეთა, მისწრაფებები და იმედები.

ჩვენ წინაშე დავით გაბუნიას ორი კრებული: „ზარები ნიჟარებში“ და „ფოთოლოცვენის ლანდები“. ორივე წიგნი მოსკოვშია გამოცემული, რადგან ავტორი ამჟამად იქ ცხოვრობს და განაგრძობს შემოქმედებით საქმიანობას. სოხუმიდან წამოსვლის შემდგომ დავით გაბუნიას ცხოვრება მოუწია ქუთაისში, ბათუმსა და თბილისში. მან საკუთარ თავზე იწვინა ქართულ-რუსულ-აფხაზური პოლიტიკის სუსხი და, სრულიად ბუნებრივია, მის პოეზიაში ამ განცდებისგან მოგვირლი სიმწვავე, ტკივილი და მონატრება.

დავით გაბუნიას ადამიანური და შემოქმედებითი ხვედრი ძალიან საინტერესო და ნიშანდობლივია. იგი არის რუსთაველისა და ილიას, ბარათაშვილისა და გალაკტიონის ქვეყნის ყველაზე მძიმე პერიოდის ტრუბადური, დემონისა და ანგელოზის ფრთებს შეფარებული კაცი, ვისი თვალთახედვა მოიცავს მრავალ უფაქიზეს დეტალს, რომელიც თანაგრძნობისა და დაფიქრებისაკენ მოგვიწოდებს.

პოეტი ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე მიგვანიშნებს, რომ მისთვის ორგანულია ალექსანდრე ჭავჭავაძის კრედი: „არ ვსდევ ჟამთა ცვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად!“ დავით გაბუნიას ბიოგრაფია

დასავლურ ქართული ბედისწერის იერით არის გამართული, მან სამეგრელოსა და აფხაზეთში იცხოვრა და იღვაწა, ვიდრე ცივი რუსეთის დედაქალაქში აღმოჩნდებოდა და მაინც ქართული ადგილის დედის ერთგულ მსახურად დარჩა. საკუთარ თავზე იწვინა დიდი აფხაზური ტკივილის, იმედებისა და უიმედობის სუსხი, სცადა ღირსეულად გარიდებოდა ბიწიერ უზნეობას და ფსკერს, საკუთარი პიროვნება მთლიანად მიუძღვნა შეთვისებულ იდეალებს და ყველაფრის მუხედავად, შეძლო უხინჯო სული შეენარჩუნებინა.

მთლიანობისა და დაურღვევლობის შეგრძნების მთელი კოსმოსი მოუცავს დავით გაბუნიას მსოფლმხედველობას, იგი ერთიანი და დაუნაწევრებელი ენერჯის პოეტია, რომელსაც შეუძლია პირდაპირ თქვას, რომ სამყარო მასშია და იგია სამყაროს ნაწილი:

**„შენი შვილი ვარ, დედამიწავ,
და ჩემს სხეულში
მიიგრავნება შინდისფერი
სისხლის მდინარე!
შენი შვილი ვარ, დედამიწავ და
ჩემს თვალებში
ანთია შენი საოცარი ფერების
ტალღა...
შენ მაზიარე ამ სამყაროს
იდუმალეზას,
ო, შენ ურიცხვი ვარსკვლავები
დაანთე ჩემში!..“**

დავით გაბუნიას ლირიკული მე „ფრთებში“ მთელი სისავსით შეგვაგრძნობინებს ადამიანისა და უსასრულობის შეფარდებას, რომელიც მისთვის ლაღი ნავარდის საწყისია და „იკაროსის ფრთებზე მძლავრი ფრთების“ ქონას გულისხმობს. მისი შეგრძ-

ნებები კოსმიურთან შერწყმის იდილიას გვამცნობს:

**„მე ვწვდები ახლა ყოველივეს
ყოფილს და მყოფადს
და მომავლისკენ ფრთებგაშლილი
მივეცურავ ლაღად
მზის თავთავების
და ღუბლების ოკეანეში
და ვარკვლავების ყვავილებს ვკრეფ
უდაბურ ველზე...
ო, ჩემი ფრთები არ ჰგავს ახლა
იკაროსის ფრთებს,
უფრო მძლავრია,
ღია და თავისუფალი!“**

სივრცესა და უსასრულობას დიდი ადგილი უჭირავს პოეტის შემოქმედებაში, ეს მისთვის მუდმივი ინტერპრეტირების და კვლავდაბრუნების ასპარეზია. პირველყოფილი შიშით და სიხალისით უყურებს იგი მზეს, მნათობებს, წინარექრისტიანულ სახე-სიმბოლოებს, მათში მოიხელთებს მუდმივად ცვალებადი დროის შეჩერების შესაძლებლობას. მზე ხილული და მზე ოცნებისეული არის ის ორი მოვლენა, რომელიც ბუნებას და ადამიანს ხან აახლოებს ერთმანეთთან, ხან სასოწარკვეთაში აგდებს, მაგრამ ყოველთვის შეარჩევს არსებობასთან და აზრს აძლევს ყოველდღიურობას.

არსებობას ყოველთვის ეძლევა ღვთაებრივი იერი, როცა ენმელა გამოარღვევს თოვლის სიზმარს და „მზე კი ცურავს აფროდიტას ლამაზ მკლავებზე“. პოეტს მრავალი არამიწიერი სახეა აეკვიატება, მისთვის დროს შეგრძნებაც არაამქვეყნიური და უცნაურია. აღსანიშნავია, რომ მზის სახეა ისევ და ისევ ქცეულა მარადიულად მედინი დროის მთავარ არსებად. მზესთან არის კავშირში დროის ცვალებადობაც, სილამაზეც,

სიყვარულიც და სამომავლო იმედებიც. დავით გაბუნიასთვის „ზერდა- გივით დაჭედული ჟამი“ ისე არ გა- ირბენს, რომ სიყვარული არ დატო- ვოს სანუგეშებლად. გაზაფხულის მშვენიერება იმდენადორიგინალური და თავისთავადია, რომ არასოდეს და- ვიწყდება მკითხველს შემდეგი ხატო- ვანი სურათები:

**„მთარღვევს სივრცეს _
მზე გუგუნით
გვიახლოვდება!...
ქალწულებივით ტკარცალებზე
ატმის ტოტები!
შეხედე ღრუბლებს,
ვარდისფერი
თრთოლვა ედება!..
ჩუმად, მშობილო, გაზაფხულის
დილა მოცურავს...“**

მზეს მართლაც წარმმართველი აზრობრივი ნიუნსებით ტვირთავს დავით გაბუნია, მას, სიცოცხლესა და მარადიულობასთან მიახლების გარ- და, ყოველდღიური უღიმღამო არსე- ბობის სტიმულირებაც შეუძლია:

**„მზე გადმოერთო ატეხილი
ჭალების თავზე,
გადააქვს ზანტად დასიცხული
სხეული თითქოს...
გარბის ბიჭუნა ფეხშიშველი
ანთებულ ქვებზე
და ოქროსფერი ბუჩქიდან კი
იცინის ხვითო...“**

დავით გაბუნიასთვის ბავშვობისა და ახალგაზრდობის განცდები მჭიდ- როდ უკავშირდება მშობლიური წია- ლის ლეგენდებს და მასში დავანებულ არსებებს. ოქროსფერი მზე და „გულ- კალმახა მერცხლები“, „ზამზახივით ბოლი“ და ოდიდან გამოცურებული გოგო, ცისფერი წვიმა, გაქანებული ბორანი, ბუჩქებიდან მოთვალთვალე ხვითო და სხვა მრავალი პოეტური

სახე უბიძგებს მას მარადიული სიხა- რული იგრძნოს და დამლიოს ბედის- წერის სისასტიკე.

პოეტი გამუდმებით ფიქრობს სიყმაწვილის ჯადოსნურ დღეებზე, აწუხებს მისი ხანმოკლეობა, ჟამისა- გან დაჭიმული აღვირი, იარებად დაჩნეული დარდი და ტკივილი.

კოსმიური ფერებისა და განცდე- ბის შუაგულში ქალი და სიყვარული, აღტაცება და მარადიული გაზაფხუ- ლი დგას. ქალი მზესავით და კოს- მოსივით შემოდის კაცის არსებაში, იგი ისეთივე უსაზღვროა, როგორც კოსმოსი და მომხიბვლელი, როგორც გაზაფხულის მზე. სიყვარული და გაზაფხული მოუცილებლად თან სდევს პოეტის ხილვებს, ეს იმდენად მყარი სიმბოლოებია, რომ საკუთრივ დავით გაბუნიას პოეზიის სტილურ სახეებად და თავისებურებად ჩაითვ- ლება.

ქალის განცდა, ოჯახური სითბო, შთამომავლების უმანკოება და მათზე დამყარებული იმედები აძლიერებენ პოეტს და სძენენ წუთისოფელთან ჭიდილის ენერგიას. როცა ავი ფიქ- რები მოეძალება, სწორედ მაშინ ეწვე- ვა სამყაროს ფერისცვალების გარდუ- ვალობასთან შერიგების სურვილი. მრავალი ლექსი მიემდგნა ადამიანის მარადიულ საფიქრალს _ სიკვდილს. პოეტი „ოდითგან“ მტრად მოიაზ- რებს არარსებობის აუცილებლობას და მიაჩნია, რომ მხოლოდ პოეზიას შეძლია მარადიული ხსოვნა შეუნარ- ჩუნოს ადამიანის სახელს. სწორედ ამიტომ თვლის ის მუზათა საუფლოს უკვდავების საწინდრად:

**„შენ, სიკვდილო, რამდენი
გაქვს ცოდვა
და ლანდების მოაცურებ წყებას...
ამ აღმართთან შეიცადე ცოტა,“**

**პოეტი ვარ,
ნულარ გავიწყდება!
გაზაფხულის მეხოტბე ვარ მარად,
ნუთუ სიმი სიყვარულის წყდება?
იქნებ ლექსი გამომადგეს ფარად,
რომ გადურჩეს
სული დავიწყებას?"**

საოცრად დამაფიქრებელი და სევდიანია „წუთისოფლის“ დავით გაბუნიასეული დეფინიცია. იგი საწუთროს მიმართავს:

**„მიდიხარ მღერით, სიხარულით,
ტანჯვით, წვალებით,
შენ საოცარი უნარი გაქვს
ფერიცვალების!"**

ასევე ნიშანდობლივია „სასაფლოო“, რომელიც წუთისოფლის საბოლოო საყუდარია ამქვეყნიერთა მოდემისათვის:

**„ვინც უნდა იყოს, შეშფოფთდება
შენი მნახველი!
გაქვავებული, ვეებერთელა
შენ ხარ ნაღველი!"**

დავით გაბუნიას „მინიატურების“ ციკლში მიყოლებით არის გადმოცემული ყველა ის მოვლენა, რაც მასზე ახდენს ზეგავლენას – რაც უგრძენია, განუცდია და გადაუტანია: გაზაფხული, მუსიკა, მდინარე, ღამე, შემოდგომა, ზამთარი, განშორება, სიყვარული, სასაფლოო, წუთისოფელი – აი, ყველა ის მოვლენა, რაც პოეტმა ჩვენთვის გასაზიარებლად და სათანაგომლობლად საშკარაოზე გამოიტანა.

პიროვნული თვითგამოხატვა და საკუთარი მამაკაცური, მამაშვილური კრედო გამოთქმულია ლექსში „ჩემი ვედრება“, რომელიც ვაჟა-ფშაველას ამავე სახელწოდების ლექსის თანამედროვე ვერსიად წარმოგვიდგება. დავით გაბუნიას „ჩემი ვედრება“ არის ყველაფერი იმის გასიგრძეგანე-

ბა, რაც მის ამქვეყნიურ მამაკაცურ ვალს წარმოადგენს. ამ ტექსტის მიხედვით, დავით გაბუნია თავისი წინაპრების ღვიძლი შვილი და წინამორბედი პოეტების პატრიოტული პათოსის გამგრძელებელია. პოეტი არის ერთიანი საქართველოს სულიერი შვილი, აღმოსავლეთ-დასავლეთის თანაბრად შეგრძნებითი და „თერგდალეულთა“ მრწამსის ერთგული. მას მიაჩნია, რომ ციური ნიჭის მქონე პოეტი განურჩევლად უნდა ეთაყვანებოდეს პოეტურ ქნარს, რიონს და მტკვარს, არაგვს და თერგს, თბილისსა და მცხეთას, კახეთის ზვრებს, გურიის მთებს, ძველ ვაჟკაც წინამორბედებს, მეგრულ ნანას.

„ჩემი ვედრება“ ძალიან რიტმული, ლამაზი და იოლად აღსაქმელი ტექსტია. პოეტი ამით ყველა ქართველს აგებინებს თუ რატომ არის ქართველისათვის მნიშვნელოვანი საკუთარი მამული, რომელ სახელებს შემოჰყავს ჩვენში ქართული სულის თავისთავადობა და რა გვაძლევს ჩვენი იდენტობის ერთგულების საფუძველს.

დავით გაბუნია მრავალი სონეტის ავტორიცაა. მან ტრადიციულ და მყარი სალექსო ფორმით სრულად გადმოსცა საკუთარი ფილოსოფიური და შემოქმედებითი შეხედულებები. უნდა აღინიშნოს, რომ სონეტი ძალიან დიდ ოსტატობას და პოეტური ტექნიკის ცოდნას მოითხოვს. ძალიან ძნელია ევროპული პოეზიის ამ ფენომენტთან გათამამება. დავით გაბუნია არერთხელ დაამტკიცა, რომ ღრმა შეგრძნებებისა და დახვეწილი გემოვნების შემოქმედია, მისი თავმდაბლობა კიდევ უფრო ამკვეთრებს მის ინდივიდუალურ ღირსებებს.

კრებულში „ფოთოლცვენის ლანდებში“ 75 სონეტია შესული.

პოეტის სულისკვეთება უკიდურესად ნოსტალგიური ფილოსოფიურია, იგი გამუდმებით მიგვანიშნებს საწუთროს ხანმოკლეობასა და ადამიანის ამქვეყნიურ არსებობაზე. დ. გაბუნიას მხატვრული სამყარო სონეტებში გაცილებით უფრო მუქი და დამძიმებულია, აქ ნაკლებად შევხვდებით გაზაფხულის კაშკაშა ფერებს, სისხამი დილისაგან მოგვრილ სიამეს, სიყვარულის მაცოცხლებელ განწყობას. სონეტები დროით დამძიმებული, ცხოვრებისაგან ჭკუანასწავლი და მიღმურში გადასული მეგობრების მოგონებით არის სავსე. სწორედ სონეტებში იკვეთება წუთისოფლის მსახვრალი ხელი, მოგონებებში გარდასული ძვირფასი არსებები და ზამთრის მოახლოებასთან შეგუების აუცილებლობა.

**„რად მომეძალა უსაშველად
მელანქოლია,
დავდივარ გარეთ, დაღვრემილი
სივრცეს გავცქერი...
მოდის ზამთარი, რა აშინებს
ამ მთებს გოლიათს,
ან მინდვრებს რატომ
აფერმკრთალებს მზე ალმაცერი?!“**

**მაღალ სივრცეებს მიეძალა
ჩემი ფიქრები,
რა დამავიწყებს, საყვარელო, მაგ
შენს ხატებას?
ვხარობთ ცოტა ხნით, მერე მიწად
გარდავიქმნებით,
შემდეგ ვარსკვლავეთს შეერევა
სულის ნათება...“**

ტრფობას ცეცხლოვანს ვერ აქრობენ

**ცივი ქარები,
განშორებისას იცის თვალმა
ცრემლის მოდება!
ჩვენ ვართ, ძვირფასო, მხოლოდ
მსხვერპლი ფერიცვალების
და საოცარი სხვა სამყარო
დაგველოდება!..“**

**ჩვენს სხეულებს თუ მიწის თალხი
ფერი ეძლევა, _
სული? _ სული ხომ გაზაფხულზე
მოვა ენძელად!“**

დ. გაბუნიას პოეზია აღბეჭდილია ტრადიციული ქართული პრობლემებით, საკუთრივ ჩვენი ცხოვრებით და, აქედან გამომდინარე, ტკივილებით. „ფოთოლცვენის ლანდებში“ წინ უძღვის ავტორის წერილი „ფიქრები სიცოცხლესა და პოეზიაზე“, სადაც მისი აზროვნების მთავარი თემაა გადმოცემული: „პოეზიის გარეშე კაცობრიობას ერთი დღეც არ უცხოვრია, ადამიანის სულს, რაოდენ სასოწარკვეთილი არ უნდა იყოს ის, რწმენას უნერგავს და საოცრად ალაფრთოვანებს კაზმულსიტყვაობა. მუსიკის გარეშე პოეზია ისეთივე უფერული და ერთფეროვანია, ვით ცის ცარგვალი მზისა და მთვარის გარეშე. კაცთმოყვარეობა პოეტის შემოქმედების განმსაზღვრელი პარამეტრი უნდა იყოს.“

ამრიგად, ჩვენ გავეცანით შემოქმედს, რომელიც ერთგულად მსახურებს „პოეზიის ცხრაფრთიან მუზას“, რომლის შემწეობით უმკლავდება ცხოვრებისეულ მოულოდნელობებს და ცდილობს არა მარტო ქართული ყოფა-ცხოვრებას ჩაუღრმავდეს, არამედ პოეტური ხილვებით ზოგადკაცობრიული ტკივილები და განცდებიც გადმოგვეცეს.



ენა, როგორც ვერბალური კომუნიკაციის საფუძველი

იმისათვის, რომ ვერბალური კომუნიკაცია განხორციელდეს, აუცილებელია ენის არსებობა. ვერბალური კომუნიკაცია ხომ სიტყვიერი ურთიერთობაა, ე.ი. სიტყვებით ურთიერთობაა ადამიანთა შორის. ხოლო სიტყვები მათ ურთიერთკავშირში სწორედ ენაა. ენა ამ მხრივ სიტყვების ერთიანობაა, მათი სისტემა (მოწესრიგებული მთლიანობა). სიტყვაც, თავის მხრივ, არ არსებობს ენის, როგორც მთელის გარეშე. სიტყვები ენაში მოიაზრება მხოლოდ და მხოლოდ და არა სხვაგვარად.

ასე რომ, ენა როგორც სიტყვათა ერთიანობა საფუძველია, საძირკველია, ფუნდამენტია ვერბალური კომუნიკაციისა. იგი პირველადი, ამოსავალი, ძირეული საფუძველია მისი. ამ აზრით ვერბალური კომუნიკაცია სხვა არაფერია, თუ არა სწორედ ენობრივი კომუნიკაცია, ანუ ლინგვური კომუნიკაცია, მოკლედ, ლინგვოკომუნიკაცია. ხოლო ამ ვერბალური კომუნიკაციის ენა კი, თავის მხრივ, ერთეულ სიტყვათაგან შემდგარი, უფრო სწორად, მისი შემადგენელი ნაწილების, ანუ სიტყვების ერთი მთლიანობაა, ანუ უკვე ენაა როგორც მთელი.

ენისა და სიტყვის ურთიერთდამოკიდებულება ფილოსოფიურად

მთელისა და ნაწილის ურთიერთდამოკიდებულებასა გავს. ისევე, როგორც მთელი შედგება ნაწილებისაგან, ხოლო ნაწილები ქმნიან მთელს, ასევე ენა როგორც მთელი შედგება სიტყვებისაგან, ხოლო სიტყვები როგორც ნაწილები ქმნიან ენას როგორც მთელს. ისევე, როგორც, ზოგადად, მთელი არ არსებობს ნაწილების გარეშე და ნაწილები მთელის გარეშე, ასევე ენა, როგორც მთელი არ არსებობს სიტყვების როგორც ნაწილების გარეშე, ხოლო სიტყვები როგორც ნაწილები – ენის როგორც მთელის გარეშე. მაგრამ ენის როგორც მთელისა და სიტყვების როგორც ნაწილების ურთიერთდამოკიდებულებაში მთავარი, განმსაზღვრელი მხარე მაინც ენა, ანუ მთელია. ესეც გამომდინარეობს მთელისა და ნაწილების საერთო ფილოსოფიური მოძღვრებიდან, ვინაიდან ამ მოძღვრების თანახმად, სწორედ მთელია განმსაზღვრელი და ამდენად მთავარი მხარე მოვლენისა, ვიდრე მისი ნაწილები. ნაწილთა ბუნებას მაინც მთელი განსაზღვრავს. ამიტომ ენაც, როგორც სიტყვათა ურთიერთკავშირი, ანუ მათი ერთიანობა, ანუ რაც იგივეა, მათი მთლიანობა განსაზღვრავს მასში შემავალი სიტყვების „ბედ-იღბალს“. და მართლაც, ხომ ცნობილია, რომ ყოველ სიტყვას

თავისი ნამდვილი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ ე.წ. კონტექსტში, ანუ ტექსტურ მთლიანობაში, რის გამოც სხვადასხვა კონტექსტში ერთმა და იმავე სიტყვამ შეიძლება სხვადასხვა ელფერი ჰპოვოს.

სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ ენას როგორც მთელს უპირატესობა ენიჭება სიტყვების როგორც მისი ელემენტების წინაშე, გამომდინარეობს ის ფუნდამენტური დებულება, რომ ვერბალური კომუნიკაციის უშუალო საფუძველი მისი ენაა როგორც მთელი და არა მისი სიტყვები, როგორც ელემენტები. მთელი, მართლაცდა უფრო მეტია ნაწილებზე, ამიტომ ვერბალური კომუნიკაცია უბრალოდ როდი დაიყვანება სიტყვებზე, არამედ იგი მეტია ამ სიტყვების ჯამზე და სინამდვილეში წარმოადგენს ე.წ. „დიალექტიკურ“ ანუ „ორგანულ“ მთელს. ასე რომ, ვერბალურ კომუნიკაციას არსებითად ქმნის არა სიტყვების ჯამი, არამედ სიტყვების ერთიანობა. უფრო მეტიც, ეს ერთიანობაც ორგანიზებული (მოწესრიგებული) უნდა იყოს, თორემ სხვაგვარად იგი თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებს. ეს დანიშნულებაც სხვა არაფერია, თუ არა სწორედ კომუნიკაციის (ურთიერთობის) დამყარება ადამიანთა შორის.

ამრიგად, ენა ვერბალური კომუნიკაციის ერთადერთი ჭეშმარიტი საფუძველია. ესაა მისი დანიშნულებაც. ენის გარეშე ვერავითარი ვერბალური კომუნიკაცია ვერ განხორციელდება. სხვაგვარად უაზრობა გვექნებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე კი, „ვერბალური“ და „ლინგვური“ კომუნიკაციების ტერმინები ერთმანეთს

დაემთხვევა. და, მართლაც, თუ ვერბალური კომუნიკაცია თავისი არსებით არა საკუთრივ ვერბალურია, არამედ სწორედ ლინგვური, მას – ამ ვერბალურ კომუნიკაციას, სინამდვილეში, უფრო ზუსტად „ლინგვოკომუნიკაცია“ უნდა ერქვას და არა „ვერბალური კომუნიკაცია“. მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ვერბალური კომუნიკაციის ენა მაინც სიტყვებისაგან შედგება, მისი ამგვარი – სიტყვით-ელემენტური აგებულებისა გამო მას ჩვენ მაინც ვერბალურ და არა ლინგვურ კომუნიკაციას ვეძახით. ხოლო ამ შემთხვევაში ჩვენ წინა პლანზე წამოწეული გვაქვს სიტყვები სწორედ როგორც ენის ელემენტები, უფრო სწორად, ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ მაინც „ლინგვურს“, ოღონდ „ვერბალურის“ განასერით.

ენა ადამიანური კულტურის საოცარი ფენომენია. ენას იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ცხოვრებაში, რომ მის გარეშე წარმოუდგენელიც კია იგი. ენა, მართლაც, ერთგვარი „სახლია“ ადამიანური ცხოვრებისა. ადამიანი სწორედ ენის მეშვეობით „ზის სახლში“, მის გარეშე იგი, მართლაც, „შინ“ კი არა, „გარეთაა“. იგულისხმება „სახლში“ და „სახლგარეთ“. ამიტომაც ამბობდა დიდი გერმანელი ფილოსოფოსი მარტინ ჰაიდეგერი: „ენა ყოფიერების სახლიაო“ [1].

ენა და ადამიანი ერთი ხნისაა. ასე იყო, ასე არის და ასეც იქნება. სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა. ენა ადამიანის გარეშე არ არსებობს, ისევე როგორც ადამიანი არ არსებობს ენის გარეშე. ენა ადამიანური ცხოვრების „გამჭოლი“, აუცილებელი, უფრო

სწორად, მისი „მოუცილებელი“ მხარეა. რა თქმა უნდა, იგულისხმება ადამიანური ენა, ვინაიდან უფრო ფართო გაგებით ენა მხოლოდ ადამიანს როდი გააჩნია, არამედ ღმერთსაც და ანგელოზებსაც, კიდევ უფრო ფართო გაგებით – ცხოველებსაც, ხოლო კიდევ უფრო ფართო გაგებით – მცენარეებსაც და მინერალებსაც. მაგრამ ვიმეორებთ, როცა ჩვენ ვერბალურ კომუნიკაციაზე ვლაპარაკობთ, მას საკუთრივი, ადამიანურ-ვერბალური კომუნიკაციის მნიშვნელობით ვგულისხმობთ, ვინაიდან ეს ვერბალური კომუნიკაცია სწორედ ადამიანის მიერ წარმოებულ სიტყვიერ ურთიერთობას ეხება. მაშასადამე, ჩვენს შემთხვევაში „ვერბალური კომუნიკაცია“ სწორედ ადამიანის მიერ ვერბალურ კომუნიკაციას გულისხმობს და სხვას არაფერს.

ენაზე მსჯელობისას აუცილებელია შევეხოთ მეტყველების საკითხსაც, ვინაიდან ზოგჯერ მათ აიგივებენ და ზოგჯერ კი განასხვავებენ ერთმანეთისაგან. ენა და მეტყველება, მართლაც, ზოგჯერ ერთნაირი აზრით იხმარება და ზოგჯერ კი – სხვადასხვა მნიშვნელობით.

ენა და მეტყველება თავ-თავისი უფართოესი გაგებით ერთმანეთს ემთხვევა. ხოლო ეს ასე რომაა, ამას ისიც ადასტურებს, რომ მეტყველებაში ფართო გაგებით ჩვეულებრივ ორ მხარეს გამოყოფენ ხოლმე. ესენია ე.წ. გარეგანი და შინაგანი მეტყველება. და თუ ენასაც მისი ფართო გაგებით გავიგებთ გავიგებთ როგორც შინაგანსა და გარეგან ენას, მაშინ ამ შემთხვევაში იგი, მართლაც, მეტყველების ცნებას გაუიგივდება. ასე რომ, ამგვარი

რი გაგება ენისა, როგორც მეტყველების იგივეობრივი მოვლენისა გარკვეული აზრით მისაღებია. მით უმეტეს, რომ ენას, მართლაც, ისევე როგორც მეტყველებას არა მხოლოდ შინაგანი, არამედ გარეგანი გამოვლენაც გააჩნია, და რაც არ უნდა დავარქვათ მას, იგიც ხომ ენა იქნება, ოღონდ მის გარეგნულ ნაწილში. სხვაგვარად შეუძლებელიცაა, თორემ გამოვა ისე, რომ ენას თავისი იდეალური მხარე აქვს, მაგრამ რეალური მხარე კი – არა, შინაგანი მხარე კი აქვს, მაგრამ გარეგანი მხარე – არა. ეს ხომ ცალმხრივი, შეზღუდული გაგება იქნებოდა ენისა და, მაშასადამე, არასწორი. ამიტომაც ენისა და მეტყველების იგივეობის თეზა არა მარტო მისაღებია, არამედ სავალდებულოც კია იგი. ამ შემთხვევაში ენასა და მეტყველებას ამჯერად იგივეობრივი მნიშვნელობით განვიხილავთ.

მაგრამ სხვა ამბავია, როცა ენას და მეტყველებას თავ-თავისი ვიწრო მნიშვნელობით მოვიხმართ, რაც გარკვეული პირობით მისაღებია. ამ შემთხვევაში მათი მნიშვნელობანი იდენტურიდან (იგივეობრივიდან) კონტრადიქტურად (საპირისპიროდ) გადაიქცევა. და მეცნიერებაში ცნობილია ამგვარი მიდგომა. ასეთ შემთხვევაში ენა, კერძოდ, გაგებულია როგორც სიტყვიერი მოვლენის სწორედ შინაგანი მხარე, მეტყველება კი მისი, როგორც გარეგანი მხარე. პირველი ამ შემთხვევაში მიჩნეულია მის იდეალურ მხარედ, მაშინ როდესაც მეორე – მის მატერიალურ მხარედ. ამ შემთხვევაში ენა იქნება მეტყველების იდეალური საფუძველი, ხოლო მეტყველება – მისი მატერიალური გარსი.

და თუ ჩვენ შევთანხმდებით ამგვარ გაგებაში, მაშინ ამით არსებითად არც არაფერი დაშავდება. მთავარია შეთანხმების შემდეგ სწორად გავარკვიოთ ორივე მათგანის ბუნება, რათა ამით შევიმუშავოთ ჩვენთვის სასარგებლო ცოდნა ვერბალური კომუნიკაციის სწორედ საძიებელ საფუძველზე. ჩვენ ენისა და მეტყველების ამგვარ გაგებასაც ვღებულობთ აღნიშნული პირობით. ასე რომ, ენისა და მეტყველების როგორც პირველი – იგივეობრივი, ისე მეორე – არაიგივეობრივი, ურთიერთსაპირისპირო გაგებანი ერთმანეთს როდი ეწინააღმდეგება, არამედ ორივე თავ-თავის ადგილზე მისაღება. მითუმეტეს, თუ მივხვდებით იმას, რომ პირველი გაგება სინამდვილეში მოიცავს მეორე გაგებას, და ერთი როდი ეწინააღმდეგება მეორეს.

ენის ცნების დეფინიციისათვის (განსაზღვრებისათვის) ლოგიკურად (ლოგიკის მეცნიერების მოთხოვნათა შესაბამისად) საჭიროა მისი ისეთი არსებითი ნიშნების გამოყოფა, როგორებიცაა: 1) ენა როგორც „აზრთა აღნიშვნის საშუალება“, 2) ენა როგორც „აზრთა გამოხატვის საშუალება“ და 3) ენა როგორც „აზრთა ურთიერთგაგებინების საშუალება“.

ეს არის სამი აუცილებელი და საკმარისი პირობა ენის ცნების განსაზღვრებისათვის.

ენა, უპირველეს ყოვლისა, არის გარკვეული საგანგებო (სპეციალური) ნიშნების მოწესრიგებული მთლიანობა (სისტემა), რომელიც, ჯერ ერთი, აღნიშნავს აზრით გამოხატულ ცნებებს, მეორეც, – ამ აზრებით გამოხა-

ტავს მათ და, მესამეც, ემსახურება ადამიანთა შორის ურთიერთგაგებას.

სამივე ეს ნიშანი საფუძვლად უდევს ენის ეგრეთ წოდებულ სამ ძირითად ფუნქციას. ენის სამი ძირითადი ფუნქცია (დანიშნულება კი არის: 1) სიგნიფიკაციის, 2) ექსპრესიის, 3) კომუნიკაციის ფუნქცია. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დაყოფით ენა ასრულებს აზრთა 1) აღნიშვნის (სიგნიფიკაციის), 2) გამოხატვის (ექსპრესიის), 3) ურთიერთგაგებინების (კომუნიკაციის) საშუალების ფუნქციას (დანიშნულებას). ეს სამი ფუნქცია ენისა არის მისი ყველაზე არსებითი ფუნქცია, რომელთა გარეშეც ენა როგორც ასეთი დაკარგავდა თავის არსებას. ამასთან დაკავშირებით სულ სხვაა ის ვითარება, როდესაც გამოყოფენ ხოლმე ენის კიდევ მრავალ სხვადასხვა ფუნქციას, რაც წინააღმდეგობაში არ მოდის ნათქვამთან, ვინაიდან ყველა ნებისმიერი ფუნქცია ენისა, თუ ის მართლაც სწორედ ენის ფუნქციაა, ლოგიკურად აუცილებლად უნდა ჯდებოდეს ამ არსებით ტრიადაში (სამებაში) ფუნქციებისა. მაშასადამე, ენის ფუნქციური (დანიშნულებითი) ანალიზიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია მოკლედ ასედაც განვსაზღვროთ ენის ცნება: ენა ესაა აზრთა აღნიშვნის, გამოხატვისა და ურთიერთგაგებინების საშუალება. მაგრამ, თუ ჩვენ დაფუძვნიდებით, ამ სამი ფუნქციიდან ყველაზე მთავარი მაინც ეგრეთწოდებული კომუნიკაციის ფუნქცია იქნება, ვინაიდან პირველი ორი მათგანი სწორედ მესამეს ემსახურება. და, მართლაც, ადამიანს აზრთა გამოხატვა ცნებებში და მათი აღნიშვნა სიტყვებში სწორედ იმისათვის სჭირ-

დება, რომ ამის საშუალებით სწორედ ადამიანთა შორის ურთიერთგაგებას მიღწიოს და სწორედ ამ გარემოებისა გამო ენის ცნების ყველაზე ლაკონური (მოკლე) და ზუსტი განმარტებაც შემდეგი იქნება: ენა ადამიანთა შორის ურთიერთგაგების საშუალებაა. ასედაც განმარტავენ მას ხშირად ჩვეულებრივ.

ენის როგორც „გარკვეულ ნიშანთა ერთობლიობასთან“ დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ნიშნები ჩვეულებრივ ფიზიკური ხასიათისაა. კერძოდ, იგი გულისხმობს ისეთ ფიზიკურ ჩვეულებრივ ნიშნებს, როგორებიცაა: „ბგერა“, ანდა „ასო“. მაგრამ თუ ენას მისი უფართოესი გაგებით გავიგებთ, მაშინ ეს ნიშნები მაინცდამაინც ფიზიკური ხასიათისა როდი იქნება, არამედ ეს ბგერები და ასოები ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სულიერ ასპექტშიც (განასერშიაც) აზროვნების პროცესში. ასე რომ, ამ შემთხვევაში უკეთესი იქნებოდა გვეთქვა, რომ ენა არა მაინცდამაინც ფიზიკურ ნიშანთა სისტემაა, არამედ მეტაფიზიკურ ნიშანთა სისტემაა. უფრო სწორად, იგი ეს ნიშნები ორივე მათგანი იქნება – კერძოდ, შინაგანი მეტყველებისას – მეტაფიზიკური, გარეგანი მეტყველებისას კი – ფიზიკური. მაშასადამე, ბგერაცა და ასოც, რომელთაგან ერთი წარმოითქმება, მეორე კი იწერება, როგორც იდეალური (სულიერი), ისე მატერიალური (ხორციელი) მოვლენის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ენის საკითხებზე მსჯელობისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ენა ესაა „საოცარი“

ფენომენი თავისი განვრცობითაც, კერძოდ, იმ მხრივ, რომ ენა მარტო ადამიანთა სფეროზე კი არ ვრცელდება, არამედ ანგელოზთა სფეროზეც, მით უმეტეს ღმრთის სფეროზეც. ენა ამ მხრივ „გონიერ“ არსებათა კუთვნილებაა საერთოდ. ამასთან, ეს ენები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ჩვეულებრივ ენაში ჩვენ გვესმის მაინც და მაინც ადამიანის ენა, მაგრამ უფართოესი და უსაკრალურესი (წმიდათაწმიდა) მნიშვნელობით იგი, რა თქმა უნდა, უფრო ვრცელია. უფრო მეტიც, უმაღლესი შემეცნებით თავისი ენა ცხოველებსაც და მცენარეებსაც კი გააჩნიათ და, უფრო მეტიც, ყოველივეს მინერალურ სამყაროშიც. ქვასაც და ლითონსაც კი რაღაც თავისებური ენა გააჩნიათ, ოღონდ, როდენ მიუწვდომელია იგი ჩვენთვის. ასეა ეს ყოველ შემთხვევაში. მაგრამ ჩვენ ენაში მაინც ადამიანის ენას ვგულისხმობთ ჩვეულებრივ და არა სხვა ენას, რაც ჩვენი შემეცნების ერთგვარი ადამიანური შეზღუდულობის ბრალია. ენა ამ მხრივ იმდენად უნივერსალური (ყოვლისმომცველი) ფენომენია (მოვლენაა), რომ დიდი გერმანელი ფილოსოფოსი მარტინ ჰაიდეგერი ენას საერთოდ „ყოფიერების“ [1] სახლადაც კი მიიჩნევდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ენა ეს ყოველგვარი არსებულის შინაობაა, მისი, თუ ასე შეიძლება ითქვას, შინაფუნაა, როცა ყოველივე სწორედ ამ ენის მეშვეობით თავის „სახლში ზის“ და მის გარეშე, მაშასადამე, „სახლს“ გარეთ – არაბუნებრივ სტიქიაში აღმოჩნდება. ენა, მაშასადამე, ეს ყოველგვარი არსის რაღაც ფუნდამენტური სტიქიაა. მთა-

ვარია მხოლოდ მისი გაგება. ასეთია ენის უნივერსალური ფენომენი.

მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ მაინც ადამიანის ენაზე ვიმსჯელოთ.

ადამიანს შეუძლია თავისი ენით, რომელიც მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი (მიუხედავად ამ, თუ ასე შეიძლება ითქვას, თავისებური შეზღუდულობისა), ნებისმიერ არსს მიმართოს, დაწყებული სულ მცირეთი და დამთავრებული ყველაზე დიდი (ეს კი უფალია).

ადამიანის ენა უშუალო კავშირშია მის აზროვნებასთან. ადამიანის ენა მისი სწორედ როგორც მოაზროვნე არსების, როგორც გონიერი არსების ენაა. ენა და აზროვნება ამ მხრივ იმდენად მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, რომ ფილოსოფიაში ენისა და აზროვნების დამოკიდებულების საკითხი ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი თემაა. ეს მნიშვნელობა კი ენისა და აზროვნების ურთიერთდამოკიდებულებისა კერძოდ გამოიხატება იმით, რომ „ენა თავად აზრის უშუალო სინამდვილეა“ [2] (მარქსი), რომ არ არსებობს აზროვნება უშუალოდ ენობრივი სინამდვილის გარეშე და მის გარეშე და, რომ აზროვნება სხვა არაფერია, თუ არა სწორედ ენით აზროვნება. აქედან გამომდინარე, ფილოსოფიაში, კერძოდ, ლინგვისტურ ფილოსოფიაში, ასევე სოციოლოგიაში, კერძოდ, ლინგვისტურ სოციოლოგიაში ენისა და აზროვნების დამოკიდებულების საკითხში ფუნდამენტური (საფუძველმდებელი) თეზაა (დებულება) დებულება სწორედ მათი ურთიერთკავშირის შესახებ, იმის შესახებ, რომ ენა არ არსებობს აზროვნებასთან მჭიდრო კავშირის გარეშე და

აზროვნებაც _ ენასთან მჭიდრო კავშირის გარეშე და, აქედან გამომდინარე, რომ აზროვნება ეს ადამიანის ფუნდამენტური თვისებაა, გამომდინარე აქედანვე კი, რომ ენაც ლოგიკურად ფუნდამენტური თვისებაა ადამიანისა.

ადამიანის ენა შეიძლება იყოს ორგვარი: ერთი ბუნებრივი, მეორე _ ხელოვნური; ერთია ის ენა, რომელიც ადამიანს მიეცა თავისთავად რაიმე მიზნით საგანგებოდ შექმნილი ენა. და რაოდენ „ხელოვნურიც“ არ უნდა იყოს ესა თუ ის ენა, იგიც, ისევე როგორც ბუნებრივი ენა, მაინც ადამიანის ენაა. ვინაიდან იგიც მის მიერაა შექმნილი და მისთვისაა შექმნილი. ორივე ენა ისევე და ისევე ერთ მიზანს ემსახურება, ესაა ვერბალური კომუნიკაცია.

ენა სოციალური მოვლენაა. ეს არის სოციოლოგიის, კერძოდ, ლინგვისტური სოციოლოგიის ერთ-ერთი ფუნდამენტური დებულება. ეს იმას ნიშნავს, რომ ენა ადამიანთა შორის სწორედ კომუნიკაციის (ურთიერთობის) საშუალებაა. უფრო მეტიც, იგი უკვე თავისი შინაგანი ბუნებითაა ასეთი, ვინაიდან თითოეული ადამიანი უკვე თავისი ბუნებით სოციალურია თუ ის, მართლაც ადამიანია. ადამიანი, თუ ასე შეიძლება ითქვას, უკვე თავისი დაბადებით „განწირულია“ იყოს სოციალური არსება, ე.წ. მოწოდებულია საურთიერთობოდ. ეს ურთიერთობა კი ენის გარეშე შეუძლებელია. ამიტომაც ენა ღრმად სოციალური, ე.წ. სოციალური კომუნიკაციისათვის მოწოდებული მოვლენაა. ენა სოციალური ურთიერთობის ორგანული (მოუცილებელი) საშუალებაა, მისი აუცილებელი იარაღია

(ინსტრუმენტია). ენის გარეშე საზოგადოება ვერც იარსებებდა, ვინაიდან ადამიანები კონტაქტს სხვაგვარად ვერც დაამყარებდნენ. ამიტომაც ენის სიკვდილი საზოგადოების სიკვდილს მოასწავებს. ენა ამ მხრივ იმდენად ძვირფასი რამ არის და მშობლიური ადამიანისათვის, რომ მის გარეშე წარმოუდგენელიც კი ადამიანის ცხოვრება, რის გამოც მას უდიდესი გაფრთხილება და მოვლა-პატრონობა სჭირდება.

ენა კაცობრიობის მარადიული თანამდევია მოვლენაა. იგი არსებობს კაცობრიობის ნებისმიერ ეტაპზე, მაგრამ ისევე, როგორც ნებისმიერი სოციალური ფენომენი, ენაც მუდამ იცვლება. კაცობრიობას თავიდან. როგორც ამას ბიბლია მოგვითხრობს, ერთი ერთიანი საყოველთაო ენა ჰქონია, მაგრამ შემდგომში ამ ენის დაყოფა მომხდარა და ამჟამად მსოფლიოში ენების (რა თქმა უნდა, ბუნებრივის) რაოდენობა ათასობითაა. ყველა ეს ენა, რა ზომისაც არ უნდა იყოს ისინი, ემსახურება სოციალური კომუნიკაციის უმაღლეს მიზანს.

არსებობს სხვადასხვა ენა იმისდა მიხედვით, თუ რა პრინციპით (რის საფუძველზე) დავყოფთ მათ. ასე, მაგალითად, არსებობს ე.წ. ნაციონალური (ეროვნული) ენები და ინტერნაციონალური (ეროვნებათშორისი) ენებიც, სხვა სიტყვებით, საერთაშორისო ენები. ეროვნულ ენათა შიგნით კიდევ გამოიყოფა, თუ ასე შეიძლება ითქვას, „ტომობრივი“ ანუ სხვაგვარად, კუთხური ენებიც. არსებობს აგრეთვე ე.წ. სალიტერატურო და არასალიტერატურო, სახელმწიფო და არასახელმწიფო. საგარეო და საშინაო

ენები და ა.შ. და ა.შ. ყოველი მათგანი თავ-თავისი კუთხით, მაგრამ მაინც ემსახურება სოციალური კომუნიკაციის მიზანს.

ყოველგვარი ენა, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, ვერბალური კომუნიკაციის განსხვავებული საშუალება იქნება და ამდენად ყოველი მათგანი საჭირო და სასარგებლო სახე იქნება ვერბალური, და მაშასადამე, სოციალური კომუნიკაციისა, თუ იგი, რა თქმა უნდა, მართლაც, არანორმალური (არაწესიერი) სახე არ იქნება ვერბალური კომუნიკაციისა. იგულისხმება, დავუშვათ, ე.წ. „ყარგონის ენა“, რომელიც სოციალური ღირებულების პლანში დაგმოხილია საზოგადოების მიერ. ასე რომ, ენაც არის და ენაც. ენა, თუ იგი ემსახურება ვერბალურ კომუნიკაციას ნორმალურად, რა თქმა უნდა, მისაღებია და თუ არა – მიუღებელი. ვერბალური კომუნიკაციის ნებისმიერი სახე თავისი ენით, თუ იგი ემსახურება საზოგადოებრივი პროგრესის (წინსვლის) საქმეს და ჰარმონია (თანხმობა) შემოაქვს ჩვენს ცხოვრებაში, მისაღებია. ვერბალური კომუნიკაციის ენათა მისაღებობა-მიუღებლობის კრიტერიუმად (საზომად) აქ, მართლაც, საზოგადოებრივი პროგრესის მიმართ მისი დამოკიდებულება გამოდის. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, ვინაიდან ის, რაც ხელს უშლის საზოგადოების ჰარმონიას, მიუღებელია, ხოლო რაც ხელს უწყობს, პირიქით – მისაღები. საერთოდ, ვერბალური კომუნიკაციის ნორმალურობა-არანორმალურობის კრიტერიუმში მისი საზოგადოებრივი პროგრესის მიმართ

ნორმალურობა-არანორმალურობა უნდა იყოს.

ვერბალური კომუნიკაციის მსოფლიო მასშტაბით (ფარგლებში) პერსპექტივის საკითხში ძალიან აქტუალურია (სადღეისოა, საჭირბოროტოა) ე.წ. „ერთიანი“ „გლობალური“ ენის საკითხი.

ერთიანი მსოფლიო ენის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ იგი, მართლაც ეხება მთელი კაცობრიობის ვერბალურ კომუნიკაციას, მის ბედ-იღბალს, ვინაიდან თუ ვერბალური კომუნიკაციის პრობლემა (გასაჭირი) მსოფლიო მასშტაბით წარმატებით გადაიჭრა, ამით განა საზოგადოებრივი პროგრესის (წინსვლის) პრობლემაც ძალუმად არ გადაიჭრებოდა? ეს საკითხი მართლაც დიდი ხანია „აწვალებს“ მთელ კაცობრიობას. ე.წ. „ენობრივი ბარიერები“, ანუ ენობრივი ზღუდეები, რაც აღმართულია კაცობრიობის სხვადასხვა მოდემას შორის, რა თქმა უნდა, გარკვეულ სიძნელეებს უქმნის კაცობრიობის წესიერ აღმასვლას სიკეთის გზაზე. ამიტომ საჭიროა ამ პრობლემის გადაჭრაც.

ამასთან დაკავშირებით კი არსებობს ორი სხვადასხვა დამოკიდებულება (პოზიცია) ე.წ. ერთიანი გლობალური (მსოფლიო) ენის საკითხის მიმართ. კერზოდ, ზოგი ფიქრობს, რომ ეს ენა უნდა იყოს ბუნებრივი, ზოგი კი იმას, რომ იგი უნდა იყოს ხელოვნური. იმათ შორის, ვინც ფიქრობს, რომ ეს უნდა იყოს ბუნებრივი, ასევე ორი საწინააღმდეგო აზრია: ერთნი ფიქრობენ, რომ ეს ერთიანი მსოფლიო ენა უნდა იყოს დედამიწაზე ერთადერთი, ხოლო მეორენი

ფიქრობენ, რომ ეს ერთიანი ენა მსოფლიოს ყველა ენასთან ერთად უნდა დარჩეს, მხოლოდ ერთი რომელიმე მათგანი მსოფლიო ენათაგან უნდა შეირჩეს საყოველთაო სარგებლობისათვის.

გლობალური ვერბალური კომუნიკაციის (მსოფლიო სიტყვიერი ურთიერთობის) კონტექსტით ერთიანი მსოფლიო (გლობალური) ენის საკითხში ჩვენი პოზიცია ასეთია: გლობალური ენა (ლინგვა) ერთობ საჭირო და საშური საქმეა და, მითუმეტეს ამჟამად, სწორედ ე.წ. გლობალიზაციის (გამსოფლიურების) ეპოქაში (დროში), როდესაც, მართლაც, იქმნება ერთიანი ინტეგრირებული (გამთლიანებული) მსოფლიო. მსოფლიო გაერთიანებას ანუ გლობალიზაციას აბა, მართლაც რა უნდა სჯობდეს. განა ეს გლობალიზაცია კაცობრიობის სანუკვარი ოცნება არ არის? მაგრამ გლობალიზაციაც არის და გლობალიზაციაც. ჩვენ ყოველგვარი გლობალიზაციის მომხრენი როდი უნდა ვიყოთ. გლობალიზაცია, თუ იგი გამოიწვევს მსოფლიო ერთეულთა შორის განსხვავების (რა თქმა უნდა, ნორმალური მათგანის) წაშლას, ასეთი გლობალიზაცია ჩვენთვის მიუღებელი იქნება. იგივე ითქმის ენის საკითხში გლობალიზაციის საკითხის მიმართ. ჩვენ ერთიანი, მსოფლიო (გლობალური) ენა კაცობრიობის სარგებლობისთვის საჭიროდ კი მიგვაჩნია, მაგრამ ამან როდი უნდა გამოერიცხოს ეროვნული და (მათ შორის ტომობრივი) ბუნებრივი ენების წაშლა, ვინაიდან ესა თუ ის ბუნებრივი ენა, რა მასშტაბითაც არ უნდა იყოს იგი, მაინც ემსახურება გლობალური

კომუნიკაციის ღვთაებრივ, ნორმა-
ლურ საქმეს. ეროვნული და საერთა-
შორისო ენები ერთმანეთს როდი
უპირისპირდებიან. პირიქით, ისინი
ხელს აძლევენ ერთმანეთს. რაც შეე-
ხება ერთიან მსოფლიო ენას, ასეთი
რამ ფრიად სასარგებლოა, მაგრამ იგი
ნებაყოფლობით უნდა იქნას აღიარე-
ბული მსოფლიოს ხალხთა მიერ და

მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება
მან ჰპოვოს სწორედ მსოფლიო ენის
ნამდვილად ჭეშმარიტი სტატუსი
(მდგომარეობა).

ერთიანი მსოფლიო ენა მთელი
მსოფლიოს ყველა ენასთან ერთად –
აი, რა უნდა იყოს ჩვენი უმაღლესი
საკაცობრიო ენობრივი იდეალი.

MURAD SHONIA

LANGUAGE AS THE BASIS OF VERBAL COMMUNICATION

Summary

Language is the one and only basis of verbal communication and language is the system of special signs, by means of which is implemented designation (signification), expression and mutual understanding (communication) of thoughts between humans.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Хайдеггер М.** Письмо о гуманизме / Пер.В.В.Бибихина. – Philosophy.ru /library/heideg/humanism.html
2. **Маркс К. и Энгельс Ф.** Немецкая идеология. – Соч. 2-ое изд. Т.3.





avTandil diasamize

გრიგოლ გურიელი, როგორც ფოლკლორისტი

გრიგოლ გურიელი (1819-1891) დიდ სიყვარულსა და ყურადღებას იჩენდა ფოლკლორული ნიმუშებისადმი. მრავალი საჭირბოროტო საქმის მიუხედავად, იგი თვითონ გვევლინება ფოლკლორული მასალების შემკრებად, რასაც რეგულარულად პრესაშიც აქვეყნებს.

მისი ინტერესი ზეპირსიტყვიერებისადმი გასაგებიც იყო, რადგან სხვა ნაშთებთან ერთად, ხალხური სიტყვიერების ნიმუშები ცოცხალ სიტყვებს წარმოადგენდა და, ამდენად, მათი შემონახვა მომავალი თაობებისათვის დიდი მნიშვნელობის საქმე იყო. ამ მიმართებით მაინც განსაკუთრებული ამაგი აჭარულ ზეპირსიტყვიერებას დასდო.

როგორც ვიცით, 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად მრავალტანჯული აჭარა დედასაქართველოს დაუბრუნდა, რაშიც ლომის წვლილი თვით გრიგოლ გურიელს მიუძღვის, რომელიც ახლად დაბრუნებულ მხარეში 1878 წლის სექტემბრიდან 1880 წლის აპრილამდე ბათუმის ოკრუგის უფროსად მუშაობდა და ბევრი რამ გააკეთა აქაური მოსახლეობის კეთილდღეობისათვის. იგი იყო „მარჯვენა მკლავი ქართველ მაჰმადიანთა და დიდი მფარველი

მათი“ [1. 261]. მას აღნიშნულ ომამდეც ახლო ურთიერთობა ჰქონდა გამაჰმადიანებულ ქართველებთან და ბევრი ქართული ხალხური მარგალიტისათვის ჯერ კიდევ მაშინ მიუგნია, როცა ეს მხარე ოსმალეთის ტყვეობაში იყო.

როგორც ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავდა „ქართველ მაჰმადიანებმა ქართული ენის გარდა თვით ქართული მეშაირობა და მელექსეობაც არ დაივიწყეს. მაგალითებზე ასეთი არის ქობულეთი და აჭარა, სადაც ქართველ მაჰმადიანთ შორის თითო-ორი-ლა მელექსენიც კი მოიპოვებინა. დღეს, აქ, მათ შორის მელექსეთა რიცხვს მრავლად ნახავს კაცი“ [2:73].

გრ. გურიელმა აჭარაში მოიძია საისტორიო ჟანრის ისეთი ლექსი, როგორიცაა „ოლქობაზედ თქმული ჰუსეინ მჟავანაძისაგან“. როგორც ცნობილია 1875-1876 წლებში ქობულეთში ადგილი ჰქონდა დიდ მლეღვარებას. აჯანყებულებთან და მის ხელმძღვანელებთან ახლო ურთიერთობა ჰქონია თვით გრ. გურიელს, რომელსაც „ოლქობა“ დედა-სამშობლოს სანდო „თავკაცად“ და საწადელი საქმის აღმასრულებლად მიიჩნევდა [3. 135-139]. აჯანყებას ფართო ხასიათი მიუღია და იგი ჭანეთსაც

მოედო, თუმცა მის ცენტრად მაინც ქობულეთი დარჩა. მოსახლეობამ აქ უარი თქვა ადმინისტრაციისადმი მორჩილებაზე და ყველა სადავო საკითხს თავის კრებებზე განიხილავდა. ამბობებულბმა 16 კაცისაგან შექმნეს საბჭო (ოლქა) [4. 37], რომელსაც

არათუ მოძრაობის, არამედ ამ კუთხის ადმინისტრაციული მართვაც უკისრია [5]. ეს მოვლენა ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც აისახა; მასზე 3. მყავანაძეს ლექსიც შეუქმნია. აი ისიც:

ოლქობაზედ თქმული ჰუსეინ მყავანაძისაგან

გოთაულები (ავაზაკები _ა. დ.) შეიყარა ქობულეთელი და დაგვია, ხუცუბნელი, ჭახათელი, რომ ვთქვათ ერთი არ გვაკლია. ჯორის კვალზე რომ გავედით, ჩავდექით ყველამ გზაშია; სავაციაზედ გავედით, წინ გავაგზავნეთ ბარგია. ბეგიებმა ის არჩია, გაღმა მოუხდეთ სახლშია, ბაირახტრებმა იწყინეს: სახლზე მისლა არ გვარგია, ჯობს, რომე დაბლა დაუჯდეთ, არ გამოუშვათ გზაშია... წავედით და ჩვენ დავჯედით ნატანებისა თვალშია.. რომ გათენდა, დავინახეთ სამი ჩამოჯდა ნავშია; სამმა ნავით გამოვიდა, ერთმა წელთამდი წყალშია; გავექანეთ და ვეტაკეთ შევდევით მაღალ ბარდშია. გურიანთლებმა შეიტყო, შეყარა ჯარი ხალხია, როკნალზე წამოგვეწიენ, შეგვექმნა თოფის ტკაცია; დაღალული ჩამოგვეყარეს იქ ოჩხამურის წყალშია. ნაკაშიძემ დაგვიძახა: „რათ ამომავდეთ სახლშია! „ნაკაშიძე და ართომლაძე ნაქებია სროლაშია, „მაგრამ ჩემი დამსებისთვის სამსაც მოგტეხე ბაყვია!“ მექორწილემ მოგვეგება: ბიჭო რა გჭირს, რა გაკლია? თუ ძმობა გწამს, დავგეთხოვე, სული ხორცთან არა გდია. გავექანოთ და ვეტაკოთ, დავინახოთ ანაკრია!.. დაჭრილებსა გვისინჯვიდენ, ზოგს აქვს მხარი მოტეხილი, ზოგსა მხარის ლავიწია, მთხრობლად გასვლა არ გვეგონა, ყველამ ვლოცოთ დავითია“ [6. 1].

ქობულეთურ ლექსებს შორის თავისი მხატვრული გამართულობით გამოირჩევა სატრფიალო ხასიათის ისეთი ლექსები, როგორცაა „ქობულეთელი ზოიძის ქალისაგან ხასან-

ბეგ თავდგირიძისადმი მიწერილი 1850 წელს“ და „პასუხი ხასან-ბეგი თავდგირიძისაგან“, რომლებიც გრ. გურიელს ჯერ კიდევ ომამდე დიდი ხნით ადრე შეუკრებია.

**„ქობულეთელი ზოიძის ქალისაგან ხასან-ბეგ თავდგირიძისადმი
მიწერილი 1850 წელს**

ბატონს ხასან-ბეგს მიერთვას უმორჩილებლით, თავმდაბლით,
ბროლის ხელსა დაიჭიროს და წაიკითხოს ტკბილის ხმით...
გონიერი, მეცნიერი თქვენ ბრძანდებით აგრე ღვითთ.

ჩემო სიცოცხლის მომცემო, მომმატებელო ძალისა,
ნიაგ ყოვლად შემეკულო, ვარდო გაშლილო ქარისა,
თათრის ქართლამდი ნაქებო, მაშვენებელო გვარისა!

რა რომ გნახოს სულიერმა, შენთვის უნდა თავი ნაცვლათ
დღეი მზერით ვერ გავძეხი, დამე ვიწვი შენთვის სამთლათ,
რამაც დედამ შენ კი გშობა, მას კი წახვა სული ნათლად!

ვინც კი გნახავს, თქვენ გენატრის, სხვა არ უჩანა თვალეზსა.
დმერთო, თუ იმას შეგვყარო, საწყალთა გავსცემთ ფარეზსა!..
ნეტა რა დროში ვიქნები, გიდებდე თავ ქვეშ მკლავეზსა,
ბროლის გულსა ჩაგეხვიო, ამოგიკოცნი თვალეზსა!“ [6. 2].

ადრესატს სატრფოს გულისნადე-
ბი ზემოთ მოყვანილი ლექსის სახით
მიუღია და, ეტყობა, სიხარულით
აღვსილს ლექსითვე ლაკონური პა-
სუხი მიუერთმეგვია, რომელიც გრ. გუ-
რიელს სხვა ლექსებთან ერთად შემო-

უნახავს და გამოსაქვეყნებლად გა-
ზეთ „დროების“ რედაქციისთვის გა-
დაუცემია. საკუთრივ „დროება“-საც
იგი ზოიძის ქალის ლექსის გვერდით
დაუესტამბავს. აი, ისიც:

„პასუხი ხასან- ბეგი თავდგირიძისაგან“

ქალო შენ გაქებს ყოველი ადამიანის ენები,
ზიხარ გონივრად გაზრდილი, ადვილად არ იხსენები,
თვალ-წარბზე ია ჩამოგდევეს, ლოყაზე ვარდის ფერები,
ღვთის მადლმა გულით მიყვარხარ, პირში არ მოგეფერები!“ [6. 2].

ეს სამიჯნურო ლექსები, გარდა
იმისა, რომ სიყვარულის ნიადაგზეა
აგებული, ბრწყინვალე მაგალითია
იმისა, თუ ოსმალეთის ტყვეობის პი-
რობებში აჭარაში როგორ სათუთად
იყო შემონახული დედა-ენა ქართუ-
ლი. ჩანს ყოველივე ეს შეუმჩნეველი
არ დარჩენია ისეთ მგზნებარე მამუ-
ლიშვილს, როგორიც ამ კუთხის მო-

ჭირნახულე პეტრე უმიკაშვილი იყო,
რომელიც ხაზგასმით მიუთითებდა:
„ჩვენ მკითხველებს აჭარულ ლექსებს
წავაკითხებთ და ნახავენ, რომ დღე-
ვანდლამდი სახალხო არამც თუ ლა-
პარაკი, ლექსებიც კი დარჩა“ [7. 1].

მრავლისმოქმელია „დროების“
იმავე ნომერში დაბეჭდილი ლექსი:

**„ქობულეთელი ასლან მესხიძის მიერ თავის მეზობლებზედ
გამოთქმული სამტყვევოში, 1869 წ.“**

გენაცვალეთ, მეზობლებო, თქვენდა ნაცვლად ჩვენ წავედით,
თითო საწყალი ძმები გვყავს, თქვენთვინ ჩაგვიბარებია,
ხასან აღას მივენდევით, მივებხვიეთ ორნიც ხელზე;
გვიღალატეს და დაგვკარგეს, გაგვაგზავნეს შუაგულ ზღვაზე.

ხუთშაბათს სიზმარი ვნახე, შემაჯდინეს ვითომ ცხენზე,
პარასკევი რომ გათენდა, შეგვიყვანეს ხვანთქრის გემზე!
რაც ქალაქში კაცი იყო, ასეირეს ყველა ჩვენზე.
დვინახეთ სასამართლო, რას იკიდებთ ყილიფს წელზე?

ბათუმში რომ ჩაგვიყვანეს, ფაშამ წამოგვიდგა ფეხზე,
რაც კი იყვნენ იქ კაცები, დაგვიყენეს ყველა წკაპზე;
ოც-და-ათი ვაჭი კაცი მუთი-აღას მიგვცეს ხელზე
შეგვიყვანეს სამტყვევოში, დაგვაჭედეს რკინა ფეხზე.

უდაბნოში შეგვიყვანეს, ვეღარც დადგა კაცი ფელზე
სტამბოლს გზავნას გვიპირებენ და საგმალი გვინდა ზურგზე...
კაცის გული კერპი არის, ნეტამც ვიყოთ ჩვენს ადგილზე!
ღმერთო იგი მოგვასწარი ვლოცვილობდეთ ჩვენს ჯამეზე

ალი-ეფენდ ხოჯათ იყოს, მუხურს(ბეჭედი-ა.დ.) დაკრავს ტყუილ საქმეზე.
მან სიცრუე იკადრა და ხარობს მტერი კიდევ ჩვენზე.
ჩვენო დედაც და მოყვარევ, ჩვენ ბრალდება არ გვაქვს თქვენზე,
იშალა, გემსახურებით, თუ შევიძრეთ რკინა ფეხზე!“ [6. 2].

აღნიშნული ლექსი ფაქტობრივად ისტორიულ სინამდვილეს ასახავს. იგი ქობულეთში 1875-1876 წლების „ოლქობას“, აჯანყებას ეხება და ოსმალეთის ხელისუფლების მიერ აჯანყებულების დაპატიმრებას და მათდამი მკაცრ რეპრესიებს ასახავს, როცა აჯანყების ათასამდე მონაწილე დაიჭირეს [3. 140]. ამასთან მელექსეს, აჯანყების მონაწილეებს სწამთ, რომ დაბრუნდებიან სამშობლოში და ემსახურებიან სამშობლოს, „თუ შეიძრეს რკინა ფეხზე“ [8. 14].

როგორც ზემოთ მოყვანილი ლექსებიდან ჩანს ისინი ქობულეთელ

ხალხურ მელექსეთა მიერ არის შექმნილი. ამიტომაც გაზეთ „დროებაშიც“ მათ საერთო სათაურად „ქობულეთური ლექსები“ აწერია, რომლებიც სხვადასხვა დროსაა დაწერილი. მათგან პირველის თარიღი უცნობია, რადგან მის გამლექსავს არ მიუწერია, მაგრამ უდაოა, რომ იგი ქობულეთში 1875-1876 წლების მღელვარების დროს ან მის შემდგომ ახლო პერიოდში უნდა იყოს გალექსილი, მეორე და მესამე ლექსები, რომლებიც სიყვარულის მოტივზეა აგებული, როგორც ირკვევა 1850 წელს არის შექმნილი, ხოლო ბოლო ლექსი – 1869

წელს. ყველა ლექსი გრიგოლ გური-
ელს შეუკრებია და მასვე გადაუცია
გაზეთ „დროების“ რედაქციისათვის,
რომელსაც აჭარული ზეპირსიტყვიე-
რების ეს ოთხივე უნიკალური ნი-
მუში გაზეთ „დროების“ ერთ ნომერ-
ში („დროება“ #30, 8 თებერვალი, 1879
წ.) გამოუქვეყნებია და იქვე გაზეთის
პირველ გვერდზე რედაქციას ასეთი
შენიშვნა _ მინაწერი გაუკეთებია: „ეს
ლექსები მივიღეთ ჩვენ თ, გრ. გურიე-
ლისაგან. ბევრიც სხვა მოგვივიდა

ქობულეთში და გურიაში შეკრებილი
ლექსები: მაგრამ მომეტებული ნაწი-
ლი ამათგანი სულ სასიყვარულო
ლექსებია“.

მოგვიანებით 1883 წელს გრ. გუ-
რიელს გაზეთ „დროებისათვის“ ამ-
ჯერად გურიაში მოძიებული თავად
გიორგი თავდგირიძისაგან ლექსად
ნათქვამი „ზმები“ გადაუცია, რომე-
ლიც რედაქციას დაუბეჭდავ კიდევ.
ჩვენც სრულად მოგვაქვს იგი.

**„ზმები საყველიერო საჭამადებზე თ. გიორგი
თავდგირიძისაგან (გურიაში) ნათქვამი ლექსად**

...მარტო ბიჭი მიდიოდა,
საარაკო ბრიყვად ვნახე,
მოექაშა პილწი ღომი,
მისი გემო ვერა ვნახე!
ასალო ქობულეთს დავტოვე,
მთაზედ თავი შევინახე?
ღორჯომიდან მომავალმა
ახალციხე დავინახე.

ზურგი ელიზბარს მივანდვე
ერდოში ჩამიყვანაო
გაუბეყველი დაურჩი
იმანვე მოინანაო!
შენ მიერ ბოლოს დახსნამა
ტრაპიზონს ჩამიყვანაო
საზღვარზედ პალო უსვია,
მერმე გზა მქონდა სანავო.

ულვაშის ბოლო წითელი
კარგად მაქვს შეღებულია
ფაფარ გაკნაჭულს ცხენს ვზივარ
ვაგლახათ შეკაზმულია!
ორ კაპუტი ქორი მყავს,
ხოხობზე გამართულია
შვილდი, კაპარჭი ნამვის მაქვს
ისარი მომართულია.

ბარკალმა ხიდზე მისუსტა
მალა ვიძახი შევლასა
თავადო რა გულისა ხარ
ახლავე გეტყვი ყველასა“ [9. 3-4].

გრიგოლ გურიელს გიორგი თავ-
დგირიძის ლექსად ნათქვამები სხვე-
ბიც შეუკრებია და ქართველთა შო-
რის წერა-კითხვის გამავრცელებელი
საზოგადოებისათვის შეუწირავს, რო-
მელიც დღეს ხელნაწერთა ეროვნულ
ცენტრში ინახება [10. 5].

გრ. გურიელს ექვთიმე თაყაიშვი-
ლისთვის გაუგზავნია ვახტანგ გური-
ელის (მე გურულის გიორგი მეხუ-
თისა _ ა.დ.) ერთი ლექსი, რომელიც
ვახტანგს უთქვამს დიდმარხვაში.
ექვთიმეს იგი გაზეთ „ივერიაში“ გა-
მოუქვეყნებია. მასში ვახტანგი მსმე-
ნელს აფროთხილებს:

„მოდვარსა მსწრაფ აღუარე, ცოდვასა ნუ დაფარაო,
აღსარებითა ცოდვანი და ითქმის ვითა ფარაო,
ვინ ყური შექმნა, მან ქმნილი სად არ ისმინოს, არაო,
და თვალთა შემქმნელთა თვალთაგან ქმნილი ვით დაეფარაო“ [11. 2].

ამგვარად, გრიგოლ გურიელმა ქართულ ზეპირსიტყვიერებას დიდი
ზემოთ აღნიშნული ლექსების მოძიე- ამაგი დასდო.
ბა-შენახვით და მათი გამოქვეყნებით

AVTANDIL DIASAMIDZE

THE FOLKLORIST GRIGOL GURIELI

Summary

The scribes and the Georgian Antiquities Grigol Gurieli supporter (1819-1891) and the appropriate attention folkloric example he was a gathering of folk materials.

The especially labor accusing Grigol of still under Ottoman domination in - finding patterns in Georgian folklore - to save the job. This is found in many poems he published of edition "Droeba" pass, of which four verses on February 8, 1879 "Times" - is printed. Among those that occurred in the years 1875-1876 "Olkoba" - anxiety related to the Kobuleti Hussein Mzhavanadze poem "Olkoba mentioned from Hussein Mzhavanadze ". The "Droeba" printed on the same in number collected poems by Grigol Gurieli "The women of Kobuleti Zoidze from Khasan - Beg with Tavdgiridze registered in 1850," and "Answer of Khasan - Beg from Tavdgiridze", "Reside in Kobuleti Aslan Meskhidze expressed by its neighbour be in captivity in 1869 sec."

The collected poems published in later videos uploaded in Guria: February 25, 1883 in the newspaper "Droeba" - In "Madame George Tavdgiridze brethren verse says," and on the 28th of April 1891, "Tbilisi" - The Vakhtang Gurieli impress verse.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსულმან ქართველთ საქართველოსი, ბათუმი, 1991 წ.
2. ზ. ჭიჭინაძე, მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913 წ.
3. ა. დიასამიძე, ქართველ მაჰმადიანთა ანტიოსმალური გამოსვლები და დედა-საქართველოსთან დაბრუნების ლტოლვა XIX საუკუნის 70-იან წლებში, სტუ-ს საზოგადოებრივი მეცნიერებათა დეპარტამენტის სამეცნიერო ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, # 25, თბ., 2012 წ.
4. აბ. სურგულაძე, განმანთავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან აჭარაში, ბათუმი, 1978 წ.
5. გაზ. „დროება“, # 21, 1876 წ;
6. გაზ. „დროება“, # 30, 8 თებერვალი, 1879 წ.
7. პ. უმიკაშვილი, ოსმალს საქართველო, გაზ. „ივერია“, # 8,21 აპრილი, 1877 წ.
8. ა. ახვლედიანი, აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, ბათუმი, 1970 წ.
9. გაზ. „დროება“, # 42, 25 თებერვალი, 1883 წ.
10. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი-S, # 1702;
11. გაზ. ივერია“, # 89, 28 აპრილი, 1891 წ.





al eqsandre mRebriSvil i

ქართულ-ოსური ურთიერთობები XX საუკუნის პირველ ათწლეულებში

როგორც ცნობილია, ოსური მოსახლეობის მასობრივი ჩამოსახლება შიდა ქართლის ტერიტორიაზე XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან აქტიურ ფაზაში შედის. „XVIII საუკუნის დასასრულს და XIX საუკუნის დასაწყისში ოსები იკავებენ პატარა ლიახვის ხეობის მთისწინეთის მნიშვნელოვან მონაკვეთს. ამ პერიოდიდან და განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველ ათეულ წელს ხდება ოსთა გაყონვითი ანუ ინდივიდუალური განთესვა შიდა ქართლის მთიანეთიდან შიდა ქართლის მთისწინეთისა და ბარის სოფლებში. ამ დროისთვის ოსთა ასეთი განსახლება განსაკუთრებით განხორციელდა პატარა ლიახვის ხეობის მთიანი მონაკვეთიდან“ [1].

ზემოთ თქმულის დასტურად არაერთი ქართულენოვანი წყაროს დასახელება შეიძლება. XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრებში ცხინვალის რეგიონში მოსახლე ოსების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ჯერ კიდევ ხიზნებადაა ჩაწერილი. ჩვენს ნათქვამს ამყარებს XIX საუკუნის ზოგიერთი რუსული წყაროც. კერძოდ, ი. ლანგენის „კავკასიის აღწერაში“, რომელიც საუკუნის დასაწყისში სანკტ-პეტერბურგში დაიბეჭდა, საუბარი ეხება რუსი მოგზაურის

არსენ სუხანოვის საქართველოში მოგზაურობის ფაქტს 1653 წელს და თვით ი. ლანგენის მიერ (1805 წლის) მოტანილ ცნობებს ადგილზე არსებული მოსახლეობის შესახებ. დასახელებული ცნობის მიხედვით ამ პერიოდში საქართველოში (ქართლში) მოსახლეთა შორის ქართველების გვერდით მოიხსენებიან მხოლოდ: სომხები, თათრები, ბერძნები და ებრაელები [2].

საქართველოში ცხოვრების მთელი პერიოდის მანძილზე ოს ხალხს ყოველთვის ჰქონდა საშუალება ეზრუნა და გაეღრმავებინა კულტურული ტრადიციები, მიეღო სრულფასოვანი განათლება და შეექმნა საკუთარი ღირსეული უახლესი ისტორია. ქართული სახელმწიფო ყოველთვის ზრუნავდა მის ჭერქვეშ მცხოვრებ ოსებთან ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავების მიზნით ნოყიერი ნიადაგის შეექმნა, სახავდა ახალ გზებს მათი განვითარების ახალ საფეხურზე გადასანაცვლებლად და სხვ. ასეთი მზრუნველობის მაგალითების მოძიება ძნელი არ არის საქართველოს არც ძველ და არც ახალ ისტორიაში, ხოლო განსაკუთრებით იგი საგრძნობი ხდება XVIII-XIX საუკუნეების მიჯნებიდან.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველი წლების რუსული წერილობითი წყაროები მიუთითებენ ქართველთა როლზე ოსთა შორის ქრისტიანობის გავრცელების ხელშეწყობის საქმეში.

"Проповедники к ним посылаются из нарочно определенных к тому духовных, а найпаче Грузинских, и их уже несколько крещено..." [3]

აღნიშნული წყაროს მიხედვით, მოცემული ეტაპისთვის ქართველ სასულიერო პირთა მიერ მონათლული ოსების რაოდენობა სამი ათასს შეადგენდა.

ასე გრძელდებოდა მომდევნო ათწლეულების მანძილზე და არა მარტო რელიგიური მიმართულებით, ვიდრე კავკასიონის მთებიდან ჩამოვაკებული ოსი მეზობლები ქართულ მიწაზე წელს მოიმაგრებდნენ და კეთილ მასპინძელთა მიმართ რიგ ავაზაკურ ზრახვებს ჩაიდებდნენ გულში.

სამხრეთ ოსეთის ოლქის სტატუსის შემსწავლელი კომისიის დასკვნის მიხედვით: „თებერვლის, მერე კი ოქტომბრის რევოლუციების შემდეგ შიდა ქართლში მცხოვრებ ოსებს შორის დაიწყო მოძრაობა ეროვნულ-კულტურული თვითგამორკვევისათვის საქართველოს სახელმწიფოებრიობის ფარგლებში.

მალე, ბოლშევიკების გავლენით, ეს მოძრაობა სეპარატისტულში გადაიზარდა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არასტაბილურობის ერთ-ერთი კერა გახდა. გაჩნდა და გაღვივება იწყო ეროვნულმა შუღლმა ქართველთა და ოსთა შორის“ [4].

საქართველოში დასახლებულ ოსთა ბრძოლამ ქართველი ხალხის

წინააღმდეგ განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი მიიღო გასული საუკუნის პირველ ათწლეულებში.

„როდესაც საქართველოს მიწა-წყალზე, ქართველი ხალხის წინააღმდეგ ამხედრებს ჩვენში სამადლოდ შემოსახლებულ ოსებს მათი ინტელიგენციის ერთი ნაწილი, ეს არამც თუ უმადურობაა, არამედ დიდი უსამართლობაც, რომელიც დაიწყო ოცი-ოცდაათი წლის წინათ. ინიციატორებად შეიქმნენ ჯერ რუსის მოხელეები, ცნობილი ვოსტორგოვის მეთაურობით და მეორე ოსის ნასწავლი ახალგაზრდობა, რომელიც გამოიზარდა რუსის სკოლებში, როგორც რუსეთის სტიპენდიანტები. ვოსტორგოვმა და ამ ახალგაზრდებმა მოწამლეს საქართველოს ოსების მასა და ეს შხამი არ გადაერეცხებათ გულიდან იქამდე, ვიდრე თავისუფალი საქართველო არ ალაგმავს ხალხის მტრებს და არ დაანახვებს საქართველოს ოსებს მათ შეცდომებს. ჯერ სად იყო რევოლუცია, როდესაც საქართველოს ოსების ინტელიგენციამ მთელი გეგმა შეადგინა რუსეთის პოლიტიკითა და ასი წლის მონობით დაბეჩავებული ქართველი ხალხის დაჩაგვრა-დაპყრობისა“ [5].

საბედნიეროდ, ოს ხალხში ყოველთვის იყო პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი, რომელსაც გაცნობიერებული ჰქონდა არსებული რეალობა და საკუთარი მართებული პოზიციის გამოხატვასაც არ ერიდებოდა. „მე ვფიქრობ ისინი, ვინც ოსების დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობენ, მათ ან არაფერი გაეგებათ ქვეყნიერების ავ-კარგისა ან და განგებ სურთ შეატაკონ ქართველი და ოსის დემოკრატია ერთმანეთს და დალუპონ ის, რაც მოიპოვა ხალხმა“ –

წერდა გაზეთ „ერთობაში“ ოსი ეროვნების მოქალაქე ა. ფარნიევი [6].

მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ტიპის გამოსვლები პროგრესულ ხასიათს ატარებდა ისინი საკმარისი არ იყო სეპარატისტულად განწყობილი დაჯგუფებების გასანეიტრალებლად. არაერთგზის ადგილი ჰქონდა ოსთა შეიარაღებული რაზმების დამარბეველ ლაშქრობებს, ყაჩაღობებს, რაც მიზნად ისახავდა ქვეყნის თავდაცვითუნარიანობის შესუსტებას, ეკონომიკის გაჩანაგებას, მატერიალური კულტურის ძეგლების ნგრევას, მოსახლეობის დაშინებას და აკლებას.

„ეს მეოთხეჯერაა, რაც ოსები მოღალატურად აუჯანყდნენ საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას. მათი აჯანყება ყოველთვის მაშინ ხდებოდა, როცა საქართველოს უდიდესი გასაჭირი მიაღებოდა კარზე. აი, ასეთ გასაჭირს დროს ოსები საქართველოს დემოკრატის ყოველთვის ზურგში დანის ჩაცემას დაუპირებდნენ. როცა დენიკინი ფლობდა ჩრდილოეთ კავკასიას, ისინი დენიკინის ურდოებისაგან ლოცვა-კურთხევით შემოესეოდნენ ცხინვალს, როცა ბოლშევიკები ცვლიდნენ დენიკინს, მაშინ ბოლშევიკებთან ერთად მიჰყოფდნენ ხელს მარცვა-გლეჯას. ნასტრაჟიკალი და ნაპრისტავალი ოსები ყოველნაირად ცდილობდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დანგრევას. მაგრამ საქართველოს არათუ ოსებმა, უფრო ძლიერმა მტრებმა ვერაფერი დააკლეს. აღსანიშნავია, რომ საქართველომ ოსებს მათი მუხანათური ღალატი სამჯერ აპატია. როცა ძალას დაინახავდნენ, მოიკატუნებდნენ თავს: შევცდით, გვაპატიეთო და საქართველოს დემოკრატიული მთავრობაც

სულგრძელურად აპატიებდა მათ. მაგრამ ბოლო არ მოელო ოსების მუხანათობას. როცა საქართველოს ჯარები აზერბაიჯანიდან მოზღვავებულ ბოლშევიკების დივიზიებს ებრძოდნენ, ოსებმა კვლავინდებურად ზურგში დანა ჩასცეს საქართველოს დემოკრატის. საქართველოს ჯარებიც მობრუნდნენ ოსეთისაკენ და ისეთი დღე დააყენეს ნასტრაჟიკალ და ნაპრისტავალ ოსებს მათი მუხანათობისათვის, რომ არასოდეს დაავიწყდებათ შედეგი მათი ვერაგობისა“ [7].

მიუხედავად ოსთა მიერ არაერთგზის განხორციელებული მარბიელი თავდასხმებისა ქართული სახელმწიფო უკანასკნელ წუთამდე ცდილობდა გადამჭრელი ზომებისაგან თავის შეკავებას. ამ გარემოებას არაერთგზის ადასტურებს იმდროინდელი ქართული პერიოდული პრესა.

„ცხინვალიდან გუშინ დაბრუნდა რაზმი, რომელიც ოსთა აჯანყების ჩასაქრობად იყო გაგზავნილი. ჩვენ რაზმს მთების დაჭერის შემდეგ შესამდლებლობა ჰქონია ძირს შეფენილი სოფლების განადგურებისა, მაგრამ არცერთი სოფელი არ დაუზარალებიათ“ [8].

საგულისხმოა, რომ ქართული მხარე თუ ერთი მხრივ თავს იკავებდა კრიტიკული ზომების მიღებისაგან, მეორე მხრივ გამოსთქვამდა მოსაზრებას ოსთა მიმართ გარკვეული სანქციების დაწესების აუცილებლობის შესახებ.

„ოსებს შეუძლიათ მუშაობა და მათი ეკონომიური უნარი გამოსაყენებელია სახელმწიფოსათვის, მაგრამ პოლიტიკური უპირატესობანი ჩვენს ხალხზედ რაც ეძლეოდათ რუსებისა

და ჩვენი მთავრობისაგან – ყოვლად დაუშვებელია“ [9].

საქართველოში მოსახლე ოსთა სეპარატისტული განწყობილებანი XIX საუკუნის მიწურულის პირმშო და რუსული ხელისუფლების მიზანმიმართული და მზაკვრული პოლიტიკის შედეგი გახლდათ. სეპარატისტულ განწყობილებათა გარდა, საქართველოს ისტორია ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ნათელ ფურცლებსაც იწაბვს.

1810-1811 წლების ანტირუსული აჯანყება, დამარცხების მიუხედავად, ნათლად აჩვენებს საქართველოს მკვიდრი ოსების, ქართული სამეფო სახლის და ქართული სახელმწიფოს ურთიერთპატივისცემისა და ნდობის მაგალითებს. აღნიშნული აჯანყების დამარცხებით რუსეთმა კავკასიაში გავლენა განიმტკიცა. ამავე პერიოდში ქართლის ჩრდილოეთით მცხოვრებ ოსთა დასამორჩილებლად რამდენიმე დამსჯელი ექსპედიციაც მოეწყო.

ზოგადად, კავკასიაში რუსეთის გავლენის დამკვიდრება ურთულესი წინააღმდეგობების დამლევის გზით გახლდათ ნასაზრდოები.

„Не много я виделъ изъ Кавказа, но и это не многое заставило меня убедиться въ ложности иноземныхъ повествователей о Кавказе и въ легкомыслии нашихъ доморожденныхъ рассказчиковъ и многосведущихъ политиковъ. Разверните карту Кавказа, о вы, строгіе критики чужихъ походовъ, и убедитесь какою широкою и крепкою стеною протянулись горы отъ Чернаго къ Каспійскому морю. Эти возвышенныя плоскости, отделенныя страшными безднами, въ каменистомъ зеве

которыхъ бушуютъ горныя потоки, даютъ неприступный пріютъ дикому обителю и готовую пищу его стаду, а въ непроходныхъ лесахъ ихъ царствуетъ вечная ночь. Въ мрачныхъ дефілеяхъ горъ всякая армія безсильна, на голыхъ и крутыхъ скалахъ кавалерія бесполезна, черезъ быстрые потоки и темныя леса не пройдетъ артиллерія. Здѣсь надобно выдерживать битву съ природой, а потомъ сражаться съ врагомъ: горы, леса, овраги, скалы, реки, дефілеи - вотъ какія удобства представляетъ здѣшняя природа для войны. Каждый кустъ, каждый камень, каждое возвышеніе грозитъ здѣсь смертью“ [10].

მსგავსი ტიპის წინააღმდეგობათა მრავლად არსებობის მიუხედავად, ი. ბერეზინის აზრით, რუსეთის აქტიურობა კავკასიაში გაპირობებული იყო მხარეში მშვიდობიანობისა და სიმშვიდის დამყარების სურვილით.

მოხმობილი წყარო 1850 წლით თარიღდება, როდესაც საქართველო რუსეთის გუბერნიას წარმოადგენს და ავტორიც კავკასიაში რუსული ხელისუფლების კეთილისმყოფელი გავლენის შედეგად საქართველოს მაგალითს ასახელებს.

„Благодетельное вліяніе русскаго владычества на Кавказе прославляютъ все обитатели, признающіе русскую власть: какаѣ неизмеримая разница между Грузіей прошедшаго времени, Грузіей, раздираемой ненавистью Турціи и Персіи, собственными смутами, и опустошеніями Горцевъ, и Грузіей настоящаго времени, блаженствующей въ мирномъ ложе общей матеріи!“ [11].

ამრიგად, საქართველოს ხელისუფალთა მიერ ოსთა მიმართებაში არა-

ერთგზის გატარებული სასიკეთო ღონისძიებების მიუხედავად, საქართველოში მცხოვრები ოსი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მხრიდან 1918-1920 წლებში ადგილი ჰქონდა საბჭოთა რუსეთის მიერ შეკვეთილი და დაფინანსებული ოთხგზის აჯანყების ფაქტებს.

ოსთა მხრიდან ქართული სახელმწიფოს დაუძღვრების მცდელობებმა განაპირობა საქართველოს მთავრობის მიერ ოსთა მიმართებაში გატარებული პოლიტიკა, რაც ოსური საფრთხის ნეიტრალიზებას, საბჭოთა რუსეთიდან მოსალოდნელი საფრთხის აცილებას და ქვეყნის შემდგომ

მი უსაფრთხოების გარკვეული გარანტიების შექმნას ისახავდა მიზნად.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული რადიკალური ნაბიჯები ოსური მოსახლეობის მხოლოდ იმ ნაწილს შეეხო, რომელიც ზემოთ ხსენებული აჯანყებების აქტიური მონაწილე, ხელის შემწყობი გახლდათ და ამ ღონისძიებათა საქართველოში მოსახლე მთელი ოსი ეროვნების ადამიანების წინააღმდეგ მიმართულ აქტად წარმოდგენა, სინამდვილის მრუდე სარკეში აღქმის უსუსურ მცდელობას და რეალური ფაქტების უხეშ ხელყოფას წარმოადგენს.

ALEXANDRE MGBRISHVILI

Summary

During the whole period of living in Georgia, the Ossetian people has always had the opportunity to care for and strengthen cultural traditions, get a comprehensive education and create its own worthy recent history. The Georgian state's primary concern has always been the subject of creating fertile soil for strengthening literary-cultural relations with the Ossetian people (living under its roof) and setting new ways to move to a new stage of their development, etc. Such examples of care are not difficult to find neither in the old and nor in the new history, and it is particularly felt on the edge of the XVIII-XIX centuries.

Unfortunately, one of the facts, when the Ossetians' fight against the Georgians acquired a particularly strong character, took place in the first decades of the last century.

Despite repeated raiding attacks by Ossetian people, the Georgian state kept trying to avoid taking decisive measures till the last moment.

Despite all the positive actions taken by the Georgian authorities, a certain part of Ossetian people living in Georgia rose in rebellion four times in the years of 1918-1920. The rebellions were commissioned and funded by the Soviet Union.

The Ossetians' efforts to weaken the Georgian state conditioned the Georgian government's policy which aimed at neutralizing the South Ossetian threat, preventing the possible threat from Russia and creating certain guarantees for further security of the country.

It should be noted that radical steps taken by the Georgian government affected only that part of the Ossetian population who had been the active participants of the above-mentioned rebellions. Representing those on-going events in Georgian as an act against the entire Ossetian population can be regarded as only a feeble attempt to look into the distorting mirror of reality and a gross violation of real facts.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი 1997, გვ. 219;
2. Я. Ланген, Описание Кавказа с кратким историческим и статистическим описанием Грузии (перевод с Французскаго), Санкт-Петербург 1805, с. 53;
3. Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии, Санкт-Петербург 1802, с. 99;
4. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან (სამხრეთ ოსეთის ოლქის სტატუსის შემსწავლელი კომისიის დასკვნა), თბილისი 1991, გვ. 137;
5. სიტყვა წარმოთქმული გრ. ვეშაპელის მიერ (ი. ეკალაძის პუბლიკაციის მიხედვით) საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 23 ივლისის სხდომაზე.
6. ა. ფარნიევი, ოსები საქართველოში, გაზ. "ერთობა", 1918, 11/VI, №119;
7. გაზ. "სამუსლიმანო საქართველო", 1920, 26/ VI;
8. გაზ. "საქართველო", 1918, 31/III;
9. გაზ. "კლდე", 1920, 14/ VI, №26;
10. И. Березин, Путешествие по Дагестану и Закавказью, Казань 1850, с. 92;
11. И. Березин, Путешествие по Дагестану и Закавказью, Казань 1850, с. 98.





nugzar (zaza) iaSvil i

საჭიროა თუ არა ფსევდონიმი?

ყველამ იცის, რომ ვაჟა-ფშაველას ნამდვილი სახელი და გვარია ლუკა რაზიკაშვილი, რომ ბანოვანი – მწერალი ქალის დესპინე გელოვანის ფსევდონიმია. ასევე ფსევდონიმებით არიან ცნობილი კონდრატე თათარაშვილი (უიარაღო), შიო დედაბრძოვილი (შიო არაგვისპირელი), დომინიკა ერისთავი (განდებილი), შიო ქუჩუკაშვილი (შიო მღვიმელი) და სხვა მრავალი. მაგრამ ყველასთვის როდია ცნობილი, რომ მთელი რიგი გამოჩენილი პიროვნებები სხვადასხვა შემთხვევებში სარგებლობდნენ ფსევდონიმებით. ნაკლებად არის ცნობილი, რომ ზოგჯერ თავიანთ ნაწარმოებებს ფსევდონიმებით აქვეყნებდნენ რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი, პაოლო იაშვილი, ნოდარ დუმბაძე, ნიკო ნიკოლაძე და ბევრი სხვა. ლუკა რაზიკაშვილს გამოქვეყნებული აქვს მთელი რიგი წერილები, პოემები და ლექსები, რომლებიც ხელმოწერილია არა თავისი ძირითადი ფსევდონიმით – ვაჟა-ფშაველა, არამედ სხვა ფსევდონიმებით: გოგოჭური, ვაჟკაცი, ველაფშა, იქაური, კათაკმეველი და სხვა.

დიდი ილიაც ხშირად მიმართავდა ფსევდონიმებს. მხოლოდ დაინტერესებულმა მკითხველმა იცის, რომ მისი „გლახის ნაამბობი“ და „კაცია-ადამიანი?!“ ფსევდონიმით

„მ. ჯიმშერიძე“ გამოქვეყნდა. გარდა ამისა ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა რამდენიმე სხვა ფსევდონიმაც კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილებისათვის: ახალმოსული, ჯიბრაელი, ივერიელი, ზუმბერიძე, მისი რამდენიმე ლექსი კი „ლარიძე“-სა და „ფირუზა“-ს ფსევდონიმებით გამოქვეყნდა.

ფსევდონიმებით არიან ცნობილი მთელი რიგი უცხოელი პოეტები, მწერლები, მომღერლები, თეატრისა და კინოს მსახიობები და მათ მიერ ფსევდონიმების გამოყენებისას უმრავლეს შემთხვევაში დავიწყებას ეძლეოდა ნამდვილი სახელი და გვარი. ასე მაგალითად ფსევდონიმებით გახდნენ საყოველთაოდ ცნობილი ჯეკ ლონდონი (ნამდვილი სახელი და გვარი – ჯონ გრიფიტი), სტენდალი (ანრი მარი ბელი), ელ-გრეკო (დომენიკო თეოტოკუპულო), მოლიერი (ჟან ბატისტა ჰოკლენი), ჟორჟ სანდი (ავრორა დიუპენი), მერი ჰიკფორდი (გლედის მერი სმიტი) და სხვები.

ბევრ ჩვენგანს წაუკითხავს ლუის კეროლის ცნობილი საბავშვო მოთხრობა „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ასეთი პიროვნება სინამდვილეში არ არსებობდა და რომ ლუის კეროლი ფსევდონიმია. საინტერესოა ამ ფსევდონიმის შექმნის ისტორია.



ლუკა რაზიკაშვილი – ვაჟა-ფშაველა

ინგლისში, ოქსფორდის ერთ-ერთი კოლეჯის (კრისტჩერჩი) მათემატიკის მასწავლებელი **ჩარლზ ლუტვიჯ დოჯსონი** მეტად პროზაული, არაფრით გამორჩეულ ცხოვრებას ეწეოდა: კითხულობდა ლექციებს და ატარებდა მეცადინეობებს. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს ადამიანი სადამოობით და ღამ-ღამობით საწერ მაგიდასთან მიმჯდარი ქმნიდა მეტად გონებამახვილურ და საინტერესო ამბებს ალისას შესახებ. ყოველივე ამას ის ფსევდონიმით აქვეყნებდა, ხოლო თვით ფსევდონიმი ასე შექმნა: ჩარლზ ლუტვიჯ დოჯსონმა თავისი სახელი ჩარლზი თარგმნა ლათინურად და მიიღო „კაროლუს“. ასევე ლათინურად გადააკეთა თავისი მეორე სახელი „ლუტვიჯ“ – ლუდოვიკუსი. გადაადგილა სახელები და მიიღო – „ლუდოვიკუს კაროლუსი“. შემდეგ მან ეს ორი სახელი კვლავ ინგლისურად თარგმნა და ასე მიიღო თავისი ფსევდონიმი ლუის კეროლი. თავის

სერიოზულ მათემატიკურ ნაშრომებს იგი ნამდვილი გვარით (ჩ. ლ. დოჯსონი) აქვეყნებდა, ხოლო საბავშვო ნაწარმოებებს ფსევდონიმით და სწორედ ფსევდონიმით გახდა ის საქვეყნოდ ცნობილი.

რუსეთის იმპერატორი ეკატერინე მეორე ხშირად აქვეყნებდა ლიტერატურულ ნაწარმოებებს და სხვა მრავალ ფსევდონიმთან ერთად ერთ ფსევდონიმად მან გამოიყენა მამაკაცის სახელი და გვარი: პეტრე უგადაევი.

ინდოელი მსახიობი ქალი ფატიმა რაშიდი მთელ მსოფლიოში ცნობილია როგორც კინოვარსკვლავი ნარგისი. ცნობილი ფრანგი პოეტის გიომ აპოლინერის ნამდვილი გვარი იყო კოსტროვიცკი. შარლ ედუარდ ჟანერე სახელგანთქმული არქიტექტორის ლე კორბუზიეს ნამდვილი სახელი და გვარია.

ფსევდონიმებით სარგებლობდნენ პოეტები და მწერლები ანდრე ბელი, ანა ახმატოვა, მაქსიმ გორკი,

ანდრე მორუა, პაბლო ნერუდა, ლესია უკრაინკა, ო'ჰენრი, ვოლტერი, შოლომ ალეიხემი. მსახიობები ჟან გაბენი, მარიო ლანცა, მარია კალასი, ივ მონტანი, სოფი ლორენი. პოლიტიკური მოღვაწეები ადოლფ ჰიტლერი და ვილი ბრანტი. ფეხბურთის მეფედ აღიარებული ბრაზილიელი პელეს სრული სახელი და გვარია ედსონ არანტეს დე ნასიმენტო, დიდ ფრანგ მწერალს ბალზაკს გამოქვეყნებული აქვს ნაწარმოებები ალფრედ კუდრეს და ეჟენ მორისოს ფსევდონიმებით.

თვით სიტყვა ფსევდონიმი ბერძნული წარმოშობისაა და ორი ნაწილისგან შედგება: Pseudo – ნიშნავს ცრუს, გამოგონილს, ყალბს და ონიმა – კი სახელს. ე.ი ფსევდონიმი არის გამოგონილი, ცრუ, პირობითი სახელი, რომელსაც იყენებენ მწერლები და პოეტები, მხატვრები და მსახიობები, სახელმწიფო და პო-

ლიტიკური მოღვაწეები, ჟურნალისტები. ფსევდონიმი ცვლის პიროვნების ნამდვილ სახელსა და გვარს, ხშირ შემთხვევაში კი მთლიანად დევნის ავტორის ნამდვილ სახელს (ფრანსი, სტენდალი, გორკი, ვაჟა-ფშაველა, უიარაღო, ტერენტი გრანელი და მრავალი სხვა).

არსებობენ გამოჩენილი პიროვნებები, რომლებიც არ სჯერდებოდნენ ერთ ფსევდონიმს. ხშირ შემთხვევაში ეს იყო არა ერთი, ორი ან სამი ფსევდონიმი, არამედ რამდენიმე ათეული. ამ მხრივ გამოირჩეოდა ფრანგი ფილოსოფოსი და განმანათლებელი ვოლტერი, მას 160-ზე მეტი ფსევდონიმი ჰქონდა. „გულივერის მოგზაურობის“ ავტორი ჯ. სვიფტი 70-მდე ფსევდონიმი სარგებლობდა. ანრი ბეილს კი სტენდალის გარდა სხვა 200-მდე ფსევდონიმი უხმარია.



ილია ჭავჭავაძე

ცნობილ ქართველ მწერალს მიხეილ ჯავახიშვილს ოცდაათამდე ფსევდონიმით აქვს გამოქვეყნებული თავისი მხატვრული ნაწარმოებები თუ პუბლიცისტური წერილები. ქართლელი გლეხი, ბორჩალოელი, მადლი, მ. ად-ლი, მონა, თავისუფალი მონა, ფხა, ახალი ფხა სწორედ მიხეილ ჯავახიშვილის სხვადასხვა დროს გამოყენებული ფსევდონიმებია. თვით მიხეილ ჯავახიშვილიც ფსევდონიმია და ამ მწერლის ნამდვილი სახელი და გვარი მიხეილ ადამაშვილი იყო.

ფსევდონიმების სიმრავლით ქართულ მწერლობასა და ჟურნალისტიკაში გამოირჩეოდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს გამომცემელ-რედაქტორი იოსებ იმედაშვილი. იგი ხან რომელიმე ხელობის ან პროფესიის აღმნიშვნელ სიტყვას ირჩევდა ფსევდონიმად (მოგზაური, ტექნიკოსი, მწიგნობარი, მოთეატრე), ხან თავის წერილებს უცხოური ჟღერადობის ხელმოწერით აქვეყნებდა (ედმონდ კინი, ექიმი შტოკმანი, გურჯი ოღლი, უსუფ-ხანი). ხშირად იგი თავის სადაურობას მიუთითებდა (ხაშმელი, კახელი, ლაფიანხეველი). იოსებ იმედაშვილი ხშირად ხმარობდა ინიციალებს (ი., ი-ი, ი-ელი, ი.ზ. და სხვა). საერთოდ ი. იმედაშვილის ფსევდონიმებმა ასს მიაღწია.

თერგდალეულებს საერთოდ იმ თაობას უწოდებდნენ, რომლებმაც განათლება საზღვარგარეთ, ძირითადად რუსეთში მიიღეს (მდინარე თერგის გადალახვის შემდეგ). ასეთი ფსევდონიმით სარგებლობდნენ კირილე ლორთქიფანიძე, დიმიტრი ნადირაძე, სამსონ აბაშიძე და გიორგი წერეთელი.

ჯერ კიდევ 1909 წელს გაზეთი „ჩვენი აზრი“(5 მაისის ნომერში) ბეჭდავს ლ. მიხეილას ხელმოწერით მოთხრობას „წარსული აწმყოში, ანუ სურათები ჩვენი თავადაზნაურობის ცხოვრებიდან“, რომელიც სინამდვილეში მწერალ ლეონ შენგელაიას პირველი მოთხრობა იყო. შემდეგში ამ მწერალმა თავისი პირველი ფსევდონიმი შეცვალა სხვა ფსევდონიმით. დღეს იგი ქართული ლიტერატურის მოყვარულთათვის ლეო ქიაჩელის სახელით არის ცნობილი.

1920 წელს თბილისში გამომავალ რუსულენოვან ჟურნალში დაიბეჭდა ლექსი „ახლადმობილი“, რომლის ავტორად მითითებული იყო ვინმე კრეტ ხიმერსკი. ლექსი ექსპერიმენტული ხასიათისაა, რომელშიც ავტორი გვამცნობს, რომ მას ჰყავს მზარეული მონა-ლიზა, მან აუქციონზე შეიძინა ამერიკა, სიმინდის ყანაში მადონას დაუნიშნა პაემანი, მისი მტერია პრეზიდენტი რუზველტი და ა.შ. ლექსის ბოლოს პოეტი მიმართავს მკითხველს: „ხალხო, არ დაუჯეროთ ჩემს არცერთ ნათქვამს“. აღმოჩნდა, რომ ეს რუსულ ენაზე დაწერილი ლექსი პაოლო იაშვილს ეკუთვნოდა. როგორც ტიცინ ტაბიძე წერს, პაოლო იაშვილი ხშირად წერდა ლექსებს რუსულ ენაზე მაიაკოვსკის სტილში და ერთ-ერთი ლექსი სწორედ კრეტ ხიმერსკის ფსევდონიმით დაუბეჭდავს.

ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე სარგის ნესტორის ძე კაკაბაძე მხოლოდ 16 წლისა იყო, როდესაც 1902 წელს გაზეთ „ივერია“-ში (N 254) გამოაქვეყნა წერილი „ქართველთა რიცხვი ასი წლის წინ“. ეს წერილი ავტორის გვარის ნაცვლად ხელმოწერილი იყო ლათინიზებული ფსევდონიმით „Nomo Novous“.

ვაჟა-ფშაველას პირველი გამოქვეყნებული კორესპოდენცია ფსევდონიმით – „ლ. რაზ-ვი“ იყო ხელმოწერილი (რაც ლუკა რაზიკოვს ნიშნავდა). ეს იყო მისი „წერილი ხევსურეთიდან“, გაზეთი „დროება“ 1879 წ. მაშინ ვაჟა-ფშაველა 18 წლის იყო „იქნებ“ შეურაცყოფადაც კი მიმელოთ თუ ვინმე რაზიკაშვილს დამიძახებდა, ასე ძვირფასად მიმჩნედა ჩემი დაბოლოება „ოვი“-თო – აღნიშნავდა თვითონ ვაჟა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მას მეორე წერილი „ფშავის ხევიდან“, რომელიც „დროება“-ში გამოქვეყნდა ხელმოწერილია: ელ. რ-ზე. 1881 წელს ვაჟა-ფშაველამ გამოიყენა თავისი გვარის ინიციალები ქართულ ენაზე – ლ. რ-ზ-კ-ლი. ასეთი ფსევდონიმით გამოაქვეყნა მან თავისი პირველი ლექსები. ზოგჯერ ის თავის ნაწერებს ნამდვილ გვართაც აქვეყნებდა და მხოლოდ 1885 წლიდან დაიწყო მან ფსევდონიმის ვაჟა-ფშაველას გამოყენება.

დიმიტრი ცისკარიშვილი იხსენებდა, რომ როდესაც ვაჟა პეტერბურგის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად ჩაირიცხა, იგი გახდა სტუდენტთა საზოგადოების მთავარი ფიგურა, რადგან სხვა მრავალ დადებით თვისებებთან ერთად ვაჟას მკლავიც უჭრიდა და ამხანაგები მას ხშირად ეუბნებოდნენ: „ვაჟი ხარ, ლუკავ, ვაჟი ხარ, ფშაველი“... აი, აქედან აიღო მან თავისი ფსევდონიმი – „ვაჟა-ფშაველა“.

ვაჟას თავისი მეგობარი ივანე ბუქარაული შეკითხვია ფსევდონიმის შესახებ და ვაჟას უპასუხია რომ „ვაჟა-ფშაველა“ დიმიტრი ცისკარიშვილს შეურქმევია. სანამ იგი საბოლოოდ შეჩერდებოდა თავის ფსევდონიმზე ვაჟა-ფშაველა, მას უსარგებლია როგორც ინიციალებით – რ. ლ., ლ. რ-ზ-კ-ლი, ასევე სხვა ფსევდონიმებით: მწარია, მგელა ხინკალჭამიაშვილი, ჯულაკა გოგოჭური, ჟავა, ფხაველა ვეფხაიძე.



ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და ვალერიან გაფრინდაშვილი

ცნობილმა რუსმა მწერალმა ანტონ ჩეხოვმა თავისი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა ნამდვილი გვარით ვერ გაბედა და ფსევდონიმით – ჩეხონტე გამოაქვეყნა პირველი იუმორისტული ნაწარმოებები. სანამ იგი საბოლოოდ გადაწყვეტდა მწერლობაში თავისი ნამდვილი გვარით ემოღვაწა, მან გამოიყენა რამდენიმე ფსევდონიმი: 1. Брат моего брата 2. Человек без селезенки 3. Врач без пациентов 4. Вспыльчивый человек 5. Крапива 6. Валдастов 7. Рувер 8. Уллис.

ზოგიერთი პიროვნება მიმართავდა თავისი სახელისა და გვარის ლათინურ ყაიდაზე გადაკეთებას და მის ფსევდონიმად გამოყენებას. ასეთი მაგალითები ქართულ მწერლობაშიც გვხვდება: Solomon (სოლომონ ყუბანეიშვილი), Sandro (სანდრო შანშიაშვილი), Sogri (სოსო გრიშაშვილი), N. N (ნიკო ნიკოლაძე), Konstantinev (კ. გამსახურდია). ლათინიზებული ფსევდონიმი ჰქონდა ჩინელ პოეტ ბოესის – ბოეციანუსი და ფრანგ დეკარტს – კარტეზიუსი. ასეთ ფსევდონიმებს მათი ფორმის მიხედვით ლათინიზმი ეწოდებათ.

მრავალი ფსევდონიმის წარმოშობის ახსნა შესაძლებელია ნამდვილი ავტორის მამის ან დედის ან სხვა ახლობელი ადამიანის სახელით. ასეთ ფსევდონიმებს შესაბამისად მატრონიმი (დედის სახელი), პატრონიმი (მამის სახელი) და პროქსონიმი (ახლობელი ადამიანის სახელები) ეწოდებათ. მსგავსი ფსევდონიმების მაგალითები ქართულ მწერლობაშიც მოიძებნება. ასეთებია ევდოშვილი (იროდიონ ხოსიტაშვი-

ლი), ნინოშვილი (ეგნატე ინგოროყვა), გრიშაშვილი (იოსებ მამულაიშვილი), ბესოშვილი (იოსებ ჯულაშვილი-სტალინი).

ერთმა ნაკლებად ცნობილმა რუსმა მწერალმა ქალმა ა. იაკობიმ თავისი ფსევდონიმი შვილების ტოლიასა და ვერას სახელებისაგან შეადგინა და ტოლივერას ფსევდონიმით ბეჭდავდა თავის რომანებს.

მეტად გავრცელებული იყო მამაკაცი ავტორის მიერ თავისი ქმნილებების ქალის სახელით გამოქვეყნება (ფსევდოგინიმი). ქართულ ლიტერატურაშიც გვაქვს ასეთი შემთხვევები. სეზმან ბატკუაშვილი ხშირად ეფარებოდა ქალის სახელს და ფსევდონიმად იყენებდა ქალის სახელებს – ზაირა, მაცვალა, სიუზანა. გრიგოლ წულუკიძეს ფსევდონიმად შერჩეული ჰქონდა სახელი – ნატო. ილია წინამძღვრიშვილის ფსევდონიმი იყო ხორეშან გვერდწითელი. ცნობილია ნიკოლოზ ნათიძის ფსევდონიმი – მელანია. უცხოელებიდან შეიძლება დავასახელოთ ფრანგი მწერლის პროსპერ მერიმეს ფსევდონიმი – კლარა გაზული, რუსი პოეტის ედუარდ ბაგრიცკის – ნინა ვოსკრესენსკაია.

გვხვდება პირიქითი შემთხვევები, როდესაც ქალი მწერლები მალავდნენ თავიანთ ნამდვილ ავტორობას და ფსევდონიმებად იყენებდნენ მამაკაცის სახელს ან გვარს, ან ორივეს ერთად. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფრანგი მწერალის ჟორჟ სანდის სახელით ქალი ავრორა დიუპენი სარგებლობდა. ასეთ ფსევდონიმებს ფსევდოანდრონიმი ეწოდებათ.



ჯონ გრიფიტ ლონდონი – ჯეკ ლონდონი

შარლოტა ბრონტე, ავტორი რომანისა „ჯეინ ეარი“ (1847) მიუთითებდა, რომ მან აირჩია ფსევდონიმად კაცის სახელი, რადგან კრიტიკოსები ქალ-ლიტერატორს, ქალ-მწერალს აღმაცერად უყურებდნენ. მისი ფსევდონიმი იყო კარელი ბელი. მის მაგალითს მიბაძეს შარლოტას დებმა ემილიმ და ენმა და ასე სამი და ბრონტეს ნაცვლად სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა სამი ძმა ბელი: კარელი, ელისი და აქტონი.

ფსევდონიმებად ხშირად იყენებდნენ რომელიმე ცხოველის, ფრინველისა და მცენარის სახელებს. ასეთი ფსევდონიმები გვხვდება ქართულ პუბლიცისტიკაში: ტირიფი (პ. კალანდაძე), იასამანი (მ. კინწურაშვილი), მიმინო (ი. ხანდამაშვილი), ბულბული (მ. ლელაშვილი), ნიანგი (ნ. ქურიძე), თაგუნა (შ. შარაშიძე), ხვლიკი (ხ. ნიკოლაიშვილი). ასეთ ფსევდონიმებს თავიანთი

ზოგადი სახელები აქვთ. ცხოველის სახელისაგან წარმოქმნილ ფსევდონიმს ზოლონიმი ეწოდება, ფრინველისა და მცენარის სახელების გამოყენებით მიღებულ ფსევდონიმებს კი შესაბამისად ორინტონიმი და ფიტონიმი ჰქვიათ. ლატვიელმა პოეტმა იან ბულემ ფსევდონიმად „გულბისი“ ანუ გედი აირჩია. ბელორუსი პოეტის ა. სინიჩკინის ფსევდონიმი „ჟავრუკი“ ტოროლას ნიშნავს. ფიტონიმის მაგალითია უკრაინელი პოეტის ოსტაპ ვიშნიას და რუსი პოეტის მარკო ჩერემშინის ფსევდონიმები.

მრავალი ავტორი ფსევდონიმად ირჩევდა რომელიმე რეალურად არსებული პიროვნების (ალონიმი, გეტერონიმი) ან რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოების გმირის სახელსა და გვარს (გერონიმი). ამგვარი ფსევდონიმების მაგალითებად შეიძლება იყოს: დავით სოსლანი

(დავით კუზელის ფსევდონიმი), დიოგენი (პ. ჩხაიძე), ნუგზარ ერისთავი (გრიგოლ ცეცხლაძე).

იოსებ იმედაშვილის ერთ-ერთი ფსევდონიმი იყო კაიუს გრახვი. ასევე ლიტერატურული გმირის სახელი დონ ჟუანი გამოიყენა ერთ-ერთ თავის ფსევდონიმად პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა. ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის გმირის სახელი გოგია უიშვილი გიორგი ქუჩიშვილის ერთ-ერთ ფსევდონიმად იქცა. ასევე მოიქცა მწერალი ჭოლა ლომთათიძე. მან ე. ნინოშვილის გმირის სპირიდონ მცირიშვილის ხელმოწერით გამოაქვეყნა თავისი რამდენიმე ნაწარმოები. თვით ვაჟა-ფშაველას გამოქვეყნებული ჰქონდა ლიტერატურიდან ნასესხები ფსევდონიმი – პარასკევა. მიხეილ გოგიაშვილმა კი ფსევდონიმად სერვანტესის გმირის დონ კიხოტის სახელი აირჩია. ამ ტიპის ფსევდონიმებია მირზახი (მიხ. ბოჭორიშვილი), დორიან გრეი (გ. ლეონიძე), რემი დე გურმონი (გ. ლეონიძე) და სხვა. ასეთ ფსევდონიმს გერონიმი ეწოდებათ.

ფსევდონიმად გამოიყენებოდა ციფრებიც. შალვა დადიანი ხმარობდა ციფრებისგან შედგენილ ფსევდონიმს – 904, სოლომონ დოდაშვილს გამოიყენებული აქვს წერილები ხელნაწერით – 4. პოეტ იოსებ გრიშაშვილს მრავალ ფსევდონიმთა შორის არის ხელმოწერა – ექვსასექსი. ასეთი ტიპის ფსევდონიმებს ციფრონიმები ეწოდებათ.

გამოჩენილი რუსი პოეტი ა. პუშკინის ერთ-ერთი ფსევდონიმი ციფრებით ასე გამოისახებოდა: 1.17-14; ს. აქსაკოვის ფსევდონიმი იყო: 200-1, პ. ბესტუჟევი-რიუმინისა კი 2-17,

ამ მხრივ ყველაზე დიდი ციფრი გამოიყენა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ – 150 000 000.

ფსევდონიმად ნამდვილი ავტორის სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვის გამოყენება ფართოდ იყო გავრცელებული. ეს შეიძლება ყოფილიყო ავტორის დაბადების ადგილი (ქალაქი, სოფელი, მხარე) ან წარმომავლობა (პროვინცია, ისტორიული მხარე, ქვეყანა, ეროვნება). ასეთ ფსევდონიმებს გეონიმი და ეთნონიმი ეწოდებათ. გეონიმების მაგალითებია: ხონელი (ი. ბახტაძე), წვეელი (ს. გაჩეჩილაძე). საინტერესოდ გვეჩვენება ერთ-ერთი, ფართო მკითხველისათვის უცნობი ქართველი პოეტის ფსევდონიმის წარმოშობის ისტორია. ამ ავტორმა ფსევდონიმად საკუთარი გვარის შემოკლებით, შეკვეციტ მიღებული სიტყვა აირჩია. ნამდვილი ავტორის გვარის ბოლოს ან დასაწყისის უკუგდებათ მიღებულ ფსევდონიმს აპოკონიმი, ხოლო სახელსა და გვარში ზოგიერთი ასოების გამოტოვებით შედგენილ ფსევდონიმს ატელონიმი ეწოდებათ.

1917 წელს დაფუძნებული საქართველოს მწერალთა კავშირის წესდებას სხვა ცნობილ პიროვნებებთან (ტ. ტაბიძე, გ. ქიქოძე, შ. დადიანი, კ. მაყაშვილი) ერთად ხელისმომწერებს შორის არის ასეთი სახის ხელმოწერა: დ. კოპალი. ეს იყო პოეტ დავით კოპალეიშვილის ფსევდონიმი. იგი 1890 წელს დაიბადა ქ. სამტრედიაში. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო პარიზში, სორბონის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და სწორედ აქ საფრანგეთში მოხდა მისი გვარის შე-

მოკლება, რომელიც ახალგაზრდა პოეტს მოეწონა და შემდგომში ფსევდონიმადაც გამოიყენა.

დ. კოპალის ერთ-ერთ ლექსში რუსეთის იმპერიის არმიის რიგებში მყოფი ქართველი ჯარისკაცი კითხულობდა: „თუმცა გავიტან ბრძოლის ლელოს, ეშველება საქართველოს?“. დ. კოპალი პირველად 1924 წელს დაუპატიმრებიათ და მეტეხის ციხეში გაუმწესებიათ. პატიმრობის შემდეგ იგი მეორედ და-

აპატიმრეს და ორი წლით ქუთაისის ციხეში მოათავსეს, მოსპეს მისი ლექსები, პოემები, პიესა. 1929 წელს დ. კოპალი მესამედ დააპატიმრეს და 1933 წელს ამნისტიით გაათავისუფლეს, მაგრამ იგი ავადსახსენებელ 1937 წელს ვედარ გადაურჩა და კვლავ, უკვე მეშვიდედ დააპატიმრეს. ეს მისი უკანასკნელი პატიმრობა აღმოჩნდა: მალე იგი სალორის ტყეში სხვა დაპატიმრებულ პირებთან ერთად დახვრიტეს.



ჟან ბატისტ პოკლენი - მოლიერი


წარმოშობას მიუთითებს ფსევდონიმები ლანჩხუთელი (ე. ნინოშვილი), ალვანელი ადამი (ადამ ბობღიაშვილი), ონელი არნო (ა. ბურდილაძე), რაჭველი (ევ. დვალი), არტანუჯელი (პ. ლარაძე), აწყურელი დავითი (დ. გამყრელიძე). ასეთ ფსევ-

დონიმებს ეთნონიმები ეწოდება. ეთნონიმების მაგალითებია აგრეთვე ვრაცი (მიხ. წერეთელი), გურჯი (ილ. ალაძე), ლესია უკრაინკა (ლარისა კოსაჩი-კვიტკო), ანატოლი ფრანსი (ჟან ტიბო). ფსევდონიმით „ზანგი“ ერთდროულად ორი ქართ-

ველი ავტორი სარგებლობდა: გრ. ცეცხლაძე და გ. ჩიტაძე. სომეხი პოეტი არუთინიანის ფსევდონიმია არმენი, ხოლო რუსი ნ. ზოლატაროვის – იაკუტსკი.

გვხვდება შემთხვევები, როდესაც რამდენიმე ავტორი (ორი ან მე-

ტი) ერთად ქმნიან ლიტერატურულ ნაწარმოებს და მას ერთი ფსევდონიმით აქვეყნებენ. ცნობილია, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ და იოსებ გრიშაშვილმა გამოაქვეყნეს წერილი ხელმოწერით – ჩვენ.



ანრი მარი ბეილი - სტენდალი

აკაკი ბელიაშვილმა, სიმონ ჩიქოვანმა და ნიკოლოზ ჩაჩავამ თავიანთი კოლექტიური ნაწარმოები საკუთარი სახელებისგან აღებული პირველი მარცვლებისაგან შედგენილი ფსევდონიმით „აკ-სიმ-კოლი“ დაბეჭდეს. თამარ შარაშიძემ და ელენე ქიქოძემ წერილი საკუთარი სახელების მოწერით „თამარი და ელენე“ გამოაქვეყნეს. „ორნი“ – ასეთი იყო ია ეკალაძისა და როდიონ ქორქიას ერთობლივი ფსევდონიმი. რამდენიმე ერთად მოღვაწე ავტო-

რების საერთო ფსევდონიმს კონინიმს უწოდებენ.

ავტორის ნამდვილ სახელსა და გვარში ასოების გადაადგილებით, გადასმით მიღებული ფსევდონიმების მაგალითებია: ეძიოთა (ა. თოიძე), დოთე

(თედო რაზიკაშვილი), ესმო (მოსე ჯანაშვილი), ა. ინუგ (გუნია ვალერიანი). საინტერესოა რომ ფსევდონიმი ნავი ვოლირკ მარჯვნიდან მარცხნივ იკითხება და რუსი მიგავის ივან კრილოვის ფსევდონიმს

ვილებთ. ამგვარი ფსევდონიმები ანაგრამებს წარმოადგენენ.


ფსევდონიმებად გამოიყენებოდა აგრეთვე სასვენი ნიშნებიც (სტიგ-მონიმი) და ვარსკვლავები (ასტრო-ნიმები). ილია ჭავჭავაძეს ერთ-ერთ ფსევდონიმად ნახმარი აქვს სამი ვარსკვლავი: ***. იგი ასე ხშირად აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს. ასევე სამი ვარსკვლავი ოლონდ სხვანაირი განლაგებით გამოყენებული აქვს გიორგი ლიონიძეს:

*
* *

სამი კითხვითი ნიშნისაგან შედგება თ. კიკვიძის ფსევდონიმი, ხოლო ივანე მაჭავარიანმა ფსევდონიმად შეარჩია კითხვითი და მახილის ნიშნები. სამი ვარსკვლავით აღნიშნავდნენ თავიანთ ნაწარმოებებს რუსი პოეტები (დერჟავინი, ბარატინსკი, ნეკრასოვი). 1867 წელს გერცენმა თავისი მოთხრობების

წიგნი დაბეჭდა და ავტორის გვარის ნაცვლად სამი ვარსკვლავი მიუთითა.

1860 წელს ქართულ ჟურნალ „ცისკარი“-ს მესამე ნომერში დაიბეჭდა აკაკი წერეთლის წერილი „ლოტოთი ლოთობა ქუთაისში“, რომელიც გამოქვეყნდა ფსევდონიმით „თავ. იმერელი“. მანამდე კი 1858 წელს, აგვისტოს თვეში საზაფხულო არდადეგების დროს საჩხერეში მყოფმა 18 წლის აკაკიმ თარგმნა მ. ლერმონტოვის ლექსი „რტო პალესტინისა“ და ფოსტით გაუგზავნა ჟურნალ „ცისკარი“-ს რედაქტორს ივანე კერესელიძეს. ახალგაზრდა აკაკის მიერ თარგმნილი ეს ლექსი დაიბეჭდა ჟურნალის მეტერთმეტე ნომერში ფსევდონიმით „ს _ ლი“, რაც ნიშნავდა „სხვიტორელს“. ეს იყო დიდი პოეტის ლიტერატურული დებიუტი.



ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი

ტიტლონიმი ისეთი ფსევდონი-
მია, რომელიც მიუთითებს ავტო-
რის წოდებას ან თანამდებობას, ხო-
ლო პროფონიმი – აღნიშნავს ავტო-
რის პროფესიას, ხელობას. ქართუ-
ლი ლიტერატურაში და ჟურნალის-
ტიკაში ჩვენ შევხვდებით მენავეს
(გრიგოლ აბაშიძე), მოგზაურს (პ. მი-
რიანაშვილი), ასოთამწყობს (დ. ლო-
ლობერიძე), ეკონომომისტს (ს. ამაღ-
ლობელი), აგრონომს (ი. ჯაში), არ-
ქივისტს (შ. ჩხეტია) და სხვა სპე-
ციალისტს, თანამდებობისა და ხე-
ლობის მქონეებს. არის შემთხვევე-
ბი, როდესაც ფსევდონიმი აღნიშ-
ნავს ავტორის სოციალურ წარმოშო-
ბას: გლეხი (ნ. ყიფიანი, იოსებ და-
ვითაშვილი), გლეხიშვილი (ვეფხო
აკობაშვილი), მუშა (ი. პაატაშვილი).

მკითხველზე გარკვეული ზემო-
ქმედებისათვის არიან განკუთვნი-
ლი ისეთი ფსევდონიმები, როგო-
რიცაა: გულკეთილი (რ. ფანცხავა),
სევდიანი (პ. ლეჟავა), ღონიერი (თ.
ლოლოტი), თავხედი (ან. ფურცელა-
ძე), კვიმატი (ი. ხინველი), ულოდი-
კო (ა. ფურცელაძე), ობოლი (პ. ლო-
რია), გადარეული (ალ. ქურიძე).
ასეთი სახის ფსევდონიმები აღნიშ-
ნავენ ავტორის ხასიათის ან შემოქ-
მედების განსაკუთრებულ ნიშან-
თვისებას. ამ ტიპის ფსევდონიმებს
ფრენონიმები ეწოდებათ. ისინი შე-
იძლება მიუთითებდნენ ავტორის
გარეგნობის დამახასიათებელ ნიშ-
ნებს: შავთვალწარბა (ივ. ლუარსამი-
ძე), შავბიჭა (ვლადიმერ იაშვილი).
„ლიტლი“ თომას მორის ფსევდო-
ნიმია და პატარას ნიშნავს, სომეხ
პოეტს სერობ ლევონიანს ფსევდო-
ნიმად არჩეული ჰქონდა ჯივანი
(ანუ „ლამაზი“).

რუს რევოლუციონერს, საბჭოთა
იმპერიის ფუძემდებელს ვლადიმერ
ულიანოვს თავისი მოღვაწეობის მან-
ძილზე 150-მდე სხვადასხვა ფსევ-
დონიმი აქვს გამოყენებული, მაგრამ
მათგან მხოლოდ ვ. ლენინია ყვე-
ლასათვის ცნობილი.

1895 წლის მაისის თვის ბოლოს
თბილისის სასულიერო სემინარიის
მოსწავლე იოსებ ჯულაშვილი გა-
ზეთ „ივერიის“ რედაქციას ეწვია
და მის რედაქტორს დიდ ილიას
ლექსების რვეული გადასცა. რამდე-
ნიმე დღის შემდეგ, კერძოდ 14 ივ-
ნისს გაზეთ „ივერია“-ში დაიბეჭდა
ცნობილი ლექსი „დილა“ (ვარდს
გაეფურჩქნა კოკორი, გადახვეოდა
იასა...), რომელსაც ამშვენებდა ხელ-
მოწერა „ი. ჯ-შვილის“. იმავე წლის
სექტემბერში „ივერია“-ში დაიბეჭდა
ი. ჯულაშვილის სხვა ლექსი „რო-
დესაც ბადრად მნათობი მთვარე“,
რომელიც ხელმოწერილი იყო სხვა
ფსევდონიმით: „სოსელო“. გარდა ამ
ორი ფსევდონიმისა ი. ჯულაშვილი,
შემდგომში სტალინი, ხმარობდა
კიდევ ორ ფსევდონიმს „კობა“ და
„კო“.

კარლ მარქსმა თავისი მოღვაწე-
ობა როგორც რევოლუციონერმა და
პუბლიცისტმა დაიწყო ფსევდონი-
მებით. 1842 და 1843 წლებში მისი
სტატიები გამოქვეყნდა ფსევდონი-
მებით „რეინის პროვინციის მცხოვ-
რები“ და „არა ბერლინელი“. მხო-
ლოდ 1843 წლის ბოლოდან დაიწყო
მან თავისი სტატიების გამოქვეყ-
ნება ნამდვილი სახელითა და გვა-
რით. ასევე მოიქცა კ. მარქსის მე-
გობარი ფ. ენგელსიც. თავისი ერთ-
ერთი პირველი პუბლიკაცია გამოქ-
ვეყნდა ხელმოწერით – „ფრიდრიხ
ოსვალდი“.

1862 წელს საფრანგეთში გამოვიდა ძვირფასად გამოცემული სამტომიანი ნაშრომი „იულიუს ცეზარის ისტორია“, რომლის ავტორად მითითებული იყო ნაპოლეონი. ეს ისტორიული ნაშრომი საფრანგეთის იმპერატორს ეკუთვნოდა.

ფსევდონიმების გამოყენების მიზეზები და მიზნები სხვადასხვაგვარია. ძალზე ხშირია შემთხვევა, როდესაც ავტორი შეგნებულად გაურბის საკუთარი სახელის და გვარის გამოქვეყნებას, არ ამჟღავნებს თავის ვინაობას და ევარება გამოგონილ სახელსა და გვარს (ან მხოლოდ სახელს, ან მხოლოდ გვარს) – ფსევდონიმს. ხშირად კრიტიკულ-სატირული ნაწარმოების გამოსაქვეყნად, ან ძველად ცენზურისათვის თავლის ასახვევად, ხელისუფლებისგან თავის დასაცავად ხშირად ხმარობდნენ ფსევდონიმებს.

ერთ-ერთი მიზეზი ფსევდონიმის ხმარებისათვის იყო ცუდი ჟღერადობის, არაკეთილხმოვნად გამოსათქმელი გვარისა და სახელის შეცვლა, საკუთარი გვარისათვის პოეტური, რომანტიკული თუ კეთილშობილური ელფერის მიცემა, თანამოგვარეთაგან გამორჩევა, პროფესიისა თუ ხელობის, სოციალური წარმოშობისა და წოდების, წარმომავლობის აღნიშვნა და სხვა. ავტორის ნამდვილი გვარისა და სახელის მიუთითებლად ან ფსევდონიმის გარეშე გამოქვეყნებულ ნაწარმოებს ანონიმური ეწოდება, ხოლო ავტორი აღინიშნება როგორც ანონიმი. (ბერძნული სიტყვა *an onymus* – უსახელო). მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოიპოვება ანონიმური ნაწარმოებები, რომელთა ავტორის დადგენა შეუძლებელია. მაგალი-

თად გერმანული საგმირო ეპოსი „ნიბელუნგების სიმღერა“ (XIII საუკუნე) და ფრანგული „როლანდის სიმღერა“ (XII საუკუნე) ანონიმური ნაწარმოებებია.


ხელმოუწერელი, ავტორის გარეშე ცნობილი ნაწარმოებები გვხვდება ძველ ქართულ მწერლობაშიც. არსებობს ფილოლოგიისა და ლიტერატურათმცოდნეობის სპეციალური დარგი ფსევდონიმასტიკა, რომელიც შეისწავლის ფსევდონიმებს ანუ გამოგონილ გვარ-სახელებს. თვით ფსევდონიმების გაშიფრვას და ხელმოუწერელი, ანონიმური ნაწარმოებების მიკუთვნებას რომელიმე ავტორისათვის კი ტექსტოლოგიის სხვა დარგი – ატრიბუცია სწავლობს. (ლათინური სიტყვა *attribution* – მიკუთვნებას ნიშნავს)

ატრიბუციას საფუძვლად უდევს ფაქტობრივი, დოკუმენტური მასალების მოძიება, შესწავლა, ავტორის მხატვრული, შემოქმედებითი მახასიათებელი ნიშნების გათვალისწინება, ბიოგრაფიული ცნობების ანალიზი, ავტორის მსოფლმხედველობის, ენისა და სტილის ანალიზი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცოცხალი პიროვნებების ფსევდონიმთა გამჟღავნება ავტორთა თანხმობის გარეშე დაუშვებელია, გარდა ზოგიერთი შემთხვევისა. თუ ფსევდონიმი გამოიყენება ავტორის ფალსიფიცირებისათვის, მაშინ დასაშვებია ფსევდონიმს ამოფარებული პიროვნების ნამდვილი სახელისა და გვარის გამჟღავნება.

ფსევდონიმებისა და ანონიმურად გამოქვეყნებული ნაწარმოებების შესწავლას საფუძველი დაუდო ფრანგმა ბიბლიოფილმა, ნაპოლეონ I-ის ბიბლიოთეკის გამგე არბიე ან-

ტუან ალექსანდრემ (1765-1825 წ.წ), რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში (1806-1809წლებში) გამო-სცა წიგნი „ანონიმიური და ფსევ-დონიმიური შრომების ლექსიკონი“ ოთხ ტომად. უფრო ადრე 1708 წელს

გერმანელმა იურისტმა ვინცენტ პლაცკიმ შეადგინა ლათინურ ენაზე ხელმოწერის გარეშე ან ფსევდონი-მებით გამოსული წიგნების სია, რო-მელიც დაახლოებით 10 000 ასეთ ერთეულს შეიცავდა.



სამუელ ლენგჰორნ კლემენსი - მარკ ტვენის

ფსევდონიმების კლასიფიკაციის პირველი ცდა კი ფრანგი ანდრიენ ბაიეს 1690 წელს გამოცემულ წიგნში იქნა მოცემული, თუმცა თვით სიტყვა ფსევდონიმი ბაიეს არ უხმარია. ბაიეს ტრაქტატი გამოვიდა გრძელი სახელწოდებით „ავტორები, რომლე-

ბიც ევარებიან სხვისი, სესხებული, გამოგონილი, დაშიფრული, განგებ შეცვლილი და სხვა ენაზე თარგმ-ნილი გვარებით“. ბაიემ თავის შრო-მაში მოიტანა ორასზე მეტი მეთო-დი სახელისა და გვარის შეცვლისა და ფსევდონიმის გამოყენებისა.

ქართული ფსევდონიმების გახსნისა და განმარტების ერთ ერთი პიონერთაგანი იყო ცნობილი მეცნიერი ალექსანდრე ხახანაშვილი, რომელმაც ჯერ კიდევ 1917 წელს გამოცემულ „ქართული სიტყვიერების ისტორიაში“ შეეხო რამდენიმე ფსევდონიმის წარმოშობას და მოგვცა მათი ახსნა-განმარტება.

სხვადასხვა ავტორების ფსევდონიმების დადგენასა და გაშიფრვას დიდი ამაგი დასდო პოეტმა-აკადემიკოსმა იოსებ გრიშაშვილმა, რომელსაც შედგენილი ჰქონდა ფსევდონიმების ლექსიკონი. მას რამდენიმე წერილი აქვს გამოქვეყნებული ამ საკითხებზე. ქართული ფსევდონიმების შესწავლის საქმეში აღსანიშნავია პროფესორ გ. მიქაძის შრომები.

ევროპის მრავალ ქვეყანაში შედგენილია ფსევდონიმების მრავალტომიანი ლექსიკონები. მაგალითად ინგლისური ფსევდონიმების თანამედროვე ლექსიკონი (ავტორი კენედი) შეიცავს 60 ათას ფსევდონიმს, გერმანული ლექსიკონი (ავტორები ხოლცმანი და ბოსატი) – 83 ათასზე მეტს. ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორცაა დანია. ამგვარ ლექსიკონში შევიდა 10 000 გამოგონილი სახელი და გვარი, ფსევდონიმი.

1956-1960 წლებში რუსეთში ი. მასანოვმა გამოსცა ფსევდონიმების ლექსიკონის ოთხი ტომი. 1969 წელს გამოვიდა უკრაინული ფსევდონიმების ლექსიკონი (ავტორი ა. დეი). უფრო მოგვიანებით ქ. ტალინში დაიბეჭდა ესტონეთის გარეთ გამოქვეყნებული ესტონელი ავტორების ფსევდონიმების ლექსიკონი (ავტორი ა. კახაუ). მანამდე კი 1865 და 1889 წლებში რუსეთში გა-

მოვიდა „რუს ქალ მწერალთა ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი“ (ავტორი ნ. გოლიცინი), სადაც მითითებულია ქალი-მწერლების ფსევდონიმები და მათი ანონიმურად გამოქვეყნებული ნაწარმოებები. 1874 წელს კი გ. გენადიმ შეადგინა „რუსული ანონიმური წიგნების სია მათი ავტორებისა და მთარგმნელების სახელებით“.

დღემდე საქართველოში ფსევდონიმების მხოლოდ ორი ლექსიკონია გამოცემული: 1. ი. გრიშაშვილი „ფსევდონიმების ლექსიკონი“, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987 წ. და 2. გ. მიქაძე „ქართული ფსევდონიმების ლექსიკონი“, რომელიც ორჯერ გამოვიდა 1969 და 1984 წლებში.

ამავე თემატიკას უნდა მიეკუთვნოს 1988 წელს გამოცემული „ქართული ფსევდონიმების სამყაროში“, რომელიც წარმოადგენს გ. მიქაძის წერილების კრებულს, რომლებშიც განხილულია მრავალი საინტერესო ფსევდონიმის ისტორია, მოცემულია მათი ახსნა და ანალიზი. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ხელნაწერების სახით არსებული, ჯერ წიგნად არ დასატამბული ფსევდონიმების რამდენიმე ლექსიკონი, რომელთა ავტორები არიან ლ. შენგელაია, დ. შულღიაშვილი და გ. ბაქრაძე, რომლის ხელნაწერიც ინახება გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში.

სულ ახლახან ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს საინტერესო და უნიკალური საარქივო მასალა შეემატა. ქართულ-კავკასიური კულტურის, ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითმა ფონდმა შეიძინა ქართველი მწერლისა და საზოგადო-

მოღვაწის იოსებ იმედაშვილის (1876-1952 წწ) ხელნაწერი (გამოუქვეყნებელი) ნაშრომი „ფსევდონიმების ლექსიკონი“. ეს ნაშრომი მეტად ძვირფასი წყაროა როგორც XIX-XX საუკუნეების ქართულ მწერლობისა და პუბლიცისტიკის, ისე ქართველ მოღვაწეთა ბიოგრაფიის შესასწავლად. იგი გამოირჩევა ფსევდონიმთა რაოდენობით. იმის გამო, რომ ბევრ შემთხვევაში ფსევდონიმების

გაშიფრვა დიდ სირთულეთანა დაკავშირებული, იოსებ იმედაშვილი კი იმ პერიოდის მოღვაწეა, როცა ქართველი მწერლები და პუბლიცისტები სხვადასხვა ფსევდონიმებით მოღვაწეობდნენ ასპარეზზე. ეს მნიშვნელოვნად გააადვილებს სხვადასხვა ფსევდონიმების გაშიფრვასა და ავტორების დადგენა-დაზუსტებას.



მიხეილ ჯავახიშვილი და გალაკტიონი

თუ დავუბრუნდებით ჩვენ მიერ წერილის სათაურში დასმულ კითხვას, ის არ არის რიტორიკული. არის შემთხვევები როდესაც ფსევდონიმი არა თუ ავტორის სურვილი, არამედ აუცილებელიც კი ხდება. მაგრამ მაინც

ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ცნობილი პუბლიცისტი და კომედიოგრაფი კიტა ბუაჩიძე თავის „შავ წიგნში („რომელიც თბილისში ქსეროქსზე გამრავლებული ხელიდან ხელში გადადიოდა) აღნიშნავდა: „...ახლა ფსევ-

დონიმით აღარავინ გვევლინება, თითქოსდა ყველას უნდა ჯიქურ გაგვეცნოს; დაე ყველამ, საბინაო კანტორამ და მინისტრთა საბჭომაც, პირველი ლექსიდანვე იცოდნენ, ვინცა ამის შემოქმედი!. მე რამდენიმე უთუოდ ნიჭიერ პოეტს ვიცნობ, რომელთაც საკადრისი პოპულარობა, ნაწილობრივ მაინც, თავიანთი „პროზაული“ გვარების გამო ვერ მოუპოვებიათ. აბა ბრძანეთ, თავის დროზე და ახლაც, ამ მხრივ განა არაფერი დააკლდებოდათ ალექსანდრე ჩოჩიას, ტერენტი კვირკველიას?“.

ჩემი მხრიდან ამ ორ მაგალითს (ა. აბაშელი და ტ. გრანელი) დავუმატებდი დიდ ქართველ თეატრალურ რეჟისორს სანდრო ახმეტელს რომელმაც ფსევდონიმად თავისი ნამდვილი გვარის – ახმეტელაშვილის შემოკლებული ვარიანტი აირჩია.

სავსებით ვეთანხმები ზემოთ მოყვანილი სტრიქონების ავტორს. თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში დღესაც არიან მეტისმეტად „პროზაული“ გვარის მქონე ავტორები რომლებმაც მეტად დაამშვენებდათ სწორად შერჩეული ფსევდონიმები. ალბათ სწორად მოიქცა ახალგაზრდა

და მეტად ნაყოფიერი, ცნობილი ქართველი მწერალი გიო ახვლედიანი, რომელმაც საკუთარ კეთილხმოვან გვარს ფსევდონიმი აკა მორჩილამე ამჯობინა.

და ბოლოს. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქართული გვარი თავისებურად ლამაზია და ყოველ მათგანს აქვს წარმოშობის საინტერესო ლეგენდა-ისტორია, ზოგიერთ შემთხვევებში როდესაც პოეტი, მწერალი, მსახიობი ან საზოგადო მოღვაწე ხარ მიზანშეწონილია ასპარეზზე ფსევდონიმით წარდგენა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. მიქაძე, „ფსევდონიმების ლექსიკონი“. თბილისი, მეცნიერება, 1984 .
2. გ. მიქაძე „ქართული ფსევდონიმების სამყაროში“. თბილისი, წიგნის მოყვარულთა საზოგადოება, 1998.
3. ი. გრიშაშვილი „ფსევდონიმების ლექსიკონი“, თბილისი, 1987.
4. Масанов Ю. А. „Словарь псевдонимов“. Москва, 1956-1960.
5. Дмитриев В. Г. „Скрывшие свое имя“. Москва, Наука, 1970.
6. Масанов Ю. А. „В мире псевдонимов, анонимов и литературных подделок“, Москва, 1963.
7. Дей А. И. „Словарь украинских псевдонимов и криптонимов“, Киев, 1969.
8. Дмитриев В. Г. „О псевдонимах и их классификации“ . Москва, Журнал „Филологические науки“, №5, 1975.
9. Старушенко Г. П. „Проблемы становления и развития словарей псевдонимов в СССР (1900-1980 г.г.)“, Москва, Автореферат кандидатской диссертации.





შეიხის შევარდნის იგავი

ვინ შეიხი ჰგებდა იემენს, კაცი სვესვიანი და მორჭმით ტახტოსანი, წიგნთა მცოდნე და ქვეშევრდომთა მზრდელი, მოცნების მძებრთა მწყალობელი. ბედუინები თავის ვაჟთ მასთან აგზავნიდნენ აღსაზრდელად და სამსახურად. ღალიბი იყო სახელად სვემზიანი შეიხი. გული მისი ფრიად წარტაცებულიყო ნადირობით. ჰყავდა მას ნადირებით მონადირე საკვირველი შევარდენი. გაფრენილ ისარს ასწრებდა და რა ნადირ-ფრინველი გაასწრებდა? კაცთა შორის მოიწვართა შეიხის შევარდენი და ღირს-იჩინა მონადირებრივი კისკასობანი. რჯანი მისი დიდად სახელშემძენილ კაცთა შორის. სამკობლად მისა არნ მეყსეულობა და ფრთაელვარება. მისისა მონადირებრივი ბულრობისაგან მონაბუქარი მთელ დუნიას გასწვდა, აზმად შეიღვა მგოსანთა დასში. შევარდენს შესჭვრეტდნენ მყურენი. გვამით ანდამი იყო, ხოლო ახოვნებით გავაზად გარდასახული მოყმე გეგონებოდა.

შეიხმა ღალიბმა მას სახელად რიჰუ ლ-ჰაკლი დაარქვა, რაიც მოარაბებრ ველის ქარს ნიშნავს. დიდი სახელი გაუვარდა შევარდენს არაბეთში. მოდიოდნენ მეფისწულნი არა მხოლოდ ჰიჯაზიდან, არამედ მაშრიყის შორეული სამეფოებიდან. დიდი ძღვენი შეაძლიეს შეიხ ღალიბს, რომ ეს შევარდენი მათთვის ეფეშქაშებინა.

ზოგმა თოვლივით თეთრი არაბული რაშების რემა მოლალა, ზოგმა-დარჩეულ აქლემთა არვე, ზოგმა ომის ჟამს რუმიდან გამოტაცებული ტურფა ბანოვანნი აახლა შეიხს. დოსტად და ასაბიად ჰყავდა შეიხს რიჰუ ლ-ჰაკლი და განა მას რაშთა რემას ან ბანოვანთა მარაქას ანაცვალებდა?

შეიხის მეჯლისებანი ისე არ ჩაივლიდა, რომ რიჰუ ლ-ჰაკლი მისი ტახტის თავზე არ ყოფილიყო დურად მომჯდომელი. ღულამი ვითარც შეიხის თანამეინახეთ მიართმევდა ნუგბარს ლანგრით, ეგრეც შევარდენს ეზრუნვიდა. თავისი ხელისგულიდან აჭმევდა შეიხი ღალიბი რიჰუ ლ-ჰაკლის და მისი შემჭვრეტი ყრმასავით ხარობდა. განა ყუმხანაში ქორ-მიმინოთაშორის ამყოფებდა შეიხი პოხილ შევარდენს, არამედ თავის მოსასვენებელში ჰყავდა მუდამ. ოქროს ზანზალაკებს აბამდა ფეხზე, ძველებურ ბედუინურ სიმღერებს უდიდინებდა, უდაბნოდ მოყარიბეთა შორის ჯაჰილიის დროიდან რომ შემორჩენილა.

ცნობისმჩენი იყო რიჰუ ლ-ჰაკლი და ბარაქით ტვიფრული არაბული ენის ბევრი სიტყვა ესმოდა. ვითარც კაცს, ისე ემუსაიფებოდა შეიხი თავის შევარდენს. დია ჰკვირობდნენ კაცნი ამას და რიჰუ ლ-ჰაკლის ალაჰისაგან ნაფეშქაშებ ფრთოსნად რაცხდნენ. აშულეზმა ცათა მტილოვანიდან წუთისოფლად მოდენილ ომის ანგე-

ლოზს მიადარეს იგი შევარდენი. შეიხმა სპარსეთიდან ფუნჯის ოსტატი მოიხმო,რათა მას ტილოზე გამოესახა ნადირობათა შინა შემრისხებარე რიჰუ ლ-ჰაკლის თაბიათი და გეზელ-ნებანი.

ვისაც არ ეპოვებოდა შევარდენით ნადირობის ლილარი, მანაც კი, შეიხ ღალიბის მობაძულობით ყუმხანა გამართა, ქორ-შევარდენთა მსინჯველად ბაზიერნი მოიხმო და თავადაც ბაზიერობდა.ეზასებოდა,გეშავდა,უწრუწუნებდა, ცხენ-კაცს აჩვევდა, ველად გაჰყავდა და ბავლს აგდებინებდა. გარნა ვერვინ აღემატა ბაზთა და გავაზთა შორის რიჰუ ლ-ჰაკლის. ეს ერთი აღმართებულიყო გეზელ-ქორთა და ყოვლთა გავაზთა გვარში. იგი ერთი ჩანდა ნიჭებით ესევეთარ განპოხებული და სახელმორჭმით გეზული კაცთა შორის. მან თავისი კისკასობით მოიმძეველა კაცთა გულეზი. მუტრიბნი უძნობდნენ და აშულნი ბეითებს თხზავდნენ მისთვის. მულამათი იმღერებოდა მოედნებსა და სასახლეებში. იყო მულნის, თარისა და ქამანჩის ხმობა, ქოსთა და ბობდანთა დგერანი რიჰუ ლ-ჰაკლის სამკობლად. ნივთთა მაარსის სიბრძნესა და მხელოვნებლობას უძნო მრავალმა მეჩანგემ, რა შექმნა მან ესოდენ უდრი, ყოვლითურ უკლი, უებროდ მაქვე, სასახავად მზორგალე გავაზი.

ერთხელაც ისურვა შეიხმა ღალიბმა ნადირ-ფრინველთა სახოცად გასვლა თავის შევარდენთან ერთად. ამაღაც ახლდა შეიხს. ქვეშევრდომთაც თან წარიყვანეს თავისი გავაზნი. დუნია რომ დაიცაროს,არაბთა შორის მაინც დარჩება ქორ-შევარდენთადმი ტრფობა.

შეიხის ნანადირევი ყოველთა უმეტესი იყო. მაგროვნად ინადირა

რიჰუ ლ-ჰაკლიმ, თვალნი არისხნა გავაზებრ მხედავნი, მოიალაფა მრავალი ქედანი, კაკაბი და ხოხობი. დიდად ხარობდა და შეჰხაროდა შეიხი თავის შევარდენს, მაგრამ სოფელი რისი სოფელია თუ შეგების ჟამს ფინთი არ გამოატყვრინოს.შეიხს თავისი ცხენის ფერხთაგან ხოხობი წამოუფრთხილდა. შევარდენი მიადევნა მას შეიხმა. შორს გასულმა ხოხობმა გავეშებულ რიჰუ ლ-ჰაკლის მალნარში შეასწრო. მისძახოდა შეიხი შევარდენს, რომ დაბრუნებულიყო. არ დაეხსნა მას გავაზი და მისდია. ხოხობმა თავის ბედზე რის ვანაჩრობით ძეძვიანს შეაფარა თავი. გაწბილებული გავაზი იქვე ხეზე შემოჯდა და ყეფა მორთო.ტყიურ შევარდენებს ესმათ მისი ხმა და მოჯარდნენ. მსჯავრი გაუჩადეს რიჰუ ლ-ჰაკლის უწვრთნელმა თანამომძეებმა. რად ეყმობაო კაცს ჩვენი მოდგმის ფრთოსანი, რად მიუმხროო მას თავისი თაბიათი და გვარს თავს სჭრისო. ეს სათაკილო არისო ფრიად და თავით უნდა ზღოსო ამისთვის შეიხის შევარდენმა. ლალვითა და ქშენით დასაკორტნად ეღირებოდნენ რიჰუ ლ-ჰაკლის ტყიური თანამომძენი. შეიმზადებდნენ ბრჭყალთა და პირთ მის საკვდავად, მახვილებრ ლესული ფრთენი შემართეს, გაალმასეულ თვალთ ავად აკვესებდნენ. ჯერ ერთი გავაზისა რაა თვალთა კვესება და მთელი თემისა რა იქნებოდა. ფოთოლნიც კი დადრკნენ მათი მრისხველობით. შორს ისმოდა შევარდენთა თემობის ხმა და მათ სამსჯავროს რიცხვი ემატებოდა. კილვით იკლებდნენ შეიხის შევარდენს. ყოვლიართათვის საწუკავი აზატობის დამგდეები და მონობის მეტრფე უწოდეს მას.

თემობის ხმა ერთ მიმხცილ შევარდენსაც მისწვდა. მას აღარც თვალნი უჭრიდა, ფრთენიც განხმელებოდა, გარნა თავის გვარში ჰაქიმის სახელი მოენაგრა. მდოვრედ მოფრინდა წელთა სიმრავლით დაზიდული შევარდენი. გზა უტიეს მას თანამომძმეებმა, შემადლებული ალაგი მიუჩინეს. მჭუმარებამ დაისადგურა ავ ფრთოსანთა შორის და მეცნავ მოხუცს მიაპყრეს მნუსხველი თვალნი. დიდხანს ჭვრეტდა ჭარმაგი ჰაქიმი რიჰუ ლ-ჰაკლის მწყაზარებასა და სისრულეს. ტყიურ გავაზთა თემშიც ირჩეოდა შეიხის დოსტი და ასაბია თავისი ყავლითა და ჰამოდსახილველობით. თვალთაგან ცეცხლი სცვიოდა, ჭანგებს საომედ შეიმზადებდა, ფრთათ ზეადმართვით მოიმშვილდავდა, პირს იმჭახებდა. ვაჟი იყო და ვაჟებრ ვაჟობდა. ყოვლნი ხედავდნენ, რომ იგი თავის მოყივნებასა და მოკვდინებას იოლად არავის დაანებებდა.

მაშინ წართქვა ბებერმან ბაზმან ყოველთა მიმართ სიტყვა დიდად გულთამყოფელი. ბევრეული კაცი ვერ იტყოდა იმას, რაიც ბაზთა ჰაქიმმა მოიუბნა. კაცთა ბევრეული ილოცვის, იმარხვის, სამდთო წიგნებს წინ დაიყრის და შიგ იხედება, ყადის თათბირს ეძებს ცათა მტილოვანის გულისათვის, მაგრამ სამზეოს მომყრალად განვვლის, ვერც მოცნებას შეეძინება, ვერც სიტყვას გამოიგებს. ვითარც კირჩხიბსა მართლ სლვა არ ესწავლება და მწყერი ხეზე ჯდომით არ შემეცადინდება, ეგრეც მრავალნი კაცნი თავისი უსვეობისა და უვარდობის გამო უგებ-უცანნი რჩებიან. ამაღ არის, რომ წიგნთა კითხვით ვერა რა მოცნებას ვერ მოინაგრებენ. წიგნამდე უნდა ჰქონდეს კაცს სამოც-

ნებო ნიჭი. მისი ხვედრი განაჩინებს ამას. ნივთთა მარსისაგან ესრე ეგო ძველთაგანვე მუნ, სადაც არნ ქცევადობა მოხენეშე სოფლისა და ყროლანი მისნი. ჰე სოფელო, ღრუბელო ღნიოშობისაო, მრავალთა კაცთა დამნელებელო და რჩეულთა მოცნებად აღმმართებელო, გშვენიან ბოროტნი და ცნობას ამღვიძარებენ ფრიად, გარნა ვერ იტყვიან კაცნი ბოროტთა შესხმას. წინაშე ფერხთა რომ დაუყარო მათ ნიშნები, მაინც ვერას იუბნებენ. ხელთ ცისკენ აღაპყრობენ, ცთომილთ აშტერდებიან მსასოვარი თვალით, რჯულის წიგნთაც იკითხვენ მადლში მისათვლელად და საცოდ, გარნა უგებნი რჩებიან. ოდენ მოცნებასა შინა გებულს ძალუმს ქრთილის ხმიადში თავთუხის პოვნა. იგი ძალიდვებს განეტევოს კაცთა უვარდობას და შთავარდეს სავარდოსა ვარდისასა.

ეჰა, არსთა მხადის სიბრძნით ბრძნობასა, ვითარც მან ველთა და მადნართა წიად, ფრთოსანთა თემშიც განაჩინა გულთამყოფელი სიტყვის მთქმელი და მისი გამგონეც იქ დასახა. აღმოისიტყვა ჰაქიმად წოდებულმა უხუცესმა გავაზმა: „სიჭაბუკისა ჩემი მზე დაჰხდა. ბევრი მინახავს ჩვენს გვარში შემმართებელი და ანდამი, გარნა შეიხის დოსტი და ასაბია ყოველთა უმეტესია, ჩემმა მზემან. ძმანო, რა დანაშავარის გამო ერისხვით მას? ჰკითხავთ, რომ რად ეყმობიო კაცს და ამას ჩვენი მოდგმის სათაკილოდ რაცხთ. წარდევენთ უგებ-უცანობა. ყოველთა გამჩენმა ჩვენს სამისხოს უხვად დაამადლა პირთა მახვილთამებრ, ფრთათა ისართამებრ და ჭანგთა ჰოროლთამებრ ცემის ნიჭი, ხოლო ცნობით კი ვერაფერი შვილნი ვართ. ყოველთა

სულდგმულთა შორის გვამთა ელვისებრ მიმოტანითა და ზარცემით გაგვაქვს თავი. ეს გულსიდგინეთ ძმანო, შევარდენთა თემს რომ ცნობაც იმდენი ჰქონოდა, რამდენიც მას ანდამი და ახოვანება მოეძევა, ყოველ სულდგმულზე აღმატებულნი ვიქნებოდით. ფრინველთა შორის ჩვენ ვართ ყოვლით მეფენი. არწიენი უფრორე დიდროანნი არიან და ამით ჩანან, თორემ ჩვენ ვერ მოგვედრებიან სიმალით. ქორ-მიმინონი და ყოვლნი გავაზნი ჩვენ გვედარებიან, მაგრამ მათთან დავაქრობაში ჯობნა ჩვენ ვერჩება. აგერ, თავდიდი ზარნაშო დასახულა სიბრძნის მენიშნედ კაცთა შორის. კაცთ უქანდაკებით ბუნი და მათი სახე სამკაულად გამოუხელავთ. ყორანიც ბრძნობასთან ნაზიარებია კაცთა გადმოცემაში. ასევეა გველიც. ყველა ისინი ჩვენი სიმალისა და გეზელ-ნებათაგან იშიშვიან.

ჩვენს სახელმორჭმულ ძმას ძნობის მაგიერ ბრიყვობას რად მიუპყრობთ? კაცთა მისი შესხმით მოხსენალი, თქვენ კი ამუნათებთ მას, რად ემისეო შეიხს. რად ხართ მისი მქიქებარნი და ჰბორგით? რა საძებნიერი გიძებნიათ? რად არა ხართ შემტყვენი? აღეტყინებით შურითა და მის მოშობას იზრახვით, მწყენელი ფიქრით თავის გამხელელებლნო. რისად გულჯარბობთ შეიხის დოსტის მიმართ? ნუ აუგთმთქმელობთ, ნუ შეპყივლებთ და აბასრებთ, სანამ არ შეიცნობთ. თუ გიყივლიათ და მერმე გიცვნიათ, მოინანებთ მწველად, ძმანო. რად არ არჩევთ, რა არს საძული და რა საყვარი?

ყველა გავაზთა შორის კაცმა შევარდენი უაღრესჰყო და გაამთავნა. იგი აღჩენილა კაცის გულის გასაწყოდ ძმანო და ამას ვერ ხედავთ?

თვალს მოჰკრავს შევარდენს კაცი და ომი გაახსენდება. მეომრობას წამოაგონებს შევარდენის ბულრობის ჭკრეტა კაცს, საომე გზნებას შესდევებს და სისხლს აუჩქროლებს. სიბრძნეში მიწვენილებას ეგრე არ გამოეკიდება კაცი ძმანო, ვითარც მეომრობას. ამად არის, რომ იგი ეგზომ გვითნევს და გვეტრფის. კაციც გეზელია ძმანო, უფროთ, ორფეხა გეზელი. კაცთა შორის ვინც გეზელებრივი ზნენი აჩინა, სახელით შეიმოსა. კაცისგან გამოხელილი ყოველი ნივთი მისი გეზელობის დასტურია.

არ კმა არიან შევარდენისა მეყსეულობანი და მოყმეობანი სახელმორჭმისათვის, კაცის გვერდით თუ არ ჰგიეს იგი. ეს გულისბეჭდეთ ძმანო. კაცი შესახელებს და სათნოდ გამოაჩენს მას. დუნიაშე შეიტყო ვითარც შეიხი და მისი შევარდენი მქცევლობენ. ვიჰ, კაცისა და შევარდენის ყონალობასა. შეიხის ტახტზე მომჯდომელია შევარდენი, მის მკლავზე აღმართებულა. კაცთა შორის უმოლხინესად ჰგიეს შეიხის ფროთოვანი დოსტი. მეფის სუფრაზე ინახობს ჩვენი ძმა, ვითარც ჩინებული წვეული, მეფის ხელიდან იღებს ჭამადს. საანჯომანოდ ჩანს შეიხის დოსტის პატივმოსილება. ქვეშევრდომნი მის მაგრიად ნასარჯს ხოტბას შეახამენ. ამას უწოდებთ თქვენ მონობას? ესაა სათაკილო ყმობა? ჩვენს მოდგმას მიუშო ძმანო შეიხის შევარდენმა. იგია კაცთა შორის გავაზებრივი ახოვნების მამაგრობელი. მისით განზოგადდა შევარდენთა გვარის სახელი. რაც ჩვენ მეომრული ნიჭნი გვექონან, შეიხის დოსტმა კაცთა შორის დიდებად შედვა.

ენამან ჩიტამან კაცისათვის განუცადის გზნობაც იცის და მსიტყვე-

ლობაც. ვაგლახ, რომ ცნობანიჭებუ-
ლი კაცი არაა ჩიტთა ენის მეცნავი.
ამიტომაც მმანო, სხვას არას დაინა-
ხავს ჩვენსას კაცი,თვინიერ გავაზებ-
რივი ზნისა და სიმალისა. კაცი მიწ-
ყივ იმას ლამობს, რომ მახე დაგ-
ვირწყოს, შეპყრობილნი თავის ყაი-
დაზე შეგვამეცადინოს, თავის ენას
გვაზიაროს. დია ეთნება და ეხარება
კაცს ჩვენი სამისხო. მას ჩვენს ტყვე-
ქმნილ თანამომძეთა წურთნა მეცნიე-
რებად უქცევია და ამ საღვაწოს დი-
დი მოთმინებით შეჰყენებია. მოდ-
რეკს იგი გავაზის შეუხდინარ ზნეს
და კაცის სიახლოვეს, მის მკლავზე
დაყუდებას ასწავლის. თავისიანთა
შორის ყიფურად არონინებს მას მომ-
წვრთნელი და მთელი გულით ხა-
რობს. უმეტესს გავაზნი ოდენ ტყიუ-
რობის წაგვრით ვეზიარებით. თავისი
ნაშიერის განსასწავლად ისე არ დაიკ-
რებს კაცი თმენას, ვითარც ბაზთა მო-
საწვრთნელად. ეს ინიშნეთ მმანო.
შვილი თუ არ გამოადგა კაცს სა-
მოსწავლოში, მოაყინებს და განა-
ძობს მას. შევარდენს კი კაცი უდი-
დესი მოთმინებით წვრთნის. მისი
ეიმედება, მის დოსტობას მოელოდე-
ბა. საშემეცნებოდ რომ იჩენდეს კაცი
ასეთ მოთმინებას, უფრორე ბრძენი
და მიწვენილებაში მყოფი იქნებოდა.
შევარდენის ჭვრეტა, მისი ყავლა ანი-
ჭებს კაცს იმ მოთმინებას, რაიც მას
ყველაზე ნაკლებად აქვს. შევარდნით
არის კაცი მთმინარე აღმზრდელი და
მამზრალი მომწვრთნელი. საკვირველ
არს ესე, მმანო.

შევარდენის აღზრდაში სიბრძნის-
მოყვარე ხდება კაცი. მმანო ჩემნო,
ჩვენი უმეტესია კაცი ცნობით. იგი
არაა ელვისებრ მიმომსვლელი და ქა-
რივით მალი, გარნა ნივთთა სახელ-
დება ძალუმს. მის ძეს ჩვენს ნაშიერ-

თაგან განსხვავებით, მოწვრთნითა
და სწავლებით შეეძინება ცოდნიე-
რობა. კაცის უმეტესი არსებანიც არი-
ან და ვითარც ტახტოსან კაცთან გე-
ბით შესახელდა მისი შევარდენი,
ასევე კაცი შესახელდება მასზე უმე-
ტეს არსებასთან მქცევლობით და
უაღრესიქმნება.

ჰე მმანო, რამდენია თქვენს
შორის ისეთი, რომ შეიპყრო კაცმა და
მოწვრთნა დაუწყო. ვერ შეეპოვნეთ
იმას,რაიც მტაცებრივი დაუდგრომ-
ლობის მოთრგუნვას მოითხოვდა,
ვერ აღიჩინეთ სამოსწავლო თვინიე-
რება. ნადირობის ჟამს გაექცით
კაცთ, რომელნიც დიდად დაშვრნენ
თქვენს აღზრდაში და ისევ ტყეს
დაუბრუნდით. შეიხის შევარდენი კა-
ცისმიერი აღზრდილობით განითქვა.
უხორცო არსებამ რომ კაცი მოსაწვრ-
თნელად შეიპყროს, ხოლო კაცი გაექ-
ცეს მას, განა ამით ის თავისუფლებას
მოინაგრებს? გამოქცეულს გამოქცევა
თავისმა თანამომძებმა რომ შეუტ-
ყონ, განა ამას ჩაუქობად მიუთვლიან
მას?

ჩვენი ცხოვრება სხვა რა არის,თუ
არა სისხლში სვრემა, ქორებთან და
ყვავ-ყორნებთან ლაღვა. ველად და-
დგრომილი კაცი ჭვრეტს და ჰკვი-
რობს ჩვენს ჭაბუკობას, არა რომელი-
მე ნადირი ან ფრინველი. რაც ჩვენ-
თვის თავისუფლებაა, ის კაცისთვის
ტყიურობაა, ხოლო რაც კაცისთვის
თავისუფლებაა, ის მასზე უმეტესი
უხორცოსათვის უგებ-უცანობაა. რაი
არს თავისუფლება, გინა აზნაურება,
დახსნილობა და განჯაჭვულობა?

ბევრეული კაცნი შენატვრიან
ფრთოსანთა მიმოდენას და ხატოვ-
ნად იტყვიან კიდევ მავან თავისიან-
ზე-ჩიტივით თავისუფალიაო. გავაზ-
ნი, ყვავ-ყორნები, მწყერ-კაკაზნი ერთ-

ნაირად თავისუფალნი არიან ტყედ და ველად გებით. ვითარც ჩვენი მამა-პაპანი იყვნენ თავისუფალნი, ასევე თავისუფალნი იქნებიან ჩვენი შთამომავალნი, გარნა ტყის ქათმიონისა და ტურა-მელების ლალვაში ვერვინ მოინაგრა ამ თავისუფლებით იმაზე მეტი ნიჭი, ვიდრე გვაქვს. ვერა რაით აღვემატებით ჩვენს მამა-პაპათ. ეს გულსიბუქდეთ ძმანო და მიწყვი იფიქრეთ სიკვდილად მიხდამდე. ვკვდებით და ჩვენს ლეშთ მღილი ხრავს, ბუმბულს კი ქარი ფანტავს. მტვერს ერევა ჩვენი გავაზებრივი მოყმობანი. კაცთა შორის გებული შეიხის შევარდენი ის აზნაურია, უაზნაურეს რომ იქნა. მოკვდება შეიხის დოსტი და კაცივით დაიმარხება. დაეყუდება მის სამარესთან შეიხი და გული ჯავრით შეემრუმება. ჩვენს ძვალთ ტურები მიმოფანტავენ, ბუმბულს კი პირში მიაყრის ქარი ნადირთ და არავინ იქნება ჩვენი მომხსომი. წააწყდება სადმე ამ ბუმბულს იმ კაკბისა და ხოხბის ნაშიერი, ჩვენ რომ მოსამშეირად ვეტევებოდით და ბუდის სარბილობლად წარიტანს. სულ თვალწინ ექნება მას გავაზთა ბუმბული და მაინც არასოდეს გავაზსენდებით. თუ არსთა მხადს არ ენანება შევარდნებრივი სისრულის ესევეთარი განქარვება, უნდა დავისკვნათ, რომ უმეტესი სისრულისა მან უწყის და მისი შემფლობელნიც სადღაც ჰგინან.

ის, რომ შევარდენნი ცათა შინა თავადობენ, არ ნიშნავს ჩვენი თავისუფლების ერთადერთობას. უღონონი და მცონარენი არიან ბევრეული კაცნი. მათ სიტყვა „თავისუფლება“ ისე ჰგვემს, როგორც უდაბნოდ მარებ ხათრიან ყარობს მას შეჩენილი იფრითი ან ღული. ის, რაც აღზრდით

მოიპოვება, მის წინაშე ნადირ-ფრინველთა თავისუფლება გამოსაჩენი არაა. მრავალი კაცი აღბორგებულა თავისი ხვასტაგითა და დოვლათით, გარნა თავს დათუელ სიავეშიც ვერ შეუცვნია რაი არს თავისუფლება.

ამასაც გამცნობთ მომმენო, შეიხის შევარდენი რომ გამოექცეს კაცთ დატყეველს მოაშუროს, ამით შევარდენთა თემს რაიმე შეემატება თუ გამოქცეული დაკარგულ აზატობას დაიბრუნებს? მისი აქ მოსვლით ჩვენს სამისხოს არა შეეძინება რა. ქედი მოუხარეთ ჩემო ძმანო შეიხის დოსტს, ოქროთი ფეხმკობილს. დაე დაუბრუნდეს იგი კაცთა თემს. იგი კვლავ იტყვის ჩვენს დიდებას. იფრინე სუნნელო გავაზთა გვარისაო და მოგვინაგრე სახელნი სასახელონი“.

ესე მოუმცნო შევარდენთა მცოვანმა ჰაქიმმა თავის თემს და უხოტბა მომძმეთა წინაშე რიჰულ-ჰაკლის.

დადუმებულნი იყვნენ მთელი ეს ხანი ტყიური შევარდნები. თავი დაიდრიკა მთელმა მათმა სამისხომ მოხუცი შევარდნის ბჰობიერობაზე. ისე სიბრძნისმოყვარე კაცის მსიტყველობას შეეძლოს უგებ-უცან მოყვასთა მოდრეკა და მათი ბრიყვობის განქარვება, ვითარც ფრთოსანი ჰაქიმის მოუბნარობამ მთელი მისი თემი მოდრიკა და სიბრძნეს შეასაკუთრა.

* * *

ჟამთა გამოხდომის შემდეგ მოკვდა რიჰულ-ჰაკლი. დამარხა შევარდენი შეიხმა ლალიბმა და დარდით იყო შეპყრობილი დიდხანს. ყადი მოვიდა მასთან რიდით, წიგნი მოიყოლა. არ ეგებისო მეფეს ჩიტის გამო ესერიგად მწუხრეულობა. იწყინა შეიხმა, სიტყვა დაუწუნა ყადის და

ესე მიუგო, რომ გულის ხვაშიადს წიგნი ვერ დაუდებენო სამანს.

შეიხის ბადიშიც კი იყო ამ შევარდნის მომხსოვნელი. სახელი რიჰუ ლ-ჰაკლი სამკობელ და სახოტბო სიტყვად იქცა.

ერთი დერვიში იყო. მოიძულა მან რეზაი და გეზაი სოფლისაი. შეუწყინდა მის მზაკველობას, აღმოთქვა სიტყვა საუდიარო და განეშორა მას. ველთა და მალნართა შორის დადგრომილიყო დერვიში. რინდობდა, თავის შიგანში მზუდარე სიკვდილს ჭვრეტდა, სიბრძნის მონაგრებისათვის თადარიგობდა. ჩიტთა ენის მეც-

ნავი იყო იგი და მიემოწმა შევარდენტა თემის სამსჯავროს. მან მოიტანა ამბავი შეიხ ღალიბის სამეფოში. განიკვირვა ყოველმა კაცმა ფრთოსანთა ჰაქიმის უბნობა. ალაჰის სიბრძნე განადიდეს და ბრიყვნი დიდად მოაყივნეს. მაშრიყმა შეიტყო ეს ამბავი. მერმე იგავად იქცა.

ეს იგავი ქართლში ფეხშემომცდარმა კონიელმა მოლამ მიაშო რამდენიმე წლის წინათ. ამ გაზაფხულზე ვნახე გავაზის ბოინი, მიმოტყევა და თავადობა ცის საქცეველზე. მეც ეს იგავი დავწერე.

2011 წლის აპრილი

ძველქართული და არაბულ-სპარსული სიტყვების განმარტება

-ა-

აზატობა (სპარს.) _ თავისუფლება

აზმა _ ქება

აზნაურება _ თავისუფლება

ანდამი (არაბ.-სპარს.) _ ტანადობა

არსთა მხადი _ ღმერთი

ასაბია _ თანამებრძოლი

ახოვნება _ სიმამაცე, სიმხნე, გულოვანება

-ბ-

ბაზი _ შევარდენი

ბაზიერი _ სანადირო ფრინველთა მოხელე

ბარაქა (არაბ.) _ მადლი, კურთხევა

-გ-

გავაზი _ შევარდენტა და სხვა სანადირო ფრინველთა საერთო სახელი

განპოხებული _ პატივმოსილი

განუცადი _ თვალთ დაუნახავი, უხილავი

განჯაჭვულობა _ თავისუფლება

გებული _ მყოფი, არსებული

გეზელი _ მტაცებელი

გულჯარბობა _ ბოროტის ზრახვა

-დ-

დურად _ თვალისათვის საამოდ

დახსნილობა _ თავისუფლება

-ე-

ემისე _ დაუმეგობრდი(მისება-მისად გახდომა,შეამხანაგება)

-ვ-

ვერ შეეპოვნეთ _ ვერ შეეთვისეთ, ვერ შეეწყვეთ (შეპოვნება-შეთვისება)

-თ-

თაბიათი(არაბ.) _ თანშობილი ზნე

თვინიერ _ გარდა

-მ-

მომმევლება _ დატყვევება

მოხსენალი _ მხსენებელი

მქცევლობა _ ურთიერთობა

მქცევლობენ _ ურთიერთობენ

-ნ-

ნივთთა მარსისაგან ესრე ეგო _ ღმრთისაგან ასე გაჩნდა

-პ-

პოხილი _ პატივდებული, გამორჩეული

-ს-

საანჯომანოდ _ თვალსაჩინოდ, საქვეყნოდ

საცოდ _ ცისთვის, სასუფეველში მისასვლელად

-უ-

უაღრესჰყო _ გამორჩია

უდრი _ შეუდარებელი

უვარდობა _ უბედობა, უსვეობა

უმოლხინესად _ უფრო უკეთ

უმნო _ შეამყო, უხოტბა

-ღ-

ღნიოშობა _ სიცუდე, სიავე

-ყ-

ყავლა (სპარს.) _ შესახედაობა

ყუმხანა _ სანადირო ფრინველთა სამყოფი

-შ-

შემტყვე _ გამგები,შემცნობი

შესხმა _ ქება,ხოტბა

-ჯ-

ჯაჰილია _ ისლამამდელი დრო არაბეთში

-პ-

ჰაქიმი (არაბ.) _ ბრძენი





nino Cuxrukize

გეოსაინფორმაციო შემადგენელი პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების სისტემაში

ჰკუა, ცოდნა და გამოცდილება ჰქმნიან იმას, რასაც საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციამ – OESD (რომლის წევრი 30 სახელმწიფოა, მათ შორის აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა, გერმანია, ესპანეთი და თურქეთიც კი) ცოდნის ეკონომიკა უწოდა. ცოდნის წარმოება მოითხოვს ამ პროდუქტის სავაჭრო ბრუნვაში ჩართვას, ცოდნაზე მოთხოვნის განსაზღვრის წესების დადგენას, საბაზრო მომსახურების სფეროში მაღალმოთხოვნადი ცოდნის მოცულობის განსაზღვრას. აუცილებელი გახდა საყოველთაოდ ცნობილი ცოდნის გამიჯვნა მის საფუძველზე შექმნილი ახალი ცოდნისაგან. ეს კი თანამედროვე ჰუმანიტარული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე ძნელად მისაღწევი მიზანია. ვინაიდან კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის 90% შექმნილია უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, თანამედროვე საზოგადოებაში ცოდნის, მომსახურების და შრომის ბაზრები ცოდნის ეკონომიკის განუყოფელ ტრიადას წარმოადგენენ. ეს გარემოებები საფუძვლად უდევს დასკვნას, რომ ცოდნის სექტორი პრობლემათა გადაწყვეტის მანქანას წარმოადგენს.

2011 წლის მარტის იაპონური გეოლოგიური კატასტროფა საოცარია არამარტო თავისი სამყაროსეული მასშტაბით, არამედ შემადრწუნებელია ბუნების ძალების დაუნდობელი სისასტიკით და მომკული მსხვერპლის ტრაგიზმით. ძნელია დროში განგრძობადი მიწისქვეშა ბიძგებით, ცუნამით, მოსახლეობის და ბიომასის რადიკალური მარცხით გამოწვეული ზარალის დადგენა მაგრამ თითქმის შეუძლებელია ამ დამანგრეველი გეომძვრების შედეგების განსაზღვრა.

ამ ეტაპზე კვლევის საგნად ავირჩიე გეოსაინფორმაციო შემადგენელი, როგორც საფუძველი პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ავტორებისათვის. „კომპეის უკანასკნელი დღე“, ატლანტიდის საიდუმლო, ტუნგუსის მეტეორიტი, 1948 წლის აშხაბადის და სპიტაკის 1988 წლის მიწისძვრები, 2010 წლის მექსიკის ყურეში ზღვის ფსკერიდან ნავთობის არაკონტროლირებადი ამოხეთქვა არა მარტო წარსულის ანალოგიებია არამედ კაცობრიობის განვითარების ისტორიული პროცესის გეოსაინფორმაციო შემადგენელი.

შევეხეთ რა ანალოგიებს, დაისვა საკითხი მათ არსებობაზე გონიერების და სიბრძნის წყაროში – ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში. ცივი-

ლიზაციის ისტორიაში წმიდა წერილების ფურცლები არ არის შეზღუდული ბიბლიური ხანით, უფლის სიტყვას, როგორც ჭეშმარიტების და პრაქტიკის კრიტერიუმების განმსაზღვრელს ყველა დროში აქვს ძალა და ღირებულება. მომავალში მიმართვა იოანე მოციქულის „გამოცხადების“ მე-7 თავის სიტყვები: „ნუ დააზიანებ მიწას, ზღვასა და ხეს“. „გამოცხადების“ მე-6 თავში ვკითხულობთ – „ცა გაუჩინარდა დაგრაგნილი წიგნივით, ყოველი მთა და კუნძული დაიძრა თავისი ადგილიდან“. დედამიწის ფიზიკური ბიძგები ცნობილი მიწისძვრების სახელწოდებით იოანე მოციქულის „გამოცხადებაში“ მოიხსენიება არაერთხელ და კოსმოსურ ძვრებთან ერთად უფლის კატასტროფული სასამართლოების ერთ-ერთ ფორმად ითვლება.

დედამიწაზე ასეული მილიონი წლის წინ მიმდინარე გეოლოგიურმა პროცესებმა შექმნეს კონტინენტების დღევანდელი ფიზიკური სახე, მატერიკების სანაპირო ხაზები, ოკეანეების, ზღვების, ტბების აკვატორიები, მდინარეების კალაპოტები, სასარგებლო წამარხების სარტყელები, მინერალური რესურსების პროვინციები, ნავთობის და გაზის საბადოები, ნიადაგის საფარების ტიპები, პლანეტის პოლარული ქუდები, ვულკანები, უდაბნოები, ტუნდრა. გეოლოგიურმა პროცესებმა ისტორიულ დროში ჩამოაყალიბეს ცოცხალი სამყაროს გეოგრაფიული გარემო, ცივილიზაციური ფორმაციების და სოციალური ურთიერთობების არეალი, რომლის ბუნებრივმა და კლიმატურმა პირობებმა განუსაზღვრეს ადამიანს დროის და სივრცის ლიმიტი. ძველი საბერძნეთის მოგზაურმა, „ისტორიის მამად“ ცნობილმა ჰეროდოტემ აღმო-

აჩინა მოვლენა, რომელიც დღემდე ინარჩუნებს თავის აქტუალობას – მოვლენათა მსვლელობა ემორჩილება ბუნებრივ პირობებს.

დედამიწაზე, დედამიწის ქერქზე მეცნიერული ცოდნის განვითარებამ განაპირობა გეოლოგიური ძიების თანამედროვე ტექნიკური საშუალებების შექმნა, სასარგებლო წამარხების მოპოვების, გადამუშავების, გადიდრების უახლესი ტექნოლოგიების შემუშავება. თუ არა ნავთობი და გაზი კაცობრიობის უახლესი ისტორია სულ სხვა იქნებოდა. ნავთობის და გაზის რესურსებზე, ქვანახშირის აუზებზე, სასარგებლო წამარხების პროვინციებზე და სარტყელებზე, მათ შორის წყლის მარაგებზე მის მყარ და თხევად ფორმებზე კონტროლი, მართვა და განაწილება აღმოჩნდა ჩართული გლობალიზაციის პოლიტიკაში, კონკრეტული სახელმწიფოების დაცულობის, საზოგადოების უსაფრთხოების და სტაბილურობის ელემენტი, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების უზრუნველყოფის გარანტი. დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრის, ციური სხეულის – მთვარის კოლონიზაცია და მისი მინერალური რესურსების ათვისება გლობალიზაციის პოლიტიკის გეოკოსმოსური ერთ-ერთი პრაქტიკული მიზანი გახდა. სწორედ ამიტომ ტრანსნაციონალური სტრუქტურების მიერ თანამედროვე ენერგოპროექტების განხორციელება მათი პოლიტიკური აქტივობის საფუძვლად მოგვევლინა, გახდა ინტერესთა შეუთავსებლობის, ფარული და ღია მეტოქეობის, შეიარაღებული კონფლიქტების მიზეზი, სასურველი პოლიტიკური მიმართულებით ზეგავლენის განხორციელების საშუალება, მოსყიდვის, შანტაჟის და მუქარის საგანი. კაცობრიობის

მთელი ისტორიის განმავლობაში ასეთი გარემოებები ადრე არ ყოფილა. ნავთობის მოპოვების და მოხმარების მოცულობა მისი გადამუშავების და მრეწველობაში სანედლეულო მასალების წარმოების მიზნით მუდმივად იზრდებოდა და 109 წელი – 1859-დან 1968 წლამდე. დასჭირდა, რომ მოპოვებულ იყო პირველი 30 მლრდ. ტონა. მომდევნო 30 მლრდ. ტონის მოპოვება მოხდა სულ რაღაც 10 წელიწადში – 1968-1978 წწ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ნავთობის საბადოების სამრეწველო ათვისების დაწყებიდან სხვადასხვა გაანგარიშებებით 2005 წლამდე მოპოვებული იყო 45-60 მლრდ. ტონა ნავთობი. ეს წონა და სხვადასხვა მონაცემებით დღეისათვის მსოფლიოში ყოველწლიურად ამოღებული 3 მლრდ. ტონის წონა დედამიწის მასას აკლდება.

ანალოგიური ციფრებია დედამიწის ყინულოვანი საფარის დნობის პროცესის შესწავლისას. ანტარქტიდის ფართობის 14.4 მლნ. კვადრატული კილომეტრიდან თითქმის 2 მლნ. კვადრატული კილომეტრიც ყინულს უკავია, რომლის მოცულობა 30 მლნ. კუბური კილომეტრია. ეს კი დედამიწის ხმელეთის ყინულის 90%-ია. ყინულის ამ მასის საშუალო სისქე – 2500-2800 მეტრია. ყინულოვანი საფარის დინების გამო, ზღვისპირეთთან მისვლისას ხდება მისი დაშლა და ასეთი აბლაციის შედეგად ოკეანეში აისბერგების სახით მოხვედრილი ყინულის ყოველწლიური მოცულობა 2500 კუბურ კილომეტრს აღწევს. ამრიგად ანტარქტიდიდან ყოველწლიურად ოკეანეს 25 მლრდ. ტონა წყლის მასა ემატება. ხმელეთის ყინულოვანი საფარის დარჩენილი 10% განლაგებულია არქტიკასა და გრენლანდიაში სადაც მისი ფართი

1726 კვ.კილომეტრს აღწევს ხოლო მოცულობა 2,6 მლნ. კუბური კილომეტრია. ამ პროცესების ინტენსივობა და მოცულობა გახდა პლანეტარული გეოლოგიური ურყევობისათვის რეალური საფრთხის მომტანი ხოლო თვით ეს რეგიონალური მათ შორის კონტინენტური, ტექტონიკური მდგრადობა ჩვენი დედამიწის გეოკოსმოსური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი გახდა. საკითხებს ართულებს ის გარემოება, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის და იმთავით, სადაც განლაგებულია ნავთობის და გაზის გიგანტური და ზეგიგანტური საბადოები, ნახშირწყალბადების მოპოვება და მათი სამეურნეო ბრუნვით მიღებული კაპიტალი მოსახლეობის მატერიალური უზრუნველყოფის და სოციალური მომსახურების ფინანსურად კვების საფუძველია.

დღეისათვის ადამიანის სამრეწველო საქმიანობის ზეგავლენის მასშტაბები და სიმძლავრე დედამიწის გეოლოგიური პროცესების ძალას გაუტოლდა. სწორედ ამიტომ დრო კარნახობს მეცნიერულ სამყაროს და საქმიან წრეებს შორის ურთიერთკავშირების გაღრმავებას და ურთიერთგაგების განმტკიცებას.

სპარსეთის კასპიის ზღვის სამხრეთული სანაპირო ზოლის ბუნებრივმა და კლიმატურმა პირობებმა განაპირობა მებაზრეშუმეობის დარგის არსებობა ამ რეგიონში. სწორედ ეს გარემოება საფუძვლად დაედო პეტრე I-ის 1722 წელს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას გამოეყენებინა ძალა სპარსეთის ფინანსური ნაკადების და სავაჭრო ბრუნვის მარშრუტების გადამისამართებისათვის არხანგელსკისაკენ და ბალტიის ზღვის მიმართულებით. პეტრე I-მა ანიშნა ვახ-

ტანგ მე-VI თავის სურვილზე დახმარების აღმოსაჩენად, მაგრამ ეს დახმარება მიუღწეველი მიზანი იყო, ვინაიდან რუსეთის მხედრობის ზურგში განადგურებული ბაქო რჩებოდა, მდინარე მტკვრის ხეობით თბილისამდე მარშირებისას მტრულად განწყობილი გარემო, უსაზღვროდ გაწელილი და ადვილად გადასაკეტი კომუნიკაციები, ლოგისტიკის დროული და საჭირო მოცულობით უზრუნველყოფის შეუძლებლობა. გარდა ამისა პეტრე I-თან თანაწორუფლებიანი პარტნიორობისათვის ვახტანგ მე-VI სახელისუფლებო შესაძლებლობები შეზღუდული იყო ხოლო პოლიტიკური გავლენის რესურსი არასაკმარისი.

ბოლშევიკებმა 1920-1921 წლებში წითელი რუსეთიდან რევოლუციის ექსპორტი განახორციელეს დროში თანმიმდევრულად გათვლილი და სტრატეგიულად სწორი გზით: მე-11 არმიის ბაქოს აღების შემდეგ 1920 წლის 28 აპრილს გამოცხადდა აზერბაიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა. მე-11 არმიამ შემოვლითი რეიდით და 1920 წლის ნოემბრის ბოლოს ერევნის აღებით უზრუნველყო თავისი სამხრეთული ფლანგის უსაფრთხოება და მხოლოდ ამის შემდეგ შეუტია საქართველოს და 1921 წლის 25 თებერვალს დაფუძნდა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა. ამრიგად სულ რაღაც 20 დღეში 1921 წლის 16 მარტს რფსრ-ს და თურქეთს შორის „მე-

გობრობის და ძმობის შესახებ“ ხელშეკრულების ხელმოწერის დღისათვის მოსკოვს ამიერკავკასიის სამ დომინანტ რესპუბლიკაში ჰყავდა სამხედრო ძალაზე დამყარებული პოლიტიკური რყევებისგან დაცული რეალური ძალაუფლების მქონე რევოლუციური კომიტეტები. 1921 წლის 16 მარტს მოსკოვის ხელშეკრულების სახელწოდებით ცნობილი „რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკასა და თურქეთის დიდი ეროვნული საბჭოს შორის მეგობრობის და ძმობის შესახებ“ ხელშეკრულების ტექსტობრივი ანალიზით დგინდება საქართველოსათვის დამდგარი პოლიტიკური, ჰუმანიტარული და სოციალური შედეგები, რომლებიც უფრო გაართულა 1921 წლის 13 ოქტომბრის ე.წ. „ყარსის ხელშეკრულებამ“.

ჩვენ დროს ხმელთაშუა ზღვის და კასპიის ზღვის სამხრეთული ნაპირის 20°-40° განედზე მოქცეული ნავთობ-მომპოვებელი რეგიონის სახელმწიფოების მმართველ ფიზიკურ პირებს შორის მიდგომებში და შეფასებებში წინააღმდეგობების მოსპობა და პოლიტიკურად ნიველირებული და გეოსტრატეგიულად ერთგვაროვანი სივრცის ჩამოყალიბების სურვილი ლიბიაში, ეგვიპტეში, იემენში, საუდის არაბეთში და სხვა ქვეყნებში 2011 წლის გაზაფხულიდან დღემდე მიმდინარე სოციო-ეკონომიკური ძვრების საფუძველი გახდა.





badri cxadaZe

eka cxadaZe

ხარის კულტი და გლეხ, უღელ, ურემ, ხარ // ხან, ონვა
(//_>ხვნა), ხარება ლექსემების წარმომავლობისა
და ურთიერთმიმართებისათვის
ქართველურ ენებში

(ეთნოლინგვისტური გამოკვლევა)

ხარის კულტის ძირძველი ტრადიცია, საერთოდ, ცხოველის მოშინაურება და სამიწათმოქმედო საქმიანობაში ჩართვა, ქართველებს, ჩვენს წინაპრებს, მოწინავე ერების გვერდით აყენებს. საყოველთაოდ გავრცელებული აზრის მიხედვით, სწორედ მშვიდობისმოყვარეობისა და მიწათმოქმედების გამო შეარქვა ერთ-ერთი უძველესი კულტურის მქონე ერმა, ბერძენმა ხალხმა, ჩვენს სამშობლოს (ჩვენს წინაპრებს), **გეორგია** და **გეორგიანელები**. საერთოდ, წინააზიის ტომების ხელოვნებას, როგორც ისტორიკოსები ამბობენ, ყველას ერთი მოდელი ასაზრდოებდა – **შუმერული** [1, 48]. ცხადია, შუმერული ცივილიზაციის ნატეხებად ჩვენი წინაპრებიც იგულისხმებიან... სწორედ წინა, ანუ მცირე აზიაში დაირწა მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი. ქართველ არქეოლოგთა აზრით კი, ჩვენს წინაპრებს, ქართველებს, თუმცა ცივილიზაცია არ ჰქონდათ, მხოლოდ კულტურა გააჩნდათ, მაგრამ ისეთი კულტურა,

რომელიც ცივილიზაციის სათავეებთან იდგა. თავის საჯარო ლექციებში, ჯერ კიდევ 1911 წელს (1923 წელსაც პარიზში, 1923, 3/110) აკად. ნ. მარს ალუნიშნავს: „ვიკადრებ თქმას, რომ დღეს იქნება, თუ ხვალ, ქართული ენის შეუსწავლელად და მის აღმოჩენილ საშუალებათა გაუცნობლად, ვერც ერთი საკაცობრიო კულტურულ სიძველეთა საკითხი ვერ გადაიჭრება“ [1. 56] (ციტატას ვიმოწმებთ ს. ფირცხალავას წიგნიდან). მართლაც, ქართული ენის არცოდნის და ქართული ანალების გათვალისწინების გარეშე დღეს ყოველად წარმოუდგენელია ძველი სამყაროს ცივილიზაციის კვლევა. აღმოსავლურ ცივილიზებულ სამყაროსთან ქართველებს არაერთი ტერმინი გვაკავშირებს. ერთ-ერთი მათგანია **გლეხი**. იგი უშუალო კავშირშია **ხარის კულტთან**. ეს ძველი აღმოსავლურ-ქართული სოციალური ტერმინი („გლეხი“) ერთგვარი გასაღებია ეროვნული სამიწათმოქმედო საქმიანობის შესაცნობად.

1. გლეხის ეტიმოლოგიისათვის

ლექსემა **გლეხი** მოიხსენიება ასურულ-ბაბილონურ ლურსმულ წარწერებში. გ. მელიქიშვილის მოსაზრებით, „შავი ზღვის პირას დასახლებული ქვეყნის სახელი სახეებით შესაძლებელია წაკითხულ იქნას „გილ-ხი“-ს („გილხი“ – „გლეხი“) სახით“ [2, 23]. მისივე შენიშვნით, „ეს სახელწოდება, საფიქრებელია, წარმოადგენდეს დიალექტურ ვარიანტს „კოლხი“ სახელისას. სწორედ ეს შესაძლებლობა გვაძლევს საშუალებას იმ ნიშნის წაკითხვისას, რომლითაც იწერება ამ სახელწოდების პირველი მარცვალი, უპირატესობა მივცეთ „გილ“ ან „ქილ“, „კილ“ მნიშვნელობას და არა სხვა მნიშვნელობებს, რომლებიც აგრეთვე აქვს ამ ნიშანს“ [2, 23-24, სქოლიო]. როგორც მკვლევარი დაასკვნის, **ტიგლათფილესერ I** წარწერები იმის საფუძველს იძლევა, რომ ჩვენს ერამდე XII ს-ის დასასრულს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხოვრობდნენ **გილხის (გელხის)** მრავალრიცხოვანი ტომები. მათი „60 მეფის“ მოხსენიება და სხვა ასეთი ამკარად მიუთითებს, რომ აქაური მოსახლეობა ამ დროს ჯერ კიდევ ცხოვრობდა გვაროვნული წყობილების პირობებში [2, 24]. სიტყვა „გლეხ“-ს მოგვიანებით მიწის მუშის შინაარსის გამოხატვა დაეკისრა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ძველად „მდაბიოს“ მნიშვნელობითაც არის დამოწმებული. ჩვენი მოსაზრებით, გლეხი „მიწის მუშა <_ გლეხი „მდაბიო“. ეს უკანასკნელი კი დაბაში (სოფელში) მცხოვრებს ნიშნავს. ამ სიტყვას, როგორც ფართო, ისე ვიწრო მნიშვნელობა, ურთიერთისაგან გამოდინარეობს და ასეთ ახსნას რაიმე

სემანტიკურ-აზრობრივი წინააღმდეგობა არ ახლავს. ისტორიულად კი, არაა გამორიცხული **გლეხ** ლექსემა მართლაც **კოლხ** სიტყვის სახეცვლილება იყოს: კოლხი > **კკლხი** (< აქ ეს გრაფემა ნეიტრალური ანუ ნახევარხმოვნის აღმნიშვნელია, ზანურ, სომხურ, ჩეხურ... ენებში რომ გვაქვს) > ***კილხი** > **გილხი** (< > გ ყრუ-მკვეთრი თანხმოვნის მქდერი ვარიანტი) > **გლიხი** // **გლეხი** (მეტათეზისი). სამწუხაროდ, **გლეხი**, ისე როგორც თავის დროზე ი. ჭავჭავაძემ შენიშნა, **დედაკაცი**, ქართველებს დასაცინი, ირონიული შეფერილობის ტერმინი გაგვიხდა. ეს კი ამ ბოლო საუკუნეებში მოხდა, როცა ქართველთა სახელმწიფოებრივი და ეროვნული ღირსება შეიღახა, შრომა და გარჯა-დასაცინი რომ შეიქნა. დღეს სწორედ ასეთი შერყვნილი აზროვნების შედეგია სიტყვა „გლეხ“-ის ყველაზე ცუდი მნიშვნელობა **გლახა**, რომელიც ამჟამად ძირითადად დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული, თუმცა იგი ძველ ქართულშიც გვხვდება (შდრ. იმერეთში გავრცელებული დიალექტური სიტყვაფორმები: **გლახა**, **გაგლახავ** (ცემის მნიშვნელობით), **შელახა** <_ **შე გლახა**“, **გლახაკი** (ორი მნიშვნელობით: 1. საცოდავი, ჩამორჩენილი, გასაჭირისას ახლობლისთვის მხარში არდამდგომი; 2. სალანძღავი სიტყვა = იტყვიან ვისმეს (ბავშვი, მოზრდილი, ზრდასრული ადამიანის) მიმართ..., როცა არ უჯერებენ, არ გააგონებენ, არ დაემორჩილებიან...), **საგლახაო** = სამასხარაო, საცინლად საგდები; **გლახაობს** „ცინიკოსობს, ლაზღანდარობს“, **დაგლახაკავებული** „ცუდი ცხოვრებით ნირშეცვლილი“); „გლახათ ვარ“ (= ცუდად ვარ ან კიდევ;

„გლახათაა ჩემი საქმე“); „შე გლახო, ძველო!“ (შემცველი ჟარგონული იერისა); **რას მეგლახავები** – „რას მიბედავ, რას მელაზღანდარები“; **გლახის ჭირი** = „სამარცხვინო“ (სალანძღავი სიტყვაა); **გლახიშვილი** (სალანძღავი სიტყვაა); **გლახა ორფები** (= სალანძღავი სიტყვაა) – თუმცა იმავდროულად, იმავე პერიოდში **გლახა** იქა-აქ იგი კაცის სახელადაც შემოგვრჩა. შდრ. **გლახო** (ალ. ყაზბეგის „მამის მკვლელის- გმირი **გლახო**, რომელიც იასაულის უვიცობამ დალუპა), **გლახუნა** (ა. წერეთლის „ბაში-აჩუკის“ ერთ-ერთი პერსონაჟის საკუთარი სახელი), შდრ. **გლახუნა** (კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“-ს პერსონაჟი). შდრ. ი. ჭავჭავაძის ერთ-ერთი მოთხრობის სათაური „**გლახის** ნამბობი“... დღეს ამ საკუთარ სახელს საქართველოში არავის არქმევენ... ვფიქრობთ, **გლებ** // **გლახა-ს** უარყოფითი შინაარსი გამოძახილია ბატონყმობისდროინდელი ხანიდან, როცა **გლების** ერთ-ერთი სოციალური ტიპი, სხვა გლებთაგან, ყოვლად უუფლებო იყო...

შენიშვნა 1: აღსანიშნავია, რომ **გლახა** საკუთარ სახელად გვქონია ქსნის ხეობაში: „**თინიკასშვილს გლახას** შემოუწირავ ხუთი მინლთუნი (სიც).“ (წარწერა ეკუთვნის XIX საუკუნეს) [18, 68].

შენიშვნა 2: ე.წ. საშუალო ქართულის ისტორიულ დოკუმენტებში **გლებ** // **გლახა** რომ ერთი და იმავე შინაარსის სიტყვაფორმები იყო, მოწმობს ისეთი სიტყვათშეხამება, როგორიცაა „**საგლახო რუ**“ (რაც უდრის „საგლებო რუს“): მუხრანის ველის „საგლახო რუ“ ის რუ არის, რომელიც გლახებს (თუ გლებებს) ურწყავდა მიწებს, ან, უფრო სწორად, იმ ადგილებ-

ზე მიედინებოდა, რომლებიც გლახებით (თუ გლებებით) იყო დასახლებული [55, 417].

ღირსსაცნობია, რომ აკად. ს. ჯანაშიას დაკვირვებით, „გლები“ უნდა ყოფილიყო სტრაბონისეულ იბერიის აღწერაში მოხსენიებული იბერიის მოსახლეობის მეოთხე „გვარის“ (ბერძ. „გენოს“) ადგილობრივი ქართული სახელი. ესენი იყვნენ „სამეფო მონები“, რომელთაც მიჰქონდათ ყველა საარსებო საშუალება პირველი – „სამეფო გვარისათვის“. ისინი, შესაძლებელია, დაპყრობილი და დამორჩილებული თემების წევრები იყვნენ. ს. ჯანაშიასეული ქართლის სოციალური სტრუქტურა, ქრისტიანობის ოფიციალურ კულტად ქცევისას, ასეთია: ურთიერთობა მონარქიასთან აჩქარებს სოციალურ-ეკონომიკურ ზრდას. მეფის ხელშია მნიშვნელოვანი მიწის ფონდები და „ყმები“ (მეოთხე გენე), რომელთაც მეფე ურიგებს ამ პირებს სხვადასხვა ფორმით, მხოლოდ, საფიქრებელია, მუდამ სამხედრო სამსახურის პირობებით... [3, 213]. ცხადია, გლების ეს „საფეხურებრივი დახასიათება“ გვიანდელია, ადრეფეოდალური ხანისაა. ტერმინი გლები და მისი თავდაპირველი მნიშვნელობა კი, ცხადია, სავსებით ძველია. მკვლევარნი, ჩვენს მსგავსად, შესაძლებლად მიიჩნევენ ამ ტერმინის ეთნონიმისაგან მიღებულად, მაგ., პროფ. ნ. ადონცი **გლებ** და სომხ. **გრეპიკ**ს იდენტურად მიიჩნევენ და „არამეია“ და „მოსზოი“სგან მომდინარედ სახავენ [4, 436] თუმცა ზოგიერთს ეს ტერმინი ქართულ ენაში ნასესხებ სიტყვად მიაჩნია ნ. მარსაც კი ეს სოციალური ტერმინები ეთნიკური წარმოშობისად ესახება. მისი ახსნით, სომეხ-არამიდების ტომი ის-

ტორიულად წინ უსწრებდა სომეხ-ჰაიებს, რომელთა დროსაც სომეხ-არამიდები, წინანდელი ბატონ-პატრონები მდგომარეობისა, იქცნენ დაბალ წოდებად თვით სომეხებისა ე.წ. „რამიკ-ებად“. აღსანიშნავია, რომ ნ. მარი ამ სიტყვებს კოლხების სატომო სახელს უკავშირებს [5, 31-34]. ნ. მარისავე ახსნით, რომელსაც სხვა ნაშრომში გვათავაზობს, გლახა იგივე კოლხია, ეს უკანასკნელი სატომო სახელი სვანური გახმოვანებით ქართულში დაცულია „გლახ“-ის სახით, აღნიშნავს „გლახ“ ანუ „მონასო“ [6, 13-14]. როგორც ჩანს, ნ. მარისეული ახსნა ჩვენ მიერ წარმოდგენილი ეტიმოლოგიური წიაღსვლისაგან დიამეტრალურად განსხვავებულია. ჰრ. აჭარიანი ფუნდამენტურ ნაშრომში „სომხური ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ ნ. ადონცისა და ნ. მარისაგან განსხვავებით, გლახის სომხურ შესატყვისად გრეკიკ'ს მიიჩნევს – იგი „უზანს-ქუჩას, საზოგადოდ გზას“ ეწოდება, სომხური ენის დიალექტებში კი „ჩირქის, ბალდამის“ აღმნიშვნელიცაა, ძველ სომხურში კი „ფუნასა“ და „ტალახს“ ერქვაო [7, 336-337]. სომხურში, სომეხ მკვლევართა ნაშრომებში, ჩანს, ეტიმოლოგიური წიაღსვლები უფრო ფართოა და შორსმომავალი. მაგრამ ერთი რამ ფაქტია: სომხურში და ქართულში ამ სიტყვის (გლახ ფუძე) მსგავსება-იდენტურობა სარწმუნოა და ანგარიშგასაწევი ნებისმიერი მკვლევრისათვის. უნდა ითქვას, რომ ივ. ჯავახიშვილს, დიდმალი ისტორიული საბუთებისა და წყაროების შესწავლის შემდეგ, გამოაქვს დასკვნა, რომ „თუ ეს უზრალა შემთხვევით არ აიხსნება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ტერმინი „გლახი“ თავდაპირვე-

ლად არ ყოფილა ქართულ მწერლობაში და შემდეგ შემოსულა [8, 37-38]. დავძენთ, რომ ცნობილმა ქართველმა არმენოლოგმა, პროფ. ი. აბულაძემ ეს სიტყვა სპეციალურად შეისწავლა, სომხურ წყაროებსა და ძველ მონაცემებსაც შეუპირისპირა და დაასკვნა, რომ ტერმინი გლახი მნიშვნელობით „სოფლელი“, „მიწის მუშა“, ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებთა შორის მხოლოდ XI ს-დან დასტურდება, თუმცა მისივე შენიშვნით, ხშირად არა, მაგრამ მაინც გვაქვს ამ სიტყვის ხმა-რება მეთერთმეტე საუკუნემდე ქართულ მწერლობაში. მას ჩვენ ხვდებით უპირატესად თარგმნილ ძეგლებში. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევად ავტორი ასახელებს „რიფსიმიათა წამების წიგნს“, რომელიც მისივე მოსაზრებით VIII ს-ზე უადრესი და IX ს-ზე გვიანდელი არ უნდა იყოს [9, 25]. გლახი გვხვდება ე. წ. სვანურ მრავალთავშიც (A _19), რომელიც X საუკუნისადაა მიჩნეული. იგი დასტურდება ბიბლიის ერთ-ერთ წიგნში („სიბრძნე სოლომონისი“). ი. აბულაძის საბოლოო დასკვნით, გლახი ქართულშიც და სომხურშიც ზოგადი სახელი იყო დაბალი კლასის აღსანიშნავად. ასე ესმის ეს სიტყვა ლეონტი მროველსაც, თუმცა ერთგან „გლახაკ“ ფორმითაც გვხვდება (მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრებაში“ გლახაა). ი. აბულაძის თქმით, ამ ზოგად მნიშვნელობასთან ერთად ძველად, X საუკუნის გასულისათვის, ეს ტერმინი („გლახი“) კერძოობითაც არ იყო მოკლებული, სახელდობრ, სოფლელს, მიწის მოქმედს ანუ გლახს ნიშნავდა, ჩვეულებრივი გაგებით. ეკონომიკურ-ეკონომიური გარჩევა: მდიდარი – გლახაკი –> გლახი საფუძველი უნდა შექმნილი-

ყო სოციალური განსხვავებულობისა: მეფე – გლეხი; ძლიერ – უმრწამესი; წარჩინებული – გლახა; ანდა აზნაური – უაზნო, იგივე გლეხი, ე. ი. დაბალი მასა. გლახა → გლახა → გლახ // გლეხი. პატივცემულ მეცნიერს, შპირისპირებითი, ვრცელი ანალიზიდან გამომდინარე, ამ სიტყვის სომხურიდან ქართულში შემოსვლა და დამკვიდრება მაინც საეჭვოდ მიაჩნია („მარტო ის, რომ სომხურში იგი „ქუჩას, უბანს თუ საზოგადოდ გზას“ აღნიშნავს, ვერ გახდება მარტოდენ იმის მანიშნებელი, რომ ქართული „გლახაკ – გლახა – გლეხი, რომელიც უფრო ვრცელი შინაარსისაა, ვიდრე სომხური, მომდინარეობდეს ამ უკანასკნელისაგან, სადაც ამათ შესაბამისად ნავარაუდები სიტყვის ძირი „გრეკ“ის ეტიმოლოგია უცნობია“) [9. 29-30]. ამრიგად, უფლებას ვიტოვებთ დავასკვნათ, რომ გლეხ სიტყვა წარმოშობითა და სიძველით ქართულია და კოლხ ეთნონიმისგან მომდინარეობს: ჩანს, კოლხები მიწათმოქმედებით გაიცნეს ისტორიულად ჩვენ გვერდით მცხოვრებმა ხალხებმა, (ბერძნების მსგავსად... შდრ. გეორგია, ოლონდ ამ შემთხვევაში ბერძნებმა თავიანთი, საკუთარი სიტყვა (ტერმინი) გამოიყენეს მიწათმოქმედი ხალხის აღსანიშნავად) კოლხ <_ კოლ-ხ (= კოლ-ელი, ხ ბოლოსართი აქ წარმომავლობა-სადაურობის ქართველურ-კავკასიური სუფიქსია). ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, რადგან მიწათმოქმედება, გლეხი, როგორც სამუშაო- მოქმედი და ხარი, როგორც გამწევი ძალა, უპირველესად, სოფელთან, სოფლის მეურნეობის დარგებთან ასოცირდება. სანამ უშუალოდ ქართველური ენების ხარ სიტყვის სახესხვა-

ობებს შევეხებოდეთ, მანამ კიდევ რამდენიმე (ორი) სიტყვა განვიხილოთ, რომლებიც მუშა საქონლის, მეურნე გლეხის ერთ-ერთი დამახასიათებელი თანამდევია. ეს სიტყვებია უღელი და ურემი. უღლის დადგმის გარეშე ხარის გახედვნა-მოშინაურება ხომ ყოვლად გამორიცხულია. როგორია ამ სიტყვების (უღელი, ურემი) „ლინგვისტური მახასიათებელი“?

2. უღელის ეტიმოლოგიისათვის

ამ სიტყვას ქართველურ ენებში კანონზომიერი შესატყვისები მოეპოვება: ქართ. –ელ, მეგრ. –უ, ლაზ. –უ [10. 25-26], [11. 89-92] ქართ. უღ-ელი, მეგრ. უღუ- „უღელი“, სვან. უღუა „უღელი“ (აქ უ, უბრჯგუ გრაფემას), საერთო ძირია უღ. [12. 310]. უღელი და უღლეული გვხვდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში. სვანურის ამ სიტყვაფორმაში ბოლოკიდური -ა სუფიქსია და ქართულის უღ-ელ ფუძეს შეესატყვისება. ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირისპირა პ. ჭარაიამ [13. 113], ქართული და სვანური – ო. უორდროპმა [14. 634], გ. კლიმოვმა საერთო-ქართველური ფუძე ენის დონისათვის აღადგინა *უღელ არქექტიპი [15. 186]. აკად. არნ. ჩიქობავას, რომელიც ხაზს უსვამს ამ ძირის უთუო კავშირს ინდოევროპულ და უნგრულ-ფინურ ენებში ამავე შინაარსის მქონე სიტყვებთან, მესაქონლეობა-მომთაბარეობის დროის ეს ტერმინი „შორეულ წარსულში, მცირე აზიაში ქართველი ტომების ინდოევროპულ ენებზე მოუბარ ტომებთან შეხვედრის შედეგად მიაჩნია“ [16. 31]. როგორც ჩანს, ეს ერთგვარი სკეპტიციზმი გამოწვეულია, როგორც არაერთ სხვა შემთხვევაში,

ინდოევროპული პარალელიზმით [17. 135]. მართლაც, ეს ტერმინი ძალზე გავრცელებულია გერმანულ და გერმანიკულ (ინდოევროპულ) ენებში (თანამ. გერმ. Joch, საშ. ზემოგერმ. joch, ძვ. ზემოგერმ. i.joh, ძვ. საქს. juk, ინგლ. yoke, შვედ. ok, გოთ. juk, და სხვ. აქედან შეუთვისებია იგი ფინურს: jiuko. Jukka, იგივე ძირი გვაქვს ხეთ. inga, ბერძნ. zyigon, ლათინ. iugum, ძვ. სლავ. iġo, ლიტვური Jiungas, ლატვიური Jūgs ძვ. ინდ. yuga. ამოსავლად მიჩნეულია ძველი ინდური ძირი *īeu („დაკავშირება, შეკვრა“), მისი გავრცობილი ფორმა *īeug) [18, 332]. გ. მელიქიშვილის მართებული დაქვეებით, „მარტო ძიების ფორმალური შედარების საფუძველზე ძნელია მაინცდამაინც მტკიცება, რომ ეს ტერმინი მცირეაზიულ ინდოევროპულ ენებიდან არის ქართულში შემოსული“ [19. 216]. მისივე მტკიცებით, რაშიც ჩვენც ვეთანხმებით, არნ. ჩიქობავა ზემორე დასკვნის გამოტანისას უცილობლად ამოდიოდა ტრადიციული შეხედულებიდან, რომ ინდოევროპულ ტომებთან უძველეს ხანაში შეხვედრა ქართველურ ტომებს მხოლოდ მცირე აზიის მიწაწყალზე შეიძლება ჰქონოდათ, მაგრამ ასე კი იყონამდვილად?, – დასძენს პატივცემული მკვლევარი. მართლაც, ძნელია ვამტკიცოთ ამ სიტყვის ინდოევროპულობა, რაც უნდა საერთო ძირები იყოს ამ ენებში, მთავარია, რომ 1. უღელი სრულ შესატყვისობაშია სხვა ქართველური ენების მონაცემებთან, ინდოევროპულ ენების მონაცემებს კი შესატყვისობას ვერ დავარქმევთ...2. უღლის და დაუღლის კულტურა, ჩვენშია საძიებელი, რად-

განაც ჩვენი წინაპრები მომთაბარენი არ იყვნენ და იძულებითი მიგრაცია მხოლოდ წინა აზიიდან კავკასიამდე ხდებოდა, 3. ჩვენ ხომ უხსოვარი დროიდან მშვიდობისმოყვარენი ანუ მიწის დამმუშავებელნი, მიწათმოქმედნი ანუ გეორგიანელი ვიყავით... მსგავსი საერთო ტერმინი შეიძლება სხვაც გვაქვს, მაგ, ტარიგი, ტარეხა, შდრ. ტრაგედია და ბერძნული ძირი ტრაგოს („თხა“), მაგრამ ეს უფრო ქართველური სამყაროს კუთვნილებაა, ვიდრე ინდოევროპელი ხალხების... [20. 58-69]. ასე, რომ სრული საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ ამ სიტყვის ქართველურ წარმომავლობაზე.

3. ურემის ეტიმოლოგიისათვის

ურემი ქართული სიტყვაა [19. 216]. იგი, როგორც ძველი ქართული სიტყვა, დაფიქსირებულია სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“, ძველი ათლქმის უძველეს ქართულ თარგმანში [21]. გ. მელიქიშვილის დაკვირვებით, ბერძნულშიც გვაქვს მსგავსი სიტყვა („ჰარმა“) „ეტლის“ მნიშვნელობით (შდრ. ლათ. armentum) „მსხვილფეხა პირუტყვის“ შინაარსით. მაგრამ, მისი აზრით, უფრო საინტერესოა „უღლის“ მნიშვნელობით სლავურ ენებში გავრცელებული ძირი – ძვ. სლავ. jarīmo, რუს. яpmo და სხვ., [19, 216] რომელიც ბერძნულ „არარისკოს“ მონათესავე ძირად მიაჩნიათ [22]. მ. ფასმერის მონაცემებით, რუს. арна (ორბორბლიანი გრძელი „ტელეგა“-ს ნიშნავს სამხრეთ რუსეთში, ორბორბლიან „პოვისკას“ ყირიმში და შუააზიასა და კავკასიაში, საიდანაც ის თურქულიდან შევიდაო [22. 83]. ჩვენ პირიქით გვგონია (თუ, რა თქმა უნდა, გამოვრიცხავთ არაბე

ბის ეთნოტერმინს (//ეთნონიმს) „არაბს“ (მდრ. არაბული ჯიშის ცხენის სახეობა ქართ. არაბულა ცხენის სახელი და მისთ.), რუსული арна და თურქულ-არაბული „არაბა“ (აქედან შესულია ჭანურში, სადაც არაბა ურემსაც და მანქანასაც აღნიშნავს...) ქართული ურემის სახესხვაობებია; ურემის ნაწილისა თუ ურემის სახეობებისა სახელდება მსოფლიოში არსად იმდენი არ გვეგულება, რამდენიც ქართულ-ქართველურში. უმთავრესი პოსტულატი კვლავ იგივეა – ჩვენი ძირძველობა-გეორგიანელობა (მიწათმოქმედება, მიწასთან სიახლოვე, დედამიწის უსაზღვრო სიყვარული, რაც ტერმინის სახელდებაშიცაა გამოხატული...) და აბორიგენობა კავკასიასა და მცირე აზიაში. ჩვენი არგუმენტებითა და მსჯელობით ამჯერად თავს არ შეგაწყენთ, დაუკმაყოფილებელ მკითხველს კი გასაცნობად დავუსახელებთ ცნობილი ქართველი ეთნოგრაფის მ. გეგეშიძის ფუნდამენტურ გამოკვლევას, სადაც ხართან, უღელთან და ურემთან მიმართებით არაერთი ტერმინია დასახელებული და მეცნიერულად შესწავლილი (**აჩაჩა ურემი, ჩოჩიალა ურემი, ფრჩხილებიანი (ფრჩხილა) ურემი, დაბალი ურემი, მარხილიანი (მარხილა) ურემი, მთის ურემი, ფიცრული ურემი, ხოხიკია ურემი, (სამეგრელოში), ხოხა ურემი – ასე უწოდებენ სამხრეთ საქართველოში...**) [23]. დავმენთ, რომ მისი ნაშრომის მიხედვით, საქართველოში ბორბლიანი ტრანსპორტის მხოლოდ ორი სახეობაა ცნობილი: **ქართული ორბორბლიანი ურემი და იმერული აჩაჩა ურემი** [23. 16].

4. ხარი და ხარ სიტყვის შესატყვისები ქართველურში

საქართველოში მსხვილი რქოსანი საქონლის გამწევი ძალად გამოყენების დიდი ტრადიცია არსებობს. ეს გამწევი ძალა კი, ძირითადად, ხარია (ხართან შედარებით უფრო იშვიათია კამეჩის გამოყენება, კიდევ უფრო ცხენისა და ყველაზე იშვიათად სახედრისა). ამრიგად, **ხარი, ხარურემი** ძველ საქართველოში უპირველესი გამწევი საშუალება იყო. როგორც სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, ტვირთის გაწევა ხარს და მისი გაძღოლა ადამიანს სახვენელზე ადრე საზიდში უნდა ესწავლათ [23. 99]. ხარს საქართველოში სხვადასხვა შემახილით მიმართავენ: ჰამოლ (ადგილიდან დაძვრა, გასაჩერებლად – ჰო-ო-ო), გვერდზე მისაყენებლად კი „ხი-ი-(ო-ო)“ [23, 106]. ვფიქრობთ, ეს არასრული ჩამონათვალა შორისდებულებისა ხარის მოსადენად, გასარეკად თუ შესაჩერებლად რომ იხმარება. მაგ., **ხი // ხი ხაროს** იმერეთში **ხარს** მაშინ ეტყვიან, როცა მისი გაჩერება-შედგომა ან უკანდახევა უნდათ – ხვნისას, ტვირთის აკიდებისას თუ უტვირთოდ ყოფნისას... **ხი** შორისდებული, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში **ხევა** (დახევა, უკანდახევა) გაჩერების მიმანიშნებელია და ხევა ზმნისაგან მომდინარეობს (იმერეთშივე **ხის პატარა (თოთო)** ბავშვებსაც ეტყვიან, როცა რაიმე პირში აქვს გაჩრილი და მისი გამოღება, წართმევა უნდათ).

აღსანიშნავია, რომ ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფას, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ბოლო დრომდე შემორჩა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებული დღეთა, თვეთა და სეზონთა ხალხური სახელწოდებები, როგორიცაა: **უღლისდება, ალოობა, ალოსთავი, გულხვნა,**

ქერობა, ყანიბარობა, ჭალობა, **მარხი-ლობა**, ხარმანობა, ნამგლობა, კალოკრობა, ნამკალდრეკა, წიფის ჩათავება, წიფეთელიობა, ცელისდება, თიბათვე, მკათათვე, ღვინობისთვე, წიფობისთვე და ბოლოს თვით სთველი, სთველობა (ახ. ქართ. რთველი, რთველობა სახელწოდებები [24. 395]. ცხადია, ყოველგვარ საქმიანობაში, ყველგან, გამწევ ძალად ხარი ფიგურირებს...

ხარი გამორჩეული ადგილი ეჭირა წყლის კულტის რიტუალში. ფ. მაკალათიას ნაშრომის მიხედვით, ირკვევა, რომ:

1. წყალთან დაკავშირებული ნაყოფიერების იდეა სხვადასხვა ფორმით ვლინდება;
2. დღემდე არსებობს გადმოცემები ე. წ. წყლის _ ტბის ცხოველების შესახებ. ამ გადმოცემის თანახმად წყალში ბუდობს **ხარი** (აგრეთვე: წყლის ცხენი, წყლის კამეჩი); **შენიშვნა 2:** ჩვენი დაკვირვებით, შდრ. ამ მხრივ ოკეანისქვეშეთის ზოგი ბინადრის სახელდება: „**ცხენთევზა** (ასევე: **ვირი** მაგრამ **ვირთევზა**, **ვირთხა**, **მაჩვი** მაგრამ _ **მაჩვ-ზღარბი**; მითოლოგიური: **ქალთევზა**) და სხვ.
3. გადმოცემები **ტბის // წყლის ხარის** შესახებ ცნობილი იყო: სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში, შავშეთში, ანატოლიაში...
4. სამურზაყანოში ლეგენდის თანახმად ტბა ერძეგაშრაში **ვერძი** ბინადრობს;
5. მთიანი ჩეჩნეთის სოფელ გალან-ჭკოჟის ტბაშიც (ლეგენდის მიხედვით) **ტბის ხარი** ბინადრობს (რომელიც ტბიდან ამოსვლითა-ნავე სოფლის სახნავ-სათეს ნაკვეთებს ხნავს; მეოთხე კვალის გავ-

ლების შემდეგ წყალი ამოხეთქს და მინდორ-ველს დაფარავს...)

6. სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში და სხვა კუთხეებში გავრცელებული უნდა ყოფილიყო რწმენა ტბის მიმართ, რომელსაც მამაკაცური ბუნების მქონე გამანაყოფიერებელი ძალა მიეწერება. ყოველივე ეს კი დაკავშირებულია კერისა და ნაყოფიერების კულტთან... [25. 299-307].

შენიშვნა 3.: დღეს ქართულში **ხარი** დაკოდული (დაყვერილი) **კუროა**. ამრიგად, ზემოჩამონათვალში ყველგან ხალხი **ხარ-კუროს** უნდა გულისხმობდეს, თორემ იგი გამანაყოფიერებლის როლში ვერ მოგვევლინებოდა.

შენიშვნა 4. ქართველურ ტომებში წყლისადმი გულგრილობის სხვადასხვაგვარი ახსნაა დამებნილი _ ხიფათისა და გაურკვევლობის მოლოდინი, ანუ მუდმივი საშიშროება წყლიდან, ზღვიდან, თავდაპირველი ქაოსიდან. ზღვაში მცხოვრებ ღვთაებას ბავშვებს მსხვერპლად სწირავდნენ აფხაზები. მათი წარმოდგენით, ზღვის ღმერთი ხატი საგანგებოდ დარაჯობდა ადამიანებს, რათა დაეღრძო ისინი. მისი გულის მოგებას მსხვერპლშეწირვით ლამობდნენ: „აფხაზები მსხვერპლს სწირავდნენ სხვა ღმერთსაც, მაგალითად, **აგნიხ-ეტნიხს**, რომელიც **თეთრი ხარისა** თუ ნისლის სახით წარმოიდგინებოდა...“ [26, 207].

ხარი, როგორც ხთონური სამყაროს სახე-სიმბოლო, მრავალი ხალხის მითოსურ წარმოდგენებში ფიგურირებს. ქართულ ხალხურ ლექსში იგია მტვირთველი ადამიანთა ცოდვების ბერძნულ მითში მინოსის ლაბირინთში ანუ ქვესკნელშიც სწორედ ხა-

რისთავიანი არსება დაბუდებული და ადამიანთაგან მსხვერპლს მოითხოვს... [27. 507].

კურო, კურატი // კურეტი (პატარა კურო), იმერ. **კურატანა** (გადატ. ჩასუქებული ადამიანი), ჩვენთვის სპეციალური შესწავლის საგანი გახდა. ამ სიტყვებში **-ატ // -ეტ...** კნინობითი სუფიქსებია [28. 201-204]. აქედანაა ნაწარმოები მეგრული **კურალუა, კურული** (ხართა შეჯიბრების ერთ-ერთი სახეობა) და ბასკურ-ესპანური **კორიდა** (იხ. ამის შესახებ ვრცლად [29. 135-140]).

ხარ, ხარება ფუძეებისგან არაერთი ქართული მეტსახელი, საკუთარი სახელი და გვარია ნაწარმოები: ხარა, ხარაბა, ხართა, ხარია, ხარიკა, ხარდია, ხარან, ხარისთვალა, ხარიტა, ხართუთა (> ხათუთა), მახარბელ,..., ხარამე, ხარაიშვილი, ხარაული, ხარეზავა, ხარაბამე, ხარჭამამე, ხარიჭამიაშვილი, ხარისთვალაშვილი, ხარისჭიშვილი, ხოჯავა,..., ტოპონიმებიც...

ხარ ფუძეს ქართველურ ენებში კანონზომიერი შესატყვისები მოეპოვება: ქართ. **ხარ**, მეგრ. **ხოჯ** („ხარი“), ლაზ. **ხოჯ** („ხარი“) [12. 494]. ძველ ქართულში ხარი **Āარ**, „Āარ“ ძირძველი გრაფემით (ხორხისმიერი ბგერაა, რომელიც დღეს მხოლოდ სვანურში და ქართული ენის მთის დიალექტებში შემოგვრჩა) იწერებოდა. ამ ფუძეში მეგრ. **ხოჯ**, ლაზ. **ხოჯ** (< ***Āოჯ** < ***Āორ**) 'ს პირველად ნ. მარმა მიაქცია ყურადღება [30. 3-4]. ქართ. **ხარ** (< **Āარ**) და მეგრ. **ხოჯ** შეაპირისპირა მ. ბროსემ [31, 72], ლაზური შესაბამისობა გამოავლინა ნ. მარმა [30. 3-4], გ. კლიმოვმა საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონისათვის აღადგინა ***Āან//Āნ** არქტიპული სიტყვაფორმა [15, 263]. ღირსსაცნობია, რომ პირვე-


ლად გ. დეეტერსმა დასვა **Āან** (ზმნური) და **Āარ** (სახელური) ფორმების ურთიერთმიმართების საკითხი [32. 14], რაც გაზიარებულია სპეციალურ ლიტერატურაში. ამრიგად, ქართველური ენების _ ქართ. **ხარ** // მეგრ.-ლაზ. **ხოჯ**, სვან. **Āან** სახელური ფუძეების კანონზომიერი შესატყვისებია ურთიერთის მიმართ, რომლის ზმნური ფუძეა **ხნ//Āნ/ხან//Āან** (ხნავს, Āან-). შდრ. ქართ. **Āან//Āნ**, მეგრ. **ხონ (ხონ-უა „ხვნა“)**, ლაზ. **ხონ (ხონი ([მო]ხანი)**, სვან. **Āან/ Ā ნ (ლიĀნი „ხვნა“)**. ხონ ფუძე ლაზურში იშვიათია [33, 430]. ქართ. **Āან/ხან** და მეგრ. **ხონ** ერთმანეთთან დააკავშირა პ. ჭარაიამ [13, 465], ლაზური ეკვივალენტი გამოავლინა არნ. ჩიქობავამ [33. 430], სვანური _ ო. უორდროპმა [14. 618-619]. გ. კლიმოვმა საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონისათვის აღადგინა * **Āან//Āნ** არქტიპი [15. 263].

შენიშვნა 5: Āან სვანურად **სუნსაც** ნიშნავს (მეორეული მნიშვნელობაა?). არაა გამორიცხული ეს ერთი და იგივე ფუძე იყოს. სვანურ ლექსიკონებში იგი სამართლიანად ცალკე სიტყვადაა გატანილი [34], [35. 392], თუმცა ასლ. ლიპარტელიანს ის შეცდომით ერთ სალექსიკონო ერთეულად მიუჩნევია [36. 377]. ამრიგად, **Āან** ფუძიდან არის ნაწარმოები მიმლეობური ფორმა **სახვნელი**, რომელიც ყოველთვის ფიგურირებს მიწათმოქმედების, მიწის დამუშავების რიტუალში, სადაც **ხვნა** და **სახვნელი**, ქართული წერილობითი ძეგლებისა და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, განაყოფიერების აღმნიშვნელი ტერმინებიცაა:

ქართულში ხვნას სექსუალური აქტის მნიშვნელობაც აქვს. მაგ., „წიგ-

ნი სააქიზოა"-ში, ერთ ადგილას, რომელსაც „კურნებაა მისი რაა მამაცისაგან იყოს უშვილობაა“ ჰქვია, ვკითხულობთ: „იგი არს, რაა სარცხვენელი ცოტაა იყოს დიაცისა მოხენაა სწადდეს დიაცი თავჩაღმა დააწვიოს და ბარკალნი მისნი აამაღლნეს და რაა მოიცალოს, დიდხან თავ ჩაღმა დაყოს დიაცი, და რაა მოხნას ადრე ნუ გაეყრების, ხანი დაყოს ეგრეთვე, რომელ წყალი საშვილესა მივიდეს“ [37. 242]. ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ცნობილია

წყლის მოხვნის რიტუალი (ქართლში) უშვილო ქალების მონაწილეობით: შიშველი ქალები მდინარეში სახვენელს აატარ-ჩამოატარებდნენ და თითქოსდა განაყოფიერების მიზნით წყალსაც შეისხამდნენ... ხენა ამავე აზრითაა გამოყენებული აღმოსავლეთმცოდნის, მწერლისა და მთარგმნელის, ფოლკლორისტის, საზოგადო მოღვაწის, პროფ. ვახუშტი კოტეტიშვილის გამოუქვეყნებელ ერთ-ერთ საკუთარ ლექსში:



(შენიშვნა 6: როგორც ლექსის ფაქსიმილე ცხადყოფს, ბატონმა ვახუშტიმ იგი ჩვენი თხოვნით 1993 წელს დაწერა).

ამასთან დაკავშირებით დაისმის კითხვა: ხომ არა გვაქვს **ხარ** სიტყვასთან და განაყოფიერების რიტუალურ აქტთან კავშირში **ხარება // სახარებ'ის ხარ** ძირი? შდრ. ა-ხარ-ებ-ს _ სა-ხარ-ებ-ა. ეს უკანასკნელი ფორმა ძველ ქართულში გასუბსტანტივებულია ისევე, როგორც „სიმღერა^ა“, „სიტყუა^ა“, „სიკუდილი“, „შიში“... მასდარული შინაარსი მასში არ იგრძნობა: ადრიდანვე იგი წიგნს _ „ოთხთავს“ აღნიშნავს (ძველ სასულიერო მწერლობაში) და არა მოქმედებას. ნამდვილად კი ესაა სა- პრეფიქსით წარმოებული **ხარებ-ა** მასდარი [16. 227]. ამავე „ხარ“ ზმნური ძირისგან **სახარება // ხარება'ს** გარდა ძველ ქართულშივე იწარმოება **სიხარულ, სახარულევან, სახარულ** (ეს უკანასკნელი ნიშნავს „სიხარულს“, „მხარულებას“) მასდარული და ნაზმნარი ფორმები. ეს ზმნური და ნაზმნარი სახელები ძველ ქართულშივე უძველესი ვითარების ნაშთს წარმოადგენენ [38. 66-67]. ამავე ძირისაა რედუპლიცირებული **ხარხარ'იგ**. შესაძლოა **ხარ** ფუძის ნაირსახეობა იყოს (სემანტიკურადაც და ნაწილობრივ ფორმობრივ) **ხი**^{*}, რომელიც უჩვეული შესატყვისობას იძლევა ბოლოკიდური თანხმოვნის თვალსაზრისით. იგი სავსებით კანონზომიერად ცალკე ფუძედაა გამოყოფილი ჰ. ფენრიხისა და ს. სარჯველაძის მიერ: შდრ. ქართ. **ხი-** (მ-**ხი-**არ-ულ-ი), მეგრ. **ხი-**ოლ-ი („სიხარული“), სვან. **ხი-**ად („სიხარული“) [12, 486-587]. (შდრ. **ხა! ხა! ხა ხა!; ხე-ხე-ხე; ხა-ხა-ხა; ხი, ხი, ხი** =დაცინვა სიცილით; **ხი; ხიი** = შეძახილი ხარ-კამეჩის გასაჩერებლად, უკან დასახევად ან გვერდზე მისაყენებლად; **ხი, ხი, ხიო** (იგივეა, რაც **ხი**) [39. 203], შდრ. ხითხითი). თუ ყველა სიტყვის

(ხმაბაძვითი და არახმაბაძვითი) პირველ მარცვალს გავითვალისწინებთ, შეიძლება ისინი ურთიერთს დავუკავშიროთ, რომელთა საერთო კონსონანტი და გამაერთიანებელი **ხ // Ἀ** (ხანი, Ἀარი) იქნება (სხვადასხვა გამოვანებით): **ხ, ხე, ხი, ხუ, ხა, ხო, ხარ (ხარხარი). ხარი და ხარის კულტიც**, გაზაფხულის, ხვნა-თესვის რიტუალს, ბუნების გამოღვიძებას, აღმშენებლობა-გახარებას, შემართება-სიხარულს ესადაგება. ვფიქრობთ, ყოველივე ეს, ჩვენ მიერ განხილული სიტყვები, უძველესია და ქართულ-ქართველური ენების უძველეს ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება.

ზემოთქმულის საფუძველზე, საბოლოოდ, შეიძლება ასე დავასკვნათ:

საქართველოში (კავასიაშიც) **ხარის კულტის** ძირძველი ტრადიცია უშუალო კავშირშია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან, სოფელთან და გლეხთან, რწმენა-წარმოდგენებთან, ნაყოფიერება-განაყოფიერებასთან, გამრავლება-დოვლათთან. ირკვევა, რომ

1. **გლებ** ლექსემა ძველი აღმოსავლურ-ქართული სოციალური ტერმინია, რომელიც ეთნონიმ **კოლხ** სიტყვისგან მომდინარეობს, იგი მეზობელ ტომებში შესულა და დამკვიდრებულა, ხოლო ძველი ქართულ წერილობითი ძეგლების მიხედვით უკანვე დაგვბრუნებია: **კოლხი** _> **კკლხი** _> ***კილხი** _> **გილხი** (**კ**_>**გ** ყრუმკვეთრი თანხმოვნის მჟღერი ვარიანტი) _> **გლიხი // გლეხი** _> **გლახაკი** _> **გლახა**; შდრ., სომხ. **გრეკიკ**. ამიტომაც არ მოუცია მას შესატყვისობა სხვა ქართველ ენასთან (მეგრულ-ჭანური, სვანური). მიუხედავად ამისა, „გლები“ და გლეხობის ინსტიტუტი ერთგვარი გასაღებია ქართულ-

კოლხური ეროვნული სამიწათმოქმედო საუკუნეობრივი საქმიანობის შესაგნობად;

2. უღელი, ხარისთვის, როგორც გამწევი ძალისთვის, განუყოფელი ატრიბუტია ეს სიტყვა სრულ შესატყვისობაშია სხვა ქართველური ენების მონაცემებთან. მისი შესატყვისება: ქართ. –ელ, მეგრ. –უ, ლაზ. –უ; ქართ. უღ-ელ-ი, მეგრ. უღ-უ „უღელი“, სვან. უღუა „უღელი“ (აქ უ, უბრჯგუ გრაფემა), საერთო ძირია უღ;

3. ურემი ქართული სიტყვაა. შდრ. ლაზ.-თურქ. არაბა. რუს. арна; ზოგი მკვლევრის აზრით, ბორბლიანი ტრანსპორტის წარმოშობას საფუძველი ჩაუყარა კვირისტავმა, რადგან იგი მზის გამოსახულებად იყო მიჩნეული (რადგან მზე მოძრავად ითვლებოდა) [40. 4], [41. 82-83]. ე. ჰანის თქმით, თავდაპირველად არსებობდა კვირისტავები, როგორც სათაყვანებელი მზის მსგავსი ემბლემა, რომელიც შემდგომ ეკიპაჟის მოძრაობის იდეად იქცა [40. 4]. ფორესტიერის ვარაუდით კი, რადგან სელის დამზადება ადრევე იცოდნენ, ალბათ, ერთ-ერთმა დედამ შვილს, თითისტარზე (თავბოლოზე) სათამაშოდ კვირისტავები წამოუგო, რაც შემდეგ ეკიპაჟის ღერძად იქცა [42]. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ვფიქრობთ, არც ერთი ვარაუდი არ გამოირიცხება. ბორბლიანი ტრანსპორტის წარმოშობის მეორე ვერსიის თანახმად, ურემი თითქოს წარმოქმნილი უნდა იყოს „საგორავის“ გამოყენების პრინციპის საფუძველზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მძიმე ტვირთის გადასადგილებლად მის ქვეშ მოქცეული მრგვალი ხის გამოყენებას ბიძგი უნდა მიეცა ბორბლიანი ურმის გაჩენის

იდეისთვის. სწორედ ამ ვარიანტს (ასეთ ახსნას) იზიარებს ზემოთ ხსენებული ქართველი მკვლევარი მ. გეგეშიძე, რომლის აზრით, ეთნოგრაფიული თვალთახედვით, თრევასრილის პრინციპია უფრო ადრეული, ვიდრე გორვა [43. 437]. გ. ჯავახიშვილი სამეღე კლდეში აღმოჩენილი კვირისტავების შესახებ მსჯელობისას წერს, რომ კვირისტავთა ნაწილზე მზის სტილიზებული გამოსახულება ჩანს, რაც ქსოვასთან უნდა იყოს კავშირში. ავტორს მათი სხვა ფუნქციური დანიშნულება ვერ წარმოუდგენია. მისივე აზრით, თიხის ბორბლის იმიტაციების დანიშნულებაც გაურკვეველიაო [44. 4, ტაბ. V, XII, XV]. ი. კიკვიძის მტკიცებით, კავკასიაში ენეოლითის ხანისას სოლარული კულტი განვითარებულია, იმავდროულად გამოკვეთილია ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მფარველი ღვთაების „დიდი დედის“ კულტი მცირე ზომის ქანდაკებების სახით [45. 157]. სხვა ქართველ არქეოლოგთა მიერაც არაერთ ნამოსახლარ ადგილას (თეთრი მღვიმე [46. 106], შულავერის გორა [47. 22], იმირის გორა, ხრამის დიდი გორა [48. 5-14]) სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილია ადრემიწათმოქმედი ტომების მიერ თიხისგან გამოძერწილი ქალის ქანდაკებები. ღირსსაცნობია, რომ ანთროპომორფული ქანდაკებების სიმრავლით გამოირჩევა წინა აზია თავისი ადრესამიწათმოქმედო ნასახლარებით. კერძოდ, როგორც აღნიშნავენ, ჩათალ-ჰუიუკის ნამოსახლარზე, სადაც ყოველი მესამე შენობა სამლოცველოს წარმოადგენს, გამოსახულია ქალები როგორც სასქესო ორგანოებით, ისე ბავშვიანი ქალებიც. ასე რომ წინა აზიის, კავკასიის რეგიონი

უნდა მივიჩნიოთ ურმის სამშობლოდ, რასაც ცხადყოფს ამ რეგიონებში აღმოჩენილი ენეოლითის ხანის საკულტო დანიშნულებისა და საოჯახო ყოფისათვის დამახასიათებელი ნივთები და ქანდაკებები.


4. თეთრ მღვიმეში არქეოლოგმა კ. კალანდაძემ აღმოაჩინა თიხისგან ნაძერწი **ხარის რქა** და **თავი**. ავტორის მტკიცებით, მართალია, ისინი სამლოცველოში ცალ-ცალკეა ნაპოვნი, მაგრამ მსგავსება იმდენად დიდია ნაძერწსა და ნამდვილ რქას შორის, რომ ყოველგვარი ეჭვი იმის შესახებ, რომ იგი რომელიმე ხარის ქანდაკებიდან არ იყოს მოტეხილი, გამორიცხულია [46. 100, ტაბ. XV, 10]. სპეციალისტებისათვის დიდი ხანია ცნობილია, რომ ხარი მთვარის განსახიერებაა, მისი რქები სწორედ მთვარის გამომხატველია. ეთნოგრაფები ხარის კულტის არსებობას ყველა ხალხში ვარაუდობენ. ვ. ბარდაველიძის მტკიცებით, სვანეთში შემორჩენილი უძველესი რიტუალი **ზისლობა** ამის დასტურია [49. 179]. არქეოლოგიური მონაცემებით, ხარის კულტის არსებობა დადასტურებულია ადრემიწადმოქმედ ტომებში მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარებზე [45. 171], სადაც ნაპოვნი ხარის ქანდაკებები, ნალისებრი სადგარები, ზესადგარები, შვერილიანი კერები... ახლო აღმოსავლეთში კი, კერძოდ, **ჩათალ-ჰუიუკში (ჩათალ(ა) თურქულად** ორკაპ ჯოხს, ჩანგალსაც ნიშნავს, ბ. ცხ.) ხარის კულტი უფრო ადრე ნეოლითურ ნამოსახლარზეა (ძვ. წ. აღ. VII-VI ათასწლეული) მოძიებული [47. 26-29, სურ. 7-10]. საქართველოში, კერძოდ, **თეთრ მღვიმეში** (წყალტუბოს რაიონშია, ბ. ცხ.), კ. კალანდაძის ცნობით, ხარის კულტი შედარებით

მოკრძალებულადაა წარმოდგენილი (ვიდრე მოგვიანო ხანის ძეგლებზე). მკვლევარი კი ამას იმით ხსნის, რომ ქრონოლოგიურად ეს ძეგლი იმ პერიოდს განეკუთვნება, როცა დედისა და მამის კულტი უფლებრივად დიდად არ განსხვავდებოდა ურთიერთისაგან, მაგრამ მამის უფლებები თანდათან წინა პლანზე იწყებს წამოწევას. ავტორის დასკვნით, თეთრი მღვიმისეული ხარის კულტი უფრო მამამთავრული ხანის კუთვნილება ჩანს [46. 101]. ამავე მღვიმეში მკვლევარს საცხოვრებელ და სამლოცველო დარბაზში მიუკვლევია მამაკაცის ფალოსებისათვის, რომლებიც დამზადებულია როგორც რიყის ქვისაგან, ისე თიხისაგან. როგორც ცნობილია, ფალოსის კულტი, როგორც სიუხვისა და ნაყოფიერების სიმბოლო, ისტორიულად მთელ საქართველოსა და კავკასიაშია მიკვლეული...და ცნობილი.

ხარის კულტი და, კერძოდ, **ხარ** სიტყვა კანონზომიერად აისახა ქართველურ ენებში: ღირსსაცნობია, რომ **ხარ** ფუძეს ქართველურში კანონზომიერი შესატყვისები მოეპოვება: ქართ. **ხარ**, მეგრ. **ხოჯ** („ხარი“), ლაზ. **ხოჯ** („ხარი“); ძველ ქართულში **ხარი ჯარ**, „ჯარ“ ძირძველი გრაფემით იხმარება, მისი ძველი ქართული დაწერილობა – ასომთავრული, ნუსხური, მართლაც მოგვაგონებს ხარის თავის, ხარის რქებს, ხოლო მხედრული – სახენელს (უნებლიე, „შემთხვევითი დამთხვევაა“?!); ეგევე შეიძლება ითქვას ასომთავრული და ნუსხური, მხედრული (განსაკუთრებით XI-XVII სს) ასოების შესახებაც. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ორ ასოს **ხარი (Āარ)** და **ხანი (ხან)** ჰქვიათ. თქვენ თავად განსაჯეთ, შევადართო და ერ-

თობილად თვალი მივადევნოთ ამ ორი ძირძველი გრაფემის დაბადებულ-განვითარების საუკუნეობრივ გზას (წარმოვადგენთ ცნობილი ხელოვნე-

ბათმცოდნის, გრაფიკოს-ანბათმცოდნის ელ. მაჭავარიანისეული „მწიგნობრობა ქართული“-ს [50] მიხედვით):




წერთს სისტემას, ანბანს, საკუთრივ ქართულს თუ არაქართულს, არაერთი სკრუპულოზური სამეცნიერო ნაშრომი მიძღვნიან. ქართული დამწერლობის სტრუქტურის, წარმოშობისა და განვითარების საკითხებს ეხებოდა და ეხება არაერთი გამოჩენილი მკვლევარი (დ. ბაქრაძე, ივ. ჯავახიშვილი, თ. გამყრელიძე, რ. პატარიძე, ა. შანიძე,...). როგორც აკად. თ. გამყრელიძე წერს: „ძველი ქართული დამწერლობის შექმნა არ იყო თავისთავადი და იზოლირებული მოვლენა. იგი მჭიდროდ უკავშირდება

ამავე რიგის მოვლენას იმ კულტურულ არეალებში, რომლებთანაც ქართულ სამყაროს ძველთაგანვე მჭიდრო ისტორიული კავშირები უნდა ჰქონოდა. ამ თვალსაზრისით, ძველი ქართული დამწერლობისა და შექმნის პრობლემა უნდა განიხილებოდეს ამგვარ არეალებში დამწერლობათა წარმომავლობისა და განვითარების ფართო ტიპოლოგიურ ფონზე“ [51. 23]. აქედან გამომდინარე, ქართველ ერს, როგორც ერთ-ერთ ძირძველ კულტურულ და ცივილიზაციასთან ახლო მყოფ ერს მსოფლიოში, რო-

გორც ერთ-ერთ ადრე გამოქვეყნებულ საგაზეთო წერილში ვწერდით [52. 2], უნდა განველო დამწერლობის ყველა საფეხური (ლურსმული, იეროგლიფური...). იქნებ სწორედ იეროგლიფური დამწერლობის დროინდელი ამსახველი და გადმონაშთი იყოს ეს გრაფემები, კერძოდ, ასოები **ხარი (Āar)** და **ხანი (han)**, რომლებ-

შიც შთაყურსულა და იქნებ ახლაც იმზირება ჩვენი ძველი წინაპარი ენათმეცნიერის, მწიგნობრის, დამწერლობისა თუ ანბანთმემქნელის ქართველური ყოფითი თვალსაწიერიდან დანახული არქაული სამყაროს ხატი, **სახენელის, ხენის** _ (მიწის დამუშავება როგორც საშოს) გამნაყოფიერების სიმბოლოთა სახით.



5. **ხენა** და **სახენელი**, ქართული წერილობითი ძეგლებისა და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, განაყოფიერების აღმნიშვნელი ტერმინებიცაა; ვფიქრობთ, ეს არც უნდა გაგვივივრდეს – **ხენა** და **სახენელ** ლექსემათა დატვირთვა მეორეული (იქნებ უპირველესი!?) მნიშვნელობით, ეს ტერმინები ხომ სქესობრივი აქტის აღმნიშველი „ინგრედიენტებია“ და ხარის კულტს, გამრავლება-

დოვლათს უკავშირდება. შდრ. ამ მხრივ სვანური ენის მონაცემი: **Āუმ**, რაც მამაკაცის სასქესო ასოს აღნიშნავს (ასლ. ლიპარტელიანის შენიშვნით, **ჟუმ** (რომელიც მხოლოდ მას შეუტანია თავის „ჩოლოურულ ლექსიკონში“), უკავშირდება **ლაჯვამ** სიტყვას, „ლენტეხურ კილოზე **ლაჯვამ** ეკლესიას ნიშნავს. არსებობს რელიგიური დღესასწაული **ლილჯვამი**, როგორც ჩანს, ძველად მამაკაცის

სასქესო ასო ყოფილა გაღმერთებულ-
ლი. ამისი ანარეკლი უნდა იყოს ძვე-
ლი საწესჩვეულებო თამაში **ბერა-
მოღვა**. რომ ეს მართლაც ყოფილა
ძველად, ბიბლიიდანაც ჩანს: აბრაამ-
მა უთხრა ელიაზარს „დამდეგ ხელი
შენი წყვილთა ჩემთა და გაფუცენ შენ
უფალსა, რათა არა მოჰგვარო ცოლი
ძესა ჩემსა ისააკს ასულთაგან ქანა-
ნელთასა, რომელთა მე მკვიდრ ვარ
მათ შორის, არამედ ქუეყანად ჩემდა,
რომლისგან ვარ მე, წარხვიდე ტომისა
მიმართ ჩემისა, და მოჰგვარო ცოლი
ძესა ჩემსა ისააკს მუნით“ (შექმნ. 24.
2. 4.). მისივე თქმით, მამაკაცის სარ-
ცხვინელ ორგანოს ზემოსვანურად
ჰქვია **ტატულ** – სომხურად კაცის სა-
ხელია. მოზრდილის ასოს **კუტ** ჰქვია,
პატარისას – **კუკვ** ან **ჭუჭ** [36, 379]).
ჩვენს მხრივ დავძენთ, რომ ამ სიტყ-
ვების (**კუტ**, **კუტუ**, **კუტა**, **კუდ**, **კუ-
დუსუნ**, **კოტ**, **კუედ**, **მკვიდრ**...) სპე-
ციალურ ლინგვისტურ-ეტიმოლოგი-
ურ ანალიზს სხვა დროს, სხვა ნაშ-
რომში შემოგთავაზებთ, რაც შეეხება
Āუმ ლექსემას, იგი ჩვენ დადასტუ-
რებული გვაქვს სვანური ენის ბალს-
ზემოურ კილოშიც; სამწუხაროდ,
„სვანურ ლექსიკონში“ [34] ეს სიტყვა
საერთოდ არ ასახულა (მოერიდათ?).
ლაĀვამ სიტყვა, რომელშიც ლა- სიტყ-
ვასაწარმოებელი თავსართია და და-
ნიშნულების ქართულ სა- პრეფიქსს
(ან სა- – -ო ცირკუმფიქსს) უდრის
(**Āუმ** „პენისი“, **ლაĀვამ** „საპენისო,
საფალოსო“) მართლაც ძველისძველი
წარმართული საკულტო ტერმინებია
(ნაყოფიერება-განაყოფიერებისა), რო-
მელთაც, ქრისტიანულ ხანაში, სვან-
თა გაქრისტიანების შემდგომ (**ლაჯ-
ვამ**) ეკლესიის შინაარსის გამოხატვა
შეუძენია. სვანურ ენაშივე აქედანვე
ნაწარმოები რელიგიური დღესასწაუ-

ლის აღმნიშვნელი **ტერმინი ლილჯ-
ვამიც** („პენისობის [ფალოსის] დღე-
სასწაული“), წარმართობის დროინ-
დელი ლექსემაა, რომელიც სხვა
მსგავს სიტყვებთან ერთად მრავალ-
ათასწლეულს ითვლის. ამრიგად, **ხნ
// ჳნ // ხან // ჳან**, ვფიქრობთ, სემან-
ტიკურად და ფორმოზრივადაც მჭიდ-
რო ნათესაურ კავშირს ამჟღავნებს
ჯუმ „პენისი“, **ლაჯვამ** „საპენისო“),
ლილჯვამ ლექსემებთან: **ჯუმ //
ჯვა[ა]მ // ჳან, // ხან // ხარ; ნ, რ, მ**
სონანტთა მონაცვლეობა, საერთოდ,
ქართველური ენებისათვის ჩვეულებ-
რივ დამახასიათებელი მოვლენაა.
შდრ. სვან. „**ლიც**“ // **ნიც**“ (= წყალი),
ქართ. **ლიცლიცი**, **გალიცლიცება**;

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ
სვან. **ჯუმ // ჳვა[ა]მ** ფუმესთან და-
კავშირებით საოცარ თანადამთხვევას
და საგულისხმო ერთობას ამჟღავნებს
მეგრულის ენობრივი მონაცემები. მე-
გრულშიც დღემდე შემონახული
გვაქვს ეს ფუმე **ხვამ**’ის სახით. ესაა
ოხვამე, რაც ნიშნავს ეკლესიას (აქ **ო-
– ე** ცირკუმფიქსია ანუ სიტყვასაწარ-
მოელი თავსართ-ბოლოსართი). იგი
სემანტიკურადაც, წარმოებითაც და
წარმომავლობითაც იდენტურია სვა-
ნური **ლაჯვამ** სიტყვისა. შდრ. **ოხვა-
მალი** („დასალოცი“; „სალოცავი“,
„სადღეგრძელო“), **ოხვამერი** იგივეა,
რაც **ოხვამალი**, მისი მნიშვნელობე-
ბია: 1. სალოცავი, ღვთაება, ხატი...,
რომელსაც ლოცვით მიმართავენ,
ევედრებიან. 2. სალოცავი ქვევრი,
რომელიც ჩაფლული იყო მიწაში და
რომელიმე ღვთაებას განეკუთვნებო-
და. **ოხვამერი** იმართებოდა წლის
სხვადასხვა დროს. განსაკუთრებით
ცნობილი იყო: **სალორონთო** (საღვ-
თო); **სამგარიო** (მიხეილ არხანგე-
ლის); **საჯეგო** (წმინდა გიორგის სა-

პატივცემულოდ); **საკაპუნო** (ღვთაება კაპუნის საპატივცემულოდ). სამეგრელოში (მეგრულშივე) ცნობილია აგრეთვე გამოთქმები და სპეციფიკური ტერმინები: **ოხვამერი ლაგვანი** (სალოცავი ქვევრი) [სახელდებული იყო აუცილებლად]. **μ ვაჯიმ ოხვამერი** (ყვერის სალოცავი). როგორც ო. ქაჯაია აღნიშნავს, სამეგრელოში ერთადერთ ვაჟიშვილზე გადატანით იტყვიან: „ენავა თიში **μ ვაჯიმ ოხვამერი რენია**“ – ესაო მისი იმედიანო (მემკვიდრეაო) [53. 470]. მეგრულშივე გვაქვს ისეთი სიტყვა-გამოთქმები, როგორიცაა: **ოხვამური** (იგივეა, რაც ოხვამერი), **ოხვამური საქონელი** (სალოცავად ხატისთვის შეწირული, დაპირებული საქონელი) [53. 470]. შეიძლება ითქვას, რომ მეგრულისა და სვანურის **ხვამ, Ⴀუემ (//Ⴀვა[ა]მ)** საერთო ლექსემები მეგრულ-სვანური ერთიანობის, ოდინდელი ხანის, ენობრივი მაჩვენებელია. ეს ის წარმართული ხანის ათასწლეულებია, როცა ძველ სვანებსა და ჭან-მეგრელებს (ზანებს, კოლხებს) საერთო სალოცავსა და რიტუალში განაყოფიერება-გამრავლების და სიუხვის სიმბოლო „ფალოსი“ იყო აღიარებული. ამ კუთხით ძიება, დარწმუნებული ვართ, არაერთ ლინგვო-ეთნოგრაფიულ ფაქტს და ტერმინს გამოგვავლენინებს.

6. **ხარს** გამორჩეული ადგილი ეჭირა წყლის კულტის რიტუალში;

7. **ხარ** ძირი იდენტური უნდა იყოს **ხარება, სახარება, სახარულ სიხარულ...** ზმნური ფუძეებისა;

8. **ხარი** და **ხარის კულტიც**, გაზაფხულის, ხვან-თესვის რიტუალში, ბუნების გამოღვიძების, აღმშენებლობა-გახარების, შემართება-სიხარულის

გამომხატველია. ვფიქრობთ, ყოველივე ეს, ჩვენ მიერ განხილული სიტყვები, უძველესია და ქართულ-ქართველური ენების უძველეს ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება.

შენიშვნა 7. ე. წ. „აღორძინების ხანის ქართულის“ თავჩენილ სპარსული წარმომავლობის **ხარა** (= 1. მაგარი, 2. აბრეშუმის ქსოვილის ერთი სახეობა) [54. 176-177] ლექსემას არაფერი აქვს საერთო ზემოგანხილულ ქართულ **ხარ // Ⴀან...** სიტყვაფორმებთან.

შენიშვნა 8. ხარის კულტთან და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებით ყურადსაღებია პირველქმნილი „ადამიანური“ ურთიერთობები სამიწათმოქმედო, საამშენებლო კუთხით, ასევე ზორცვებისა და გორაკების წარმოშობის საკითხიც.

როგორც ცნობილია, ნეოლითის ხანაში ანუ ახალი ქვის ეპოქაში ადამიანები თანდათანობით გადავიდნენ წარმოებით მეურნეობაზე. სწორედ ამ დროს ჩაისახა მეურნეობის ის დარგები, როგორიცაა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა [47. 5]. ამ მოვლენას ცნობილმა ინგლისელმა არქეოლოგმა გ. ჩაილდმა მოსწრებულად და ხატოვნად **ნეოლითური რევოლუცია** უწოდა [47. 6]. სადღეისო მონაცემების საფუძველზე, როგორც ფიქრობენ, მიწათმოქმედების წარმოქმნის რამდენიმე დამოუკიდებელი ცენტრი უნდა არსებულებოდა, ერთ-ერთი უძველესია წინააზიური ცენტრი, რომლის შიგნით მკვლევარნი რამდენიმე დამოუკიდებელ სამიწათმოქმედებო კერას გულვობენ [47. 38].

უძველესი წამიწათმოქმედო კულტურები გამოვლენილია სირიაკილიკიაში, ანატოლიაში, პალესტინაში, ჩრდილო ერაყში, ამიერკავკასი-

ასა და ირანში [47. 6]. აღსანიშნავია, რომ მეურნეობის ახალი პროგრესული ფორმის წარმოქმნა გამორჩეულად ითქმის წინააზიური სამყაროს ჩრდილო ზოლში – ამიერკავკასიაში. პალეოლითის გვიანდელ საფეხურზე ამიერკავკასიის სხვადასხვა ოლქები კარგადაა ათვისებული. ამ დროისათვის განსაკუთრებით მჭიდროდ და ინტენსიურად სახლდება ის ტერიტორია, რომელიც შემდგომ ქართველურ ტომთა ძირითადი ადგილსამყოფელი ხდება (დაახლოებით ესაა საქართველოს დღევანდელი ტერიტორია [47. 7]. არსებული მასალების მოძიების მიხედვით, ადრეული სამიწათმოქმედო კულტურები დასტურდება დასავლეთ საქართველოს ბარში, ქვემო ქართლის ვაკეზე, მილის, ყარაბაღისა და მუღანის ველებზე, არარატის ველზე [47. 8].

არქეოლოგების მიერ დგინდება, რომ:

ა) კავკასია მრავალი ხორბლეული ჯიშის სამშობლოცაა. ცნობილია ისიც, რომ ზოგი მათგანი ერთგვარ გარდამავალ საფეხურად წარმოგვიდგება ველურ და კულტურულ ფორმებს შორის. ასეთია, მაგ., **მახა**, რომელიც ბოლო დრომდე შემორჩა რაჭა-ლეჩხუმს. ასევე **რბილი ხორბალი** (და მისი ჯიშები), რომლის ნაშთები ძვ. წ. აღ. III ათასწლეულიდან დასტურდება მტკვარ-არაქსის კულტურაში.

ბ) რბილი ჯიშის ხორბლეულს საქართველოში დღესაც წამყვანი ადგილი უჭირავს. ღირსსაცნობია ისიც, რომ ქართული **დღლის პური**, რომელიც რბილი ჯიშის ხორბალს მიეკუთვნება, ქართველი მიწათმოქმედის პირშოა. ამრიგად, საქართველო-ამიერკავკასია მსოფლიოში ხორ-

ბლის წარმოშობის ძირითად რეგიონად გვევლინება [47. 9]. გ) ადამიანს ქვემო ქართლის ბარი ათვისებია ქვის ხანის ადრეული საფეხურიდანვე. ამ ხანის ნაშთები აღმოჩენილია მარნეულის რაიონში, წოფთან. აქვე მასალობრივ ადასტურებენ ძველ და ახალ ქვისხანებს შორის გარდამავალ საფეხურს (მეზოლითს). ფიქრობენ, რომ სწორედ ამ მეზოლითური კულტურის მატარებელმა ტომებმა შექმნეს ქვემო ქართლის ბარში ადრესამიწათმოქმედო საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძველი [47. 11].

დ) მდ. ყვირილას ზემო წელზე, რომელიც უშუალოდ ემიჯნება აღმოსავლეთ საქართველოს, რამდენადმე თავისებური ვითარება შეიქმნა. ეს რაიონი ძველი ქვისხანის გვიანდელ, ადრეგვაროვნული საზოგადოების არსებობის საფეხურზე განსაკუთრებით მჭიდროდაა დასახლებული და ამ პერიოდის ბოლოსათვის ადგილობრივი რესურსები შეგროვებითი მეურნეობებისათვის აღარ არის საკმარისი [47. 11]. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, ისტორიამდელი თუ პრეისტორიული „საქართველო“ „ნეოლითური რევოლუციის“ თანამონაწილეა. შემდგომი მსოფლიო ცივილიზაციის შექმნის განმაპირობებელი და ბიძგის მიმცემი ჩვენი წინაპრებიც არიან.

ე) დაახლოებით IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ამიერკავკასიაში და მის სამხრეთით, მეზობელ ოლქებში გავრცელებულ სამიწათმოქმედო კულტურებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, რაც გამოწვეული იყო ახალი, უფრო განვითარებული სამიწათმოქმედო კულტურის, ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის გამოჩენით. ამის შედეგად, როგორც

ვარაუდობენ, ამიერკავკასიის ზოგიერთ დასახლებაზე, მაგ., ქვემო ქართლში, ცხოვრება მთლიანად შეწყდა [47. 104]. მტკვარ-არაქსის კულტურა, რომელიც ძველი სამიწათმოქმედო კულტურების განმგრძობი იყო, ბევრად უფრო მაღალი საფეხურია. კერძოდ, წინარე კულტურაშია მტკვარ-არაქსის კულტურისთვის დამახასიათებელი წრიული და მისგან განვითარებული სწორკუთხა საცხოვრებელი სახლების საწყისები (ხაზი ჩვენია, ე. და ბ. ცხ.). აქვეა საძებნელი მისთვის დამახასიათებელი კერამიკის ნიმუხი, კერძოდ, ჭურჭლის ზედაპირის გაპრიანება, რელიეფური და ნაკაწრი გრაფიკული ორნამენტი, კოპები და აგრეთვე კერამიკის მოხატვის ტრადიცია, რომელმაც არც აქ გაიდგა ღრმა ფესვები. იგივე შეიძლება ითქვას ქვის, ძვლისა და რქის იარაღზე. მაგრამ ის ფაქტი, რომ ჯერჯერობით არ შეინიშნება ძველი კულტურის ახალში უშუალო გადაზრდა, შესაძლებელია სწორედ ამიერკავკასიაში ტომთა გადაადგილებასა და ახალი ტალღის შემოჭრას მოწმობდეს [47. 104].

ვ) ნეოლითური რევოლუცია ამიერკავკასიაში რთული იყო და ის რამდენიმე ათას წელს უნდა გაგრძელდებოდა. სპეციალისტებისათვის ცნობილია მისი დასრულების ხანა – ესაა ძვ. წ. V-IV ათასწლეული. ცხადია, ძნელია იმის თქმა, ვინ მონაწილეობდა ამ უდიდესი მოვლენის მსვლელობაში, მაგრამ როგორც ფიქრობენ, საკმაო საფუძველი არსებობს, რომ ნეოლითური რევოლუციის დაწყება-წარმართვაში მონაწილეობას იღებდნენ კავკასიური ენობრივი და კულტურული ერთობის მქონე ტომები. ვარაუდობენ, რომ ამ ხანგრძლივი

პროცესის განმავლობაში თანდათანობით იშლება კავასიური ენობრივი და კულტურული ერთობა; V-IV ათასწლეულებში იგი დაშლილი უნდა იყოს. ისახება კავკასიურ ენათა უმთავრესი ჯგუფები. ხურიტულენოვანი და მასთან რამდენადმე დაახლოებული ჩაჩურ-დადესტურენოვანი ტომები იკავებენ ამიერკავკასიის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებს. ამიერკავკასიის ცენტრალური ნაწილი ძირითადად ქართველურენოვანი ტომების ადგილსამყოფელი იყო. მათვე ეკავათ, ალბათ, დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორია. აქვე ბინადრობდნენ დასავლურ-კავკასიური ტომები [47. 105].

ზ) კავკასიური ენობრივ-კულტურული ერთობის დაშლის ანარეკლად მკვლევრებს მიაჩნიათ ძვ. წ. V ათასწლეულის ბოლოსა და IV ათასწლეულის დასაწყისში ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურაში ლოკალური თავისებურებების ჩამოყალიბება, რაშიც სათანადო როლს თამაშობდა ეთნოკულტურული ურთიერთობის გაძლიერება წინააზიასთან. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში, როგორც ფიქრობენ, ხდება ხურიტული ტომების ერთი ნაწილის გადაადგილება სამხრეთით, ჩრდილო მესოპოტამიასა და ტიგროსის სათავეებში. ეს პირველი ტალღა ამიერკავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბებამდე უნდა წასულიყო. ამიტომაცაა, რომ ამ ოლქებში მტკვარ-არაქსის კულტურის ნიშნები არ ჩანს. ხურიტული ტომების ამიერკავკასიიდან სამხრეთით გადასვლა მომხდარა მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების შემდეგაც და სწორედ მათ უნდა გავვრცელებინათ იგი წინა აზიაში. ნიშანდობლივია

ისიც, რომ აქ მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არე ემთხვევა ხურიტული ტომების ადგილსამყოფელს. თუ რამ გამოიწვია ამ ტომების მოძრაობა სამხრეთით III ათასწლეულის დასაწყისში, ძნელი სათქმელია. შესაძლოა ამის ერთ-ერთი მიზეზი ქართველურენოვანი ტომების გაძლიერება-დაწინაურება ყოფილიყო [47. 105]. ფიქრობენ, რომ შეიძლება ამითვე აიხსნას ჩაჩნურ-დაღესტნური ტომების გადაადგილება ჩრდილოეთით, რაც ამავე ხანაში უნდა მომხდარიყო. დასავლეთ საქართველოშიც მტკვარ-არაქსის კულტურა საკმაოდ ღრმად იჭრება. ამრიგად, მკვლევარები ო. ჯაფარიძე და ა. ჯავახიშვილი ასკვნაან, რომ ძვ. წ. V-IV ათასწლეულის შომუ-თეფე-შულავერის ადრესამიწათმოქმედო კულტურა ძირითადად ქართველურენოვანი ტომების კუთვნილება იყო. ეს იყო ერთ-ერთი იმ ოლქთაგანი, სადაც ყალიბდებოდა ქართველური ეთნიკური ჯგუფი. ამ ტომებმა ამიერკავკასიაში მოსახლე სხვა მონათესავე ტომებთან ერთად საფუძველი ჩაუყარეს მაღალგანვითარებულ მტკვარ-არაქსის კულტურას. შემდეგში ამავე ტომების მონაწილეობით შეიქმნა თრიალეთის ბრწყინვალე კულტურა [46. 106].

და ბოლოს: როგორ წარმოიშვა ბორცვები და გორაკები? როგორია ისტორიკოსების თვალსაზრისი?

როგორც აღნიშნავენ, ამიერკავკასიაში გამოვლენილი ადრემიწათმოქ-

მედი დასახლებები დღეს ბორცვებია, რომლებიც წარმოქმნილია თაობების ერთ ადგილას ხანგრძლივი ცხოვრებით. ამ პერიოდის სოფლები ალიზის შენობების მჭიდრო ჯგუფებისაგან შედგებოდა. როგორც ვიცით, ალიზი არამყარი სამშენებლო მასალაა და მისგან ნაგები შენობა ხშირ შეკეთება-გადაკეთებას მოითხოვს. ამ დაუსრულებელი გადაკეთებისა და აგების პროცესში თანდათანობით წარმოიქმნებოდა ნანგრევთა ფენები, რის გამოც სოფელი უფრო და უფრო მაღლდებოდა, საცხოვრისი მაღლა იწევდა. დანამდვილებით ძნელია განსაზღვრა, თუ რამდენ ხანს შეიძლებოდა მდგარიყო ალიზით ნაშენი. სპეციალისტთა დაკვირვებით, როგორც მახლობელი აღმოსავლეთის თანამედროვე ალიზის სახლებზე დაკვირვება აჩვენებს, ასეთი ალიზიანი შენობები 15-20 წელი თუ გაძლებდა, თუმცა არც იმას გამორიცხავენ, რომ შენობა, განახლების შემთხვევაში, უფრო დიდხანს გაძლებდა [47. 38].

ჩვენ არ გამოვრიცხავთ მეორე ახსნას: აქ, ამ შემთხვევაში, ალბათ, გადამწყვეტ როლს თამაშობდა ბუნებრივად შემადგენელი ადგილი და რელიეფი (მაღლობი, ბორცვი, გორა), რათა მოსახლეთა ჯგუფს (ჯგუფებს) თავი უფრო მეტად უსაფრთხოდ ეგრძნო და მტრის დაცემის შემთხვევაში (ნადირი, სხვა ტომები) უფრო მობილიზებული ყოფილიყვნენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ს. ფირცხალავა, ქართველთა წინაპრები და მათი მონათესავე ტომები წინა აზიაში 40-6 სს. ძვ.წ., ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1948

2. გ. მელიქიშვილი, ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხისათვის (თბილისში წაკითხული ლექცია), გ. ჩიტაიას რედაქციით. თბ., 1953
3. ს. ჯანაშია, შრომები, I. (ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. ნარკვევი ფეოდალიზმის წარმოშობის ისტორიიდან საქართველოში), თბ., 1949
4. Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана.. СПб, 1908
5. Н. Марр. Батуми, Ардаган, Карс.. Петроград, 1922
6. Н. Марр. Об яфетической теории. Избранные работы. т. 3, СПб, 1914
7. ჰრ. აჭარიანი, სომხური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, II. ერევანი, 1926-1932
8. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი პირველი, ტფ., 1928
9. ი. აბულაძე, ძველი ქართულის ლექსიკიდან. იხ. ი. აბულაძე, შრომები. ტომი II. თბ., 1976
10. **G. Schmidt**, Abchasische Lehnwortstudien: Studia Orientalia, XIV, 4. Helsinki.
11. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1965
12. ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990
13. პ. ჭარაია, მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან (მასალა): „მომბე“, X. 1895, XII, 1895 I, ტფ.
14. **O. Wardrop**. English-svanetian Vocabulary: Journal of the Royal Asiatic Society, 1911, July, Paris.
15. Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.
16. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942
17. **K.H. Schmidt**, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der Südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962.
18. Известия Кавказского отделения Императорского Московского археологического общества. выпуск 4. под редакцией Л.Г. Лопатинского и Е.С.Такайшвили. Тифлис, 1915.
19. გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბ., 1965
20. ე. ცხადაძე, ბ. ცხადაძე, ბერძნულ-ქართული ლექსიკური შეხვედრები. I. ერთი საერთაშორისო სიტყვა-ტერმინის („ტრაგედია“) ეტიმოლოგიისათვის. ღია დიპლომატიის ასოციაციის სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“, 31 (9), თბ., 2009
21. ს-ს ორბელიანი, თხზულებანი, ლექსიკონი ქართული. ტ. IV, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ, თბ., 1966

22. М.Фасмер. Этимологический словарь русского языка. Перевод с немецкого и дополнения ч.к. АН СССР О.Н.Трубачева. Издание второе, стереотипное, в четырех томах. т.1. 1986.
23. მ. გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი .I. სახმელეთო საზიდი საშუალებანი, თბ., 1956,
24. ნ. ზრეგაძე, ძველქართული წარმართული და ხალხური აგრარული კალენდრების ურთიერთმიმართების საკითხისათვის. იხ. კრებ.: მიეზანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976
25. მ. მაკალათია, წყლის კულტთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესწავლისათვის (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). კრებ.: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. ტ. XVI-XVII, თბ., 1972,
26. ზ. კუტალიეშვილი, ნაოსნობა საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1987
27. ე. ცხადაძე, მიღმური სამყაროს მოდელი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. კრებ.: ლიტერატურული მიეზანი (ეძღვნება დავით გურამიშვილის დაბადების 300 წლისთავს). XXV, თბ., 2004
28. ბ. ცხადაძე, -ატ სუფიქსი ქართულში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. 126, №1, 1987
29. ბ. ცხადაძე, ეთნოკულტურული ქართველური (მეგრული) და ბასკურ-ესპანური ტერმინების [ესპანურ-ბასკური კორიდა და მეგრული კურალუა, კურული] საერთო წარმომავლობისათვის (ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური ანალიზი). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები (ჭურნალ „მოამზის“ დამატება), №12, თბ., 2008
30. Н. Марр. К вопросу о ближайшем средстве армянского с иверским, С-Пб, 109
31. **M. Brosset**, Rapports sur une voyage archèologique dans la Gèorgie et dans L'Armè nie, VII, St-Peterburg, 1849
32. **G. Deeters**, Über einen n/r Wechsel im Georgieschen: Sybaris, Wiesbaden, 1958
33. არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938
34. ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000
35. კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი (ლაშხური დიალექტი). ტექსტი გადაამუშავა, გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ალ. ონიანმა, თბ., 2001
36. ასლ. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი [ჩოლურული კილო], თბ., 1994
37. „წიგნი სააქიმოა“. ლადო კოტეტიშვილი, მედიცინა ძველ საქართველოში (XIII საუკუნე), ტფ., 1936
38. ბ. ცხადაძე, მასდარის წარმოება ძველ ქართულში (აწმყოს ფუძის ისტორიასთან დაკავშირებით), თბ., 1984

39. თ. გაჩეჩილაძე, შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში (ლექსიკონითურთ), შ. ძიძიგურის რედაქციით, თბ., 1979
40. **E.Hahn.** Heilige Wagen, Zf. Ethn, XXVII, 1895, H 3
41. **C. Meinhof.** Die Religionen der Africanen in ihrem Zusammenhang mit dem wirtschaftsleben. Oslo, 1923
42. **Forestier.** La roue, Paris et Nancy, 1900
43. მ. გეგეშიძე, ბორბლის უძველესი საკითხისათვის. მიმოხილველი, თბ., 1951
44. გ. ჯავახიშვილი, დასავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის. სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1971
45. ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1974
46. კ. კალანდაძე, თეთრი მღვიმე (დასავლეთ საქართველოს ენეოლითური კულტურა თეთრი მღვიმის მასალების მიხედვით), თბ., 1994
47. თ. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, უძველესი მიწათმოქმედი ტომების კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბ., 1972
48. ლ. ლლონტი, ა. ჯავახიშვილი, თ. კილურაძე, ხრამის დიდი გორის ანთროპომორფული ქანდაკებები. ძეგლის მეგობარი, №33, თბ., 1973
49. ვ. ბარდაველიძე, საქართველოს უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1941
50. მწიგნობრობა საქართული (ასომთავრული, ნუსხური, მხედრული), შეადგინა ელ. მაჭავარიანმა, თბ., 1988
51. თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა (ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა), ა. შანიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1989
52. ბ. ცხადაძე, ქართველები და ქართული ენა, გაზ. „მუხიანის მოამბე“, №1. 1996.
53. თ. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი. ტ. II. ზ. სარჯველამის რედაქციით. თბ., 2002
54. ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. III. ტანისამოსი, ქსოვილები და ხელსაქმე. IV. საომარი საჭურველი და სამხედრო საქმე. დასაბეჭდად მოამზადა ივ. ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტმა, თბ., 1962
55. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. I. თბ., 1964





nino gomarTel i

mariam gabunia

ბაირონის ცხოვრების თანამგზავრი ქალბატონები



*„ის თავად იყო საკუთარი პოეზიის
საწყისი,
გაგრძელება და დასასრული,
თითოეული
ზღაპრის გმირი, თითოეული პეიზაჟის
მთავარი საგანი“
ტ. ბ მაკოლეი*

ბაირონის ცხოვრების დეტალები ისეთივე შთამბეჭდავია, როგორც მისი შემოქმედება.

ჯორჯ ბაირონის მამის – ჯონის ჰერალდიკას უილიამ დამპყრობლის ეპოქამდე (XI ს) მივყავართ. ჯორჯის დედა – ქეთრინი დიდებული შოტლანდიური გვარის – გორდონის შთამომავალი იყო. ბაირონის სიმშაგე, ექსცენტრიულობა, მოგზაურობისადმი სიყვარული, დარდიმანდობა მისი ხასიათის ანგლოსაქსური ელემენტებია.

რვა წლის ჯორჯს პირველი რომანი ათი წლის შოტლანდიელ გოგონა მერი დეფთან ჰქონდა. ამ უმანკო სიყვარულს პატარა ბიჭუნაზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. ბაირონის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „...საოცარია, როგორი ერთგულებით, უსაზღვრო გატაცებით მიყვარდა ეს გოგონა იმ ასაკში, როცა შეუძლებ-

მსოფლიო პოეზიაში იშვიათია ბაირონივით მომხიბლავი პიროვნება – „პიროვნება ადამიანის უდიდესი ბედნიერებაა“ – წერდა გოეთე. არც ერთ პოეტს ისეთი ჯადოსნური ზეგავლენა არ მოუხდენია მშვენიერ სქესზე, როგორც ბაირონს.

ჯორჯ გორდონ ნოელ ბაირონი (1788-1824) უფაქიზესი, საოცრად მგრძნობიარე სულის მქონე პოეტი... მის ყოველ ლექსს თავისი ისტორია აქვს, თითოეული სტრიქონი დიდი გრძნობით და მოზღვავებული შთაბეჭდილებითაა შექმნილი. ლორდ ბა-

ბელია განსაზღვრო რა არის ვნება და გაიგო ამ სიტყვის მნიშვნელობა. დედაჩემი ხშირად დამცინოდა ბავშვობისდროინდელი სიყვარულის გამო და მოგვიანებით, როდესაც თექვსმეტი წლის ვიყავი, მითხრა: „აჰ, ბაირონ, წერილი მივიღე ედინბურგიდან, მის აბერკომბისგან: შენი ძველი სიყვარული, შენი დეფი გათხოვილა, ვინმე მისტერ კო-ზე.“ შეუძებელია გადმოვცე ის განცდები, რაც იმ წუთებში განვიცადე, ისეთი მწუხარება დამეუფლა, რომ შეშფოთებული დედა მას შემდეგ ჩემთან ამ თემაზე საუბარს გაუზბოდა...კარგად მახსოვს ჩვენი ტკბილი საუბარი, უძილო ღამეები, როგორ ვთხოვდი დედას მოახლე ნენსის მიეწერა მისთვის ბარათი ჩემი სახელით...რამ დაბადა ასეთ

ადრეულ ასაკში ეს წარმოუდგენელი გრძნობა? ისეთ სიყვარულს განვიცდიდი ამ გოგონას მიმართ, რომ ეჭვიც კი მეპარება, ვიყავი თუ არა შემდგომში ჭეშმარიტად შეყვარებული. ჩემთვის მისი გათხოვების ამბავი მეხის დაცემას ჰგავდა, კინაღამ მოკვდი. ჩემი ცხოვრების ეს ამალეღვებელი მომენტი შეუცნობლად დარჩება სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე...“¹

მერი დეფთან გამიჯნურების დღიდან მოყოლებული დიდი პოეტის გარდაცვალებამდე მისი ცხოვრების თანამგზავრი ქალბატონები უდიდეს ზეგავლენას ახდენდნენ ბაირონის არა მარტო გულზე, არამედ მის ბედისწერაზეც.



მერი ჩევროსი

¹ წერილების უმრავლესობა პირველად ქვეყნდება ქართულ ენაზე.

თხუთმეტი წლის ჯორჯმა საზავხლო არდადეგებზე ნიუსტიდის საბატომი გაიცნო თვრამეტი წლის მერი ჩევორსი, რომელიც დანიშნული იყო მდიდარ ლორდზე, თუმცა ამ გარემოებამ მათ დაახლოებას ხელი როდი შეუშალა. ერთ-ერთ ჩანაწერში ბაირონი აღნიშნავს: „...დერჰამის გამოქვაბულების სიახლოვეს ნავით სეირნობისას ჩემი მეგზური იყო M.A.Ch (ჩევორსი), რომელზედაც დიდხანს და უიმედოდ ვიყავი შეყვარებული. ამას არ ვუმხელდი, თუმცა მან შეძლო ჩემი გრძობების ამოცნობა. ჩემი განცდების აღწერა შეუძლებელია...“ ბაირონთა და ჩევორსთა გვარებს ერთმანეთთან აკავშირებდა მკვლევლობებით დამძიმებული მტრობა, რომლის დასრულება შესაძლებელი იქნებოდა ჩვენი გულების შეკავშირებით... მაგრამ ის ცოლად გაჰყვა ასაკით მასზე ბევრად უფროს ადამიანს, უბედური იყო მასთან და გაეყარა. მეც ცოლი შევირთე, შემდეგ გავშორდი, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ დავკორწინდით...“ ამ უიმედო სიყვარულმა განაპირობა პოეტის გამიჯნულება თავის ნახევარდა, ავგუსტაზე, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ბაირონის მეგობრად და მესაიდუმლედ დარჩა.

ახალგაზრდა ბაირონი გატაცებული იყო მოგზაურობით, ცხენზე ჯირითით, ნადირობით, მეძებარ ძაღლთა დაგეგმვით, ქეიფითა და დროსტარებით. ამის პარალელურად სწავლობდა მათემატიკას, ისტორიას, ფილოსოფიას, ბევრს კითხულობდა. დაასრულა კემბრიჯის უნივერსიტეტი და მიიღო ხელოვნების მაგისტრის წოდება. მოგზაურობისას მას გამუდმებით თან ახლდა ახალგაზრდა ჰაბუკის ტანსაცმელში გადაცმული

ლი ქალწული... (ბაირონის ბიოგრაფები ფიქრობენ, რომ ეს იყო ავგუსტა). 1808 წელს ბაირონი ნიუსტიდის კოშკში ბრუნდება, სადაც ცხოვრობს განმარტოებით. გათხოვილ მერი ჩევორსთან პირველ საიდუმლო პაემანს მოჰყვება უჩვეულო მელანქოლიითა და გულისტკივილით გამთბარი ცნობილი ლექსი: „ბედნიერი ხარ!“

1808 წლის ოქტომბერში ბაირონი პორტუგალიასა და ესპანეთს სტუმრობს. ამ მოგზაურობისას მას თავდავიწყებით შეუყვარდა ადმირალ კორდოვას ასული, მადამ სმისი. სწორედ ამ სიყვარულს უძღვნა პოეტმა პოემა „ჩაილდ ჰაროლდში“ სიყვარულით აღსავსე უჭკნობი სტრიქონები. აზიდოსიდან სესტორში მოსახვედრად ბაირონმა დარდაწლის სრუტე გადასცურა და მისდაუნებურად მართონული ცურვის ფუძემდებელი გახდა. შემდეგში ტრახახობდა კიდევ: „ევროპიდან აზიაში ცურვით გადავედიო...“ ათენში ბაირონი აღაშფოთა ინგლისელთა უღირსმა საქციელმა. ლორდ ელგინის ხელმძღვანელობით გაიმარცხა აკროპოლისის პართენონი; მისი უძვირფასესი სვეტები, ორნამენტები და ფრესკები ბრიტანეთის მუზეუმში გაიგზავნა. პოეტმა საბერძნეთისადმი თანაგრძნობა გამოხატა სატირული ლექსით „მინერვას წყევლა“. ინგლისში დაბრუნებული პოეტი წერს ანდერძს (1811 წლის 27 აგვისტო), სადაც ითხოვს: გარდაცვალების შემდეგ დაკრძალონ ნიუსტიდის საბატომი საყვარელ ძაღლთან ერთად, დაკრძალვის დროს არ გამართონ არავითარი ცერემონიები და საფლავის ლოდზე მხოლოდ მისი სახელი და გარდაცვალების თარიღი აღნიშ-

ნონ. ამავე პერიოდში (1811 წლის ოქტომბერი), მეგობრისადმი გაგზავნილ ბარათში ბაირონი ტკივილით წერს: „...მერი ჩევიორსის სიყვარულმა შესაძლოა ისეთი საშინელი დანაშაული ჩამადენინოს, რომელიც ჩვენს საუკუნეს უთუოდ გააოცებსო...“

1812 წლის თებერვალში ბაირონი ლონდონს ბრუნდება. ლონდონელ არისტოკრატ ქალებთან ურთიერთობიდან უნდა აღინიშნოს მისი ხანმოკლე რომანი სათნო, ქერა, ცისფერთვალება მისის კაროლინა ლემთან. მალე ბაირონი გაიტაცა ანა იზაბელა

მილბენკმა, რომელიც მალე ცოლად შეირთო. პოეტი თავის მეგობარ მედვინს არწმუნებდა: „... როცა ანა იზაბელაზე ჯვარს ვიწერდი, საკურთხეველთანაც მერი ჩევიორსის ლანდი თვალწინ მედგა-ო“. ჯვრისწერის მეორე დღესვე კი მეუღლეს გამოუტყდა: „შენზე ჯვარი შურისძიების მიზნით დავიწერე“-ო. მერი ჩევიორთან ფარული ურთიერთობის შედეგად დაიბადა გოგონა, სახელად მედორა, რომელიც მერის უმწიკვლო სახელის დაცვის მიზნით, ბაირონის დამ ავგუსტამ თავის პირმშოდ გამოაცხადა.



ანა ისაბელ მილბენკი

1814 წელს თავის დღიურში ბაირონი აღნიშნავს: „თვით მერი ჩევიორსის გვერდითაც რომ დავრჩე ხანგრძლივად, უთუოდ მართობა მომენატრებოდაო“. მალე ბაირონს გოგონა შეეძინა. 1816 წლის 15 იანვრით დათარიღებულ წერილში ბაირონი სთხოვდა ცოლს შვილთან ერთად წასულიყო მშობლების ოჯახში, სადაც დაბრუნებულმა ქალმა დედას განუცხადა: „ბაირონი გაგიჟდა, მასთან ცხოვრება სახიფათოა-ო“. პოე-

ტის ახლობელმა მისის კლერმონტმა ბაირონს მოჰპარა ავგუსტას მიერ მიწერილი სამიჯნურო ბარათები და ლედი ბაირონს მიუტანა, რითაც ქალი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ლორდი მისი ცოლად შერთვის შემდეგაც განაგრძობდა ავგუსტასთან ურთიერთობას.

1817 წლის 22 აპრილს ლორდ ბაირონმა ხელი მოაწერა ცოლთან გაყრის საბუთს. მეუღლესთან განქორწინების შემდეგ ბაირონს დაუახ-

ლოვდა ჩვიდმეტი წლის კლარა გოდ-
ვინი. ინგლისის საზოგადოებამ აღშ-
ფოთება ვერ დამალა და ბაირონის
წინააღმდეგ გაილაშქრა. მათ საპასუ-
ხოდ ბაირონმა გამოაქვეყნა ლექსი
„ვატერლოო“, სადაც თანაუგრძნო
ნაპოლეონ ბონაპარტს. ნაპოლეონის
დამარცხების გამო გლოვა სამშობ-
ლოს დასაჯად ჩაუთვალეს პოეტს,
რამაც ბაირონს შვეიცარიის გავლით
იტალიაში წასვლა გადააწყვეტინა.
ჟენევაში მან მიიღო ბარათი, რომე-
ლიც იუწყებოდა, რომ მიჯნურთან
განშორების გამო, მერი ჩევორსი
ჭკუიდან შეიშალა და სულიერად
დაავადებულთა საავადმყოფოში მო-
ხვდა. კლარა გოდვინს ბაირონისგან
გოგონა გაუჩნდა, რომელსაც ალეგრა
დაარქვეს. პოეტი ვენეციაში ჩადის.
ცნობილია, როცა მადამ დე სტალმა
ბაირონს გააცნო უმშვენიერესი მის
ელიზაბეთ ჰერვე, ამ უკანასკნელს
გული შეუწუხდა. რომში, წმინდა
პეტრეს ტაძართან ბაირონი შეხვდა
ლედი დაიდელს, რომელსაც მის
დანახვაზე მუხლი მოეკეცა და თხოვ-
ნით მიმართა თავის ქალიშვილს, არ
შეეხედა „ამ დემონისათვის“. ვენეცი-
აში ყოფნისას ბაირონმა გაიცნო
ახალგაზრდა და მომხიბლავი მარი-
ანე, რომელიც ორ კვირაში მიატოვა.
ბაირონი 1817 წლით დათარიღებულ
ერთ-ერთ ლექსში ადიდებს „აზიის
უმველეებელ გონებას“, რომელიც
ქალს ჰარემში ამწყვდევს და ამ გზით
მას მომეტებულად აბედნიერებს.“

1995 წელს ცნობილმა ქართველმა
ბაირონოლოგმა, პროფესორმა ინესა
მერაბიშვილმა ლონდონში, ბრიტანე-
თის მუზეუმის ბიბლიოთეკაში მიაკ-
ვლია უცნობი ავტორის მიერ 1825
წელს გამოცემულ ბიოგრაფიას, რომ-
ლის მესამე ტომში, თერთმეტ გვერდ-

ზე აღწერილია პოეტის ცხოვრების
ერთი ტრაგიკული ისტორია, საიდა-
ნაც ირკვევა, რომ პროტოტიპი ლექ-
სების ციკლისა, რომელიც ეძღვნებო-
და ვინმე თირზას, იყო ქართველი
გოგონა...

ბაირონი მცირე აზიაში მოგზაუ-
რობისას (1809-1810 წწ.) ალექსანდ-
რიაში შესწრებია საქართველოდან და
ჩერქეზეთიდან ტყვე ქალების საჯა-
რო გაყიდვას. მისი ყურადღება მი-
უპყრია ცამეტი წლის პატარა გოგო-
ნას განწირულ გოდებას. პოეტი შე-
უძრავს მის გულსაკლავ მოთქმას და
შეუტყვია, რომ იგი ყოფილა ქართ-
ველი მემამულის ერთადერთი ასუ-
ლი, რომელიც თანატოლებთან თამა-
შისას ცხვრებს გასდევნებია და ქურ-
თებს მოუტაციათ... რამდენჯერმე გა-
უყიდათ... ბაირონმა ვაჭრებს 800
პიასტრი გადაუხადა და გოგონა გა-
ანთავისუფლა. ოცდაორი წლის
ბაირონს გოგონასთან არამიწიერი,
სუფთა, უმწიკვლო დამოკიდებულე-
ბა ჰქონია და სათუთად ზრუნავდა
მასზე. პოეტმა ვაჭარ ფლექტჩერს დი-
დი ფული გადაუხადა, რათა თირზა
საქართველოში ჩამოეყვანა, მაგრამ ის
მოღალატე და გაიძვერა აღმოჩნდა,
პატარა გოგონა თავის ხასად აქცია და
ძვირფასეულობაც მიითვისა. დიდი
ძალისხმევის ფასად, ბაირონმა კვლავ
მოახერხა გოგონას განთავისუფლება,
მაგრამ თირზას ჯანმრთელობა სა-
გრძნობლად შერყეულიყო. საოცარი
ყოფილა ბაირონისა და გოგონას
შეხვედრა. ამის აღწერისას ბიოგრაფი
დასძენს, რომ ამბის წარმოდგენა უფ-
რო ადვილია, ვიდრე აღწერაო. და-
უმპლურებული და სასოწარკვეთილი
თირზა ბაირონის გამოჩენას შეუძ-
რავს, სიხარულისგან ყელზე შემოხ-
ვევია და გიჟივით დაუკოცნია... ბა-

ირონი გოგონას შეჰპირდა, რომ სამ-
შობლოში დააბრუნებდა, იგი მიუბა-
რებია კონსტანტინოპოლში მყოფი
შვედი ელჩისათვის, რომელიც გან-
საკუთრებულად ზრუნავდა მასზე,
მაგრამ... ბაირონის არყოფნისას თირ-
ზას მდგომარეობა საგრძნობლად გაუ-
არესებულა, იგი ჰავის გამოცვლის
მიზნით კუნძულ კრეტაზე წაუყვანი-

ათ, სადაც ქალაქ კანდიაში გარდაც-
ვლილა და იქვე ბერძენთა სასაფლა-
ოზე დაუკრძალავთ. პოეტს მტკივნე-
ულად განუცდია ქალიშვილის სიკვ-
დილი. ბაირონის თხოვნით თირზას
სასაფლაოზე ქვის ძეგლი დაუდგამთ
და მისი სახელი და თავს დატრია-
ლებული ამბავიც ამოუტვიფრავთ...

**„ ... მე, გულჩათხრობილს შენი ხმა თუ მახალისებდა,
შენით ვისწავლე სიცოცხლესთან ლაღი ტრფიალი,
ჰანგი უტკბესი მიქარწყლებდა დარდსა და სევდას,
ღვთიურ სიმღერად ჩამესმოდა ცათა შრიალი,**

...

**თუ სათნოება შენი გულის სევდას მისახავს
და სული შენი ცათა მიღმა გაცისკროვნდება,
ლოცვა-ვედრებით მომაწიე ნეტარ მომავალს,
თან წამიყვანე! ამისრულე ერთი ოცნება**

...

**ბედის ბორბალი დატრიალდა რადგან უკულმა,
თავად მოწყალე, პატიებას შენგან მოვითხოვ,
და თუ ამ ქვეყნად ჩვენს სიყვარულს ბედმა უმუხთლა,
ბეჯერა...შევხვდებით, როს საუფლო ცათა მომიხმობს...“**

ლექსის თარგმანი ეკუთვნის ინესა მერაბიშვილს

ბაირონის უკანასკნელი სიყვარუ-
ლი იყო ტერეზა გვიჩიოლი, რომე-
ლიც პოეტმა 1819 წლის გაზაფხულ-
ზე ვენეციაში ყოფნისას გაიცნო. იმ
ხანად ტერეზა 16 წლის იყო, ბაირონი
კი 50-ს გადაცილებული. ნახევარი სა-
უკუნის შემდეგ ტერეზა გამბამ (გრაფ
გვიჩიოლისთან განქორწინების შემ-
დეგ ტერეზამ დაიბრუნა ქალიშვი-
ლობის გვარი) საყვარელი ადამიანის
შესახებ ვრცელი მოგონებები გამო-
აქვეყნა, სადაც ვკითხულობთ: „იგი
ანგელოსივით საუკეთესო აღნაგო-
ბის, ანგელოსივით სულიერად ამაღ-
ლებული, ანგელოსივით კეთილი და

მორიდებული იყო...“ ქალბატონი ტე-
რეზას მტკიცებით, ბაირონს აბსოლუ-
ტურად ნორმალური სიარულის მა-
ნერა ჰქონდა და ხმები მისი კოჭლო-
ბის შესახებ უსაფუძვლოა. ქალი ხაზს
უსვამს ბაირონის ხმის მელოდიურო-
ბას, მის გარეგნულ სილამაზესთან
ერთად, საუბრობს მის სულიერ ღირ-
სებებზე. 65 წლის ტერეზა გამბა
16 წლის ტერეზა გვიჩიოლიზე ნაკ-
ლებად როდი იყო ბაირონზე შეყვ-
არებული. ახალგაზრდა ქალმა ამ სიყ-
ვარულს შესწირა უსაზღვრო სიმ-
დიდრე, უმწიკვლო სახელი, ქმართან
განშორების შემდეგ იგი კინაღამ მო-



ტერეზა გვიჩიოლი

ნასტერში გამოამწყვიდეს. მან არსებობის ყოველგვარი სახსარი დაკარგა, მას ქვეყნიდან, ქალაქიდან გაძევებით ემუქრებოდნენ, მაგრამ ბედისწერაზე მალლა იდგა ბაირონისადმი მისი უსაზღვრო სიყვარული. ამ საოცარმა და ამაღელვებელმა გრძნობამ სრულიად შეცვალა ახალგაზრდა ტერეზას ცხოვრებაც და სულიერი მდგომარეობაც. პირველივე წერილში იგი ბავშვური გულუბრყვილობით წერდა პოეტს თავისი განცდების შესახებ, რომელიც მასთან განშორებამ აღუძრა. „თუ ადრე – წერდა ტერეზა ბაირონს – ვოცნებობდი ბალ-მასკარადებზე, ახლა გართობას დროსტარებას მარტო ყოფნას ვამჯობინებ, ვუსმენ მუსიკას, ცხენით ვჯირითობ და

საოჯახო მეურნეობას ვეწევი...“ ვენეციიდან მოწერილ ბაირონის ბარათში ვკითხულობთ: „...ჩემო ძვირფასო...! რავენის მისამართის გარდა, მე შენი სხვა ადგილსამყოფელი არ ვიცი. რომ იცოდე რა უსაზღვროა ჩემი სიყვარული, მაშინ მიხვდები, რომ ერთი წამითაც არ შემიძლია უშენოდ... ვენეციაში ყველაფერი შენ თავს მაგონებს, ყველაფერი კვლავინდებურად უცვლელია, მაგრამ შენ აქ აღარ ხარ. განშორებისას, ის ვინც მიემგზავრება, დარჩენილთან შედარებით ნაკლებად იტანჯება. მოგზაურობა, გადაადგილება, პეიზაჟთა მრავალფეროვნება... მტანჯველ ფიქრებს ერთგვარად ფანტავს და მარტოდ დარჩენილის სულს ერთგვარ შვებას აძლევს... სულ შენს

მოლოდინში ვარ, შენი ხმის გაგონება მენატრება, კმაყოფილებას მხოლოდ შენზე მოგონება, შენზე ფიქრი განმაცდევინებს, მაგრამ არ ვიცი, იმ ადგილების მონახულება, რომელნიც ჩვენი სიყვარულის უტყვი მოწმენი არიან, სიხარულს მანიჭებს, თუ მწუხარებას. ძვირფასო, ჩემი ცხოვრება ერთგვაროვანი და ტანჯული გახდა, არც წიგნები, არც მუსიკა, არც ცხენები, არც ძაღლები – სიამოვნებას აღარ მანიჭებს. ქალთა საზოგადოებაც აღარ მიზიდავს. უკანასკნელ წლებში ჯიუტად ვცდილობდი გავქცეოდი მწველ და მტანჯველ სიყვარულს, მაგრამ შენმა გამოჩენამ გადაწყვეტილება შემაცვლივინა, მოსვენება დამაკარგვინა. ამ დრომდე ჩემი სიყვარული უბედურების მიმნიჭებელი იყო მისთვის, ვინც მიყვარდა და თავად ჩემთვის. მაგრამ რა დასარულიც არ უნდა ჰქონდეს ჩვენს ურთიერთობას, მე მარადყვამს შენი ვიქნები. გოცნი უთვალავს... გიყვარდე – შენი უერთგულესი B.

ტერეზა გვიჩიოლი ბაირონზე დარდით ავად გახდა. მის გარეშე, დოჟთა ქალაქში პოეტს მოსწყინდა და რავენაში ჩავიდა, სადაც ინახულა ქალი. სწორედ რავენაში დაიწყო გაუთავებელი სკანდალები. მოხუცი გრაფი ეჭვიანობდა, ტერეზა დაჟინებით ითხოვდა გაყრას. ბაირონი ახალ ოჯახურ ხაფანგში გაბმის შიშით საყვარელ ქალს ქმართან შერიგებას ურჩევდა, მაგრამ ტერეზა მალევე გაშორდა მეუღლეს და მამისეულ სახლში გადავიდა და ბაირონთან ურთიერთობა განაგრძო. მეგობრისადმი გაგზავნილ წერილში ბაირონი გულისტკივილით აღნიშნავს: „...საშინლად ვიტანჯები, მგონია, რომ მას ჭლექი აქვს, თუ რაიმე უბედურება დაემარ-

თება, მშვიდობით გულო! – ეს ხომ ჩემი უკანასკნელი სიყვარულია... შემონახულია ტერეზას წიგნის არშიებზე ბაირონის მინაწერები: „ჩემო საყვარელო ტერეზა! შენ ბაღში წავიკითხე ეს წიგნი, განუწყვეტლივ ვფიქრობ შენზე, ჩვენს სიყვარულზე, სიყვარული ყველა ენაზე მელოდიურად ჟღერს, მაგრამ განსაკუთრებით მშვენიერია შენ მშობლიურ ენაზე, – amor mio, – ხანდახან იფიქრე ჩემზე, მართალია ალპები და ზღვა გვაშორებს ერთმანეთს, მაგრამ ჩვენი დაშორება მანამ არ მოხდება, სანამ ამას შენ თავად არ ისურვებ...“ იმავე დროს, ბაირონი წერილს უგზავნის ინგლისში მყოფ მეგობარს: „...გაციანი სრულიად უანგარო, ახალგაზრდა, კეთილი და მომხიბლავი ქალი... მაგრამ ტკივილით ვგრძნობ, რომ ადამიანმა ცხოვრება არ უნდა გაფლანგოს უცხო ქვეყნის ქალთა საზოგადოებაში, ხვევან-კოცნასა და გართობაში... არ მყოფნის ძალა, რომ გავწყვიტო საკუთარი ჯაჭვები...არ ვიცი რა იქნება ჩემს თავს, მივატოვო იგი, თუ თავად აღმოვჩნდე მისგან მიტოვებული. ამ ფიქრმა ჭკულიდან შემშალა, სადამდე დავეცი? საბედნიეროდ, თუ საუბედუროდ, აღარ შემრჩა თავმოყვარეობა...“ მაგრამ ტერეზას თავდავიწყებით უყვარდა არა მხოლოდ ბაირონი, არამედ იტალიაც, რამაც საბოლოო ჯამში გადაწყვიტა მათი ურთიერთობაც და ქალის შემდგომ ცხოვრებაც... ბაირონის ბიოგრაფები ერთხმად აღნიშნავენ, რომ პოეტმა მიაშურა ელადას, სადაც მიმდინარეობდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლები. ამით იგი ცდილობდა ბუნებრივად და ამაღლებულად დაშორებოდა საყვარელ ქალს და ამით ერთგვარად განთავი-

სუფლებულიყო მისგან, თუმცა, თავს უსაზღვროდ დამნაშავედ გრძნობდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ არა ტერეზა, ბაირონი კვლავინდებურად გაერთობოდა წერით, კითხვით, მუსიკით...

ბაირონი ელადას გაემგზავრა არა იმიტომ, რომ ჭეშმარიტი გრძნობით აღარ უყვარდა ქალი, არამედ იმიტომ, რომ არ სურდა ამ სიყვარულის დასრულება. ტერეზამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა არა მხოლოდ მის ცხოვრებაზე, არამედ მის სულზეც. ბაირონი სწორედ მისი თხოვნით წერდა პოლიტიკურ ლექსებს, რითაც აღაფრთოვანებდა იტალიელ პატრიოტთა გულებს.

1819 წლის ოქტომბერში ინგლისში გაგზავნილ ბარათში ბაირონი წერს, რომ მან გრაფინია გვიჩიოლის საჩუქრად ბრილიანტის თვლებიანი გულსაბნევი გაუგზავნა, მაგრამ ქალმა ძვირფასი საჩუქარი უკან გაუგზავნა და კოლოფში წერილთან ერთად თავისი თმის კულული ჩადო. წერილში აღნიშნული იყო, რომ ქალს არ შეეძლო საჩუქრის მიღება და იმედოვნებდა, რომ ძვირფას ნივთზე უარის თქმით ბაირონი არ დარჩებოდა შეურაცხყოფილი.

ქალბატონი ტერეზა გვიჩიოლი თანამედროვეთა გადმოცემით „სრულყოფილი მშვენიერება“ იყო. მხატვარი ვესტი ბაირონის პორტრეტზე მუშაობისას აკეთებდა ჩანაწერებს, სადაც ვკითხულობთ: „სახელოსნოს ფანჯარა გაიღო და მომესმა ქალის მელოდიური ხმა: „ძალიან კარგია!“ მისკენ მოვბრუნდი და დავინახე უმშვენიერესი არსება, რომელიც ფანჯარასთან დახრილიყო, რათა ჩემი ნამუშევარი დაენახა. მშვენიერი ოქროსფერი თმები ამკობდა

მის სახესა და მხრებს, შესანიშნავი ფიგურა, ბრწყინვალე ღიმილი, მთვარის შუქის ფონზე იგი ქალღმერთს ჰგავდა...“ ბაირონი სულ ელოდა, რომ ტერეზას მეუღლე დაქირავებული მკვლელის ხელით სიცოცხლეს გამოასალმებდა, ან დუელში გაიწვევდა, მაგრამ პოეტი შიშს კი არ განიცდიდა, იგი მუდმივი საფრთხის მოლოდინში ერთგვარ კმაყოფილებას გრძნობდა.

გამბას ოჯახში, (სადაც მეუღლესთან განშორების შემდეგ დაბრუნდა ტერეზა) ხშირად იკრიბებოდნენ კარბონარები. ამ სახლში ისახებოდა იტალიის განთავისუფლების გეგმა. 1821 წლის იანვარ-თებერვლის ჩანაწერებში ტერეზას სახელი იშვიათად ჩანს, თუმცა ისინი კვლავ ხვდებიან ერთმანეთს. პოეტი აღნიშნავს, რომ მას არ აღეგულებს თავისი მომავალი, რომელიც... „მისი ქალბატონის ნებასურვილზეა დამოკიდებული“ განშორებისას პოეტი ტერეზას ჩუქნის მწერალ ვალტერ სკოტის გამოსახულებიან ოქროს ბეჭედს.

ერთხელ ტერეზა წაეჩხუბა პოეტს, რომელიც ამტკიცებდა, რომ ჭეშმარიტი ტრაგედიისთვის სიყვარული არ არის ყველაზე ამაღლებული თემა. ქალმა შეძლო ბაირონთან ლიტერატურული დისპუტის მოგება, მაგრამ პოეტის გულის სამუდამოდ დასაკუთრება ვერ შეძლო. ტერეზასათვის ჭეშმარიტი ტრაგედია მისი სიყვარული იყო.

რაც უფრო დრო გადიოდა, ბაირონს მით უფრო მეტად სურდა მონაწილეობა მიეღო საბერძნეთის განთავისუფლებაში, ფიქრობდა ბარიკადულ ბრძოლებზე, რევოლუციასზე. 1823-1824 წლები მან გაატარა საბერძნეთში, სადაც შექმნა ლირიკული

ლექსების ციკლი, მათ შორის „დღეს შემისრულდა ოცდათექვსმეტი წელი“ ეს იყო მისი სიცოცხლის უკანასკნელი წელი და უკანასკნელი ლექსი.

საბერძნეთის პატარა ნავსადგურ მისოლუნგში ტროპიკული ციებ-ცხელებით შეპყრობილი პოეტის გვერდით აღმოჩნდა პატარა თურქი გოგონა ხატაჯე, ხატო, როგორც მას დიდი

პოეტი უწოდებდა მოფერებით. ბაირონი აღსასრულის წინ ახსენებდა ავგუსტას, ლედი ბაირონს, მერის, ტერეზას და კლარას. მთელი საბერძნეთი გლოვობდა ბაირონს. ოცდათექვსმეტჯერ გაისროლეს ზარბაზნებმა და მსოფლიოს ამცნეს უდიდესი პოეტის და უბადლო რაინდის გარდაცვალება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Marchand L. A. Byron, A Biography. V. 1-3. N-Y., 1999.
2. კ. გამსახურდია, თხზულებათა ანთომეული, ტომი IX. თბ., 1985.
3. გ. გაჩეჩილაძე, ბაირონი, თბ., 1938.
4. "he loved but one" Frank Frankfort Moor , the story of Lord of Byron and Mary Chavorth
5. R. H. Griffith and H. M. Jones, eds., *A Descriptive Catalogue of an Exhibition of Manuscripts and First Editions of Lord Byron at the University of Texas* (Austin: University of Texas, 1924).
6. Elkin Mathews, *Byron and Byroniana: A Catalogue of Books* (London: Elkin Mathews, 1930).
7. Robert Escarpit, *Lord Byron: Un tempérament littéraire*, 2 volumes (Paris: Le Cercle du Livre, 1957), II: 269-324.
8. Oscar José Santucho, *George Gordon, Lord Byron: A Comprehensive Bibliography of Secondary Materials in English, 1807-1974*, with "A Critical Review of Research," by Clement Tyson Goode, Jr., (Metuchen, N.J.: Scarecrow, 1977).





giul i muradaSvil i

გეორგ ვილჰელმ ფრიდრიჰ ჰეგელის დიალექტიკის კანონის ინტერპრეტაცია კოტე ბაქრაძის შემოქმედებაში

კოტე ბაქრაძე (1898-1972 წწ.) ქართული ფილოსოფიური სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენელია. მას მიუძღვის წვლილი ფილოსოფიის ისტორიის შესწავლაში, იყო ფილოსოფიური სკოლების, მათ შორის ფენომენოლოგიის და ეგზისტენციალიზმის მკვლევარი.

კ. ბაქრაძის ნაშრომში, – რომლის სათაურია „სისტემა და მეთოდი ჰეგელის შემოქმედებაში“ მსჯელობა ეხება დიალექტიკის კანონს – განსხვავებულთა მთლიანობაზე, კ. ბაქრაძის მხრივ ინტერპრეტაციაც მხედველობაში აქვს კანონის ერთი მხარე, ობიექტურად მოაზროვნე სამყარო, ამავე დროს მრავალფეროვანი და ცვალებადი.

სახასიათო ფორმით და შინაარსით ჩამოყალიბებული „სისტემა და მეთოდი ჰეგელის შემოქმედებაში სხვა ნაშრომებთან ერთად – „დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში“, „ლოგიკის მეცნიერება“, „ახალი დროის ფილოსოფიის ისტორია“ – ქმნის მთლიან განწყობას ურთიერთგამამდიდებელი ღირსებით. ამ თვალსაზრისით „ფილოსოფიის ისტორიის“ დიალექტიკის კანონს წარმოადგენს ცვენითი მთლიანობის სახასიათო ზედროულობით, ასახავს კონკრეტულ სამყაროს, – თუმცა ამავე დროს მრავალფეროვანი და ცვალებადი, ავლენს ზედროულს.

სხენებულს გვსურს ჩვენს მხრივაც შევმატოთ ის, რომ დიალექტიკის ცვალებადი ბუნება, უფრო ადრე იყო შემჩნეული ანტიკურ აზროვნებაში; იგი ღია, თავისუფალი ფორმით, კონკრეტულად ჩამოყალიბდა ახალი დროის შექმნაში, – ჰეგელის მეცნიერული და ფილოსოფიური, რაციონალური და ირაციონალურის თანადროულობა ჰქონდა მხედველობაში, რადგან „უაზრობაა ჩვენი ცნობების დანარჩენი შინაარსი განვიხილოთ ვითომც არსის, ან მის გარეთ მყოფად; ან ისეთ რამედ, რაც აგრეთვე არსებობს; ნამდვილი და ჭეშმარიტი უფრო ის არის, რომ არსი – როგორც ასეთი თავის საპირისპიროში გადაის“.

თქმული: „თავის საპირისპიროში გადადის“ – დედანში არსებს სხვა მნიშვნელობით; თუმცა თარგმანი ზოგჯერ ვერ ამბობს სწორი – საფერის, ვერ ჭრის, ვერ აუდის’ მსგავს შემთხვევაში უკეთესია ყურადღება აზრის ჩამოყალიბებაზე გავამახვილოთ:

„არსი, წმინდა არსი, საწყისია შემდგომი განსაზღვრებები კიდევ რომ არ გვექონდეს მხედველობაში, არსი თავის წმინდა განუსაზღვრელობაში არის თავის თანასწორი; არ არიან სხვის მიმართ არათანაბარი.

წმინდა არსი თავის განუსაზღვრელ უშუალოებაში არარას წარმოადგენს.

წმინდა არსს და წმინდაარსს ერთდამავედ თუ მივიჩნევთ მაშინ არ იქნებოდა არსი და ალაც არაარსი;

უფრო ის შეეფერება სიმართლეს, რომ არსი – არაარსში და არაარსი – არსში არიან განუშორებელნი და ამავე დროს ერთმანეთისგან განსხვავებულინი“ [2].

წარმოდგენილი სააზროვნო სისტემა, ამავე დროს მდიდარია არსებული კონკრეტული – მეცნიერული ცოდნის შეფასებით. გრავიტაციის და ცნება „მალის“ შესახებ მსჯელობამ თავის მხრივაც გამოავლინა ის, რომ „ძალა წარმოადგენს უარყოფით მიმართებას საკუთარ თავთან; არის განზიდულობა საკუთარ თავისგან; რაც განსხვავებულ შინაგან აუცილებლობას გულისხმობს“ [1. 137].

კ. ბაქრაძის გამოკვლევა „დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში იმით არის ღირებული, რომ წარმოადგინა დიალექტიკის კანონის ჩამოყალიბება.

ფიხტეს და შელინგის ნააზროვნის ჩათვლით, გამოკვლევა ხასიათდება სწორი ანალიტიკური სირთულით.

ფიხტეს გამჟღავნების მეთოდის ინტერპრეტაციამ მოგვცა სამეტყველო თავისებურებათა წარმოდგენის შესაძლებლობა იმ თვალსაზრისით, რომ არსებითი ჰეგელის ფილოსოფიაში ჩამოყალიბებულია მეტი სიწმინდით [2. 240].

გამჟღავნების მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ „დავადგენთ ემპირიულ ცნობიერების რაიმე ფაქტს და თანდათანობით მოვახდენთ მის აბსტრაქციას ემპირიულ გარკვეულობათაგან; ამ პროცესს მანამდე გავაგრძელებთ, სანამ არ დარჩება ის, რისგანაც შეუძლებელია აბსტრაქცია [3. 141].

ჰეგელი იგივეს იტყვის ამგვარად: – „არ იქნება სწორი, დათანხმდე, რომ ჯერ საგნები ქმნიან ჩვენი წარმოდგენების შინაარსს და მხოლოდ შემდეგ ჩნდება ჩვენი სუბიექტური მოქმედება, რომელიც აბსტრაქციების ოპერაციით და იმის შეერთებით, რაც საერთო აქვს საგნებს, ქმნის მათ წარმოდგენას. პირიქით, ცნებაა ჭეშმარიტად უსასრულო პირველი და საგნები რაც არიან, მათში გამოცხადებული ცნების წყალობით არიან“ [1. 339].

დიალექტიკის ხასიათთან დაკავშირებით გვსურს ჩვენ მხრივაც ვახსენოთ ფრ. ბეკონი (1561-1626 წწ.).

სამყაროს ცვალებადი მრავალფეროვნება და აქედან გამომდინარე შეცნობის მრავალფეროვნება ჰქონდა ბეკონს მხედველობაში, რაც განმარტა მეცნიერული ლექსიკით, რომ „ობიექტურად უნდა ვცნოთ ერთი და იგივე ექსპერიმენტით სხვადასხვა ვითარებაში გამოვლენილი სხვადასხვა შედეგი“. შემდგომ ჰეგელმა თავის მხრივაც აღნიშნა იმის შესახებ, რომ „ბუნების ძალთა აღმოჩენა“ სიამაყის საგნად იქცა, თუმცაღა ამავე დროს კანონი არ არის შეზღუდული და აბსტრაქციული; ჰეგელს ამით იმის თქმა უნდა, რომ დასაზღვრული და კონკრეტული გულისხმობს იმასაც, რაც არის განუსაზღვრელი; აქედან გამომდინარე მეცნიერული განსჯით სააზროვნო არ რჩება ფილოსოფიური

გონითი წვდომის მიღმა და გარეთ; ამ თვალსაზრისით ჰეგელის შემოქმედება შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე მრავალფეროვანი აზროვნების სათავედ; ამ შემთხვევაში მსჯელობა ეხენა არა მარტო საკითხის დიალექტიკურ-მატერიალურ ასპექტს [3. 3], არამედ ფენომენოლოგიას და ეგზისტენციალიზმს, რამაც თავის მხრივაც მოამზადა და წარმართა კვლევა „მაგიტვე მთლიანი, პიროვნებისეული საწყისებისკენ, სინდისის ფენომენი – როგორც სამყაროში ყოფნის წესი – ადამიანს აყენებს საკუთარი თავის წინაშე; მასში არ მონაწილეობს განსჯა და განზრახვა, ის არის მკვეთრი შენჯღრევა, დამახეხა შორეთიდან შორეთში“ [5. 211, 408].

ჰაიდეგერის მიერ თქმული: „სინდისი, როგორც სამყაროში ყოფნის წესი“ – არ არის დრო და სივრცით შეზღუდული: თუმცა, „არც თუ იშვიათად ვართ სახეზე მყოფის ტყვეობაში იმის გაუთვალისწინებლად, – რაც არის დამსწრე (Anwesen Anwesenden); მაგრამ რა გამოვა მეტყველებიდან, თუ არაფრის შემძლებელია? არა აქვს მყოფობა – თავს ვერ უყრის თავის წინ“.

მეტყველება რამდენადაც იგი უგულვებელყოფს დამსრეს, – ამდენად იგი არ აზროვნებს – მხოლოდ სახელთა თქმად არის ქცეული“ [6. 50].

სინდისის ფენომენის კვლევას საფუძველი შეუქმნა დიალექტიკის კანონის ერთ-ერთი ასპექტის განვითარებამ – სამყაროს ცნებითი მთლიანობის შესახებ – მეცნიერული და ფილოსოფიური, გონითი და განსჯადი წვდომის თანადროულობამ, ამასთან დაკავშირებით ჩვენ მხრივაც გვმართებს იმის თქმა, რომ დიალექტიკის

კანონი ჰეგელის და ჰაიდეგერის მიერ იყო აღიარებული. თუმცა, მათ შორის განსხვავება არის ანტიკური აზროვნების ინტერპრეტაციის თვალსაზრისით.

ჰეგელის მიხედვით არსზე მსჯელობას, – რაც იყო ფილოსოფიის დასაწყისში, – დიალექტიკა დარჩა გაუცნობიერებელი; ჰაიდეგერის ინტერპრეტაციას – მხედველობაში აქვს მოძიებული ფრაგმენტები, – რომ არსზე აზროვნება იმთავითვე იყო დიალექტიკური, თუმცა იყო დავიწყებული, – რაც თავის მხრივ გულისხმობს გახსენებას. იმას, „რომ პარმენიდესთან საუბარს არა აქვს დასასრული; არა იმიტომ, რომ ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტებში ბევრი რამ არის გაუგებარი, არამედ იმიტომ, რომ მის მიერ თქმული, მაგრამ ახლებურად არის დაფიქსირების ღირსი; დიალოგის დაუსრულებლობა არ არის ნაკლები, მასში გაწაფულობის და დაოსტატების შესაძლებლობაა დამშვებული“ [7. 53].

ინტერპრეტაციის მიუხედავად დიალექტიკის კანონის გაგება ჰაიდეგერის და ჰეგელის მხრივ არ არის ერთმანეთისგან პრინციპულად განსხვავებული, თუმცა ჰაიდეგერის მიერ თქმული: „მყოფის მყოფობა“, „დამსწრის დასწრება“, გულისხმობს „მყოფის ორბუნებოვნებას“, რისი წყალობითაც აზრი იმთავითვეა დაცული; ამ შემთხვევაში მსჯელობა არ ემყარება გამომდინარეობით დაფუძნებას; არამედ მყოფი წინასწარი გამოითქვა თავის ყოფიერებაში.

წარმოდგენილი გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ კ. ბაქრაძის შემოქმედებამ არსებულ გამოკვლევებს (ი. ილინი, ა. ლოსევი, ი. დონდი, ი. ვაიხედელი, ს. წერეთელი, ნ. ჭავჭავაძე)

ვაძე, ა. პოპიაშვილი, ა. ბაქრაძე, გ. თევ- თილი სახასიათო იერი და შემდგო-
ზაძე, ვ. გოგობერიშვილი, ს. გოგოჭუ- მაც შეუქმნის საფუძველს.
რი, ლ. რამიშვილი) შესძინა გამოკვე-

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჰეგელი. „ლოგიკის მეცნიერება“, თბ., 1962.
2. G. W. I. Hegel. „Wissensedafit der logik“, I, Lasson.
3. კ. ბაქრაძე, „დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში“, თბ., 1972; Fichte, „Wissensechaftslern“, Bd III, 298 200.
4. Фр. Бекон, „Новый органон“, М., 1938.
5. მ. ჰაიდეგერი, „ყოფიერება და დრო“, თბ., 1982.
6. M. Heidegger, „Logos“; Vortrange und Aufsätze“; t3, Neske 1967.
7. M. Heidegger, „Moirā“ Vortrange und Aufsätze“; t3, Neske 1967. გ. მერგიშვილი, „ზოგი რამ საერთო და განსხვავებული გეგელის და ჰაიდეგერის შემოქმედებაში“, ჟურნ.: „მაცნე“, 1991, №4, 1992 №3.

“





ქართველები – შუმერთა წინაპრები

შუმერი არის უცნობი წარმომავლობის ტომი, რომელიც მივიდა შუამდინარეთში (დღევანდელი ერაყის ტერიტორია) ჯერ კიდევ ძვ. წ. VI ათასწლეულში. ამას ადასტურებს იქ აღმოჩენილი სახვითი ხელოვნების ნიმუშები, ხოლო, წერილობითი წყაროებით, შუმერი უკვე ძვ. წ. III ათასწლეულიდან წარმოჩინდება.

ვინ არიან ის უცნობი ტომები, რომლებიც შუამდინარეთში მივიდნენ ჯერ კიდევ ძვ. წ. VI ათასწლეულში და რომლებსაც დღეს მსოფლიოს ხალხი შუმერებს უწოდებს?!!

ისტორიოგრაფიის დღევანდელი გაგებით, შუმერი არ არსებობდა მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ მითები და ეპიკური თქმულებები, ღმერთებისადმი მიძღვნილი ჰიმნები და გოდებანი, ანდაზები და იგავ-არაკები; ჰქონდათ ხამურაბის და ლიფით-იშთარის კანონების კრებულები შუმერულ ენაზე; შუმერებს არ ჰყავდათ ერთპიროვნული გამგებლები, ისინი ყველა მნიშვნელოვან საქმეზე რჩევას გავლენიან მოქალაქეებს ეკითხებოდნენ დიდმნიშვნელოვან შეკრებებზე. ერთ-ერთი ასეთი „პარლამენტი“ მოუწვევიათ ჯერ კიდევ 5000 წლის წინ. იმ დროს ამ ქვეყანას შუმერი ეწოდებოდა. ზემოთ აღწერილიც საკმარისია ვიფიქროთ, რომ შუ-

მერი მაღალცივილიზებული ერი ყოფილა, მაგრამ ერთი რამ უცნაურია: შუმერებისთვის უცნობი იყო ისტორიული ლიტერატურის ჟანრი იმ სახით, რა სახითაც იგი ჰქონდათ ძველ ებრაელებსა და ბერძნებს. შუმერში ტამრებისა და სასახლეების არქივთა მწერლები თიხის ფირფიტებზე წერდნენ პოლიტიკურ, სამხედრო ან რელიგიური ხასიათის ისეთ ცნობებს, რომელთაც თვითონ თვლიდნენ ყურადღების ღირსად, მაგრამ ასეთი ჩანაწერები არ აღმოჩნდა საკმარისი ქვეყნის ისტორიის უწყვეტი და თანმიმდევრული თხრობისთვის. ისტორიული ჟანრის ჩანაწერები შუმერში არ არსებობდა.

ასევე ქართველებს, ჯერ კიდევ ადამის ცივილიზაციის დასაწყისში, გვქონდა ქართული ანბანი – ბიბლიური კაბალას პირველსაწყისი გენეტიკური კოდის ცოდნა, რომლის მიხედვითაც, ქართველებმა ადამის ცივილიზაციის დასაწყისში დაიწყეს წელთაღრიცხვა „ქართ ადამს აქათ“ ჯერ კიდევ 8000 წლის წინ. ქართველებმა იცოდნენ, როდის მოხდა „წარღვნა“ და აქედან დაიწყეს წელთაღრიცხვის ათვლა „დასაბამითგან“; მათ იცოდნენ, რომ ქრისტე 2000 წლის წინ მოვიდა და ეს თარიღი იყო „დასაბამითგან“, ანუ „წარღვნიდან“

5604 წელი. „კაბალას“ სამშობლო, ანუ კაბალას ცნობიერების საწყისის ადგილი აღმოსავლეთი საქართველოა. ქართველებს გვქონდა ჩვენი ინდივიდუალური და განუმეორებელი მითოლოგია, ეთნოგრაფია, არქეოლოგიური მასალა, სამყაროს კოსმიური პროცესების გამოსახვის სიმბოლიკა. ქართული ანბანის კვალია მსოფლიოს ძველი ცივილიზაციის თითქმის ყველა ხალხის ისტორიულ ძეგლებსა თუ მითოლოგიაში; დღეს საქართველოს ისტორიაში არ არის ცნობილი ფარნავაზიანთა დინასტიის მეფობის პერიოდები და ისტორია, რომელთა ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო მეფე ფარნავაზი (ძვ. წ. 2288 წ.), რომელმაც „განავრცო ენა ქართული...“.

ზიზლიის მიხედვით, ებრაელ ხალხს პირველი „გოჯი“ მიწა „ალექმულ მიწაზე“ სწორედაც ქანაანელი ქართველი ხეთების „მეფემ“ აჩუქა. აბრაამის დროს ქანაანელი ხეთების სახელმწიფო იყო დიდი ცივილიზაციის მქონე. მათ ჰყავდათ „მეფე“, ჰქონდათ სახელმწიფო კანონები, რომლის მიხედვითაც, უცხო ტომის ხალხს ეკრძალებოდა ამ მიწაზე მიცვალებულის დაკრძალვა. ჩვენ ქართველები, ვიყავით ქანაანის სახელმწიფოს მფლობელები. მას ეს სახელი – „ქანაანი“ ქართული ანბანის „ქან“ და „ან“-ის მიხედვით დავარქვით.

შუმერთა ომისა და სიყვარულის ქალღმერთს განსაკუთრებულად თავიანთს სცემდნენ ხეთებიც, რომლებმაც მსოფლიოში პირველებმა დაიწყეს რკინის მოპოვება და გამოყენება, ცხენების ეტლების დამზადება, პირველებმა შეადგინეს კონსტიტუცია, პირველებმა დადეს სამშვიდობო ხელშეკრულება, თავიანთს სცემდნენ ნაყოფიერების ღმერთებს. ქართვე-

ლები ვართ ის ხეთები, რომელსაც მსოფლიომ დღემდე ვერ მიაგნო. ჩვენ ვართ კა-ხეთი, კუ-ხეთი, მეს-ხეთი, ჯავა-ხეთი და კოლ-ხეთი, დედაქალაქსაც მც-ხეთა დავარქვით. სიტყვა „ხეთი“ მომდინარეობს ქართული სიტყვა „ხე“-დან, რაც მითოლოგიურად სიცოცხლის ხესთან – „მესი“-სთან არის დაკავშირებული. არ მეგულება მსოფლიოში ხალხი, რომელთა ენაშიც „ხე“ იხმარებოდეს ხეს მნიშვნელობით. ზემოთ განხილულის მიხედვით, ქართველები, შუმერები და ხეთები ერთი ხალხია.

ქართველები და საქართველო მაღალცივილიზებული პირველსაწყისი გენის მატარებელი არიან, მაგრამ მიუხედავად ამისა, შუმერების მსგავსად, არც იმ პერიოდის ქართველები და ხეთები წერდნენ თავიანთ ისტორიას. მათ უკეთ ესმოდათ სამყაროში მიმდინარე კოსმიური პროცესები, არ არღვევდნენ ბუნებრივობის და ჰარმონიულობის კანონს, ამიტომ არ გვაქვს ქართველებს, ხეთებსა და შუმერებს იმ პერიოდის ისტორია.

შუმერის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს 5000 წლის თიხის ფირფიტა ზომით 23X23 სმ, რომელზეც პაწაწინა ნიშნებით 600 სტრიქონად დაწერილია: „ენმერქარი და არათას ბატონი“. აქ მონათხრობის მიხედვით, სამხრეთ შუამდინარეთში იყო ქალაქი ური, რომელსაც მართავდა შუმერთა გმირი ენმერქარი. მითის მიხედვით, ურუქის ჩრდილოეთით მდებარეობდა სახელმწიფო „არათას“. ურუქსა და „არათას“ ერთმანეთისგან შვიდი მთაგრეხილი აშორებდა. „არათას“ განთქმული ყოფილა სიმდიდრით – სხვადასხვა ძვირფასი ლითონითა და წმინდა ქვებით. „ერთხელ, დიდი ხნის წინათ...“ ენმერქარი, მზე

უთუ შვილი, შევედრა თავის დას, შუმერთა ქალღმერთ ინანას, სიყვარულისა და ომის ღმერთის ყოვლისშემძლე ხვთაებას, ექმნა ისე, რომ „არათას“ წმინდა მიწიდან ჩამოეტანათ ურუქში ოქრო, ვერცხლი, ლილაქვა და სხვა ძვირფასი ქვები, რათა ამ წმინდა ქვებით მიწა-წყლის ღმერთის ენკის ტაძარი აეშენებინათ.

ქალღმერთმა ინანამ, რომელიც მკვიდრობდა „არათას“ ქვეყანაში, გულთბილად მიიღო ენმერქარის გამოგზავნილი მაცნე. ქალღმერთ ინანას დავალებით „არათას“ ბატონმა ურუქში ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი ქვები გააგზავნა. ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ „არათას ქვეყანა“, რომელიც შუმერული მითის მიხედვით, მდებარეობს ურუქიდან ჩრდილოეთით შვიდი მთაგრეხილის იქით, არის ქალღმერთ ინანას „განსასვენებელი“, სამკვიდრებელი _ სამშობლო. „არათას“ წმინდა მიწიდან წაღებული ოქრო, ვერცხლი და სხვა ქვები ითვლება იმ სიწმინდეებად, რომლისგანაც ენმერქარმა ურუქში ენკის ტაძარი ააშენა და შეამკო.

დღეს მსოფლიოს მოაზროვნე საზოგადოება ეძებს „არათას“ ქვეყანას, რომელიც შუმერის მითების მიხედვით დედამიწაზე პირველსაწყისი ცივილიზაციის ხალხად მოიაზრება.

შუმერულ მითში წარმოჩენილ სიტყვებში: „წმინდა წესების ქვეყანა“ _ „არათა“, „დიადი ქვეყანა დიდებულ წესთა“, „ბევრეულ წესთა დედოფალი“, მიგვანიშნებენ იმ ქვეყანაზე, რომელიც არის „წმინდა წესების ქვეყანა“ _ „არათა“. ამავე დროს ეს „წმინდა წესები“ და „ბევრეული წესები“ არის შუმერთა „მე“-ს „ხვთაებრივი კანონები“, რომლებიც თვით ქალღმერთ ინანას კუთვნილება და

მას მითი მოიხსენიებს „ბევრეულ წესთა დედოფლად“. „წმინდა წესების ქვეყანა“-ში მოიაზრება სწორედაც „მე“-ს „ხვთაებრივი კანონების“ _ კაბალას ბიბლიური ცოდნის სამშობლო _ საქართველო, ვინაიდან „მე“-ს „ხვთაებრივი კანონები“ მხოლოდ ქართული ანბანის შესატყვისი „ქართული კაბალაა“. სწორედ ამ „ხვთაებრივი კანონებით“ _ გენეტიკური კოდით მიმდინარეობს სამყაროს ცვალებადობის კოსმიური პროცესი.

ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდია.

შუმერთა მითი კაბალას „წმინდა წესებს“ „დიდებულ წესებს“ უწოდებს და ამ წესების სამშობლო ქვეყანას „დიად ქვეყანად“ მოიხსენიებს. მითის მიხედვით, „დიადი ქვეყანა დიდებულ წესთა“ არის კაბალას ბიბლიური ცოდნის სამშობლო _ საქართველო. ქართველი ხალხი კავკასიის ძირძველი მკვიდრია და არსაიდან მოსული არ არის. კავკასია _ საქართველო ბიბლიური კაბალას სამშობლოა, აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს ოდითგანვე „კაბალა“ ერქვა, რომელიც შედიოდა კავკასიის ალვანეთში, რომლის დედაქალაქი იყო ქალაქი კაბალა (კაბალი). სიტყვები „ალვანეთი“ და „კაბალი“ ქართული სიტყვებია, მათ ეს სახელები ქართულ ენაზე მოლაპარაკე ხალხმა დაარქვა.

ამ შუმერული მითის მიხედვით, „არათას“ ქვეყანა გაიგივებულია შუმერთან. შუმერი რომ საქართველოს ნაწილია, ამაში ვრწმუნდებით შემდეგი მასალებით: შუმერს „ან“ ცის ღმერთი ჰყავს, „ენ“ _ წყლის ღმერთი, მაგრამ შუმერს არა აქვს ქართული ანბანი, საიდანაც აღებულია სიტყვები „ან“ და „ენ“ _ ქართულ ასო-ნი-

შანთა მეორადი სახელები. შუმერს ლურსმული დამწერლობა აქვს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ქართულ ანბანთან. შუმერს არა აქვს სიტყვა „მე“, თუმცა მას „შუ-მე-ერი“ ჰქვია და, ამავე დროს, აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი „მე“-ს „ხვთაებრივი სჯულდებები“. მასასადამე, შუამდინარეთი არ არის „მე“-ს „ხვთაებრივი სჯულდებების (კანონების)“ – „წმინდა წესების“ სამშობლო და ეს ცოდნა იქ საქართველოდანაა ჩატანილი. ქართული ენის მიხედვით, სიტყვიდან „შუმერი“ – „შუ-მე-ერი“, „შუ“ – შუაგულს ნიშნავს, „მე“ – სამყაროული „მე“-ა, რომელი სიტყვაც შუმერს არა აქვს, „ერი“ – „ერთი“ – „ერა“ იდენტური ქართული სიტყვებია. თვით ქალღმერთ „ინანა“-ს სახელი „ინ-ან-ა“, ქართული ანბანის მეორადი სახელებისგან შედგება და „ინ“ და „იან“ ორი პირველსაწყისის ენერგიათა ერთობას ასახავს: ქალღმერთი ინანა დღისით მეომარი და კაცია, ხოლო ღამით სიყვარულის ქალღმერთია, ანუ ორბუნებოვანია. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ამავედროულად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეს კოსმოგონიური ცნობიერება, ჯერ კიდევ ძვ. წ. VI ათასწლეულში, შუამდინარეთში კავკასიიდან – საქართველოდან ჩასულმა ქართულ ენაზე მოლაპარაკე ხალხმა – შუმერებმა ჩაიტანეს, რომელთა შთამომავლები ის ხალხია, ვისაც დღეს მსოფლიო შუმერებს უწოდებს.

შუმერი ის ერია, რომელმაც შექმნა კაცობრიობის ყველაზე უფრო ძველი კულტურა. მკვლევარები და ხელოვნების ისტორიკოსები დღემდე წერენ: „ვინ არიან შუმერები? იქნებ სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ ჩვენი ცივილიზაციის ისტორია? ამავე დროს, ჩვენ არაფერი ვიცით მათი

წარმომავლობის შესახებ და მათი ენა არა ჰგავს ჩვენთვის ცნობილ რომელიმე მკვდარ ან ცოცხალ ენას“. ამაზე სრულიად თამამად შეიძლება ვუპასუხოთ, რომ შუმერული ენა ჰგავს ამაყმად ცოცხალ ენას – ქართულს. ამ ენით დაერქვა შუამდინარეთის ქალაქ-სახელმწიფოებს, ტბებს, მდინარეებს სახელები: აქადი, ბაბელონი, ბაღდადი, ნიფური, ისინი, ლარსა, ბასრა, მუხთარი, ური, ურუკი, უმა, ქებელა, მოსული, ვანის ტბა, ურმიის ტბა, მდ. დიალა, კერხე და ა.შ.

მითის მიხედვით „წმინდა წესების ქვეყანა“ „არათას“ ხალხია. საქართველოს მეფეები მოიხსენიებიან: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, ჰერთა...“. აქ ნახსენები ისტორიული „რანი“ სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოა, რომელიც ადრე „არანი“-ს სახელით მოიხსენიებოდა. სიტყვები „არათა“ და „არანი“ ერთი სიტყვის ფუძე „არა“-დან წარმოსდგება და უნდა ვაღიაროთ, რომ „არათა“-ს ქვეყანა იგივე „არანთა“ ქვეყანა – ისტორიული სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველოა. სწორედ ამ ტერიტორიაზეა კაზრეთის და მისგან 15 კმ-ით დაცილებული ბოლნისის რაიონის სოფ. საყდრისის ოქროს საბადო. დღეს აქ მუშაობს საერთაშორისო ექსპედიცია, რომელსაც მეცნიერები ირინა ღამბაშიძე და ანდრეას ჰაუტმანი ხელმძღვანელობენ. საყდრისში გენიალური აღმოჩენა გაკეთდა – 5400 წლის წინანდელ ოქროს საბადოებს მიაგნეს (ძვ. წ. IV ათ.). ასეთი ადრეული საბადოსთვის მსოფლიოში ჯერ არავის მიუგნია. მოპოვებულ მადანს ამუშავებდნენ. ნახეს ოქროს დასამუშავებელი იარაღები. ჩანს, ძალიან მაღალი ხარისხის წარმოება ჰქონდათ. აღმოჩენილი მალაროდან აიღეს ოქ-

როს სინჯი და სათანადო ლაბორატორიული ანალიზი ჩატარეს. ამ მაღაროში აღებული ოქროს მონაცემების მიხედვით, შეამოწმეს მსოფლიოს იმ პერიოდის თითქმის ყველა ძველი ოქროს ნაკეთობა და დაადგინეს, რომ მხოლოდ შუმერში აღმოჩენილი ოქროს ნაკეთობებია სოფ. საყდრისის ძველი – 5400 წლის მაღაროებში მოპოვებული ოქროსგან დამზადებული. ამ აღმოჩენას გერმანელი მეცნიერები მსოფლიოს სენსაციას უწოდებენ. ეს უმნიშვნელოვანესი მტკიცებულებაა იმისა, რომ შუმერთა მითში „ენმერქარი და არათას ბატონი“ მოხსენიებული მითოლოგიური პროცესი რეალურ ცხოვრებაში გადმოტანილი ნამდვილი ამბავია და ეხება მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს – „არათას“-ს – „არანი“-ს („რანი“-ს) ქვეყანას, საიდანაც მითის მიხედვით, ქალღმერთ ინანას დავალებით, არათას ქვეყანაში – საქართველოში ადგილზე დაამზადეს ოქროს ნაკეთობები და როგორც სიწმინდეები, წააბრძანეს შუმერში. ზემოთ განხილულით ირკვევა, რომ „უფლის წმინდა გულით არჩეული“ „დიდებულ წესთა ქვეყანა“ „არათას“, სწორედაც საქართველოა!

შუმერთა მითი „არათას“ ქვეყანას „სამოთხეს“ ადარებს, საიდანაც ხალხი „ერთ ღმერთს ერთ ენაზე ადიდებდა“. ქართული წყაროების მიხედვით, „მეორედ მოსვლისას მაცხოვარი ამ ენაზე (ქართულ ენაზე) განიკითხავს და ამხილებს ქვეყანას“. მაშასადამე, ქართული ენა ბოლო ჟამის და უფლის ენად განიხილება. თუ ქართული ენა ბოლო ჟამის ენაა, მაშინ ის პირველსაწყისის – პირველი „ჟამის“ ენაც ყოფილა, ვინაიდან სამყაროში ყველა და ყველაფერი პირველსაწყისის უბრუნდება.

როში ყველა და ყველაფერი პირველსაწყისის უბრუნდება.

დღეს ევროპელი მეცნიერები ადასტურებენ, რომ ცივილიზაცია კავკასიაში დაიწყო და ქართული ენა არის მსოფლიოს პირველსაწყისი ენა.

არის თუ არა „არათას“ – საქართველოს მიწა-წყალი ბიბლიური „სამოთხის ქვეყანა“? შუმერული მითების გარდა ამაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთის ხალხი საქართველოს და ქართველებს „გურჯისტანს“ და „გურჯებს“ გვიწოდებს რაც მითოლოგიის ენციკლოპედიის მიხედვით 33 წლის მარადქალწულს და „სამოთხეს“ ნიშნავს. მაშასადამე, მსოფლიოს აღმოსავლეთმა ოდითგანვე იცოდა, რომ საქართველოს მიწა-წყალი ბიბლიური „სამოთხის“ ქვეყანაა, ხოლო ქართველები „სამოთხის“ ხალხია, „სამოთხე“ თვით სამყაროს დედა-ქალღმერთია.

ამ მინიშნებითაც საქართველო „მარადქალწულის“ – „სამოთხის“ წილხვედრი ქვეყანაა.

ისტორიული საქართველოს – ჰერეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ძვ. წ. IV ათასწლეულის ყორღანული სამარხები. აქ აღმოჩენილი ჭურჭელი და სხვა ნაკეთობები იდენტურია მესოპოტამიაში, ურუქში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალისა, რომელიც უსწრებს მესოპოტამიაში შუმერების ცივილიზაციას, ე.ი. შუმერზე ადრეულია. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ამ ორივე – შუმერთა და ქართველთა კულტურის შემქმნელები ერთი ხალხია. იმ პერიოდის შუმერთა მითების მიხედვით, არათას ქვეყანა – საქართველო ქალღმერთ ინანას სამშობლოდ, მისი „შობის ადგილად მოიხსენიება“.

ქრისტიანული მრწამსითაც საქართველო ხვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, როგორც აღმოჩნდა, ეს საკითხი შორეულ კოსმოგონიურ ცნობიერებასთანაა დაკავშირებული. „არათას“ ქვეყანა – საქართველო მოიხსენება „წმინდა წესების ქვეყანად“, რომელიც „უფლის წმინდა გულმა აირჩია“. თვით ქალღმერთი ინანა „ბევრეულ წესთა“ დედოფალია და სწორედ „არათა“ – საქართველო მოიზრება ინანას სამშობლოდ და „წმინდა წესების ქვეყანად“, რაც შუმერული კაბალაა და ეს ცოდნა მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. ეს საკითხი პირდაპირი მინიშნებაა იმისა, რომ შუმერები სამყაროს პირველ ადამიანთა ცოდნის – კაბალას სამშობლოდ არათას ქვეყანას – საქართველოს აღიარებდნენ. ქართული ანბანი მხოლოდ ქართველთა კუთვნილ-

ბაა. ყველა უძველესი ქართული ხელნაწერი მხოლოდ ქართული ანბანითაა შესრულებული.

საქართველო არა მარტო ხვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, არამედ, საქართველო შუმერთა ქალღმერთ ინანას სამშობლოც ყოფილა. საქართველოს მიწა-წყალი, ქართული გენი და ქართველი ხალხი სამყაროს შექმნიდან ითვლება სამყაროს დიდი დედის წილხვედომილად – სამოთხედ, წმინდა მიწად. შუმერთა მითში „ენმერქარი და არათას ბატონი“, წამოჩინებული „არათას“ ქვეყანა, ზემოთ განხილული ყველა მინიშნებით, ქართველი ხალხი და საქართველოა. შუმერების კავკასიიდან წასული ქართველი ხალხია. ამას ადასტურებს ქართულ-შუმერული მითოლოგიის და არქეოლოგიური მასალების შედარებითი კვლევები.



შუმერი (ძვ.წ. 3400წ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი)

შუმერში აღმოჩენილია ძვ. წ. 3400 წლის ქვის ბეჭედი. მასზე ასახული გამოსახულებები წარმოდგენილია შუმერთა იკონოგრაფიულ სტილში, რომელზეც ასახული კოსმიური პროცესი და შუმერთა ღმერთები არ

შეესაბამება შუამდინარეთის დღევანდელ მითოლოგიას. ამ ქვის ბეჭედზე ქართველთა ხვთისშვილები – კოპალა, ბაადური, თერგვაული და დობილიანი იახსარია გამოსახული, რომელთაც მხოლოდ ცხოველები ჰყავ-

დათ თანმხლები, მხოლოდ – 64-ე ხვთისშვილი უერთდება თავის მდებრულ ცალს. ეს პროცესია აღწერილი შუმერთა ქვის ბეჭედზეც. მაშინ, როცა შუმერთა ხვთისშვილებს ერთდროულად ჰყავთ თავისი ცხოველიც და მდებრული ცალიც, რითაც ირღვევა ადამის ცივილიზაციის კოსმიური არსი: ადამის ცივილიზაციის მიზანია, შეერთდეს ორი ურთიერთსაპირისპირო პირველსაწყისი, რაც შუმერთა დღევანდელ მითებში დარღვეულია. როგორც ქართული, ისე შუმერთული მითოლოგიით, ქალღმერთი უნდა გახდეს დედოფალი მიწისაც, სწორედ ეს არის ქალის, ანუ მატერიის შეცნობა, რომლის შემდეგაც სული და მატერია შეერწყმის ერთმანეთს და სიკვდილი აღარ იქნება. მაშასადამე, ამ ქვის ბეჭედზე ასახული მითოლოგიური პროცესი ძვ. წ. VI ათასწლეულში საქართველოდან შუამდინარეთში ჩასულმა შუმერთა წინაპრებმა – ქართველებმა ჩაიტანეს, ხოლო დღეისთვის ცნობილი შუმერთა მითები უკვე იმ კოსმოგონიური ცოდნის კარგად შეცვლილი სახეა, მაშინ, როცა საქართველოში მაშინდელი მითები დღესაც უცვლელია (ნახეთ წიგნი: ნაზი ხანიაშვილი. „ქართული გენი იბერიის ცივილიზაციის სათავეებთან“, 2012 წ. – „ქართველთა კოპალა... იახსარის მითი შუმერების ქვის ბეჭედზე“).

ქართველების მსგავსად, შუმერებსაც ჰყავდათ ხვთისშვილები, მხოლოდ მათთან არა 64, არამედ 50 ხვთისშვილია, რომლებიც შუმერთა უზენაესი ღმერთის მადრუკის 50 „სახე“ – გამოვლინებაა. ქართველთა

64 ხვთისშვილი, რომლებიც არიან მარადიულნი, უკვდავნი, მიკრო და მაკრო სამყაროს მთავარი შემოქმედი ღმერთები, რაც პირდაპირკავშირშია უჯრედის დნმ-ის 64 ნუკლეინის მყავასთან.

ქართული მითოლოგია უფრო ადრეულია, უფრო ღრმად და რეალურად ასახავს სამყაროში მიმდინარე კოსმიურ პროცესებს, ვიდრე ძვ. წ. III-II ათასწლეულების შუმერ-აკადის მითოლოგია.

ძვ. წ. II ათასწლეულის შუმერები არ იყვნენ პირველსაწყისი გენის და ცოდნის მატარებელი ხალხი. მათ ეს კოსმოგონიური ცოდნა, სამყაროს შესახებ, აიღეს უფრო ძველი ხალხიდან – შუმერებიდან, რომლებიც შუამდინარეთში საქართველოდან ჩავიდნენ ძვ. წ. VI ათასწლეულში.

ზემოთ განხილული საკითხები ნათლად წარმოჩენს ქართული გენის და ქართველი ხალხის პირველსაწყისობას, რაც მომავალ თაობებს დაეხმრება უკეთ და უფრო მეტი სიღრმეებით შეისწავლოს, შეიმეცნოს სამყარო და წარმოაჩინოს პირველ ადამიანთა კოსმოგონიური ცოდნა.

ყველაფრის საწყისი ქართული გენი, ქართული ენა და ქართული ანბანია.

სამყაროში პირველსაწყისი გენის გადაშენება არ ხდება, სხვაგვარად სამყარო ვერ დაუბრუნდება პირველსაწყისს.

ამ ნაშრომში განხილული საკითხები საკმარისი მტკიცებულებაა იმისა, რომ ქართველები არიან შუმერთა წინაპრები.



საქართველოს საგარეო პოლიტიკა XX საუკუნის ბოლოს

მეოცე საუკუნის 90-იანი წლები საქართველოს უახლეს ისტორიაში უდიდესი გარდატეხის პერიოდია: ქვეყანამ გამოაცხადა პოლიტიკური დამოუკიდებლობა (რაც ერთ-ერთი საფუძველი გახდა სსრკ-ის დაშლისა) და დაიწყო სწრაფვა ევროპული ინტეგრაციისაკენ. აღნიშნული პროცესების სათავეში იდგა ბ-ნი ზვიად გამსახურდია, რომელიც 1991 წელს საქართველოს პირველი პრეზიდენტი გახდა.

სამწუხაროდ, მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, საქართველოს სწრაფვა თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყნის შენებისაკენ, დიდი ხნით შეჩერებულ იქნა. რა იყო ეს მიზეზები: 1. უპირველეს ყოვლისა, აშშ-ის არასწორი პოზიცია და მისი ნეგატიური დამოკიდებულება სსრკ-ის დაშლის მიმართ – მათ ურჩევნოდათ საქმე ჰქონოდათ ერთ სახელმწიფოსთან, თუნდაც „ბოროტების იმპერიასთან“, ვიდრე 15 „ახლადგამოჩევილ“ სახელმწიფოსთან, რომლებთანაც ურთიერთობის დალაგება ნოლიდან უნდა დაეწყოთ, 2. ევროპის წამყვანი ქვეყნების პასიური როლი და მათი „თანხმობის პოლიტიკა“ უფროსი ძმის – აშშ-ის პოზიციის მიმართ,

3. აგონიაში მყოფი სსრკ-ის „უკანასკნელი გაბრძოლება“ იმპერიის შესანარჩუნებლად, 4. საქართველოს პოლიტიკური იზოლაცია – მეგობარი ქვეყნების არყოლა მსოფლიო პოლიტიკაში, 5. პოლიტიკური დამოუკიდებლობა ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარეშე – მისი „ეკონომიკური მიბმულობა“ სსრკ-ის ეკონომიკაზე, 6. ძლიერი არმიისა და სამართალდამცავი სტრუქტურების არყოლა ქვეყანაში, 7. დემოკრატიის არასწორი გაგების გამო ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან არამკაცრი დამოკიდებულება უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მიმართ, 8. რუსეთის მხრიდან შეგულიანებული ე. შევარდნაძის სწრაფვა ხელისუფლების კვლავ ხელში ჩასაგდებად, 9. ზ. გამსახურდიას არასწორი პოზიცია რუსეთთან მიმართებაში.

სწორედ აღნიშნული ფაქტორების კომპლექსური ზემოქმედების გამო საქართველომ ვერ შეძლო რაიმე, თუნდაც უმნიშვნელო პოლიტიკური ქულების მოპოვება. ასეთ მძიმე ვითარებაში მეტად მცდარი აღმოჩნდა ზ. გამსახურდიას „პოლიტიკური შორსმჭვრეტელობაც“ – მიუხედავად იმისა, რომ ჯორჯ ბუში – უფროსი მას „დინების საწინააღმდეგოდ მო-

ცურავს“ ემახდა, რითაც მიანიშნებდა, რომ მას, უპირველეს ყოვლისა, რუსეთთან უნდა დაელაგებინა ურთიერთობები, ზ. გამსახურდია მანაც ჯიუტად განაგრძობდა რუსეთთან დაპირისპირებას, მოუწოდებდა აშშ-ს შემოეყვანა თავისი ჯარები საქართველოში და თავის ასეთ ისტერიულ დამოკიდებულებას რუსეთის მიმართ ამართლებდა ოპოზიციის შიშით – შინაურ წრეში იგი ხშირად იმეორებდა, რომ იძულებული იყო ასეთი ნაბიჯი გადაედგა რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოპოზიცია მას „რუსეთის აგენტად“ გამოაცხადებდა. როგორც შემდგომში მოვლენებმა აჩვენა, ზ. გამსახურდიას ასეთი პოზიცია იყო პოლიტიკური სიბეცე და ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს: ჯერ ერთი, ოპოზიცია იმ დროს არ იყო ისეთი ძლიერი, რომ მის აზრს რაიმე გავლენა მოეხდინა მასაზე და მეორეც, ხალხს უსაზღვროდ უყვარდა ზვიადი და მის „რუსეთის აგენტობას“ არავინ დაიჯერებდა. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ სწორედ ზ. გამსახურდიას ასეთი არასწორი პოზიცია გახდა შემდგომში ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი საქართველოს თავსდატეხილი მრავალი განსაცდელისა.

ამრიგად, 90-იანი წლების დასაწყისის საქართველოს საგარეო პოლიტიკა ვერ შედგა – ქვეყანამ ვერ შეძლო პოლიტიკური ურთიერთობების დამყარება ევროპის ქვეყნებთან და აშშ-თან, იგი ისევ დარჩა „რუსეთის ორბიტაზე“ და უფრო მეტიც – რუსეთის წაქეზებით ქვეყანა ჩათრეული აღმოჩნდა უმძიმეს სამოქალაქო ომში, რამაც მრავალი წლის განმავ-

ლობაში შეაფერხა ქვეყნის განვითარება.

1992 წლიდან 200 წლამდე პერიოდში ქვეყნის საგარეო პოლიტიკის სადავეები მოექცა ე. შევარდნაძის ხელში. რუსეთის ხელდასხმით მოსულმა ე. შევარდნაძემ ვერ შეძლო ურთიერთობების დალაგება რუსეთთან. მისი საგარეო პოლიტიკის წარუმატებლობა რუსეთთან ურთიერთობაში გამოიხატება თუნდაც იმით, რომ მან ვერ შეძლო რუსეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნება და ქვეყნის გამთლიანება.

ე. შევარდნაძემ სამხედრო გადატრიალებით სათავე დაუდო საქართველოს ძნელბედობის ხანას, როცა მოსახლეობის უმრავლესობა დადგა შიმშილის ზღვარზე და თავის გადარჩენისათვის არსებობდა ერთადერთი გზა – „მხედრობაში“ ან სხვა გასამხედროებულ ფორმირებებში გაწევრიანება ან მათთან დაახლოება.

ყველაზე უარესი, რასაც ე. შევარდნაძემ სამხედრო გადატრიალებით დაუდო სათავე, ესაა ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის ევროპული მოდელის უარყოფა. „ნულოვანი დემოკრატიის“ ეს მეთოდი იმდენად მიმზიდველი გამოდგა მმართველი პარტიისთვის, რომ იგი მყარად ჩაჯდა ქართულ საარჩევნო პრაქტიკაში და მისი აღმოფხვრა შესაძლებელი გახდა მხოლოდ 20 წლის შემდეგ აშშ-ის დახმარებით. არადა, ქვეყნის დემოკრატიულობა იზომება, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის არჩევნების დემოკრატიულობით: არ არის დემოკრატიული არჩევნები, ესე იგი არ არის დემოკრატიაც – ეს დემოკრატიის აქსიომაა.

შევარდნამემ „ევროპის კარი“ მცირედ შეაღო: საქართველომ დაამყარა ურთიერთობები საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან, ჩართო ქვეყანა ენერგორესურსების ტრანსპორტირების საერთაშორისო ქსელში, რითაც შეამცირა რუსეთის გავლენა ქვეყანაში, გააწევრიანა ქვეყანა მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში, მაგრამ ვერ შეძლო მთავარი: ქვეყნის შეყვანა ნატო-სა და ევროკავშირში. ეს კი განაპირობა სწორედ არჩევნების ტოტალური გაყალბების პრაქტიკამ, რადგან ნატო არის არა მარტო სამხედრო, არამედ სამხედრო – პოლიტიკური ორგანიზაცია და მისი წევრობის მსურველი ქვეყანა, უპირველეს ყოვლისა, ფასდება დემოკრატიის ხარისხით. ასევე დემოკრატიზაცია ევროკავშირში გაწევრიანების ერთ-ერთი მთავარი პირობაც. შევარდნამის, ხოლო შემდეგ მისი მემკვიდრის წყალობით, ეს პერსპექტივა საქართველოსთვის დიდი ხნით „გაიყინა“. ამას თან დაერთო ე. შევარდნამის უუნარობა ემართა თავისი მთავრობა, თავისი თავგასული მინისტრები და გუბერნატორები. შედეგად, ქვეყანა წაღვეა კრიმინალმა და კორუფციამ. ამან კიდევ უფრო დაამძიმა ფონი საგარეო ურთიერთობებში – კატასტროფულად შემცირდა საქართველოს მეგობარი ქვეყნების რიცხვი. საგარეო ურთიერთობები ძირითადად დაყვანილი იქნა საქარ-

თველოსთვის, როგორც უღარიბესი ქვეყნისთვის დახმარების გამოყოფაზე. ასეთი საგარეო ურთიერთობები კი აწყობდა მხოლოდ პრეზიდენტის კორუმპირებულ მთავრობას, რადგან ამ დახმარებების დიდი ნაწილი მათი „ნადავლი“ ხდებოდა. შედეგად, მოსახლეობა დაიყო ორ ფენად: ძალიან მდიდრებად და ძალიან ღარიბებად.

ე. შევარდნამის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად ედო არა ზრუნვა ქვეყნის კეთილდღეობისათვის, არამედ „პოლიტიკური კორუფცია“, რომელიც ემსახურებოდა მმართველი კლანის ინტერესებს. არადა, საგარეო პოლიტიკის წარმატების მთავარი და უპირველესი „საზომი“ – ესაა ქვეყნის კეთილდღეობის გაზრდა. ამის ნათელი მაგალითია საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ჟაკ შირაკი, რომელიც თავის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდებდა ეკონომიკას და არცერთ ქვეყანაში არ წავიდოდა ისე, რომ იქიდან თუნდაც ერთი გარიგება არ ჩამოეტანა და ამით უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც შეეწყო ხელი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

ამრიგად, მე-20 საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკა წარუმატებელი იყო, რაც ძირითადად განპირობებული იყო ხელისუფლების არაკომპეტენტურობით, მისი უუნარობით, პოლიტიკური კორუფციით და პოლიტიკური ნების არ ქონით ქვეყნის კეთილდღეობის გაზრდისათვის.

MERAB TSOMAIA

GEORGIAN FOREIGN POLICY AT THE END OF XX CENTURY

Summary

In this article there is discussed Georgia foreign relations in the first year of Georgian sovereignty, it is testified an incorrect policy of president Z. Gamsakhurdia towards Russia which became finally a cause of his overthrow.

Relations with Russia didn't settle at Shevardnadze presidency time too. As a result Georgia lost Abkhazia and South Osseti. At consideration period of Georgia couldn't tidy up relations with European countries which aroused non development democracy, high level of crime, corruption and etc.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. ვაჩნაძე, ვ. გურული. საქართველო – რუსეთის ურთიერთობა. ისტორია. შედეგები. გაკვეთილები. თბილისი, 2001
2. ჯ. კაკულია. საქართველოს ისტორიის ახალი აღქმა. თბილისი, 1997
3. მ. კოსტავა. ფიქრები საქართველოს მისიაზე. თბილისი, 1991
4. რ. მეტრეველი. მშვიდობით მე XX, გამარჯობა XXI. თბილისი, 2001
5. გ. ნოდია. საით? თბილისი, 1995
6. ე. შევარდნაძე. ჩემი არჩევანი. თბილისი, 1992
7. ჟან-კლოდ ეტიენი. ედუარდ შევარდნაძე. საქართველოს მისეული ხედვა. თბილისი, 2000





ღვინო, ვენახი, ვაზი (სიტყვათა ეტიმოლოგიური და კულტუროლოგიური ასპექტები)

როდესაც ესა თუ ის ცნება ეროვნულ ნიადაგზე არ შინაარსიანდება, უნდა ვიცოდეთ: ის წარმოშობით უცხოურია; მისი არსებითი შინაარსი ხშირად თავისებური ვარიაციული ფორმებით გამოისახება. ამ მხრივ ერთობ საინტერესოა, როგორცა ჩანს, წარმოშობით ერთი და იგივე სამი სიტყვა: **ღვინო, ვენახი, ვაზი**.

„ვენახის“ შესახებ მიუთითებენ, რომ იგი „ქართულ-ზანურ დონეზე ინდოევროპულიდან ჩანს ნასესხები“ (ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 2000, 199).

ღვინო ქართულ ნიადაგზე არ შინაარსიანდება, ოღონდ ბერძნულად ჰქონია თავისებური მნიშვნელობა, რომელიც გამომდინარეობს ვენახის ბუნებიდან. როგორც ცნობილი ეტიმოლოგისტი პრეობრაჟენსკი მიუთითებს, ღვინო სიტყვაში მთავარ შინაარსობრივ დატვირთვას კისრულობს „ვი“ ბგერათვომპლექსი. სიტყვა „ღვინოს“ უკავშირებენ ძირს უეი (ა. გ. პრეობრაჟენსკი, რუსული ენი ეტიმოლოგიური სიტყვარი, I, მოსკოვი, 1910-1914, 85). იგი აღნიშნავს მცენარის მთავარ, არსებით მახასიათე-

ბელს, რომ იზრდება **დაგრებილად, ხვეულად, არასწორად, აცაბაცად**; „ღვინ“ ლექსემის შესახებ ბევრი მოსაზრება გამოუთქვამთ. „ამ ფორმატივის წარმომავლობაზე დიდი კამათია მეცნიერებაში. უმეტესობის აზრით, ეს მიგრაციული წინააზიური ტერმინი, რომელიც გვხვდება სემიტურში, ეგვიპტურში, ხეთურში, ქართველურში, წარმოშობით ინდოევროპულია და უკავშირდება სავარაუდო uειno არქეტიპს, რომელიც, თავისი მხრივ, მომდინარეობს uει-Ui ძირიდან, „ხვევნა, წვნა“ (რისმაგ გორდეზიანი, მედიტერანულ-ქართველური მიმართებანი, I, თბილისი, 2007, 119); „ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა ამ ენებში „ღვინის“ აღმნიშვნელი საერთო სიტყვები: ინდოევროპული woino, სემიტური wain, ქართული ღვინო“ (თამაზ გამყრელიძე, ენა და ენობრივი ნიშანი, თბილისი, 2008, 100).

ჩემი ეს ნარკვევი საბოლოოდ დაადგენს, რომ „ღვინო“ სიტყვის მთავარი ელემენტი „ვი“ (უი) მართლაც რომ წვნას, რთვას, გადახლართვას, ხვევნას, ოკობოკროსა ნიშნავს და ეგ მნიშვნელობა შენარჩუნებული აქვს

არაერთ ენაში. სწორედ ამ ბერძნულად აქცენტირებული და გააზრებული „ვი“ კომპლექსიდან წარმოქმნილი ჩანს ის რუსული სიტყვები, რომლებიც ხვიარობას, ხვეენას, აცაბაცა სიარულს აღნიშნავს. მოგვყავს სიტყვები, რომელთა ხერხემალსაც ქმნის ბგერათკომპლექსი „ვი“: **вить** (ქსოვა, ხლართვა, ქსელვა); შემდეგი სიტყვები, რომლებიც `ვი- კომპლექსს ეფუძნება, შეიძლება ასე წარმოვადგინოთ: **вышущееся** (დახვევადი, ხვიარა); პრეობრაჟენსკის ფიქრით, აქედან მომდინარეობს ცნობილი სიტყვა **ვინტი**, რომელიც სწორედ რომ **ხვეულად, სპირალურად**, ეჭიდება რკინის ღეროს (პრეობრაჟენსკი, 85); ჩემი ფიქრით, იგივე უნდა ითქვას სიტყვაზე **вентиль**. სხვათა შორის, სწორედ ასე, ზუსტად ვინტივით, ეხვევა ვაზის საცეცი საყრდენ ტოტს ანდა მავთულს. ამ მხრივ საგულისხმოა სხვა რუსული მონაცემები.

ყურადღებას იპყრობს შემდეგი ლექსემები: **виток** (წრე, ხვეული, **ვირაჟი**, წრიული მოძრაობა); თვითონ ფრანგული „ვირაჟი“, სადაც ხვეულობის შინაარსის მატარებელი „ვი“ ამჟამად გამოიყოფა; სხვათა შორის „ვირაჟი“ ასეა განმარტებული მიხეილ ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონში – მობრუნება, მოსაბრუნავი, მოხვევა, ხვეულად სვლა (ჭაბაშვილი, 1973, გვ. 150). ამავე ასპექტით ერთობ საინტერესოა სიტყვები: **витает** – ეხვევა, იხვევა; **Вязать** (ვი-აზი). ესე იგი, ქსოვა, ხლართვა, შექსოვა, სთვა; ვი კომპლექსი გამოიყოფა სიტყვებში: **вилять** (კუდის ქიციანი, ტრიალი); ხოლო, თუ ადამიანი პირდაპირ პასუხს გაურბის და მიკიბულ-მოკიბულად, ოკრობოკროდ საუბრობს, მასზე იტყვიან ასე – **виляет** (პირდა-

პირ პასუხს გაურბისო); ამ მხრივ დიდად საინტერესოა **витать** (ღრუბლებში ტრიალი, ცურვა, ფრიალი, ნავარდი, ანუ ოცნება). აქაც თავის შინაარსობრივ ძალმოსილებას ავლენს კომპლექსი „ვი“. ეჭვი აღარ რჩება, რომ სიტყვათა ამ წყებაში მოექცევა ყველა რუსული (ანდა, ეგების, ზოგიც სხვა ენებიდან შესული) სიტყვა. ესენია: **витой** (ხვეული, გრეხილი); **виток** (ხვეულა, გორგალა); **вить** (გრეხა, წვნა); ალბათ, ამავე წრეში მოექცევა **вихр** (ქარბორბალა); კლავნილსა და ოკრობოკროს რუსულად უწოდებენ ასეც: **выверть**.

აქვე შევნიშნავ: 1960-იანი წლების გურიაში ერთობ გავრცელებული იყო რუსული სიტყვები: „ზავილკა“ და „ზავივკა“. ქალები საპარიკმახეროში დატალღულ-დახვეულ თმას იკეთებდნენ და ამ მოდას ეწოდებოდა „ზავილკა“ (ზოგან „ზავივკა“).

ახლა გავიხსენოთ ერთი რუსული ცნება, რომელიც შესაბამის ქართულ მასალაზე გადასასვლელად ერთობ მომგებიანი და საგულისხმოა.

კომბოსტოს ხვეულა თავს რუსნი ასე უწოდებენ – **ვილოკ**.

ეტიმოლოგისტი შანსკი ლექსემაში **вилок** გამოყოფს სუფიქსს – **ок**; საკუთრივ **виль** ფორმაში გამოაცალკევებს „**ль**“ სუფიქსს და ბოლოს დასკვნის: **виль** მიღებულიაო სიტყვისაგან **вит** (**вит**). ამ უკანასკნელის თავდაპირველი მნიშვნელობა ასეა განსაზღვრული: „ის, რომლის ირგვლივ ეხვევა კომბოსტოს ფურცლები“ (ნ. მ. შანსკი, ვ. ვ. ივანოვი, ტ. ვ. შანსკაია, რუსული ენის მოკლე ეტიმოლოგიური სიტყვარი, მოსკოვი, 1961); იქვე მოყვანილია რუსული გამოთქმა: „**капуста завивается**“ (გვ. 59).

რუსი ეტიმოლოგისტები „ვიტ“ ძირს ბევრ სიტყვას უკავშირებენ. ესენია: *вика* – საერთოსლავური და ინდოევროპული ხასიათისა; წარმოქმნილიაო – *ка* სუფიქსის დახმარებით; ძირია *ვიტ* (*вить*); მცენარეა და ასე იწოდება „по выщемуся характеру стебля“ (იქვე, 59); ასევე „ვიტ“ სიტყვას უკავშირდება *вилять* (იქვე); ფასმერიც იმავე აზრს იზიარებს, როცა ბრძანებს *вила* ლექსემა უკავშირდებაო დრეკადს, ხვიარას; ნათესავია სიტყვისა *ვიტ*; ზოგჯერ უდრისო ლერწამს, რაკითა მერწევი, არამდგრადი და მიმოხრადიაო (მაქს ფასმერი, რუსული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, მოსკოვი, 1986). ეს მკვლევარი „ვიტ“ სიტყვას უკავშირებს *вилица* ერთეულსაც (იქვე, 315); ამ ჯგუფში შემოდის მდინარე *ვილია* (*Виля*) – ნემანის შენაკადი, ასევე ტოპონიმები *ვილნო* და *ვილნიუსი*, რომლებიც დაკავშირებულიაო სიტყვებთან „*вить*, *мотать*“. იგივე ძირი ურევიაო სიტყვაში *извилистая* (იქვე, 315); ეს მკვლევარიც გადაჭრით მიუთითებს, რომ *ვილოკ* (*вилок*) ლექსემაში იგულისხმება „*кочан капусты*“ (იქვე); კიდევ მეტი, ცნება *вилят* მიჰყავს სიტყვამდე *вит* (დახვევა, ხვევა) და უფრო მეტიც: სიტყვასთან „*ღვინო*“ უნდა იყოსო დაკავშირებული *ვინიგა* და *ვენეცია* (იქვე, 316).

ჩემი აზრით, შეიძლება დავაყენოთ საკითხი: ხომ არ შედის დაგრეხილობის, აცაბაცად სვლის, უსწორობის გამომხატველი კომპონენტი „ვი“ რუსულ სიტყვაში *вина* (დანაშაული). შესაძლოა, წარმოშობით ეს სიტყვაც იგივე იყოს, რაც *(ღ)ვინო*. ამ ლექსემის ევროპული ენებისეული მნიშვნელობა აქეთკენ მიგვახედებს. ძალიან საინტერესოა, რომ ლიტვური *vaina*

ნიშნავს „შეცდომას“, ანუ ნორმიდან, სწორი გზიდან, გადახვევას (მ. ფასმერი, I, 316).

მაშ, ისევ მივადექით **ხვევას**.

ერთი სიტყვითმ ჭის დანაშაული (*вина*) ისაა, რომ წეს-კანონს, სწორ გზას, დადგენილ კალაპოტს გადაუხვია. ესე იგი, **გადახვევა** (დახვევა, ხვიარობა) არის **დანაშაული**.

საგულისხმოა, რომ *вить* ერთგვარად იძლევა რუსულ *ветвь* ლექსემასაც. *ветвь* ფესვია და აქაც იგულისხმება არასწორი, აცაბაცა განლაგება ფესვებისა, მათი ერთმანეთში გადაწნელობა, ფესვედის ჩახლართულობა.

იმავე მკვლევარს პარალელი გაჰყავს *вить*, *вихр*, *вих-рец*, *вица*, *вьюга* სიტყვებს შორისაც კი (იქვე, 324, 373).

პრეობრაჟენსკიც ერთ წრედ აერთიანებს სიტყვებს: *вить*, *вилять*, *вилок* (ა. გ. პრეობრაჟენსკი, რუსული ენის ეტიმოლოგიური სიტყვარი, I, მოსკოვი, 1910-1914, გვ. 84).

ფასმერი უფრო შორსაც მიდის და *вяз* ფორმას აკავშირებს მდინარესა და ტოპონიმთან *Вязма* (დაკლავნილი, დახლართული კალაპოტისა გამო). ამის თაობაზე იგი მიუთითებს 375-ე გვერდზე და საბოლოოდ ყველა ეს სიტყვა მიჰყავს (მათ შორისაა ლექსემა *вязать*) ფორმამდე *вить* (იხილეთ ფასმერი, 374); საგულისხმოა, რომ მდინარეს *Витеиск* იგი ასე შლის: *вить-на*, რაცა ნიშნავს დახლავნილს, დახვეულს, მიხვეულ-მოხვეულს, აჩაბაჩას (ფასმერი, 321).

სიტყვათა ამ მწკრივში ერთობ გვანტერესებს *ვილოკ*, რაკილა ის აქცენტს აკეთებს იმ შინაარსზე, რასაც გულისხმობს ცნებები „*შეხვევა*“, „*ხვევა*“. მაშ, აქაც აქცენტირებულია **ხვეულის** შინაარსის მაწარმოებელი

„ვი“. განსაცვიფრებლად საყურადღებოა, რომ ამ რუსული სიტყვის სრულფასოვანი შინაარსობრივ-ფორმოზომიერი შესატყვისი აღმოჩნდა ქართულ ენაში, გურიაში „თავშეხვეული კომბოსტოს ნაწილს“ ეწოდება **ხ-ვიტი-ი** (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 343).

შევუდაროთ ერთმანეთს რუსულ-ქართული სიტყვები და მყისვე დავრწმუნდებით, რომ მათი საერთო ხერხემალია ბერძნული „ვი“: ერთი მხრივ, გვაქვს **ვი-ლოვ** (ხვიტი), რომელიც რუს ეტომოლოგისტებს მიჰყავთ თავდაპირველ ფორმასთან **ვიტ** და, მეორე მხრივ, არსებობს ქართული ლექსიკონი **ხ-ვიტი-ი** (ვილოვი).

მამასადამე, რუს მეცნიერთაგან არქიპირად მიჩნეული ვიტ სუფთად შემონახულა გურულ სიტყვაში **ხ-ვიტი-ი**.

ახლა ისა ვთქვათ, თუ რისი მამისია აქ „ზედმეტი“ თავბგერა-მორფემოიდი „ხ“?

საქმე ისაა, რომ ზოგიერთ ენაში ბერძნულად გააზრებულ ძირს „ვი“ წინ უკეთდება თავბგერა ხ (ღ) და თავბგერა გ. ფონეტიკური თვალსაზრისით, ხ-ღ-გ ერთმანეთის მონაცვალე და მონაცვლე ბგერებია. მაგალითად, ზოგ ენაში რომ კაცს **გიორგი** ჰქვია, სხვა ენაში ასე უწოდებენ – **ხორხე**; აქვე მოვიგონოთ ურთიერთმონაცვლეობა ბგერებისა გვარში **ჯუღაშვილი** (**ჯუღაშვილი**); რაც შეეხება ღ-ხ ბგერათა მონაცვლეობას, ეს იოლად გასაგებია; მეორე მხრივ, გვაქვს პარალელური ფორმები: გ-რიალი – ხ-რიალი – ღ-რიალი (მაშ, გ-ხ-ღ); სვანური **გარგლა** (ლაპარაკი) და გურული **ღარღილი** (მაშ., გ-ღ); ამისი პარადიგმულია რუსულ-უკრაინულ-ქართული მონაცემები. ვთქვათ, რუ-

სული **гоготать**, უკრაინული **хохотать** და ქართული **ხორხორ-ხარხარი**; რუსული **гогиль** და უკრაინული **хохил**.

ახლა კი ვნახოთ, რას მიუთითებს იგივე პრეობრაჟენსკი: ზოგიერთ ენაში **ვინტი** მკვიდრდება ამ ფორმით: **ხ-ვინტი**, ხოლო ზოგიერთში – როგორც **გ-ვინტი** (პრეობრაჟენსკი, 85). მაგალითად, ჰოლანდიურად **ვინტი** ისმის როგორც **გვინტი** (იხ.: მიხეილ ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1973, გვ. 150). კიდევ მეტი, პოლონურადაც **გ-ვინტი** გვაქვს, ხოლო გერმანულად – **გვეინდე**; სენსაციურად საინტერესო ისაა, რომ რუსულის დიალექტშიცა გვქონია **ხ-ვინტი**; უკრაინულში კი შემონახულა **გ-ვინტი** (შანსკი, 60). საყურადღებოა პარადიგმული მოვლენა, დადასტურებული ქართული ენის იმერულ დიალექტში. აქ **ვიშნა** გამხდარა – **ქ-ვიშნა (გ-ვიშნა)**.

მამასადამე, ბერძნული **ვინ**, შესაძლოა, „ბარბაროსულ“ ენებში გვამლევედეს მორფემოიდებს, თავბგერებს. მართლაც ასე მომხდარა. როგორც **ვინტ** კომპლექსმა მოგვცა სხვადასხვა ენაში **გ-ვინტი** და **ღ-ვინტი**, ისე მოუცია „ვინ“ კომპლექსს ქართულსა და სომხურში შესაბამისი თავბგერები. ბერძნული **ვინო** ქართულად იძლევა **ღ-ვინო**, ხოლო სომხურად – **გ-ვინო** ფორმებს; მართალია, სომხურში საბოლოოდ ასეთი ფორმა დამკვიდრდა – **გინი**, ოღონდ ეჭვი არ გვეპარება, რომ აქ „ვ“ დაკარგულია, ხოლო „გ“ განვითარებული თავბგერაა ისევე, როგორც სიტყვაში **გ-ვინტი** (ჰოლანდია, პოლონეთი).

ამრიგად, თუ, ერთის მხრით, გვაქვს პარალელური ფორმები: **გ-ვინტი** და **ღ-ვინტი**, მეორე მხრივ, გვაქვს ასევე პარალელური ფორმები:

გ-ვინო (სომხური) და **ღ-ვინო** (ქართული).

ასე რომ, სომხური თავბგერა „გ“ და ქართული თავბგერა „ღ“ მეორეულია. ისინი დაერთო ბერძნულად გააზრებულ კომპლექსს **ვინ (ვი)**.

ღვინოს მცენარის დაგრეხილობასთან დაკავშირებით კიდეც ერთ სიტყვას გავიხსენებთ. ლათინური **ვენა** ნიშნავს სისხლძარღვთა სისტემას (ჭაბაშვილი, 146). ეჭვი არა გვაქვს, რომ **ვენა** ფორმოზრევი იგივეა, რაც **ვინო (ვინ)**. პარადიგმული მაგალითი – შევადაროთ ერთურთს **винт** და **вент-иль**. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ნემანის მარჯვენა შენაკადსა ჰქვია **Вилы**, ოღონდ ძველ-რუსულად ყოველთვის უწოდებდნენ ასე – **Велья** (იპატევის მატეანე, 1237 წელი). ასე რომ, ისტორიულადაც პარალელური ფორმები გვქონია: „ვი“ და „ვე“.

მაშასადამე, როგორც ჩანს, ოდესღაც ბერძნულსა და ლათინურში ყოფილა პარალელური ფორმები **ვინ** და **ვენ**; აქედან კი გზა გვემლემა, რათა გავარკვიოთ ქართული სიტყვის სტრუქტურა, რომელიც ღვინო ფორმასთან კავშირშია. ეს არის **ვენახი**.

ეჭვი არაა, აქ გამოიყოფა ორი ნაწილი: **ვენა** და **ხი**.

ჯერ ისა ვნახოთ, თუ რასა ნიშნავს „ხი“.

საერთოდ, ჩვეულებრივ, მცენარეს, რომელიც ღვინოს იძლეოდა, უწოდებდნენ **ხეს**. მაგალითად, გერმანელებმა მას შეარქვეს **ვინშტოკ**. აქ გამოიყოფა ორი სტრუქტურა: **ვინ** (ღვინო) და **შტოკ** (ხე).

ჩვეულებრივ ქართულშიც მცენარეთა ამგვარი სახელწოდებები გვხვდება: ატმის ხე, ნაძვის ხე, ლეღვის ხე და ა.შ.

ამ წესისდა მიხედვით, უნდა გვქონოდა და კიდევაც გვქონია იგივე სისტემა, რაც გერმანულშია და ეს არის **ვენა** და **ხე**.

ძველ ქართულში დადასტურებულია ცნება ვენახის ხე: „**ხეი ვენახისაი**“ (ეზეკიელთა, 15,2). კიდეც მეტი, **ხის** პარალელურად უხმარიათ **ძელი**. ცნობილია: ძველად **ხე** იგივე **ძელი** გახლდათ. „ძელზე ჩამოჰკიდეს“ იგივეა, რაც „ხეზე ჩამოჰკიდეს“. ეგ „ძელი“ ლიტერატურულ წყაროსაც დაუფიქსირებია: „**ძელსა** მას ვენახისასა“ (ეზეკიელთა, 12, 2). ამ მაგალითიდან ირკვევა: ვენახი სიტყვაში რომ „ხე“ ისედაც იგულისხმება, იმ დროისათვის უკვე მივიწყებულია და მას ისევე ურთავენ ახალ ხეს (ძელს). **ძელი** რომ ვენახის გამოსახატავად გამოიყენებოდა, ამას მოწმობს აგრეთვე სიტყვა **ძელშავი**. „ძელშავი“ ვენახის ერთ-ერთი სახეობაა, რომელსაც **ძელი** (ხე) შავი ჰქონია; შეიძლება იყოს მეორე ახსნაც: ამ **ძელს** (ვენახის ხეს) შავი ყურძენი სცოდნია.


მაშ, **ვენახი** სიტყვის მეორე ნაწილი სხვა არაფერია, თუ არა იგივე გერმანული „შტოკი“, ანუ „ხე“.

ხე სიტყვის ბოლო (აუსლაუტი) ხშირად იცვლება და ხმოვანი „ე“ ხან „ა“ და ხანაც „ი“ ხმოვნად გადაიქცევა. მაგალითად, ქართული **ციხე** მეგრულში გვადლევს ფორმას **ჯიხა**; მაშასადამე, **ხე** იოლად იძლევა ფორმას **ხა**; შეიძლება **ხე** გადაიქცეს **ხი** ფორმადაც. ამის მოდასტურება სიტყვა **ხეხილი**. მისი პირველი ნაწილი გასაგებია – **ხე**; მეორეა **ხი-ლი**. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა „ხი“ კომპლექსის შემცველი ერთეული.

და აწ პირველსავე სიტყვასა ადვიდეთ!

მაშასადამე, ვენახი მომდინარეობს სიტყვისაგან ვენა-ხე. მაშ, მეორე კომპონენტი გარკვეულია. პირველი ვენა „ვინ“ კომპლექსის ვარიანტია, სახესხვაობაა. ასე რომ, ვენა-ხი ზუსტად ისევეა წარმოებული, როგორც ვაინ-შტოკ. ორივე ნიშნავს „ღვინის ხეს“.

ივანე ჯავახიშვილი გამოთქვამდა ფრთხილ ვარაუდს, რომ საბერძნეთის კუნძულ კრიტოსზე ღვინოს, ალბათ, აღნიშნავდაო სიტყვა ბენა (ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი. V, თბილისი, 1986, გვ. 681). თუ ეს ასეა, მაშინ ისტორიული პროცესი ამგვარად უნდა წარმოვსახოთ:



ყველამ კარგად იცის, რომ „ბ“ და „ვ“ ბგერები ურთიერთმონაცვლეა მსოფლიოს ბევრ ენაში, მათ შორის – ქართულშიც. შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ ზოგიერთი ენის ალფავიტში „ბ“ და „ვ“ ერთმანეთის გვერდიგვერდ არის წარმოდგენილი. მაგალითად, ასე: ა ბ ვ გ დ ... მაშ, „ბ“ ბგერის მერე ეგრევე მოდის „ვ“. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან „ბ“ უფრო ძველია და წინა დგას. „ვ“ მეორეულია და უკან მიჩანჩალებს. საამისოდ ავიღოთ საქართველოს სახელწოდება. უფრო ძველია იბერია, უფრო გვიანდელია ივერია. სომხები რომ ქართველს ივერაც-ად სახელდებენ, ეს გულისხმობს ფორმას ივერ,

ანუ უფრო გვიანდელ კომპლექსს. საზოგადოდ, ბგერათსუბსტიტუცია ქართულში ჩვეულებრივი ამბავია. თეფზი _ თებზი; ვარცხნა _ ბარცხნა.

ამრიგად, თვით ქართულ ნიადაგ-ზეც კი იყო შესაძლებელი ბენა-ხე გადაქცეულიყო ვენა-ხე ფორმად, ოღონდ გვაქვს ლათინური სიტყვა ვენა, რაიც დახლართულ, ხვეულ სისხლმარღვთა სისტემას აღნიშნავს, ერთობ რომ წააგავს ვენახის ლერწმისა და ზროს აცაბაცა მდგომარეობასა და განტოტვას. ამიტომაც საფიქრებელია, რომ ქართული ვენა-ხე მოდიოდეს არა ბენა-ხე კომპლექსიდან, არამედ ვინ კომპლექსის ბერძნულ-რომაული ვარიანტიდან ვენა; მაგრამ მაშინ რაღა ვუყოთ მეგრულ-ჭანურში შემორჩენილ უძველეს ფორმას ბინები? ეჭვი არაა, ბინები მომდინარეობს ბენახი კომპლექსიდან. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ბენა და ვენა ლექსემები ჩვენში ბერძნულ-რომაული სამყაროდან პარალელურად გამოჩნდნენ.

ამრიგად, ვენა-ხე იგივეა, რაც ბერძნულ-ლათინური „ვენა“ და ქართული „ხე“. მისი შინაარსი კი ამგვარია: დაგრებილი, კლავნია, ქსოვია ხე.

ახლა ვნახოთ, არის თუ არა დადასტურებული ქართულ ენაში „ვი“ კომპლექსის ძირეული შინაარსიდან გამომდინარე სიტყვები ისე უხვად, როგორც ეს რუსულშია?

როგორც ირკვევა, არის!

თითქმის ყველა ქართული სიტყვა, რომელშიც „ვი“ კომპლექსი იხილვის, შინაარსობრივად (რუსულის მსგავსად) მოხვევას, ბრუნს, აცაბაცა სვლასა ნიშნავს.

ჯერ ავიღოთ მეტად საინტერესო კონსტრუქციის ორი სიტყვა: ღვია და

ხვიარა. ბერძნული „ვი“ კომპლექსის მნიშვნელობა მეტისმეტად სუფთად, პირდაპირ და დაუფარავად სწორედ ამ ორ სიტყვაშია დადასტურებული. ჩემი აზრით, ისინი ერთი და იმავე ძირიდან მოდიან. **ხვიარა** ლექსემაში აშკარად გამოიყოფა სამი ნაწილი: **ხ-ვი-არა**. აქ უთავრესია შინაარსის მატარებელი „ვი“. იგი აცაბაცად სიარულს, ზრდას, მოძრაობას გამოხატავს. მართლაც, **ხვიარა** აშკარად და უთუმცაოდ მიგვანიშნებს მცენარის ზიგზაგოვან, წრიულად ხვეულ აღმასვლაზე, მის იმ არსზე, რაიც ბერძნულად გამოიხატება „ვი“ კომპლექსით. უკვე ვიცით, რომ ბერძნულ „ვი“ კომპლექსს ზოგ ენაში უჩნდება თავბერა. ისევ გავიხსენოთ: **ვინტი და (ღ-ხ-გ) ვინტი**. მაშასადამე, **ხ-ვი-არა** სიტყვაში „ხ“ ბერძნული გასაგებია, ხოლო „ვი“ კომპლექსიც ნათელ შინაარსს იძლევა. „ხ“ ფონეტიკურად იგივეა, რაც „ღ“. ამიტომაც მეორე ქართული სიტყვა **ღვია** წარმოშობით იგივე გამოდის, რაიც ხვია: ხ-ვი-ა და ღ-ვი-ა. ორივეგან შინაარსის მატარებელია „ვი“, ხოლო „ხ“ („ღ“) მოგვიანებით გაჩენილი თავბერაა, ქართულისათვის დამახასიათებელი, და პირობითად ვუწოდოთ მას „კლას-კატეგორია“; როგორც ზემორეულ ვნახეთ, სომხურში რომ ეს სიტყვები ყოფილიყო, მიიღებდა ამგვარ სახეს: **გ-ვია და გ-ვიარა**. მართლაც, ქართულში სხვათა შორის არსებობს პარალელური, ერთნაირი აგებულების ასეთი სიტყვები: **ღვია – ღვიარა**, ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ, ხვია – ხვიარა (იხილეთ ქართული ენციკლოპედია).

თუმცა ისედაც გასაგებია, მაინც მოვიყვანოთ ამ სიტყვათა განმარტებას. **ღვია** მიწაზე განრთხმული მცენა-

რეაო, გვაუწყებს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, 460, ხოლო **ხვიარა** ასეა განსაზღვრული: დახვევით გაზრდილი მცენარე (იქვე, 580). ბარემ აქვე გავიხსენოთ ზმნა **ღვივდება (ღ-ვი-ვ-დება)**. ეს ნიშნავს ღვის აცაბაცად ამოძვრომას მიწის ზედაპირზე. გვაქვს ამ ცნების ვარიანტიც – **ღვივდება**. ეჭვი არაა, აქ დაკარგულია პირველი „ვ“ (ღ-ვი-ვდება, ღ-ვი-ვდება). მაშასადამე, აქაც იგივე სურათია: თავკიდური „ღ“ და ცნობილი „ვი“.

შესაძლებელია, **ღვი-არა, ხვი-არა, ღვია** ფორმათა კატეგორიაში შემოდიოდეს **ხვართქლა**, რომელსაც აქვს ხვიარა ღერო (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 580) და ლათინურად ასე ეწოდება: *Convolvulus arvensis*. ჩემი ვარაუდით, მისი თავდაპირველი სახე იყო ასეთი: **ხ-ვი-ართქლა** (შეადარეთ **ხ-ვი-არა**). თუ ეს ასეა, მაშინ, ჩემ მიერ დადგენილი კანონის ძალით, ქართული ხვართქლის რუსულ შესატყვისში უცილობლად უნდა ფიგურირებდეს „ვი“ ელემენტი. პირდაპირ საოცარია, რომ მართლაც ასე აღმოჩნდა. ამ ცნების რუსული თარგმანი ასეთია: *повилика* (ჩუბინაშვილი დავით, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1984, 1742); მაშასადამე, სწორი გამოდგა ჩემი ვარაუდი: ხვართქლა თავდაპირველად უსათუოდ ასე გამოიყურებოდა: **ხ-ვი-ართქლა**; „**ხვართქლას**“ რუსულად ასეც თარგმნიან: *вьюнок* (ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, 1991). იქვე მოყვანილია ფშავ-ხევსურული ტერმინი **მხვევარი**. სხვათა შორის, ჩუბინაშვილს მოჰყავს მეორე ფორმაც – **ხვირთქლი**, რომელშიც „ვი“ ელემენტი პირდაპირ და უთუმცაოდ ვლინდება!

მანც ღვიას თავს აგრე ადვილად ვერ დავანებებთ.

როგორც ითქვა, თუ ეს ცნება ბერძნულ ძირზეა დამყნლი, მაშინ მისი რუსული შესატყვისიც იმავე ძირს უნდა ეყრდნობოდეს. ესე იგი, ვი ან მისი ბგერინაცვალი ვე შესაბამის რუსულ სიტყვაშიც უნდა ფიგურირებდეს. ასეც არის!

ღვია რუსულად ასე ჟღერს: *можжевельник*. ეჭვი არაა, იგი იყოფა ორ სტრუქტურულ ერთეულად – *можже* და *вельник*. ვე და ვი კომპლექსების ჩვეულებრივი მონაცვლეობისდა მიხედვით, სრული შესაძლებელია, რუსულ სიტყვას ჰქონდეს ან მოექმბნოს პარალელური ფორმა *вильник*. რაც არ უნდა იყოს, ერთი ფაქტია: აქ გამოიყოფა სუფიქსები „*ль*“ და „*ник*“. მაგალითად, დალის ლექსიკონში გამოყოფილია სუფიქსი „*ль*“. თვით სიტყვა კი ასეა განმარტებული: ხვიარა ბუჩქოვანი მცენარე (ვლადიმერ დალი, რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 2, მოსკოვი, 1881, გვ. 338). რაც უფრო საინტერესოა, პარადიგმულ ფორმად მითითებულია *верес*, რომელშიც აგრეთვე უმთავრესია კომპლექსი ვე. ბუსლავი და გროტი ცნებას ასე განწვალავდნენ: *может-вельник* და გვამცნევდნენ: ეს ნიშნავს ნაძვებს შორის ამოსულ-გაზრდილს. ეგ, რაღა თქმა უნდა, ხალხურ ეტიმოლოგიას წაავავს და აბსურდია. პრობრაჟენსკი დასძენს: ამგვარი ახსნა არასწორიაო და სავსებით ლოგიკურად მხარს უჭერს იაგიჩისა და ზუბატის, რომლებიც ამ რუსულ ფორმას უკავშირებენ ლიტვურ „*მაზგას*“ (ყულფს, მარყუჟს ან საქსოვ ნემსს); დაახლოებით იმავე მნიშვნელობისაა იგი ლატვიურში, სადაც უკავშირდება

ქსოვას, სხვაგვარად, აბურდვას; ამიტომაც აცხადებს პრობრაჟენსკი: თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა იყოსო აბნეული, აბურდული. ზუბატის მიხედვით, აქედან წარმოდგება დიალექტური *мазгар* (ჩახლართული, ჩაქსოვილი). აღნიშნულის თაობაზე იხილეთ პრობრაჟენსკი, 544.

შანსკი და მისი მეგობრები გამოყოფენ სუფიქსს – *ель*. მცენარე ასე იმიტომ იწოდება, რომ არის აბურდული, ჩახლართული, კვანძებიანი, „*выющемся характеру*“ (შანსკი, 203).

ზუბატის სწორ მოსაზრებას იზიარებს ფასმერი (ფასმერი, 637).

მაშ, *ве-ль-ник* ანდა *ви-ль-ник* კონსტრუქციებში გამოიყოფა ჩვენთვის საინტერესო კომპლექსი „*ვი*“ და „*ვე*“.

როგორც ქართულ, ისე რუსულ მასალაში ერთმანეთს ენაცვლება „*ვი*“ და „*ვე*“ ელემენტები და ენაცვლება სწორედ ერთგვარი შინაარსის მქონე ფორმებში. აგერ კიდევ მაგალითები. ცნობილი „*ვიტ*“ ძირის „*ვი*“ კომპლექსს ამ ძირის მიხედვით წარმოქმნილ ფორმებში ხშირად ენაცვლება „*ვე*“. ავილოთ რუსული *витиеватый*. მისი ლიტვური შესატყვისი ამადარია: *vityvoti*. ლათინური შესატყვისია *invitus*. აქედან უნდა მომდინარეობდეს სახელი ვიტაუტასი (პრობრაჟენსკი, 121-122).

შანსკი და მისი ჯგუფი მიიჩნევენ, რომ აქ – *еват* სუფიქსია. მაშ, გვრჩება ცნობილი „*ვიტ*“. აქედან არისო ფორმა *ветла* (შანსკი, 60 და 57).

მაშ, შეადარეთ: *вит* და *вет-ла*.

„*ვი*“ და „*ვე*“ აქაც ჩანაცვლებადია.

ამ „*ვიტ*“ ძირის წარმონაქმნიაო *венец*, *венок*, *веник*, *вен*. ასევე *витель*, *ветла* (შანსკი, 55, 57, 60). ესე

იგი, „ვი“ და „ვე“ ერთმანეთს ენაცვლებს.

ფასმერს მოჰყავს პარადიგმული მაგალითები: ВИТВИНА (ფესვი); მისი შესატყვისიაო პოლონური vita (ტირიფის სახეობა, რომელსაც სხვაგვარად ასეც უხმობენ – „კალათისებრი ტირიფი“. კალათა აქ გულისხმობს დაწულ ჭურჭელს, ჩახლართულ ნივთს).

ცნობილია, რომ კალათი კეთდება არა ერთიანი მასალის, არამედ ცალკეული დვლერჭისაგან მათი გადაწვინა-გადახლართვის გზით. მაგალითად, გურიაში გოდორი და კალათა იწვნება ბამბუკის ან სხვა მასალის ზოლებსაგან, დვლერჭებისაგან. თვით სიტყვა ბერძნულიდან მომდინარეობს: „კალათოს“ (კალათი) და იგი „აშკარა მიმართებას გვიჩვენებს ბერძნულთან“ (რისმაც გორდეზიანი, მედიტერანულ-ქართველური მიმართებანი, II, თბილისი, 2007, გვ. 177); სერბოხორვატულად ამათ ენაცვლება ВИТИНЕ (დვლერჭი). ამის თაობაზე იხილეთ ფასმერი, 321.

აქვე არ შემოიძლია, არ მოვიშველიო ქართული მასალა. ყველა ეს სიტყვა ერთმანეთის ნათესავია და მათი ნათესავია ქართული დვლერჭიც. ВИТИНА და „დვლერჭი“ არა ოდენ შინაარსით, ფორმითაც ერთია, ანუ ის, რაც ზემორეულე მოგახსენეთ: თუ სიტყვებში ბერძნულ-რომაული ძირია, ისინი ერთმანეთს შორს ვერ გაექცევიან-მეთქი!

დვლერჭი ასე დაიშლება: **დ-ვე-ლერჭი**; შესაძლოა ამგვარადაც: **დ-ვი-ლერჭი**. ეჭვი არაა, აქ რედუცირებულია ძირეული ხმოვანი – ან „ი“ ან კიდევ „ე“.

მაშ, „ვი“ ანდა „ვე“. ეს „ვი“ კიდევაც არის ზემორეულე წარმოდგე-

ნილ სიტყვებში: ВИТВИНА, vita, ВИТИНА.

ეხლა კი ისაა ვნახოთ, როგორაა განმარტებული დვლერჭი – ეს არისო „დაგრეხილი წნელი“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 461).

იქვე, იმავე გვერდზე, ფასმერს მოჰყავს ამ რიგის ორი სიტყვაც: ВИТЕЛЬ – დახვეული, დაკლავნილი ძაფი და ВИТИМ – შექსოვილი, ნაქსოვი (ფასმერი, 321).

ახლა კი დროა, ერთმანეთს დავუკავშიროთ ВИТИЕВАТЫЙ (გადატყლარჭული, ჩახვეულ-ჩაბალასინებული მეტყველება, სიტყვა) და **დვლერჭი**.

ორივეში გვაქვს შინაარსწარმომქმნელი საერთო ელემენტი. ეს არის ბერძნული „ვი“: ВИ-ТИЕВАТЫЙ და **დ-ვი(ვე)-ლერჭი**; „დ“ რასაც წარმოადგენს, უკვე კარგად ვიცით. ის მორფემოიდია, რომელიც ქართულ, სომხურ და ზოგ სხვა ენაში უცხოურ ძირს უჩნდება. მაშ, ასე: **დ-ვი-ლერჭი** იმავე წარმოებისაა, როგორისაც დ-ვინო, როგორისაც **დ-ვი-ა, ხ-ვი-ა** და მისთანანი; მათში უმთავრესია **ვი-ვე** ელემენტი, რაიც ლიტვურ, ლატვიურ, რუსულ და, შესაძლოა, სხვა ევროპულ ენებშიც აქტიურ სიტყვათწარმომქმნელ როლს ასრულებდეს.

ერთი შენიშვნა:

არაფერს ვამტკიცებ, ოღონდ ფრთხილად მივუთითებ – ხომ არა გვაქვს ბერძნული ელემენტი „ვი“ სიტყვაში **დვი-ძილი**? საქმე ისაა, რომ ერთკერძ გვაქვს ძილი, ხოლო ამის საპირისპიროა **დ-ვი-ძილი**; თუმცა ჩემთვის აქ **დ-ვი** კომპლექსის შინაარსი გაუგებარია!

აღნიშნულის ფონზე კიდევ ერთი ფრიად საგულისხმო სიტყვა განვიხილოთ. ეს გახლავთ **ხვევნა**. „ხვევნა“

სიტყვის თავისებურება ისაა, რომ იგი უფრო გვიანდელ ვითარებას გვიჩვენებს. მისი თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო ამდაგვარი: **ხ-ვი-ვნა**, სადაც გამოიყოფა ჩვენთვის საინტერესო ელემენტი ვი. აი, სწორედ ამ **ხ-ვი-ვნა** სიტყვამ მოგვცა **ხვევნა**. ეს მოსაზრება რომ სიმართლესთან ახლოსაა, ამას ადასტურებს შემდეგი: ხვევნა, ხვევა, მოხვევა, დახვევა – საწყისებში გვაქვს კომპლექსი „ვე“ და არა „ვი“, ოღონდ გავიხსენოთ პარალელური ფორმები **ღ-ვინ-ო** და **ვენ-ახი**. აქ ხომ ერთმანეთს თითქმის უპირისპირდება ვი და ვე, მაგრამ, თურმე, იგივე ხდება **ხვევნა** ერთეულშიც. თუ პირველ სერიაში გვაქვს **ე-ხ-ვე-ვა**, მეორეში აღდება კომპლექსი ვი: **მო-ე-ხ-ვი-ვა**.

აი, თურმე, რა ყოფილა: როგორც ღვინოსა და ვენახში ენაცვლება ერთუროს ვი და ვე კომპლექსები, იმავე მნიშვნელობის ვი და ვე კომპლექსების მონაცვლეობა ხდება ზმნაშიც:

1. მო-ე-ხ-ვე-ვა

2. მო-ე-ხ-ვი-ვა

შინაარსობრივი თვალსაზრისით, რასა ნიშნავს „ხვევნა“? რა თქმა უნდა, ორი ადამიანის ურთიერთშემოხვევას, აცაბაცად, არასწორად გადაწვნას, გადაწმახვნას, გადაბლანდვას, შექსოვას...

სიტყვაში **ხვევნა** რომ უსათუოდ ბერძნული ელემენტი „ვი“ იგულისხმება, ამისი საბუთია შემდეგი სენსა-

ციური გარემოება: ამ ქართულ ცნებას რუსულად ვერ მოუძებნი შესატყვის სიტყვას, რომელში არ იქნება „ვი“ კომპლექსი. ახლა კი ვნახოთ, არის ეს ასე თუ არა.

სიტყვა შეხვევა დავით ჩუბინაშვილს რუსულად ასე უთარგმნია: перевязка. ეჭვი არაა, რუსული სიტყვის შინაარსმეტყვითელი კომპლექსია ვი: **პერე-ვი-ანკა**; სხვა ფორმებშიც ვი გამოიყოფა: навивать. აქაც იგივე: **ნა-ვი-ვათ**; სხვა ფორმაც ამდაგვარია: **ობ-ვი-აზივათ** (обвызывать). აქაც იგივე „ვი“. ახლა ის გავსინჯოთ, თუ როგორ გადმოიცემა რუსულად ვეხვევი, გადავხვევი და სხვა. ეს სიტყვებია: навиваться და обвиваться. აქაც, ორივე შემთხვევაში, გამოიყოფა შინაარსწარმომქმნელი ელემენტი „ვი“. სიტყვა „ეხვივნეს“ ჩუბინაშვილს ასე გადაუღია – обвивали. ეჭვი არაა, სიტყვის გულისგულია „ვი“; **ხვეული** ქადა ასეა გადატანილი: завитой съедобный хлеб (ჩუბინაშვილი, გვ. 1743).

ამრიგად, ორ სრულიად სხვადასხვა და დაშორებულ ენაში მსგავსი შინაარსის სიტყვებში რომ „ვი“ კომპლექსი გამოიყოფა, ეს სხვა არაფერია, თუ არა იმის დასტური, რომ საერთო ელემენტი „ვი“ მოდის იმ ენიდან, რომლისგანაც დავალებულია ორივე „ბარბაროსული“ (ქართულ-რუსული) ენა. ეს გახლავთ ბერძნული.





კაპადოკია

კაპადოკია განსაკუთრებულად უცნაური, დაგრეხილი, ტალღოვანი ფორმების კლდეებით, დაბურღულ ლანდშაფტს წარმოადგენს. მილიონი წლების წინ მიწა ეროზიამ სქელი ვულკანური წარმოშობის ტუფის შრეებით გადაფარა და კლდოვანი, მაღალმთიანი მწვერვალები ჩამოაყალიბა. კაპადოკიის ისტორია 60 მილიონი წლის წინ დაიწყო, როცა დედამიწის ქერქმა გოფირებული მოძრაობით ამოწია ტავროსის მთაგრეხილის ჯაჭვი. ამ მოძრაობას თან ვულკანის ამოფრქვევა ახლდა. რეგიონში სამი უმაღლესი მწვერვალია: ერჯიას დალი 3917 მეტრი (ანუ არგეოსი, რაც ვერცხლს ნიშნავს), ჰასან დალი 3263 მეტრი, გოლუ დალი, რომლებიც დღესაც აქტიური ვულკანებია. გეოლოგიური ნალექი ზემოდან ქვემოთ ედებოდა და მაგრდებოდა და მომდევნო ერაში კლდოვან ზეგანს აყალიბებდა. ქარი, ყინვა და წყალი მიწის ქერქს ღრმულებს უკვეთავდა, დეფექტებს ააშკარავებდა, ეროზიას იწვევდა. კლდეთა სიმაგრე ეროზიის განსხვავებულ ხარისხზე მიუთითებს. ზედაპირზე რბილი ტუფა ღრმა ნაპრალს ქმნის, რომელსაც შემდეგ ქარი თავისებურ ფორმას აძლევდა – აყალიბებდა კლდის მწვერვალებს. მყარ, შავ ბაზალტში წყალი ლამაზ ნაპრალს ქმნიდა, რომელშიც იგი იჟღინთებოდა, ნაპრალს აღ-

რმავებდა, ვიდრე არ ჩამოყალიბდებოდა გარდი-გარდმო ვერტიკალური ფილები ან ამონაჭრები ბაზალტისა და ტუფის ზედაპირზე.

ყიზილ-ირმაკი ყველაზე გრძელი მდინარეა. იგი სხვადასხვა მდინარეებით მარაგდება, ნაწილობრივ მთიდან ჩამოსული გამდნარი თოვლითაც. ეს კანიონებია: „თეთრი, თოვლიანი ხეობა“ და იჰლარას ხეობა.

ძვ. წ. VIII-VII ათასწლეულებში ნეოლითელი ადამიანები ჰაჩილარსა და ჩათალ ჰუიუქში სახლობდნენ. ნასახლარებზე ბუნებრივი ლანდშაფტისა და არგეოსის ვულკანის უძველესი ჩანახატები დღემდე შემორჩენილი. სპილენძ-ქვისა და ბრინჯაოს ხანაში ეთნიკური და კულტურული ნიშნები შეიძინა და ამ მახასიათებლებით ძვ. წ. III ათასწლეულში ფორმირება მიიღო ხათურმა ცივილიზაციამ. ასურული არქივის თანახმად, სამეფოს დედაქალაქი იყო ქანესი, დღევანდელი ქიულთეფე. ძვ. წ. 1900 წ. ხათური ცივილიზაცია შეიცვალა ახალმოსული ნესიტებით, რომლებიც ამავე რეგიონში დასახლდნენ. ამ ორი ხალხის შერწყმით მივიღეთ ხეთური ცივილიზაცია, რომელიც ახლო აღმოსავლეთში საუკუნეების მანძილზე ძლევამოსილ სახელმწიფოდ დომინირებდა. ხეთური დინასტიები მთელ იმპერიას მართავდა. იგი წარმატებით ებრძოდა ბაბილონსა და მი-

თანის მეფეებს იმისათვის, რომ ეგვიპტის საზღვრებამდე მიეღწია. ხეტების მზის ჩასვლამ ძვ. წ. XIII ს. გამოიწვია ახალი ხალხების შემოსევა, რამაც მათ საშუალება მისცა კაპადოკიაში შეექმნათ თაბალის გაერთიანებული სამეფო. მიდია-ლიდიას შორის ომმა კაპადოკია საბრძოლო მოქმედებების ასპარეზად გადააქცია. დასუსტებული კაპადოკია სპარსეთის სატრაპიად ძვ. წ. VI ს. შუა ხანებში იქცა. ძვ. წ. 404 და 362 წწ. მისი მოსახლეობა სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყდა. ამ უკანასკნელზე იერიში ალექსანდრე დიდმა მიიტანა. ამის შემდეგ, თავად ალექსანდრემ კაპადოკიური ამბოხიც ძვ. წ. 332 წ. ჩაახშო, მაგრამ დიოდოქოსებს შორის ბრძოლამ და ალექსანდრეს სიკვდილმა არიარტეს II-ს უბიძგა დაეფუძნებინა კაპადოკიის სამეფო, რომელმაც ძვ. წ. II ს-ის ბოლომდე იარსება. რომაელებმა ანატოლია ძვ. წ. 66 წ. დაიპყრეს. მათ ქვეყნის თავდაცვის მნიშვნელოვანი კერები გააცამტვერეს, რადგან კაპადოკია რომის პოლიტიკური და იმპერიის საზღვრების გაკონტროლებისათვის წარმოებული ბრძოლების ასპარეზად იქცა, რაც კარგად ჩანს დღემდე შემორჩენილი სხვადასხვა ციტადელებიდან.

396 წ. აღმოსავლეთ რომის იმპერიის მიერ კაპადოკიის ანექსიამ დაასრულა რეგიონის ქრისტიანიზაცია. ადგილობრივმა მოსახლეობამ მხურვალედ მიიღო ახალი რწმენა. რელიგიური თემები აქტიურ როლს თამაშობდნენ, ქადაგებდნენ სულიერებას და ყოველგვარ სიკეთეზე უარს ამბობდნენ. ამ გზით, ადრექრისტიანული ხანის განდევილები იზიდავდნენ ამ ადგილებში ჩამოყალიბებულ რელიგიურ თემებს, კლდეებში ჭრი-

დნენ მონასტრებს. პირველი კლდოვანი ქვაბული აიგო წმ. სიმონის მიერ, მან მოაწყო კელია და იქ თავადვე დამკვიდრდა. მას სხვებიც შეუერთდნენ. ეს დოქტრინა, (ხატმებრძოლეობის პერიოდი) რომელიც უპირისპირდებოდა წმიდა გამოსახულებათა თაყვანისცემას, იმის საფუძველს ქმნიდა, რომ აღდგენილიყო სულიერი ღირებულებები, რომელიც გამოსახულებათა განადგურების დასრულების შემდეგ გაგრძელდა. გორემის ღია მუზეუმში აშკარად შესამჩნევია ამ სულიერების და ღვთისმოსაობის – ქრისტეს და წმიდანების გამოსახულებები.

კომპლექსური ნაგებობანი ვერტიკალურ კლდეებში საკმაოდ მოხერხებული იყო, თუმცა იდეები ბიზანტიური მონასტრებიდან იყო აღებული და გამოიხატებოდა სიმბოლიზმსა და მოხდენილობაში.

ბერების გასახიზნი ადგილი იზოლირებული მწირის დასაცავად არაბთა და არა თურქების თავდასხმებისგან ასარიდებლად იყო გაკეთებული. სელჯუკები საკმაოდ ტოლერანტები იყვნენ ამ ადგილების ქრისტიანების მიმართ, რაც ჩანს ზოგიერთი ეკლესიის ფრესკებზე არსებული სულთნების გამოსახულებით. ალაღი ქეიქუბათი კაპადოკიის საქარავნო გზების ქსელის გამართვაზე ზრუნავდა, აგებდა მეჩეთებს. სელჯუკთა ხელისუფლების დროს, რომელიც დაიწყო XI ს-ში, თან ეკონომიკური ბუმიც ახლდა. ქვეყანაში სავაჭრო გზების გამართვამ ბიძგი მისცა მხატვრული ხელოვნების აღორძინებას, რაც კარგად ჩანს მონუმენტებიდან, რომელიც იქცა მუსლიმური ხელოვნების შთაგონების წყაროდ. სელჯუკთა ძალაუფლება XIII ს-ის

ბოლოს დასუსტდა. თუმცა, კარამან-ლულარის წნეხის ქვეშ და ერენტაბეის მმართველობის შემდეგაც, 1352 წელს, მათი ძალაუფლება იყო უსაზღვრო. ერთი საუკუნის შემდეგ ოტომანთა იმპერია დაარსდა.

ქალაქი **ურგუპი** გაშენებულია დიდ პლატოზე, კაისერიდან ნევზეჰირისა და აქსარაისკენ მიმავალ გზაზე. უძველესი საცხოვრებელი აგებულია ფრიალო კლდეზე, შედგება ადგილობრივი ვარდისფერი ტუფისაგან, რომელიც ლანდშაფტს ერწყმის. ურგუპიდან 1 კმ-ში მდებარეობს მრავალი მონასტერი სამლოცველო. იგი თარიღდება VI ს-ით.

სოფელ თავარისში წმ. თეოდორეს ეკლესიაა, რომელსაც ადგილობრივები ფართოდ სცემენ თავყვანს. იგი კლდეშია გამოჭრილი. კლდე ნაწილობრივ მყიფეა. ეკლესია ერთ-ერთი უდიდესია და შედგება ოთხი ცენტრალური საყრდენისა და კამარისაგან. ამოჭრილ ტუფში საინტერესოდ ნაგები სვეტები იკვეთება, რომელიც მრგვალ რკალს უდგას. ფრესკები ნაწილობრივ გეომეტრიულია და ნაწილობრივ ფიგურული, თარიღდება XI-XIII სს-ით. გოლგოლის ხეობაში არის უძველესი სამლოცველო ფრესკებით, აქვეა XVI ს. დათარიღებული ჯამეც.

ორთაჰისარი ანუ შუა ციხე-სიმაგრე ნევზეჰირი-ურგუპის გზაზე მდებარეობს. უძველესი კონსტრუქცია ასე წარმოდგება: ტუფის ბლოკები მშრალად, კირდულაბის გარეშეა დაწყობილი. ეს სახლები და საბითუმო საწყობები გამოიყენებოდა ხილისა და ბოსტნეულის შესანახად. სოფლის მახლობლად მოედანზე დგას კოშკის მსგავსი დაკბილული კლდე სახელად სივრიკაია. მწვერვალში

უამრავი ოთახია გამოჭრილი. ორთაჰისართან ახლოსაა სარისა და ჰარუმის მონასტრები, იქვეა ჯამე და მინარეთი.

ურჰისარი ანუ სამკეცა კლდე გორემეს მახლობლადაა. აქ ტუფის ბლოკებია. უძველეს ხანაში ციხე-სიმაგრე გამოიყენებოდა თავდაცვის მიზნით. პირველად ხეთებმა აღმოაჩინეს და შემდეგ მას სპარსელები და მაკედონელები იყენებდნენ. ბიზანტიელები მუსლიმთა თავდასხმის მოსაგერიებლად იყენებდნენ. როცა დასავლეთის მხრიდან ვუყურებთ, ციტადელის კოშკები რამდენიმე ათეული მეტრით მაღლაა აზიდული, რომელსაც გვერდით დეფექტური ნიშნები აქვს და დიდ ცილინდრულ კოშკს წააგავს. უძველეს დროში სახლების ქვეშ რამდენიმე ასეული მეტრის სიგრძის გვირაბი იყო გამოჭრილი, იმისათვის, რომ წყლის მარაგი უზრუნველყოთ. აქვეა ე. წ. სამტრედე. ხეობას, რომელსაც სამტრედე ჰქვია, ჩიტებისათვის უამრავი ნიშია გამოჭრილი. პლატო ჩარეცხილია მდინარეებისგან, აქვს ნაპრალები, სადაც მცენარეულობა იზრდება, გზას აძლევს თეთრ ფერდობებს. აქედან წარმოდგება სახელი „თოვლივით თეთრი“.

გორემე ქრისტიანთა მიერ იქნა ათვისებული, რომლებიც მუსლიმთა თავდასხმებს იგერიებდნენ. მისი გეოლოგიურად ხელსაყრელი მდგომარეობის გამო, ადვილი იყო იქ დამალვა. უძველესი ეკლესიები VII ს-ით თარიღდება.

აქ არის ხალიჩების ბაზარი. თურქული ხალიჩები მიჩნეულია მთელი აღმოსავლური ხალიჩების წინამორბედად. მათი დამზადება 2000 წლის წინ დაიწყო. ტიპური კაპადოკიური

ნაწარმი არის ე. წ. კილიმი ანუ ხალიჩა, რომელიც სხვებისაგან განსხვავებით მატყლის არაა. იგი არაა აქტიურად დაკვანძული და ქსოვილს არა აქვს მაფი. ყველა დანარჩენი ხალიჩა ნაქსოვია ორმაგი კვანძებით (თურქული და გორდესი), სხვა სისტემა მარტივი კვანძით ხასიათდება და არის სპარსული და სენეჰისა.

ბრჭყვიალა, კაშკაშა ფერები თურქულ ხალიჩებს სიმბოლურ მნიშვნელობას აძლევს. წითელი ჯანმრთელობას და ბედნიერებას აღნიშნავს, ყვითელი და შავი ბოროტ სულებს არიდებს, ცისფერი არის დიდსულოვნების, კეთილშობილების და მწვანე – სამოთხის სიმბოლო.

ეკლესიის კედლებზე გამოსახულია თევზი ბერძნული სახელით *iktus*, რომელიც დგას ფრაზაზე „იესო ქრისტე თეოიოს სოტერი“, რაც არის იესო ქრისტე ღმერთის ძე მაცხოვარი. იქტუსი (თევზი) სიმბოლურად თვით ქრისტეს აღნიშნავს, ყოველთვის სიმბოლიზებულია მშვიდობასთან და წმიდა სულთან. ირემი ნიშნავს სულს, ფარშევანგები აღდგომას, მამალი სინათლეს და სასიცოცხლო ძალებს, პალმა სიცოცხლის ხეა და მარადისობას განასახიერებს. გორემშია ელ ნაზარის ხეობა, სადაც ზღაპრული ნაპრალებია და კლდეში განლაგებულია ღვთისმშობლის ეკლესია. აქაა ღია მუზეუმი, რომელიც ადრე რელიგიური თემების მიერ იყო გამოყენებული. კლდეში უამრავი სამონასტრო კომპლექსია გამოჭრილი. წმ. ბასილი კესარიელის ტაძრების მოხატულობა XI ს-ისაა. იგი ბიზანტიური გავლენით ხასიათდება. ყველაზე მდიდრულად მოხატულია ტოკალის ეკლესია „მონასტერი აბზინდით“, ანუ მოლუნული. სახელი

მომდინარეობს დეკორატივიდან – ორი თალიდან. აგებულია IX-X სს. წინა ნაწილი ძველი ეკლესიაა, გვერდით ახალი. აქ ქრისტეს ცხოვრებიდან 29 სცენაა გამოსახული. ფერმწერი იყო ნიკიფორე, მატერიალურ დახმარებას კი უწევდა იმპერატორ კონსტანტინეს შვილი ლეო. ნიშაში გამოსახულია ფრესკა „შენ ხარ ვენახი“*.

ელმალის ეკლესია 1050 წ. აშენდა. სახელწოდება წარმომდგარია ვაშლისგან, რადგან ამ მხარეში ვაშლის ხეები ხარობს.

კარანლიკის ეკლესია ნიშნავს „შავ მონასტერს“. სამონასტრო კომპლექსი აიგო XI ს-ში. აქ სინათლე მცირედ შემოდის, მოხატულია ახალი აღთქმის სიუჟეტებით, საღებავად გამოყენებულია ლაპისლაზური. ცოტა მოშორებით დგას უსახელო ეკლესია, სადაც გამოსახულია ხუთი დისკო.

ორიგინალური სამონასტრო კომპლექსია **სანდალის** ეკლესია. კარიბჭის ქვემოთ მოხატული იატაკი ცხენის ფორმისაა, ფეხსაცმლის ყალიბის ნიშები სვეტების თავზე კედელზეა დაჯგუფებული, სახელწოდებაც აქედან წარმოდგება. ნიშები ბერძნული ჯვრის ფორმისაა. მონასტრის წინამძღვრები თეონისტოსი, მიქაელი და ლეონი კედლის ფრესკებზეა დატანილი. ქრისტეს ცხოვრებიდან 13 ეპიზოდი და აგრეთვე, კონსტანტინე და ელენე, წმ. კოზმა და დამიანე, ევლოქია და ბარბარე, პროკოპი, თეოდორე და წმიდა გიორგია გამოსახულნი.

* დემეტრე I-მა (1125-1156 წწ.) შექმნა საგალობელი „შენ ხარ ვენახი“, რომელიც ღვთისმშობელს ეძღვნება.

წმ. ბარბარეს ეკლესია წარმოდგენილია 2 სვეტით და გუმბათით, 3 აფსიდით. აგებულია XI ს. ფრესკებზე დომინირებს წითელი ხაზები გეომეტრიული ფიგურებით. ისტორიკოსთა აზრით, ეს ტექნიკა იკონოკლასტიკის ხანას მიეკუთვნება. ჩრდილოეთის კედელზე წმ. გიორგი და წმ. თეოდორე ცხენებზე ამხედრებულნი გველუშაპსა და გველს კლავენ.

იალანლის მონასტერში სამი წმიდანია გამოსახული. შიშველი წმ. ონოფრე, წმ. თომასი. ონოფრე იყო განდევნილი IV-V სს. მიჯნაზე და ეგვიპტის უდაბნოში მოღვაწეობდა, იგი მხოლოდ პალმის ფოთლებით იმოსებოდა. თქმულების თანახმად, ონოფრე ქალი იყო, თუმცა, ღმერთმა კაცად აქცია, რომ იგი ცოდვისგან დაეფარა. ფრესკაზე გამოსახული უჩვეულო ფორმის კუნთები, სასქესო ორგანოები პალმის ფოთლებით წმიდანის ნამდვილ სქესზე შეცბუნებას იწვევს. აქაც წმ. გიორგი და წმ. თეოდორე გველს კლავენ. ასევეა გამოსახული წმიდა კონსტანტინე და წმიდა ელენე.

ელ ნაზარის ეკლესია XI ს. თარიღდება. ისიც კლდეშია გამოკვეთილი და ლათინური T ფორმისაა. მონასტერი მდებარეობს გორემის კომპლექსიდან 200 მ-ში. წმ. ბასილის სამლოცველოში ბერთა კელიების დიდი ლაბირინთია.

ჩავუშინი გორემიდან ავანოსისკენ მიმავალ გზაზე 2. 5 კმ-ში მდებარეობს. იგი სეისმურ ზონაშია მოქცეული. აქ არის კლდეში გამოჭრილი წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, რომელიც აგებულია XVIII ს. ავანოსის გზაზე ორას მეტრში იმპერატორ ნიკიფორე ფოკას ეკლესიაა განთავსებული. პასაბაგის მიდამოში არის ხეობა ე. წ. „ზღაპრული მიწები“ ან ად-

გილობრივი დიალექტით *peri bacasi*. ესაა ბერთა ხეობა, ტუფაში ნაკვეთი განდევნილი საცხოვრებელი კომპლექსი. ამ მონასტერიდან ყველაზე დიდი მწვერვალი არის ბერი სიმონის კუთვნილი უდიდესი ტუფის ბლოკი ზემოდან დაგვირგვინებული სამი მილით. მონასტერი თარიღდება X ს. სიმონი მოღვაწეობდა IV-V სს.

ზელვე ვულკანური წარმოშობისაა. მდებარეობს ავანოსსა და ჩავუშინს შორის. ვულკანი არგეოსის მთაზეა და კარგად ჩანს. კლდეები აქ ვარდისფერი და თეთრია. მონასტერს ყურძნის სახელწოდება აქვს. ფრესკაზე გამოსახული ყურძენი თავად ქრისტეს განასახიერებს. გეიკლის მონასტერი ირმის სახელს ატარებს. იგი დაზიანებული და ნაწილობრივ დაზარეულია. კლდეში გამოჭრილი რამდენიმე ჯამე მუსლიმებსაც აქვთ.

ავანოსი ბრინჯაოს ხანიდან უკვე დასახლებული ქალაქია. ამას ტომარაკლის ყორღანული სამარხები ადასტურებს. მისი მხარე ყიზილ-ირმაკით ირწყვება. იგი ნიშნავს „წითელ მდინარეს“. ხეთები მას მარასანთიას ეძახდნენ, კლასიკურ ხანაში ჰალისი ერქვა. იგი 1355 კმ-ია. ავანოსის სახელი ლათინური **Venasa**-დან მომდინარეობს. რადგან ყიზილ-ირმაკი რკინოვან მინერალებს შეიცავს, მისი შლამი აქ თიხის ნაწარმისთვის გამოიყენება.

კაიმაკლი ნევშეჰირის სამხრეთით მდებარეობს. აქ განთავსებულია მიწისქვეშა ქალაქი. ამ დასახლებაზე ქსენოფონტის „ანაბასისშია“ ცნობები დაცული. ძვ. წ. V ს. ტრიგლოდიტები ანუ გამოქვაბულის ადამიანები ცხოვრობდნენ.

ნევშეჰირი ტიპიური თანამედროვე ქალაქია, თუმცა ნაკვალევი ნეო-

ლიტიდან მოწმდება. იგი დაპყრობილი იყო ეგეოსელების ანუ „ზღვის ხალხების“ მიერ ძვ. წ. XII ს., კიმერიელების მიერ ძვ. წ. VIII ს., ასურელების მიერ ძვ. წ. 680-610 წწ., შემდეგ მიდიელებმა, სპარსელებმა და რომაელებმა აიღეს. აქ მდებარეობს იბრაჰიმ ფაშას მიზგიტი, რომელიც ცნობილია თავისი ტყვიის სახურავით.

იპლარას ხეობა ორიგინალურია თავისი კანიონით. აქაა ვულკანი ჰასან დადი, მარილოვანი ტბა ტუზ გოილუ. დღემდე მოღწეულია რომაული ხანის აბანოები. სამხრეთით ვხვდებით კოკარის ეკლესიას, რომელიც ნიშნავს „კეთილსურნელოვანს“. ფრესკები მოხატულია ღია მწვანე და ნაცრისფერით და აქვე დაცულია სამარხები. ეკლესია IX საუკუნით თარიღდება. იაპრაკ ჰისარში არის ზღაპრული მიწები, სელიმში მონასტერი, სადაც ფრესკები სირიული გავლენითაა მოხატული, თარიღდება IV და IX სს. საინტერესოა ალაჩ ალტის ეკლესია. მისი ფრესკები წითელი, მწვანე, ყავისფერი და ყავისფერში გარდამავალი ფორთოხლისფერია. აქ გვხვდება სიუჟეტები მარიამის ცხოვრებიდან და მას ეწოდება „ანგელოზების დედოფალი“. მახლობლად მდებარეობს სუმბულუს ეკლესია, ანუ სუმბულის ტაძარი, რომლის ფასადი შემკულია ცისარტყელას მსგავსი ნიშებით. აგებულია IX საუკუნეში. მო-

პირდაპირე მხარეს კარანლიკ კაიას ეკლესიის (ნიშნავს „შავი ეკლესია“) ახლოს დგას იალანლის ეკლესია ანუ ეკლესია გველებით, რომელიც ეწოდა იმ ფრესკას, სადაც ოთხ ცოდვილს თავს გველები ესხმიან. აქ გამოსახულია უკანასკნელი სამსჯავრო, ჯოჯოხეთი, სამოთხე, მარიამის დაკრძალვა და სხვა.

კირკ დამალტის მონასტერი წმიდა გიორგის სახელობისაა. თარიღდება XIII საუკუნით. ტაძარი ცნობილია სელჯუკების ხანაში ქრისტიანობისადმი ტოლერანტობით. გამოსახულია ეპიზოდები წმიდა გიორგის ცხოვრებიდან, სადაც ჩართულია წმიდანისადმი ძღვნის მირთმევა სარდალ ამირაზეს ბასილეოსის და ქალბატონის მიერ, რაც ქრისტიანი წმიდანებისადმი პატივისცემის ნიშანია. ამირაზესი სელჯუკთა მეფე მესუთ II-ის ჯარების სარდალი იყო. იგი გამოსახულია ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკოსის მახლობლად. მოპირდაპირე მხარესაა ჯვრის ფორმის ეკლესია დირეკლი, რომლის ცენტრალური კამარა ოთხ სვეტს ეყრდნობა. კედლები მოხატულია პანტოკრატორის, წმიდანების გამოსახულებებით: მთავარანგელოზები მიქაელის და გაბრიელის ფრესკებით, გეომეტრიული ნახატებით. ეკლესია თარიღდება XI-XII საუკუნეებით.

Cappadocia, by casa Editrice Bonechi, Florence, Italy, 2000.

ინგლისურიდან თარგმნა **ნანა ბახსოლიანმა**



ძვირფასი წიგნი შემადრწუნებელი ფაქტებით

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ხუთასგვერდიან წიგნში („ქართველთა დენაციონალიზაცია XVII-XX საუკუნეებში“) წარმოჩენილი ზოგი ფაქტი ჩვენი საზოგადოებისათვის სხვა წყაროებიდანაც ცნობილი იყო, მაგრამ, რასაც მისი შრომა მთლიანობაში გვამცნობს, გამაოგნებელია. არ არსებობს ისტორიული ლოგიკა საკუთარ ქვეყანაში ადამიანთა დენაციონალიზაციისა საერთოდ და, მითუმეტეს, ასეთი მასშტაბებისა, თუ ეს ქვეყანა წარმოადგენს პოლიტიკურსა და სახელმწიფოებრივ სუბიექტს. მონღოლებისა და განსაკუთრებით თემურლენგის შემოსევების შემდეგ ქართველები ფაქტობრივად ღვთის ანაბარა დარჩნენ. ჩვენ წინაპრებს კარგად ესმოდათ, რომ ცაში ყურებით მიწიერი პრობლემები ნაკლებად წყდება. ამდენად, ერთ დროს მთლიანი და ძლიერი, ახლა კი სამეფოებად და სამთავროებად დაშლილ-დანაკუწებული ქვეყანა. მართალია, ცალ-ცალკე აგრძელებდა თავდაცვით ომებს, მაგრამ მაინც მცირედლა უმკლავდებოდა წუთისოფლის საშინელ მსჯავრს. სამწუხაროდ, შემოსეული მტრის სიძლიერე შინაური დალატისათვის ფართე ასპარეზს ქმნიდა. ქართველების დენაციონალიზაცია ხდებოდა ეტაპობრივად, ნელ-ნელა,

უკეთესი სოციალური პირობების შექმნის მოტივით ძალადობით, მოტყუებით, მოსყიდვით. მართლმადიდებლობას კარგავდნენ არა მხოლოდ ძლიერი მუსულმანური ქვეყნებისგან დაპყრობილი საქართველოს კუთხეები, არამედ კავკასიის წვრილ-წვრილი ტომების მოძალების შედეგადაც. თუმცა მომხდურის უკან წამქეზებელი რომელიმე მუსულმანური ან ქრისტიანული ქვეყანა იდგა. ხელისუფლებისგან დაუცველი ქართველობა ჩვენს ქვეყანაშივე გადადიოდა სხვა კონფესიაში, რაც საბოლოოდ ეროვნულობის დაკარგვას ნიშნავდა. რაც შეეხება დაპყრობილ ტერიტორიას, აქ რელიგიის შეცვლა საშინელი ტერორის პირობებში ხდებოდა. მუსულმანის წყენინებისათვის ქართველი ისჯებოდა განსაკუთრებული სისასტიკით, ქართველისათვის ქონებაც რომ წაერთმიათ, დამნაშავეს პასუხი არ მოეთხოვებოდა, ქართველს ეკრძალებოდა ლხინი, საქორწინო წვეულება. მიცვალებულის დასაფლავების უფლება ჰქონდათ მხოლოდ ღამით გალობისა და წესის შესრულების გარეშე. ქართველი მღვდელი დიდი ცოდვის მქონე ადამიანად ითვლებოდა. „მკვდარი ღრმად უნდა ჩაეფლათ მიწაში, მოწამ არ ამოსროლოსო“. ქართველებს, როგორც ამ წიგნში

წყაროებითაა ნაჩვენები, საუკუნოვან ომებში ბევრად უფრო ნაკლები ხალხი დაუპარგავთ, ვიდრე დენაციონალიზაციის შედეგად ჩამოშორდა ქართულ სამყაროს. დენაციონალიზაცია საქართველოს ისტორიის ცაკლეული შემთხვევა კი არა, ჩვენი ისტორიის კანონზომიერი რეალობა ყოფილა. უღელს შეჩვეული ხარკით არსებობა უზნეობაა ერისათვის და ამან, რაც მოგვიტანა, კარგად ჩანს ამ დიდი მამულიშვილური ტკივილით დაწერილ წიგნში. ქართველებს გვაკლია ეროვნული ყოფისათვის საჭირო პრაქტიციზმი, რომელიც ზოგჯერ, მართალია, დაუნდობელია, მაგრამ აუცილებელია.

სამცხე-ჯავახეთის შემოერთების შემდეგ (1828-1829) კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ უარი თქვა, ეცნო ადგილობრივ მაჰმადიანთა ქართული წარმოშობა და ხელიც კი შეუწყო მუსულმანური რელიგიის მსახურთ, ენობრივად დაეჩქარებინათ ქართველების გათურქება. რაც ვერ გააკეთა თურქების ორასწლიანმა ბატონობამ ამ რეგიონში, უსწრაფესად დაასრულა რუსულმა ხელისუფლებამ. იგივე მოხდა ერთი საუკუნის შემდეგაც, როცა სამცხე-ჯავახეთის ქართველი მუსულმანების თხოვნა, ქართული სკოლები გაეხსნათ, ყურად არავინ იღო და აზერბაიჯანელი მასწავლებლები მოუწვიეს, „თათრები“ ხართო. ძნელად წარმოსადგენია სამი საუკუნის წინ ძალადობით გამაჰმადიანებული, მაგრამ ისევ მშობლიურ ენაზე მოსაუბრე ქართველის უფრო მეტი ფსიქოლოგიური განადგურება, რომელმაც არც ქართველობა დაკარგა და არც იმედი, რომ ოდესმე დაუბრუნდებოდა თავის რელიგიურ-ეროვნულ წიაღს.

ქართველთა დენაციონალიზაციის მთავარი მიზეზი ქვეყნის დაკნინება-დაშლა იყო. ქართული სახელმწიფო არა მხოლოდ „პოლიტიკურად დანაწილდა, არამედ ეკონომიკურადც გაპარტახდა“. დაუმღურებული ქვეყანა ვეღარ იცავდა თავის ხალხს და ხშირად არც თუ ძლიერი სხვა ნაციონალური ელემენტი მძლავრობდა ქართველზე. კავკასიის მთიანეთის მცირე ტომები, რომლებიც ერთ დროს ქართველების შიშით ძრწოდნენ, ხშირად აწიოკებდნენ მოსახლეობას და თანდათან ქვეყნის ნაყოფიერ ადგილებს იკავებდნენ. საშიში ქართული ძალის დათრგუნვა დიდ სახელმწიფოთა პირველი რიგის ამოცანა ხდებოდა და მიზანსაც იოლად უფრო დაუცველ პერიფერიებში აღწევდნენ, სადაც მუსულმანური ფანატიზმი ძლიერი იყო. მე-18 საუკუნის ერთი ევროპელი მოგზაურის ჩანაწერის მიხედვით, ქართველი თავის ქვეყანაშიც ყოველმხრივ შევიწროვებული იყო, საშიშ კაცად ითვლებოდა და კარგი ხელოსანიც რომ ყოფილიყო, სამუშაოს არ აძლევდნენ.

შრომის ავტორი სწორად ათვალსაჩინოებს ქართველთა გათურქების, გასომხების, გალექების, გაოსების, გაბერძნების, გაკათოლიკებისა და გააფხაზების ისტორიულ პირობებს. მართლმადიდებლობაზე უარის თქმის მიზეზი ან ძალადობა იყო ან ისეთი სოციალური პირობების შეთავაზება, რომელიც ღარიბსა და დაჩაგრულ ქართველ გლეხებს სხვა პერსპექტივას აღარ უტოვებდა. ოღონდ ქართველთა გადაგვარება და ქართული ეთნოსის სიმულვილით სხვა ეთნოსს მიკედლება კატეგორიულად უნდა გამოირიცხოს (იმვიათი გამო-ნაკლისი ყოველთვის არის დასაშვებ-

ბი). გალევება იძულებითიც იყო და „ნებაყოფლობითიც“. გალევებული ქართველი განსხვავებულ სოციალურ სტატუსს იძენდა, „აღალარი“ ხდებოდა და ინგილოსა და მულალებს გადასახადსაც ახდევინებდა. გამაჰმადიანებულ ინგილოს უფრო მეტი უფლებები ჰქონდა და უფრო თავისუფალი იყო, ვიდრე კახელი ქრისტიანი გლეხი. ამიტომ „ქართველი მიილტვოდა ჭარისაკენ“ (29). სოციალურად დაუცველი და ჩაგრული გლეხი უკეთეს პირობებზე უარს ვერ იტყოდა, რადგან იგი ყველა დროში ოჯახის შენახვის ფიქრით ცხოვრობს. გალევების მთავარი პირობა გამაჰმადიანება იყო. შემდეგი ეტაპი გარემოს შეჩვევას და ეთნო-ფსიქოლოგიის გარდაქმნაში მდგომარეობდა. ინგილო ფარულად მაინც ინახავდა ქრისტიანულ სარწმუნოებას. კავკასიის რუსულმა ხელისუფლებამ აქაც პილატესავით დაიბანა ხელი და ინგილოებს არათუ დაეხმარა ქრისტიანობის აღდგენაში, არამედ ოფიციალურად ცნო „აღალარების“ უფლება კახეთის ინგილოებსა და მათ მიწებზე. ინგილოთა თხოვნა დარჩა „ღალადებად უდაბნოსა შინა“, – აღნიშნავს ავტორი. ჭარში ჩამოსახლებული დაღესტნელი გლეხები ქართველ თავადთა ყმები ხდებოდნენ (როგორც სამაჩაბლოში ჩამოსული ოსები). შაჰ-აბასმა კახეთს ჯერ კაცი ჩამოაცილა, მერე საინგილო და ელისენიდან სპარსეთში გადასახლებული კახელების ნასოფლარები თურქმენული ტომებით შეავსო. ამას მოჰყვა დაღესტნელთა ახალი დიდი ტალღა, რომელსაც კახეთის მაჰმადიანმა ხანმა, ბეჟანმა, ქართული მოსახლეობის რბევის ნება მისცა. თანდათანობით გამრავლებულმა ლეკებმა ჯერ გადასახლებას გადარჩენილი მოსახლეობა

გადხადეს ყმად, მერე ალაზნისპირა სოფლებიც. ავტორი ეხება გალევების მეორე მიზეზსაც, მე-18 საუკუნეში საბოლოოდ ყალიბდება ჭარ-ბელაქანში ლეკთა „უბატონო თემები“, რომლებმაც კახეთის დიდი ნაწილი გავლენის ქვეშ მოიქციეს. 1727 წელს ოსმალეთის ხელისუფლებისაგან შექმნილი დოკუმენტის მიხედვით, ლეკთაგან მიტაცებული აღმოსავლეთ კახეთის მიწები პირად მფლობელობაში უმტკიცდებოდათ მათ. ქართველი თავადები თავიანთი ყმებითურთ „სხვის მიწაზე“ აღმოჩნდნენ. მამულზე უფლებდაკარგულ თავადს, თუ მიწის შენარჩუნება სურდა, „უბატონო თემში“ უნდა შესულიყო, რაც გალევებას ნიშნავდა. ეს დამპყრობლების „კანონიერი“ ხაფანგი იყო, რომელსაც ვერც თავადი და ვერც გლეხი გვერდს ვერ აუვლიდა, ამიტომ ერთიც და მეორეც იძულებული გახდა ეს პირობები მიეღო, თუნდაც იმის გამო, რომ ახალი პირობები ბევრად უკეთესი იყო იმაზე, რაც მანამდე ჰქონდათ. ჭარ-ბელაქანი მალე ერთ-ერთ უძლიერეს პოლიტიკურ ძალად იქცა აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც ვერც ერეკლემ დაამარცხა საბოლოოდ და ვერც ირანმა დააკლო რამე. კახეთის მაჰმადიანი ხანის დასაყრდენი ლეკები იყვნენ. მათი ძალადობით ქრისტიან ქართველ გლეხს ყოველგვარი უფლება ჰქონდა წართმეული: „თუ კახელი მოკლავდა ლეკს, მას ან მოკლავდნენ, ან დიდ ფულს გადაახდევინებდნენ, თუ ლეკი მოკლავდა კახელს, სასჯელისგან თავისუფალი იყო“. „არა ჯერ არს გიჟურისაგან მუსლიმანის სიკვდილი“. გამაჰმადიანებული კახელი გლეხი (ინგილო) უკეთესი საარსებო პირობების სანაცვლოდ მორჩილი მორწ-

მუნე უნდა ყოფილიყო და ქართველობაზე საბოლოოდ უნდა ეთქვა იარი. ქრისტიანობა შეინარჩუნა მხოლოდ კახმა, რაც სასწაულებრივი ფაქტია ჩვენს ისტორიაში. ჭარ-ბელაქანში ქართული ღვთისმსახურება სასტიკად აიკრძალა და კახელი გლეხი თანდათან გამაჰმადიანდა. მე-19 საუკუნეში ინგილოებმა, რომლებიც ფარულად ქრისტიანულ წესებს ასრულებდნენ, გადაწყვიტეს ქრისტიანობაზე დაბრუნება. კავკასიის რუსულმა ხელისუფლებამ, რომელიც მხარს უჭერდა ლეკებს და საინგილოში ბევრი ქრისტიანი გაამაჰმადიანა, ქრისტიანულ სარწმუნოებაზე დაბრუნების მოსურნე თბილისში ჩამოსულ რვა ინგილოს მონათვლას „ისეთი პომპეზური ხასიათი მისცა“, რომ ხმა ლეკებამდეც მივიდა, რომლებიც ამ ფაქტის გამო აჯანყდნენ. ესეც ვერაგული მახე იყო ინგილოებისათვის, რომელმაც აჯანყებული ლეკები ქრისტიანობაზე დაბრუნების ნებას არ მისცემდნენ, მითუმეტეს, რომ მათ მხარს უჭერდა ხელისუფლება. ასე ზრუნავდა მართლმადიდებელი რუსეთი მართლმადიდებელ ქართველთა მორწმუნეებზე.

ავტორი მეცნიერული ობიექტებით აანალიზებს ჩვენი ისტორიის ტრაგიკულ ფაქტებს. ერთ დროს უძლიერესი სახელმწიფო მონღოლთა ბატონობის შემდეგ ისე დაიშალა და დაკნინდა, რომ თავისი მოქალაქეების დაცვა აღარ შეეძლო. ქვეყნის დაყოფას აღმოსავლეთად და დასავლეთად მალე უფრო ვიწრო კუთხური პარტიკულარიზმი მოჰყვა. კახელებმა თავისი მეფე გამოზარდეს, ათაბაგმა მესხეთი პოლიტიკურად და რელიგიურად მოსწყვიტა სახელმწიფოს, რაც ძალიან ძვირად დაუჯდა „ქვე-

ყანასაც და ამ მხარესაც“. ყველა ცალკე ცდილობდა თავისი ცხოვრების მოწყობას. ოდესღაც ძლიერი ქვეყანა ფაქტობრივად თვითგადარჩენის ინსტინქტმა დაშალა, რაც შემდეგ ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტაში გადაიზარდა. ერთიანი ქართული ცნობიერების ხელახალი ხორცშესხმისათვის არც ერთ კუთხეს არ გააჩნდა არც პოლიტიკური და არც სამხედრო რესურსი. სახელმწიფო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაიშალა, დაიკარგა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი, თუმცა მთლის კავკასიელი ტომებისათვის მისი, როგორც ძლიერი, კულტურული ქვეყნის, იმიჯი მაინც თვალსაჩინო იყო. ასეთ ვითარებაში ხდება ქართველების გაოსება, გალეკება და სხვა კონფესიებში გადასვლა: ავტორის არგუმენტი აქ ერთია, დაშლილ ქვეყანას აღარ შეეძლო მტრისგან თავისი მოქალაქის დაცვა, ვერც ეკლესიამ შეძლო მრევლის ერთიანობის გადარჩენა და ბურთიც და მოედანიც რჩებოდა მომხდურს. მეზობელი დიდი ქვეყნების პოლიტიკა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის, როგორც ეროვნული ერთიანობის, საფუძვლის მოშლის მზაკვრულ მიზანს ისახავდა. თურქეთზე რომ არაფერი ვთქვათ, მართლმადიდებელი რუსეთი ყველა საშუალებით ცდილობდა მეამბოხე ქართველების შევიწროვებას და აშკარად უწყობდა ხელს სხვა კონფესიაში მათ გადასვლას. ავტორი ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ქართველების გაოსების ფაქტს სამართლიანად უკავშირებს ჯერ მონღოლებისა და შემდეგ თემურ-ლენგურ შემოსევებს, რომლებმაც კავკასიის უღელტეხილთა დამცველი მონახეს ოქროს ურდოს მიერ მთებში შემორეკილი ოსების

სახით. ოსები ილხანის მონღოლებმა შემოიყვანეს დვალეთში და სამოქალაქო მმართველობაში გააბატონეს. დვალეების, როგორც ავტოქთონური მოსახლეობის, გაოსება, დამპყრობლის ინტერესებში შედიოდა, რამდენადაც ისინი მეომარ ქართველებს არ ენდობოდნენ. ოსებს ევალეობადი სტრატეგიული ადგილების (დარილის ხეობა, მამისონის უღელტეხილი) გაკონტროლება, რამაც განსაზღვრა მათი არა მარტო დამკვიდრება დვალეთში, არამედ მათი გაბატონებაც. ვინც ვერ შეეგუა ოსთა ბატონობას, ქსნისა და ლიახვის ხეობათა სათავეებში გადავიდა. მონღოლებმა ქართველების მიმართ დვალეების გაორგულება სცადეს ბეგარისაგან განთავისუფლების მოტივით. სწორედ აქედან დაწყებულა მათი გაოსებაც. ქსნის ხეობის დვალეები ქართულ ცენტრალურ ხელისუფლებას აღარ ემორჩილებოდნენ და ლაშქრად გასვლასაც თავს არიდებდნენ. გიორგი ბრწყინვალეს შემდეგ, რომლებმაც ოსები მთებში შეაბრუნა, ახალი ტალღა ჩრდილო ოსეთიდან შემოიჭრა დვალეთში თემურ-ლენგის ხელშეწყობით, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა დვალეების გაოსების პროცესი, თუმცა ეს კუთხე მაინც ქართლის სამეფოს შემადგენელ ნაწილად რჩებოდა. ამ დროიდან დვალეებმა დაკარგეს პროქართული ორიენტაცია. ეს რეგიონი ოსებს თანდათანობით სრულად დაუპყრიათ და თავს მოუხვევიათ თავისი ენა. ოსები გამაჰმადიანდნენ, დვალეები ქრისტიანებად დარჩნენ. ოსებთან მიკედლება, რომლებსაც მფარველობდნენ მონღოლები (თემურ-ლენგი), დვალეებისათვის მომგებიანი იყო. ჩანს მონღოლები ქართველებს ავი თვალთ უყურებდ-

ნენ (ვინ არ უყურებდა ავი თვალთ) დვალეების ინტენსიური მიგრაცია ქართლის ბარში უკავშირდება ავტორის მართებული ხაზგასმით, ქსნისა და არაგვის საერისთავოების გაუქმებას. დვალეები ქართლის ბარში ჩამოვიდნენ როგორც მშრომელები, ხიზნები და, როცა მომაგრდნენ, თავისად მიითვალეს ქართული მიწები. ავტორი კონკრეტული ფაქტებით ადასტურებს, როგორ „მოახერხეს“ რუსებმა არა მარტო დვალეების, არამედ ქართლის მთიანეთისა და ბარის ძირძველი მოსახლეობის გაოსება. მათივე ხელშეწყობით გაოსებამ დაჩქარებული ხასიათი მიიღო. 1804 წლის მთიულეთის აჯანყების პერიოდში, მას შემდეგ, რაც ქსნის ერისთავებმა ბაგრატიონთაგან წართმეული მიწებისა და ყმების დაბრუნების სანაცვლოდ რუსული ხელისუფლების მხარე დაიჭირეს და ფარნავაზ ბატონიშვილი და ალ. ჭავჭავაძე ციციანოვს მიჰგვარეს. ეს უკანასკნელი არაგვის ხეობაში დაერია აჯანყებულებს და ოსები ქართველებს ჩამოაცილა (ოსებმა იარაღი დაყარეს). ამ დამსახურებისათვის მათ პასკევიჩმა პრივილეგიები მიანიჭა. მიწაზე, რომელზეც ისინი, როგორც ხიზნები, სახლობდნენ, ქართველ მემამულეს მფლობელის უფლება ერთმეოდა. ასე მოიქცა ცარიზმი აღმოსავლეთ კახეთშიც. მან აქაც უარყო ქართველთა უფლებები მათ ისტორიულ მიწა-წყალზე და იურიდიულად ეს მიწა მომხდურ ლეკებს დაუკანონა. თავისი განკარგულებებით პასკევიჩი ოსებს მემამულეთა წინააღმდეგ გამოსვლისაკენ მოუწოდებდა, რამაც გაახშირა აჯანყებები, რომელშიც ოსების გვერდით ოსური ფსიქოლოგიით მოქმედებდნენ გაოსებული დვალეები. თუ აჯანყებული

ოსი გააქცევდა მემამულეს, რუსი ჯარი შემოდის სოფელში და ოს აჯანყებულებს ფეშქაშად უმტკიცებდა მემამულის მიწას. ეს გათიშე და იბატონეზე ბევრად უარესი იყო. პასკევიჩმა არ ცნო ართველ მებატონეთა უფლება მათ მიწაზე დასახლებულ ოსებზე. ამას დაემატა ისიც, რომ ოსებს მუდმივ საკუთრებაში დაურიგა უსასყიდლოდ შვიდი დესეტინა მიწა, ქართველ კი – არა. რუსული ეკლესია ოსს გაქრისტიანებისათვის ფულს უხდიდა. ამით რუსებმა ორი კურდღელი დაიჭირეს: ერთი მხრივ, ოსები გაიერთგულეს, მეორე მხრივ, ოსობა ქართველისათვის მომგებიანი გახადეს. ოსებთან მეზობლობის შედეგად გაწარმართებული ქართული მოსახლეობა ან ოსად უნდა ჩაწერილიყო და მეორედ მონათლულიყო ქრისტიანად ან ქონებრივი შურის გამო ოსის მტრად უნდა ქცეულიყო. თანდათანობით ოსები სახელმწიფო კატეგორიის გლეხებად გადაიყვანეს. 1852 წელს ბატონყმობიდან გაათავისუფლეს და ხიზანი თავისუფალ გლეხად აქციეს. ასეთი პრივილეგიების შემყურე ქართული მოსახლეობისათვის ოსად ჩაწერის შემაფერხებელი ძალა არ არსებობდა. ასე „ეწირებოდა ქართული ეთნოსი რუსულ პოლიტიკას“ – დანაწევრებით შენიშნავს ავტორი. გაოსების მთავარი მიზეზი მაინც ის იყო, რომ ქართველი ყმობიდან თავისუფლდებოდა. გაოსებული დვალელებიც და ასევე ბევრი ბარის გაოსებული ქართველებიც ისეთივე მტერი გახდა ქართველებისა, როგორც მაჰმადიანი ქართველი – ქრისტიანი ქართველისა. რუსულმა ვერაგულმა პოლიტიკამ ქართული მაჰმადიანი და ქრისტიანი დანა-სისხლად გადაჰკიდა ერთმანეთს. მესხეთში ქართვე-

ლები რუსების ჯავრს ქართველ ქრისტიანზე იყრიდნენ. მთავრობისგან ბომბებული უფლებით მთის მწირემიწიანი ადგილებიდან ოსები ბარში მემამულეთა მიწაზე დაასახლეს, რაც მთავრობისგან გამიზნულად გადაღებული ნაბიჯი იყო ოსებისა და ქართველების დასაპირისპირებლად. ხელისუფლება ოს ხიზნებს სახელმწიფო გლეხებად ჩარიცხვის საბაბით მემამულესათვის უკანონოდ წართმეულ მიწას აძლევდა. ხიზნის უფლების მოპოვებისათვის ქართველი გლეხი ოსტატურად დაგებულ ქსელში ებმებოდა და თავს ოსად აცხადებდა, რადგან მიწა ოსს უვადო სარგებლობაში ეძლეოდა. რუსეთში ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ კანონით მიწა მემამულეებს დარჩათ და სცადეს თავიანთი მიწებიდან ოსების გარეკვა, მაგრამ მთავრობამ მათ ამჯერადაც დააფარა ხელი და 10 დესეტინა მიწა, რომელსაც ისინი უკვე ფლობდნენ, მუდმივ სარგებლობაში დაუტოვა. პეტერბურგში გადაწყვეტილი იყო, მიეცათ ოსებისათვის არა მარტო ლიახვის ხეობის მიწები, არამედ მტკვრის მიმდებარე ადგილებიც, ასეთი შეღავათებით ყოფილი ხიზანი შიდა ქართლის მკვიდრი ხდებოდა; მათ მეზობლად მცხოვრები ქართველები იწყებენ ოსად ჩაწერას და იგივე პრივილეგიები ეძლევათ, რაც ოსებს. ეს იყო ქართველთა გაოსების ახალი ტალღა. ოსს იმდენი უპირატესობა ჰქონდა, როგორც მიწის მუშას, რომ ქართველი ოსად ეწერებოდა. ოსები როგორც ჩრდილო, ისე ამიერკავკასიაში, გახდნენ სომხებთან ერთად იმპერიული რუსეთის დასაყრდენი. ჩრდილო კავკასიაში, ოსების გარდა, ყველა ტომი გააფრთხილებით ებრძოდა რუსეთს. ოსი რუსის ერთგუ-

ლი და სხვების ორგული იყო. ასეთი ერთგულებით ისინი საქართველოს ნოყიერი მიწების ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ, რუსები კი მათ საერთო კავკასიურ საყრდენად გახდომას უპირებდნენ. ამ მიზნით გადაწყვიტეს ოსი და გაოსებული დვალეების გაქრისტიანება, – რაც ავტორის მართებული აზრით, უფრო პოლიტიკური აქტი იყო, ვიდრე რელიგიური. რუსი მოხელეები ოსტატურად ხვლანჯავდნენ ქსელებს, რომ ქართველი მართლმადიდებლები გაეოსებინათ და შემდეგ თავიდან გაექრისტიანებინათ უკვე სხვა ეთნიკური სტატუსით. იმპერია ყველგან ხელს ურედა: ოსეთშიც, აფხაზეთში, აღმოსავლეთ კახეთსა და ახალციხეში, სადაც ძალით გამაჰმადიანებულ ქართველებს კატეგორიულად აუკრძალეს ქრისტიანობაზე დაბრუნება. ეს იყო ქართული ეროვნული სულის დაშლის პოლიტიკა, რათა მეამბოხე ქართველი მორჩილ ქვეშევდრდომად ექციათ, რაც ქართველის სხვდასხვა ეთნოსში გადაყვანით იოლად სრულდებოდა. მოსახლეობის ასეთი რაოდენობით სხვა ეთნოსში გადაყვანებისმიერი ხალხისათვის სასიკვდილო დარტყმა იქნებოდა (ჩვენ ჭეშმარიტად ღვთის ძალა გვფარავს).

წიგნში მოტანილი შემზარავი ფაქტები მეტყველებენ, რომ იმპერიაში ყოფნის ორასი წელი იყო ეროვნულის სასტიკის დევნის, ქართველი მართლმადიდებლების წინააღმდეგ ბრძოლისა და ქვეყნის მარცვის ისტორია არა მხოლოდ რუსული სამოხელეო აპარატის დონეზე, არამედ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დონეზეც. ის, რაც მიტროპოლიტ ანანია ჯავარიძის ნაშრომში მოხმობილი, ყველაფერი სრულიადაც არაა. ჩანს,

ჯერ კიდევ ბევრი ფაქტია მიჩქმალული, რომელთა სინათლეზე გამოტანა დიამეტრალურად შეცვლის ამ პერიოდის საქართველოს ისტორიული ვითარების სურათს. თუ იმპერიის პოლიტიკას ხელს ვერ ვუშლიდით, ახლა ეროვნული ჩაგვრის ფაქტები მაინც არ უნდა დარჩეს გამომზეურებისა და ანალიზის გარეშე. იმპერიის კავკასიურ პოლიტიკაში მთავარი ქართველების დათრგუნვა და მათ ცნობიერებაში ეროვნულის ამოშანთბა იყო. ქართველს ქართველობაზე ნაკლებად უნდა ეფიქრა. ამიტომ ქართველი თავადაზნაურობა მიუხედავად მებრძოლ კავკასიის ტომებს, რომ იქ „დახარჯულიყვნენ“. ყოველივე ეს, ჩვენდა სამწუხაროდ, ისტორიული სიმართლეა, რასაც ავტორი შესაშური ობიექტურობით გვიჩვენებს. რუსები ქართველებს განიხილავდნენ როგორც „პოლიტიკურ ერს“ და ემინოდათ მათი, სომხებს კი როგორც „კომერციულ ერს“ და არ ემინოდათ მათი, ოსი კი მათთვის იარაღი იყო ჩრდილო კავკასიის ტომებისა და ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში. დვალეების „ეთნიკური თვითშეგნების“ ცვლილება მათი გვარების შეცვლის გარეშე მოხდა. ამიტომ ზოგ ავტორს ბარათაშვილი, სააკაძე, თაყაიშვილი, თარხნიშვილი ოსური წარმოშობის გვარებად მიაჩნია. ანალოგიური მოხდა აფხაზეთშიც: ძირძველი ქართული გვარები ქართულ სამყაროში აფხაზეთიდან შემოსულად ჩათვალეს. მეტი სიბნელე და შარლანტანობა მეცნიერებაში წარმოუდგენელია. ქართული ქრონიკების მიხედვით, – ხაზს უსვამს ავტორი – ეს გვარები ბევრად უფრო ძველია, ვიდრე ოსები გამოჩნდებოდნენ კავკასიის მთიანეთში. ყოველივე ეს იმას ემსა-

ხურებოდა, რომ ქართველები რუსული იმპერიული რეალობის ორგანულ ნაწილად ექციათ. უფრო მეტიც: ჩინ-მედლების მამიებელი და საზოგადოების იერარქიულ კიბეზე აღმავალი არაერთი ქართველი გაუორგულეს ქვეყანას, რომელთა ხელი ქართველთა სისხლშია გასვრილი.

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, შიდა ქართლის მთებში დამკვიდრებული ოსები ორი ხალხის შერევის შედეგად წარმოშობილი ეთნოსი კი არა, არამედ გაოსებული დვლები არიან, რომელნიც ქართლის მთებში ცენტრალური კავკასიიდან რამდენიმე ტალღად ჩამოსახლდნენ. პირველად ჩამოწოლილი ტალღა უკან გააბრუნა გიორგი ბრწყინვალემ. ნაშრომში სარწმუნო ფაქტებითა და მეცნიერული არგუმენტებით არის ნაჩვენები, არა მარტო დვლების გაოსება და მათი ქართლის მთიანეთში ჩამოსახლება, არამედ შიდა ქართლის ბარში ჩამოსვლის პროცესიც. ასე რომ, პრობლემები, რომელიც ამ რეგიონში იქმნებოდა საუკუნეთა მანძილზე და არის დღესაც, დაკავშირებულია უმთავრესად ისტორიის უკუღმართობის შედეგად გაოსებულ ქართველობასთან.

ავტორი ეხება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების სრულად უმართებულო ბრალდებებს, მაგრამ ამ პროცესში არსებითი იყო არა ობიექტური არგუმენტები, არამედ იმპერიული ძალა. რუსი საეკლესიო თუ საერო მოხელე ათასგვარ მზაკვრობას მიმართავდა, რომ ქართველი ეროვნული წიალიდან მოეწყვიტა და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების დაპირებით ახერხებდა სხვა ეთნოსში მის გადაყვანას, თანაც ასეთი ნაბიჯი „ნებაყოფლობითი“

უნდა ყოფილიყო. რუსულმა ეკლესიამ ნაკლებად მორწმუნე დვლები ხელახლა გაქრისტიანებულ-გაოსებული, ოსების ეპარქიაში შეიყვანა და ოსებად ჩაწერა. ასეთ ძალას ქართველები, იარაღის გარდა, ვერაფერს უპირისპირებდნენ, რის გამოც ზეწოლა უფრო გააფრთხილებული იყო. ამასაც არ დასჯერდნენ და ქართველები ერთობის დასაშლელად, – წერს ავტორი, – ეროვნული და ეთნოგრაფიული ნიშნები გაათანაბრეს, ცალკეულ ქართული კუთხეების „საყოფაცხოვრებო და სარწმუნოებრივ ელემენტებს ეროვნულ საფუძველს უძებნიდნენ და იმერლებს, გურულებს, მეგრელებს ქართველებად არ მიიჩნევდნენ. ეს აზრი დღესაც ცოცხლობს და „არგუმენტის“ ნაკლებობას არ განიცდის. შემდეგ მთელი საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა ოსებად გამოაცხადეს. აღმწერლები შედიოდნენ ოჯახებში – წერს ავტორი, – ხედავდნენ ქართულად მოლაპარაკე წევრებს და მაინც ოსებად წერდნენ.

რუსეთი კავკასიაში შემოსვლისთანავე იწყებს არაქართული ეთნიკური ელემენტის გაძლიერებას. პასკევიჩმა სამცხე-ჯავახეთის „განთავისუფლებულ მიწაზე“ არც გამაჰმადიანებული მკვიდრი მოსახლეობა დატოვა და აქ დასახლების მსურველ იმერლებსაც კატეგორიული უარი უთხრა. მათ ნაცვლად თურქეთიდან სომხები ჩამოსასახლა, ადგილობრივი გაკათოლიკებული ქართველობის დიდი ნაწილი გრიგორიანელობაზე მოაქცია და ფაქტიურად გაასომხა. იმპერიული რუსეთი მუდამ სახაზინო მიწების ნაკლებობას „უჭიოდა“, ამიტომ, ქართველი ბაგრატიონები პეტერბურგში „მიიპატიჟა“, მათ საუფ-

ლისწულო მამულებს დაეპატრონა და სახაზინო მიწებად გამოაცხადა, მერე აქაც სომხები დაასახლა. რუსეთი მოქალაქეთა უფლებით აღჭურვა და კავკასიაში იმპერიისათვის ყველაზე საიმედო ელემენტად შერაცხა. საქართველოში რუსი ბატონობდა „პოლიტიკურად, სომეხი – ეკონომიკურად“, – აღნიშნავს ავტორი. ისინი ერთმანეთთან შეთანხმებით აყალბებდნენ და ამახინჯებდნენ საქართველოს ისტორიას (ამაზე არც დღეს აუღიათ ხელი). ქართულ მიწაზე ახლადასახლებული უცხო ბინადარი ერთგულ ქვეშევრდომებს უზრდიდა რუსეთის იმპერიას. ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსი მოხელეები სხვა რელიგიურ კონფესიებსაც ამხედრებდნენ ჩვენ წინააღმდეგ და მრევლის რიცხვობრივი შემცირებით ქართველთ „მოთოკვას“ ცდილობდნენ. საქართველო მეომარი ქვეყანა იყო და იოლად არც ახლა დათმობდა თავისუფლებას. ამიტომაც ჩვენი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინსტიტუტების მოშლა იმპერიის მთავარი მიზანი გახდა. რუსული ხელისუფლება ქართველის სულის გახლეჩას ცდილობდა სხვა ეთნოსისათვის უკეთესი სოციალური პირობების შექმნას. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ერთმორწმუნე რუსეთს მუსულმანი და სხვა კონფესიის მრევლი ერჩია მართლმადიდებელ ქართველს. სომხებზე ზრუნვის მიზანი იყო საქართველოში დემოგრაფიის შეცვლა. უქართველო საქართველო დიდი ხნის ნატვრა იყო იმპერიისა: ალექსანდრე I 1807 წლის მანიფესტით აუწყებდა ევროპის სახელმწიფოებს: „არა ძალთა შემატებისათვის, არა ანგარებისათვის, არა მსოფლიოში ისედაც უდიდესი იმპერიის გაფარ-

თობისათვის, ვკისრულობთ ჩვენ საქართველოს სამეფოს მმართველობის ტვირთს, არამედ მხოლოდ ღირსება, პატიოსნება და ადამიანობა გვიკარნახებს ჩვენ საღვთო მოვალეობას, რათა ყური მივაპყრათ ტანჯულთა ვედრებას და მათი გლოვის გასაქარვებლად დავამყაროთ საქართველოში ისეთი მმართველობა, რომელიც შეძლებს განამტკიცოს მართლმსაჯულება, უზრუნველყოს პირადი და ქონებრივი უშიშროება და პიროვნების კანონისმიერი დაცვა“. ეს იყო საქართველოს ანექსიის ერთგვარი გამართლება, თორემ რუსულმა პოლიტიკამ კავკასიაში შემოსვლისთანავე სრულიად საწინააღმდეგო დაადასტურა. აი, რას წერენ რუსეთის იმპერატორს 1819 წელს იმერეთის აჯანყების ჩამხშობი რუსი მეთაურები: „ამმოხეზულთა სოფლები გავანადგურეთ, გადავბუგეთ, ბაღები და ვეზახები ამოვძირკვეთ, მოღალატენი მრავალი წლის შემდეგაც ვერ აღიდგენენ პირვანდელ დგომარეობას, უკიდურესი სიღარიბე იქნება მათი სასჯელი“, იგივე იმპერატორი ალექსანდრე I პავლე ციციანოვს წერდა: „სომხები, როგორც მეწარმეობის მიმდევარი ხალხი... იმსახურებენ თქვენს განსაკუთრებულ ყურადღებასა და მფარველობას, ვინაიდან ის ჩაგვრა, რასაც ისინი განიცდიან ირანში, უეჭველია, ამ ხალხის დიდ რაოდენობას გადმოისვრის საცხოვრებლად საქართველოში“. ეს იყო მოტივი, თორემ თუ აზიის დიდი ნაწილის ვაჭრობა, როგორც ცნობილია, სომხების ხელში იყო, როგორღა განიცდიდნენ ჩაგვრას. პირიქით, სპარსეთის შაჰები სომხებს ფინანსურად ეხმარებოდნენ ეკლესიების მშენებლობაში. არც მომდევნო პერიოდში განიცდიდნენ ჩვე-

ნი მეზობლები რუსთა მფარველობის ნაკლებობას. არსებობს მრავალი „უკაზი“, რომელიც კავკასიის დიდ-მოხელეებს ავალდებულებს სომხებზე ზრუნვას, ოღონდ ეს ხდება არა სომხების სიყვარულით, არამედ ქართველების სიმულვილით (ქართველთა და სომეხთა შორის შუღლის გაღრმავების მიზნით), რომელთა სიამაყე არასოდეს ეხატებოდათ გულზე. ქართველთა გასომხებას თავისდაუნებურად ხელს უწყობდა ჩვენი ბედოვლათი აზნაურობის უყარათობაც, რომლებიც სომეხი ჩარჩ-ვაჭრების ვალებში ყელამდე ჩაფლულნი, ყმიან-მიწიანად ყიდდნენ თავიანთ სოფლებს. მყიდველი კი მხოლოდ სომეხი ვაჭარი იყო, რომელიც ქართველს არა მარტო მოაქცევდა გრიგორიანად, არამედ გვარსაც სომხურს აძლევდა. რუსების ზრუნვას სომხები ერთული სამსახურით უპასუხებდნენ. 1812 წელს კახეთის აჯანყების დროს ისინი რუსეთის სადამსჯელო ჯარს სურსათით ამარაგებდნენ და ამავდროულად, ქართველ აჯანყებულთა შორისაც ეშმაკურად ასრულებდნენ შუამავლის როლს. მე-16-17 საუკუნეებში ყიზილბაშები და ოსმალები ამიერკავკასიაში მხოლოდ ქართულ მართლმადიდებლობას ებრძოდნენ. გრიგორიანული და ბერძნული სარწმუნოება „მიუმხრობელ“, „უწყინარ“, „უსაფრთხო“ რელიგიად მიაჩნდათ. თურქს თავის დაპყრობილ მიწაზე არ სჭირდებოდა მართლმადიდებელი ქართველი, რადგან მისი გურჯებთან შეერთების პერსპექტივა ყოველთვის იარსებებდა. ამიტომ, თუ ქართველი ისლამს არ მიიღებდა, თანახმა იყო ნებისმიერ კონფესიაში გადასულიყო. გამაჰმადიანება მხოლოდ რწმენის შეცვლა არ იყო. მაჰ-

მადიანი იყო ე.ი. თურქი იყო, ლეკი იყო, სპარსელი იყო.

ოსმალეთის იმპერიის დაარსების დროისათვის ქართველებით დასახლებული ყოფილა არა მხოლოდ ამიერკავკასიის უდიდესი ნაწილი, არამედ ევფრატისა და ჭოროხის აუზის ხეობათა სათავეები. ლაზებს ეკავთ ანატოლია და ოსმალეთის მთელი შავიზღვისპირეთი, თურქები ლაზური ენის ოჯახურ ენად არსებობასაც კრძალავდნენ, რადგან ვიდრე ქართველი ქართულ ენაზე მეტყველებდა, მაჰმადიანიც რომ ყოფილიყო, მაინც ურჯულოდ ითვლებოდა. კონსტანტინეპოლში ბერძნული და სომხური საპატრიარქოები თანაბარი უფლებით სარგებლობდნენ. სულთანს სომხობა თავის ინტერესების გამტარებლად მიაჩნდა. ძალადობის მიუხედავად, თურქებმა ქართველების გარკვეული ნაწილი ვერ გაათურქეს, თუმცა საშინელი გადასახადები შეწირეს. მაშინ პორტამ ქართველები „ბერძნებსა და სომხებს მიუგდო“. „ვასი გავყარე და უის შევეყარეო, – ასე დაემართათ ქართველებს, ბერძნებმაც და სომხებმაც მათ გვარ-სახელები შეუცვალეს და პირწმინდად „გააბერძნეს“ და „გაასომხეს“. ქართული ენა მხოლოდ გამაჰმადიანებული მოსახლეობის ნაწილმა შეინარჩუნა. მუსულმანური ქვეყნები კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ კავკასიაში მართლმადიდებელი რუსეთის შემოსვლისა. ამიტომ დაპყრობილ ტერიტორიაზე, ორი მართლმადიდებელი სახელმწიფოს კონტაქტების შიშით, ქართლების ნებისმიერ რჯულზე მოქცევა მიზნის მიღწევას უდრიდა, რადგან ამიერკავკასიაში რუსის შემოსვლა, აქ მათთვის „ფეხის ამოკვეთას“ ნიშნავდა. სხვა ხალხებს სათვა-

ლავში არ აგდებდნენ ან მცირერიცხოვნობის ან პოლიტიკური თავისთავადობის დაკარგვის გამო. მაშინ წარმოდგენაც კი არ შეიძლებოდა ჰქონოდათ თურქეთს, რომ კავკასიაში შემოსული რუსეთი მის წისქვილზე დაასხამდა წყალს. ოსმალეთმა ტერიტორიის დიდი ნაწილი რელიგიურად თითქმის მთლიანად მოსწყვიტა საქართველოს. ამდენად, მოგზაურ დიუბუას გაკვირვება, რომ თურქები მხოლოდ ქართველებს სდევნიდნენ, სულაც არ არის უცნაური. ქართველში მტერი ყოველთვის ხედავდა შეუპოვარ მეომარს, თვითმყოფად ქვეყნისკაცს და მისი სხვა კონფესიაში მოქცევით შიშის სინდრომი ქრებოდა. რუსებმა კავკასიაში ფეხი რომ მოიკიდეს, სომხებთან ერთად ბრძოლა დაუწყეს მხოლოდ ქართველებს. 1828-1829 წლებში ახალციხეში რუსებმა ენით აუწერელი მხეცობა ჩაიდინეს. პასკევიჩმა გადაწვა ქალაქი და ერთ მეჩეთში შეხიზნული 400 მორწმუნე ცეცხლში გამოიბუგა. გასაგებია, რომ თურქეთს თავის დაპყრობილ ტერიტორიაზე მართლმადიდებელი ქართველი არ სჭირდებოდა, მაგრამ რუსს ახლად შემოერთებულ მიწაზე არც მართლმადიდებელი უნდოდა და არც მუსულმანი. მესხეთ-ჯავახეთის ქართველმა მუსულმანებმა რუსების სიძულვილით დაივიწყეს ქართული ენა, რადგან ის ახალგაზრდა ქართველი მუსულმანები სასოებით შეჰყურებდნენ ალაჰის მოციქულ მოლებს. ქართველი მუსულმანი უფრო ფანატიკოსი მაჰმადიანი გახდა, ვიდრე ძირძველი მორწმუნე. პასკევიჩისა და ახალციხის სამხედრო კომენდანტის გენერალ ბებუთოვის „ლონისძიება“ ქრისტიანობის სიძულვილით აავსო ოდესღაც ძალით გამაჰმადიანებული

ქართველობა. მიხეილ ჯავახიშვილი რომან „არსენა მარაბდელში“ წერს: პასკევიჩის მიერ ამ თანამდებობაზე დანიშნულ ბებუთოვს როცა სჭირდებოდა, რუსი გენერალი ბებუთოვი იყო, როცა სჭირდებოდა – ქართველი თავადი ბებუთაშვილი, როცა სჭირდებოდა – სომეხი ბებუთიანცი. ახლა მას სწორედ ეს უკანასკნელი „სჭირდებოდა“, ამიტომ შეუთანხმდა გრიგორიანული ეკლესიის მეთაურს, მერე ადგილობრივ მოსახლეობას სახლკარი და მიწა ან წაართვა ან ჩალისფასად დაათმობინა და თურქეთში გადარეკა, როგორც არასანდო ხალხი, ხოლო თურქეთიდან მორჩილი სომხები და ბერძენები ჩამოსახალა (არც თუ უანგაროდ), რომლებიც სახელმწიფოს არც თურქეთში უქმნიდნენ პრობლემას და მით უფრო, არ შექმნიდნენ „კავკასიის რუსულ მიწაზე“. პასკევიჩმა და ბებუთოვმა შემოერთებული მიწები ჯერ სახაზინოდ გამოაცხადეს, შემდეგ მისი დიდი ნაწილი გაყიდეს და კარგადაც იხიერეს. მათი დანაშაულის გამოძიება ათული წლობით გრძელდებოდა, ბოლოს პეტერბურგიდან მესამედ ჩამოსული საგამოძიებო კომისია მოქრთამეს და დანაშაულიც ჩაფარცხეს.

1840 წელს, როცა კავკასიაში ფაქტობრივად ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი და სიტუაცია დამშვიდებული იყო, საადგილმამულო საკითხების გასარკვევად პეტერბურგიდან ჩამოსულ მოხელე ბულგაკოვთან, – აღნიშნავს ავტორი, – მოსულან ქვაბლიანი, ფოცხოვისა და აბასთუმანის სანჯაყ-ბეგების შთამომავალი და განუცხადებიათ, დავუბრუნდებით წინაპართა სარწმუნოებას ჩვენი მხარეების ხალხთან ერთად, თუ მთავრობა ისეთ პირობებში

ჩაგვაცენებს, როგორშიაც ქართული თავადაზნაურობა არისო. ეს ფაქტი მოწმობს, რომ ორი საუკუნის წინ გამაჰმადიანებული ქართველების გულში ისევ ენთო ქართველი ქრისტიანის ცეცხლი. აღტაცებულ მოხელეს ეს ამბავი პეტერბურგისთვის უცნობებია, მაგრამ ხელისუფლებას მისი აღტაცებისათვის ცივი წყალი გადაუსხამს, დაუმშვიდებდა და განუმარტავს, ახალ შემოერთებულ მხარეებში მთავარი სახაზინო მიწების გაზრდა არისო. ზურგშექცეულ ქართველ აზნაურობას მოსახლეობასთან ერთად, ქართული ენის, როგორც ქრისტიანთა ენის, დაგმობით უპასუხია. გამოდის, რომ ჩვენი ერთმორწმუნე „მფარველი“ უფრო დახელოვნებული მტერი ყოფილა ქართველისა, ვიდრე მაჰმადიანი. გამოცა ახლა რომელიმე თავგახურებული პოლიტიკოსი და გვამადლის წართმეული მიწები დაგიბრუნეთო. რის ფასად? ასიათასობით ქართველის დაკარგვის ფასად? რუსი მოხელეების სისასტიკის შედეგად ქართველი მუსულმანისათვის ქართველი იქცა არა ეროვნულის, არამედ ქრისტიანის სინონიმად.

სამცხე-საათაბაგოში ფეოდალური ზედა ფენის გამაჰმადიანება უკავშირდება კლასობრივი პრივილეგიების შენარჩუნებას. ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „მესხმა თავადაზნაურობამ საკუთარ კეთილდღეობას ანაცვალა ეს ძირძველი ქრისტიანული კუთხე“. მართლაც, დაპყრობილ პროვინციებში თურქების დასაყრდენი ქრისტიანი დიდებულები, მათ შორის ათაბაგი ჯაყელები იყვნენ, რომელთაც ავტორი „რეგენტობის გზაზე დამდგარს“ უწოდებს, რაც, ჩვენი აზრით, ძალიან რბილად ნათქვამია. დროა, საქართ-

ველოს ისტორიაშიც კეისარს კეისრის მიეზღოს. ათაბაგები ასეთ მიმტეველობას არ იმსახურებენ, რადგან ახალციხე თურქეთისთვის წარმოადგენდა ქართველი სამეფოების წინააღმდეგ ბრძოლის ფორფოსტს, ხოლო ახალციხის ფაშები, ჯაყელები, წმინდა წყლის რენეგატები იყვნენ, თუმცა ეს დიდად გასაკვირი სრულიადაც არაა, რადგან ქართველი თავადაზნაურობის უმეტეს ნაწილს პრივილეგიების შესანარჩუნებლად მუდამ ყუფში ჰქონდა თავი გაყოფილი. ტრაგედია ის იყო, რომ გათათრებულ ქართველებს, ქრისტიანი ქართველების, როგორც გაიურების, სიძულვილით აღავსებდნენ და მათ მარცვა-გლეჯვას აიძულებდნენ. მართლმადიდებლობისკენ მათი შემობრუნება შეეძლო მხოლოდ რუსეთს, მაგრამ მან ქართველობა „თათრობაში მიატოვა“, რადგან არ უნდოდა ქართულ მიწაზე თუნდაც ერთი ქრისტიანით მეტი ყოფილიყო. ეს მხარე მისთვის მიწა იყო და არა ქართული მოსახლეობა. მუსულმანმა ქართველობამ სწორედ მათი ბატონობის დროს დაივიწყა ქართული ენა.

ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსმა მოხელეებმა ქართველ მართლმადიდებლებს დევნა დაუწყეს. შეამცირეს ეპარქიები და გაუქმებული ეპარქიების ქონება რუსეთის მთავრობას გადასცეს. 1907 წელს საქართველოს მოძულე, მაგრამ საქართველოს ეგზარხოს პავლეს სიძულვილით დაწერილ წიგნში „Судны церкви Грузии“ ავტორის _ დურნოვის მიერ აღწუსებული რუსული ეკლესიისგან მიტაცებული ქონება ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც საქართველოდან რუსეთის გაიტანეს. რუსებმა, ჩანს, თურქების გამოცდილება გაით-

ვალისწინეს და, როგორც თურქებმა სომხური ეკლესია დაუპირისპირეს ბერძნულ მართლმადიდებლობას, საქართველოში გრიგორიანელობა მიმართეს ქართული ეკლესიის წინააღმდეგ. სომხები ყველა ქვეყანაში ხელუხლებელნი იყვნენ, როგორც ვაჭრები და ხელოსნები. ხელოსანთა ამქარიც კი სომხურ საქმეს აკეთებდა, რამდენადაც ამქარში შესვლის წინაპირობა გრიგორიანელობის მიღება იყო. სომხებს ადრეც დიდი შეღავათები ჰქონდათ ქართლის სამეფოში, ქართლის გამაჰმადიანებული ხანების მხარდაჭერით მათ ხელთ ეპყრათ ქვეყნის ეკონომიკური სადავეები. ქართველების გასომხება რომ დაეჩქარებინათ, სომხური ღვთისმსახურების ტექსტებს ქართული ასოებით უწერდნენ. სავალალო ის იყო, რომ თანდათანობით რელიგიისა და ეროვნული იდენტურობის დანახვა ხდებოდა.

ნადირ-შაჰის შემოსევის დროს ფულიან სომხებს დატყვევებული სამასი ქართული ოჯახი გამოუსყიდიათ და გრიგორიანული მრევლისათვის შეუმატებიათ აღნიშნავს ავტორი. კაცმა რომ თქვას, რა მნიშვნელობა აქვს, „მგელი შემჭამს თუ მგლისფერი ძაღლი“. ის სამასი ქართული ოჯახი საქართველოსთვის, ალბათ, დაიკარგა. ქართული ეროვნული მენტალიტეტი არ ითხოვს სხვა ეთნოსის გაქართველებას, ის შინაგანად ამის წინააღმდეგეც კია. ალბათ, არც სომხები ჩავარდნილად ისეთ სიტუაციაში, რომ გაქართველებულიყვნენ, რადგან ჩვენს ქვეყანაში სომხებადაც მშვენივრად გრძნობდნენ თავს. მძიმე სოციალურსა და პოლიტიკურ ვითარებაში მოხვედრილი ქართველი კი იძულებული იყო გათათრებულიყო ან გასომხებულიყო დღევანდელი ზოგი

გაჭირვებული ქართველივით, რომელსაც თვალი მოსტაცა იელოველთა ეკონომიკურმა კეთილდღეობამ. მართალია, საქართველოში სარწმუნოება და ეროვნება ერთმანეთისგან არ განიყოფებოდა, მაგრამ ეს პროცესი ვერც ერთმა შეაჩერა და ვერც მეორემ.

სხვა რელიგიური კონფესიებიდან ქართველისთვის ყველაზე ნაკლები უბედურება კათოლიკობა იყო, რადგან პაპსა და თურქეთის ხელისუფლებას შორის არსებული შეთანხმების თანახმად მორწმუნე კათოლიკე იქ ხელშეუხებელი იყო. მიუხედავად იმისა, ქართველი კათოლიკეები უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილან იმის გამო, რომ ვატიკანში კონგრეგაციის მიერ ქართული ენა არ იყო დამტკიცებული ღვთისმეტყველებისათვის მოქმედ ენად. ექმიანი აზრით, _ რასაც ხაზს უსვამს ავტორი, _ ქართველებს უნდა მიეღოთ გრიგორიანელობა და უარი ეთქვათ კათოლიკობაზე. თურქეთსა და სპარსეთშიც ყველა არამაჰმადიანს გრიგორიანელობა უნდა მიეღო. ეს დიდ ომში ქართველების დამარცხებას აღემატებოდა. სომხეთის პატრიარქი ქართული საეკლესიო ხელისუფლებასაც კი ებრძოდა. ანტონ კათალიკოსის ექსორიაში მისი ხელიც ერია. გამაჰმადიანებული ბაგრატიონი ხანები სომხეთის პატრიარქს ქართულ სუფლებს უწყალობებდნენ და მერე აღარ აწუხებდათ გაჩუქებული მოსახლეობის რელიგიური აღმსარებლობის საკითხი. მიუხედავად ამისა, მათი მოქცევა გრიგორიანელობაზე მაინც მაშინვე ხდებოდა. ავტორი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ ერეკლე მეორეს დროსაც კი მცხეთიდან ლიხის მთამდე არც ერთი მართლმადიდებლური საეპის-

კოპოსო აღარ არსებობდა. ხალხი მასიურად გადადიოდა გრიგორიანულ სარწმუნოებაზე. სომეხი ვაჭრები ყიდულობდნენ მართლმადიდებელ ახალგაზრდებს სახელოსნოში სამუშაოდ, ოღონდ წინაპირობა აქაც გრიგორიანელობის მიღება იყო.

გამოდის, რომ სომეხი ერეკლეს დროსაც ისე ყოჩაღად გრძნობდა თავს ქართულ მიწაზე, რომ მისი გაქართველების არანაირი მოტივი არ არსებობდა. მდიდარი ექმნიდნენ თავის მრევლს მფარველობდა. ასე რომ, სომეხთა გაქართველების სომხური მითი მტკნარი სიცრუეა. ასევე დიდი შეცდომაა, როცა ქართულენოვან გრიგორიანელს სომხად მითვლიან. ამდენად, თუ ქართულენოვანი გრიგორიანელი ჩვენს ეროვნულ რელიგიურ სამყაროს დაუბრუნდა, ეს სულაც არ არის სომხის გაქართველება.

გალაღებული სომხური ბურჟუაზია, რომელიც გაბატონებული იყო თბილისში „საშინლად გამძვინვარებულა“ 80-იან წლებში ქართველთა კონსოლიდაციის გამო. მთელი მე-19 საუკუნე რუსული პოლიტიკისა იყო ყოველივე ქართულის ფერფლით დაფარვის ტენდენცია, არამეცნიერული წერილები ქართულ კულტურაზე, „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის ეჭვქვეშ დაყენება. სწორედ ამ დროს არის რიყოდ წამოსროლილი ცარისტული რუსეთის იდეოლოგიების მიერ: საქართველოს ისტორია არც არსებულა და არც არსებობს და ქართველებმა თავისი ეროვნული დროშები გოდფრუას ცირკს მიჰყიდონო. ეს იყო სამარცხვინო გაყალბება ჩვენი ისტორიის, რასაც კვერს უკრავდა ჩვენი მეზობელი. მიზანი ერთი იყო – ქართველებში მშობლიური ისტორიისა და კულტურის მიმართ

ნიჯილიზმის წარმოქმნა, რაც მძიმე სოციალურ გარემოსთან ერთად საფუძველი ხდებოდა ქართველთა სარწმუნოებრივი მერყეობისა, ცხადია, არ გამოირიცხება, რომ სოციალურად დაუცველი ადამიანისათვის ზოგჯერ ეს სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყო. მე-19 საუკუნის დასაწყისში ექმნიდნენ შიდა ქართლში „ასიათასიანი მრევლი ჰყოლია“. ავტორს მოაქვს ალ. ფრონელის ცნობა, რომ ამ დროისათვის 400000 ქართველს მიღებული ჰქონია გრიგორიანელობა, ორ მილიონს კი – მაჰმადიანობა (240). ეს ციფრები შეიძლება ზღაპრადაც მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩანს ეს ისტორიული ფაქტია.

ავტორის აზრით, ქართველთა შემცირება გარე ძალის აგრესიასთან ერთად შინაგანმა წინააღმდეგობამ, ეროვნული ეთნოსის დაშლამ და „ეკლესიის ავტორიტეტის შეზღავანამ“ გამოიწვია. ქართველის გადარჯულებას ყველა კონკრეტულ შემთხვევაში შექმნილი პირობები განსაზღვრავდა. გარე ძალის ზემოქმედებისგან მას არა თუ ეკლესია, სახელმწიფო ხელისუფლებაც ვერ იფარავდა. იმერლებისა და მეგრელების გააფხაზებებს ქართული ეკლესიის ავტორიტეტის შეზღავანას ნამდვილად ვერ დავაბრალებთ. არც დვალეთის ქართული მოსახლეობის გაოსება უნდა იყოს ქრისტიანობაზე გულაყრის ბრალი, რადგან იქ ქართული ეკლესია მრევლზე უარეს თუ არა, უკეთეს დღეში არ ყოფილა.

ქართველთა ერთიანობის შემკვრელი ძალა დაიკარგა და ყველა კუთხეში თავისი გადარჩენისათვის ზრუნვა დაიწყო. ამაო გამოდგა ქართლის სამეფოს ბრძოლა დაშლის პროცესის შესაჩერებლად. საბოლოოდ

ქვეყანა სამეფოებად დაიშალა. განდგომილი სამცხე-საათაბაგო ცენტრალურ ეკლესიას ცილს სწამებდა, რომ თავისი დამოუკიდებლობა „ლოგიკურად“ დაესაბუთებინა. იმერეთის სამეფო და სამთავროები ისე ებრძოდნენ ერთმანეთს, როგორც უცხო სახელმწიფოები. გარე ძალა ან მტრულად მოქმედებდა ან მიტოვებულ მშრომელს გადარჩენის პერსპექტივას სთავაზობდა ე.ი. ქართველი კაცის სოციალურ პირობებს სჯობდა სომხის, ლეკის, ოსის სოციალური პირობები. ამ გზით მას უნდა მეომარი ხალხი მორჩილ მასად ექცია, მაგრამ ეს მისი გადარჯულების გარეშე შეუძლებელი იყო. ამდენად, ქართველის დენაციონალიზაციის მიზეზად მისი გადაგვარება სუსტი არგუმენტი გვგონია. ყველას პატრიოტიზმს ვერ მოსთხოვ, მშიერ კაცს სამშობლო არა აქვს. გლეხი ცხოვრობს არა ეროვნული შეგნებით, არამედ სიცოცხლის შეგრძნებით.

ან. ჯაფარიძის წიგნი, გვარწმუნებს, რომ ვითარება ჩვენ რომ გვგონია, იმაზე ათჯერ უარესი ყოფილა. გაქართველებული სომეხი საქართველოში ძალიან იშვიათობა ჩანს. ალბათ, კარიერის იერარქიულ კიბეზე აღმავა ერთეულებს თუ გაუჩნდებოდათ სურვილი გაქართველებისა, თორემ შექმნილ პოლიტიკურ, რელიგიურსა და სოციალურ ვითარებაში სომხის გაქართველების ლოგიკა არ არსებობს, რადგან გაქართველების გარეშე კარგად გრძნობდა სომეხი თავს ქართულ გარემოში. ამდენად, ვისაც სომეხებად გვასაღებენ ჩვენი მეზობლები, არც მეტი არც ნაკლები, გრიგორიანელობაზე მოქცეული ღვიძლი ქართველები არიან, რომელთა კავშირი სომხურ რელიგიასთან მხო-

ლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ სუბსარქისობა არ ავიწყდებოდათ, თორემ სომხური ენის, რაც ეროვნულობის მთავარი ფაქტორია, გაგებაში არ იყვნენ. ამიტომ გრიგორიანელი ქართველების მიმართ ჩვენი ამრეზით ყურება დანაშაულია, რადგან მათი ბრალეულობა აღმსარებლობის შეცვლაში ნულის ტოლი ჩანს. ასე რომ, სომხურმა ეკლესიამ საქართველოში ყოველთვის ვერ მოახერხა რელიგიურისა და ეროვნული იდენტიფიცირება, თუმცა გრიგორიანელობაზე გადასული ბევრი ქართველი სომხურ ეთნოფსიქოლოგიას შეუერთდა. სხვა კონფესიებში გადასული ქართველი რწმენასთან ერთად გაემიჯნა ყოველივე ქართულს და ეროვნულობაც დაკარგა. ბერძნული ეკლესიის მიმდევარი გახდა ტაო-კლარჯეთის თურქულენოვანი ქართული მოსახლეობაც. ავტორი იმოწმებს თურქ ისტორიკოსებს და აღნიშნავს, რომ ურუმი საქართველოში გადმოსახლებული თურქულენოვანი, მაგრამ წარმომობით ქართველი (ლაზი) და რწმენით ბერძენია. რუსი მოხელე ქართული წარმომობის გაბერძნებულ ადამიანშიც ხელს უშლიდა ქართული გრძნობების გაღვივებას, – სამართლიანად შენიშნავს ავტორი, რადგან მიზანი მართლმადიდებელი ქართველების შემცირება იყო (313). მათ ქართველობას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ისინი თურქეთიდან საბერძნეთში კი არ გადასახლდნენ, არამედ საქართველოში წამოვიდნენ, რადგან თავისი გენი აქ ეგულებოდათ. არ შეიძლება ეს არ სცოდნოდა ქართულ საზოგადოებას. ვინ იზრუნა იმაზე, რომ ოდესღაც ქართული მოსახლეობა ისევ თავისი ეროვნული წიაღისთვის

დაებრუნებინა? სომხები და ბერძნები ქართველების ხარჯზე მრევლს აძლიერებდნენ, ჩვენ კი მათ ათვალწუნებით ვუყურებდით, როგორც გადარჯულებულს, უფრო მეტიც: საქართველოში მათ ბერძნული ენის გაკვეთილებიც კი დაუნიშნეს (თუ ბერძნები იყვნენ რატომ?) და კარგი ეკონომიკური პირობები შეუქმნეს: აძლევდნენ ჰექტორობით მიწას, სესხს, ფულად დახმარებას, და გადასახადისაგან ათავისუფლებდნენ. ჩამოსახლებულთა გარემოცვაში ასეთი კეთილდღეობით ცდუნებული ადგილობრივი მკვიდრი ქრისტიანიც კი გაბერძნებულა და წასულა თავის „ახალ სამშობლოში“. ურუმთა ჩამოსახლება საქართველოში გასული საუკუნის 30-იან წლებამდე გრძელდებოდა. რუსთა ხელგაშლილობას საქართველოსკენ დაუძრავს ათასზე მეტი მიწათმოქმედი ოჯახი, რომელთაც „შეავსეს ნასოფლარები და გაცოცხლეს ნაფუძრები“. ქართულმა საზოგადოებამ არანარიად არ აღიარა „ბერძნები“ ქართული ეთნოსის ნაწილად, თუმცა ოდესღაც ისინი ჩვენი დიდი ქვეყნის შვილები იყვნენ, ახლა ისტორიულ ბედუკუდმართობით გაბერძნებულ-გასომხებულ-გადაჯიშებულები.

როცა ადამიანი კულტურული და ცივილიზებული ქვეყნის მოქალაქე ხდება, ამის ახსნა შეიძლება, რადგან აქ ნაკლებად კულტურულ ეთნოსზე უფრო კულტურული ფენომენი მოქმედებს. კავკასიაში საქართველოს კულტურულ-სახელმწიფოებრივი პრიორიტეტი თვალსაჩინო იყო ყოველთვის, რუსების ბატონობის დროსაც კი, მაგრამ ხდებოდა პირიქით, ქართველი გადადიოდა უფრო ნაკლებად კულტურულ ეთნოსში, რაც

უკეთეს სოციალურ გარემოში შეტყუების პარალელურად ქართველობაზე უხეში ძალდატანებით მიმდინარეობდა. ისტორიული ლოგიკა შორსაა იმისგან, რომ კულტურული ერის ნაშეირი უფრო დაბალ სოციალურ-პოლიტიკურ ეთნოსში გადადიოდა. წიგნში ფაქტებითაა ცხადყოფილი, როგორი თავდადებით უცდიათ სხვა რელიგიურ კონფესიებს ქართველების ხარჯზე თავისი მრევლის „გამრავლება“. ჩვენში კი ამ პროცესის შეჩერების ცდაც კი არ ჩანს, პირიქით, ახლა-ახალ ქართველს „ვჭუქნით“ სხვა რელიგიებს. ეს იმას ადასტურებს, რომ ჩვენ ეროვნული ცნობიერების სიმტკიცე მართლაც გვაკლია.

ავტორი ეხება ქართველთა გააფხაზების საკითხსაც და აღნიშნავს, რომ ბატონს გაქცეული ქართველი გლეხისთვის გააფხაზების ჯილდო თავისუფლება იყო. ჩრდილო კავკასიიდან გადმოსულ აფსუებს აფხაზური მოსახლეობა ემყო კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე. აფსუა მძარცველია. მძარცველის მხარეზე გადასვლა პატიოსანი მშრომელებისა, ალოგიკური ჩანს, ამასთან, თუ აფხაზი კლასობრივ ნიადაგზე ემყო აფსუას, მაშინ აფხაზეთი უბატონო არ ყოფილა და იქ გადასული ქართველი გლეხი თავისუფლების მაგიერ ახალი ბატონის ხელში უნდა მოხვედრილიყო. თუ ასე ვიფიქრებთ, გამოდის, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული მომხვედური გლეხს იცავს ბატონისგან, რადგან ბრძოლა მორევანა ან ვილაცის ინტერესებიდან მიმდინარეობს. უფრო სწორი იქნება, თუ ჩავთვლით, რომ მომხვედური ბატონად ექცა ავტოქთონურ მოსახლეობას, მაგრამ, როგორც ნაკლებად ცივილიზებული (წერა-კითხვის უცო-

დინარი, წარმართები) ნელ-ნელა კულტურულ აფხაზობას შეერწყა, გაამლიერა კუთხური პარტიკულარიზმი, მაგრამ ქრისტიანობაზე უარი თქვა და წარმართად დარჩა. ადგილობრივი მოსახლეობაც მის გზას გაჰყვა. თუ ახალი აფხაზობა სოციალურად თავისუფალი იყო, მაშინ „გააფხაზებული“ თავადაზნაურობა, რომელმაც კლასობრივი პრივილეგიები შეინარჩუნა, ყმის გარეშე დარჩა? თუ ბატონყმობა ახალ ვითარებაშიც ჩვეულებრივ რეალობად რჩება, მაშინ როგორღა იყო თავისუფალი აფხაზი ან ქართველი გლეხი? ავტორის აზრით, ქართველობის გააფხაზებას ორი მიზეზი ჰქონდა: სოციალური თავისუფლების მოპოვება და იძულებითი ქვეშევრდომობა. ქართველთა გააფხაზება აფსუების „ჩამოწოლის“ პარალელური პროცესი უნდა ყოფილიყო და ის იმ ქართველს მოუტანდა თავისუფლებას, რომელიც მარცვაში მათი თანამომანწილ გახდებოდა. სხვა შემთხვევაში ქართველს აფხაზეთში ან ყმად გადაქცევა ან მონად გაყიდვა ელოდა. ქართველების ამნაირად გააფხაზების ერთეული შემთხვევები შეიძლება დავუშვათ და არა მასიური. აფხაზეთში ქართველების გადასვლას და თანდათანობით ადგილობრივ ეთნოსთან შერევას სხვა მოტივებიც აქვს. „წელსა 1811, – წერს ნიკო დადიანი, – გაჩნდა იმერეთსა შინა, ოდიშსა და გურიასა საშინელი მომსვრელი სენი და ამასთნ საშინელი და საკვირველი სიყმილი, რომელმან უთვალავნი მოსრნენ და მრავალი განიბნენ. კნინდა და შუა გაიყო ყოველნი ქვეყანანი ესე ზემოხსენებულნი და მრავალნი წავიდნენ აფხაზეთად, ვინაითგან აფხაზეთსა შინა არა იყო წელსა მას სიყმილი

არცა იგი მომსვრელი სენი“. აფხაზეთში შემოსული ჩრდილოური ტომები სერიოზულ პრობლემებს უქმნიდნენ გაქართველებულ აფხაზ აზნაურებსაც. აქ იგივე ვითარებაა, რაც ქართველი აზნაურების გალეკების დროს შეიქმნა აღმოსავლეთ კახეთში. ქართველი თავადაზნაურობის გალეკების საფუძველი ქონებრივი და სოციალური პრივილეგიების შენარჩუნება იყო. ჩნდება ასეთი კითხვაც, რაში სჭირდებოდა აფხაზს ქართველის გააფხაზება? თუ ეს პროცესი ძალდატანებითი იყო, მაშინ ის ქართველის წინააღმდეგ ბრძოლისათვისაა საჭირო. თანაც ერთია აფხაზეთში მცხოვრები ქართველის გააფხაზება, მეორე იმერეთის სამეფოდან და სამთავროებიდან გადასული ქართველების გააფხაზების მოტივაცია. აფხაზს რუსეთის მთავრობა არ ენდობოდა და არც რეკრუტში იწვევდა. ამდენად, აფხაზად ჩაწერის მოტივი სამხედრო ვალდებულებისაგან განთავისუფლება იყო. საერთოდ ქართველი გლეხკაცისათვის გააფხაზება იყო კი საკმარისი სოციალური თავისუფლების მოსაპოვებლად? გალეკებისა და გათურქების შემთხვევაში ეს ასეც იყო, რადგან ახალ რჯულზე მოქცეული ქართველი ქრისტიანობის წინააღმდეგ გამოზრდილი კიდევ ერთი ჯარისკაცი იყო. გააფხაზებული ქართველი აფხაზს ქართველის სამტროდ სჭირდებოდა? ალბათ. დღეს გააფხაზებული ქართველი დრომ პირსისხლიან ექსტრემისტად აქცია, მაგრამ ადრე, როცა დამპყრობი გაბატონდა, იყო კი ასეთი ურთიერთობა ქართველებსა და აფხაზებს შორის? დასაშვებია, რომ იყო. რაკი აფსუები გაქართველებულ აფხაზ თავადებს აიძულებდნენ გააფხაზებას, ეს ნიშა-

ნია იმისა, რომ კუთხური განკერძოებულობა მლავრობს. აფხაზეთში მცხოვრები ქართველის გააფხაზება იძულებითი უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ მომხვედურის გარემოცვაში ქართველს ან დამპყრობლის წინააღმდეგ უნდა ებრძოლა ან მის ნებას უნდა დაჰყოლოდა. მომხვედურის გვერდით ის მშვიდად ვერ იცხოვრებდა. მომხვედური, როგორც წესი, მარცვით ცხოვრობდა და მისი სამიზნე, პირველ რიგში, სოციალურად დაუცველი ადამიანია. უფრო სარწმუნო ჩანს, რომ აფხაზეთშიც იგივე განმეორდა, რაც კახეთში როცა მაჰმადიანმა ხანმა, ბეჟანმა, ჩამოსულ ლეკებს გლეხობის მარცვის ნება მისცა. თუ აფსუა შემოვიდა როგორც მმარცველი, მაშინ მას ვინმეს ნებართვა არ სჭირდებოდა, მაგრამ დასაშვებია მათი შემოყვანა აფხაზეთის მთავრის მიერაც, როგორც დაქირავებული ჯარისა დადიანსა და იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ საბრძოლველად. ისტორიულად ცნობილია, რომ აფხაზეთის მთავარმა ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოიყვანა ხალხი, ოჩამჩირეში დაასახლა და აფხაზებად ჩაწერა. ეს ფაქტია, ამის გამოგონება არ შეიძლება, თუმცა გასაკვირი არც ის იქნება, თუ მეცნიერებას ამოფარებული ვინმე ჩანჩურ-პეტრე გამოხატება და დაუმტკიცებლის დამტკიცებას ეცდება. აფხაზეთის მისი ხანგრძლივად ყოფნის დროს ქირის გადაუხდელობის (ასეთი ფაქტები იცის ისტორიამ) გამო ხდებოდა წაყრუება მარცვა-გლეჯის დროს, რაც ძირითადი საქმე იყო მომხვედურისა. მოსული ტომების ნაწილი აქ დარჩა, თანდათანობით ენაც დაკარგა, მაგრამ შემორჩა ხსოვნა თავისი თავდაპირველი საცხოვრისისა. აფსუები რომ

უშიშრად დათარეშობდნენ აფხაზეთში, ამის ნიშანია მდიდარი ქრისტიანული ეკლესიების მარცვა.

ქართველის გააფხაზება დღესაც იეზუიტური მეთოდებით მიმდინარეობს, დღეს გალში მშრომელი კაცი მარცვისა და სიკვდილის მუდმივ შიშში ცხოვრობს. რაკი ქვეყანას მისი დაცვა არ შეუძლია, არ უნდა გაგიკვირდეს, რომ ზურგი შეგვაქციოს, რადგან მუდმივი შიში და ფსიქოლოგიური ზეწოლა ამაბუნებს ცნობიერებას. 1921 წლიდან გააფხაზების მიზეზი ის იყო, რომ ავტონომიის ფარგლებში მოაქციეს ძირძველი ქართული მიწები და საფუძველი დაედო უმცირესობის დიქტატს. თანამედრობის გადანაწილებას ნომენკლატურულ სისტემაში, _ ხაზს უსვამს ავტორი, აფხაზობა პრივილეგირებულად იქცა. ამიტომ აფხაზად, პირველ რიგში, ეწერებოდა კარიერის მაძიებელი ქართველი, ხოლო გააფხაზებული ქართველი, შექმნილი კარიერა რომ შეენარჩუნებინა, უფრო „მტკიცე“ აფხაზი უნდა ყოფილიყო, ვიდრე შუმი აფხაზი. მიუხედავად ამისა, ყველა გააფხაზებული ქართველისთვის „გადაგვარებულის“ იარლიყი ძალიან მკაცრი განაჩენია. ჩვეულებრივი მშრომელი უკეთეს რეალობაზე ფიქრით ცხოვრობს და არა ეროვნული ნიშნით. მან ოჯახი ეკონომიკურად კი არ უნდა შეინახოს მხოლოდ, არამედ მის უსაფრთხოებაზეც უნდა იზრუნოს. მე-19 საუკუნიდან ქართველი რომელ ეთნოსშიც არ უნდა გადასულიყო, ყველგან არსებობის უკეთესი პირობები იყო, ვიდრე ჩვენთან. ყველგან შუაში მართლმადიდებელი რუსეთი იდგა და ხელს უწყობდა, ზოგჯერ აიძულებდა კიდევ ქართველ მართლმადიდებელს სხვა ეთ-

ნოსში გადასვლას; მიზეზი ერთადერთია: არასანდო ქვეშევრდომთა რიცხვი უნდა შემცირებულიყო. უბედურება ის იყო, რომ ქართველი გლეხი თავისი სურვილით გადადიოდა სხვა ეთნოსში, მაგრამ არა ქართველობის სიმულვილით, არამედ უკეთესი სარსებო პირობების მოლოდინით. ის ცხოვრობს არა იმიტომ რომ ქართველია, არამედ იმიტომ, რომ ადამიანია. დღეს კი მან ქართველობის ხაზგასმული შეგნებით უნდა იცხოვროს. ამდენად, „დანაშაული“ გლეხის ეროვნული ცნობიერების ნაკლებობა კი არ არის, არამედ უმძიმესი სოციალური პირობები.

ამ წიგნის პათოსი დღევანდელი საფრთხის ჩვენებაა. ქართველს რომ ემუქრება, ოღონდ ზეწოლის ფორმები შეცვლილია. ჩვენი ტრაგედია თავისი მასშტაბით დღეს ბევრად აჭარბებს იმას, რაც ოდესმე ყოფილა. დღეს ვინც ქვეყანას ტოვებს, შიმშილსაც გაურბის და შიმშილის სირცხვილსაც. უკეთესი ცხოვრების სურვილი ადამიანის ცნობიერი კი არა ლამის ბიოლოგიური ლტოლვაა. ახლა მილიონზე მეტი ადამიანი უცხოეთშია გაქცეული არა კარგი ცხოვრების მოლოდინში, არამედ ფიზიკურად თავის გადარჩენის ერთადერთი შანსით. გენერალზე ტორმასოვმა შავი ჭირი შემოიტანა საქართველოში, – წერენ ჩვენი ისტორიკოსები. 1816 წელს ჭირმა 32 ათასი კაცი იმსხვერპლა, ხოლო 1819 წელს მთელ იმერეთს მოედო და სამეფოს ნახევარი 90 ათასი სული გაწყვიტა. ეს ქართველების წინააღმდეგ „საგანგებო ღონისძიება“ იყო თუ არამ ეს ჯერ ღმერთმა უწყის, მერე თვით ტორმასოვმა, თუმცა, გამორიცხული არაფერია. ჭირი ნებისმიერი დროის დამპყრობლის ყოველ-

გვარ სისასტიკეს აჭარბებდა და მართლმადიდებელი ქართველების შემცირების „უსაფრთხო და უმტკივნეულო“ საშუალება შეიძლება ყოფილიყო. ჩვენ ახლაც უხმოდ მივყვებით ჩვენი ეროვნული ოფიერების დაქცევის საშინელ ტალღას და, როცა ამას გავაცნობიერებთ, ყველაფერი ქინებ უკვე გვიანი აღმოჩნდეს. ვისაც ჩვენში საქმის კეთება მოეკითხებოდა, განცხრომაში „ჩატბორილები“ ვიწრო თვალსაწიერის იქით ვერაფერს ხედავდნენ. თავის მოქალაქეს სახელმწიფომ უნდა მოუაროს, რაც მის კმაყოფაზე ცხოვრებას კი არ ნიშნავს, არამედ მის დასაქმებას, რომ თვით შეძლოს ოჯახის რჩენაც და, ამდენად, ქვეყნის გადარჩენაც. დღეს ნახევარი მილიონი, თავისი სამკვიდროდან გამომდევებული ლტოლვილია. თითქოს დაუჯერებელია, რომ ეს ხდება 21-ე საუკუნეში, ცივილიზებულ სამყაროში. დღეს არავის უნდა გაუკვირდეს, რომ უმწეო ლტოლვილი, რომელსაც ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცა, სხვა ეთნოსს მიეკედლოს. უცხოეთში ქართველი მძიმე სოციალურსა და პოლიტიკურ პირობებს მიჰყავს, თორემ ქართველისთვის ქართველობას არც ამერიკელობა სჯობია და არც ევროპელობა. ეს კარგად ესმის საქართველოში მშვიერსაც და მდიდარსაც. ხალხთა ჩაგვრის ცივილური მეთოდები ახლა ბევრად უფრო ველურია, ვიდრე შუა საუკუნეებში იყო. ახლა ვითომ გეხმარება, მაგრამ ამასთან თავს გახვევს თავის კანონსა და ზნეობას, რასაც ხელს უწყობს გარედან ზეწოლის შედეგად შიგნით შექმნილი ვითარება. ავტორი გრძნობს დენაციონალიზაციის დღევანდელ საფრთხეს, განსაკუთრებით რუსეთის გადახვეწილთა მიმართ.

თუ იქ ქართული ოჯახი მეტ-ნაკლებად გაუძლებს „დროით ასიმილაციას“ ერთული ქალი და კაცი სულ ადვილად შეიძლება დაიკარგოს, რადგან ახალგაზრდა, რომელიც იქ ოჯახს შექმნის, ფაქტობრივად ჩვენთვის დაკარგულია. ასე იყო საბჭოურ პერიოდშიც: შერეული ოჯახი ჩვენთვის მოქალაქის დაკარგვას უდრიდა. ახლაც ისეთი პირობები იქმნება, გინდა თუ არა, სხვისი ხელისშემწყურე ხდები. სოციალური ვითარების გაუმჯობესების პერპექტივა დღევანდელ ვითარებაშიც საეჭვოა. თუ ამ პირობებმა დიდხანს გასტანა, უცხოეთში გადახვეწილ ჩვენ მოქალაქეებსაც აღარ უწერიათ შინ დაბრუნება, რადგან ადამიანის სიცოცხლის წლები შემოსაზღვრულია და ამქვეყნად ცას ვერავინ გამოეკერება. ქართველობის დენაციონალიზაცია დღს საკუთარ ქვეყანაშიც არ გამოირიცხება, ტელეეკლანიდან ყოველ ცისმარე დღს ისმის შემზარავი გოდება, წყევლა, კრულვა, თავისი საცხოვრისიდან გამოდევნილი, სიცოცხლის სიძულვილით აღვსილი ქართველისა, რომელსაც ძალაუმადურად ყოფნის საშუალებაც არ ეძლევა. გაუკვირდება ვინმეს, რომ მან არსების გზა სხვაგან ეძებოს და სულას სხვა ეთნოსს მიეკედლოს? ნუგბარით სავსე ხაფანგი, სადაც ქართველი თავისი სურვილით ჩაყოფს ფეხს, არც უცხოეთშია. აქედან გაქცეულს, თავი რომ შეინახოს, ღირსების შემლახველი შრომა უხდება. კარგი სოციალური პირობების შექმნის გარანტიით ქართველთა უკან ხმობა ბლეფი იყო, თუმცა ამ ანკესზე წამოგებული, აქედან ვაი-ვაგლახით გადახვეწილი ბევრი ქართველი, თავბედს იწყევლის, პროპაგანდას რომ აპყვა და უმუშევარი დარჩა. იქ მოწი-

ფულ ადამიანს შეიძლება არ დაეკარგოს უკან დაბრუნების სურვილი, ბევრს ნოსტალგია აიძულებს, ზოგი თავის მიწაზე სიკვდილისთვის შეიძლება დაბრუნდეს, თორემ სამშობლოს გარეთ დაბადებული ბავშვი, რომელიც იქ სკოლას დაამთავრებს, სულ სხვა ფსიქიკის ადამიანი იქნება და საეჭვოა ოდესმე ქართველობა ისურვოს. ასეთი ვითარების გამო ჩვენ ვწუხვართ და მოვთქვამთ. ასე მოსთქვამდა, ალბათ, გათურქებული, გასპარსელებული, გასომხებული თუ გაბერძნებული ქართველი. ის, რისთვისაც აღმოსავლეთის დესპოტებს უსასტიკესი მეთოდები სჭირდებოდათ, დღეს ჩვეულებრივ ამზად იქცა.

ამ წიგნმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ გადაშენების გზაზე ვდგავართ. აქ მოტანილი ფაქტების უბრალო თვალის გადავლებაც კი შემადრწუნებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ქართველებისადმი თანაგრძნობა ევროპელ მოგზაურთა და მისიონერთა ჩანაწერებში თუ გამოკრთება ხოლმე აქა-იქ, სხვას ყველას ჯვაროსნული ომი ჰქონდა ჩვენთვის გამოცხადებული. ხოლო მათი სისასტიკე იმაზე იყო დამოკიდებული, რა შესაძლებლობა ჰქონდათ ქართველის დათრგუნვისა. ბევრი იმიტომ გარბის აქედან, რომ ღირსება გადაირჩინოს, რადგან ღირსების შეგმნება თუ მოკვდა ჩვენში, მთლად წასულია ჩვენი საქმე. უმრავლესობა სხვისმა „ღორმუცელობა“ გააქცია, რადგან ვერა და ვერ მომვიშორეთ „მონობაში გადიდკაცებული“ შინაური, რომელსაც ეროვნული შეგნება ჩირადაც არ უღირს. ყოველგვარი პროტესტი თითქოს აზრს კარგავს, წერე რამდენიც გინდა, იკითხე, ითხოვე, იყვირე, თუმცა „ყვირილსაც დაეკარგა მჭრელობა“.

ვინც ყური უნდა გიგდოს, სმენა დახშული აქვს. ადამიანს ახლა კანონიც აღარ იცავს. ვისაც ეს საქმე ეკითხება, ის თავის პრობლემებს აჭახრაკებს და ქვეყანა თავზე რომ გვექცევა, ვერც ხედავს და არც უნდა დაინახოს. პირიქით, მავანსა და მავანს გულს ეფონება ჩვენი მძიმე სოციალური ყოფით. ვიღაცის საამებლად საკუთარი გენის სიძულვილი მომძლავრდა ჩვენში. ახლა ზოგიერთებს, რომლებიც ხელისუფლებაში ყელყელაობდნენ, ადვილად შეუძლიათ თავიანთ უქნარობა ქართველ ხალხს დააბრალონ. ახლანდელი რეალობის შექმნაში მათთან ერთად სხვა ხელიც ერია. ამიტომ არც თუ იშვიათად ისმის მათი მხარდამჭერი ხმამაღალი მენტორული ტონი. ჩანს ბევრს არ ვეხატებით გულზე. ამიტომ დიდი იყო სურვილი ქართველში ქართველის მოკვლისა. ქრისტიანობადაკარგული, ფანატიზმით შეპყრობილი ანტიქართველი გახელებით ებრძოდა ყოფილ თანამომემს, რაც მტრის დიდი „მიღწევა“ იყო.

ეს წიგნი ობიექტური სურათია ჩვენი ისტორიისა. კონსტატირებული მასალა თავად მეტყველებს ავტორსა და მკითხველის გულისტკივილზე. ფაქტები კი იმდენად სულისშემძვრელია, რომ შეგებრალება ჩვენი ჯიში და მოდგმა. ამდენი აბუჩად აგდება, დამცირება, უმწეობის განცდა ბოლოს მოუღებს ადამიანს. ნუთუ ჩვენი სულის წუხილი არ უნდა გახდეს მრისხანების საბაზი, ნუთუ ქართველები მამაცები მხოლოდ თავის ომში ვართ. ნუთუ მართალი იყო ევროპაშემოვლილი ნიკოლო მიწიშვილი, როცა ამბობდა, ქართველებში ეროვნული ჰგავს ჭიას სხმარტლს, ფეხს რომ დაადგამენ, თორემ სხვა შემთხვევაში

ეროვნულის გჰანცდა არ გვაქვოს. მეტი ფეხის დაჭერა რაღა გინდა, როცა შენს ქვეყანაში, შენ თვალწინ გეკარგება ქართველი. დღეს ქართველი ახალგაზრდა მალულად ცდილობს ევროპის ქვეყნებში შეღწევას, უკანონოდ, ყოველგვარი სტატუსის გარეშე და უმუშევარი ან ქურდობით ირჩენს თავს, ან ციხეში ზის, ან ნარკოტიკებს თავმიცემული ითვლის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს. უცხოეთში წასული ზოგი ქართველი სერიოზულ წარმატებას აღწევს მეცნიერებაში, ბიზნესში, რამაც შეიძლება ნელ-ნელა ათქმევინოს უარი ეროვნულზე და ქართული მხოლოდ სახელი და გვარი შერჩება, რაც არაერთგზის მომხდარა წარსულში. აკაკი წერეთელი „ბაში-აჩუკში“ ერთ თავის პერსონაჟს ათქმევიანებს: „იქ (თეირანში) ყველაფერი თვალს იტაცებს და გრძნობაგონებას ხიზლავს და კუჭს ატკბობს, მაგრამ კიდეც მაგის მემინია, არ მინდა, რომ ის გადამივარდეს გულიდან, რაც უნდა სიკვდილამდე მახსოვდეს და ვეტრფოდე. აქ, ჩვენს ქვეყანაში, ვგრძნობთ ერთ სისხლხორცობას და ჭირიც ადვილად გადაგვაქვს.

მაშინ ერთი თეირანი იყო. დღეს ბევრი თეირანი „ეპატიჟება“ ქართველებს. ქართველებიც მიდიან და ევროპის ციხეებში ხვდებიან. ჩანს, ევროპის ციხეში ჯდომა სჯობია (მშიერი მაინც არ იქნება) ჩვენს ქვეყანაში ცხოვრებას. საქართველოში ნაკლები ქართველის ცხოვრება რომ ნაკლებ პრობლემას ნიშნავდა ვიღაცისათვის, ეს წინა საუკუნეებშიც იცოდნენ. დენაციონალიზაცია დღეს უფრო ცივილური ფორმით მიდის. ჩვენთან შეგნებულად იქმნება გაუსამძლისი პირობები, რათა ბევრი ჩვენი მოქალაქე გავიდეს ქვეყნიდან. ცხადია, რაც მე-

ტი წავა, უფრო მეტი უცხო თესლი ჩაენაცვლება ქართულ მიწაზე, გლობალიზაციის იდეის გაშლას ახალი რეგიონი შეემატება. დღეს ჩვენთან ისეთი პირობები იქმნება, რომ ქართველთა უმეტესმა ნაწილმა „ჭამაზე უნდა იმუშაოს“, უმაღლეს სასწავლებელში კი უნდა ისწავლოს არა ნიჭიერმა, არამედ მდიდარმა.

უბედურება კაცობრიობის ისტორიის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა აიხსნას, რა არის მიზეზი იმისა, რომ ყველაზე მეტი ქართველის გასომხებას, გაბერძნებას, გათათრებას მხარს უჭერდა ვერაგული ხრიკებით. მართლმადიდებელი ბერძენი ქართველების სრულ „გაბერძნებას“ ესწრაფოდა, თურქი და სპარსელი გაუგონარი ძალადობითა და ფანატიზმით ათათრებდა ქართველს სომეხი მოსყიდვით (ქართველი ფეოდალისთვის ვალებში სოფლისა და მიწის წართმევით) უკეთესი სოციალური ვითარების შექმნის დაპირებით. ყველგან ერთნაირი სიბრტყე და ხელწერაა. გამოდის, რომ საშიში ვიყავით ძლიერი მტრისთვისაც. ჩვენმა ისტორიამ არ იცის შემთხვევა სხვა ხალხის ძალადობით ქართველებისა, ალბათ ამიტომაც ვუყურებთ კეთროვანივით გადარჯულებულ ქართველს. ქართველი არც სულის დამთრგუნველი სიმდაბლისგან ყოფილა შორს ისტორიულად, მაგრამ ბევრად მეტი ვაჟკაცური და რაინდული საქმე უკეთებია, მოსვენებული ცხოვრება არადროს გვექონია, მაგრამ ჩანს უფალმა მუდმივი ბრძოლით ცხოვრება მოგვისაჯა. სხვა გამოსავალს ჩანს არც ისტორია გვიტოვებს. დენაციონალიზაცია დღეს შეუქცევად პროცესად იქცა. სამაგიეროდ სხვას ეძლევა საშუალება გაგ-

ვიშინაურდეს შინაურისავე უპირობო ხელშეწყობით. დღესაც ჩანს ქართველობას უცხოელობა სჯობია. ჩვენს ქვეყანაში ცხოვრებას ევროპის ციხეში ჯდომა. ალბათ, ამიტომ ზის იქაურ საპატიმროებში 20 ათასამდე ქართველი. მტერი არ გამქრალა, მან სახე იცვალა, ახლა გარე ძალის კარნახით კი არა მისი ნებით ხდება ყველაფერი, ოღონდ ნებას ბრძანებასა და ხიმტზე მეტი ძალა აქვს. მარიონეტი სერვილიზმს ვერასოდეს დაძლევეს, რადგან ის სისხლში აქვს გამჯდარი. უღირსებო კაცის გადაგვარება ღირსებას აკარგვინებს სხვასაც. დღს უღირსობა თითქმის ღირსებად იქცა.

ქართველების დენაციონალიზაციას ხელს უწყობს ცხოვრების უმძიმესი პირობები, კატასტროფული სამედიცინო მომსახურების ფასები. ზოგ საავადმყოფოში, რომელსაც ვითომ მაღალი პროფესიონალიზმის იმიჯი აქვს, სადღეღამისო ქირა 800 ლარია (მით უარესი, თუ სხვაგან მეტია) სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. რას მკურნალობენ ან რას აჭმევენ ისეთს? ასეთ საავადმყოფოში, როგორც ამბობენ, ისეთი დაავადებით ხვდებიან უმეტესად, ვისთვისაც მკურნალობა უკვე უშედეგოა, მაგრამ პატრონი ტყავში ძვრება, რომ ოჯახის წევრს სიცოცხლე გაუხანგრძლივოს. ზოგი ავადმყოფი აპარატზეა მიერთებული და მხოლოდ სუნთქავს. ეს საავადმყოფო კი არა, ადამიანთა სასაკლაოა, სადაც ავადმყოფი ან გადარჩება ან მოკვდება, მაგრამ მისი ოჯახი, რომ დაიქცევა, ეს ფაქტია. ვინც მდიდარია, ქართველი ექიმების პროფესიონალიზმს ეჭვით უყურებს და თითის გადასახვევადაც ევროპაში გარბის. აქ დარჩენილი საშუალო შეძლების ოჯახი, თუ კი ისეთი მოიძეება

ჩვენში, ასეთ გადასახადს ვერ გაუძლებს. დატაკი კი ამნარი საავადმყოფოში ზღაპარშიც ვერ მოხდება. ქალის მშობიარობა 1300 ლარი ღირს. არის თუ არა ეს ხალხის გენოციდი? ეს ქართველთა შემცირების „უმტკივნეულო“ მეთოდია, რასაც შინაურის მანტიამორგებული, გარედან შემოგდებული ხელისუფლება ახორციელებდა. არის თუ არა ქართველთა დენაციონალიზაციის მიზეზი, როცა ზამთარში ბავშვებით ქუჩაში გამოყრილი ლტოლვილები წყევლიან თავის გაჩენას და იქნებ ქართველად გაჩენასაც. ოცი წელია საქართველოში არ გამოჩენილა მეურნე ხელმძღვანელი, რომელიც ღვთისგან დალოცვილ (ამათგან დაწყევლილ) ჩვენს მიწას მიხედავდა. ყველგან ნასოფლარებს ჰგავს ქვეყანა. გაველურებული და გაუდაბურებული სავარგულებით. დღეს კანონი ქართველების დენაციონალიზაციისაკენ არის მიმართული. ახლა ყველა რელიგიურ კონფესიას თუ სექტას აქვს უფლება ჰუმანიტარული დახმარება გაუწიოს გაჭირვებულ მოქალაქეს, რაც არის საფუძველი მისი გადაბირებისა. იელოველები ამას მაშინაც კარგად ართმევდნენ თავს, როცა ამას კანონი კრძალავდა. ადვილი წარმოსადგენია, რას შერეზიან დღეს, როცა ამას კანონი არეგულირებს. მშიერი კაცი არსებობის უკეთეს პირობებზე რაღაცის დათმობის ხარჯზეც ვეღარ იტყვის უარს. ამპუტირებული ფეხის, როგორც ნამდვილს, შეგრძნებით სიარული აღარ შეიძლება. რაც 2008 წელს ცხინვალში ჩაიდინეს, შუასაუკუნეების სისხლისმსმელი მონარქისთვისაც კი ახალი ამბავი იქნებოდა. საუკუნოვანი საცხოვრისიდან ქართველი მოსახლეობის გამოდევნა, მათი სახლ-კარისა და

მიწების მითვისება დღეს, 21-ე საუკუნეში, ცივილიზებულ სამყაროში, ველურობის ყველა საზღვარს სცილდება. რუსული იმპერიული პოლიტიკა ძალაშია დღესაც, ოღონდ უფრო ღიად ჩანს. მე-19 საუკუნეშიც კი მოჰაჯირებად გარეკილ კავკასიის მთიელებს ხელს აწერინებდნენ, რომ სამშობლოდან თავისი ნება-სურვილით მიდიოდნენ. ხომ არ ჰგავს ეს იმას 1829 წელს „დაბრუნებულ“ ქართულ მიწაზე რომ ჩაიდინეს იმპერიის დიდმა მოხელეებმა? ჩანს, ცივილიზებული ველური უფრო საშიშია, რადგან ვერაგობის მრავალი მარყუქი უპყრია ხელთ. დღს გლობალიზაცია კაცობრიობის ზნეობრივი სრულყოფისაკენ სვლაც უნდა იყოს, ხოლო პოლიტიკური ნაბიჯი. როგორც დიდი რუსთაველი გვასწავლის – ზნეობრივიც. ახლა პოლიტიკური თამაშის წესები უნდა ეყრდნობოდეს არა ძალადობას, არამედ ერთმანეთის ანგარიშის გაწევასა და პატივისცემას. „მშიერი დათვის“ პოლიტიკას უბედურება მოაქვს არა მხოლოდ იმისთვის, ვისაც ის თავს ატყდება, არამედ იმისთვისაც, ვინც ამას ჩადის. ეროვნულის ნიველირება დღეს, სექტებისათვის მწვანე შუქის ანთება, ეროვნული მეურნეობის უპატრონოდ მიგდება, ლტოლვილთა გაწამებული ყოფა იქამდე მოიყვანს საზოგადოებას, რომ ქართველს ქართველობა აღარ მოუნდება. კოდორის ხეობიდან ლტოლვილი ისტერიულად მოსთქვამდა: „აფხაზებმა იქ დამინდეს და აქ ქართველები აღარ მინდობენო“. ეს მაგარი სილა იყო ჩვენი მმართველი ელიტისათვის, თუ ამის მიხედვად შეეძლო.

გასული საუკუნის 20-იან წლებში ქართველებს უკლონისტობა დააბრა-

ლეს და ყური აუწიეს კომუნისტებმა. რითაც ქართველების პროტესტი აღკვეთეს აფხაზეთისა და ოსეთის ავტონომიების შექმნის პროცესში, თორემ ქართველების უკლონისტობა სად გაგონილა, როცა ჩვენთან, ქართველების გარდა, ყველა გალაღებული იყო ზევიდან მხარდაჭერით. ოსების ავტონომიის შექმნის დროს რეგიონში ოსი მოსახლეობა ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე ქართველობა. ამიტომ ქართველებს გვარი შეუცვალეს და ოსად ჩაწერეს, სხვაგვარად ავტონომია ვერ შეიქმნებოდა. ქართველების გაოსება ოფიციალურად ნება იყო და წინ ვერავინ აღუდგებოდა. ასეთი ნაბიჯის ისტორიული შედეგი არავის აწუხებდა. ოლქში მოქალაქედ ძალით შეყვანილი 4129 ქართული კომლის (23460 სული თუმცა ეს სრული სია არაა) უმძიმესი მდგომარეობის შესახებ ავტორს ციტირებული აქვს ბოჭორიძის წერილი, სადაც მოყვანილია ქართველი მოსახლეობის აბუჩად აგდებისა და შევიწროვების გამოაგნებელი ფაქტები. 30-იან წლებში ამ სოფლებში ხალხს აკულაკებდნენ ქონების წართმევის მიზნით და სოფლიდან აძევებდნენ, მერე კი გამართლების შემთხვევაშიც უკან აღარ უშვებდნენ. ამ სოფლებში სამართალიც მიკერძოებული ყოფილა და ქართველებისთვის არ არსებულა. საქმის წარმოება და ჩვენების მიცემა სასამართლოში მხოლოდ ოსურ ენაზე ხდებოდა. მიწის მფლობელობის დროს უპირატესობა ოსს ეძლეოდა. ასე იყო იმპერიულ რუსეთშიც. ქართელის უფლება მისსავე ქვეყანაში უგულვებელყოფილი იყო. უპატრონოდ მიტოვებულ ქართველს ერთადერთი გამოსავალი ჰქონდა, ოსად უნდა ჩაწერილიყო. ავტონომიურ ოლქში

საქართველოს რესპუბლიკის კანონი არ კანონობდა. ქართველ ბავშვებს „საბჭოურ ძმურ ოჯახში“ ოსურ სკოლას სთავაზობდნენ, სადაც ქართული ენა არ ისწავლებოდა. ეს ქართველთა დენაციონალიზაციის ზევიდან დაკანონებული გზა იყო, რასაც თავის დროზე იმპერიული რუსეთი წარმატებით „ახროციელებდა“, ხოლო ძმობისა და ერთობის საბჭოურ პერიოდში ოსურ ეთნოსს ძალდატანებით შერეული ქართველი გაბოროტებული და ქართული ხელისუფლების სიძულვილით სავსე გაჩენის დღეს წყევლიდა. ალბათ, როცა ქართველობას ეთხოვებოდა. მეორე დიდი უბედურება ის იყო, რომ, ვინც ქართველს ასე გააფთრებით ებრძოდა, თავადაც ერთ დროს ძალით გაოსებული ქართველი იყო. ეს უმძიმესი ტრაგედია ჩვენი ერისა, ის, რაც იქ ხდებოდა, ფიქრშიც კი წარმოუდგენელია. ქართველი, რომელსაც გასაქცევი არსად ჰქონია, ოსი ხდებოდა და, ალბათ, არასოდეს დატოვებდა დიდი ტკივილიც, დიდი მძულვარებაც ასეთი პოლიტიკურ სულისჩამდგმელთა მიმართ. ქართველობაზე უარის თქმა აქაც და სხვაგანაც ან ძალადობის შედეგი იყო ან სიკვდილის შიშისა, როგორც ალა-მაჰმად-ხანის მეორედ შემოსევის მოლოდინში მყოფი ქართველი მოსახლეობა მოიქცა. სიკვდილის შიშმა ისინი მიაკვდლა გორიანულსა და იუდაისტურ სარწმუნოებას, რადგან მტერი ქართველებს ერჩოდა მხოლოდ და არა სხვა რელიგიის მიმდევართ. ეს ხდება ახლაც ქართულ მიწაზე ახალი დემოგრაფიული ვითარების შესაქმნელად, უტიფრად, ყოველგვარი ზნეობისა და კანონიერების გარეშე.

ანალოგიური მოხდა აფხაზეთშიც. ავტონომიური რესპუბლიკისათვის აფხაზეთს არც ტერიტორია ყოფნიდა არც მოსახლეობა. ამიტომ მიუერთეს მას ისტორიული სამურზაყანო. ამ ღონისძიებამ ბევრი ქართველი ოჯახის გააფხაზება „მოითხოვა“, მიწაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ეს ხდებოდა დიდი, ხელისუფლების ნებით და პატარა „ხელისუფალის“ წაყრუებით.

დღეს ეროვნების დაკარგვა გლობალიზაციის ნაწილად მოიაზრება, უნდა შეიქმნას რაღაც უსახური ადამიანი, რომელსაც ექნება ორი ყური, ორი თვალი, ორი ფეხი, მაგრამ არც ინგლისელი იქნება, არც ჩინელი, არც ქართველი. არის თუ არა ეს კაცობრიობის მომავლის ერთადერთი გზა, ამ ეტაპზე ძნელად დასაბუთდება. ეს შორეული მომავლის პერსპექტივაა და ხელოვნურად მის დაჩქარებას საეჭვოა, საზოგადოებრივი სიკეთე მოჰყვეს. ჯერ ადამიანის ცხოვრება არ მისულა იქამდე, რომ გერმანიისთვის სულ ერთი იქნება გერმანიელი ერქმევა თუ უნგრელი ან ფრანგისთვის – ფრანგი იქნება თუ კორეელი.

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნში ისეთი ისტორიული ფაქტებია მოტანილი, ყურს რომ არ დაეჯერებინა. ნუთუ ჩვენ ისე ვართ თავმიცემული, რომ ამის გაცნობიერება არ ძალგვიძს. ჩვენთვის დღს აუცილებელია უკიდურესი პრაქტიციზმი თავი დავანებოთ რომანტიკოსობას. რაც ამ შრომაშია მოცემული, ისტორია კი არ არის მხოლოდ, არამედ სასტიკი დღევანდელიობაცაა. ადრე მტერს მტერი ერქვა. ახლა მტერი მოყვრის სტატუსით მოდის გვერდით ჩვენი თავდახრილი „ხელისუფალი“ მოჰყვება და მწვანე შუქს უნთებს. მომხვედური

დღეს უფრო მოქნილია, ამიტომ ასითვალი და ასი ყურია საჭიროა მისი აზრის გამოსაცნობად და თავის დასაცავად. საქართველოს მტრის წინააღმდეგ ხანგრძლივ სისხლიან ომებს არ წაურთმევია ჩვენთვის იმდენი ადამიანი, რამდენიც გადაარჯულეს ჩვენმა პატარა თუ დიდმა მეზობლებმა. რა თქმა უნდა, ჩვენი ბედოვლათობის დასტურია, რომ საკუთარ ქვეყანაში საკუთარ მიწა-წყალზე სამადლოდ შემოკედლებული დროთა განმავლობაში ჭკუითა თუ უზნეობით გამდიდრებული, მტრად გვექცა.

წიგნის ავტორი არაფერს იგონებს. მრავალი ფაქტის განზოგადებით ის ქმნის ჩვენი ტრაგედიის უმძიმეს სურათს. ეს ფაქტები სუნთქვას შეგიკრავენ, არ მოგასვენებენ, გაგაშმაგებენ. ამ წიგნის წამკითხველი ქართველიც რომ არ იყოს, გულგრილი ვერ დარჩება. მას ყველა ქართველი უნდა იცნობდეს, რათა კარგად შევიგრძნოთ, რომ ჩვენ ისტორიის ნამსხვრევები კი არა, უნიკალური კულტურისა და ისტორიის ერი ვართ და, თუ ასე ჩამოვურიგეთ ჩვენი მოქალაქეები ყველას, ვინც დროით სარგებლობს, ჩონჩხიც აღარ დარჩება იმის, რაც ჩვენ ძვლებს ბრძოლით შეუქმნიათ. ეს წიგნი ჩვენი ეროვნული შეგნებისა და თვითდამკვიდრების ახალ ნიშანსვეტად უნდა იქცეს. ოც წელზე მეტია ინგრევა ჩვენი ეროვნული რეალობა. დღს ქვეყანას სჭირდება მეურნე ხელმძღვანელი, რომლის საზრუნავი იქნება ხალხი, რომელსაც ნამდვილად შეუძლია წრფელი ერთგულება, რამდენადაც თავისუფლებამონატრებულს ისტორიული ოპტიმიზმის გრძნობა არასოდეს დაუკარგავს. ახლა ქართულ პოლიტიკას საქართველოს გადარჩენისა და მისი განვითარების

რებისათვის ბრძოლა უნდა ედოს საფუძვლად. შეუძლებელია ბედნიერად იგრძნო თავი, როცა ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმეტესობა გაჭირვებაში გმინავს. მშრომელისადმი ზრუნვა, რამეთუ ის შენთვისაც შრომობს, ხელისუფლებისა და ქვეყნის წიგნიერი ნაწილის, უპირველესი საზრუნავია, ვინაიდან მშრომელის დამაბუნება ქვეყნის დაქცევის პირველი ნიშანია.

ახლა ჩვენ დედო ზარები კი არა, იერიქონის საყვირი გვჭირდება, რომ

ქართველებს მხოლოდ ყურში კი არა, გულშიც მოხვდეს შემადრწუნებელი, შეპარვით, აშკარად, ლეგალურად. ჩვენთვის ეს ვითომც არაფერია, ქვეყანაში უამრავი და ანტიეროვნული ფაქტი ფიქსირდება. ჩვენ კი მონუხულებივით ვართ. ჩვენ ძილში ვიღაცას „ისტორიული გეგმის“ განხორციელების დრო დაუდგა, ჩვენ რით ვიმშვიდებთ თავს? რისეზაყრილი ხალხი ვართ, სხვები ადვილად გვარწმუნებენ სისულელეში, ჩვენი მწარე სიმართლე კი არავის სჯერა.





 *badri cxadaZe*

გვარი გვართავანი

(ემღვნება პროფესორ ევგენი ბარათაშვილის მეუღლის ირინე ბაგრატიონის ნათელ ხსოვნას)

ქართველების ცნობიერება და ქართველთა ისტორია დასერილია ბაგრატიონთა წარმოშობის სხვადასხვა და ურთიერთგამომრიცხავი ვერსიებით. მაგალითად, მეოცე საუკუნეში ერთ-ერთი „საბჭოური“ ვერსია ისიც გახლავთ, რომ, როგორც რუსულ ენაზე გამოცემული „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“ გვამცნობს, ქართველი ბაგრატიონები თურმე წარმოშობით სომხები ანუ სომხური სამეფო დინასტიის პირშონი არიან – ბაგრატუნები (ანთროპონიმი „ბაგრატ“ წარმოშობით არაქრთული სიტყვაა. ძველი სპარს. bagadāta, საშ. სპარს. baydāt, სომხ. Բագրատ, რაც ნიშნავს „ღვთის წყალობას“, „ღვთის მოცემულს“ [1]). მაგრამ სინამდვილეში ქართული ანალები სულ სხვა რამეს დალადებენ. კერძოდ, როგორც 1975 წელს სინას მთაზე აღმოჩენილი 110 ხელნაწერთაგან ერთ-ერთი (X საუკუნის) ფრაგმენტი გვაუწყებს ამ გვარის სიმძვლეს (რომელშიც მოხსენიებული არიან: გუარამ კურაპალატის შვილები სტეფანოზი და დემეტრე, სტეფანოზის ძე ადარნესე, ასევე



სტეფანოზის ქალიშვილი და ადარნასეს და ლატავრი – „დედად ბაგრატუნისადა და კუროპალატისადა“ სახით), პროფ. ზაზა ალექსიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იმაზე მიუთითებს, რომ (ამ კონტექსტით) ქართლის ერისმთავრები (კურაპალა-

ტიანები, გუარამ კურაპალატის ჩამომავლები) და ბაგრატიონთა საგვარეულო დამოყვრებულან, რაც VII საუკუნის დასაწყისში უნდა მომხდარიყო [2. 28-29]

ამრიგად, ქართველ ბაგრატიონთა სამეფო გვარი – დინასტია სულ მცირე 1300 წელს მაინც ითვლის, რაც მსოფლიოში უნიკალურია სხვა სამეფო დინასტიებთან შედარებითა და მიმართებით. ეს კი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ისტორიულ რეალობას, რომ უსაფუძვლოა თანამედროვე კავკასიოლოგიურ ისტორიოგრაფიაში ცნობილი მოსაზრება, თითქოს „ქართველი ბაგრატიონები წარმომავლობით პირდაპირ კავშირში არიან სომხეთის VIII ს. მთავრებთან – აშოტ ბრმასა და ვასაკ ბაგრატუნებთან“. სინამდვილეში ქართლში ბაგრატიონთა გამოჩენა სახელისუფლო სტატუსით მთელი საუკუნენახევრით უსწრებს „სომხურ სამეფო ეპონიმებს“, მეტიც: ქართველ ბაგრატიონთა ასპარეზზე გამოჩენა VIII ს-ის ნაცვლად VII ს-ის პირველი მეოთხედით უნდა დავათარილოთ [2. 27-36], რაც გაზიარებულია სპეციალურ ლიტერატურაში [3], [16].

როგორც ქართველი ისტორიკოსები ფიქრობენ, სამხრეთ საქართველოში მცხოვრები სპერის პროვინციის ბაგრატიონები (ერთ დროს სომხეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულად მყოფნი, გასომხებულან, უკეთ რომ ვთქვათ, სომხეთის სახელმწიფოს სათავეში მოსულან – არმენიის მეფეები გამხდარან). არსებობს ამ საკითხისა და პრობლემის სხვაგვარი, უფრო ფრთხილი დამოკიდებულება, რომელიც ცნობილ ქართველ არმენოლოგის ზაზა ალექსიძეს ეკუთვნის. იგი

წერს: „მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ქართველი ბაგრატიონები წარმომავლობით პირდაპირ არ არიან დაკავშირებული სომხეთის მთავრებთან – აშოტ ბრმასთან და ვასაკ ბაგრატუნთან, ბუნებრივია, დაისვას კითხვა: არიან კი საერთოდ ქართველი ბაგრატიონები და სომეხი ბაგრატიონები ისტორიულად საერთო ჩამომავლობის? ვფიქრობ, ამ კითხვაზე ძველებურად უეჭველად დადებით პასუხს ვერ გავცემთ, მაგრამ ალბათობა მათი საერთო წარმომავლობის შესახებ მაინც რჩება, თუმცა ამ ალბათობას თავიდან მიზრუნება და ახალი მასალის გათვალისწინებით კვლევა დასჭირდება“ [2. 32]. ჩვენი აზრით, ასეთი დამოკიდებულება და მიდგომა გასაზიარებელია – ადვილი შესაძლებელია (აქ მოულოდნელი და გასაკვირი არაფერია!) ძველი სპარსულიდან დამოუკიდებელი ძველ სომხურსა და ძველ ქართულ ენაში შემოსული ბაგრატ საკუთარი სახელისაგან დამოუკიდებელი მიგველო ამ ორი დინასტიის ეპონიმი.

შუასაუკუნეებში ქართველი ბაგრატიონების შტო-გვარებმა იბარტყა – ბაგრატიონ-ბაზადიმების, ბაგრატიონ-დავითისშვილებად, ბაგრატიონ-რამაზისშვილების, „ქართველი ბატონისშვილების“ – ქართლელ-კახელ-იმერელ ბაგრატიონებად, ხოლო მე-XIX საუკუნეში „რუსთა ზედამდგომელების“ დროს ბაგრატიონ-იმერეტინსკებად, ბაგრატიონ-გრუზინსკებად, ბაგრატიონ-მუხრანსკებად და ბაგრატიონ-დავითისშვილებად იქცნენ [4. 33], [5. 19].

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „რამაზისშვილი და დავითისშვილი არიან ავ-გიორგის ძმის დიმიტრისაგან, რომელი აჩინა მეფემან“

(ქართლის მეფემ დავით X) [6, 34]. მართლაც, XV საუკუნის დასაწყისში კახეთის ბაგრატიონთა სახლს გამოეყო ბაგრატიონ-დავითის შვილების შტო, რომელიც შიგა საგვარეულო უთანხმოების გამოიყო და გადასახლებულ იქნა ქართლში [7].

ამრიგად, ბაგრატიონთა სამეფო შტოს მიეკუთვნებიან კახ ბაგრატიონთა განაყარი შტოები ბაგრატიონ-დავითი შვილები და ბაგრატიონ-ბაბადიშვილები (ანუ ბაბადიშვილები იმამ ყულისაგან წარმომდგარი ბაგრატიონები არიან, გვართ მესამე ხარისხისანი). საკუთრივ ბაგრატიონ-დავითი შვილები კახეთის მეფის, ალექსანდრე I-ის შთამომავლები არიან. მეფე გიორგი II-მ (საქართველოს ისტორიაში ცნობილმა ავ-გიორგიმ) თვალეზა დასწვა თავის ძმას დემეტრეს და გააძევა სამეფოდან. დემეტრეს შთამომავლები იწოდნენ ბაგრატიონ – დავითი შვილებად. გამეფების გამო მათ დაკარგეს სამფლობელო და ჩვეულებრივ თავადებად მოგვევლინნენ.

შენიშვნა 1: კახელ ბაგრატიონთა გაყრა ამით არ დამთავრებულა: ქართლში გადმოსახლებული დავითი შვილებისაგან წარმოდგა რამდენიმე (4) სახლელი: 1. „ზაალის შვილები“ – გიორგი დავითი შვილის ძის ზაალისაგან; 2. „ელიზბარის შვილები“ – იოანე (ივანე) დავითი შვილის ძის ელიზბარისაგან; 3. „შანშეს შვილები“ – შანშე რამაზი შვილისაგან; 4. „ლეონის შვილები“ – რამაზი შვილთა განაყოფის ლეონ-ლევან რამაზი შვილისაგან [8. 46].

შენიშვნა 2: ცალკე კვლევის საკითხია ბაგრატიონთა კიდევ ერთი შტო – „გოჩა შვილები – გოჩა სპასპეტის შთამომავლინი (ადვილი შესამლებელია ეს შტო ქართლური წარ-

მომავლობის იყოს, რადგან ქართლის მეფობაზე პრეტენზიებს აცხადებდნენ, რის გამოც დაისაჯნენ კიდევ – ბატონი შვილობა დაკარგეს – გაგვარდნენ – რიგით თავადებად იქცნენ). გაგვარებულ ბაგრატიონთა სიაში აღმოჩნდნენ სიმონ I დიდის ძმა ალექსანდრე ბატონი შვილი, ბახუტა ჰუსეინ ბეგის შვილი ბაგრატიონი, „ნათესავობით ბაგრატიონი“ კახაბრის შვილი გორჯასპი, ვახტანგ ჭუნაშვილი – იმერეთის „მეფე“, რომელსაც „ბაგრატიონად იტყოდნენ“.

შენიშვნა 3: იმერელ ბაგრატიონთა შორისაც აჯანყებებმა თუ მრავალრიცხოვანმა გადატრიალებებმა სამეფო კარის სხვადასხვა შტოთა სხვადასხვაგვარი გარდასახვა გამოიწვია. ეს შტოებია (სულ 3): 1. იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის (1720-1752) ძის – ბაგრატ ბატონი შვილის შვილის დავით ბატონი შვილის (1781-1820) შთამომავლობა; სოლომონ I-ის ეს ძმისწული მუდმივად არგვეთში ცხოვრობდა. სწორედ მის შთამომავალთ ეწოდათ „ბაგრატიონ-დავიდოვები“. 2. იმერეთში დავითი შვილებად წოდებული მეორე შტო იმერეთის მეფე დავით II-ისაგან წარმოიქმნა. მისი შთამომავლების – ვახტანგისა და ტარიელისაგან ცალკე განშტოება ჩამოყალიბდა. ამ უკანასკნელმა დასაბამი დაუდო ჰაიდარბეგების ცნობილ გვარს თურქეთში; 3. მესამე განშტოების ფუძემდებლად „Российская Родословная книга“ სოლომონ I-ის ძეს დავითს ასახელებს, რომლის შთამომავალიც ასევე ბაგრატიონ-დავითი შვილებად იწოდებიან [9]. გაქართლებულ დავითი შვილ-ბაგრატიონების და იმერეთის დავითი შვილ-დავიდოვების ნათესაობა შორეულია, ხოლო გვარის

დამთხვევა შემთხვევითი და მეორეული.

შენიშვნა 4: საქართველოში დღემდე განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ერის უძველესი წარმოშობის თეორიები, ჩვენ წინაშეა როგორც ქართული ანბანის წარმოშობის არაორდინალურად კვლევის მრავალგვარი დილექტანტური გააზრება, ისე გვარ-სახელების „არაჩვეულებრივად ნაყოფიერი“ კვლევის „განსაცვიფრებელი“ შედეგები. ასე რომ, თანამედროვე კვლევა-ძიებანი გვარ-სახელთა კუთხით განსაკუთრებული პროდუქტიულობით გამოირჩევა. ჩანს, აქ უფრო ეიოლებათ „ამომწურავი“ ფანტაზიების გამოვლენა. არადა სწორედ გვარის წარმოქმნა და წარმოშობა არის ურთულესი პროცესი, თანაბრად რომ იერთებს ისტორიულსა და სოციალურ-პოლიტიკურ და ლინგვისტურ მხარეს. განსაკუთრებით ჩვენს თავდაზნაურობას უყვარდა კეკლუცობა ადამამდელი წინაპრებით და ვრცელდებოდა ვერსიები, ამბები, ანეკდოტები. მსგავს ამბებს, რომლებიც მხოლოდ ზეპირ გადმოცემებს ეფუძნება და ცრუქაქუნობის ნიმუშებია, მრავლად შეხვდებით ადრეულ სასკოლო სახელმძღვანელოებშიც [10].

სამწუხაროდ, გვარის ცრუ ეტიმოლოგიებს ახლაც ვეცნობით ე.წ. ყვითელი პრესის საშუალებით, ზოგი გამომცემლის სერიული გამოცემით. მაგალითად, ი. ახუაშვილის „ქართულ გვარ-სახელებში“ ერთ ადგილას გვარის ჩხიკვაძის ეპონიმად ბაგრატიონია დასახელებული (გურიაში). სამწუხაროდ, ინფორმატორის ცნობას არავითარი მეცნიერული არგუმენტაცია არ ახლავს. უბრალო, საქმეში ჩაუხედავმა მკითხველმა, არამეცნიერმა

და არასპეციალისტმა, მავანმა ცნობისმოყვარემ კი შეიძლება ეს ვითომდა გადმოცემა-მონათხრობი სარწმუნოდ მიიღოს. აქ არაფერს ვამბობთ არაქართველი წარმოშობის მოქალაქის ბაგრატიონთა გვარის მიღების თაობაზე (ჩვენ თვითონ ვართ მომსწრე იმ ფაქტისა, თუ როგორ მოიწადინა ერთმა თბილისელმა (XX ს-ის 80-იანი წლები) წარმოშობით სომეხმა ალაჯანოვმა ბაგრატიონის გვარის მიღება. მისი არგუმენტაცია ასეთი იყო: რადგან მამამისს ბაგრატა ერქვა, ბაგრატიონის გვარის მიღებაზე იუსტიციის სამინისტროს, „საბჭოთა მილიციას“ უარი არ უნდა ეთქვათ).

დავუბრუნდეთ პირველთქმულს, ანუ როგორც ჩვენი ძველი წინაპარი იტყოდა – „პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ“.

XVIII საუკუნიდან ცნობილია თავად ბაგრატიონ-დავითისშვილების საგვარეულო გერბი, რომლის გამოსახულებაში ჩანს ოთხნაწილიანი ფარი. პირველ ნაწილში წმიდა გიორგია გამოსახული, მეორე ნაწილში – ჯვარი, მესამეში – სოლარული ნიშანი მზისა (ხუთქიმიანი ვარსკვლავი), მეოთხეში – ენაგადმოგდებული ლომი, რომელიც მარჯვნივ იყურება“ [11. 39].

ბაგრატიონ-დავითისშვილების შტოს ღირსეული წარმომადგენელია XX საუკუნის მეორე ნახევრისა და XXI საუკუნის პირველი დეკადის ქალბატონი ირინე ბაგრატიონი, რომლის საკუთარი და პიროვნული წარმომავლობა ([ბაგრატიონ-დავითისშვილები და რამაზიშვილების გენეალოგიური ხის მიხედვით) ასეთია:

გიორგი I (VIII, 1466-1476) _> ალექსანდრე I (1476-1511) _> დემეტრე თვალდამწვრიანი _> დავით თვალდამწვრიშვილი _> რამაზ დავითი-

შვილი _> დავითი (11635) _> ელიზბარი (01605-1666) _> დავითი (01675-1725) _> ელიზბარი (01688-1738) _> გიორგი (01709-1882) _> ზაალი (01744-1801) _> როსტომი (01776-1806) _> სოლომონი (1796-1859) _> ედიშერი (1823-1874) _> სოლომონი (1862-1924) _> შალვა (1897-1956) _> გივი (დ. 1927-2002) _> ირინე (დ. 1956) [მისი და-ძმანი: მარინე (დ. 1952), მუხრან (დ. 1959), ნინო (დ. 1968), ხათუნა (დ. 1970), მამუკა (დ. 1970)].

დაიხ, ქალბატონი ირინე გივი ბაგრატიონის ასული გახლდათ, მეუღლე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, სრული პროფესორის, ევგენი ბარათაშვილისა, რომელმაც „პანკრატოან – ბაგრატიონთა“ გამოჩინებულ ასულს ასეთი ლექს-ეპიტაფია უძღვნა:

„უფალს ვლოცავდით და ცისკროვნება
 შეიგრძნობოდა ჩვენს საუბარში,
 მე ვერვინ ვპოვე სხვა პიროვნება,
 ამხელა სითბო ჰქონოდას ხმაში.
 ყოველთვის იყავ, ხარ და იქნები
 ქუთათურთ რძალი ძირძველი წესით:
 ლოცვით, კურთხევით, ზრუნვით, ფიქრებით
 უწმიდესის და უნეტარესის.
 ღმერთმა გაცხოვნოს, ჩემო სიცოცხლე,
 სულით და ხორცით ულამაზესო,
 ყველაზე დიდო შთაბეჭდილებავ,
 კეთილშობილო, უსაყვარლესო“.

ქალბატონი ირინე დაახლოებულ იყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია მეორესთან. უწმინდესმა სულით დაუდეგარ, სულიერებასა და პილიგრიმ-მომლოცველთა წრეში მოფუსფუსე კეთილადნაგ-ქალბატონს გასაოცარი სითბო და ყურადღება მიანიჭა. ქალბატონი ირინე გახლდათ საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული მომლოცველთა (პილიგრიმთა) საზოგადოების წევრი, მრავალი კარგი წამოწყების ინიციატორი, ახალგაზრდობაში ცნობილი კალათბურთელი. ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

წერილის დასასრულს თანამედროვე ბაგრატიონთ, მკვლევრებს კიდევ ერთხელ შევახსენებთ: გვარს,

ისტორიას, წარსულს, მოფრთხილება უნდა. ეს მათაც კარგად იციან, თუმცა...

ნუ გავყიდით ან გადავაკეთებთ (დავაკინებთ) ბაგრატიონთა დიდებულ გვარს – საქართველოს წარსულის დიდებას (8 წლის წინათ საქართველოს ყავლგასულ პარლამენტში იყო ამის მცდელობა – სპეციალური პროექტი (პროექტის „ავტორები“ კ. ბენდუქიძე, გ. ბოკერია და სხვ.) – ბაგრატიონთა, ორბელიანთა, ჭავჭავაძეთა, დადიანთა.... გვარების ვინმე გადამთიელისათვის მიყიდვისა. მაგალითად, დადიანის გვარის გვარმამიებელს ამ გვარის მისაღებად ხუთიათასი დოლარი უნდა გადაეხადა). ქართველებო, რაგვარი ხალხიც ვართ,

საკუთარი გვარებისადმი მოპყრობითაც დავამტკიცოთ...

რადგან ქართული გვარები ბევრად აღმატებულია მსოფლიოს გვარებს შორის (ჩინური, თურქული, შვედური...) საჩინო გვარებს!

რადგან ქართული გვარი ფენომენია ფენომენთა შორის.


ხელოვნურად (პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე) ნუ გავაგვარებთ და გადავაგვარებთ ჩვენს გვარებს!

გვარო, ნუ გადაშენდები!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. I. თბ., 1966.
2. ზ. ალექსიძე, ქართლში ბაგრატიონთა დინასტიის პირველი გამოჩენა (ახალი დოკუმენტური მასალა). იხ. კრებ.: ბაგრატიონები – სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, თბ., 2003.
3. რ. ჩაგუნავა, ახალი ცნობები ბაგრატიონთა დინასტიის ქართლში გამოჩენის შესახებ. ჟ. „ბაგრატიონი“, („ბაგრატიონთა სახლის“ ალმანახი) გამოცემის მეორე წელი, თბ., 2004.
4. ი. ბიჭიკაშვილი, დ. ნინიძე, ა. მხეიძე, ბაგრატიონი. თბ., 2000.
5. ი. ბიჭიკაშვილი, უგანათლებულესი თავადების გრუზინსკებისა და იმერეთინსკების გვარების წარმოშობისათვის, ჟ. „ბაგრატიონი“, („ბაგრატიონთა სახლის“ ალმანახი) 2. გამოცემის მეორე წელი, თბ., 2004.
6. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა: ქართლის ცხოვრება. ტ. XIV. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
7. დ. ნინიძე, „აქა ანბავი თვალდამწვრიანთა“, თბ., 1999.
8. დ. ნინიძე, ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარეულო განშტოებანი XVI-XVII საუკუნეებში. იხ. კრებ.: ბაგრატიონები – სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, თბ., 2003.
9. დ. ნინიძე, ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარეულო განშტოებათა ისტორია (XIII-XVIII სს.). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა A დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1998.
10. ბ. ცხადაძე, ორი ქართული გვარ-სახელის „გასიტა“ და „გასიტაშვილ“-ის წარმომავლობისა და ურთიერთმიმართებისათვის. სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი „პარალელი“. 2013, #5.
11. ი. ბიჭიკაშვილი, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის საგვარეულო ჰერალდიკა. ჟ. „ბაგრატიონი“ („ბაგრატიონთა სახლის“ ალმანახი) 2. გამოცემის მეორე წელი, თბ., 2004.





ჯუმბერ ლეჟავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ჟურნალ „პარალელის“ რედაქცია ულოცავს მსოფლიოში ცნობილ სპორტსმენს, გამოჩენილ მოგზაურს, მრავალმხრივ რეკორდსმენს, გინესის წიგნის ბინადარს, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს არაერთი აკადემიის აკადემიკოსსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორს ბატონ ჯუმბერ ლეჟავას ყველა დროის 500 საუკეთესო სპორტსმენთა შორის აღიარებას.



GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

PARALLELI

Literary-Scientific Journal

მთავარი რედაქტორი:

რევაზ მიშველაძე

სარედაქციო კოლეგია:

მერაბ ახოზაძე

გიორგი გაჩეჩილაძე

ჯემალ გახოკიძე

ბორის გიტოლენდია

ვახტანგ დავითაია

ივანე თვალავაძე

იგორ კვესელავა

ჰენრი კუპრაშვილი

შალვა ნაჭყებია

ვაჟა პაპასკირი

გიორგი სალუქვაძე

სოსო სიგუა

(რედაქტორის მოადგილე)

არჩილ ფრანგიშვილი

ქეთევან ქოქრაშვილი

რუსუდან ქუთათელაძე

ბადრი ცხადაძე

(პასუხისმგებელი მდივანი)

თემურ ჯაგოდნიშვილი

ანანია ჯაფარიძე

EDITOR:

REVAZ MISHVELADZE

EDITOR STAFF:

MERAB AKHOBADZE

GIOGRI GACHECHILADZE

JEMAL GAKHOKIDZE

BORIS GITOLENDIA

VAKHTANG DAVITAIA

IVANE TVALAVADZE

IGOR KVESELAVA

HANRY KUPRASHVILI

SHALVA NACHKEBIA

VAZHA PAPASKIRI

GIORGI SALUQVADZE

SOSO SIGUA

(DEPUTY EDITOR)

ARCHIL FRANGISHVILI

QETEVAN QOQRASHVILI

RUSUDAN QUTATELADZE

BADRI TSKHADADZE

(EXECUTIVE SECRETARY)

TEMUR JAGODNISHVILI

ANANIA JAPARIDZE

LITERARY-SCIENTIFIC MAGAZINE OF THE BUSINESS-ENGINEERING FACULTY

ყდის დიზაინერი ვახტანგ დავითაია

კომპიუტერული უზრუნველყოფა ნონა ცაბაძე

ჟურნალი ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ.

გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

დაარსდა 1984 წელს, 2000 წლამდე გამოდიოდა წყვეტილად,

აღდგა 2011 წელს.

მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კოსტავას 77, VI კორპუსი, VI სართული, ოთახი 603ა

Editorial office address: GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

Tbilisi, kostava 77; E-mail: jurnali-paraleli@mail.ru